

# მნათობი

**9-10**

---

თბილისი  
1946

# მნათობი

ზრულიად-საქართველოს საპროტა მფარველის  
ქვეყნის უმთავრესი სალიბერალური,  
სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საკულტურული  
შუამავალი

წალიწალი ოცდამეხუთე

9-10



4553



შინაპარსი

53

|  |   |
|--|---|
| ამანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები „სანდვი ტაშის“ მოსკოველი კორესპონდენტის<br>ბ-ნ ალექსანდრე ვერტის მიერ ამანაგ სტალინის სახელზე 1946 წლის<br>17 სექტემბერს გაგზავნილ ბარათზე დასმულ კითხვებზე | 3 |
| ამანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები ამერიკელი სააგენტოს იონაიტედ პრესის პრეზი-<br>დენტ ბ-ნ ჰიუ ბელის აგან 1946 წლის 23 ოქტომბერს მიღებულ კითხვებზე  | 6 |

|  |    |
|--|----|
| აშ. შტანოვიჩის მოხსენება ეურიალემის „შვედისა“ და „ლენინგრადის“<br>შესახებ  | 10 |
| ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები — ამანაგ პ. ბ. შარინას<br>მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების შესახებ ყრილობაზე | 32 |

|  |     |
|--|-----|
| გალაქტიონე ტაბიძე — ზღვა ამბურდა (ლექსები)   | 62  |
| მასნილ ბარნოვი — დედოფალი ბიზანტიისა (ისტორიული რომანი)  | 80  |
| ალ. აბაშელი — მომავლის პოეტებს (ლექსი)   | 130 |
| აშ. ისაბაიანი — ჩვენი მემკვიდრეები და ჩვენი მკვლევები (ლექსი, თარგმ. კონსტ.<br>ლორთქიფანიძისა) | 132 |
| აკაკი ბილიაშვილი — თევზადსავალი ბესიკ გამაშვილისა (რომანი, გაგრძელება)                         | 134 |
| ალ. ფადეივი — ახალგაზრდა გვარდია (რომანი, გაგრძელება. თარგმანი პ. აბ-<br>რამიასი)              | 155 |

|   |     |
|---|-----|
| გიორგი ჯიბლაძე — ნოველები თუ ანაქრონიზმები? | 186 |
| შალვა აფხაიძე — პოეზიის ახალი კადრები       | 195 |
| ლევან ასათიანი — ილქაანდრე ჭავჭავაძე        | 206 |

|   |     |
|---|-----|
| რეზოლუცია სსრკ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის გაშვილების პრეზიდუმისა<br>1946 წლის 4 სექტემბრის თარიღით | 223 |
| რეზოლუცია საქართველოს საბჭოთა მწერლების შესახებ ყრილობისა   | 231 |

|  |     |
|--|-----|
| დემანა შინაპარსი — დავით სულთაშვილი — „ურბანის ციხე“ | 236 |
| შ. ა. — ა. ბელიაშვილი — „რუმორი“                     | 239 |

## ამხანაგ ი. ბ. სვალინის პასუხები

„სანდოი შიისის“ მოსკოველი კორესპონდენტი ბ-ნ ალექსანდრა ვერის მიერ  
ამხანაგ სვალინის სახელზე 1946 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ ბრძანში დასმულ  
კითხვებსა



**კითხვა:** გვერათ თუ არა თქვენ „ახალი ომის“ რეალური საფრთხე, რომელზედაც ამჟამად ასე ბევრი უპასუხისმგებლო ლაპარაკია მთელს მსოფლიოში? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ომის თავიდან ასაცილებლად, თუ ასეთი საფრთხე არსებობს?

**პასუხი:** მე არ ვგერა „ახალი ომის“ რეალური საფრთხე.

„ახალ ომზე“ ახლა უმთავრესად ხმაურობენ სამხედრო-პოლიტიკური მწვერავები და მათი მცირერიცხოვანი მომხრეები სამოქალაქო მოხელეთა რიგებიდან. მათ ეს ხმაური სჭირდებათ თუნდაც იმისათვის, რომ: ა) ომის აჩრდილით დააშინონ ზოგიერთი გულუბრყვილო პოლიტიკოსები თავიანთი კონტრაგენტების რიგებიდან და ამრიგად დაეხმარონ თავიანთ მთავრობებს გამოჰგლიჯონ კონტრაგენტებს რაც შეიძლება მეტი დათმობანი; ბ) რამდენიმე ხნით შეაფერხონ თავიანთი ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების შემცირება; გ) შეაფერხონ ჯარების დემონილიზაცია და ამრიგად თავიდან აიცილონ უმუშევრობის სწრაფი ზრდა თავიანთ ქვეყნებში.

საჭიროა მკვეთრად განვასხვავოთ „ახალი ომის“ შესახებ ხმაური, რომელიც ახლა სწარმოებს, და „ახალი ომის“ რეალური საფრთხე, რომელიც ამჟამად არ არსებობს.

**კითხვა:** მიგანჩიათ თუ არა თქვენ, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები შეგნებულად ჰქმნიან საბჭოთა კავშირისათვის „კაპიტალისტურ გარემოცვას“?

**პასუხი:** მე არ ვფიქრობ, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს შეეძლოთ შექმნან „კაპიტალისტური გარემოცვა“ „საბჭოთა კავშირისათვის“, მათ ეს კიდევაც რომ სურდეთ, რის მტკიცებაც მე არ შემიძლია.

**კითხვა:** ბ-ნ უოლესის უკანასკნელ გამოსვლაში ნახმარი სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლიათ თუ არა ინგლისს, დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებს დაწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა პოლიტიკა გერმანიაში არ გადაიქცევა რუსების იმ მისწრაფებათა იარაღად, რომლებიც მიმართულია დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ?

**პასუხი:** მე გამორიცხულად მიმანჩია საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიის გამოყენება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების წი-

ნააღმდეგ. მე ეს გამოირიცხებულად მიმაჩნია არა მარტო იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი დაკავშირებულია დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ხელშეკრულებით გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შეთანხმებაზე, ბოლო ამერიკის შეერთებულ შტატებთან—სამი დიდი სახელმწიფოს პოტენციალის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, არამედ იმიტომაც, რომ გერმანიის გამოყენების პოლიტიკა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი ჩამოშორდა თავის ძირითად ეროვნულ ინტერესებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა გერმანიის საკითხში განისაზღვრება გერმანიის დემილიტარიზაციითა და დემოკრატიზაციით. მე ვფიქრობ, რომ გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია წარმოადგენს შტატიც და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გარანტიას.

**კითხვა:** როგორია თქვენი აზრი იმ ბრალდების გამო, რომ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების პოლიტიკა „მოსკოვის ნაკარნახევიაო“?

**პასუხი:** ამ ბრალდებას მე ვთვლი აბსურდად, რომელიც ნახსენებია შიტლერ-გებელის გაკოტრებული არსენალიდან.

**კითხვა:** გჯერათ თუ არა თქვენ საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის დემოკრატიების მეგობრული და ხანგრძლივი თანამშრომლობის შესაძლებლობა, მიუხედავად იდეოლოგიურ უთანხმოებათა არსებობისა, და ორ სისტემას შორის „მეგობრული შეჯიბრება“, რომელზედაც თავის სიტყვაში ლაპარაკობდა უოლესი?

**პასუხი:** უეჭველად გჯერა.

**კითხვა:** ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის აქ ყოფნის დროს, თქვენ, რამდენადაც მე ვაივებ, ჩწმენა გამოსთქვით, რომ შესაძლებელია მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის. რა დაეხმარებოდა ასეთ ურთიერთობათა დამყარებას, რაც ესოდენ მხურვალედ სურთ ინგლისელი ხალხის ფართო მასებს.

**პასუხი:** მე ნამდვილად დარწმუნებული ვარ საბჭოთა კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის მეგობრულ ურთიერთობათა შესაძლებლობაში. ასეთ ურთიერთობათა დამყარებას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული კავშირის გაძლიერება.

**კითხვა:** მიგაჩნიათ თუ არა თქვენ მომავალი მშვიდობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებლად მთელი ამერიკული ჯარის რაც შეიძლება ზალე გაყვანა ჩინეთიდან?

**პასუხი:** დიახ, მიმაჩნია.

**კითხვა:** მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური ბომბის ფაქტიური მონოპოლიური მფლობელობა ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის?

**პასუხი:** მე ატომური ბომბი არ მიმაჩნია ისეთ სერიოზულ ძალად, როგორადაც სურს ჩასთვალოს იგი ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს. ატომური ბომბები გათვალისწინებულია სუსტერეგებიან ადამიანთა დასაშინებლად, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ომის ბედის გადაწყვეტა, ვინაიდან ამისათვის საუბრებით არ არის საკმარისი ატომური ბომბები. რა თქმა უნდა, ატომური ბომბის საიდუმლოების მონოპოლიური მფლობელობა ჰქმნის საფრთხეს, მაგრამ ამის წინააღმდეგ არსებობს, სულ ცოტა, ორი საშუალება: ა) ატომური ბომ-



ბის მონოპოლიური მფლობელობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს;  
 ბ) ატომური ბომბის გამოყენება აკრძალული იქნება.

**კითხვა:** ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ კომუნისმისაკენ საბჭოთა კავშირის შემდგომ წინსვლასთან ერთად გარეშე სამყაროსთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა არ შემცირდება, რამდენადაც ეს შეეხება საბჭოთა კავშირს? შესაძლებელია თუ არა „კომუნისში ერთ ქვეყანაში“?

**პასუხი:** მე ეჭვი არ მეპარება, რომ მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობანი არა თუ არ შემცირდებიან, არამედ შეიძლება გადიდდნენ კიდევ.

„კომუნისში ერთ ქვეყანაში“ სავსებით შესაძლებელია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორც საბჭოთა კავშირია.

## აგხანავ ი. ბ. სვალინის პასუხები

აგხიყალი სააგხეფოს იწანიგელ პრესის პრეზიდიენტ ბ-ნ პიუ ბილინსაგან  
1946 წლის 23 თებერვას მიღებულ კითხვებზე



1. კითხვა: ეთანხმებით თუ არა თქვენ სახელმწიფო მდიენის ბირნსის აზრს, რაც მან გამოსთქვა რადიოთი მიმართვასი გასულ პარასკევს, რომ ძლიერდება დაძაბულობა სსრ კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის?

პასუხი: არა.

2. კითხვა: თუ არსებობს ასეთი დაძაბულობა, რომელიც ძლიერდება, ხომ არ შეგიძლიათ აღნიშნოთ ამის მიზეზი ან მიზეზები და როგორია მთავარია საშუალებანი მის მოსასპობად?

პასუხი: კითხვა იხსნება წინანდელ კითხვაზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით.

3. კითხვა: მიგანჩიათ თუ არა თქვენ, რომ ამჟამად წარმოებული მოლაპარაკება გამოიწვევს საზავო ხელშეკრულებათა დადებას, რომლებიც გულითად ურთიერთობას დაამყარებენ ხალხთა შორის — ფაშიზმის წინააღმდეგ ომში ყოფილ მოკავშირეთა შორის, და მოსპობენ ომის გაჩაღების საფრთხეს ყოფილი ღერძის ქვეყნების მხრივ?

პასუხი: მე მაქვს ამის იმედი.

4. კითხვა: როგორია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძირითადი დაბრკოლებანი იმ ხალხთა შორის ასეთი გულითადი ურთიერთობის დამყარების გზაზე, რომლებიც მოკავშირეები იყვნენ დიდ ომში?

პასუხი: კითხვა იხსნება წინანდელ კითხვაზე გაცემულ პასუხთან დაკავშირებით.

5. კითხვა: როგორია რუსეთის დამოკიდებულება იუგოსლავიის გადაწყვეტილებებისადმი ხელი არ მოაწეროს იტალიასთან საზავო ხელშეკრულებას?

პასუხი: იუგოსლავიას საფუძველი აქვს უცმაყოფილო იყოს.

6. კითხვა: თქვენი აზრით, რა წარმოადგენს ამჟამად ყველაზე უფრო სერიოზულ საფრთხეს მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში?

პასუხი: ახალი ომის გამჩაღებლები, უწინარეს ყოვლისა ჩერჩილი და მისი თანამოაზრეები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

7. კითხვა: თუ ასეთი მუქარა წარმოიშვა, მაშინ რა ნაბიჯები უნდა გადასდგან მსოფლიოს ხალხებმა ახალი ომის თავიდან ასაცილებლად?



**პასუხი:** უნდა გამოვიაშვარაოთ და ავლაგმოთ ახალი ომის გამჩაღებლებმა.  
 8. **კითხვა:** არის თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის  
 ჭეყნების მთლიანობის გარანტია?

**პასუხი:** ჯერჯერობით ძნელია ამის თქმა.

9. **კითხვა:** ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ გერმანიაში ოკუპაციის ოთხი  
 ზონა ახლო მომავალში უნდა გაერთიანდეს ეკონომიური ადმინისტრაციის  
 მხრივ, რათა აღდგენილ იქნას გერმანია როგორც მშვიდობიანი ეკონომიურა  
 ერთეული და ამრიგად ოთხ სახელმწიფოს შეუქმნებულდეს ოკუპაციის სიმძი-  
 მე?

**პასუხი:** საჭიროა აღდგენილ იქნას გერმანიის არა მარტო ეკონომიურა,  
 არამედ პოლიტიკური ერთიანობაც.

10. **კითხვა:** მიგაჩნიათ თუ არა თქვენ შესაძლებლად ამჟამად ერთგვარი  
 ცენტრალური ადმინისტრაციის შექმნა თვით გერმანელთა ხელში, მაგრამ  
 მოკავშირეთა კონტროლით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საგარეო  
 საქმეთა მინისტრების საბჭოს შეიმუშაოს გერმანიასთან საზავო ხელშეკ-  
 რულება?

**პასუხი:** დიახ, მიმაჩნია.

11. **კითხვა:** დარწმუნებული ხართ თუ არა თქვენ, იმ არჩევნების მიხედ-  
 ვით, რომლებიც ამ ზაფხულზე და შემოდგომაზე მოხდა სხვადასხვა ზონაში,  
 რომ გერმანია პოლიტიკურად ვითარდება დემოკრატიული გზით, რაც იძლე-  
 ვა მის, როგორც მშვიდობიანი ერის მომავლის იმედს?

**პასუხი:** ჯერჯერობით მე ამაში დარწმუნებული არა ვარ.

12. **კითხვა:** მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ, როგორც ეს წამოყენებული  
 იყო ზოგიერთი წრის მიერ, მრეწველობის დონე, რაც ნებადართულია გერ-  
 მანიისათვის, აყვანილ უნდა იქნას შეთანხმებულ დონეზე მაღლა იმისათვის,  
 რომ გერმანია უფრო უზრუნველყოფილი იყოს?

**პასუხი:** დიახ, მიმაჩნია.

13. **კითხვა:** რა უნდა გაკეთდეს, გარდა ოთხი სახელმწიფოს არსებულ  
 პროგრამისა, იმის თავიდან ასაცილებლად, რომ გერმანია კვლავ გახდეს სამ-  
 ხედრო მუქარა მშვიდობისათვის?

**პასუხი:** საჭიროა საქმით აღმოფხვრილ იქნას გერმანიაში ფაშისმის ნაშ-  
 თები და ბოლომდე დემოკრატიზებულ იქნას იგი.

14. **კითხვა:** უნდა მიეცეს თუ არა გერმანელ ხალხს ნება ადადგინოს თა-  
 ვისი მრეწველობა და ვაჭრობა იმისათვის, რომ მან თვითვე შესძლოს თავისი  
 უზრუნველყოფა?

**პასუხი:** დიახ, უნდა მიეცეს.

15. **კითხვა:** თქვენი აზრით, სრულდება თუ არა პოტსდამის კონფერენციის  
 გადაწყვეტილებანი? თუ არა, მაშინ რა არის საჭირო იმისათვის, რომ პოტს-  
 დამის დეკლარაცია ეფექტიანი ინსტრუმენტი გახდეს?

**პასუხი:** ყოველთვის როდი სრულდება, განსაკუთრებით გერმანიის დემო-  
 კრატიზაციის დარგში.

16. **კითხვა:** მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ვეტოს უფლებას ბოროტად  
 იყენებდნენ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის მოლაპარაკების დროს და  
 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოში შეხვედრების დროს?

**პასუხი:** არა, არ მიმაჩნია.

17. კითხვა: კრემლის აზრით, რამდენად შორს უნდა წავიდნენ მოკავშირე სახელმწიფოები გერმანიაში მეორეხარისხოვან სამხედრო დამსაშინებელ ძალებსა და სამართალში მიცემის საქმეში? ითვლება თუ არა, რომ ინტერესები ბერგის გადაწყვეტილებებმა საკმაოდ მტკიცე საფუძველი შექმნეს ასეთი მოქმედებისათვის?

პასუხი: რამდენადაც შორს წაელენ, მით უკეთესია.

18. კითხვა: მიაჩნია თუ არა რუსეთს პოლონეთის დასაეღეთი საზღვრები მუდმივ საზღვრებად?

პასუხი: დიახ, მიაჩნია.

19. კითხვა: როგორ უყურებს სსრ კავშირი ბრიტანეთის ჯარების ყოფნას საბერძნეთში? მიაჩნია თუ არა მას, რომ ინგლისმა მეტი იარაღი უნდა მიაწოდოს საბერძნეთის ახლანდელ მთავრობას?

პასუხი: როგორც არა საჭიროს.

20. კითხვა: როგორია რუსეთის სამხედრო კონტინგენტების რაოდენობა პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიასა და ავსტრიაში და, თქვენი აზრით, რა ვადაში უნდა დარჩნენ ეს კონტინგენტები მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის?

პასუხი: დასაეღეთში, ე. ი. გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში საბჭოთა კავშირს ამჟამად ჰყავს სულ 60 დივიზია (მსროლელი და ჯავშანსატანკო ერთად). მათი უმრავლესობა — არასრული შემადგენლობით. იუგოსლავიაში საბჭოთა ჯარები არ არიან. ორი თვის შემდეგ, როდესაც განხორციელდება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 22 ოქტომბრის ბრძანებულება უკანასკნელი რიგის დემობილიზაციის შესახებ, აღნიშნულ ქვეყნებში დარჩება 40 საბჭოთა დივიზია.

21. კითხვა: როგორია სსრ კავშირის მთავრობის დამოკიდებულება ხმელთაშუა ზღვაში ამერიკის სამხედრო გემების ყოფნასთან?

პასუხი: გულგრილი.

22. კითხვა: როგორია ამჟამად რუსეთსა და ნორვეგიას შორის სავაჭრო შეთანხმების პერსპექტივები?

პასუხი: ჯერჯერობით ძნელია ამის თქმა.

23. კითხვა: შესაძლებელია თუ არა ფინეთისათვის კვლავ გახდეს თვითუზრუნველყოფილი ერი მას შემდეგ, რაც გადახდილ იქნება რეპარაციები, და არსებობს თუ არა რაიმე აზრი რეპარაციების პროგრამის გადასინჯვის შესახებ ისე, რომ დაჩქარდეს ფინეთის აღორძინება?

პასუხი: კითხვა დასმულია არასწორად. ფინეთი იყო და არის სავსებით თვითუზრუნველყოფილი ერი.

24. კითხვა: რისი მომასწავებელი იქნება სავაჭრო შეთანხმებანი შვეციასა და სხვა ქვეყნებთან სსრ კავშირის რეკონსტრუქციის საქმისათვის? რა გარეშე დახმარება მივაჩნით სასურველად ამ დიაღი ამოცანის შესრულებისათვის?

პასუხი: შვეციასთან შეთანხმება წარმოადგენს ერების სამეურნეო თანამშრომლობის საქმეში შეტანილ წვლილს.

25. კითხვა: კვლავ დაინტერესებულია თუ არა რუსეთი შეერთებული შტატებისაგან სესხის მიღებით?



პასუხი: დაინტერესებულია.

26. კითხვა: აქვს თუ არა უკვე რუსეთს თავისი ატომური ბომბი ან რაიმე მისი მსგავსი იარაღი?

პასუხი: არა.

27. კითხვა: როგორია თქვენი აზრი ატომური ბომბის ან მსგავსი იარაღის, როგორც ომის ინსტრუმენტის შესახებ?

პასუხი: მე უკვე მივეცი ჩემი შეფასება ატომურ ბომბს ბ-ნ ვერტისადმი ცნობილ პასუხში.

28. კითხვა: თქვენი აზრით, როგორ შეიძლება გაეწიოს საუკეთესო კონტროლი ატომის ენერჯიას? უნდა შეიქმნას თუ არა ეს კონტროლი საერთაშორისო საფუძველზე და სახელმწიფოებმა რამდენად უნდა მიიტანონ მსხვერპლად თავიანთი სუვერენიტეტი ეფექტიანი კონტროლის დაწესების მიზნით?

პასუხი: საჭიროა მკაცრი საერთაშორისო კონტროლი.

29. კითხვა: რა დრო დასჭირდება დასავლეთი რუსეთის გაპარტახებული რაიონების აღდგენას?

პასუხი: ექვსი-შვიდი წელი, თუ მეტი არა.

30. კითხვა: ნებას დართავს თუ არა რუსეთი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საეაქრო ავიახაზების ფუნქციონირებას? განზრახვა აქვს თუ არა რუსეთს გააფართოვოს თავისი ავიახაზები სხვა კონტინენტებზე ურთიერთობის საფუძველზე?

პასუხი: გარკვეულ პირობებში ეს გამორიცხული არ არის.

31. კითხვა: როგორ უტკერის თქვენი მთავრობა იაპონიის ოკუპაცია? წარმატებითად მიგაჩნიათ თუ არა თქვენ იგი არსებულ საფუძველზე?

პასუხი: წარმატება არის, მაგრამ შეიძლებოდა უკეთეს წარმატებათა მიღწევა.



## აბს. ქლანოვის მოხსენება ჟურნალის „ზაფხული“ და „ლენინგრაღის“ შესახებ \*



ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან ნათელია, რომ ჟურნალ „ზეზუდის“ ყველაზე უხეშ შეცდომას წარმოადგენს მისი ფუნქციების დათმობა ზოშჩენკოსა და ახმატოვას ლიტერატურული „შემოქმედებისათვის“. მე ვფიქრობ, საჭირო არ არის აქ მოვიყვანო ციტატები ზოშჩენკოს „ნაწარმოებიდან“ „მაიმუნის თავგადასავალი“. თქვენ ალბათ ის ყველას წაკითხული გაქვთ და უკეთ იცით, ვიდრე მე. ზოშჩენკოს ამ „ნაწარმოების“ აზრი ის არის, რომ იგი გამოხატავს საბჭოთა ადამიანებს უსაქმურებად და მახინჯებად, სულელ და პრიმიტიულ ადამიანებად. ზოშჩენკოს სრულიად არ აინტერესებს საბჭოთა ადამიანების შრომა, მათი ღონისძიებები და გმირობა, მათი მაღალი საზოგადოებრივი და მორალური თვისებები. ეს თემა მას არასოდეს არ ჰქონია. ზოშჩენკომ, როგორც მეშხანინმა და უხამსმა, თავის მუდმივ თემად აირჩია ყოფაცხოვრების ყველაზე მდაბალ და წერილმან მხარეებში ჩიჩქნა. ყოფაცხოვრების წერილმანებში ეს ჩიჩქნა შემთხვევითი როდია. იგი დამახასიათებელია ყველა მეშხანური მწერლისათვის, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ზოშჩენკოც. ამის შესახებ თავის დროზე ბევრს ლაპარაკობდა გორკი. თქვენ გახსოვთ, როგორ ჰკიცხავდა გორკი საბჭოთა მწერლების 1934 წლის ყრილობაზე, უკაცრავად პასუხია, „ლიტერატორებს“, რომლებიც სამწარეულოს ჰვარტლსა და აბანოს იქით ვერაფერს ხედავენ.

„მაიმუნის თავგადასავალი“ ზოშჩენკოსათვის არ არის რალაც არანეულებრივი. მისთვის ჩვეულებრივი წერის ფარგლებს გაცილებული რამ. ეს „ნაწარმოები“ კრიტიკას თვალში ეცა როგორც ყოველივე იმ უარყოფითის ყველაზე აშკარა გამოხატულება, რაც კი ზოშჩენკოს ლიტერატურულ „შემოქმედებაში“ მოიპოვება. ცნობილია, რომ ევაკუაციიდან ლენინგრადში დაბრუნების შემდეგ ზოშჩენკომ დასწერა მთელი რიგი ნაწარმოებნი, რომლებიც იმითაა დამახასიათებელი, რომ მას უნარი არა აქვს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში გამოჩახოს თუნდაც ერთი დადებითი მოვლენა, თუნდაც ერთი დადებითი ტიპი. ისევე როგორც „მაიმუნის თავგადასავალში“, ზოშჩენკო მიეჩნევა საბჭოთა ყოფაცხოვრების, საბჭოთა წესების, საბჭოთა ადამიანების მასხარად აგდებას და მთელ ამ მასხრობას ჰფარავს უშინაარსო გასართობი ამბებისა და უბადრუკი ჰუმორის ნიღბით.

\* ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე და მწერალთა კრებაზე აბს. ქლანოვი მიერ გაკეთებულ მოხსენებათა შემცირებული და განზოგადებული სტენოგრაფია.

თქვენ რომ დაკვირვებით წაიკითხოთ და ჩაუფიქრდეთ მოთხრობას „მიმუნის თავგადასავალი“, დანახავთ, რომ ზოშჩენკო მაიმუნის დაქუთუხნებს ჩვენი საზოგადოებრივი წესრიგის უმაღლესი მოსამართლის როლს და აიძულებს წაუკითხოს საბჭოთა ადამიანებს მორალის მსგავსი რამ. მაიმუნი წარმოდგენილია როგორც ერთგვარი გონიერი საწყისი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება შეფასოს ადამიანების საქციელი. საბჭოთა ადამიანების მოქმედების განზრახ მახინჯი, კარიკატურული და უმსგავსო დახატვა ზოშჩენკოს დასჭირდა იმისთვის, რომ მაიმუნის პირით ეთქვა საზიზღარი, მოწამლული ანტი-საბჭოთა სენტენცია იმის შესახებ, რომ უკეთესია ზოპარკში ცხოვრება, ვიდრე თავისუფლად, და რომ გალიაში უფრო ადვილად სუნთქავ, ვიდრე საბჭოთა ადამიანებს შორის.

განა შეიძლება მორალური და პოლიტიკური დაცემის უფრო დაბალ საფეხურზე დასვლა, და როგორ შეუძლიათ ლენინგრადელებს მოითმინონ თავიანთი ქურნალების ფურცლებზე ასეთი საძაგლობა და სიბილწე?

თუ ასეთი ჯურის „ნაწარმოებს“ სთავაზობს საბჭოთა მკითხველებს ქურნალი „ზევზდა“, რა სუსტი უნდა იყოს იმ ლენინგრადელთა სიფხიზლე, რომლებიც ქურნალ „ზევზდას“ ხელმძღვანელობენ, რომ იქ შესაძლებელია მოთავსდეს საბჭოთა წყობილებისადმი ზოოლოგიურად მტრობის შხამით მოწამლული ნაწარმოებნი. მხოლოდ ლიტერატურის ნაძირალებს შეუძლიათ შექმნიან ასეთი „ნაწარმოებნი“ და მხოლოდ ბრმა და ამოლიტიკურ ადამიანებს შეუძლიათ მსვლელობა მისცენ მათ.

ამბობენ, ზოშჩენკოს მოთხრობამ ლენინგრადის ესტრადები მოიარაო. რამდენად უნდა დასუსტებულიყო იდეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობა ლენინგრადში, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონოდათ! ზოშჩენკომ მისი საზიზღარი მორალიანად მოახერხა შეპარულიყო ლენინგრადის დიდი ქურნალის ფურცლებზე და იქ საუცხოოდ მოწყობილიყო. ქურნალი „ზევზდა“ კი ხომ ისეთი ორგანოა, რომელმაც ჩვენი ახალგაზრდობა უნდა აღზარდოს, მაგრამ შეუძლია გაართვას თავი თუ არა ამ ამოცანას ქურნალმა, რომელმაც შეიფარა ისეთი უხამსი და არასაბჭოთა მწერალი, როგორც ზოშჩენკოა?! განა „ზევზდის“ რედაქციისათვის უცნობია ზოშჩენკოს ფიზიონომია?!

გერ ხომ სულ ცოტა ხნის წინათ, 1944 წლის დასაწყისში ქურნალ „ბოლშევიკში“ მკაცრად გაკრიტიკებულ იქნა ზოშჩენკოს აღმასწავლებელი მოთხრობა „მზის ამოსვლის წინ“, რომელიც დაწერილია იმ დროს, როცა გაჩაღებული იყო გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელი ომი. ამ მოთხრობაში ზოშჩენკო ცხადყოფს თავის უხამს და მდაბალ სულს და ამას სჩადის სიამოვნებით, სურს დაანახოს ყველას: — შემომხედეთ რა ხვლიგანი ვარო.

ძნელია ჩვენს ლიტერატურაში მოიძებნოს რაიმე უფრო საზიზღარი, ვიდრე ის „მორალია“, რასაც ზოშჩენკო ჰქადაგებს მოთხრობაში „მზის ამოსვლის წინ“, ადამიანებსა და თავის თავს მხატავს, როგორც საზიზღარ ვნებიან მხეცებს, რომელთაც არც სირცხვილი გააჩნიათ და არც სინიღისი, ამ მორალს იგი სთავაზობდა. საბჭოთა მკითხველებს იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი ხალხი სისხლით იღებებოდა უმაგალითო ომში, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოს სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, როდესაც საბჭოთა ხალხი აურაცხელ მსხვერპლს სწირავდა გერმანელებზე გამარჯვებისათვის. ბოლო ზომ-

ჩენკო, რომელიც ჩასანგრდა ალმა-ატაში, ღრმა ზურგში, არაფრით არ დაეხმარა იმ დროს საბჭოთა ხალხს მის ბრძოლაში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ზოშიჩენკო სრულიად სამართლიანად საჯაროდ გაამართლანეს „ბოლშევიკში“, როგორც საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო პასკვილანტი და უხამსი. მაშინ მან მიაფურთხა საზოგადოებრივ აზრს. და აი, ჯერ კიდევ არ გაუვლია ორ წელს, ჯერ კიდევ არ შემშრალა მელანი, რომლითაც დაწერილი იყო რეცენზია „ბოლშევიკში“, რომ იგივე ზოშიჩენკო ტრიუმფალურად შემოდის ლენინგრადში და იწყებს თავისუფალ სეირნობას ლენინგრადის ქუჩა-სუბურბანების ფურცლებზე. მას ხალხით ბეჭდავს არა მარტო „ზვიუდა“, არამედ ქურნალი „ლენინგრადიც“. მას ხალხით და მზადყოფნით უთმობენ თეატრის აუდიტორიებს. უფრო მეტიც, მას შესაძლებლობას აძლევენ ხელმძღვანელი მდგომარეობა დაიკავოს საბჭოთა მწერლების ლენინგრადის განყოფილებაში და აქტიური როლი შეასრულოს ლენინგრადის ლიტერატურულ საქმეებში. რა საფუძველზე აძლევთ თქვენ ზოშიჩენკოს უფლებას ისეირნოს ლენინგრადის ლიტერატურის ბალებსა და პარკებში? რატომ დაუშვეს ლენინგრადის პარტიულმა აქტივმა, ლენინგრადის მწერალთა ორგანიზაციამ ასეთი სამარცხვინო ფაქტები?!

ზოშიჩენკოს მთლად დამპალი და გახრწნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ფიზიონომია სულ უკანასკნელ დროს როდი გამოჩედავებულა. მისი თანამედროვე „ნაწარმოებნი“ სრულიადც არ არის შემთხვევითობა. ისინი წარმოადგენენ ზოშიჩენკოს მთელი იმ ლიტერატურული „მემკვიდრეობის“ მხოლოდ განგრძობას, რომელსაც დასაბამი 20-იანი წლებიდან აქვს.

ვინ იყო ზოშიჩენკო წარსულში? ის იყო ეგრეთწოდებული „სერაპიონელი ძმების“ ლიტერატურული ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი. როგორი იყო ზოშიჩენკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფიზიონომია „სერაპიონელი ძმების“ ორგანიზაციის პერიოდში? ნება მიბოძეთ, მიემართო ქურნალ „ლიტერატურნიე ზაბსკის“ 1922 წლის № 3-ს, სადაც ამ ჯგუფის დამფუძნებლები თავის კრედოს აყალიბებდნენ. სხვა აღმოჩენათა შორის იქ მოთავსებულია ზოშიჩენკოს „მრწამსი“. სტატიაში, რომელსაც ეწოდება „ჩემს თავზე და კიდევ სხვა რამეზე“ ზოშიჩენკო არავის და არაფერს არ ერიდება, საჯაროდ შიშვლდება და სრულიად აშკარად გამოსთქვამს თავის პოლიტიკურ, ლიტერატურულ „შეხედულებებს“. მოისმინეთ, თუ რას ამბობს იგი იქ:

— „საერთოდ მწერლობა ძალიან ძნელია. ვთქვათ, იგივე იდეოლოგია... ამჟამად მწერლისაგან მოითხოვენ იდეოლოგიას... ასეთს, სიმართლედ უნდა ვთქვა, ჩემთვის უსიამოვნო რამეს“...

„მითხარით, რა „ზუსტი იდეოლოგია“ შეიძლება მექნეს მე, თუ კი არც ერთი პარტია მთლიანად მე არ მიზიდავს?“.

„პარტიული ადამიანების თვალსაზრისით მე უპრინციპო კაცი ვარ. დღე ასე იყოს. თვით მე კი ჩემს თავზე ვიტყვი: მე არა ვარ კომუნისტი, ესერი, მონარქისტი, არამედ უბრალოდ რუსი და ამასთან პოლიტიკურად უზნეო“...

„პატიოსან სიტყვას ვიძლევი, — დღემდე არ ვიცი, თუნდ, ვთქვათ, გუჩკოვი... რომელ პარტიაშია გუჩკოვი? ეშმაკმა იცის, რომელ პარტიაშია იგი. ვიცი: იგი არ არის ბოლშევიკი, მაგრამ ესერია თუ კადეტი — არ ვიცი და ამისი ცოდნაც არა მსურს“ და სხვ. და სხვ.



რას იტყვი, ამხანაგებო, ასეთ „იდეოლოგიაზე“? 25 წელი გავიდა მის შემდეგ, რაც ზოშიენკომ ეს თავისი „აღსარება“ მოათავსა. გამოსცემს თუ არა მის შემდეგ თუ არა? არ ეტყობა. ორნახევარი ათეული წლის შემდეგ მან არა თუ არაფერი ისწავლა, და არა თუ სრულიად არ გამოცვლილა, არამედ, პირიქით, ცინიური გულახდილობით კვლავ რჩება უიდეობისა და უბამსობის მქადაგებლად, უპრინციპო და უსინიდისო ლიტერატურულ ხელოვნად. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოშიენკოს, როგორც მაშინ, ისე ახლა არ მოსწონს საბჭოთა წესრიგი. როგორც მაშინ, ისე ახლაც იგი უცხო და მტრულია საბჭოთა ლიტერატურისათვის. თუ ყოველივე ამასთან ერთად ზოშიენკო ლენინგრადში გახდა თითქმის ლიტერატურის კორიფეი, თუ მას ქებით იხსენიებენ ლენინგრადის პარნასზე, ის-ღა დაგვრჩენია, რომ განციფრება გამოვთქვათ, თუ რაოდენ უპრინციპობამდე, არა მომთხოვნელობამდე და გაურჩევლობამდე შეეძლოთ მისულიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც გზას უკაფავენ ზოშიენკოს და ქება-დიდებას ასხამენ მას!

ნება მიბოძეთ, მოვიყვანო ეგრეთწოდებული „სერაპიონელი ძმების“ ფიზიონომიის კიდევ ერთი ილუსტრაცია. იმავე 1922 წლის № 3 „ლიტერატურნიე ზაპისკიში“ მეორე სერაპიონელი. ლევ ლენცა აგრეთვე ცდილობს იდეური დასაბუთება მისცეს საბჭოთა ლიტერატურისათვის იმ მაგნე და უცხდ მიმართულებას, რომელსაც წარმოადგენდა „სერაპიონელი ძმების“ ჯგუფი. ლენცი სწერს:

„ჩვენ შევიკრიბეთ რევოლუციურ დღეებში, მძლავრი პოლიტიკური დაძაბულობის დღეებში. „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია!“ — გვეუბნებოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ, — ვისთანა ზართ, სერაპიონელო ძმებო, კომუნისტებთან, თუ კომუნისტების წინააღმდეგ, რევოლუციის მხარეზე, თუ რევოლუციის წინააღმდეგ?“

„ვისთანა ვართ ჩვენ, სერაპიონელო ძმებო? ჩვენ მეუდაბნოე სერაპიონთან ვართ“...

„მეტად დიდხანს და მტანჯველად მართადა რუსულ ლიტერატურას საზოგადოებრივობა... ჩვენ არა გვსურს უტილიტარიზმი. ჩვენ ვწერთ არა პროპაგანდისათვის. ხელოვნება რეალურია, როგორც თვით ცხოვრება და, როგორც თვით ცხოვრება, იგი უმიზნო და უაზროა, არსებობს იმიტომ, რომ არ შეუძლია არ იარსებოს“.

ასეთია ის როლი, რომელსაც „სერაპიონელი ძმები“ აკუთვნებენ ხელოვნებას, ართმევენ მას იდეურობას, საზოგადოებრივ მნიშვნელობას და ჰქადაგებენ ხელოვნების უიდეობას, ხელოვნებას ხელოვნებისათვის, უმიზნო და უაზრო ხელოვნებას. ეს არის სწორედ დამპალი აპოლიტიციზმის, მეშინაობისა და უბამსობის ქადაგება.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? თუ ზოშიენკოს არ მოსწონს საბჭოთა წესრიგი, როგორ გვიბრძანებთ: შევეგუოთ ზოშიენკოს? ჩვენ ხომ ვერ გამოვიცვლით გემოვნებას. ჩვენ ხომ ვერ გარდაექმნით ჩვენს ყოფაცხოვრებას და ჩვენს წყობილებას ზოშიენკოსებურად. დაე ის გარდაექმნას, ხოლო თუ გარდაექმნა არა სურს — გაეთრიოს საბჭოთა ლიტერატურიდან. საბჭოთა ლიტერატურაში არ შეიძლება ადგილი ექმნეს დამპალ, უშინაარსო, უიდეო და უბამს ნაწარმოებთ. (მქუხარე ტაში).

აი რას ემყარებოდა ცენტრალური კომიტეტი, როდესაც იღებდა გადაწყვეტილებას ჟურნალების „ზვიზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

გადავდივარ ანა ახმატოვას ლიტერატურული „შემოქმედების“ საკითხზე. მისი ნაწარმოებნი უკანასკნელ დროს იბეჭდება ლენინგრადის „სურსათების“ „გაფართოებული რეპროდუქციის“ წესით. ეს ისევე გასაკვირვებელია, როგორც ბუნებრივია, ვინმემ რომ ამჟამად დაიწყოს მერეტკოვსკის, ვიახესლავ ივანოვის, მიხეილ კუზმინის, ანდრეი ბელის, ზინაიდა გიპიუსის, თედორ სოლოგუბის, ზინოვიევა-ანიბალის და სხვ. და სხვ., ესე იგი ყველა იმათი ნაწარმოებების ხელახლა გამოცემა, ვისაც ჩვენი მოწინავე საზოგადოებრიობა და ლიტერატურა მუდამ სთვლიდა რეაქციული ბნელეთის მოციქულობისა და რენეგატობის წარმომადგენლებად პოლიტიკასა და ხელოვნებაში.

გორკი თავის დროზე ამბობდა, რომ ათი წელი 1907-1917 წლებამდე ღირსია იმისა, რომ უაღრესად სამარცხვინო და უაღრესად უნიჭო ათწლეულის სახელი ეწოდოს რუსეთის ინტელიგენციის ისტორიაში, როდესაც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზურგი უბრუნა რევოლუციას, დაექანა რეაქციული მისტიკისა და პორნოგრაფიის ჭაობში, თავის დროშად უიდეოება გამოაცხადა და თავისი რენეგატობა დაფარა „ლამაზი“ ფრაზით: „მე დაეწვი ყოველივე, რასაც თაყვანს ვცემდი, თაყვანი ვეცი მას, რასაც ეწვევადი“. სწორედ ამ ათეულ წელს გამოიღწინნენ ისეთი რენეგატული ნაწარმოებნი, როგორიცაა რომშინის „ფერმკრთალი ცხენი“, ზინიჩენოს ნაწარმოებნი და რევოლუციის ბანაკიდან რეაქციის ბანაკში გადასული სხვა დეზერტირებისა, რომლებიც ისწრაფვოდნენ გვირგვინი მოეხდათ იმ მაღალი იდეალებისათვის, რისთვისაც იბრძოდა რუსეთის საზოგადოების საუკეთესო, მოწინავე ნაწილი. დღის სინათლეზე გამოვიდნენ ყველა ჯურის სიმბოლისტები, იმაჟინისტები, დეკადენტები, რომლებიც უარყოფდნენ ხალხს, რომლებიც ჰქადაგებდნენ თეზისს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, უიდეობას ლიტერატურაში, რომლებიც თავიანთ იდეურ და მორალურ განრწმნილებას ჰფარავდნენ უშინაარსო ლამაზი ფორმისადმი გამოდევნებით. ყველა მათ აერთიანებდა პირუტყველი შიში მომავალი პარლეტარული რევოლუციის წინაშე. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ამ რეაქციულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ერთ-ერთი უდიდესი „იდეოლოგი“ იყო მერეტკოვსკი, რომელიც მომავალ პარლეტარულ რევოლუციას უწოდებდა „მომავალ ხამს“ და რომელიც ოქტომბრის რევოლუციას ზოთოლოგიური გაბოროტებით შეზღდა.

ანა ახმატოვა არის ამ უიდეო რეაქციული ლიტერატურული ჭაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი. იგი ეკუთვნის ეგრეთწოდებული აკმეისტების ლიტერატურულ ჯგუფს, რომლებიც თავის დროზე გამოვიდნენ სიმბოლისტების რიგებიდან და არის უშინაარსო, უიდეო, არისოტკრატიულ-სალონური, საბჭოთა ლიტერატურისათვის აბსოლუტურად უცხო პოეზიის ერთ-ერთა მდროშე. აკმეისტები წარმომადგენდნენ უაღრესად ინდივიდუალისტურ მიმართულებას ხელოვნებაში. ისინი ჰქადაგებდნენ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. „სილამაზეს თვით სილამაზისათვის“, არაფრის ცოდნა არ სურდათ ხალხის შესახებ, მისი საჭიროებისა და ინტერესების, საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

თავისი სოციალური სათავეებით ეს იყო ლიტერატურის თავადანაურულ-ბურჟუაზიული მიმდინარეობა იმ პერიოდში, როცა არისტოკრატისა და ბურჟუაზიის დღეები დათვლილი იყო და როცა გაბატონებული კლასების პოეტები და იდეოლოგები ცდილობდნენ გააქციოდნენ არასასაზოგადოებო

სინამდვილეს რელიგიური მისტიკის ღრუბელსმიღმა მწვერვალებსა და ბერუსში, წერილმან პირად განცდებში და თავისი პაწაწკინტელა კულტურაში. აკმეისტები, ისევე როგორც სიმბოლისტები, დეკადენტებმა და მკაცრმა წინს პროცესში მყოფი თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა წარმომადგენლები, ქადაგებდნენ დაცემულობას, პესიმიზმს და იმპეყნიური სამყაროსადმი რწმენას.

ახმატოვას თემატიკა თავიდან ბოლომდე ინდივიდუალიზტურია. უბადრუკი და შეზღუდულია დიაბაზონი მისი პოეზიისა — გაკოფებული ქალბატონის პოეზიისა, რომელიც აქეთ-იქით აწყდება ბუღუარსა და სამლოცველოს შორის. მის პოეზიაში ძირითადია სიყვარულისა და ეროტიკის მოტივები, რომლებიც გადახლართულია სევდის, კაემნის, სიკვდილის, მისტიკის, განწირულობის მოტივებთან. განწირულობის გრძნობა, — გრძნობა, რომელიც გასაგებია გადაშენების გზაზე მდგომი ჯგუფის საზოგადოებრივი შეგნებისათვის, — სიკვდილისწინა უიმედობის უნუგეშო კილო, ერთმანეთში არეული მისტიკური განცდები და ეროტიკა — ასეთია სულიერი სამყარო ახმატოვასი. წარსულისათვის სამუდამოდ ჩაბარებული ძველი თავადაზნაურული კულტურის, „ეკატერინეს ხანის კარგი, ძველი დროების“ ერთ-ერთი ნამსხვრევისა. მონაზონი თუ მეძავი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეძავიც და მონაზონიც, რომელიც მეძავობას ლოცვასთან აერთებს.

„Но клянусь тебе ангельским садом.  
Чудотворной иконой клянусь,  
И ночью наших пламенных чадом...“  
(ახმატოვა — „Анно Домини“).

ასეთია ახმატოვა თავისი პაწაწკინტელა, შეზღუდული პირადი ცხოვრებით. ნამცეცა ვახცდებითა და რელიგიურ-მისტიკური ეროტიკით.

ახმატოვას პოეზია საესებით შორისა ხალხისაგან. ეს არის პოეზია ძველი თავადაზნაურული რუსეთის ათიათასი ზედაფენელისა, რომლებიც განწირული იყვნენ და რომლებსაც არაფერი აღარ დარჩენოდათ, გარდა „ძველი კარგი დროების“ ნატერისა. მემამულეთა ეკატერინეს დროინდელი კარმიდამოები საუკუნოვანი ცაცხვის ზეივნებით, შადრევნებით, ქანდაკებებითა და ქვის კამარებით, ორანჟერიებით, შეყვარებულთა ტალავრებით და კარიბჭეზე დახაცებული გერბებით.

თავადაზნაურული პეტერბურგი; ცარსკოე სელო; ვოგზალი პავლოვსკში და თავადაზნაურული კულტურის სხვა რელიკვიები. ყოველივე ეს სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ხალხისათვის უცხო ამ შორეული კულტურის ნამსხვრევებს, რომლებსაც რაღაც სასწაულით ჩვენს დროებამდე მოუღწევიათ, არაფერი აღარ დარჩენიათ გარდა იმისა, რომ თავიანთ ნაქუქში ჩაიკეტონ და ქიშკრებით იცხოვრონ. „ყველაფერი დატაცებულია, გაცემულია, გაყიდულია“, — ასე სწერს ახმატოვა.

აკმეისტების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული იდეალების შესახებ ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ოსიპ ძანდელშტამი, რევოლუციამდე ცოტა უფრო ადრე სწერდა: „ორგანიზმისა და ორგანიზაციისადმი სიყვარულს აკმეისტები იზიარებენ იდეოლოგიურად გენიალურ შუასაუკუნეობრიობასთან“... „შუასაუკუნეობრიობა, რომელიც თავისებურად განსაზღვრავდა ადამიანის ზეედრითს წონას, გრძნობდა და

აღიარებდა მას ყოველ ადამიანში, მისი დამსახურებისაგან სრულიად დამოუკიდებლად“... „დიან, ევროპამ გამოიარა აქურული დახვეწილი კულტურის ლაბირინტი, როცა აბსტრაქტული ყოფა, სრულიად შეუფერადი პირადი არსებობა ფასდებოდა როგორც საგმირო საქმე. აქედან არისტოკრატიული ინტიმურობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ყველა ადამიანს და რომელიც თავისი სულისკვეთებით ესოდენ უცხოა დიდი რევოლუციის „თანასწორობისა და ძმობისათვის“... „შუასაუკუნეობრიობა ძვირფასია ჩვენთვის იმიტომ, რომ მას უაღრესად ახასიათებდა ზღვარისა და ტიხრების გრძნობა“... „გონიერულობისა და მისტიკის კეთილშობილური ნარევი და სამყაროს, როგორც ცოცხალი წონასწორობის, შეგრძნობა გენათესავეებს ჩვენ ამ ეპოქასთან და სტიმულს გვაძლევს ძალები მოვიყრიბოთ იმ ნაწარმოებებში, რომლებიც რომანულ ნიადაგზე წარმოიშვნენ დაახლოებით 1200 წელს“.

მანდელშტამის ამ აზრებში გამოთქმულია აკმეისტების მისწრაფებანი და იდეალები. „უკან შუასაუკუნეობრიობისაკენ“ — ასეთია ამ არისტოკრატიულ-სალონური ჯგუფის საზოგადოებრივი იდეალი. უკან მაიმუნისაკენ — ეხმარება მას ზომიერება. აქვე უნდა ითქვას, აკმეისტებიცა და „სერაპიონელი ძმებიც“ საერთო წინაპრებისაგან მომდინარეობენ. როგორც აკმეისტებიც, ისე „სერაპიონელი ძმების“ საერთო მამამთავარი იყო პოტმანი, არისტოკრატიულ-სალონური დეკადენტობისა და მისტიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

რატომ დასჭირდათ უცერად ახმატოვას პოეზიის პოპულარიზაცია? რა დამოკიდებულება აქვს მას ჩვენთან, საბჭოთა ადამიანებთან? რატომ უნდა დაეუთმოთ ლიტერატურული ტრიბუნა მთელ ამ დაცემულობის გამომხატველ და ჩვენთვის უაღრესად უცხო ლიტერატურულ მიმართულებებს?

რუსული ლიტერატურის ისტორიიდან ვიცით, რომ რეაქციული ლიტერატურული მიმდინარეობანი, რომლებსაც ეკუთვნოდნენ სიმბოლისტებიცა და აკმეისტებიც, არა ერთხელ და ორჯერ ცდილობდნენ გამოეცხადებინათ ლაშქრობა რუსული ლიტერატურის დიადი რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების წინააღმდეგ. მის მოწინავე წარმომადგენელთა წინააღმდეგ; ცდილობდნენ დაეკარგათ ლიტერატურისათვის მისი მაღალი, იდეური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ჩაეფლოთ იგი უიდეობისა და უხამსობის ქაობში. მთელი ეს „მოღურა“ მიმდინარეობანი ლეტაში ჩაიძირნენ და წარსულს ჩაბარდნენ იმ კლასებთან ერთად, რომელთა იდეოლოგიასაც ისინი ასახავდნენ. მთელი ეს სიმბოლისტები, აკმეისტები, „ყვეთული ბლუზები“, „აგურის ვალებები“ „ნიჩოვოკები“, — რა დარჩა მათგან ჩვენს მშობლიურ რუსულ, საბჭოთა ლიტერატურაში? სრულიად არაფერი; თუმცა მათი ლაშქრობანი რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლების — ბელინსკის, დობროლიტოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, სალტიკოვ-შჩედრინის წინააღმდეგ მოფიქრებული იყო ხოლმე დიდი ხმაურითა და პრეტენციოზულობით და ასეთივე ეფექტით იფუშებოდა.

აკმეისტებმა გამოაცხადეს: „არაერთადი შესწორება არ შეეძინათ ყოფაში და ამ უკანასკნელის კრიტიკას არ გამოუვლდეთ“. რატომ იყენენ ისინი ყოფაში რაიმე შესწორების შეტანის წინააღმდეგნი? იმიტომ, რომ



მათ მოსწონდათ ეს ძველი თავადაზნაურული, ბურჟუაზიული ყოფა რევოლუციური ხალხი კი მათი ამ ყოფის აფორიაქებას აპირებდა. 1917 წლის ოქტომბერში ისტორიის სანაგვეე ყუთში გადაყრილ იქნენ როგორც მხარეთ-ველი კლასები, ისე მათი იდეოლოგები და მენოტბენი.

და სოციალისტური რევოლუციის 29-ე წელს უეცრად კვლავ ასპარეზზე ჩნდება ზოგიერთი სამუშეუმო იშვიათობა აჩრდილთა სამყაროდან და ასწავლის ჩვენს ახალგაზრდობას, თუ როგორ უნდა ცხოვრება. ახმატოვას ფართოდ უღებენ ლენინგრადის ჟურნალის კარს და მას თავისუფლად ეძლევა საშუალება მოსწამლოს ჩვენი ახალგაზრდობის შეგნება თავისი პოეზიის გამზრწნელი სულით.

ჟურნალ „ლენინგრადში“, ერთ-ერთ ნომერში, გამოქვეყნებულია ახმატოვას იმ ნაწარმოებთა რაღაც ნაკრები, რაც მას 1909-დან 1944 წლამდე დაუწერია. იქ, სხვა ნაგავთან ერთად, არის ერთი ლექსი, რომელიც დაწერილია ევაკუაციაში დიდი სამამულო ომის დროს. ამ ლექსში იგი სწერს თავის მარტობაზე, რასაც შავ კატასთან ერთად ატარებს. უცქერის მას შავი კატა, როგორც საუკუნის თვალი. თემა ახალი როდია. შავ კატაზე ახმატოვა 1909 წელსაც სწერდა. მარტობისა და უიმედობის განწყობილებანი, რომლებიც უცხოა საბჭოთა ლიტერატურისათვის, ბორკავენ ახმატოვას „შემოქმედების“ მთელ ისტორიულ გზას.

რა არის საერთო ამ პოეზიასა და ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს შორის? სრულიად არაფერი. ახმატოვას შემოქმედება შორეული წარსულის ამბავია; იგი უცხოა თანამედროვე საბჭოთა სინამდვილისათვის და მისი შეწყნარება არ შეიძლება ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე. ჩვენი ლიტერატურა კერძო საწარმო როდია, იმისათვის ნავარაუდევია, რომ ლიტერატურული ბაზრის სხვადასხვა გემოვნებას ემსახუროს. ჩვენ სრულებითაც არა ვართ ვალდებულნი ადგილი დავუთმოთ ჩვენს ლიტერატურაში იმ გემოვნებასა და ზნეჩვეულებას, რომელსაც საბჭოთა ადამიანების მორალთან და თვისებებთან საერთო არა აქვს რა. რა უნდა მისცენ ყურადსაღები ახმატოვას ნაწარმოებებმა ჩვენს ახალგაზრდობას? არაფერი, გარდა ზიანისა. ამ ნაწარმოებებს შეუძლიათ დასთესონ მხოლოდ გულგატეხილობა, სულით დაცემა, პესიმიზმი, იმის მისწრაფება, რომ გაექცე საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითს საკითხებს, ჩამოშორდე საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფართო გზას, ჩაიკეტო პირად განცდათა ვიწრო უბადრუკ სამყაროში. როგორ შეიძლება ჩაებაბროთ მას ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმე?!

ამავე დროს კი ახმატოვას ნაწარმოებებს დიდი ხალისით ბეჭდავდნენ ხან „ზეზღაში“, ხან „ლენინგრადში“ და თან ცალკე კრებულებადაც სცემდნენ. ეს უხეში პოლიტიკური შეცდომაა.

ყოველივე ამის გამო შეშთხვევითი როდია, რომ ლენინგრადის ჟურნალებში გამოჩნდა ნაწარმოებები სხვა მწერლებისა, რომლებიც უიდეობისა და დაცემულობის პოზიციებისაყენ დაეშენენ. მხედველობაში მაქვს ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა სადოფიევის და კომისაროვას ნაწარმოებები. ზოგიერთ თავის ლექსში სადოფიევი და კომისაროვა ბანს აძლევენ ახმატოვას, შეუდგნენ გულგატეხილობის, სევდისა და მარტობის დანერგვას, რაც ესოდენ საყვარელია ახმატოვასათვის.



რა თქმა უნდა, ასეთ განწყობილებებს, თუ ასეთ განწყობილებათა ქაღალგებას შეუძლია მხოლოდ უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენს ახალგაზრდობაზე, შეუძლია უიდეობის, აპოლიტიკურობის, გულგატეხილობის და მძაღლი სულისკვეთებით მოსწამლოს მისი შეგნება.

ხოლო რა მოხდებოდა, ჩვენი ახალგაზრდობა გულგატეხილობის, ჩვენი საქმისაღმძირქმენის უქონლობის სულისკვეთებით რომ აღგვეზარდა? ის მოხდებოდა, რომ ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით დიდ სამამულო ომში. სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფომ და ჩვენმა პარტიამ საბჭოთა ლიტერატურის დახმარებით აღზარდეს ჩვენი ახალგაზრდობა სიმხნევის, თავისი ძალებისაღმძირქმენის სულისკვეთებით, სწორედ ამიტომ გადავლახეთ ჩვენ უდიდესი სიძნელენი სოციალიზმის მშენებლობაში და მივაღწიეთ გამარჯვებას გერმანელებსა და იაპონელებზე.

რა გამოდის ყოველივე აქედან? აქედან ის გამოდის, რომ ჟურნალი „ზვეზდა“, რომელიც თავის ფურცლებზე კარგ, იდეურ, მხნე ნაწარმოებებთან ერთად უიდეო, უხამს, რეაქციულ ნაწარმოებებს ათავსებდა, გახდა უმიმართულებო ჟურნალი, გახდა ის ჟურნალი, რომელიც მტერს ეხმარებოდა ჩვენი ახალგაზრდობის გახრწნაში. ჩვენი ჟურნალები კი ყოველთვის ძლიერნი იყვნენ თავისი მხნე, რევოლუციური მიმართულებით და არა ეკლექტიკით, არა უიდეობითა და აპოლიტიციზმით. უიდეობის პრობაგანდამ თანასწორუფლებიანობა მოიპოვა „ზვეზდაში“. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, ზოშიენკომ იმიტომ მოიპოვა ასეთი ძალა ლენინგრადის მწერალთა ორგანიზაციაში, რომ კიდევაც ტუქსავდა იმას, ვინც მას არ ეთანხმებოდა, ემუქრებოდა კრიტიკოსებს, რომ ერთ-ერთ მორიგ ნაწარმოებში გამოიყვანდა მათ. იგი ლიტერატურული დიქტატორის მსგავსი რაღაც გახდა. მის გარშემო თავმოყრილი იყო თავყვანისმცემელთა ჯგუფი, რომელიც სახელს უქმნიდა მას.

იბადება კითხვა, რა საფუძველზე? რატომ დაუშვით თქვენ ეს ბუნების საწინააღმდეგო და რეაქციული საქმე?

შემთხვევითი როდია, რომ ლენინგრადის ლიტერატურულ ჟურნალებში თავი იჩინა დასავლეთის თანამედროვე მღარე ხარისხის ბურჟუაზიული ლიტერატურით გატაცებამ. ზოგიერთმა ჩვენმა ლიტერატორმა თავი მიიჩნია ბურჟუაზიულ-მეშინაურ ლიტერატორთა არა მასწავლებლად, არამედ მათ მოწაფედ და გამოიჩინა უცხოეთის მეშინაური ლიტერატურის წინაშე მლიჭუნელობისა და ქედის მოხრის მიღრეკილება. განა შეგვეფერის ჩვენ საბჭოთა პატრიოტებს, ასეთი მლიჭუნელობა, ჩვენ, ვინც ავაგეთ საბჭოთა წყობილება, რომელიც ყოველგვარ ბურჟუაზიულ წყობილებაზე ასჯერ უფრო მაღალი და უკეთესია. განა შეგვეფერის ჩვენს მოწინავე საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური ლიტერატურაა, ქედის მოხრა დასავლეთის შეზღუდული მეშინაურ-ბურჟუაზიული ლიტერატურის წინაშე?

ჩვენი მწერლების მუშაობის დიდ ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე თანამედროვე საბჭოთა თემატიკისაგან დაშორება. ერთის მხრივ ცალმხრივი გატაცება ისტორიული თემატიკით, ხოლო მეორე მხრივ იმის ცდა, რომ იმუშაონ მხოლოდ გასართობ უშინაარსო სიუჟეტებზე. ზოგიერთი მწერალი დიდ თანამედროვე საბჭოთა თემებისაგან თავისი ჩამორჩენის გასამართლებლად ამბობს, რომ დადგა დრო, როცა ხალხს უნდა მიეცეთ ფუქსავატური გამრ-



თობი ლიტერატურა, როცა შეიძლება ნაწარმოებთა იდეურობას ანგარიში არ ვაქუწითოთ. ეს უაღრესად არასწორი წარმოდგენაა ჩვენს ხალხს შინაგან მოთხოვნილებებზე, მის ინტერესებზე. ჩვენი ხალხი მოელის, რომ საბჭოთა მწერლებმა მოისაზრონ და განაზოგადონ ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც ხალხმა შეიძინა დიდ სამამულო ომში, გამოხატონ და განაზოგადონ ის გმირობა, რომლითაც ხალხი ახლა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღსადგენად მუშაობს მტრების განდევნის შემდეგ.

რამდენიმე სიტყვა ეურნალ „ლენინგრადის“ შესახებ. აქ ზოშჩენკოს კიდევ უფრო „მტკიცე“ პოზიცია აქვს, ვიდრე „ზევდაში“, ისევე, როგორც ახმატოვას. ზოშჩენკო და ახმატოვა ორივე ეურნალში აქტიური ლიტერატურული ძალები ვახდნენ. ამრიგად, ეურნალი „ლენინგრადი“ პასუხისმგებელია იმისათვის, რომ თავისი ფურცლები დაუთმო ისეთ უხამსებს, როგორიც არის ზოშჩენკო, და ისეთ სალონურ პოეტებს, როგორიც არის ახმატოვა.

მაგრამ ეურნალ „ლენინგრადს“ სხვა შეცდომებიც აქვს.

აი, მაგალითად, ვინმე ხაზინის მიერ დაწერილი პაროდია „ვეგენი ონეგინზე“. ამ ნაწარმოებს „ონეგინის დაბრუნება“ ეწოდება. ამბობენ, რომ იგი არაერთხელ სრულდება ლენინგრადის ესტრადის სცენაზე. გაუგებარია, რატომ ანებებენ ლენინგრადელები, რომ საჯარო ტრიბუნიდან გააბიარონ ლენინგრადი, როგორც ამას ხაზინი სჩადის? მთელი ამ ეგრეთწოდებულ ლიტერატურული „პაროდის“ აზრი უბრალო ღრეკა ხომ არ არის იმ ფათერაკების გამო, რაც შეემთხვა ონეგინს, რომელიც თანამედროვე ლენინგრადში აღმოჩნდა. ხაზინის მიერ შეთხზული პასკვილის აზრი იმაში მკვლავარეობს, რომ იგი ცდილობს ჩვენი თანამედროვე ლენინგრადი შეადაროს პუშკინის ეპოქის პეტერბურგს და ამტკიცოს, რომ ჩვენი ხანა ონეგინის ხანაზე უარესიაო. დააკვირდით ამ „პაროდის“ თუნდაც ზოგიერთ სტრიქონს. არაფერი არ მოსწონს ავტორს ჩვენს თანამედროვე ლენინგრადში. იგი ავსიტყვაობს, ცილსა სწამებს საბჭოთა ადამიანებს, ლენინგრადს. სულ სხვაა ონეგინის ხანა — ოქროს ხანა, ხაზინის აზრით. ახლა ასე როდია, — გაჩნდა საბინაო განყოფილება, ბარათები, საშვები. ქალიშვილები, ის არაამქვეყნიური ჰაეროვანი ქმნილებანი, რომლებსაც წინათ ალტაცებაში მოჰყარდათ ონეგინი, ახლა ქუჩის მოძრაობის მომწესრიგებლები გამხდარან, ლენინგრადის სახლებს რემონტს უკეთებენ და სხვა და სხვა. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ამ „პაროდის“ ერთი ადგილი:

В трамвай садится наш Евгений,  
 О бедный, милый человек!  
 Не знал таких передвижений  
 Его непросвещенный век.  
 Судьба Евгения хранила,  
 Ему лишь ногу отдавило  
 И только раз, толкнув в живот,  
 Ему сказали: „Идиот!“  
 Он, вспомнив древние порядки,  
 Решил дуэлью кончить спор,  
 Полез в карман и кто-то спер  
 Уже давно его перчатки,  
 За неимением таковых  
 Смодчал Онегина и притих.

აი როგორი იყო ლენინგრადი და როგორი ვახდა ახლა: ცუდი, უფლებ-  
რო, უხეში და რა არასახარბიელო სახით წარსდგა იგი საცულებზე წაყვარე-  
ლი ონგენის თვალწინ. აი როგორ წარმოგვიდგინა ლენინგრადი და ლენინ-  
გრადელები უხამსმა ხაზინმა.

ცუდი, მანკიერი, დამპალი განზრახვა აქვს ამ ცილისმწამებლურ პარო-  
დიას!

როგორ მოხდა, რომ „ლენინგრადის“ რედაქციამ ვერ შეამჩნია ეს ბორო-  
ტი ცილისწამება ლენინგრადსა და მის საუცხოო ადამიანებზე?! როგორ  
შეიძლება ხაზინების დაშვება ლენინგრადის ჟურნალების ფურცლებზე?!

აიღეთ მეორე ნაწარმოები — პაროდია პაროდიაზე ნეკრასოვის შესახებ,  
რომელიც იმგვარად არის შედგენილი, რომ იგი ნამდვილი შეურაცხყოფაა  
იმეთი დიდი პოეტის და საზოგადო მოღვაწის ხსოვნისა, როგორიც იყო ნეკ-  
რასოვი, შეურაცხყოფა, რომლის წინააღმდეგაც ყოველი განათლებული ადა-  
მიანი უნდა აღშფოთებულიყო. მაგრამ „ლენინგრადის“ რედაქციამ ხალი-  
სით მოათავსა ეს ბინძური ნათითხნი თავის ფურცლებზე.

კიდევ რას ვპოულობთ ჟურნალ „ლენინგრადში“? საზღვარგარეთულ უკ-  
ბილო და უხამს ანეგდოტს, რომელიც, როგორც სჩანს, აღებულია ძველი,  
გასული საუკუნის დამლევის ანეგდოტთა გაცვეთილი კრებულებიდან. ნუ-  
თუ ჟურნალ „ლენინგრადს“ თავისი ფურცლები ვერაფრით შეუვსია? განა  
არაფერზე შეიძლება წერა ჟურნალ „ლენინგრადში“? აიღეთ თუნდაც ისე-  
თი თემა, როგორიც არის ლენინგრადის აღდგენა. ქალაქში შესანიშნავი მე-  
შაობაა გაჩაღებული, ქალაქი ბლოკადით მიყენებულ კრილობებს იშუშებს.  
ლენინგრადელები აღსაესენი არიან ენტუზიაზმით და ომისშემდგომი აღ-  
დგენის პათოსით. დაწერილა თუ არა რაიმე ამის შესახებ ჟურნალ „ლენინ-  
გრადში“? ეღირსებოდა თუ არა როდისმე ლენინგრადელები, რომ მათმა  
შრომითმა საგმირო საქმეებმა ასახვა პოეონ ჟურნალის ფურცლებზე?

შემდეგ აიღეთ თემა საბჭოთა ქალის შესახებ: განა შეიძლება ჩაეუნერ-  
გოთ საბჭოთა მკითხველებს ახმატოვასათვის დამახასიათებელი სამარცხო-  
ნო შეხედულებანი ქალის როლსა და მოწოდებაზე და არ მივცეთ ჰეშმა-  
ჩიტად მართალი წარმოდგენა საერთოდ თანამედროვე საბჭოთა ქალზე და,  
კერძოდ, ლენინგრადელ ქალიშვილსა და გმირ ქალზე, რომლებმაც თავიანთ  
მხრებზე გადაიტანეს ომიანობის წლებს უდიდესი სიძნელენი, ხოლო ახლა  
თავდაღებულად შრომობენ მეურნეობის აღდგენის ძნელი ამოცანების გა-  
დასაქრელად?

როგორც სჩანს, საქმის ვითარება მწერალთა კავშირის ლენინგრადის გან-  
ყოფილებაში ისეთია, რომ ამჟამად კარგი ნაწარმოებები ორი სალიტერატურო-  
სამხატვრო ჟურნალისათვის აშკარად არასაკმარისია. აი რატომ გადასწყვი-  
ტა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაიხუროს ჟურნალი „ლენინგრა-  
და“, რათა მთელმა საუკეთესო ლიტერატურულმა ძალებმა თავი მოიყარონ  
ჟურნალ „ზევსდაში“. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ლენინ-  
გრადს ჯეროვან პირობებში მეორე და მესამე ჟურნალიც არ ექნება. სა-  
კითხს სწყვეტს კარგ მაღალხარისხოვან ნაწარმოებთა რაოდენობა. და თუ  
ეს კარგი ნაწარმოებები საკმაოდ ბევრი გამოჩნდება და მათ ერთ ჟურნალ-  
ში აღვილი აღარ ეყოფა, შეიძლება შეიქმნას მეორე და მესამე ჟურნალი.



ოლონდ ჩვენმა ლენინგრადელმა მწერლებმა იდეურად და მხატვრულად კარგი პროდუქცია მოგვცენ.

ასეთაა ის უბეში შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოაშკარავებული და აღნიშნულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჟურნალების „ზევზდისა“ და „ლენინგრადის“ მუშაობის შესახებ.

რასია ამ შეცდომათა და ნაკლოვანებათა ფესვი?

ამ შეცდომათა და ნაკლოვანებათა ფესვი იმაში მდგომარეობს, რომ დასაზღვრებული ჟურნალების რედაქტორებმა, ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის მოღვაწეებმა, აგრეთვე ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის ხელმძღვანელებმა ლენინგრადში დაივიწყეს ლენინიზმის ძირითადი დებულებანი ლიტერატურის შესახებ. ბევრი მწერალი და ბევრი ის პირი, რომლებიც პასუხისმგებელ რედაქტორებად მუშაობენ ან მწერალთა კავშირში დიდმნიშვნელოვან პოსტები უჭირავთ, ფიქრობს, რომ პოლიტიკა მთავრობის საქმეა, ცენტრალური კომიტეტის საქმეა. რაც შეეხება ლიტერატორებს, მათი საქმე როდის პოლიტიკას მისდევდნენო. თუ კაცმა კარგად, მხატვრულად, ლამაზად დასწერა, უნდა გაუშვა, მიუხედავად იმისა, რომ იქ არის დამპალი ადგილები, რომლებსაც დეზორიენტაცია შეაქვთ ჩვენს ახალგაზრდობაში. სწამლავენ მას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენმა ამხანაგებმა — როგორც ლიტერატურის ხელმძღვანელებმა, ისე მწერლებმა იხელმძღვანელონ იმით, რის გარეშეც საბჭოთა წყობილებას არსებობა არ შეუძლია, ე. ი. პოლიტიკით, რათა ახალგაზრდობა აღგვიზარდონ არა უღარდებლობისა და უიდეობის სულსკვეთებით, არამედ სიმხნევისა და რევოლუციურობის სულსკვეთებით.

ცნობილია, რომ ლენინიზმმა შეითვისა XIX საუკუნის რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ყველა საუკეთესო ტრადიცია და რომ ჩვენი საბჭოთა კულტურა წარმოიშვა, განვითარდა და აყვავებას მიაღწია წარსულის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად გადამუშავების ბაზაზე. ლიტერატურის დარგში ჩვენი პარტია ლენინისა და სტალინის პირით არაერთხელ აღნიშნავდა დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი მწერლებისა და კრიტიკოსების — ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, პლენანოვის უდიდეს მნიშვნელობას. ბელინსკით დაწყებული, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ყველა საუკეთესო წარმომადგენელი არ სცნობდნენ ეგრეთწოდებულ „წმინდა ხელოვნებას“, „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“ და ქადაგებდნენ ხელოვნებას ხალხისათვის, მის მაღალ იდეურობასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას: ხელოვნებას არ შეუძლია გამოეთიშოს ხალხის ბედს. გაიხსენეთ ბელინსკის ცნობილი „წერილი გოგოლისადმი“, სადაც დიდი კრიტიკოსი მთელი თავისი დამაბასათებელი მგზნებარებით ამოთრახებდა გოგოლს მისი ცდისათვის — ელატა ხალხის საქმისათვის და გადასულიყო მეფის მხარეზე. ამ წერილს ლენინმა უწოდა ცენტრისგარეშე დემოკრატიული პრესის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა უდიდესი ლიტერატურული მნიშვნელობა.

გაიხსენეთ დობროლიუბოვის ლიტერატურულ-პუბლიცისტური სტატიები, რომლებშიც ესოდენი ძალით ნაჩვენებია ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მთელი ჩვენი რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკა აღსავსეა უსასტიკესი სიმძლელით მეფის წყობილებისადმი და

გამსკვალულია ხალხის ძირითადი ინტერესებისათვის, მისი განათლებისათვის, მისი კულტურისათვის, მეფის რეჟიმისაგან მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის კეთილშობილური მისწრაფებით. მებრძოლი ხელოვანება, რომელიც ბრძოლას აწარმოებს ხალხის საუკეთესო იდეალებისათვის, — ასე ჰქონდათ წარმოდგენილი ლიტერატურა და ხელოვნება რუსული ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს. ჩერნიშევსკი, რომელიც უტოპიურ სოციალისტთაგან ყველაზე უფრო ახლო მივიდა მეცნიერულ სოციალიზმთან და რომლის თხზულებებშიც, როგორც აღნიშნავდა ლენინი, „ჰქრის კლასობრივი ბრძოლის სული“, — გვასწავლიდა იმას, რომ ხელოვნების ამოცანა, გარდა ცხოვრების შემეცნებისა, არის კიდევ ამოცანა ასწავლოს ადამიანებს სწორად შეადგინონ ესათვის საზოგადოებრივი მოვლენები. მისი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი დობროლიუბოვი აღნიშნავდა, რომ „ცხოვრება კი არ მიდის ლიტერატურული ნორმების მიხედვით, არამედ ლიტერატურა ეგუება ცხოვრების მიმართულებებს“. იგი ლიტერატურაში რეალიზმისა და ხალხურობის პრინციპების გაძლიერებულ პროპაგანდას ეწეოდა და სთვლიდა, რომ ხელოვნების საფუძველს წარმოადგენს სინამდვილე, რომ იგი შემოქმედების წყაროა და რომ ხელოვნებას აქტიური როლი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აყალიბებს საზოგადოებრივ შეგნებას. დობროლიუბოვის მიხედვით ლიტერატურა უნდა ემსახუროდეს საზოგადოებას, უნდა აძლევდეს ხალხს პასუხს თანამედროვეობის ყველა მწვავე საკითხზე, უნდა იდგეს თავისი ეპოქის იდეათა დონეზე.

მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის დიადი ტრადიციების განმგრძობია, ყოველთვის რეალისტური, საზოგადოებრივი მიმართულების ხელოვნებისათვის მებრძოლი იყო. პლუხანოვმა ბევრი იმეზავა იმისათვის, რომ ემზილებინა იდეალისტური, ანტიმეცნიერული წარმოდგენა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე და დაეცვა ძირითადი დებულებანი ჩვენი დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატებისა, რომლებიც გვასწავლიდნენ მიგვეჩინია ლიტერატურა ხალხისადმი სამსახურის მძლავრ საშუალებად.

ვ. ი. ლენინმა პირველმა ჩამოაყალიბა უდიდესი მკაფიობით მოწინავე საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. მოგაგონებთ ლენინის ცნობილ სტატიას „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც დაწერილია 1905 წლის დამლევს და რომელშიც მან მისთვის დამახასიათებელი ძლიერებით ცხადპყო, რომ ლიტერატურა არ შეიძლება უპარტიო იყოს, რომ იგი საერთო პროლეტარული საქმის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ლენინის ამ სტატიაში მოცემულია ყველა საფუძველი, რომლებსაც ეყრდნობა ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარება. ლენინი სწერდა:

„ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნეჩვეულებებისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერისმისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონკაცური ანარქიზმისა“ და მოგებისადმი გამოდევნებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და ცხოვრებაში გაატაროს. იგი რაც შეიძლება უფრო სრული და მთლიანი ფორმით.

რასი მდგომარეობს პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი? ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარეტიკისთვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფების მოვლასთან რაღაც იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები ძირს ზეკაცი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი...“

და შემდეგ, იმავე სტატიაში:

„არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან“.

ლენინიზმი იქიდან გამოდის, რომ ჩვენი ლიტერატურა არ შეიძლება იყოს აპოლიტიკური, არ შეიძლება წარმოადგენდეს „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, არამედ მოწოდებულია ახორციელებდეს დიდმნიშვნელოვან მოწინავე როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარეობს ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი — ვ. ი. ლენინის მიერ ლიტერატურის შესახებ მეცნიერებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი განძი.

მაშასადამე, საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიცია განგრძობაა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა, იმ ტრადიციებისა, რომლებიც შექმნეს ჩვენმა დიდმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ბელინსკიმ, დობროლიუბოვმა, ჩერნიშევსკიმ, სალტიკოვ-შჩედრინმა, რომლებიც განაგრძო პლეხანოვმა და რომლებიც მეცნიერულად დაამუშავეს და დაასაბუთეს ლენინმა და სტალინმა.

ნეკრასოვი თავის პოეზიას „მურისძიებისა და სევდის მუზას“ უწოდებდა. ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს ლიტერატურა მიაჩნდათ ხალხისადმი წმიდა სამსახურად. რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მეფის წყობილების პირობებში იღუპებოდნენ ამ კეთილშობილური მაღალი იდეებისათვის, მიდიოდნენ კატორღაში, გადასახლებაში. როგორ შეიძლება ამ სახელოვანი ტრადიციების დავიწყება? როგორ შეიძლება მათი უგულვებელყოფა, როგორ შეიძლება იმის დაშვება, რომ ახმატოვებმა და ზოშინეკოვმა, შემოგვაპარონ რეაქციული ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომ ისინი, უიდეობის ნიღაბფარებულნი, თავს გვახვევდნენ საბჭოთა ხალხისათვის უცხო იდეებს?!

ლენინიზმი სცნობს ჩვენი ლიტერატურის უდიდეს საზოგადოებრივ-გარდამქმნელ მნიშვნელობას. ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას თავისი ამ უდიდესი აღმზრდელობითი როლის შემცირება რომ დაეშვა, ეს უკუღმა განვითარების, „ქვის ხანაში“ დაბრუნების მომასწავებელი იქნებოდა.

ამხანაგმა სტალინმა ჩვენს მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა. ამ განსაზღვრას ღრმა აზრი აქვს. იგი მოწმობს საბჭოთა მწერლების უდიდეს პასუხისმგებლობას ადამიანთა აღზრდისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის, ლიტერატურულ მუშაობაში წუნის დაუშვებლობისათვის.

ზოგს უცნაურად ეჩვენება, თუ რატომ მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა ასეთი მკაცრი ზომები ლიტერატურის საკითხში? ჩვენში ამას მიჩვეულნი არ

არის. მიანიათ, რომ თუ დაშვებულია წუნი წარმოებაში ან შესრულებული არ არის ფართო მოხმარების საგნების გამოშვების საწარმოო პროგრამა ან შესრულებული არ არის ხე-ტყის დამზადების გეგმა, — მნიშვნელოვანი საყვედურის გამოცხადება ბუნებრივი ამბავია (მოწონების გამომხატველი სიცილი დარბაზში), ხოლო თუ დაშვებულია წუნი ადამიანთა სულის აღზრდაში, თუ დაშვებულია წუნი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, აქ შეიძლება კიდევ მოუთმინო. მაგრამ განა ეს უფრო დიდი დანაშაული არ არის, ვიდრე საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობა ან საწარმოო დავალების ჩაშლა? თავისი გადაწყვეტილებით ცენტრალურ კომიტეტს მხედველობაში აქვს გაუთანასწოროს იდეოლოგიური ფრონტი ჩვენი მუშაობის ყველა დანარჩენ უბანს.

ამ უკანასკნელ ხანს იდეოლოგიურ ფრონტზე თავი იჩინეს დიდმა გარღვევებმა და ნაკლოვანებებმა. საკმარისია მოგავიხსინოთ ჩვენი კინოხელოვნების ჩამორჩენა, ჩვენი თეატრალურ-დრამატიული რეპერტუარის დანაგვიანება მდარე ხარისხის ნაწარმოებებით, იმაზე თუ აღარას ვიტყვი, რაც ეურნალებში „ზეზდასა“ და „ლენინგრადში“ მოხდა. ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა ჩარეულიყო და გადაკრით გამოესწორებინა საქმე. მას უფლება არ ჰქონდა შეერბილებინა თავისი დარტყმა იმათ წინააღმდეგ, ვინც ივიწყებს თავის მოვალეობას ხალხის მიმართ, ახალგაზრდობის აღზრდის მიმართ. თუ ჩვენ გვსურს ყურადღება მივაპყრობინოთ ჩვენს აქტიურ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე და წესრიგი დავამყაროთ აქ, ნათელი გეზი მივცეთ მუშაობაში, ჩვენ მწვავედ, როგორც საბჭოთა ადამიანებს შეეფერება, როგორც ბოლშევიკებს შეეფერება უნდა გაეკრიტიკოთ იდეოლოგიური მუშაობის შეცდომები და ნაკლოვანებანი. მხოლოდ მაშინ შეეძლებოთ საქმის გამოსწორებას.

ზოგი ლიტერატორი ასე მსჯელობს: რამდენადაც ომის დროს ხალხი ლიტერატურას მონატრებული გახდა, წიგნებს ცოტას ვუშვებდით, ამდენად მკითხველი ყოველგვარ საქონელს გადაყლაპავს, თუნდაც სიღამაღამეებარულსო. ხოლო ეს სრულებითაც არ არის ასე, და ჩვენ ვერ მოვითმენთ ყოველნაირ ლიტერატურას, როგორსაც შემოგვაჩეჩებენ დაუდევარი ლიტერატორები, რედაქტორები, გამომცემლები. საბჭოთა ხალხი საბჭოთა მწერლებისაგან მოელის ნამდვილ იდეურ შეიარაღებას, სულიერ საზრდოს, რომელიც დაეხმარება დიდი მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების გეგმების შესრულებას. საბჭოთა ხალხი მალალ მოთხოვნებს უყენებს ლიტერატორებს, სურს დაიკმაყოფილოს იდეური და კულტურული მოთხოვნები. ომის დროს ვითარების მიხედვით ჩვენ არ შეგვეძლო უზრუნველგვეყო ეს არსებითი მოთხოვნილებანი. ხალხს სურს გაიზაროს მიმდინარე ამბები. მისი იდეური და კულტურული დონე გაიზარდა. ხშირად მას არ აკმაყოფილებს ლიტერატურისა და ხელოვნების იმ ნაწარმოებთა ხარისხი, რომლებიც ჩვენში ჩნდება. ლიტერატურის ზოგიერთმა მუშაკებმა, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა ეს ვერ გაიგეს და არ სურთ გაიგონ.

ჩვენი ხალხის მოთხოვნილებათა და გემოვნების დონე დიდად ამაღლდა, და ის, ვისაც არ სურს ან უნარი არ შესწევს ამ დონემდე ამაღლდეს, უკან იქნება დატოვებული. ლიტერატურა მოწოდებულია არა მარტო იმისათვის, რომ ხალხის მოთხოვნილებათა დონეზე მიდიოდეს, არამედ უფრო მეტიც, —





იგი ვალდებულია განავითაროს ხალხის გემოვნება, კიდევ უფრო ააქლ-  
ლოს მისი მოთხოვნილებანი, გაამდიდროს იგი ახალი იდეებით (წინსწინა-  
ნის ხალხი). ის, ვისაც უნარი არ შესწევს მხარდამხარ მიპყრობა, მუშაობა-  
მყოფილოს მისი გაზრდილი მოთხოვნილებანი, იღგეს საბჭოთა კულტურის  
განვითარების ამოცანების დონეზე, აუცილებლად გაირიყება.

იმ გარემოებიდან, რომ „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ ხელმძღვანელ  
პედაგოგებს იდეურობა აკლდათ, მეორე დიდი შეცდომავე გამომდინარეობს.  
ეს შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთმა ჩვენმა ხელმძღვანელმა  
მუშაკმა ლიტერატორებთან თავის ურთიერთობაში მთავარი ყურადღება მი-  
აქცია არა საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აღზრდისა და ლიტერატორ-  
თათვის პოლიტიკური გეზის მიცემის ინტერესებს. არამედ პირად, მეგობ-  
რულ ინტერესებს... ამბობენ, რომ ბევრი იდეურად მავნე და მხატვრულად  
სუსტი ნაწარმოები იბეჭდება იმის გამო, რომ არ სურთ აწყენინონ ამათუიმ  
მწერალს. ასეთ მუშაკთა თვალსაზრისით უმჯობესია შეილაზოს ხალხის ინ-  
ტერესები, სახელმწიფოს ინტერესები, ოღონდ ვინმეს არ აწყენინონ. ეს  
სრულიად არასწორი და პოლიტიკურად მცდარი დებულებაა. ეს იგივეა,  
რომ მილიონი გროში გასცვალო.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს,  
თუ რა უდიდესი ზიანი მოაქვს ლიტერატურაში პრინციპული ურთიერთობის  
მეგობრული ურთიერთობით შეცვლას. ჩვენი ზოგიერთი ლიტერატორის  
წრეში უპრინციპო მეგობრულმა ურთიერთობამ უაღრესად უარყოფითი  
როლი შეასრულა, ბევრი ლიტერატურული ნაწარმოების იდეური დონის  
დაწვევა გამოიწვია, ლიტერატურაში შემოპარვა გაუადვილა საბჭოთა ლიტე-  
რატურისათვის უცხო ადამიანებს. იმ გარემოებამ, რომ ლენინგრადში იდე-  
ოლოგიური ფრონტის ხელმძღვანელების მხრივ, ლენინგრადის კურნალე-  
ბის ხელმძღვანელების მხრივ კრიტიკა არ იყო, რომ პრინციპული ურთიერ-  
თობა შეცვლილი იყო მეგობრული ურთიერთობით ხალხის ინტერესების  
ხარჯზე, უდიდესი ზიანი მოიტანა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ, თუ გესურს შევინარსუნოთ კადრები,  
ეასწავლოთ მათ და აღზარდოთ ისინი, არ უნდა გვეშინოდეს ვაწყენინოთ  
ვისმე, არ უნდა გვეშინოდეს პრინციპული, გაბედული, გულახდილი და  
ობიექტური კრიტიკისა. კრიტიკის გაუწყველად ყოველ ორგანიზაციას, მათ  
შორის ლიტერატურულსაც, შეიძლება ლაბა შეეპაროს. კრიტიკის გაუწყვე-  
ლად შეიძლება ყოველი ავადმყოფობა შიგნით მოაქციო და მისი დაძლევა  
უფრო ძნელი გახდეს. მხოლოდ გაბედული და აშკარა კრიტიკა ეხმარება  
ჩვენს ადამიანებს სრულყოფაში, აძლევს მათ წინსვლის, თავიანთ მუშაობა-  
ში ნაკლოვანებათა დაძლევის სტიმულს. სადაც კრიტიკა არ არის, იქ ფეხს  
იკიდებს დაობება და დახვედბა, იქ ადგილი არა აქვს წინსვლას.

როგორც ამხანაგი სტალინი არაერთგზის მიგვითითებს, ჩვენი განვითარე-  
ბის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს იმის აუცილებლობა, რომ  
ყოველი საბჭოთა ადამიანი ყოველდღე აჯამებდეს თავისი მუშაობის შედე-  
გებს, უშიშრად ამოწმებდეს თავის თავს, ანალიზს უკეთებდეს თავის მუ-  
შაობას, გაბედულად აკრიტიკებდეს თავის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს,  
ფიქრობდეს, როგორ მიაღწიოს თავისი მუშაობის უკეთეს შედეგებს, და გა-  
სუფხვეტლივ მუშაობდეს თავისი სრულყოფისათვის. ლიტერატორებს ეს იმ-



დენადვე ეხება, რამდენადაც ყოველ სხვა მუშაკს. ვისაც თავისი მუშაობის კრიტიკისა ეშინია, ის საზიზღარი ლაჩარია, რომელიც საჭიროებებს მხრივ პატივისცემის ღირსი არ არის. (მქუხარე ტაში).

თავისი მუშაობისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება ლიტერატორებთან პრინციპული ურთიერთობის მეგობრული ურთიერთობით შეცვლა ფართოდ გავრცელებულია საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობაშიც. კავშირის გამგეობას და, კერძოდ, მის თავმჯდომარეს ამხ. ტიხონოვს მიუძღვით ბრალი იმ არასასურველ მდგომარეობაში, რომელიც გამოაშკარავებულ იქნა ჟურნალებში „ზევზდასა“ და „ლენინგრაღში“, ბრალი მიუძღვით იმას, რომ არათუ დაბრკოლებები არ შეუქმნეს საბჭოთა ლიტერატურაში ზოშიენკოს, ახმატოვას და სხვა არასაბჭოთა მწერლების მანერ გავლენათა შემოჭრას, არამედ ისინი ჩვენს ჟურნალებში საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო ტენდენციებისა და ზნეჩვეულების შემოპარვისადმი წაყრუებასაც კი იჩენდნენ.

ლენინგრაღის ჟურნალების ნაკლოვანებებში თავისი როლი შეასრულა უპასუხისმგებლობის იმ სისტემაშიც, რომელიც შეიქმნა ჟურნალების ხელმძღვანელობაში ლენინგრაღის ჟურნალების რედაქციებში შექმნილი იმ მდგომარეობის გამო, როცა გამოურკვეველია, ვინ აგებდა პასუხს მთლიანად ჟურნალისა და მისი განყოფილებებისათვის, როცა ელემენტარული წესრიგის არსებობაც კი არ შეიძლებოდა. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. სწორედ ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით დანიშნა ჟურნალ „ზევზდის“ მთავარი რედაქტორი, რომელიც პასუხს უნდა აგებდეს ჟურნალის მიმართულებისათვის, ჟურნალში მოთავსებულ ნაწარმოებთა მაღალი იდეური და მხატვრული ხარისხისათვის.

ჟურნალებში, ისევე როგორც ყოველ საქმეში, შეუწყნარებელია უწყსრილობა და ანარქია. საჭიროა მკაფიო პასუხისმგებლობა ჟურნალის მიმართულებისა და გამოქვეყნებულ მასალების შინაარსისათვის.

თქვენ უნდა აღადგინოთ ლენინგრაღის ლიტერატურისა და ლენინგრაღის იდეოლოგიური ფრონტის სახელოვანი ტრადიციები. სამწუხარო და გულხატკენია, რომ ლენინგრაღის ჟურნალები, რომლებიც ყოველთვის მოწინავე იდეებს, მოწინავე კულტურის გამავრცელებლები იყვნენ, უიდეობისა და უხამსობის თავშესაფარი გახდნენ. უნდა აღვადგინოთ ლენინგრაღის ღირსება, როგორც მოწინავე იდეოლოგიური და კულტურული ცენტრისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ლენინგრაღი ბოლშევიკური ლენინური ორგანიზაციების აკვანი იყო. ლენინმა და სტალინმა აქ საფუძველი ჩაუყარეს ბოლშევიკურ პარტიას, საფუძველი ჩაუყარეს ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას, ბოლშევიკურ კულტურას.

ლენინგრაღის მწერლების, ლენინგრაღის პარტიული აქტივის ღირსების საქმე ის არის, რომ აღადგინონ და კიდევ უფრო განავითარონ ლენინგრაღის ეს სახელოვანი ტრადიციები. ლენინგრაღში იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა და უწინარეს ყოვლისა მწერალთა ამოცანა ის არის, რომ განდევნონ ლენინგრაღის ლიტერატურიდან უიდეობა და უხამსობა, მაღლა ასწიონ მოწინავე საბჭოთა ლიტერატურის დროშა, ხელიდან არ გაუშვან თავიანთი იდეური და მხატვრული ზრდის არცერთი შესაძლებლობა, არ ჩამორჩნენ თანამედროვე თემატიკას, არ ჩამორჩნენ ხალხის მოთხოვნილებებს, ყოველ-



ნაირად განავითარონ თავიანთ ნაკლოვანებათა გაბედული კრიტიკა, არა მლიქვნელური, არა ჯგუფური და მეგობრული, არამედ ნამდვილად შეფასებული და დამოუკიდებელი, იდეური ბოლშევიკური კრიტიკა.

ამხანაგებო, ახლა თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რა უხეში შეცდომა დაუშვა პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა, განსაკუთრებით მისმა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. შიროკოვმა, რომელიც დაყენებული იყო იდეოლოგიური მუშაობის სათავეში და რომელსაც პირველ რიგში ეკისრება პასუხისმგებლობა ჟურნალების ჩაყარდნისათვის. პარტიის ლენინგრადის კომიტეტმა უხეში პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, ივნისის დამლევს გადაწყვეტილება რიგში მიიღო ჟურნალ „ზევლის“ რედაქციის ახალი შემადგენლობის შესახებ, რომელშიც შეყვანილ იქნა ზოშჩენკოც. მხოლოდ პოლიტიკური სიბრძნევით შეიძლება იმის ახსნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კაპუსტინმა და საქალაქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. შიროკოვმა გაატარეს ასეთი მცდარი გადაწყვეტილება. ვიმეორებ, მთელი ეს შეცდომები რაც შეიძლება მალე და გადაკრით უნდა გამოვასწოროთ, რათა აღვადგინოთ ლენინგრადის როლი ჩვენი პარტიის იდეურ ცხოვრებაში.

ჩვენ ყველას გვიყვარს ლენინგრადი, ყველას გვიყვარს ჩვენი ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია, როგორც ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი. ლენინგრადში არ უნდა იყოს თავშესაფარი სხვადასხვა მოტმანის ლიტერატურული ვიგინდარებისათვის, რომლებსაც სურთ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ ლენინგრადი. ზოშჩენკოსათვის, ახმატოვასა და მათ მსგავსთათვის საბჭოთა ლენინგრადი ძვირფასი როდია. მათ სურთ მასში ხედავდნენ სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესწყობილებისა და სხვა იდეოლოგიის განსახიერებას. ძველი პეტერბურგი, ბრინჯაოს მხედარი, როგორც ამ ძველი პეტერბურგის სახეობა, აი რა ელანდება მათ. ჩვენ კი გვიყვარს საბჭოთა ლენინგრადი, ლენინგრადი, როგორც საბჭოთა კულტურის მოწინავე ცენტრი. ლენინგრადიდან გამოსულ დიდ რევოლუციონერ და დემოკრატიკ მოღვაწეთა სახელოვანი კოპორტა — ესენი არიან ჩვენი პირდაპირი წინაპრები, ჩვენი წინამორბედნი. თანამედროვე ლენინგრადის სახელოვანი ტრადიციები განგრძობაა ამ დიადი რევოლუციური დემოკრატიული ტრადიციების განვითარებისა, რომლებსაც ჩვენ სხვაზე არაფერზე გავცვლით. დაე ლენინგრადის აქტივმა გაბედულად, უკანმოუხედავად, უშედავათოდ გაუკეთოს ანალიზი თავის შეცდომებს, რათა რაც შეიძლება უკეთ და სწრაფად გამოასწოროს საქმე და წინ წასწიოს ჩვენი იდეური მუშაობა. ლენინგრადელმა ბოლშევიკებმა კვლავ უნდა დაიკავონ თავიანთი ადგილი მოთავეთა და მოწინავეთა რიგებში საბჭოთა იდეოლოგიის, საბჭოთა საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბების საქმეში. (მჭუხარე ტაში).

როგორ მოხდა, რომ პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა დაუშვა ასეთი მდგომარეობა იდეოლოგიურ ფრონტზე? ცხადია, იგი გაიტაცა მიმდინარე პრაქტიკულმა მუშაობამ ქალაქის აღდგენისათვის, მისი მრეწველობის აღმავლობისათვის, და მან დაივიწყა იდეურ-აღმზრდელი თითი მუშაობის მნიშვნელობა, ხოლო ეს დაივიწყება ძვირად დაუჯდა ლენინგრადის ორგანიზაციას. არ შეიძლება იდეური მუშაობის დაივიწყება! ჩვენი ადამიანების სულიერი სიმდიდრე არანაკლებ დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალუ-

რი. არ შეიძლება ბრმად ცხოვრობდე, არ ზრუნავდე. ხვალინდელი დღისათვის არა მარტო მატერიალური წარმოების დარგში, არამედ სულიერ დარგშიც. ჩვენი საბჭოთა ადამიანები იძულებულნი არიან გაიზარდნენ „საბჭოთა-სულიერ“ ყოველგვარ სულიერ პროდუქციას, როგორც უნდა მიაჩნონ მათ. კულტურისა და ხელოვნების იმ მუშაებში, რომლებიც თავიანთ მუშაობას არ გარდაჰქმნიან და ხალხის გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებენ, შეიძლება სწრაფად დაჰკარგონ ხალხის ნდობა.

ამხანაგებო, ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა ცხოვრობს და უნდა ცხოვრობდეს ხალხის ინტერესებით, სამშობლოს ინტერესებით. ლიტერატურა ხალხისათვის მშობლიური საქმეა. სწორედ ამიტომ ყოველ ჩვენს წარმატებას, ყოველ მნიშვნელოვან ნაწარმოებს ხალხი განიხილავს, როგორც თავის გამარჯვებას. სწორედ ამიტომ ყოველი კარგი ნაწარმოები შეიძლება შევადაროთ მოგებულ ბრძოლას, ან დიდ გამარჯვებას სამეურნეო ფრონტზე. პირიქით, ყოველი მარცხი საბჭოთა ლიტერატურაში მეტად გულსატკენი და სამწუხაროა ხალხისა, პარტიისა და სახელმწიფოსათვის. სწორედ ამას ითვალისწინებს თავის დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ზრუნავს ხალხის ინტერესებისათვის, მისი ლიტერატურის ინტერესებისათვის და მეტად შეშფოთებულია იმ ვითარებით, რაც ლენინგრადის მწერლებში შეიქმნა.

თუ უიღვო ადამიანებს სურთ დაუკარგონ საბჭოთა ლიტერატურის მუშაეთა ლენინგრადის რაზმს მისი საფუძველი, სურთ ძირი გამოუთხარონ მათი მუშაობის იდეურ მხარეს, დაუკარგონ ლენინგრადის მწერალთა შემოქმედებას მისი საზოგადოებრივი გარდაჰქმნელი მნიშვნელობა, ცენტრალური კომიტეტი იმედოვნებს, რომ ლენინგრადელი ლიტერატორები ჰპოვებენ ძალას საზღვარი დაუღონ ყველა ცდას, რაც მიმართულია იქითკენ, რომ გადაახვევინონ ლენინგრადის ლიტერატურულ რაზმს, მის ჟურნალებს უიღვობისაკენ, უბრინციობისა და აპოლიტიკურობისაკენ. თქვენ დაყენებული ხართ იდეოლოგიური ფრონტის მოწინავე ხაზზე. თქვენს წინაშე დასახულია უდიდესი, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ამოცანები, და ამან უნდა გააძლიეროს ყოველი ნამდვილი საბჭოთა ლიტერატორის პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი ხალხის, სახელმწიფოს, პარტიის წინაშე, დაკისრებული მოვალეობის დიდი მნიშვნელობის შეგნება.

ბურჟუაზიულ სამყაროს არ მოსწონს ჩვენი წარმატებანი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საერთაშორისო სპარეზზე. მეორე მსოფლიო ომის შედეგად სოციალიზმის პოლიტიკები განმტკიცდა. სოციალიზმის საკითხი დღის წესრიგშია დაყენებული ევროპის ბევრ ქვეყანაში. ეს არ მოსწონთ ყველა ჯურის იმპერიალისტებს, მათ ეშინიათ სოციალიზმისა, ეშინიათ ჩვენი სოციალისტური ქვეყნისა, რომელიც ნიმუშს წარმოადგენს მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის. იმპერიალისტები, მათი იდეური მსახურნი, მათი ლიტერატორები და ჟურნალისტები, მათი პოლიტიკოსები და დიპლომატები ყოველნაირად ცდილობენ ცილი დასწამონ ჩვენს ქვეყანას, არასწორად აჩვენონ იგი, ცილი დასწამონ სოციალიზმს. ამ პირობებში, საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა არა მარტო ის არის, რომ დარტყმით უპასუხოს დარტყმებზე მთელი ამ საზიზღარი ცილისწამებისა და ჩვენს საბჭოთა კულტურაზე, სოციალიზმზე თავდასხმების წინააღმდეგ, არამედ გაბედულადაც გაამართა-

ხოს და თავს დაესხას ბურჟუაზიულ კულტურას, რომელიც მარაზმისა და გაზრწის მდგომარეობაშია.

გარეგნულად რა ლამაზ ფორმაშიც უნდა გააჩვიონ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატორთა, აგრეთვე კინორეჟისორთა და თეატრალურ რეჟისორთა შემოქმედება, სულ ერთია ისინი მაინც ვერ იხსნიან და ვერ აამაღლებენ თავიანთ ბურჟუაზიულ კულტურას, ვინაიდან მისი მორალური საფუძველი დამძალი და გაზრწილია, ვინაიდან ეს კულტურა ემსახურება კერძო-კაპიტალისტურ საკუთრებას, საზოგადოების ბურჟუაზიული ზედაფენის ეგოისტურ, ანგარებითს ინტერესებს. ბურჟუაზიულ ლიტერატორთა, კინორეჟისორთა, თეატრალურ რეჟისორთა მთელი გუნდი ცდილობს ჩამოაშოროს საზოგადოების მოწინავე ფენების ყურადღება პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის მწვავე საკითხებს და ყურადღება მიამყობინოს უხამს, უიდეო ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, რომელიც აღსავსეა განგსტერებით, ვარიეტეს ქალებით, ადიულტერის შექმნით და ყოველნაირ ავანტურისტთა და ვიჯინდართა თავგადასავლით.

განა შეგვფერის ჩვენ, მოწმნავე საბჭოთა კულტურის წარმომადგენლებს, საბჭოთა პატრიოტებს, ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედის მოზრის როლი ან მოწაფეთა როლი?! რა თქმა უნდა, ჩვენს ლიტერატურას, რომელიც ასახავს უფრო მაღალ წყობილებას, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებაა, ბევრჯერ უფრო მაღალ კულტურას, ვიდრე ბურჟუაზიული კულტურაა, აქვს იმის უფლება, რომ სხვებს ასწავლოს ახალი საერთოსაკაცობრიო მორალი. სად ნახავთ ისეთ ხალხსა და ისეთ ქვეყანას, როგორიც ჩვენია? სად ნახავთ ადამიანთა ისეთ შესანიშნავ თვისებებს, როგორიც გამოიჩინა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში და როგორსაც იგი ყოველდღე იჩენს შრომითს საქმეებში, მშვიდობიან განვითარებაზე და მეურნეობისა და კულტურის აღდგენაზე რომ გადავიდა! ჩვენი ხალხი ყოველდღე სულ უფროდაუფრო მაღლა იწევს. ჩვენ დღეს ის აღარ ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღესა ვართ. ჩვენ ის რუსები აღარ ვართ, როგორიც 1917 წლამდე ვიყავით, რუსეთი იც ის აღარ არის, ხასიათიც უკვე სხვა გვაქვს. ჩვენ გამოვიცვალეთ და გავიზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნებთან ერთად, რომლებმაც ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე.

აჩვენოს საბჭოთა ადამიანების ეს ახალი მაღალი თვისებანი, არა მარტო დღევანდელი დღის მიზეზებით აჩვენოს ჩვენი ხალხი, არამედ მის ხვალისდელ დღეშიც ჩაიხედოს, დაეხმაროს — პროექტორით გაუნათოს წინსვლის გზა — ასეთია ყოველი კეთილსინდისიერი საბჭოთა მწერლის ამოცანა. მწერალი არ შეიძლება უკან მისხანჩალებდეს მოკლებებს, იგი ვალდებულია ხალხის მოწინავე რიგებში იყოს და უჩვენებდეს ხალხს მისი განვითარების გზას. მწერალი უნდა ხელმძღვანელობდეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდით, კეთილსინდისიერად და ყურადღებით სწავლობდეს ჩვენს სინამდვილეს, ცდილობდეს უფრო ღრმად ჩასწვდეს ჩვენი განვითარების პროცესების არსს, ზრდიდეს ხალხს და იდეურად აიარალებდეს მას. ჩვენ უნდა გამოვარჩიოთ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო გრძნობები და თვისებები, გადავუმართოთ მას მისი ხვალისდელი დღე და ამავე ღროს გაჩვენოთ ჩვენს ადამიანებს, თუ როგორი არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა ვამატარებდეთ გუშინდელი დღის გადმონამუშებს, გადმონამუშებს, რომლებიც წინსვლას უშ-

ლიან საბჭოთა ადამიანებს. საბჭოთა მწერლები უნდა დაეხმარებოდნენ ხალხს, სახელმწიფოს, პარტიას — აღზარდონ ჩვენი ახალგაზრდობა, განავითარონ იგი მხნე, თავისი ძალების რწმენის მქონე, ყოველგვარი სიძულვილის წინაშე უშიშარი.

როგორც უნდა ცდილობდნენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და ლიტერატორები დაუმალონ თავიანთ ხალხებს სიმართლე საბჭოთა წყობილები-სა და საბჭოთა კულტურის მიღწევებზე, როგორც უნდა მეცადინეობდნენ აღმართონ რკინის ფარდა, რომლის იქითაც სხდვარგარეთ ვერ გააღწიოს სიმართლემ საბჭოთა კავშირის შესახებ, როგორც უნდა ფაფხურობდნენ, რათა დაამცირონ საბჭოთა კულტურის ნამდვილი ზრდა და გაქანება — მთელი ეს ცდები განწირულია ჩაშლისათვის. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ჩვენი კულტურის ძალა და უპირატესობა. საკმარისია მოვავსოთ ჩვენი კულტურული დღეღამეების განსაკვირვებელი წარმატებანი საზღვარგარეთ, ჩვენი ფიზკულტურული პარადი და სხვა. განა ჩვენ უნდა ვიხრიდეთ ქედს მთელი უცხოურობის წინაშე ან პასიური თავდაცვითი პოზიციები გვეკავოს!

თუ ფეოდალურ წყობილებას, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიას თავისი აყვავების პერიოდში შეეძლოთ შეექმნათ ხელოვნება და ლიტერატურა, რომელიც ადასტურებდა ახალი წყობილების დამყარებას და უმღეროდა მის აყვავებას, მით უმეტეს ჩვენ, ახალ, სოციალისტურ წყობილებას, რომელიც წარმოადგენს ყოველივე იმის განსახიერებას, რაც კი საუკეთესოა კაცობრიობის ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიაში, ძალა შეგვიწევს შეექმნათ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურა, რომელიც შორს მოიტოვებს უკან ძველი დროის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

ამხანაგებო, რას მოითხოვს ცენტრალური კომიტეტი და რა სურს მას? პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სურს, რათა ლენინგრადის აქტივმა და ლენინგრადელმა მწერლებმა კარგად შეიგნონ, რომ დადგა დრო, როცა საჭიროა მაღალ დონეზე ავიყვანოთ ჩვენი იდეური მუშაობა. ახალგაზრდა საბჭოთა თაობამ უნდა განამტკიცოს სოციალისტური საბჭოთა წყობილების ძალა და ძლიერება, სრულად გამოიყენოს საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალები ჩვენი კეთილდღეობისა და კულტურის ახალი უმაგალითო აყვავებისათვის. ამ დიადი ამოცანებისათვის ახალგაზრდა თაობა უნდა აღზარდოს მტკიცე, მხნე, ისეთი, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა, მიღის ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ და უნარი შესწევს გადალახოს ისინი. ჩვენი ადამიანები უნდა იყვნენ განათლებული, უაღრესად იდეური ადამიანები, მაღალი კულტურული, მორალური მოთხოვნილებებისა და გემოვნების მქონენი. ამ მიზნით ჩვენ გვესაჭიროება, რომ ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ჟურნალები თანამედროვეობის ამოცანებს განზე კი არ უდგანენ, არამედ ეხმარებოდნენ პარტიასა და ხალხს — აღზარდონ ახალგაზრდობა საბჭოთა წყობილებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ხალხის ინტერესებისადმი თავდადებული სამსახურის სულისკვეთებით.

საბჭოთა მწერლები და ყველა ჩვენი ოდესოლოგიური მუშაკი ამჟამად დაყენებული არიან ცეცხლის მოწინავე ხაზზე, ვინაიდან მშვიდობიანი განვითარების პირობებში კი არ იხსნება, არამედ, პირიქით, იზრდება იდეოლოგიური ფრონტის და უწინარეს ყოვლისა ლიტერატურის ამოცანები. ხალხს, სახელმწიფოს, პარტიას სურთ არა ლიტერატურის დაშორება თანამედროვე-

ომისაგან, არამედ ლიტერატურის აქტიური შექრა საბჭოთა ყოფილი გველა მხარეში. ბოლშევიკები დიდად აფასებენ ლიტერატურას, მკაცრად აკრძავენ მის დიად ისტორიულ მისიასა და როლს ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, ხალხის დარაზმებასა და აღზრდაში.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სურს, რომ ჩვენ გვექონდეს სულიერი კულტურის სიუხვე, ვინაიდან კულტურის ამ სიმდიდრეში იგი ხედავს სოციალიზმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ლიტერატურის ლენინგრადის რაზმი, რომელიც მორალურად და პოლიტიკურად ჯანსაღია, სწრაფად გამოასწორებს თავის შეცდომებს და შესაფერ აღვილს დაიკავენს საბჭოთა ლიტერატურის რიგებში.

ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ნაკლოვანებანი ლენინგრადის მწერალთა მუშაობაში დაძლეული იქნება და რომ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის იდეური მუშაობა უმოკლეს ვადაში აყვანილ იქნება ისეთ სიმადლეზე, როგორიც საჭიროა ახლა პარტიის, ხალხის, სახელმწიფოს ინტერესებისათვის. (მჭუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

# ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები

ამხანაგ პ. ა. შარიას მოხსენაზე საქართველოს საბჭოთა მხარეთმცოდნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის სესიის მსჯელობაზე



ამხანაგებო!

მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს ბუნებრივ სიტყვის ერთ-ერთ მთავარ და ღირსშესანიშნავ დარგს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალხის სულიერ ცხოვრებაში. უმთავრესად მასში პოულობენ გამოხატულებას ერის სულიერი თვისებები, მისი ხასიათი და ზნეობრივი იდეალები.

ჩვენ ვიცით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ მხატვრულ ლიტერატურას კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. ლენინს არა ერთხელ აღნიშნავს ის დიდი როლი, რომელიც ითამაშა რუსეთის წინა რევოლუციურმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით მისმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ფრთამ ბელინსკის, გერცუნის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვების სახით რუსეთში რევოლუციურ-მარქსისტული იდეოლოგიის შემუშავების და განმტკიცების საქმეში. ლენინიზმი — აზროვნების განვითარების ეს უმაღლესი მიღწევა — ისტორიული შემკვიდრება იმ დიდი ჰუმანისტური და პროგრესიული ლიტერატურისა, რომელიც მოგვცა მეცხრამეტე საუკუნის რუსეთმა.

როცა ამხანაგი სტალინი მეცხრამეტე საუკუნის დამლევეს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქმნიდა ნამდვილ რევოლუციურ ლიტერატურას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ის უქველად იყენებდა იმ ტრადიციებს, რაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა ლიტერატურამ შექმნა. ცნობილია, თუ რა ფართოდ და მოხერხებულად იყენებდნენ ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებლები — ლენინი და სტალინი ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს თავიანთ ბრძოლაში რეაქციის მოციქულების წინააღმდეგ, ყველა ჯურის ოპორტუნისტების და რევიზიონისტების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად, ლენინი და სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ შეზღუდულობას, რაც აუცილებლად ახასიათებს ექსპლუატატორული წყობის ლიტერატურას. ბოლშევიკური პარტიის ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის იმავე დროს ეყო ბრძოლა ნამდვილ ხალხური ლიტერატურისათვის, რომელიც ემსახურება საზოგადოების არა ამა თუ იმ ვიწრო ფენის ინტერესებს, არამედ ხალხის ფართო მასების სულისკვეთებას



გამოხატავს, და მათ ინტერესებს ემსახურება. გაეიხსენოთ, თუ როგორ უწყობდა რადღებოთ ეპყრობოდნენ ლენინი და სტალინი პროლეტარულ რევოლუციის ფუძემდებლის მაქსიმ გორაკის მუშაობას და შემოქმედებას.

პირველად ისტორიაში მხოლოდ საბჭოთა რევოლუციამ გაუხსნა გზა ნამდვილ ხალხურ ლიტერატურას და ამით შექმნა მხატვრული შემოქმედების ისეთი ფართო დიაპაზონი, რომელზედაც წინათ მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა, მაგრამ მხატვრული ლიტერატურის ამ ახალ გზაზე დადგომა არ შეიძლებოდა უმტკივნეულო პროცესი ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ წინა რევოლუციური ათწლედი (1907-1917 წ. წ.) როგორც საესეებით სამართლიანად აღნიშნავდა გორაკი, ლიტერატურის მხატვრული და იდეური დაქვეითებით ხასიათდებოდა, რაც უმთავრესად პირველი რევოლუციის მომდევნო რეაქციის თარეშით იყო გაპირობებული. გორაკიმ ამ პერიოდს რუსეთის ლიტერატურისათვის სამარცხვინო პერიოდიც კი უწოდა სწორედ იმიტომ, რომ ჰუმანისტურ-პროგრესიული იდეების ქადაგების ნაცვლად მწერლების უმეტეს ნაწილმა თავი შეაფარა რეაქციულ მისტიციზმს და დეკადენტურ ნიპილიზმს.

გასაგებია, რომ საბჭოთა რევოლუციით გამოწვეული უდიდესი გარდატეხა ხალხის პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში დაბნეულობას გამოიწვევდა მწერლების იმ ჯგუფში, რომელიც რევოლუციას არც მოელოდა და არც შეეტრფოდა. ამ ჯგუფისათვის რევოლუცია მოასწავებდა ჩვეული იდეური სამყაროს რღვევას და, საესეებით ბუნებრივი იყო, რომ ის მტრულად შეხვდა რევოლუციას, გადაუდგა მას და სხვადასხვა „იზმის“ სახით თავშესაფარის ძიება დაიწყო. მართალია, ბევრი მათგანი თანდათანობით, მას შემდეგ, რაც დაბრუნდა რევოლუციის პოზიციების განმტკიცებაში, შეურიგდა მას, ზოგმა კი თრგანიულადაც შეითვისა რევოლუცია და ნამდვილი საბჭოთა მწერალი გახდა. მაგრამ გარკვეული ნაწილი გაუსწორებელი აღმოჩნდა და ან გაიფანტა ემიგრაციაში ან და მიიმალა ამა თუ იმ კუთხეში, თუ ზერეულში უკეთეს მომავლის მოლოდინში... აღსანიშნავია, რომ სწორედ მათ წრიდან აღმოჩნდნენ „შემონახული“ საბჭოთა სინამდვილეში ზოშჩენკო და ახმატოვა, რომელნიც არა თუ არ განიარაღებულან რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილ მსვლელობაში, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაცოფებულან მათი მყარალი იდეური სამყაროს „გამოცოცხლების“ ყოველგვარი იმედის დაკარგვის გამო. თუ ასეთი ტიპების უბრალო შემონახვაც ჩვენს ლიტერატურაში საბჭოთა მწერლებს კავშირის ხელმძღვანელობით დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, რა უნდა ითქვას ისეთ ხელმძღვანელებზე, რომლებმაც სათარეშოდ მისცეს მათ სერიოზული საბჭოთა ეურნალების ტრიბუნა? საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში, რომელიც საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის განვითარებისათვის და მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობისათვის ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს, ამ მოვლენის ღრმა ანალიზთან ერთად მოცემულია საესეებით სამართლიანი კვალიფიკაცია იმ შეცდომებისა, რაც დაშვებულია სსრკ მწერალთა კავშირის და მისი ლენინგრადის განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ. საესეებით გასაგებია ის გარემოებაც, რომ პასუხისმგებლობას ამ შეცდ.



დომებისათვის იზიარებენ ის პარტიული მუშაკებიც, რომლებიც ამ საქმესთან ხელს იდგენენ.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა რევოლუციის პირველ პერიოდში მწერლების რეაქციულ დაჯგუფებებთან ერთად თავი იჩინა ცრურევოლუციურმა მიმართულებამ ე. წ. „პროლეტკულტის“ სახით, რომელიც ნიპილისტურად უყურებდა კლასიკურ მემკვიდრეობას და რევოლუციურ ფრაზეოლოგიის ნიღბით ლამობდა არსებითად მხატვრული ლიტერატურის გაუქმებას. ცნობილია, თუ როგორი სიმკაცრით გაილაშქრა „პროლეტკულტელების“ წინააღმდეგ ლენინმა, რომელიც არაერთხელ აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რევოლუცია კაცობრიობის მიერ დაგროვილ კულტურის გაუქმებას კი არ ნიშნავს, არამედ პირიქით, ამ მემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისებას და გიგანტური ნაბიჯებით წინ წაწევას.

ის გზები, რომლებიც დაუსახეს საბჭოთა ლიტერატურას ლენინმა და სტალინმა, ორგანიულად იყო დაკავშირებული ჩვენი პარტიის საერთო ლენინურ-სტალინურ გენერალურ ხაზთან, ჩვეს ქვეყანაში სოციალიზმის და კომუნისმის გამარჯვების პერსპექტივასთან. ამიტომ გასაკვირველი როდია, თუ ანტიპარტიული, კონტრრევოლუციური ჯგუფების ბრძოლა პარტიის ლენინურ-სტალინური ხაზის წინააღმდეგ თავის გამოხატულებას პოულობდა აგრეთვე ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, „რაპი“ ტროცკისტულ-ბუხარინული კონტრრევოლუციური ჯგუფის აგენტურას წაჩმობდა და საბჭოთა ლიტერატურაში. თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ჩვენი პარტია ლიტერატურის იდეურ სიწმინდეს, — მოწმობს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები და ძირითადი ამოცანები. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამ ყურადღებით და მზრუნველობით აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, ის დიდი მიღწევები, რაც საბჭოთა ლიტერატურას გააჩნია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იმ გმირთა თაობის აღზრდაში, რომელმაც დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით დაამარცხა ჩვენი ქვეყნის, თავისუფლების და ცივილიზაციის უსაშინელესი მტერი — ჰიტლერული გერმანია, — დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს მშობლიურ საბჭოთა ლიტერატურას.

საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ის გარემოება, რომ სამამულო ომის პერიოდში ჩვენი ლიტერატურა სათანადო დონეზე აღმოჩნდა და ღირსეულად ემსახურებოდა მტერზე გამარჯვების წმინდა საქმეს. მაგრამ ეს მიღწევები და დამსახურებანი ისევე არ აძლევენ ჩვენს მწერლებს „შესვენების“ უფლებას, როგორც მსოფლიო ისტორიული გამარჯვება, რომელიც მიღწეული იქნა მატერიალური და სულიერი ძალების უდიდესი დაძაბვით, არ აძლევს შესვენების უფლებას ჩვენს ხალხს, რომელიც მტერზე გამარჯვების მეორე დღესვე შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას და ახლა ჩამშულია მეოთხე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში. ლიტერატურა ისევე უნდა ეხმარებოდეს ჩვენს ხალხს ამ გმირულ შრომითს ბრძოლაში, როგორც ის ეხმარებოდა მას ომის პერიოდში.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის ისტორიაში მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის იშვიათი სიყვარული, რომელსაც ქართველი ხალხი იჩენს თავისი ლიტერატურის მიმართ, აიხსნება არა მხოლოდ და არა იმდენად მისი სულიერი თვისებებით, რამდენად მისი ისტორიული ბედის თავისებურებით. კულტურულად დიდად განვითარებულ და ამასთან შედარებით მცირერიცხოვან და შვეიღობიანობის მოყვარე ქართველ ხალხს უხდებოდა ხანგრძლივი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის წარმოება კულტურულად უფრო დაბალ დონეზე მდგარ მრავალრიცხოვან დამპყობლების წინააღმდეგ. როცა ის ვერ უმკლავდებოდა მოხვედრულ ურდოებს და მტრის უღელქვეშ ვარდებოდა, თავის ეროვნულ სულისკვეთებას, ნებისყოფის სიმტკიცეს და ბრძოლის და გამარჯვების იდეებს ის ინახავდა და პფურჩქენიდა უმთავრესად თავის ლიტერატურაში. შემთხვევითი როდია ის გარეგნობა, რომ სწორედ თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველაზე ბნელ პერიოდში ქართველმა ხალხმა ერთგვარი კულტი შექმნა მხატვრული შემოქმედების გენიოსის—შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოებისა, რომელიც ხელნაწერებში მრავლდებოდა და ცოტად თუ ბევრად შეძლებული ქართველი ოჯახის ქალიშვილის მხითვის თაყვარი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო.

ცნობილია ის დიდი და მადლიერი გავლენა, რაც დიდი რუსი ხალხის მეცხრამეტე საუკუნის სახელოვანმა ლიტერატურამ იქონია იმავე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. როგორც რუსეთში, ისევე საქართველოშიც ამ პერიოდის მხატვრული ლიტერატურა არა მხოლოდ შემადგენელი ნაწილი იყო იდეურ-კულტურული პროგრესისა, არამედ წინ მიუძღოდა ამ პროგრესს. საქართველოს პირობებში ამას ემატებოდა ნაციონალურ-განმათავის ფლებელი ბრძოლის იმპულსიც, რაც ქართულ ლიტერატურას კიდევ უფრო აქტიურ როლს ანიჭებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პირველი რევოლუციის მომდევნო რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქართულ ლიტერატურასაც დაეტყო ის დეკადანსო, რაც ამავე პერიოდის რუსეთის ლიტერატურას ახასიათებდა. ეს დეკადანსი კიდევ უფრო გაღრმავდა მენშევიკების ბატონობის პერიოდში. ამიტომ საქართველოში 1921 წელში მომხდარ საბჭოთა რევოლუციას ქართული ლიტერატურა კიდევ უფრო დეზორიენტირებულად შეხვდა, ვიდრე რუსეთის ლიტერატურა დიდი ოქტომბრის რევოლუციას. თითო-ორიოლა პროლეტარული შწერლის გარდა, რომელთა ხმას არც ისე დიდი მხატვრული რეზონანსი ჰქონდა, თითქმის მთელი ქართული მწერლობა რევოლუციას უნდობლობით შეეგება—ზოგი პირდაპირ მტრულად, ზოგი გაურკვეველი შიშით, ზოგიც კიდევ ლოდინის ნიშნით.

გავიხსენოთ აშკარა ანტირევოლუციური „აკადემიური ჯგუფი“, რომელიც ეროვნული დროშის მოფარებით რეაქციულ იდეებს ატარებდა. მისი წარმომადგენლები მედიდურად იმეორებდნენ გაცვეთილ ბურჟუაზიულ-რეაქციულ თეზისს: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის რუსულმა და ქართულმა მოწინავე ლიტერატურამ ზიზღით უქუთავდო და მის ნაცვლად ხალხის უანგარო სამსახური დაისაბა პრინ-

ციხად. სინამდვილეში „წმინდა ხელოვნების“ დეკლარაცია მხოლოდ ნიღაბი იყო „აკადემიური ჯგუფისათვის“, რომელიც დრომოკმარის წარსულის იდეალიზაციას ეწეოდა.

გავიხსენოთ აგრეთვე ე. წ. „ცისფერ ყანწულებს“ ჯგუფი, რომელიც დიდი რიხით აგრძელებდა წინარევოლუციურ დეკადენტურ-ნიჰილისტურ გზას და ქართული ლიტერატურის მაღალ იდეურ ტრადიციებს უპირისპირებდა პოეზიის „წმინდა მუსიკას“, რაც სინამდვილეში უაზრო ბგერების და ერთმეორესთან ლოგიკურად დაუკავშირებელი „ლამაზი“ სიტყვების თამაშს წარმოადგენდა.

არ უნდა „ვაწყენიოთ“ კიდევ ერთ ჯგუფს, რომელიც ცოტა უფრო გვიან წარმოიშვა, მაგრამ ისეთი ხმაურით, თითქოს გაუგონარ რევოლუციას მოასწავებდა ლიტერატურაში. ეს გახლავთ ფუტურისტების ჯგუფი, რომელიც ცრუ რევოლუციური ფრაზეოლოგიით ფარავდა იდეურ და მხატვრულ სილატაკეს. ვითარებას არ სცვლის ის გარემოება, რომ სუბიექტიურად ფუტურისტები რევოლუციასთან უფრო ახლო იდგნენ.

ყველაზე ადრე მწერლების ანტირევოლუციური ფრონტი გაარღვია და საბჭოთა პლატფორმას მოაშურა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის უდიდესმა წარმომადგენელმა გალაკტიონ ტაბიძემ. ქართულ ლიტერატურაში მან განიმეორა ის გაბედული და სასახელო ნაბიჯი, რაც რუსულ ლიტერატურაში მისმა უფროსმა სულიერმა მოძმემ ალექსანდრე ბლოკმა გადადგა.

ქართველი მწერლების შეგუება საბჭოთა რევოლუციასთან უფრო მტიკუნული იყო, ვიდრე რუსეთის მწერლებისა. ზემოდ აღნიშნული მიზეზის გარდა, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ლიტერატურაში უფრო იგრძნობოდა ის ძველი უნდობლობა რუსეთის მიმართ, რაც მან ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წყალობით დაიმსახურა. ამ შეგუების პროცესს აქაც, როგორც რუსეთში, საკმაოდ შეუშალა ხელი „რაპის“ ჯგუფმა.

აღსანიშნავია, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობა ისე, როგორც საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის და საერთოდ კულტურის აღმავლობა, დაიწყო მაშინ, როცა საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა ამხანაგი ლავრენტი ბერია.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი ის დიდი მიღწევები, რაც ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ახასიათებს როგორც ომის წინა წლებში ისე, განსაკუთრებით, სამამულო ომის პერიოდში. ეს მიღწევები აღნიშნული იყო ამხ. სიმონ ჩიქოვანის მოხსენებაში და მე განმეორებას არ შეუვლდები.

• • •

თემა ჩემი მოხსენებისა რამდენადმე პრეტენზიულია. მისი მთელი შინაარსის რეალიზაცია ნიშნავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების კრიტიკულ მიმოხილვას და მისი მომავალი გზების დასახვას. ცხადია, რომ მე ამას ვერ მოეახერხებ — ეს რამდენიმე მოხსენების თემა იქნებოდა. ამიტომ მე შევზღუდე ჩემი მოხსენების თემის შინაარსი. ეს მით უფრო მოსახერხებელი და მიზანშეწონილიცაა, რომ ჩვენი ყრილობა ბედნიერი შემთხვევით ისეთი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენ-

ტების გამოქვეყნებას დაემთხვა, როგორცაა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 14 და 26 აგვისტოს დადგენილებანი. მე შევეცდები ქართული საბჭოთა ლიტერატურის უახლესი მიმართული ამოცანების მოხაზვას სწორედ აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად.

ყრილობამ უკვე მოისმინა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება, რომელშიაც მოცემული იყო საკმაოდ ვრცელი და საფუძვლიანი კრიტიკა იმ არაჯანსაღი ტენდენციისა, რამაც თავი იჩინა ქართულ ლიტერატურაში სამშულო ომის მიწურულში და უშუალოდ მის მომდევნო პერიოდში. ეს მე ნაწილობრივ მიმსუბუქებს ამოცანას. ამ თავითვე უნდა აღვნიშნო ერთი რამ: თუმცა უმართებულო იქნებოდა საბჭოთა მწერლების კავშირის ლენინგრადის განყოფილებაში აღმოჩენილ უხეში შეცდომების და იდეური ჩავარდნის მთლიანად და მექანიკურად გადატანა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე, ისევე, როგორც მთლიანად რუსეთის ან სხვა რომელიმე მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურაზედაც, მაინც გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში თავი იჩინა ისეთმა სახიფათო მოვლენამ, რომელმაც, თუ მას ახლავს გადაჭრით არ აღმოვფხვრით, შეიძლება მთელს ჩვენს მწერლობას ხალხის წინაშე დიდი მარცხი აგემოს. მე მხედველობაში მაქვს ერთი მხრივ უიდეო, მხატვრულად მეტად სუსტი და ყოველგვარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებული ლექსების გამოქვეყნება ჩვენს პერიოდულ პრესაში, და, მეორეს მხრივ, ისტორიული თემატიკით გატაცება პროზაში და დრამატურგიაში.

თუ სამამულო ომის პერიოდში მაღალი იდეური პათოსით აფლერდა უადრესად ინტიმური ლირიკის წარმომადგენლების ჩანგიც, თუ საბჭოთა ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას თავის შეძლებისამებრ გამოეხმურა უფროსი და უმცროსი თაობის ყველა მწერალი, დღეს ჩვენ ვამჩნევთ უცნაურ მოვლენას: უსავნო, უიდეო ლირიკის და, მაშასადამე, მხატვრულადც გაუმართლებელ პანგებზე ამღერდა არა მხოლოდ ახალგაზრდა, იდეურად გამოუწრთენელი პოეტების ჩანგი, არამედ ისეთი პოეტებისაც, რომლებიც ჩვენში სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ. ამ პირველ რიგში უნდა დავასახელო ალიო მაშაშვილი, რომელიც ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში თითქოს გამოიცივალა. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ყოყინასავით გაისმოდა ალიო მაშაშვილის სალი, ნამდვილი მოქალაქეობრივი პოეტური ხმა დეკადენტების წინააღმდეგ. ის ყოველთვის ჩენი საბჭოთა პოეზიის მოწინავე რიგში იდგა და ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შესძინა ქართულ ლიტერატურას. მერე თითქოს უცებ დაიბნა, გზას ასცილდა, წაიბორჩიკა და უცხო კალაპოტში ჩავარდა. უკანასკნელი დროის მისი ლექსები უიდეობის და დამყავებული „ფილოსოფიის“ უცნაურ შეზავებას წარმოადგენენ. ვერ გაიგებ, რა აწუხებს მას, ან რა უნდა თქვას. სიუჟეტის ხელოვნურობას თან ერთვის მხატვრული სახეების უხეირობა. ეს ყოველთვის ასე ხდება, როცა პოეტს იდეური საყრდენი არ გააჩნია და რადცა ბუნდოვანი იმაგინაციის სფეროში ფართხალობს. თითქოს ალიო მაშაშვილის ხმას სხვებიც აჰყვნენ. ისეთი ნიჭიერი, რეალისტური სტილის პოეტიც, როგორცაა ვრიგოლ აბაშიძე, ვერ აცდა უიდეო ლირიკით გატაცებას და რამდენიმე ხნის წინათ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი, რომელიც მხატ-

ვრულ წუნს წარმოადგენს მის პოეტურ საგანძურში და ახალგაზრდი თაობაზე მავნე გავლენას ახდენს. თუ გრ. აბაშიძემ უკვე კარგა ხანია შესწავლია ასეთი ლექსების წერა, მისი თაობის წარმომადგენელი მ. ბატაგაძის მიერ შესამჩნევ „ნაყოფიერებას“ იჩენს ამ მხრივ. კამათში გამოსვლისას ის შეეცადა თავის მართლებას, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ ერჩია განუმებულოყო. ქვემოთ მე სხვა საკითხთან დაკავშირებით, შევეხები მისი გამოსვლის ერთ მომენტს, რამაც ჩემში განცვიფრება გამოიწვია.

რა გასაკვირველია, რომ დამწყებმა პოეტებმა მიბაძვა დაიწყეს და „მნათობის“ (ნაწილობრივ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებისა“) ფურცლები აპრელდა მხატვრულად უსუსური, უშინაარსო ლექსებით. ჩვენ ზედმეტად მრგვაჩნია დავსვათ კითხვა, თუ სად იყო ჩვენი სადღეისოდ ერთადერთი მხატვრული ჟურნალის რედაქცია, რადგან მისი რედაქტორი ამხ. მაშაშვილი თვითონ იყო ცუდი მკვლევარის მიმცემი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ზიანი მოაქვს ასეთი ნაწარმოებების გამოქვეყნებას. განსაკუთრებით ნორჩ თაობაში ისინი არაჯანსაღ განწყობილებებს ბადებენ, მის სულიერ ცხოვრებაში ერთგვარი დეზორიენტაცია შეაქვთ. მხატვრულ ლიტერატურას კი, პირიქით, მოეთხოვება ხელი შეუწყოს ჩვენი ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდას. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ აღნიშნული ტიპის „პოეზია“ ვერ უპასუხებს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას და სრულებით არ უწყობს ხელს მისი სულიერი ძალების მოზილიზაციას მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმიდან გამომდინარე დიადი ამოცანების გადასაწყვეტად.

ამ ყრილობაზე გაისმა ხმები — მაშაშვილს და მის მიმბაძველ ქართველ პოეტებს ზომიერებისა და ახმატოვასთან ნუ გავიგივებთო. რა თქმა უნდა, ეს სწორია: სულ სხვაა ზომიერებისა და ახმატოვას პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ფიზიონომია, ისინი უცხონი იყვნენ და ასეთად დარჩნენ კიდევაც საბჭოთა ხალხის იდეური და პოლიტიკური სულისკვეთებისათვის. აქ ერთერთი ორატორი, მგონი ამხ. გაწერელია, საცეცხლურად შეჩერდა დამწყები პოეტი ქალის კალანდაძის დადებით სუბიექტურ-მორალურ თვისებებზე. სხვათა შორის, ობიექტურად სრულიად გაუმართლებელია ის სენსაცია, რაც ამ ახალგაზრდის გარშემო შეიქმნა. გაუმართლებლად მიმანია ისიც, რომ ამ ყრილობაზე ასე ბევრი ილაპარაკეს მის გარშემო. სრულიად არ უარყოფ რა მის ნიჭს, რომელსაც იგი ამტკიცებს ზოგიერთ თავის ლექსში, მე ვაცხადებ, რომ გაზვიადებულია მისი ორიგინალობაც და მისი შემოქმედებითი მიღწევებიც. ამ უეჭველად პერსპექტივიან ახალგაზრდა პოეტ ქალს დათურთი სამსახური გაუწიეს იმათ, ვინც მზრუნველობითი კრიტიკისა და მეგობრული რჩევის ნაცვლად თავბრუდამხვევი ხობა შეასხეს და მოუწონეს ისეთი ლექსებიც, რომლებიც არა მხოლოდ უიდეო და მისტიკურია, არამედ მხატვრულად და თვით ენობრივადაც მეტად სუსტია. ამბობენ, და ეს სასიზარულოა, რომ თვით ახალგაზრდა ავტორი ძალიან თავმდაბალი და თვითკრიტიკულად განწყობილიაო. ეს აცდენს მას თავბრუდამხვევას და ნამდვილ პოეზიისაკენ გზას გაუკაფავს. ოღონდ კრიტიკას ევალეზობდა აღნიშვნა, რომ სანამ მას გარკვეული მსოფლმხედველობა არ შეუმუშავებია, პოეზიის ფართო გზაზე ვერ გავა, ვინაიდან იმპრესიონისტული ფრაგმენტები, რა ხელოვნებითაც არ იყვნენ ისინი შესრულებულნი, ნამდვილ პოეზიას ვერ შეადგენენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ მწერლის სუბიექტურ-პოლიტიკურ განწყობილებას და მისი ხაწარმოების ობიექტური შინაარსის საკითხს. მას შემდეგ, რაც ნაწარმოები გამოქვეყნებულია, მისი იდეური და მხ.ტერულო შინაარსი ხავსებით დასოუკიდებელია მისი ავტორის სუბიექტური განწყობილებიდან. როცა პოლიტიკურად და შორალურად ჯანსაღი ავტორი აქვეყნებს იდეურად მიუღებელ მისტიკურ-კლერიკალურ, დაცემულოის გასამხატველ ხაწარმოებებს, ეს უკახასკნელში ხავსებით ისეთივე უარყოფით გავლენას ახდენენ, როგორც რეაქციულად განწყობილი ავტორის ახლოგოური ნაწარმოებები. დაუძვებელი შეცდომაა ამ ორი მომხატვის ერთი-მეორეში არევა და იდეურად მიუღებელი ხაწარმოებისათვის შეღავათის მოთხოვა იმ მოტივით, რომ მისი ავტორი პატრიოტულად განწყობილი აღამიანია. მწერლის საქმე ხომ მისი სიტყვაა!

• • •

ერთ უნდა აიხსნას ის უცნაური მოვლენა, რომ ქართულ ლიტერატურაში, უმთავრესად ქართულ პოეზიაში, რომელიც ასე ღირსეულად ეხმაურობდა ჩვენი ხალხის დაძაბულ ბრძოლას ომის პერიოდში, სწორედ უდიდესი გამარჯვების შემდეგ გაისმა მინორული ჰანგები, თავი იჩინა ჭესაგნო და უიდეო ლირიკისადმი მიდრეკილებამ? ზოგიერთებმა ამის ასახვლად შეთხზეს უცნაური „შესვენების“ თეორია. ყველამ ვიცით, რომ ომი, მათ უმეტეს თანამედროვე ომი, ხალხის მატერიალური და სულიერი ენერჯის უკიდურესი დაძაბვაა. ფსიქოლოგიურად ხავსებით გასაგებია გამარჯვების შემდეგ ერთგვარი თავისუფალი ამოსუნთქვა, სულიერი დაძაბულობის შემსუბუქება. მაგრამ ეს „შესვენებას“ როდი ნიშნავს! ეს მხოლოდ მომენტია ახალი გაქანებისათვის, შრომითი გმირობის ახალი პათოსისათვის. ესეც რომ არ იყოს, განა „შესვენება“ რალც გაურკვეველი, უიდეო და უსაგნო ბურღლუნი? განა „შესვენება“ სტრიქონების და რითმების ნაწვალები შეყოწიწება, ხელოვნური სიუჟეტის და კომპოზიციის შეთხზვა, მდარე ხარისხის საყოფაცხოვრებო „ფილოსოფიური“ წუწუნი? არა, აქ არაფერ შუაშია თავის თავად გაუმართლებელი „შესვენების“ თეორია! აქ რალც სხვა მიზეზები არის. მე შევეცდები ზოგიერთი მათგანი დავასახელო.

**პირველი:** ექვს გარეშეა, რომ მხატვრული შემოქმედება გარკვეულ ბუნებრივ ნიჭს ემყარება, მისი დაუფლება მხოლოდ მეცადინეობით შეუძლებელია. და თუ მხატვრული შემოქმედების წარმომადგენელს სათანადო იდეური მომზადება არ გააჩნია, მას აღვილად იპყრობს ინდივიდუალისტური განწყობილება, ებადება გამონაკლისობის „არჩეულობის“ ცრუ წარმოდგენა, ვითომც ის ხალხის საზოგადოებრივ შეგნებაზე, მის სულიერ სამყაროზე მალა იდგეს. აქედან სურვილი—ილაპარაკოს რალც „განსაკუთრებული“, ფართო ფენებისათვის „მიუწვდომელი“ ენით, გამობატოს „განსაკუთრებული“, „ზეშთაგონებული“, არა ყველასათვის მისაწვდომი იდეები და გრძნობები. ეს კი პირდაპირი გზაა ხალხისაგა, მისი სულისკვეთებისაგან მოწყვეტისაკენ, უნიადაგო სიმბოლიზმისა და მისტიციზმსაკენ. თუმცა ასეთი მოვლენა ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მე თამამად ვაცხადებ, რომ ამას ჯერ კიდევ აქვს ჩვენში აღ-

გილი და არც ისე გამონაკლისის სახით! ეს კი შედეგია მწერლებს შორის მეტად სუსტი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისა. იდეურ-პოლიტიკური უმეცრება სასტიკად ზღუდავს შემოქმედების დიაპაზონს, უკარგავს მას პერსპექტივას, სწყვეტს მწერალს საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისაგან და უგზო-უკვლო იმპრეციონიზმის წუმვეში აქცევს. მაშასადამე, არ კმარა მხოლოდ სალი პოლიტიკური განწყობილება, რომ მწერალი დაზღვეული იყოს იდეური მერყეობისაგან, საჭიროა ცოდნა, იდეურ-პოლიტიკური მომზადება, რაზედაც ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ ჩვენი მწერლები და კიდევ უფრო ნაკლებად ეხმარება მათ ამ საქმეში მწერალთა კავშირის გამკვობა და მისი პრეზიდენტი.

**მეორე:** მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე მწერლის მოქალაქეობრივი სიმწიფე, რაც მართო მწიგნობრული სწავლის შედეგი როდია. მისი საფუძველია საზოგადოებრივი ცხოვრების არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ცოდნა. ასეთი ცოდნის შეძენისათვის კი საჭიროა პრაქტიკული მოღვაწეობა, მუშაობა რომელიმე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში. ჩვენი მწერლების უდიდესი ნაწილი კი გაურბის ასეთ მუშაობას და არჩევს პროსპექტებსა და პარკებში უმიზნო ხეტიალს. რა თქმა უნდა, თვითონ მწერლობა სრულფასოვანი პროფესიაა ჩვენში, მაგრამ პროფესიული მწერლის დონის მისაღწევად საკმაოდ ხანგრძლივი გზის გავლაა საჭირო. ბევრმა შეიძლება ვერც კი მიიღწიოს ასეთ დონეს, რადგან ლექსების ან მოთხრობების, ან თუ გნებავთ, საშუალო რომანის ყველა ავტორი როდია მოწოდებით მწერალი. ჩვენი მწერალთა კავშირი აერთიანებს ორას ოცზე მეტ წევრს. განა ყველა ისინი პროფესიული მწერლები არიან, ან, თუ გნებავთ, ყველა მათგანი მიიღწევს პროფესიული მწერლის დონეს? რა თქმა უნდა, არა! ჩვენში ზმირია ისეთი ფაქტები, როცა ამა თუ იმ ავტორს ორიოდ ლექსი დაუწერია, ყოყოჩობს — დიდი მწერალი ვარო, ყოველგვარ სამსახურზე უარს ამბობს და ამ ორიოდ ლექსის მრავალგზის დაბეჭდვით და გადაბეჭდვით ამირობს თავისი თავის რჩენას, ზოგჯერ კი მთელი თავისი ოჯახის და ნათესაეების რჩენასაც!

მწერალი უნდა დაუახლოვდეს ცხოვრებას, გაიმსკვალოს საზოგადოებრივი ინტერესებით და ჩაწვდეს ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივას. ამისათვის ის უშუალოდ უნდა ჩაებას ხალხის პრაქტიკულ ბრძოლაში და საქმიანობაში.

**მესამე:** იმის გამო, რომ მწერალთა შორის თითქმის არ სწარმოებს სისტემატური იდეური-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა, მწერალთა კავშირში არ არის შექმნილი სათანადო შემოქმედებითი ატმოსფერო. ამ მშვენიერ სასახლეში იშვიათად ღვივის შემოქმედებითი ცეცხლი — ლექციების, მოხსენებების, გაცხოველებული დისკუსიების სახით. ნაკლებად ხდება ახლად გამოსული მხატვრული ნაწარმოებების ამხანაგური კრიტიკული გარჩევა, არ იქმნება მთლიანი მტკიცე შეხედულება აქტუალურ ესთეტიკურ-მხატვრულ პრობლემებზე, თითქმის ყველა ჩემულობს თავის საკუთარ „თეორიას“, შეხედულებათა „სისტემას“. არ არის შექმნილი ტრადიცია ურთიერთთან შეგობრული შეკრებისა ლიტერატურულ საკითხებზე საბაასოდ. ერთი სიტყვით, კავშირის ან შეგობრული წრეების ფარგლებში მწერალი ვერ პოულობს თავისი სულიერი აქტივობის დაკმაყოფილებას და ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის ეტანება სხვა და სხვა „ლიტერატურის მოყვარულ“ კერძო



წრეებსა და ოჯახებს. ხშირად ეს „ლიტერატურის მოყვარულობა“ მხოლოდ შემჩანური პოზაა და მას არაფერი აქვს საერთო ჩვენი ხალხის ლიტერატურისადმი ნამდვილ სიყვარულთან. ასეთ წრეებში ბატონობს ზედათქმული ლიტერატურული „მოდა“, მსჯელობენ, ბუბნენ, ზოგს ნოტბას ასხამენ, ზოგს ავინებენ (უფრო ზურგს უკან). თუ მწერალს მტკიცე იდეური საყრდენი არ გააჩნია, მას ხიბლავს შემჩანური ხოტბა, ებადება სურვილი სწეროს ისე, როგორც ამ ობიექტულურ წრეებს მოსწონთ (აქ ხშირად მეგობრული და ნათესაობრივი თვალსაზრისიც მოქმედებს) და ამგვარად შემჩანური „ესთეტიური“ გემოვნება იჭრება თვით მწერალთა წრეში. ეს ბუნებრივად ბადებს ამ წრეში მისწრაფებას ასეთი ჩამორჩენალი გემოვნების დაქმნაფილებისა, ხოლო ჩვენი მაღალი საზოგადოებრივი იდეალები, ჩვენი ხალხის გმირული შრომის და ბრძოლის დიდი ამოცანები განზე რჩება. რას აკეთებენ ამ დროს ჩვენი კვალიფიციური კრიტიკოსები? მათი უმეტესობა ვერ ბედავს აღუდგეს წინ ამ შემჩანურ სტიქიას — ვაი, თუ რომელიმე „ლიტერატურის მოყვარულმა“ ღიასახლისმა ცუდად მომახსენიოსო!

საკვირაო მწერალთა კავშირში შეიქმნას ისეთი შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც მოიცავს მწერლის მთელს სულიერ აქტივობას, ყოველმხრივ უპასუხებს მის სულიერ მოთხოვნილებებს. დღეს — საინტერესო ლექცია ხელოვნების თეორიიდან, ხვალ — საინტერესო მოხსენება რომელიმე ნაწარმოების შესახებ, ზეგ — ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი საღამო, მისი მხატვრული გზის და სტილის გარჩევა და ასე შემდეგ — ასე გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი მწერალთა კავშირის პრეზიდენტის და მწერალთა სახლის მუშაობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუნდაც მაღალი იდეურ-პოლიტიკური მომზადება ვერ უშველის მწერალს, თუ მისი ზოგადი კულტურული პოზიციონირება ვიწროა, თუ მან არ იცის ხელოვნების თეორია და ისტორია, თუ ის არაა გაცნობილი მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს. ნუ გეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენში ცოტა რაღია ისეთი მწერალი, რომელიც თავისი ბუნებრივი (და ისიც გაზვიადებული) ნიჭის და ელემენტარული პოლიტიკონისამარა ფიქრობს მიაღწიოს მხატვრული შემოქმედების მწვერვალებს! მათ ავიწყდებათ, რომ შრომისა და ცოდნის გარეშე ნიჭი უნაყოფია.

**შეიძლება:** ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაპიტალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ ცოცხლობენ ადამიანთა შეგნებაში. ეს ნაშთები მარტო ინდივიდუალისტურ განწყობილებაში, საზოგადოებრივისადმი კერძოს დაპირისპირებაში როდი გამოიხატებიან, თუმცა თავის თავად ეს მოვლენებიც სასტიკი ბრძოლის და დაუნდობლად აღმოფხვრის ღირსია. კაპიტალიზმური გარემოცვა მექანიკური ცნება არ არის. ის ასაზრდოებს ჩვენი საზოგადოების შიგნით ჯერ კიდევ დარჩენილ მტრულად განწყობილ ელემენტებს, რომლებიც, მართალია, ვერ ბედავენ თავიანთი მტრული იდეოლოგიის აშკარად გამოხატვას, მაგრამ პასიურად როდი შესცქერიან ჩვენს წინსვლას, ჩვენს გამარჯვებებს. ისინი ყოველგვარ ხერხებს იყენებენ იმისათვის, რომ მოწამლონ ჩვენი ხალხის შეგნება ექვით, შიშით, უნდობლობით. ზოგი საბჭოთა ადამიანი, თუ მას არ შეუსწავლია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები და არ იცნობს საზოგადოების განვითარების კანონებს, ეყრდნობა მხოლოდ თავის სუბიექტიურ პატრიოტულ განწყობილებას, ვერ ერკვევა საზოგადოებრივ იდეათა სფეროში და ადვილად ეგება მტრული იდეოლოგიის მახეში. თუ ეს მწერალს ეხება, გასაგებია, რა გავლენას იქონიებს ეს მის შემოქმედებაზე. ეს უნდა ჰქონ-



ნდეთ მხედველობაში იმათ, ვინც ასე ცხარედ იცავეს მწერლის პროტენზას შინი ნაწარმოებებისაგან მოწყვეტით.

ამასთან ერთად ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ ჩვენშიაც მძლავრად ვითარდება ავტორებს შორის მოიპოვებიან პირნი, რომელთა პოლიტიკური წარსული არც ისე უმწიკველია და დღევანდელი პოლიტიკური კრედიტი არც ისე ნათელი.

მე შევეცადე მოკლედ აღმენიშნა მიზეზები იმ არაჯანსაღი ტენდენციისა, რომელმაც თავი იჩინა უკანასკნელი პერიოდის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ზემოდ ნათქვამიდან ადვილად შეამჩნევთ, რომ ყველა ეს მიზეზი საბოლოო ანგარიშში ერთი მთავარი მიზეზიდან გამომდინარეობს — სრულიად არადაამაკმაყოფილებელი მუშაობიდან მწერალთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში.

ახლა ნება მიბოძეთ შევჩერდე ქართული მხატვრული ლიტერატურის ცალკე დარგებზე და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მოკლედ დავახასიათო ის გზები, რომლებითაც უნდა წარიმართონ ისინი უახლოეს მომავალში.

## ა) პროზა

ზოგიერთის აზრი, თითქოს ქართულ პროზას ისტორიული ტრადიცია არ ჰქონდეს — საცხებით უმართებულა. მართალია, ქართულ პროზას ისეთი შედეგები არ შეუქმნია, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ განა შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის ამ ერთ-ერთ უდიდეს ძეგლს ეანობებოდნენ თვალსაზრისით მივეუდგეთ? მწერალთა ყრილობაზე არა მგონია საჭირო იყოს დასახელება ჩვენი დიდი პროზაიკოსებისა, რომელთა კლასიკური მემკვიდრეობა მუდამ დაამშვენებს მშობლიურ ლიტერატურას. რატომღაც ივიწყებენ, რომ ქართული პროზა ყველაზე უფველესია ქრისტიანული ცივილიზაციის მსოფლიოში (გასაგებია, რომ მე აქ არ ვვულისხმობ ბერძნულ და რომაულ ანტიკურ ლიტერატურას). აბა დაასახელოთ, რომელიც გინდათ ევროპული ქვეყნის იმ ხანის პროზა, როცა ჩვენში ხანძთელის მოღვაწეობას მხატვრულად აღწერდა მერჩული.

ხშირად შეხვდებით ისეთ უცნაურ შეხედულებასაც, თითქოს ქართულ მწერლობას პროზა ისე ორგანიზულად არ ეგუება, როგორც პოეზია, თითქოს თვით ქართული ენის სტრუქტურული სპეციფიკაც უფრო უწყობს ხელს პოეზიას და დიდი პროზა ამ ენის ნიადაგზე ვერ შეიქმნება! თუნდაც მეოცე საუკუნის და განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის მაგალითი ამკარად უარყოფს ასეთ შეხედულებას, მაგრამ არიან ისეთი ურწმუნონი, რომელნიც მზად არიან ფაქტების წინაშე წამოიძახონ: მით უარესი ფაქტებისათვის!

ქართული საბჭოთა პროზის მიღწევები უდავოა და თვით სტალინური პრემიითაც კი არის აღნიშნული. საანგარიშო მოხსენებაში ბევრი ითქვა ამის შესახებ, ასევე კამათში. ამიტომ მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ნაკლოვანებებზე, რომელნიც ჩვენი პროზის პერსპექტივას ძლიერ ზღუდავენ. ანბანური ქეშმარიტებაა, რომ XIX-XX საუკუნეებში დიდი ლიტერატურა საერთოდ, წარმოუდგენელია პროზის გარეშე, მით უფრო წარმოუდ-

გენელია სტალინური ეპოქის დიადი საქმეების მხატვრული ასახვა დიდი პროზის გარეშე.

დღევანდელი ქართული პროზის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლებობა ისტორიული თემატიკით გატაცება. გარდა ლ. ქიაჩელის „გვად“ (ბიზნეს-სტორია) მელმაც სამართლიანად მიიღო მაღალი შეფასება, „მთვარის მოტაცებისა“, რომელიც, ჩემის აზრით, ყველაზე სუსტია კ. გამსახურდიას რომანებში (მე არ ვეხები „დიონისოს ღიმილს“, რომელიც ვფიქრობ თვით ავტორისთვის განვლილ ეტაპს წარმოადგენს) და ა. ჭეიშვილის „ლელოსი“, — უკანასკნელი პერიოდის ქართულ პროზაში არ შექმნილა დიდი ტილო, რომელიც საბჭოთა თანამედროვეობას ასახავს.

ჩვენ არ უარვყოფთ ისტორიული თემის მნიშვნელობას და საჭიროებას, მაგრამ უნდა დავიცვათ ზომიერება! ისტორიას ჩვენთვის უმთავრესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ მისი გაკეთილები გვეხმარებიან თანამედროვე აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში, შემდგომი განვითარების პერსპექტივის დასახვაში. აქედან გამომდინარეობს, რომ ისტორიული თემატიკა დამხმარეს და არა მთავარ ხაზს უნდა წარმოადგენდეს მხატვრულ ლიტერატურაში. ჩვენში კი ეს შეფარდება პირდაპირ შებრუნებულია! ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენმა პროზამ მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს საბჭოთა თანამედროვეობის ღირსეული ასახვა დიდი ტილოების მეოხებით.

პროზის ისტორიული თანხის შესახებ ორი ერთი მეორის მოპირდაპირე აზრი არსებობს. ზოგი ფიქრობს, რომ ისტორიულ თემაზე რომანის დაწერა უფრო ძნელია, ვიდრე თანამედროვე თემაზე, რადგან ის ფართო და ხშირად ძნელად მისაწვდომი ისტორიული მასალის შესწავლას და განზოგადობას მოითხოვს. ზოგი კი, პირიქით ამტკიცებს, რომ ისტორიული რომანის დაწერა მეტად ადვილი საქმეა.

ჩემის აზრით, არც პირველი შეხედულებაა სწორი და არც მეორე. თემას თანამედროვე ცხოვრებიდან არა ნაკლები შესწავლა სჭირია, ვიდრე ისტორიულ თემას. ჯერ ერთი, თანამედროვე სინამდვილე გაცილებით უფრო რთულია, უფრო მდიდარია. შემდეგ, მდიდარ, მრავალფეროვან კონკრეტულ თანამედროვე მასალას მხატვრული განზოგადობა ესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში მწერალი ვერ ასცდება პოზიტივიზმს, სინამდვილის ფორტოგრაფიულ აღნუსხვას, რასაც არავითარი მხატვრული-იდეური მნიშვნელობა არა აქვს. ეს გარემოება — რომ თანამედროვე ცხოვრებას უფრო სერიოზული დაკვირვება და შესწავლა სჭირია, ვიდრე ისტორიულ მასალას, — ყველანაირადი აქვს გათვალისწინებული. ამით აიხსნება, რომ ზოგი ავტორი ისტორიული თემატიკის სფეროში უფრო წარმატებით მუშაობს, ვიდრე თანამედროვე სინამდვილის ასახვის სფეროში. მე უკვე აღვნიშნე, რომ კ. გამსახურდიას რომანებში სწორედ ის რომანი, რომელიც თანამედროვეობას ეხება („მთვარის მოტაცება“) სხვებზე გაცილებით სუსტია იდეურადაც და მხატვრულადაც. იგივე შეიძლება ითქვას ა. ბელიაშვილზე. მისი რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ გაცილებით უფრო სერიოზული ნამუშევარია, ვიდრე მისი თანამედროვეობის ამსახველი მოთხრობები და ნოველები. მაგალითად „ქარიშხალი“, რომლის ბეჭდვა თვითონ ავტორმა შესწყვიტა მკაცრი და სამართლიანი კრიტიკის გამო, მეტად ზერელე და დაუმუშავებელია. ის აშკარად ამეღავენებს, რომ ავტორი არ ჩაწვდომია სინამდვილეს.

რომლის აღწერას იგი ხელს ჰკიდებს, არ შეუწყავლია თავისი გმირების სულიერი სამყარო და მათი გარეგნული ურთიერთობის ქაოტურ უმსკლამო წარმოადგენს ნაწარმოების შინაარსს. საერთოდ ეტყობა, რომ უცვლელად ნიჭიერი პროზაიკოსი ა. ბელიაშვილი უფრო გატაცებულია დამინტერესებელი სიუჟეტით, ვიდრე მასალის, კერძოდ, ენობრივი მასალის მხატვრული დამუშავებით. ის გადაჭარბებულ როლს ანიჭებს სიუჟეტს, ხშირად მისდევს სიუჟეტის „პიკანტობას“ და ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირსება ავიწყდება. მისი ნოველებისაგან მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მას გამოუმუშავებული ჰქონდეს სიუჟეტური სქემა, რადგან ნოველები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სიუჟეტური მასალით, და არა კომპოზიციით, ისე, როგორც არითმეტიკაში არსებობს გარკვეული ტიპის ამოცანები, რომლებიც ურთიერთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ რიცხვობრივი კომპონენტებით, ანდა გარკვეულ აღგებრულ წესში თქვენ შეგიძლიათ მოაქციოთ სხვა და სხვა მნიშვნელობის იქსები და ივრეკები.

ღროა გაიგონ ჩვენმა მწერლებმა, რომ თანამედროვე ცხოვრების ღრმა შესწავლის გარეშე ისინი ვერ შექმნიან ჩვენი ეპოქის შესაფერ ტილოებს, რომ თანამედროვე სინამდვილის შესწავლას უფრო მეტი დაკვირვება და შრომა სჭირია, ვიდრე ისტორიული მასალის შესწავლას.

ნოშნავს თუ არა ეს, რომ ისტორიული რომანის დაწერა ისე ადვილია, როგორც, მაგალითად, ამხ. შანშიაშვილს წარმოუდგენია? რა თქმა უნდა, არა! მართალია, რამდენად ისტორიული რომანის გმირი ყოველთვის ისტორიული მოღვაწეა, ხოლო ისტორიული მოღვაწის სახე უკვე შექმნილია ხალხის მიერ და თვით ისტორიაში ფიქსირებული, ავტორს მეტად უადვილდება გმირის ტიპიზაციის ამოცანა. ის მხოლოდ მხატვრულ ელფერს აძლევს გმირის ისტორიულად შემუშავებულ სახეს. მაგრამ ეს ხომ მწერლის შრომის ერთი ნაწილია! მან უნდა მოგვეცეს არა ისტორიული ქრონიკა, არამედ მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ისტორიული პირები ცოცხლდებიან, მრავალფეროვან ურთიერთობაში იმყოფებიან გარემოსთან — სხვა პირებთან, მთელ ხალხთან, საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ეს კი მოითხოვს შეძლებისამებრ კონკრეტულ, მხატვრულ აღდგენას იმ სინამდვილისას, რომელშიც ისტორიული გმირი მოღვაწეობდა, როცა კრიტიკოსი ამგვარ შრომას აბიპრუებს, ერთი თვითონ სცადოს და ვნახოთ, რა გამოუვა.

ს. შანშიაშვილმა კ. გამსახურდიას ყველა რომანის ასეთი გაბიპრუება სცადა. არა გამოსარჩლების, არამედ სამართლიანობის დაცვის მიზნით მე უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი კრიტიკა არა ობიექტიური და ტენდენციურია. კ. გამსახურდია ისტორიული ჟანრის ერთ-ერთ საუკეთესო მწერალს წარმოადგენს მთელს საბჭოთა ლიტერატურაში, მას ცოტა ღვაწლი როდი მიუძღვის ჩვენა დიდებული ისტორიული წარსულის მხატვრულ ასახვაში, უდავოა, პორნოგრაფიის (იქნებ უფრო სწორი იყოს „ნატურალიზმის“) ელემენტები უთუოდ ჰხასიათებს კ. გამსახურდიას რომანებს ისე, როგორც ამ ცოდვას ვერ ასცდა სამწუხაროდ ა. ბელიაშვილიც თავის ისტორიულ რომანში, მაგრამ ისეთი განზოგადოება, თითქოს გამსახურდიას რომანების ყველა გმირს ეროსი და ავადმყოფური ვნება ამოძრავებდეს — უმართებულოა.

მე წინათაც აღმინიშნავს და ახლაც ვაცხადებ, რომ კ. გამსახურდიას რომანებს გარკვეული ნაკლი გააჩნია. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება სტილსა და ენას. ექვს გარეშეა, რომ ისტორიული ჟანრის მწერალი ვალდებულია



ალაპარაკოს თავისი გმირები იმ ენაზე, რა ენაც მათ დროს არსებობდა და ეს ავტორს დამატებით სიძნელეებსაც უქმნის, მაგრამ ამ მხრივ მას უმსახურდია უეჭველად აპარებებს. კიდევ მეტი, საკუთრივ მისი, როგორც ავტორის, ლექსიკოლოგიაში ჭარბად ვხვდებით ენობრივ არქიზმებს. ამხ. გამსახურდია ცდილობს ამის გამართლებას ენის გამდიდრების მოტივით. ამაში ჩვენ მას ვერ დავეთანხმებით. მართალია, ენა, როგორც ყოველი ფორმა, უფრო კონსერვატიულია მისი შინაარსის—აზროვნების—განვითარებასთან შედარებით, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ენა სტატიურია და არ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად? თუ განზე დაეტოვებთ მკვლარ ენებს, რომლებმაც თავიანთ სიკვდილამდე უკვე დამთავრეს განვითარების პროცესი და ამიტომ უცვლელად რჩებიან, ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ცოცხალ ენას მსოფლიოში, რომელიც არ ვითარდება და თანდათან არ იცვლება. ენის ცოცხალი განვითარების პროცესში გადავარდნილი და სათანადო, უფრო შესაფერი კორექტებით შეცვლილი თერმინების ხელოვნურ აღდგენას ისევე ვერ ვუწოდებთ ენის გამდიდრებას, როგორც, მაგალითად, ისტორიულად არსებული, მაგრამ დღეისთვის უკვე დრომოკმეული პოლიტიკური და ეკონომიური ინსტიტუტების აღდგენა არ იქნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების გამდიდრება. სულ სხვა საკითხია, როცა ავტორი, მწერალია ის თუ მეცნიერი, ცდილობს ახალი, ჯერ კიდევ თერმინოლოგიურად ჩამოუყალიბებელი ცნებებისათვის, (რომელთა არსებობა სწორედ ადასტურებს აზროვნების უფრო სწრაფ განვითარებას ენასთან შედარებით) ადექვატური თერმინის გამოჩახვას და ამ შემთხვევაში ან უშუალოდ გამოიყენებს ამა თუ იმ მივიწყებულ სიტყვას, ან მისი გამოყენებით სრულიად ახალ სიტყვასაც შემოიღებს.

ამხ. ჩიქოვანმა სამართლიანად შენიშნა, რომ კ. გამსახურდიას არა სწორად აქვს წარმოდგენილი წარმართობის და ქრისტიანობის ბრძოლა საქართველოში. ამასთან დაკავშირებით მე მინდა ერთი მოსაზრება გავიზიაროთ. ზოგიერთმა მეტად პრიმიტიულად წარმოდგენია ქრისტიანობის ისტორიული როლი და მას აფასებს რელიგიისადმი ჩვენი დღევანდელი დამოკიდებულებით. ჩვენ არ გვწამს არც ერთი რელიგია (და არა მხოლოდ ქრისტიანული), რადგანაც ის ოპიუმია ხალხისათვის. ნუ თუ ეს აქვს მხედველობაში კ. გამსახურდიას, როცა ის თავის რომანებში გარკვეულ სიმპატიას იჩენს წარმართობის მიმართ უკანასკნელის ქრისტიანიზმთან ბრძოლაში? რა თქმა უნდა, არა! ჩვენს ცნობილ მწერალს არ უნდა დაეწამოთ ასეთი პრიმიტივიზმი. მაგრამ ეტყობა, რომ მას წარმართობა უფრო დადებით მოვლენად მიაჩნია ქრისტიანიზმთან შედარებით. ეს კი დიდი შეცდომაა! ჯერ ერთი—წარმართობა თვითონ რელიგიაა და თანაც გაცილებით უფრო პრიმიტიული, ვიდრე ქრისტიანიზმი. შემდეგ, წარმართობა მხოლოდ რელიგიაა და კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს არ შეიცავს. ქრისტიანიზმი პროგრესიული იყო წარმართობასთან შედარებით არა როგორც რელიგია, ვინაიდან ყოველი რელიგია, როგორც ასეთი, ე. ი. როგორც კულტი, რეაქციულია, არამედ როგორც ამავე დროს გარკვეული მორალურ-პოლიტიკური კონცეპცია, რომელიც იმ თავითვე უკავშირდება ცივილიზაციის პრობლემას.

ქართველი ხალხისათვის და სახელმწიფოსათვის ქრისტიანობა შეადგენდა არა იმდენად რელიგიის საკითხს, რამდენად კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის საკითხს. აქ სამართლიანად აღინიშნა — მგონი მწერალ ნინო ნაყაშიძის მიერ, — რომ ქართველები არასოდეს არ ყოფილან ფანატიკოსები რელიგიის დარგში. მაშ რით უნდა ავხსნათ, რომ არა ერთი ქართველი მოღვაწე იქნა წამებული გამაჰმადიანებაზე უარის თქმის გამო? ეს იმით აიხსნება, რომ ისინი ქართველ ხალხთან ერთად რჯულის და რწმენის საკითხს უკავშირებდნენ ეროვნული კულტურის და ცივილიზაციის საკითხს.

სწორედ ამიტომ ნიშნავდა ხალხის შეგნებაში რჯულის შეცვლა სამშობლოს ღალატს.

კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს — მათში სჩანან უმთავრესად მეფეები, სარდლები, თავადნი და დიდებულნი, — ხალხი კი ნაკლებად სჩანს. ამხ. გამსახურდია გვეტყვის, რომ მას არ დაეწიებია ხალხის წარმომადგენლები და ისინი მართლაც გვხვდებიან მის რომანებში, მაგრამ, როგორც დიდებულთა და წარჩინებულთა მსახურნი. ეს ხალხის ჩვენება როდია! რა თქმა უნდა, რომანისტს ვერაფერს მოსთხოვს ხალხის ჩვენებას მასის სახით, მაგრამ ხალხის წარმომადგენელნი ხალხის სახელით უნდა ლაპარაკობდნენ, ხალხის მისწრაფებებს უნდა გამოხატავდნენ და არა წარჩინებულთა უბრალო დანართნი იყვნენ.

რამდენიმე სიტყვა ა. ბელიაშვილის ისტორიული რომანის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ბევრი უმუშავეია ისტორიულ მასალაზე, მაინც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მას ეს მასალები ვერ დაუძლეოია. ერეკლეს ბუმბერაზი ფიგურა რომ.წმში დაპატ. რაგებულად მოსჩანს. ვინ დაიჯერებს, მაგალითად, რომ მონარქი-სარდალი, რომლის წინაშე შაშით ძრწოდნენ ძლიერი შაჰები და სულთანები, საგანგებოდ გაუშკლავდებოდა ორთა ბრძოლაში ავანტიურისტ მალაჩინს მას შემდეგ, რაც ომის პედი უკვე გადაწყვეტილი იყო ქართველთა სასარგებლოდ! სხვა საკითხია შეტაკება თვით ბრძოლის პროცესში, სადაც მეფე-სარდალი უფრო ნაკლები ღირსების მეომრის მოკვლასაც არ დაერიდებოდა. ისტორიასაც სწორედ ასე აქვს გადმოცემული ერეკლეს მეორე კოტა ბელადის მოკვლის ამბავი.

მეტად სადაოა (თუ მეტს არ ვიტყვი) ტოტლებენის ფიგურაც. რომ ის მექრთამეც იყო და მოღალატეც, ეს ცნობილია, მაგრამ არაა დამაჯერებელი, თითქოს წინაღობით შენდობილი და სპეციალური მისიით საქართველოში წარმოგზავნილი ტოტლებენი მრისხანე დედოფალ ეკატერინესაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას გაბედავდა.

სოლომონ თავაძის რომანი „კავკასიის კარებთან“ სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ჩვენს პრესაში და მასზე მე არ შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ კრიტიკა გაცილებით უფრო მკაცრი შეიძლებოდა ყოფილიყო.

არ შემიძლია გვერდი აუღარო ერთ პროზაულ ნაწარმოებს, რომელიც უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს როგორც ფორმით, ისე შინაარსით. მხედველობაში მაქვს ი. ლისაშვილის რომანი „სიცოცხლისათვის“. თუ ჩვენ ვილაშქრებთ ისტორიული თემატიკით უზომოდ გატაცების წინააღმდეგ, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ აქტუალურ თანამედროვე თემაზე დაწერილი



ყოველგვარი ნაწარმოები გვაკმაყოფილებს. პირიქით, ვინც თანამედროვე თემაზე ცუდად სწერს, უფრო მეტ ზიანს აყენებს საბჭოთა ლიტერატურას.

ორმაგი ცოდვა ჩაუდენია ი. ლისაშვილს: ერთი ის, რომ მან არ იცის საგანი, რაზედაც სწერს; მეორეც—რომ ის გასაოცარ უღარდულობას იჩენს მხატვრული ფორმის მიმართ. მკითხველი უნებლიეთ იფიქრებს, რომ ავტორი სიტყვების და ფრაზების იმ კონსტრუქციებით დაკმაყოფილებულა, რაც პირველად მოუვიდა თავში. საკვირველია, რომ რეცენზენტებს და ეურნალის რედკოლეგიის წევრებს შორის არც ერთი არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და არ ურჩია ამხ. ლისაშვილს თავი შეეკავებია ასეთი მდარე ხარისხის ნაწარმოების გამოქვეყნებისაგან. ვისაც წაუკითხავს, არ მგონია ნიმუშები დასჭირდეს. აი, სახელდახელოდ გავშლი წიგნს თქვენს წინაშე და რომელი გვერდიც არ უნდა შემხედდეს, „მარგალიტებს“ წაეაწყდებით: „ვახტანგმა ერთის გადახედვით(?) თვალი გადაავლო (?) მთელს თავის ცხოვრებას... რადგანაც დრო იყო, დაებადა სურვილა, ერთხელ კიდევ, ახლა უკვე სიტყვებით (?) განეცადა განვლილი ცხოვრება“ (გვ. 4-5); „ბავშვობიდან (?) ბედნიერ შემთხვევად ვსთვლი და ახლაც (?) მახარებს, რომ მე და თვით (?) დიდი რევოლუცია ერთ დღეს ვართ დაბადებულნი (?)“ (გვ. 5); „დედაჩემმა შეჰყრა ბარგი, მიმიყვანა ჩემს მეგობრებთან, ურთიერთი დაგვაკონინა (?)“ (გვ. 7); „გარბოდნენ წლები, გავრბოდი ჩვენც (?)“ (გვ. 15); „დავადგინოთ და ყარაჰანის სიტყვები ვაუზავენოთ (?) რაიონს“ (გვ. 28-29), მე აქ მომყავს ფორმის მხრივ უხეირო გამოთქმები. შეუძლებელია ციტირების საშუალებით გადმოიციეს ის უმწეობა, რაც ავტორის სტილს ახასიათებს აზრთა შინაგანი კავშირის და მომქმედი პირების ქცევის მოტივაციის მხრივ. მაგ. ავტორი ზშირად სწერს: „იციინოდნენ“, მაგრამ ვერ გაიგებ, თუ რატომ იციინოდნენ. რეალიზმი ავტორს მეტად უცნაურად წარმოუდგენია: როცა ვახტანგი ჰყვება თავის ცხოვრებას, ის ჩერდება უმეტეს შემთხვევაში, ისეთ უმნიშვნელო ფაქტებზე, რომელთაც არა მარტო ლიტერატურაში, არამედ დამის გასათევ ლაზღანდარობაშიაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ყოვლად დაუშვებელია კოლმეურნეობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით სოფლად გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის ისეთი გაუბრალოება, როგორც ეს ი. ლისაშვილის რომანშია წარმოდგენილი. თორმე უკმაყოფილო ელემენტები ლაშით ლორებს აგროვებდნენ და საკოლმეურნო ყანებში უშვიბონენ! ამას ვერაინ უშეილა მანამდე, სანამ ბავშვები არ შეიკრბნენ ერთ ღამეს და არ დაუხედნენ მტრების მიერ შემოჩენილ გლეხს, რომელიც ყანაში ლორებს შორეუკობდა. ბავშვებმა ვერ მოახერხეს მისი ხელთ ჩაგდება სხვანაირად, ვიღარი ტან-ფეხთ გაიხდიდნენ და ქინკებს დაეწავსებოდნენ!

წარმოუდგენელია აგრეთვე ის პრიმიტივიზმი, რომელსაც ავტორი ამგაღენებს ყველაზე უფაქიზესი გრძნობის—ქაბულობის სიყვარულის—ამოხატვაში. მას რატომღაც დივიწყებია ის მოკრძალება, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებს ახასიათებს, ის ერთგვარი მორცხობა, როდესაც შეყვარებული ახალგაზრდა ცდილობს ხალხში თავისი გრძნობები დამალოს. შეხედვით თუ არა ერთმანეთს ახალგაზრდები—წყვილებად იყოფან: ვახტანგი „მიჩერდება“ დარეჯანს, თენგიზი—ქეთევანს, სიყვარულის გრძნობის გაუხეშებაში ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის. ახალგაზრდობის ჯგუფში, რომელიც ჩვეულებრივ იკრიბება სოფლად და რომელიც იმ წამსვე შეყვარებულ წყვილებად დაიყოფა, ორი „უბედური“ ურევია—სარდიონი და თინა, რომ-

ლებსაც ერთმანეთი არ უყვართ, მაგრამ წყვილებიც არ გაიხნიათ. როცა სხვები წყვილ-წყვილად დაიშლებიან, მათ რაღა რჩებათ გარდა იმისა, რომ თვითონაც „წყვილად“ იარონ. თუ რა მოჰყვება ამას, ნება ამბობს მისი სიტყვებით გადმოგვით: ჩვენი წაბაძვით (!) თინამ და სარდიონმა იმდენი იარეს ერთად, რომ დაგვასწრეს (!!) და საქმე დაქორწინებით დააგვირგვინეს. ახლა, დროც აღარა ჰქონდათ (!!!) სახლიდანაც იშვიათად გამოდიოდნენ და თუ ესთხოვდით, გამოსვლის ნაცვლად დაგვეცინოდნენ კიდევაც...

— იარეთ მასე ხაზგამშრალნი (!!!!) და ეშხით დანწვარნი, სანამდის გააძლებთ, მაგასაც ვნახეთ! — ამბობდა სარდიონი“ (გვ. 97). კომენტარი ზეუმეტია.

თუ ზემოდ აღნიშნული შეეხება ნაწარმოების მხატვრულ და იდეურ სისუსტეს, მე ავტორის პირდაპირ დანაშაულად მიმაჩნია ის გარემოება, რომ მეორე ნაწილში ის ხელს ჰკიდებს ფრონტისა და საომარი მოქმედების ასახვას იმ დროს, როცა არც ერთი და არც მეორე თვალთაც არ უნახავს და, როგორც სჩანს, დოკუმენტებითაც არ შეუსწავლია. ეს უპატივცემლობაა ჩვენი არმიის მიმართ, ჩვენი ხალხის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის მიმართ. ავტორი მარტო ტექნიკურ შეცდომებს როდი უშევს ფრონტის აღწერაში. მას არ ესმის მეომართა სულიერი ცხოვრება, მათი სულისკვეთება. ეს გასაგებიცაა ჯერ იმ მწერლებსაც, რომლებმაც თვეები დაჰყვეს ფრონტზე, უძნელდებოდა ჩვენი მეომრის სულიერი სამყაროს ჩაწვდომა. განა ამხ. ლისაშვილი ორიოდ ნაცნობი მეომრის ნაამბობით შესძლებდა სამამულო ომის ფრონტის სურათის მოცემას?

მე იმიტომ შევჩერდი შედარებით ვრცლად ამხ. ლისაშვილის ნაწარმოებზე, რომ ისტორიული თემატიკით გატაცებაზე, ან თუ გინდ უსაგნო, უიდეო ლირიკისაღმის მიღრეკილებაზე ნაკლებ საფრთხეს არ წარმოადგენს ხალტურა, ამოფარებული თემის აქტუალობას. ამხ. ლისაშვილს წერა შეუძლია, მას მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა, როცა ასეთ მნიშვნელოვან თემას ჰკიდებდა ხელს.

თქვენ მოგვხსენებთ, რომ ხალტურა პროზის დარგში არც ისე იშვიათი იყო „მნათობის“ უკანასკნელი წლებს ნომრებში. საკიროა რედაქციებმა მეტი სიფხიზლე და პრინციპულობა, მკითხველისაღმის მეტი პატივისცემა გამოეჩინონ.

## ბ) კოეზია

საანგარიშო მოხსენებაში ბევრი ითქვა ქართული საბჭოთა პოეზიის უკანასკნელი პერიოდის მიღწევებზე. მე სავსებით ვეთანხმები ამხ. ჩიქოვანს იმაში, რომ მთავარი მიღწევაა ჩვენი დიდი ბელადის მხატვრული სახის შექმნა ჩვენი პოეტების მიერ, ამ მხრივ არ მგონია რომელიმე სხვა საბჭოთა ხალხის პოეზია შეედრებოდეს ქართულ საბჭოთა პოეზიას.

აღსანიშნავია აგრეთვე სამამულო ომის გმირის მხატვრული ასახვა როგორც პირად მიძღვნებში, ისე გმირის განზოგადოებული ტიპის მოცემაში, ხაერთოდ ხალხის გმირობის ჩვენებაში. შრომის პეროიკა სამამულო ომის პერიოდში თუმცა უფრო მკრთალადაა ასახული, მაგრამ შეიძლება ითქვას,



რომ თვით თემა განზე არ დაჩენია ჩვენს პოეზიას, რასაც მოწმობს რამდენიმე შესანიშნავი ლექსი, მიძღვნილი შრომითი გმირობისადმი. ყველა ეს მიღწევა ცხადია და მათ ვერაინ წაართმევს სიმართლეს პერიოდის ქართულ პოეზიას. ჩვენ კი ამ ყრილობაზე უმთავრესად ნაკლი უნდა გამოვამყავნოთ და მათ გამოსწორებაზე ვიმსჯელოთ. ზემოთ უკვე ვილაპარაკე იმ არაჯანსაღ ტენდენციებზე, რაც სამამულო ომის მომდევნო პერიოდის ქართულ პოეზიას დაეტყო. სურათის მეტი სისრულისათვის მიწადა კიდევ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო. ჩვენში ხშირად პოეზიის მაღალ ცნებას აჭვეითებენ ლექსის წერის უბრალო ტექნიკამდე. საკმარისია რომელიმე ავტორმა გამოამყავნოს „ახალი“ რიტმის ან რითმის, თავისებური „ლაშაზი“ სიმბოლიური მხატვრული სახის „მიგნება“, რომ მას მაშინვე პოეტის მაღალი სახელი უბოძონ და ისიც უსათუოდ ნიჭიერის. იმას კი არ დაეძებენ, თუ რას გამოხატავს ავტორი, რამდენად მნიშვნელოვანია თემა, რომელსაც ის ეხება და რა იდეებია ჩაქსოვილი ნაწარმოებში. ვადაქრით უნდა ითქვას, რომ ჩვენს სინამდვილეში მწერლის (მამასადამე პოეტისაც) მაღალი სახელის ტარების უფლება აქვს მხოლოდ მას, ვისაც რაღაც სათქმელი გააჩნია ხალხისათვის. ვინც მხატვრულად გამოხატავს გარკვეულ საზოგადოებრივ იდეებს, ვინც ეხმაურება ხალხის მისწრაფებას და სულისყვეთებას.

თუ გადაფურცლავთ „მნათობის“ უკანასკნელი წლის ნომრებს, თქვენ ბლომად დაინახავთ ლექსებს, რომლებიც ავტორების საკუთარ დღიურებს, ან მათი ნაცნობი ქალიშვილების ალბომებს უნდა „ამშვენებდეს“ და არა მწერალთა კავშირის ორგანოს. თურმე ბ. კეშელავს აწყენია ვიღაც ქალწულმა, — ხუმრობა ხომ არ გგონიათ! ბედკრულმა ამით პოეზია შელახა, ხელი აღმართა პოეზიის და ხელოვნების წმინდა სამყაროს წინააღმდეგ (დააკვირდით, რა პრეტენზია ჰქონია ავტორს!). მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს ეს ამბავი უხეირო სტრიქონების მეშვეობით, თვით თავხედმა ქალწულმაც „მნათობის“ ფურცლებიდან უნდა ისმინოს განრისხებული „მგონის“ მუქარა, რომ ის მალე დაქცნება ყველას მიერ ათვალწუნებული (მან ხომ მგოსანს აწყენია!), ხოლო სხვა მრავალი უფრო ღირსეული ქალწული მზადაა ტრფიალით შეეგებოს მგოსანს.

„მნათობის“ 5-ნ ნომერში დაბეჭდილია უცნაური ლექსი „დიდ ხელებს“. უცნაურია ის შინაარსითაც, ფორმითაც. მაგრამ მე უფრო ვაპოცა მისი ავტორის, შატბერაშვილის, გამოსვლამ. მის მაგიერ მე გაეწითლდი და ვფიქრობ, ბევრ თქვენგანსაც ასე დაემართა, როცა მას უსმენდა. ინტიმ-რა მეგობრისადმი უფაქიზესი გრძნობის უხეში შელ ხევა, როცა ის საჯაროდ გამოაქვთ. პე სრულებით არა ვარ წინააღმდეგი ასეთი გრძნობის პოეტური გამოსახვისა, მაგრამ ამისათვის სხვა ფორმები და ხერხები არსებობს. მეტყვიან, რომ ინტიმური გრძნობის განდევნა პოეზიიდან ლირიკის სიკვდილი იქნებოდაო. სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ ერთია ინტიმური გრძნობა, განსახიერებული პოეტური განზოგადოებით, და მეორეა ინტიმური გრძნობა კონკრეტული. პიროვნული ხასიათისა. მაგალითად, ერთია, როცა პოეტი სწერს სიყვარულზე, მეგობრობაზე და სხვ. აქ მისი საკუთარი ინტიმური გრძნობებიც გვევლინება განზოგადოებული სახით, რადგან აღნიშნული თემის ლექსებს ჩვეულებრივ ისინი აძლევენ მოტივს. სულ სხვაა, როცა პოეტი აჭვეუნებს ლექსს თავის სიყვარულზე კონკრეტული პირის მიმართ. თუ ეს გრძნო-



ბა ნამდვილია, მისი შელანძღვა და შეურაცყოფაა მასზე სხვაგვარად ლაპარაკი; თუ ის ნამდვილი არ არის, მაშინ მით უმეტეს გაუგებარად დასაჯება და ცინიზმი. მე განგებ ვუსვამ ხაზს წერის და გამოქვეყნების უმსხვერპლად, ვინაიდან პოეტს უფლება აქვს გალექსოს თავისი ყოველი განცდა და შთაბეჭდილება—მათთვის დღიურები და ალბომები არსებობენ. პოეტის პიროვნების მნიშვნელობის მიხედვით ისინი ოდესმე შეიძლება გამოქვეყნებულ იქნან კიდევ, როცა ავტორი უკვე მხოლოდ ხალხის შესიერებაში ცოცხლობს.

ინტიმურ გრძნობათა პოეტური განზოგადოება დიდ ტაქტს და სიფაქიზეს, დიდ იდეურ სიღრმეს მოითხოვს ავტორისაგან, რათა უხამსობა არ გამოვიდეს. მაგ. „მშათობის“ ამა წლის 5-ნ ნომერში მოთავსებულია მ. ქელიძის ლექსი „ქარი და ისინი“. აღარაფერს ვამბობ ლექსის უმწობაზე ფორმის მხრივ რა მხატვრულ-ესთეტიკური შთაბეჭდილება უნდა დასტოვოს მკითხველზე შემდეგმა სტრიქონებმა:

„მერე: მოვიდა ვაჟი და ქალი,  
როგორც მისი, ქარი და წვიმა (?!)  
და ვაჟმა ქალი, ბლერსით შთვრალი  
ხესაიით მკლავზე გადაიწვინა.  
ხარბად დაკონა გიშერი ტალღის,  
და ვაჟის ცემლი ჩამოაწვეთა (?!)“.

განა ლირიკაა ეს? თუ მეტს არ ვიტყვით, ეს უხეში ნატურალიზმია, რომელსაც პოეზიასთან არაფერი აქვს საერთო.

აი კიდევ ერთი ნიმუში, რომლის ციტირების გამოც ბოლში უნდა მოვიხადო მსმენელების წინაშე:

„მოვეფარეთ ბუჩქებს  
და ტუჩები ტუჩებს  
დავაკონეთ მორცხვად“...

შემდეგ კი ლაპარაკია, თუ როგორ ასრულებენ ო. ქელიძის „ორნი“, „სიყვარულის ლოცვას“. სამარცხვინოა, როცა ასეთი სტრიქონები იბეჭდება ჩვენს ლიტერატურულ ორგანოებში.

პოეტს არა მარტო აქვს უფლება, არამედ ის ვალდებულიცაა თავისი ინტიმური გრძნობები და იდეალები გამოხატოს. მაგრამ ამაზე მან თავისი ნაწარმოების გმირები უნდა აღაპარაკოს, ან პოეტური განზოგადოების სხვა ცნობილ ხერხებს მიმართოს. მხოლოდ ამგვარ განზოგადოებაში პოელობს რწმენი ლირიკა ობიექტურ, საზოგადოებრივ მნიშვნელობას და გარკვეულ აღმზრდელობითს როლს ასრულებს.

სამწუხაროა, რომ ზემოდ მოყვანილი ნიმუშები „ინტიმური“ „ლირიკისა“ ეკუთვნის ნიჟიერ ახალგაზრდებს, დამწყებ პოეტებს. სად, რომელ წრეებში შეითვისეს მათ ასეთი ცინიზმი? ჩვენი მჩქეფარე საზოგადოებრივი ცხოვრება სრულებით არ უწყობს ხელს ამას. ალბათ რომელიმე მეშინაურ „სალონში“ წამოეგენ ახალგაზრდები უხილავ მახეს. ჩვენი კრიტიკა და რედაქციები, იმის ნაცვლად, რომ ყურები აეწიათ მათთვის და მწარე გაცვ თილი მიეცათ, ხელგაშლილად მიეგებნენ მათ და ნატურალისტურ და პორნოგრაფიულ ნაცოდელიარში „ახალი“ პოეტური სიტყვის ძიებასაც მიჰყვები ხელი!

საბედნიეროდ ამ „მიმართულებას“ ჯერ მაგრად არ გაუღდას ფესვი ქართულ პოეზიაში და მისი აღმოფხვრა არც ისე ძნელია, თუ ჩვენს კულტურულ კრიტიკა და ლიტერატურული ორგანოების რედაქციებში აღიზრდებიან მაინც გამოიჩინენ სიფხიზლეს. მე მგონია, რომ უფრო სერიოზული საფრთხე ქართულ პოეზიას ემუქრება სხვა მხრიდან და რატომღაც ჩვენს კრიტიკას ეს შეუმჩნეველი რჩება. კიდევ მეტი, ზოგჯერ კრიტიკა ხელსაც აფარებს მას. მე მხედველობაში მაქვს ქართული პოეზიის მეთოდოლოგიური გზა. ჩემის აზრით, სიმბოლიზმის ნაშთები ჯერ კიდევ ბოჭავენ ჩვენს თანამედროვე პოეზიას, გზას უკეტავენ მას ფართო ეპიური კალაპოტისაკენ. მართალია, ეს სიმბოლიზმი გვევლინება თავისებურ, მორცხვ, ხშირად შენიღბულ ფორმებში, მაგრამ ამით არ მცირდება ის ზიანი, რაც მას მოაქვს პოეზიისათვის. ის ელემენტარული დებულება, რომ პოეზია არის აზროვნება მხატვრულ სახეებში, უცნაურად გაუგია ჩვენი პოეტების უმრავლესობას. მხატვრულ სახედ მათ მიანჩნიათ მხოლოდ სიმბოლიური ან მეტაფორული სახე და ამგვარი სახეების ძიება შეადგენს მათ მთავარ საზრუნავს. პოეტურად არ სთვლიან ისეთ სახეს, რომელიც შექმნილია სიტყვის და საგნის ან სიტყვის და ცნების პირდაპირ, უშუალო მიმართებაში. ეს არსებითად რეალიზმის უარყოფაა, რა თქმა უნდა, სიმბოლიური ან მეტაფორული სახეები ამშვენებენ მხატვრულ შემოქმედებას, ქარგავენ მას, მაგრამ სწორედ ამიტომ ისინი დამხმარე და არა მთავარ ელემენტს უნდა შეადგენდნენ.

ჩემის ღრმა რწმენით, სწორედ აღნიშნული გარემოებით აიხსნება ის, რომ ჩვენს თანამედროვე პოეტებს ფართო ეპიური ტილოები — პოემები — ნაკლებად ეხერხებათ, ის ორიოდე პოემაც, რომლებიც დაიწერა ჩვენს დროში, სილექტის და განსაკუთრებით კომპოზიციის მხრივ მეტად სუსტნი არიან, უფრო წააგავენ ლექსების ციკლს, ვიდრე პოემებს. ეს გასაგებია. სიმბოლიურ-მეტაფორული სახეებით გატაცება ფაქტიურად გამორიცხავს თბრობილ ელემენტს, თბრობითი ელემენტის გარეშე კი პოემის სილექტური და კომპოზიციური მთლიანობა შეუძლებელია. თუნდაც ისეთი ტიპის პოემა, როგორცაა ბაირონის „მანფრედი“ ვერ უვლის გვერდს თბრობითი ელემენტს.

სანამ ჩვენ სიმბოლიზმის შენიღბულ ნაშთებს არ აღმოვფხვრით, მანამდე დარჩება ის შეუფერებელი მდგომარეობა, როცა ჩვენ გაგვაჩნია პოეტების მძლავრი პლეადა, მაგრამ ფართო ეპიური ტილოები ნაკლებად იქმნება. დროა გაიგონ ჩვენმა პოეტებმა, რომ დიდი პოეზია არ არსებობს დიდი ტილოების — პოემების გარეშე, რომ მცირე ფორმის პოეზიით ვერ აისახება ეპოქა. მით უფრო დიადი სტალინური ეპოქა. დროა ჩვენმა კრიტიკოსებმაც გაილაშქრონ იმ უცნაური „თეორიის“ წინააღმდეგ, თითქოს თბრობითს ფორმას პოეზია ვერ ითმუნს, თითქოს აღწერითი ხერხი პოეზიაში დაუშვებელი შრომაიზმია. საიდან წარმოიშვა პოეზიის და პროზის ეს აბსოლუტური დაპირისპირება? ან ვინ თქვა, რომ პოეტური აღწერა ან თბრობა არ არსებობს? ეს უმეცრებაა, მარქსისტულ-ლენინური ხელოვნების თეორიის უცოდინარობაა.

პოეზია იგივე აზროვნებაა, მხოლოდ მხატვრულ სახეებში. თუ ის უკუელად განსხვავდება ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნებისაიან (რაც მცინერების სფეროს შეადგენს), ეს როდი ნიშნავს, რომ ის ინკოდიციური განყოფილება მხატვრული აზროვნების ფორმა არც წმინდა დისკურსიული და არც

წმინდა ინტელიტურია, ის მათ შუა მდებარეობს, მათი თავისებური სინთეზია. ეს რომ ასე არ იყოს, პოეზია უაზრო ბეგრათა და სიტყვიერება წმინდა მუსიკა“ იქნებოდა, ე. ი. ის, რაც სიმბოლისტებმა თავიანთ კრიტიკულ განხილვებში ხადეს.

ჩვენს კრიტიკას, რომელიც ენერგიულად (და სამართლიანად!) ილაშქრებს პუბლიცისტური ელემენტების წინააღმდეგ პოეზიაში, რატომღაც ავიწყდება სიმბოლისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა. უფრო მეტს ვიტყვოდი. ხშირად კრიტიკა თვითონ ექცევა სიმბოლისმის გავლენის ქვეშ, აზვიადებს სიმბოლისტური სახეების მხატვრულ-ესთეტიურ მნიშვნელობას და იქამდე კი მიდის, რომ თვითონ სდებს „ღრმა“ აზრს ბუნდოვან და გაუგებარ სტრიქონებში. შემდეგ ასეთი სტრიქონების ავტორიც ეთანხმება: „სწორედ ამას თქმა მინდოდაო“ თუმცა, ჩვენს შორის დარჩეს და... როცა წერდა, ალბათ არც თვითონ ესმოდა მათი აზრი, მხოლოდ გარეგნული „პოეტური ელერით“ იყო გატაცებული.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ლიტერატურის ზოგად-მეთოდოლოგიურ საკითხს. დღეს სიტყვით ყველა იზიარებს სოციალისტურ რეალიზმს, მაგრამ საქმით ან უარყოფს მას, ან ამკლავებს მის უცოდინარობას. ზოგს კიდევაც ჰგონია, რომ სოციალისტური რეალიზმი მხოლოდ პროზაში გამოდგება, პოეზიაში კი — რაღაც სხვა მეთოდია საჭირო. ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ თანრობრივი მეთოდოლოგია არ არსებობს, რომ სოციალისტური რეალიზმი — მთელი საბჭოთა ლიტერატურის, მისი ყველა ეანრის მეთოდოლოგიური საფუძველია.

რას ნიშნავს სოციალისტური რეალიზმი? წინააღმდეგ იდეალიზმისა იგი მოითხოვს სინამდვილის ობიექტურ ასახვას, წინააღმდეგ მეტაფიზიკისა იკითხოვს სინამდვილის არა სტატიურ, არამედ დინამიურ ასახვას, წინააღმდეგ პოზიტივიზმისა იგი მოითხოვს არა მხოლოდ ობიექტურად არსებულის კონსტატაციას, არამედ განვითარების გზების და პერსპექტივის ჩვენებას. ერთი სიტყვით — სოციალისტური რეალიზმი — ეს დიალექტიური მატერიალიზმი ლიტერატურაში და ხელოვნებაში. აქედან ცხადია, რომ უპარტიოზან ან აპოლიტიკურობა ლიტერატურაში არსებითად რეაქციულობას უდრის. აი რას ლაპარაკობს ლენინი ლიტერატურის პარტიულობის შესახებ:

«В противовес буржуазным нравам, в противовес буржуазной предпринимательской, торгашеской печати, в противовес буржуазному литературному карьеризму и индивидуализму, «барскому анархизму» и погоне за наживой, — социалистический пролетариат должен выдвинуть принцип партийной литературы, развить этот принцип и провести его в жизнь в возможно более полной и цельной форме».

პარტიულობა ლიტერატურაში ზოგიერთს სუბიექტივიზმად წარმოუდგენია. ეს სისულელეა. პარტიულობა ნიშნავს სუბიექტივიზმს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თვით სინამდვილის განვითარების ტენდენციას ეწინააღმდეგება, უკან ეთრევა ისტორიის ბორბალს.

მხოლოდ პარტიულობაში გამოიხატება, როგორც აღნიშნავდა ლენინი, ნამდვილი ობიექტივიზმი, ვინაიდან ობიექტიური სინამდვილე არ არსებობს მოძრაობის და განვითარების გარეშე. პროგრესიული პარტიის წარმომადგენელი კი სწორედ ამ განვითარების კანონებს ემყარება. ბოლშევიკური პარტია ხომ ყველაზე მოწინავე პარტიაა მსოფლიოში, რომელიც ეწევა ობიექტიური სინამდვილის გარდაქმნას თვით ამ სინამდვილის განვითარების ობიექ-

ქტიური კანონების მიხედვით და მათს საფუძველზე. ჩვენს სინამდვილეში ლიტერატურის ტენდენციურობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ მწერალმა ახახავს სინამდვილეს მისი განვითარების ტენდენციაში.

რამდენად მწერლობის ობიექტი სოციალური და არა ფიზიკური სინამდვილეა, განვითარების ეს ტენდენცია გარკვეულ სოციალურ იდეებში, ე. ი. ლენინურ-სტალინურ იდეებში გამოიხატება — ესაა ბოლშევიკური, სოციალისტური ტენდენციურობა. ამას უპირისპირდება ბურჟუაზიული ტენდენციურობა, როცა მწერალი, ბურჟუაზიულ-ემპალიათატორული წესწყობილების განმტკიცების მიზნით, ეწინააღმდეგება სინამდვილის განვითარების ობიექტურ კანონებს და ბურჟუაზიული წესების მარადიულობას ქადაგებს. მაშასადამე, სწორედ ბურჟუაზიული პარტიულობა, რაც ყველა ბურჟუაზიულ მწერალს ახასიათებს, ნიშნავს სუბიექტივიზმს.

ამრიგად არატენდენციური, „უპარტიო“ ლიტერატურა ფაქტიურად არ არსებობს. ადამიანს, რომელიც მხოლოდ აღწერს სინამდვილეს, არც ეწოდება მწერალი, ვინაიდან თავის თავად ფაქტებს ყველა ხედავს და სხვისი დახმარება არ სჭირია მათს აღქმაში. ნამდვილი მწერალია მხოლოდ ის, ვინც მხატვრულ ფორმაში ასახავს მოწინავე იდეებს, ე. ი. მხატვრულად განასახიერებს წინსვლის გზებს. აქედან ცხადია ისიც, რომ მწერალს არ შეუძლია პასიური დამოკიდებულება არსებული სინამდვილისადმი, ის მეტრძოლი უნდა იყოს თავის შემოქმედებაში, აქტიურად უნდა ატარებდეს მოწინავე იდეებს. მხოლოდ მოწინავე ადამიანი შეიძლება იყოს მწერალი. მწერლობა და იდეური ჩამორჩენილობა — შეუთავსებელი ცნებებია!

როგორც ვიცით, ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს არ აკლებენ საბჭოთა მწერლობას, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვენ მისგან ისეთ პროდუქციას, რომელიც ხალხის ინტერესებს, ჩვენი სამშობლოს წინსვლას ნამდვილად ემსახურება, ხელს უწყობს ახალგაზრდობაში ბოლშევიზმის იდეებს და ნერგავს მხატვრული სახეების მეშვეობით. მხოლოდ ამით ასრულებს საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში მოწინავე ლიტერატურის როლს.

ამრიგად, მხატვრული ნაწარმოები, რომელიც არავითარ იდეას არ შეიცავს, ზედმეტია, მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას. ზოგი ფიქრობს: ხომ გეჭირია გასართობი ლიტერატურაო. უიდეო, უაზრო გართობა საბჭოთა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას არ შეადგენს! ავიღოთ თუნდაც პეიზაჟი. მისი პოეტური, მხატვრული აღწერა უნდა შეიცავდეს ადამიანის სულისკვეთებას, მის პრაქტიკულ მისწრაფებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ცივ ფოტოგრაფიას. აი მაგალითიც: „მნათობის“ ამა წლის 5-6 ნომერში მოთავსებულია ლექსი „შუადღე“ (ავტორი — შატბერაშვილი). რომ არაფერი ეტყვათ ბუნდოვან, ხშირად კი პირდაპირ შემცდარ პოეტურ სახეებზე, ვერ გაიგებთ, თუ რა აზრი აქვს ამ ლექსს, რისი თქმა უნდა ავტორს. რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა მას, როგორც პოემის ან პოეტური მოთხრობის (повесть) ნაწილს, როგორც ცალკე „ლირიკულ“ ლექსს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ამასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვას ვიტყვი „ფილოსოფიური ლირიკის“ შესახებ, — რომელიც კ. ნადირაძის მიზამით, ერთგვარ მოღათ იქცა უკანასკნელ დროს. ამ „ფილოსოფიურ ლირიკაში“ ყველგვარია, გარდა ნამდვილი ფილოსოფიისა. ავიღოთ მაგალითისათვის კ. ნადირაძის ორი ლექსი:

„ლიმილი“ და „ზღვის პირას“. პირველში ავტორი ამბობს: „ვიგრძენი წუთით: თითქოს ღმერთი სდგას შორიახლო, ღიმილით უსმენს ჩემს, ცხელსუფლებას და... მაკვირდება“. დამეთანხმებით, რომ მეოცე საუკუნის ბუნებრივი კოტა არ იყოს უხერხულია ასეთი „გრძნობა“. რომ ეთქვა: ვიგრძენი რაღაც ბუნების შინაგანი ყოვლისშემძლე ღვთაებრივი ძალა — ეს შეიძლება კადევ გასაღებულიყო პოეტურ მეტაფორად. მაგრამ „შორიახლო“ მდგომი ღმერთი, რომელიც უსმენს და აკვირდება — უნებლიედ ეხმაურება ძველი ალექსის იეგოვას! მეორე ლექსში ნათქვამია: „პატარა ბავშვის ტერფების კვალი ნამიან სილას ზღვის პირას აჩნდა... მე თითქოს წამით ამეხსნა თვალი, და ის დღე ვიგრძენ — იღუმალ ძალით, როცა სიცოცხლე პირველად გაჩნდა“. სახის პოეტურობა არ შველის პრიმიტიულ წარმოდგენას სიცოცხლის წარმოშობაზე, თითქოს ის ერთ დღეს და ისიც დასრულებული სახით გაჩნდა! — ეს ადამიანის წარმოშობის ბიბლიურ ლეგენდას უფრო ჰგავს, ვიდრე თანამედროვე მეცნიერულ წარმოდგენას.

პოეზია კი არ უნდა ჩამორჩებოდეს ფილოსოფიის და მეცნიერების განვითარებას, არამედ წინ უნდა უძღოდეს მას თუნდაც პოეტური ფანტაზიის სახით. გავიხსენოთ ლუკრეციუსი! კ. ნადირაძემ შეძლება იმასუხოს — ეს სიმბოლიური სახეაო! კ. ნადირაძის უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ ის სიმბოლისტური გზით არჩევს სვლას და უიდეობის და პესიმიზმის ქაობში გარდება. თუმცა ზოგიერთი მისი ნაწარმოები, კერძოდ, მისი ლექსები: „სტალინი“ და „ბარათაშვილისადმი“ მოწმობს, რომ მას რეალისტური გზა უფრო მეტ წარმატებას უქადდა.

ჩემის აზრით, კიდევ ერთი გარემოება უშლის ხელს თანამედროვე ქართულ პოეზიაში დიდი ტილოების შექმნას. ბუნებრივია, რომ პოეტების ახალი თაობა ყოველთვის ეძებს ახალ, თავისებურ პოეტურ სიტყვას, მაგრამ საქმე ისაა, თუ რაში ხელავენ ჩიენი თანამედროვე პოეტები ამ ახალ პოეტურ სიტყვას. მათ შემეცდარად წარმოუღვანიათ, რომ ეს უმთავრესად ახალ რიტმში და განსაკუთრებით ახალ რითმაში გამოიხატება და აი სწორედ რიტმის და რითმის ძიებით უფრო არიან ისინი გაართული, ვიდრე ახალი პოეტური იდეის გამოსახვით. ხშირად რიტმის სიხლის ანგარიშზე ირღვევა თაით ქართული ენის ბუნება, პოეტური ფრაზა არა ბუნებრივად ტყდება და შემოაქრება ზოლზე ქართულისათვის უჩვეულო მკვეთრი მახვილები. ამით ქართული ენის ფაქიზი მუსიკალობა, არსებითად დაკავშირებული მახვილების სირბილესთან, იკარგება.

მე არა მაქვს ნება შევებრა პოეტების შემოქმედების წმინდა ლაბორატორიაში, მაგრამ ლიტერატურის თეორიის, კერძოდ, პოეტიკის გაცნობა მაძლევს საფუძველს განვაცხადო, რომ ნაწარმოების რიტმი არ არის დამოუკიდებელი რამ, რომ მას კარნახობს თაით პოეტური გაცნობა, იმ იდეების და გრძნობების თავისებურება, რაც უნდა გამოხატოს პოეტმა. სწორედ ეს ქმნას პოეტური ნაწარმოების სითბოს, მის ბუნებრივ მომხიბლველობას. როცა ეს თარღვეულია, ჩვენ უმეტეს შემთხვევაში ვღებულობთ ფორმალურად სრულქმნილ, მაგრამ ცივ, არამომზიოილ ლექსს.

რაც შეეხება რითმას, უნდა აღინიშნოს, რომ პოეზიის კლასიკოსების მიერ ის არასოდეს იყო მიჩნეული მთავარ, გადამწყობარ ელემენტად. პოეზიის მსოფლიო შედეგები ხშირად სრულიად არ ატარებენ რითმას. ანტიკური პოეზიის მაგალითი ხომ ყველასათვის ცნობილია, ამით მე არ მინდა ვთქვა,

თითქოს თანამედროვე პოეზიაში რითმას არ ჰქონდეს მნიშვნელობა და ეს-  
თეტიკურ ღირებულებას მოკლებული იყოს. მცირე ფორმის მქონე პოეტური ნა-  
საკუთრებით ლირიკაში, ის სტრუქტურულ როლსაც თამაშობს. მსგავსად ის  
ყოველთვის უნდა ემორჩილებოდეს პოეტური იდეის შინაგან წყობას, არ  
არღვევდეს აზრთა თანმიმდევრობას და უაზრო სტრიქონებისაგან (რომელ-  
თაც სამართლიანად უწოდებენ „პოეტურ“ შპონებს) არ უნდა ეზიდებოდ-  
ნენ ავტორს. მეტად შემცდარად მიმაჩნია შეხედულება, თითქოს სხვების  
მიერ ნახმარი რითმების განმეორება უფრო დიდი შეცოდება იყოს პოეზიის  
წინაშე, ვიდრე აზრობრივად ღატაკი სტრიქონების ჩამწყვრევა თუნდაც  
„უხალესი“ რითმით. პოეტი არც კი ეწოდება იმას, ვისთვისაც გამოსავალი  
არის „ბედნიერად მიგნებული“ რითმა, რომელსაც შემდეგ რამენაირად  
უნდა შეუგუოს რაღაც მკრთალი, ხშირად ძნელად გასარჩევი შინაარსი.  
ამის მაგალითებს თქვენ ხშირად შეხედებით ჩვენს თანამედროვე პოე-  
ზიაში.

ნამდვილი პოეტია ის, ვის სულიერ სამყაროშიც, როგორც ზეავი, მოდის  
ღრმა იდეებით გამსჭვალული, გულწრფელი პოეტური განცდა, ეხეთქება მე-  
ტყველების ჩვეულებრივი კალაპოტის ნაპირებს, არღვევს მათ და ამავე  
ღროს ჰქმნის ახალ კალაპოტს. აქ რიტმიც და რითმაც ბუნებრივად, გზა და  
გზა იქმნება, რადგანაც ბუნებრივად რიტმიულია თვით ადამიანის სული-  
ერი წყობა, რაც სიმღერის ბუნებრივ მოთხოვნილებაში მკლავდება. რითმა  
კი რიტმის დამხმარე ელემენტია, რათა უფრო მკვეთრად იყოს გამოხატული  
პოეტური სუნთქვის პაუზები, ინტერვალები.

გასაგებია, რომ რიტმის და რითმის ერთგვარ თვითმიზნად გადაქცევა არ-  
თულებს და, რაც მთავარია, ახელოვნურებს პოეტურ შემოქმედების პრო-  
ცესს და მნიშვნელოვნად უშლის ხელს ეპიური ტილოების შექმნას. დროა  
გაიგონ ჩვენმა პოეტებმა, რომ ნამდვილ პოეტურ სიახლეს ქმნის არა ახა-  
ლი რიტმი ან ახალი რითმა, არამედ ახალი პოეტური აზროვნება, ახალ იდე-  
ათა სამყარო. დროა შეიგნონ მათ, რომ ეპოქები ერთი მეორისაგან განსხვავ-  
დებიან არა იმდენად ერთ (რომელიც იდეებთან შედარებით გაცილებით  
უფრო ნელა ვითარდება), რამდენად იდეებით, ეროვნული სულისკვეთებით.  
უგზო-უკვლოდ ჩაივლის რიტმიულად და რითმიულად „ლამაზი“ ლექსება,  
თუ ისინი ეპოქას არ ეხმაურებიან, ხალხის სულისკვეთებას არ გამოხატავენ.

მე ცალკე არ შევეხები მეტრიკის საკითხს, რამდენადაც ის მჭიდროთ არის  
დაკავშირებული რიტმის საკითხთან. ვაკვრით აღვნიშნავ მხოლოდ, რომ  
ამ მხრივაც წააწყდებით ჩვენს პოეზიაში უცნაურ მოვლენას. „ორიგინალო-  
ბის“ სურვილი იმდენად ძლიერია ზოგიერთ „ახალგაზრდა“ პოეტში, რომ  
ის არ ერიდება პოეტის გარკვეული პრინციპების დარღვევასაც. ცხადია,  
რომ სიმეტრულობა აუცილებელი არ არის, მაგრამ ასიმეტრიასაც ხომ რა-  
ღაც კანონზომიერება უნდა, ახასიათებდეს ლექსში სტროფების მიხედვით  
მინც. დღეს კი „თეთრი ლექსის“ სახელწოდებით შეხედებით ისეთ რამეს,  
რომ ვერ ვგარკვევთ, ლექსია ის თუ პროზა. პოეზიის სიმწლე და პოეტისა-  
თვის პოეტური ნიჭის აუცილებლობა სწორედ იმაშია, რომ გარკვეული  
იდეა და განწყობილება მოექცეს პოეტურ სიტყვაში, ე. ი. ლექსში, რომლის  
პრინციპები ისტორიულად შემუშავდა. თუ ავტორი გაინთავისუფლებს თავს  
ამ პრინციპებისაგან. ე. ი. 1) მეტრიკის გარკვეულობისაგან, 2) რიტმის  
აუცილებელ კავშირისაგან ნაწარმოების იდეურ შინაარსთან, 3) სტრუქტურ-

ბის აზრობრივ-თანმიმდევრობისაგან („ლაშაში“ რითმების გულიანობის) — მაშინ პოეტობა იქნება მეტად ადვილი საქმე, მისაწვდომი თითქმის ყველა წერა-კითხვის კარგად მცოდნე ადამიანისათვის.

ნება მიბოძეთ ეს ნაწილი ჩემი მოხსენებისა დაეასკვნა შემდეგი შენიშვნით: ყოველი კულტურული ენა თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე, თავისი ბუნებრივი სტრუქტურის მიხედვით იმუშავებს პოეზიის გარკვეულ პრინციპებს და ფორმებს, რაც ამ ენაზე შექმნილ კლასიკურ შედევრებში პოულობს განსახიერებას. რა თქმა უნდა, ეს პრინციპები და ფორმები აბსოლუტები არ არიან, მაგრამ ისინი წარმოადგენენ პოეზიის გენეალოგიურ ხაზს. ამის მკაფიო მაგალითებია ინგლისის, რუსეთის, საქართველოს და ბევრი სხვა ქვეყნის კლასიკური პოეზია. ამიტომ, ჩემის აზრით, გაცილებით უფრო კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი თანამედროვე პოეტები ნაკლებ დროს და ენერგიას მოანდომებდნენ ახალი ფორმალური პრინციპების ძიებას, დაეყრდნობოდნენ მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ქართულ კლასიკურ პოეზიის ისტორიულად შემუშავებულ ხაზს, (რომელიც სხვათა შორის, ფორმის მხრივაც საკმაოდ მრავალფეროვანია) და მთავარ ყურადღებას მიაქცევდნენ ახალი, სტალინური ეპოქის დიადი იდეების, ახალი, სოციალისტური საზოგადოების კეთილშობილური სულისკვეთების ღირსეულ პოეტურ განსახიერებას ეპიურ ტილოებში.

## ბ) დრამატურგია

ქართულ საბჭოთა დრამატურგიას ისევე გააჩნია მიღწევები, როგორც პოეზიასა და პროზას. ამ მიღწევების შესახებ აქაც ითქვა და მე ზედმეტად მიმაჩნია განმეორება. უკანასკნელ დროს კი დრამატურგია საგრძნობლად ჩამორჩა არა მარტო პოეზიას, არამედ პროზასაც. პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ქართული დრამატურგია არ სდგას თავისი მოწოდების სიმალლეზე და ვერ უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი პიესებით ქართულ საბჭოთა თეატრს.

რა არის ამის მიზეზი? ამბობენ, რომ ქართულ დრამატურგიას ისტორიული ტრადიცია არა აქვს და თანამედროვე დრამატურგებს უხდებათ ამ ტრადიციის შემუშავებაო. ჯერ ერთი, ეს მთლად სწორი არ არის. გ. ერისთავი, ცაგარელი და სხვ. ქმნიდნენ დრამატულ ნაწარმოებებს ისეთ პირობებში, როცა ქართული თეატრი ძლივს სუნთქავდა. ქართული თეატრი ზომ საბჭოთა პერიოდში გაიფურჩქნა! ამაზე უკეთესი პირობები დრამატურგებსათვის ძნელი წარმოსადგენია.

მე მგონია, რომ დრამატურგიის ჩამორჩენილობის სხვა მიზეზთა შორის მთავარი მიზეზია ის, რომ საქართველოს მწერალთა კავშირი ამ ენარს თითქმის ლიტერატურის უკანონო შეილაღ სთვლიდა, დრამატული ნაწარმოების წმინდა ლიტერატურულ ღირსებებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ყოველ შემთხვევაში, მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ ეძლეოდა. მათ მხოლოდ უშუალო მომხმარებლების—თეატრების—საზომით უყარებოდნენ, რაც ხელს უწყობდა დრამატურგიული ენარის ერთგვარ ხელოსნობად გადაქცევას. ლიტერატურის დახელოვნებული ოსტატები გარდა თითო-ორი-ღასი ნელნელა ჩამოცილდნენ მას, ან ყოველ შემთხვევაში, უყურებდნენ.



როგორც გზადაგზა სამუშაოს. ეს მოვლენა მეტად უცნაურია. რომ არაფერი ვსთქვათ ძველ ბერძნულ ლიტერატურაზე, რომელსაც ეგზონი მწვენიებს დრამატურგია, რად გვაიფიქლება ინგლისის, ესპანეთის, საფრანგეთის და რუსეთის ლიტერატურა, რომლებშიც დრამატურგიას წამყვანი ადგილი ეჭირა სათანადო საუკუნეებში. თუ ქართულმა ლიტერატურამ დრამატურგიულ ჟანრში ვერ შექმნა ისტორიულად ისეთი შედეგები, როგორც პოეზიაში და პროზაში, ეს იმით აიხსნება, რომ მეცამეტე საუკუნეიდან მოყოლებულად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართული თეატრი დაცემულობას განიცდიდა. თეატრი კი, როგორც მოგეხსენებათ, მთავარი სტიმულია დრამატურგიული ნაწარმოების შექმნისათვის.

განა სამარცხვინო არ არის, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში არც ერთი შესაფერი პიესა არ შექმნილა თანამედროვე ცხოვრებიდან? რაც ცოტად თუ ბევრად კარგი შეიქმნა უკანასკნელ დროის ქართულ დრამატურგიაში — ისტორიულ წარსულს შეეხება. ამ მხრივ დრამატურგიამ პროზასაც გადააჭარბა. ჩემის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ დრამატურგიაში ისტორიული ჟანრი უფრო ადვილია, ვიდრე პროზაში. ტიპი (ესა თუ ის ისტორიული მოღვაწე) ჩამოყალიბებულია, ისტორიული ფონის დიაპაზონი დრამას გაცილებით ნაკლები სჭირია, ვიდრე რომანს. ბოლო დროს კიდევ უფრო ადვილ საქმეს მიჰყვეს ხელი დრამატურგებმა — ამა თუ იმ ნაწარმოებს ვასცენიურებას. მართალი ვითხრათ, მე სრულებით არ მესმის, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამას. უკვე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს თავისი (და გაცილებით უფრო ფართო) გავლენა ისედაც აქვს ხალხზე, ვასცენიურობა კი არ აფართოებს, არამედ ავიწროებს მოქმედების ჩარჩოებს.

ისტორიული თემატიკით უზომოდ გატაცებას იგივე ზიანი მოაქვს დრამატურგიაში, რაც პროზაში, ამიტომ ნათქვამის განმეორებას არ შევუღებთ: აღნიშნავ მხოლოდ, რომ ჩვენს ისტორიულ პიესებს გაცილებით მეტი დეფექტები ახასიათებს, ვიდრე ისტორიულ რომანებს. მაინც, როგორც წესი, დრამატურგი ავტორები უფრო სერიოზულად ეკიდებიან ისტორიულ მასალას, ვიდრე თანამედროვეობას. იმ რამდენიმე პიესიდანაც რომელნიც თანამედროვე ცხოვრებას ეხებიან, არც ერთი არ გამოხატავს შესაფერისად და ღირსეულად საბჭოთა ადამიანის მაღალ სულიერ სამყაროს. მის გმირულ ბრძოლას ლენინ-სტალინის დიადი იდეების განხორციელებისათვის, მის თავდადებას სოციალისტური სამშობლოს დაცვაში. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 26 აგვისტოს დადგენილებით აღნიშნული ღრმა შეცდომები და სერიოზული დეფექტები თეატრების რეპერტუარის რარგში სავსებით და მთლიანად შეეხება ჩვენი თეატრების რეპერტუარის მდგომარეობას.

მე არ შევუღებთ თანამედროვეობაზე დაწერილი სუსტი პიესების სათითაოდ განხილვას. ყველა მათ — ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, — ახასიათებს ერთი მანკი: ისინი აწვრილმანებენ საბჭოთა ადამიანების გრძობებს და მისწრაფებებს, ვერ ამჩნევენ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ახალ ადამიანის შექმნას, რომლის მორალური კოდექსი პრინციპიულად სხვაა, ვიდრე კაპიტალისტური საზოგადოების ადამიანისა. ეს კი იმიტომ ხდება, რომ დრამატურგები ნაკლებად სწავლობენ თანამედროვე ცხოვრებას. თავიანთ შემოქმედებაში ბაძავენ ძველ დრამატურგებს, ან ევროპის თანამედროვე ბურჟუაზიულ მწერლებს. ჩვენს დრამატურგებს ავიწყლებათ, რომ ძველ



ავტორები ასახავდნენ ძველ ცხოვრებას, რომელშიაც მართლაც ბატონობდა მეშინაური ფსიქოლოგია, ინდივიდუალისტურ-ეგოისტური სტრუქტურა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული მწერლები ისე, როგორც უკვე ვხედავთ, ეწევიან ბურჟუაზიული წყობის იდეალიზაციას, სულით და გულით ემსახურებიან მის გამარადილებას.

ჩვენში ხშირად დრამატურგი სწერს პიესას სოფლის ცხოვრებიდან, სოფელში კი ათეულ წელიწადზე მეტია, რაც არ ყოფილა. გულახდილად გეტყვით, მე ეს დაცინვით მიმაჩნია ჩვენი საკომპიუტერული სოფლის მიმართ. ერთ-ერთ თათბირზე, როცა მწერლებს ვუსაყვედურეთ — თანამედროვე სოფელს არ იცნობთ და ისე ცდილობთ მის ასახვასო, — მათ იწყინეს: ბევრი ჩვენთაგანი სოფელში დაიბადა და გაიზარდა — როგორ არ ვიცნობთო სოფელს. დამეთანხმებით, ეს აშკარა გამოძვლავებაა იმისა, რომ ჩვენი დრამატურგები წარსულის მიხედვით მსჯელობენ თანამედროვეობაზე, საბჭოთა ადამიანებზე.

ოგვე ითქმის თანამედროვე დიდი მშენებლობის შესახებ. სულ თხუთმეტი წელიწადი წლის განმავლობაში საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკა გახდა, აშენდა და შენდება უზარმაზარი საწარმოები, ელექტროსადგურები და სხვ. აბა მითხარით, რომელი პიესა ეხმაურება ამ გრანდიოზულ მშენებლობას? (აქვე ვიტყვით: ეს თანაბრად ეხება პროზასაც და პოეზიასაც).

სანამ ჩვენი დრამატურგები არ გასცილდებიან ქალაქს და ისიც ცენტრალურ პროსპექტებს, სანამ თეატრს არ დაპყობენ მშენებლობებზე, კომპიუტერობებში, საბჭოთა მიუზიკლებში, ისინი რეალისტურ პიესას საბჭოთა სინამდვილეზე ვერ შექმნიან. ეს თვითდინებით არ მოხდება, თუ მწერალთა კავშირის პრეზიდენტმა და ხელოვნების საქმეთა სამმართველომ თვითონ არ მოაწყვეს ეს მნიშვნელოვანი საქმე.

ხშირად უცნაური კითხვა ისმის: რაზე უნდა სწეროს უმთავრესად თანამედროვე დრამატურგმა: ჩვენი ცხოვრების დადებით თუ უარყოფით მხარეებზე. ჯერ ერთი — დაწერილი პიესების უმეტეს ნაწილში საბჭოთა სინამდვილე არსებითად უარყოფითადაა წარმოდგენილი, ვინაიდან მომკმეღნი პირნიც, რომლებიც ავტორთა განზრახვით დადებითნი არიან, სრულიად არ შეეფერებიან მოწინავე საბჭოთა ადამიანის რეალურ სახეს, თითქმის მათ კარიკატურას წარმოადგენენ. შემდეგ, ვინ ან როდის სთქვა, რომ ჩვენი დრამატურგია უარყოფითის გამოვლენას უნდა ერიდებოდესო? ბოლშევიზმის სტილის მთავარი ელემენტი თვითკრიტიკაა. განა ერთხელ მოუწოდა ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ქვეყნის ყველა დარგის მუშაკებს თვითკრიტიკის გაძლიერებისაკენ? განა არ სთქვა ამხანაგმა სტალინმა, რომ თვითკრიტიკა ჩვენ გვჭირია, როგორც პერი და წყალიო? მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ გამოავლენ უარყოფითს, რა პერსპექტივაში მოაქცევ მას. საერთოდ თანამედროვე დრამატურგიული ნაწარმოებებზე უმეტესობას ახასიათებს გარკვეული სქემატიზმი, როგორც ეს სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 26 აგვისტოს დადგენილებაში. ერთ მხარეზე არიან იმ თავითვე გაფორმებული დადებითი ტიპები, (როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მათი დადებითობაც პირობითია), მეორე მხარეზე კი — უარყოფითი და მათ შორის იშლება მექანიკური შეჯახება. თანაც, როგორც წესი, უარყოფითი



ტიპები უფრო მტკიცე ნებისყოფით, მიზნის უფრო მეტი გარკვეულობით ხასიათდებიან, ვიდრე დადებითი და თუ ფინალში მანც დადებითად გამოვლენილებს, ეს პიესის შინაგანი განვითარებით არაა მოტივირებული, მაშინვე დამაჯერებელიც არაა. თითქოს ავტორები ჩუმად გვეუბნებიან: საბჭოთა სინამდვილეში სხვაგვარად როგორ მოხდებოდა.

ყოველი დრამატურგიული ნაწარმოები მოწოდებულია სწორეთ იქითკენ, რომ უარყოფითი გამოამყვანოს და ხელი შეუწყოს მის აღმოფხვრას. მაგრამ როცა თვით უარყოფითი ჩვენი სინამდვილის ორგანიული პროცესის გარეშეა წარმოდგენილი, მაშინ უნებლიედ ხდება მისი სრულიად უპართებულო განზოგადოება. დრამატურგმა უნდა წარმოადგინოს არა სქემატიურა დადებითი ტიპი, არამედ თვით დადებითი ტიპის ფორმირება შრომის და ბრძოლის პროცესში, როგორც ეს ნამდვილად ხდება საბჭოთა ვითარებაში. დადებითი ტიპის ფორმირების თვით ეს პროცესი შეიცავს უარყოფითის დაძლევას. ასეთია ჩვენი ცხოვრების დიალექტიკა, ასეთია საბჭოთა სინამდვილის განვითარების ნამდვილი შინაარსი.

თვით პრობლემატიკა დრამატურგიული ნაწარმოებისა უნდა შეიცავდეს ჩვენი ცხოვრების და ბრძოლის მნიშვნელოვან საკითხებს და არა წვრილმანებს ეხებოდეს. მთავარ მომქმედ პირთა სამოღვაწეო ასპარეზი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ზომილივე მნიშვნელოვანი დარგი. ამასთან ერთად, დრამატურგს არაიმდენად არსებულის ასახვა უნდა აინტერესებდეს, რამდენად განვითარების პერსპექტივა.

ცხადია, რომ ყველა ამ ელემენტარული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დრამატურგს, ისე როგორც ყველა ეანრის მწერალს, ევალება ჩვენი სინამდვილის ღრმა, გულისხმიერი შესწავლა, თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის სერიოზული ამადლება, ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის ღრმა ცოდნა. ჩვენმა დრამატურგებმა, ისე როგორც სხვა ეანრის მწერლებმა, უნდა იგრძნონ მორალური პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, პარტიისა და მთავრობის წინაშე და ჩვენს თეატრებს უახლეს დროში მოწოდონ მაღალხარისხოვანი პიესები, რომლებშიაც ღირსეულად იქნება ასახული სტალინური ეპოქის პეროიკა, საბჭოთა ადამიანის დიდი, კეთილშობილური ვნებანი, ჩვენი სამშობლოს წინსვლის ბრწყინვალე პერსპექტივა. ამ საქმეში მათ სერიოზულად უნდა შეუწყონ ხელი მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტი და ხელოვნების საქმეთა სამმართველომ. განუ არ უნდა დარჩეს აგრეთვე კინომრეწველობის საინინსტრუქცი, ვნაიდან, თუ ჩვენ გვექნება მაღალხარისხოვანი პიესები, კინოსცენარების პრობლემაც ადვილი გადასაწყვეტი იქნება.

**დ) საბავშვო ლიტერატურა**

საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ის უნდა უწყობდეს ხელს არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების დანერგვას ნორჩ თაობაში, რაც თავის თავად მნიშვნელოვანი ამოცანაა, ის აგრეთვე უნდა ეხმარებოდეს ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდაში. საქართველოში საბავშვო ლიტერატურას კარგი ტრადიცია აქვს. ახლაც მოღვაწეობენ მხტოვანი მწერლები,

რომლებსაც მნიშვნელოვანი დეაწლი მიუძღვით ამ ტრადიციის შექმნაში. ერთი მათგანი, ცნობილი მწერალი ნინო ნაკაშიძე სამართლებრივ საკვებდურებათა თავის გამოსვლაში მწერალთა კავშირის ხელშეწყობის საბაზისო მწერლობისადმი ნაკლები ყურადღებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ორი წლის წინათ სპეციალურად განიხილა საბაზისო ლიტერატურის და საბაზისო გამომცემლობის მდგომარეობის საკითხი და თავის დადგენილებაში აღნიშნა ძირითადი ნაკლი, რაც ჩვენს თანამედროვე საბაზისო ლიტერატურას ახასიათებს. ქვეშარიტებას მოკლებული როდია ოხუნჯობა — საბაზისო ლიტერატურა თვით ბავშვებს მიანდესო. ახალგაზრდა მწერლების ლიტერატურული წუნი ხშირად ღებულაობდა თბილ თავშესაფარს საბაზისო გამომცემლობაში. საბაზისო წიგნების რედაქტორებად ინიშნებოდნენ შემთხვევითი პირები.

თუ რა ყურადღებას აქცევს პარტია და ხელისუფლება საბაზისო ლიტერატურას, სჩანს თუნდაც იქიდან, რომ მრავალ სხვა ჟურნალსა და გაზეთზე აღრე აღდგენილია ორი საბაზისო ჟურნალი და ერთი საბაზისო გაზეთი. ამ ორგანოების თანამშრომელთა შორის იშვიათად წააწყდებით ჩვენი მოწინავე მწერლების სახელებს, თითქოს მათ გაფიცვა გამოცხადებინოთ. ამ პირობებში ძნელია საბაზისო ორგანოების სათანადო სიმალლეზე დაყენება. კერძოდ ჟურნალ „ბიონერმა“ უკანასკნელ დროს საგრძნობლად შეასუსტა თავისი მუშაობა. ეს მდგომარეობა არ უნდა გაგრძელდეს.

ვერავინ იტყვის, რომ საბაზისო ლიტერატურას თავისი სპეციფიკა არ გააჩნია, მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ არა საბაზისო მოწინავე მწერალს არ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მხატვრული ლიტერატურის ამ ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგში? გავიხსენოთ პეშკინის, ტოლსტოის, გორკის და სხვა კლასიკოსების მაგალითები.

რეგლამენტი არ მძღვეს საშუალებას მოვიყვანო მთალი რიგი მაგალითები ჩვენი საბაზისო ლიტერატურიდან, რომლებიც ერთსა და იმავე დროს სასაცილონიც და საშუუხარონიც არიან. ავტორები ხშირად მხიდველობაში იღებენ ბავშვების ფანტაზიის გაქანებას და მხედველობიდან უშვებენ მათს რეალისტურ გრძნობას. ბავშვის ფანტაზია ყოველთვის მისი აღქმის ბუნებით განისაზღვრება, მასში არა აქვს აღვილი აბსტრაქციის ელემენტი. ამიტომ ბავშვის შეგნებაში გაუგებრობას და ხშირად მწარე გრძნობასაც იწვევს არაბონიბრივი სიტუაციები, რომელნიც არც ისე იშვიათად გვხვდებიან საბაზისო ნაწარმოებებში.

გარდა ამისა, ავტორები ხშირად ივიწყებენ, რომ ბავშვის წარმოსახვას მარტო გართობა როდი სჭირია. გასართობი მასალაც ყოველთვის აღმზრდელითი მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. როცა ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საბაზისო ლიტერატურის თემატიკას, დავინახავთ, რომ ყველაფერა რიგზე არ არის. თქვენ იშვიათად შეხვდებით პრობლემებს, რომლებიც ბავშვის იდეურ აღზრდას ემსახურებიან. უფრო ხშირად მისდევენ სასაცილო გასართობ სიტუაციებს შინაარსისაგან დამოუკიდებლად. გართობა და საცილი ბავშვს უმკველად სჭირია, მაგრამ ოსტატობაც სწორედ ისაა, რომ ამ გართობის და საცილის გამომწვევი მასალა უაზრო და უიდეო არ იყოს. აქ აღინიშნა, რომ ჩვენი ცნობილ პედაგოგებს ნაკლებად აბამენ ამ საქმეში. ეს ჩვენი საბაზისო ორგანოების რედაქციების დიდი შეცდომაა. მხოვანი პედაგოგების გამოცდილება ბევრ რამეს შესძენს საბაზისო ლიტერატურას.

საბავშვო ლიტერატურის იდეურ შინაარსთან მჭიდროდაა დაკავშირებული მხატვრული ილუსტრაცია. აქაც ისეთივე მდგომარეობაა — ჩვენი ბავშვები მხატვრები იშვიათად თანამშრომლობდნენ საბავშვო ლიტერატურის ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად საბავშვო წიგნების მხატვრული გაფორმება და ილუსტრაცია ისე უხეიროა, რომ უფრო ენებს ბავშვის ესთეტიკურ გრძნობის განვითარებას, ვიდრე ხელს უწყობს მას.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს სპეციალური ღონისძიებანი საბავშვო ლიტერატურის სერიოზული გაუმჯობესებისათვის. საჭიროა გარდაიქმნას საბავშვო ლიტერატურის სექციის მუშაობა. ერთა წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა საპასუხისმგებლო და კეთილშობილურ ამოცანას სახავს ჩვენი პარტია და ხელისუფლება საბავშვო ლიტერატურის წინაშე. ეს ამოცანაა: ნორჩ თაობაში ისეთი მოქალაქეობრივი ღირსებების დანერგვა, როგორცაა პატრიოტიზმი, იდეურობა და პრინციპულობა, ნამუსი და პატიოსნება, სათნოება, ნებისყოფის სიმტკიცე და სიმაჰაცე, სამართლიანობა და სიყვარულის და მეგობრობის მაღალი გრძნობა.

## 2) ლიტერატურული კრიტიკა

შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის მთელი პრობლემატიკის ფოკუსი კრიტიკაშია მოქცეული. ნამდვილი მეცნიერულ-ლიტერატურული კრიტიკა არა მხოლოდ სარკეა ლიტერატურისა, არამედ მისი განვითარების მძლავრი ბერკეტი.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენში კრიტიკა თავის ამ დანიშნულებას დამაკმაყოფილებლად ასრულებდეს. კრიტიკის ის ნაკლი, რაც მკაფიოდ აღნიშნულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში, საესებით შეეხება ქართული ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობასაც. მართალია, ზოგიერთი პოეტების უიდეო, უსაგნო ლირიკისაკენ მიდრეკილება შეუმჩნეველად არ დარჩენია ჩვენს კრიტიკას (პირველ რიგში აქ უნდა ვახსენოთ მ. ბ. ჟღენტის და გ. ჯიბლაძის კრიტიკული წერილები), მაგრამ ეს საკმარისი როდია. საზოგადოდ ჩვენი კრიტიკოსების უმეტესობა ს. ც. დ. სიმბა ისტორიზმით გატაცების სენი. ცოტას როდი სწერენ ჩვენს სასქადულო კლასიკოსებზე. ხშირად ისეთი სქელტანიანი მონოგრაფიები იწერება ზოგიერთ მათგანზე, რომ, ჩემის აზრით, მათ გამოცემას მკითხველი საზოგადოება ბევრად არჩევდა თვით კლასიკოსების თხზულებათა გამოცემას. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ არ გვჭირია კრიტიკული წერილები ჩვენს კლასიკოსებზე, მაგრამ ასეთ კრიტიკას უმთავრესად აკადემიური დანიშნულება აქვს, ვინაიდან კლასიკოსების ზოგადი, პრინციპული შეფასება თვით ხალხმა და ისტორიამ მოახდინა. კრიტიკის მთავარი ამოცანაა თანამედროვე მწერლობის ანალიზი, მისი შეფასება, მწერლის და, გარკვეული აზრით, თვით მკითხველის სწორი ორიენტაცია. თანამედროვე მწერლობის შეფასებისას არავინ უშლის კრიტიკოსებს მიმართონ ისტორიულ პარალელებს და რეალისტურ პროგნოზებს.

თუ პროზაიკოსების, დრამატურგების და ნაწილობრივ პოეტების გატაცება ისტორიული თემატიკით აიხსნება თანამედროვე ცხოვრების შეუსწავლე-

ლობით, ამას ვერ ვიტყვივით კრიტიკოსების ისტორიზმით გატაცების შესახებ. ვანა შეიძლება ვიფიქროთ რომ კრიტიკოსები არ კითხულობენ თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას? მოტივი აქ სხვაა და, რა დავადასტურებდეთ უფრო მდარე ხასიათისაა. ესაა ან შიში ცოცხ. ლი მწერლებს წყენისა ან და პირადი მეგობრული დამოკიდებულების ლიტერატურის ინტერესებზე უფრო მაღლა დაყენება. ერთ რამეს კი ამჟღავნებს ეს გარემოება: ჩვენი კრიტიკოსების უმეტესობის ლიტერატურულ სინდისს, რამდენად ისინი არასაქების კრიტიკას ერიდებიან თუნდაც მეგობრობის გულისთვის. მაგრამ ილიამ სწორად სთქვა: რად მინდა ხმალი, თუნდ იყვეს მკრელი, თუ სიმართლისთვის დამინლუნვდებაო. პასიური ლიტერატურული სინდისი: ხალხს და მის ლიტერატურას ვერაფერში გამოაღვება. ისეთ პირობებებს მიაჩვიეს ჩვენმა კრიტიკოსებმა თანამედროვე მწერლები, რომ ერთი მათგანის შექება მისი ჟანრის კოლეგის წყენინებას ნიშნავს!

ის მცირეოდენი კრიტიკული წერილებიც რომლებიც თანამედროვე მწერლობას შეეხება, უმეტეს შემთხვევაში ზოტბას წარმოადგენს. სამაგიეროდ, თუ ვინმე გასწირეს, ძაგების მეტს ვერაფერს დანახავთ! ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სამწუხაროდ ქებაც და ძაგებაც უფრო დეკლარატიულია, ვიდრე დამაჯერებლად მოტივირებული და დასაბუთებული.

გარდა ამისა, ჩვენი კრიტიკოსების გარკვეული ნაწილი ფორმალზმითაა დაავადებული. კრიტიკაში ფორმალზმს ვუწოდებ მე იმ მეთოდს, როცა მხატვრული ნაწარმოები გარჩეულია მხატვრულობის ფორმალური კრიტერიუმების მიხედვით: დაცულია თუ არა ესა თუ ის ლიტერატურული ხერხი, სიუჟეტის გაშლის და კომპოზიციის წესი, როგორია ენა, მხატვრული სახე, რატომი, რითმა და სხვ. ექვს გარეშეა, რომ ყველა აღნიშნული საკითხი ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია, მაგრამ მართო ამით დაკმაყოფილება უმართებულოა, ნაწარმოების მხატვრულ-ლიტერატურული ფორმის გარჩე-ასთან ერთდ კრიტიკოსმა უნდა გაარჩიოს საკითხიც: რამდენად მნიშვნელოვანია თემა, რომელსაც ავტორი შიგნით, რამდენად აქტუალურია ნაწარმოების პრობლემატიკა, რამდენად სწორადაა დასმული თუ გადაწყვეტილი აღძრული საკითხები და სხვ. უამისოდ კრიტიკის საზოგადოებრივი მნიშვნელობა მცირდება. სწორედ ეს იყო სახელმძღვანელო პრინციპი ბელნისის. ჩარნიშევსკის, დობროლიუბოვის და გორკისათვის—რუსეთში, ილია ჭავჭავაძისათვის—ჩვენში. ჩვენს თანამედროვე კრიტიკოსებს კი ეს პრინციპი რატომღაც ძალიან ხშირად ავიწყდება.

ობიექტივიზმი და მიუდგომლობა კრიტიკის მთავარი ძარღვია. ვინც ამ პრინციპს თანმიმდევრობად, ბოლომდე გაატარებს, უკუვლად დაიშინებურებს ავტორიტეტს მწერლებშიც და მკითხველ საზოგადოებაშიც. მაგრამ ამასთან ერთი აუცილებელი პირობაა საქმის: კრიტიკოსის თეორიული და ლიტერატურულ-მხატვრული კვალიფიკაცია. რამდენიც უნდა გააკრიტიკო, მწერალი დაგვიჯერებს და მადლობასაც გეტყვის. თუ დინახავს, რ-მ შენ მის შრომას არ აბიბრეობ, საკითხის ღრმა ცოდნას იქნ და საგულასსში და სასარგებლო რჩევას აძლევ.

მხატვრულ შემოქმედებაში მწერალი ხშირად ინტუიციით მიიყვლის გზას. კრიტიკოსის იდეურ-თეორიული მომზადების დონე კი არ უნდა ჩამოუვარდებოდეს მწერლისას, მასზე უფრო მაღლაც უნდა იდგეს, რომ თვით

მწერალს (და მასთან ერთად მკითხველ საზოგადოებასაც) უჩვენოს მათი ნაწარმოების ნაკლი და ღირსება.

კრიტიკა უნდა იყოს სიგნალიზატორი ყოველი საზოგადოებრივი ტენდენციის მოჩენისა და მახარობელი და წამქეზებელი ყოველი ჯანსაღი საზოგადოებრივი წამოწყებისა. ის მაშინვე უნდა ეხმაურებოდეს ყოველ ახალ მოვლენას ლიტერატურაში. ჩვენ კი ხშირად ვამჩნევთ ლოდინის ტაქტიკას: ვნახოთ, ჯერ სხვები რას იტყვიანო: ზოგჯერ, როცა საკითხი უფრო მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას ეხება, შემდგომი ორგანოებს აზრსაც კი უტლიან, რომ შემდეგ მას ამოვფარონ. ეს იმ მხრივაცაა ხელსაყრელი, რომ ავტორს წინაშე შეუძლიათ პირნათლად დარჩინენ: მე ამას არ ვფიქრობ თქვენს ნაწარმოებზე, მაგრამ ხომ ვერ გადაუხვევ შემდგომი ორგანოებს აზრსო. ჩვენს კრიტიკოსებს უნდა ახსოვდეთ, რომ სწორედ მათ, როგორც გარკვეული დარგის სპეციალისტებმა, უნდა მიაწოდონ შემდგომ ორგანოებს თავიანთი შეხედულება ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენაზე. პირველ რიგში სწორედ კრიტიკა უნდა ეხმარებოდეს პარტიას და ხელისუფლებას სალიტერატურო საკითხების გადაწყვეტაში.

უნდა შევნიშნო კიდევ ერთი რამ: თუმცა ლიტერატურული კრიტიკა უძველესად გარკვეული სპეციალობაა, ყოველი მწერალი ამავე დროს თავისდაგვარი კრიტიკოსია. ჩვენი მოწინავე მწერლების მონაწილეობა კრიტიკაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის შემოქმედების შეფასებაში, ცოტა სამსახურს როდი გაუწევდა კრიტიკასაც და ლიტერატურასაც.

დასასრულ ორიოდ სიტყვა ჩვენი ლიტერატურულ-მეცნიერული დაწესებულებების შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებობს რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. მართალია, მას ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ეწოდება, მაგრამ რაზან თანამედროვე ლიტერატურის დარგში ანალოგიური მეცნიერული დაწესებულება ჯერ-ჯერობით არ გაგვანია, ის ვალდებულია თანამედროვე ლიტერატურის მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზიც მოგვაწოდოს. გარდა ამისა სიტყვა „ისტორია“ ხომ მართო შორეული საუკუნეების ისტორიას არ გულისხმობს — საბჭოთა ლიტერატურასაც გააჩნია თავისი ისტორია. არც ისე დიდი ცოდვა იქნება, თუ საკითხის აქტუალობა ქრონოლოგიის პრინციპს რამდენადმე დააძღვევს.

ამ მხრივ უფრო მეტი მოეთხოვება სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი ლიტერატურის კათედრას, მით უმეტეს, რომ მას განაგებს ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთი კვალიფიციური წარმომადგენელი ამხ. შ. რადიანი. განა ეპატიება ამ კათედრას „პრინციპული“ სიჩუმე თანამედროვე ლიტერატურის საკითხებზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ ეწოდება „უახლესი ლიტერატურის კათედრა“?

ჩვენ გვყავს კრიტიკოსების ძლიერი და კვალიფიცირებული რაზმი. მათ უძველესად შესწევთ უნარი სათანადო დონეზე დააყენონ ლიტერატურული კრიტიკა და მით ხელი შეუწყონ ჩვენი ლიტერატურის წინსვლას. ამისათვის საჭიროა შეიარაღდნენ ისინი ბოლშევიკური პრინციპულობით, უყუარდონ ყოველგვარი პირადული, მეგობრული მოსაზრებანი რა მშობლიური ლიტერატურის განვითარების ინტერესები თავიანთი მუშაობის ქვაკუთხედად აქციონ. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, თავის მხრივ, ვალდებულია სათანადო დახმარება გაუწიოს კრიტიკოსებს ამ სერიოზულ საქმეში.


 ე. რ. მ.

ქართული ლიტერატურის შემდგომ განვითარებასთანაა დაკავშირებული მსოფლიო ლიტერატურის შედეგების გამოცემა ქართულ ენაზე. მხატვრული წერის ოსტატობის დაუფლება მართო პირადი ვარჯიშობის საკითხი როდისა რაც უფრო მეტ ლიტერატურულ ძეგლს გაეცნობა ახალგაზრდა მწერალი, მით უფრო ფართოდება მისი ჰორიზონტი, მით უფრო წვდება ის მხატვრული შემოქმედების საიდუმლოებას. ქართველ ხალხს თარგმნის უძველესი ტრადიცია აქვს. საშუალო საუკუნეების ევროპა არც კი იცნობდა ბერძნული ანტიკის კორიფებს, როცა ზოგი მათგანის ძირითადი ნაწარმოები უკვე თარგმნილი იყო ქართულად. ცნობილია ფაქტი, როცა მნიშვნელოვანი ბერძნული ლიტერატურული ძეგლი შენახული იქნა მხოლოდ ქართულ ენაზე და შემდეგ იქიდგან ითარგმნა ევროპულ ენებზე. ბარბაროსი მტრების მრავალჯერ შემოსევის გამო საუკუნეებმა ვერ შემოგინახა უმეტესობა ძველი ქართული თარგმანებისა სპარსულიდან, არაბულიდან, ბერძნულიდან. XIX საუკუნეში კვლავ განახლდა მუშაობა თარგმანებზე. განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის და აკაკი წერეთლის თაოსნობით ბევრი მსოფლიო და რუსული ლიტერატურის შედეგები იქნა თარგმნილი ქართულ ენაზე. მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში კვლავ შენელდა ეს მუშაობა. მართალია, საბჭოთა პერიოდში გაცილებით მეტი ითარგმნა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა ამ მხრივ ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელი. ამ უკანასკნელ დროს მიღებულია გარკვეული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, შერჩეულია ფართო სარედაქციო კოლეგია სათანადო სექციებით, რომლის წევრებმა ენთუზიაზმით მოკიდეს ხელი მუშაობას. უკვე ბევრი გაკეთდა. მაგრამ მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ გარემოებას: თვითონ ჩვენი მოწინავე მწერლები ნაკლებად კისრულობენ თარგმნას, თითქოს ეს დამამძირებელ საქმიანობად მიაჩნდეთ. ამ უცნაურ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს. განა მწერალთა ყრილობაზე საჭიროა ჩამოთვლა იმ მსოფლიო მოწინავე მწერლებისა, რომლებიც უშუალოდ სთარგმნიდნენ და ამით ამდიდრებდნენ მშობლიურ ლიტერატურას? მართალია, უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე ჩვენი მოწინავე მწერალი ჩაება ამ საქმეში, მაგრამ ეს როდისა საკმარისი მსოფლიო ლიტერატურის კორიფებისადმი პატივისცემა, ერთის მხრით, და მშობლიური ლიტერატურის ინტერესები, მეორეს მხრივ, გვაძალბენ ისე მოვაწესრიგოთ თარგმნის საქმე, რომ ქართულ თარგმანში არ იყარგებოდეს ორიგინალების ღირსებები. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს.

• • •

მოკლედ შევხები რედაქციების მუშაობის საკითხს. არაერთხელ აღნიშნულა კრებებზე და თათბირებზე, რომ სტილი ჩვენი რედაქციების მუშაობისა ყოვლად მიუღებელია. კოლეგიები არსებითად ნომინალურად არსებობენ და უმეტეს შემთხვევაში რედაქტორი ერთპიროვნულად სწავებს შემოსული მასალების ბედ-იღბალს. როცა ეკითხებით კოლეგიის წევრებს,—ისინი რედაქტორს აბრალებენ: არ გვეძახის და არ გვაძალბებს გარკვეულ ფუნქციებსო. რედაქტორი კი სჩივის: კოლეგიის წევრები არ მებმარებიან, და-



ვალდებებს და პასუხისმგებლობას გაურბიანო. ასეთ შენობებში ჩვეულებრივ ორივე მხარეა დამნაშავე, მაგრამ მაინც, უწინარეს ყოველის, რედაქტორი აგებს პასუხს ჟურნალის მუშობაზე. თუ რედკოლეგიის წევრები ურბიან თავიანთ ფუნქციების შესრულებას, რედაქტორი ვალდებულია დასვას საკითხი მათს შესახებ სათანადო ინსტანციაში. ეს არ ხდება და ჩვენი ერთადერთი ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი“ დაუშვებლად ჩამორჩება თანამედროვე კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებას. ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. ახანაგებს ავიწყდებათ, თუ რა საპატიო მოვალეობაა რედაქტორობა და სარედაქციო კოლეგიის წევრობა, ავიწყდებათ ის დიდი როლი, რომელიც ეკისრება ჟურნალს ლიტერატურის წინსვლის საქმეში. გავიხსენოთ „Отечественные записки“ და „Современник“-ი, გავიხსენოთ, თუ როგორ ეკიდებოდნენ სარედაქტორო მოღვაწეობას პუშკინი, გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, ილია ქავეჯავაძე და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალები, განსაკუთრებით მათი კრიტიკის განყოფილებანი, ზრდიდნენ მწერალთა თაობებს.

როცა მწერალი აქვეყნებს თავის ნაწარმოებებს ცალკე წიგნების სახით, ეს ასე თუ ისე ინაწილებს პასუხისმგებლობას გამომცემლობის მიერ გამოყოფილ რედაქტორთან. სულ სხვაა ჟურნალში გამოქვეყნებული ნაწარმოები. აქ პასუხს აგებს რედაქცია, მხოლოდ რედაქცია. ჟურნალში და სალიტერატურო გაზეთში მოთავსებული მხატვრული ნაწარმოებნი სანიმუშოანი უნდა იყვნენ, რომლებზედაც ისწავლის ახალგაზრდობა. სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ საწინააღმდეგოს. ხშირად გამომცემლობის მიერ დაწუნებული ნაწარმოები ჟურნალში პოულობს „თავშესაფარს“.

ჟურნალის და გაზეთის რედაქციებს დიდი როლი ეკისრება მწერლობის ზრდაში, ახალი ძალების გამოვლენაში და აღზრდაში. ვინ დაიჯერებს, რომ თანამედროვე ქართული მწერლობის პოტენციური ძალა ერთს კი არა ორ, სამ და მეტ ჟურნალს ვერ ასწევს? მაშ რით აიხსნება, რომ ერთადერთი სქელტანიანი ჟურნალი „სულს დაფავს?“ მხოლოდ და მხოლოდ რედაქციის სუსტი მუშაობით!

სუსტი ნაწარმოების გამოქვეყნების გასამართლებლად ხშირად გაიფიქრობთ ასეთ მსჯელობას: რა ვუყოთ, ახალგაზრდა მწერალია, ცოტა შეღავათი უნდა მივსცეთო. ჯერ ერთი, — ჩვენს შორის იყოს და... ჟურნალში გამოქვეყნებულ სუსტ ნაწარმოებთა უმრავლესობა „ძველგაზრდა“ მწერლებს ეკუთვნის, შემდეგ, ვინ ან როდის სთქვა, რომ ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებს შეღავათი უნდა მივსცეთო? ანბანურ კემპარიტებ დ უნდა მივიჩნიოთ, რომ შეღავათი დასაშვებია მხოლოდ დამწყები ავტორის მიმართ და არაერთარ შემთხვევაში მისი ნაწარმოების მიმართ. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ თუ დამწყები ავტორი წარმოდგენილ ნაწარმოებში გარკვეულ ნიჭს ამჟღავნებს, მაგრამ თვით ნაწარმოებს დეფექტები გააჩნია, რედაქციამ ცივი უარიოთ არ უნდა გაისტუმროს იგი. უნდა დაავალოს კოლეგიის რომელიმე წევრს, ან მწერლობის სხვა ოქტატს თვით ახალგაზრდა ავტორთან ერთად გულმოქაღინედ შეაქსოროს ნაწარმოები, აიყვანოს ის თვლურ-მხატვრული მოთხოვნების სათანადო დონემდე. აი ესაა: შეღავათი ავტორს და არაერთარ შეღავათი თვით ნაწარმოებს. ამ გზით იზრდება თვით ახალგაზრდა ავტორები და მდიდრდება ლიტერატურაც. ნუთუ სადათა დებულება, რომ ლაბერა-



ლიზმი კი არ ზრდის მწერალს, არამედ ღუპავს მას, გაუმართლებელ თვით-კმაყოფილების წუმპეში აქცევს? მგონია, ეს ყველამ იცის, მაგრამ მწერლებ-როდ ლიბერალიზმს და მეგობრულ დამოკიდებულებას მტკიცედ აქცევენ მთავრდებული ფეხი ჩვენს რედაქციებში. არ ჰყოფნით მოქალაქეობრივი სიმტკიცე პირდაპირ უთხრან ავტორს—ეს თქვენი ნაწარმოები არ ვარგაო. ამის ნაცვლად ეუბნებიან: ამ ნომერში არ წავა, მოდიტ შემდეგ ნომერში გაუშვათო. როგორც მოგეხსენებათ, ავტორებს კი არ აკლით „შეუპოვრობა“ ბოლომდე სდიონ თავიანთ „შედევრებს“ და რედაქტორებიც იძულებული ხდებიან საბოლოო ანგარიშში „დაუთმონ“.

ჩემის აზრით რედაქციები მტკიცედ უნდა იცავდნენ შემდეგ წესს: ყოველი ნომრის მასალა წინასწარ ეგზავნება სარედაქციო კოლეგიის სათანადო წევრებს, შემდეგ ეწყობა კოლეგიის სხდომა, სადაც ხდება მასალების გარჩევა. კოლეგიის დადგენილება ყოველი მოთხრობის ნაწილის, პოემის, ლექსის, კრიტიკული ან პუბლიცისტური წერილის შესახებ ოფიციალურად შეიტანება ოქმში. როცა ავტორი მოაკითხავს თავის ნაწარმოებს, ის ოქმიდან გაიგებს, თუ რა ბედი ეწვია მას. ეს მალე სწეეს ავტორების პასუხისმგებლობას და მასთან ერთად აკლის ნიადაგს რედაქტორისადმი ან კოლეგიის რომელიმე წევრისადმი პირად უკმაყოფილებას. რედაქციებმა განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ კრიტიკის განყოფილება, არ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმით, რომ თავის დროზე გამოეხმაურებიან ცალკეულ ნაწარმოებებს. ყოველი წლის ბოლო თვის ნომერში უნდა ჩოთავსდეს განზოგადოებული კრიტიკული მიმოხილვა: „ლიტერატურული წელი“, სადაც აღინიშნება, რა მისცა ლიტერატურას განვლილმა წელმა, რა პრობლემა დაისვა და როგორ გადაწყდა, რა იყო მთავარი ნაკლი და სხვ. როგორც მოგეხსენებათ, ეს ახალი გამოგონება არ არის. ამას მიმართავდნენ წინათ ყველა მოწინავე ორგანოები.

გასაგებია, რომ რაც ითქვა „მნათობის“ რედაქციის შესახებ, ასე თუ ისე ვრცელდება საბავშვო ჟურნალების — „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ რედაქციებზე, განსაკუთრებით მუშაობის სტილის მხრივ.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ გაზეთი „კომუნისტის“ რედაქცია უფრო ახლოს უნდა დადგეს ლიტერატურასთან, უფრო ხშირად მოათავსოს თავის ფურცლებზე ლიტერატურული ჟურნალების კრიტიკული მიმოხილვა. გასაგებია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს ხმას მწერლობა ყურადღებით მოესმენს.

• • •

აქ საკმაოდ ითქვა მწერალთა კავშირის გამგეობის და მისი პრეზიდიუმის მუშაობის პრაქტიკულ საკითხების ირგვლივ, ბევრი ნაკლი გამოირკვა, ბევრი პრაქტიკული წინადადებაც შემოვიდა. რომელთა უმეტესობას მე ვეთანხმები. ჩემის აზრით, პრეზიდიუმის მუშაობაში მთავარია ორგანიზებულობა. არ აენებს მას შეითვისოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის სტილი, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი ორგანიზაციის სპეციფიურობის გათვალისწინებით. უწინარეს ყოვლისა, მე მხედველობაში მაქვს გ-გმიანობა მუშაობაში. პრეზიდიუმში უნდა იმუშავებდეს კვარტალურ გეგმებს. ამ გეგმებს უნდა არჩევდეს და ამტკიცებდეს გამგეობის პლენუმი. წარსულში

გამგეობა თითქმის ნომინალურ ორგანოდ იყო ქცეული, არ იწვევდა პლენუმში. უნდა დაწესდეს წელიწადში პრაქტიკულ ოთხი მორიგი პლენუმისა.

პრეზიდიუმის მუშაობის გეგმაში მთავარი ადგილი უნდა დედაქალაქის მუშაობის რეზიდიუმის სექციების და რედაქციების მუშაობამ. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პერიფერიულ სექციებს.

საგრძობლად უნდა გამოცოცხლდეს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, განსაკუთრებით იდეურ-აღზრდელობის და რედაქციის. ის გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რასაც ადგილი აქვს ამ ყრილობაზე, უძველესად შეუწყობს ხელს ახლად არჩეულ გამგეობას და მის პრეზიდიუმს გამოსასწორონ არსებული ნაკლოვანებანი და მომავალში გაცილებით უფრო კარგად წარმართონ როგორც ორგანიზაციული, ისე იდეურ-პოლიტიკური მუშაობა.

• • •

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი ლიტერატურა. პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა მწერლობისადმი. ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განსაზღვრა მწერლის როლი და ფუნქცია, უწოდა მწერალს „ადამიანის სულის ინჟინერი“. საბჭოთა ხალხი ყველაზე მოწინავე ხალხია მსოფლიოში, მისი სულიერი ცხოვრება ყველა ხალხის სულიერ ცხოვრებაზე უფრო მდიდარია. მხოლოდ ყველაზე მოწინავე მწერლობას შეუძლია შეასრულოს ასეთი ხალხის „სულის ინჟინერის“ როლი. საბჭოთა ლიტერატურა მართლაც ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა მსოფლიოში. საბჭოთა ხალხი, სოციალისტური სამშობლო ელიან მისგან სერიოზულ დახმარებას კომუნისმის შემდგომი მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანების გადაწყვეტაში. ამ მაღალი მოწოდების პირნათლად შესასრულებლად საბჭოთა მწერლობამ გადაჭრით უნდა გადალახოს ის შეცდომები და დეფექტები, რაც აღნიშნულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში, რომელიც დიდი სტალინის პირადი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით იქნა შემუშავებული.

ქართული საბჭოთა მწერლობა წარმოადგენს ერთ-ერთ მოწინავე რაზმს საბჭოთა კავშირის მწერლობაში. კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც გაიშალა ამ ყრილობაზე, ნათლად მოწმობს, რომ ჩვენს მწერლებს საცესებით შეგნებული აქვთ ის საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა, რომელსაც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს განვითარების თანამედროვე ეტაპი უყენებს საბჭოთა ლიტერატურას. ეკვს გარეშეა, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები, რომლებსაც წლების განმავლობაში ზრდიდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ლავრენტი ბერია სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმისა და ბოლშევიკური იდეურობის სულისკვეთებით, აღმოჩნდებიან თავიანთ ამოცანის სიმაღლეზე და ღირსეულად უპასუხებენ იმ ზრუნვას, რომელსაც იჩენენ ლიტერატურისადმი ჩვენი პარტია და ხელისუფლება, პირადად ჩვენი საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი (ხანგრძლივი ტაში).

## ზღვა ახმაურდა

გალაკტიონი

★

ზღვა ახმაურდა  
ყრუ ხმაურობით,  
ანძა, იაღჭნის  
მეთაურობით

მოგზაურობდა.

ძარღვებს თანდათან —  
ეს უცნაური  
სწეწდა, არღვევდა  
წერ-ზაური.

ზღვა ხმაურობდა.

ზვირთის დენაში  
წვეთი ყოველი  
იმ სიმფონიის  
ვერ დამტოველი

მეზღვაურობდა.

სისზლისაც ყოველ  
მცირე ატომით...  
ძალ-გამეტებით,  
თავ-გადაკვდომით —

ზღვა ხმაურობდა.

და მე ვიგრძენი  
უეცრად შკაცრად,  
რომ არა ფერფლად  
და არა ნაცრად

დღეთ წინაურთა —

არა ჩემს გარეთ,  
არა რამე სხვა,  
არამედ ჩემში  
ახმაურდა ზღვა.

ზღვა ახმაურდა.

ფირუზისფერ ტალღებზე  
გემი რომ ილანდება,  
ხედავ, როგორ ეღება,  
ნაპირს ეცეხლის დანთება?  
შოსჩანან ფრონტონები —  
ახალნაგებ სახლების,  
ხეთა მწვანე დროშები —  
ნიშანი განახლების.  
ოდეს სადამორობით,  
ქალაქი აინთება,

სამხრეთის ცის კრიალა  
ვარსკვლავი გაბრწყინდება.  
დიდებულო წამები  
სიჩუმის და სიმშვიდის  
არეს გაღეფარება —  
ქართა მსუბუქი რიდის;  
ო, რამდენი ძალა სცემს  
ამ მშვიდი ვალაღებით...  
შავი ზღვა კი მიმოღის,  
ფოსფორიულ ტალღებით.

პრავალ მხარეს მოგზაური,  
მისავალზე ძველი ცხუმის  
მიღის წყნარად მეზღვაური,  
მღერის და ბედს არ ემღერის.

მეც გემზე ვარ. უამინდო  
ნისლი ჩემთვის არის მღელო,  
აფხაზეთო, აფხაზეთო,  
სულზე უფრო საყვარელო!

მშვენიერი ირგვლივ არის  
ლურჯი წყალი, მწვანე ქედი,  
და პონტიის არე-მარეს  
შენის გემი „აფხაზეთი“.

ყოველი მხრივ საიმედო  
ღუზათა სჩანს კვალი-ღელო...  
აფხაზეთო, აფხაზეთო,  
სულზე მეტად საყვარელო!

ჩვენ შევექმენით, ჩვენი არის  
ეს სიმდიდრე დაგროვილი,  
ჩვენ შევექმენით იგი ოქრო,  
იგი ფარჩა და ქსოვილი.

ჩვენ მოვაწყეთ მანქანები  
და რკინიგზის ქსელი ხშირი,  
ჩვენ ამოგვაქვს მიწის გულით  
ის რკინა და ქვანახშირი.

მხოლოდ ჩვენი შრომა ბადებს,  
რაც ამშვენებს ყოფნის დღეებს,  
ზღვაზე გემებს და ხომალდებს  
და მიწაზე სასახლეებს.

შექმნილია ჩვენის ხელით,  
ჩვენის სისხლით მოწეული,  
ის სპილენძი, იგი ვერცხლი,  
ხავერდი და ძოწეული.

თავდამსხმელს კი ამის ნაცულად  
სურდა გაეთელა შრომა,  
პრისხანებით დღღდა სისხლი,  
სევამა რომ სმა მოინდომა.

ჩვენ ვუჩვენეთ მტერს ადგლი,  
სადაც მისი სამკვიდროა:  
ანგარიშის გასწორების  
დროა, გაღუდები დროა!

გამარჯვება, აფხაზეთო, შენი.  
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.  
მომენტრა მზე, სინათლის მფენი,  
მომენტრა ზღვა, რომელიც ვრცელია.  
მომავებე შენ იგივე პალმა,  
მომავებე შენ იგივე პალმა,

სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა  
გაღიწერა ჩემად ლექსი ჩემი,  
მომავებე მშობლიური გემი,  
მომავებე მშობლიური მიწა,  
შენი ძველი მეგობარი მიცან.

• •

თრთის დასავლეთი, აწითლებს ზღვას  
 ზეცის კაშკაში...

ზეცის კაშკაში არეულა  
 უცხო ხაშხაში.

თანდათან ციდან ძირს ეშვება  
 ღამე სამხრეთის,

ნელი მიბნეღვით გადიელის ზღვას  
 და მთებში შეღის.

ღამე მშვიდობის, ამბობს ქალი,  
 ცა მოწამეა...

ღამე მშვიდობის: მაგრამ განა  
 ახლა ღამეა?

რამ დააღამა! გულში დილა  
 გათენდა გრძნობის,

დილა მშვიდობის! შენ კი ამბობ  
 ღამე მშვიდობის!

• •

დილა. სკოლისკენ. ძელახი... ჩანთა  
 გადამეტებით ბავშვს იგი ართობს:  
 ღრუბელი ცაზე არ სჩანს, არ სჩანდა.  
 მხოლოდ შავი ზღვის სიო ნავარდობს.  
 მისი თვალებიც სილავეჯარდვა  
 და აღტაცება მრავალთ-მრავალი,  
 იგი, სიცოცხლით სავსე გვარდია,  
 ზენი იმედი და მომავალი.

• •

გათენდა ცხრაას ორმოცდაექვსი.  
 ახალი წელი, ახალი წუთი.  
 დავათარიღე ახალი ლექსი  
 შეცდომით: წელი ორმოცდახუთი.  
 ეს ინერცია როდია მხოლოდ:  
 ჯერ არნახული ამბების მოქმელი,  
 მატრიანეში შევა სიმბოლოდ  
 ზღვასავით, რისხვით მკუხარე წელი.

• •

ჩემმა ახალგაზრდობამ,  
დღემან პირმომცინარემ  
განელო, ვით გაზაფხულის  
შფოთიანმა მდინარემ.

მაგრამ ხანგადასული  
გული ისევ გულია,  
არ ეფიჭრობ, რომ ყოველი  
უქმად დაკარგულია.

მეგობრებო, ჩენი გზა  
გასწევს წელთა მრავლობას,  
ოვი მუდამ დარჩება  
ხსოვნად შთამომავლობას.

• •

სადაც ახლა ზვირთი ბზინავს,  
ქარის ისმის ქშენა, —  
გადასული წლების წინათ  
ვქროდით მე და შენა.

ახლაც აქ ვარ, ძველისძველო  
მდგარო დროთა ზემო.  
საყვარელზე საყვარელო  
მოგონებაე ჩემო.

სადაც ახლა ზვირთებს სძინავთ,  
ბაღს სდევს ქარვის ფერი.  
თვალწინ მიღვას, როგორც წინათ,  
შშვენიერი მერი.

• •

არა მშობლიურ ზრუნვათა ზემო,  
არა სიმშვიდით და ნაპირ-ნაპირ.  
არამედ მედგარად, ხომალდო ჩემო,  
ჩვენ მივსცურავდით ქარის პირდაპირ.



არა ოცნება და ნაზი სული  
გიალერსებდა მშვიდობის მსურველს,  
არამედ შავი და განწირული  
ღამე გახვედა თავის საბურველს.

და სიხარულიც, ხომალდო ჩემო,  
არ ვიცი, ქვეყნად იყო თუ არა,  
ზეირთების სკდომამ ჩემს გულს გარშემო  
მარტოდენ ნგრევით შემოუარა.

არ აგვესება გული ვარამით,  
ერთი ფიჭვია ნუგეშისმცემი:  
რომ არა ზეცა, — არა, არამედ  
ეს შავი ზღვაა ნუგეში ჩემი.



გახსოვს როგორ შეხვდნენ, შერი,  
ზღვად შენი და ჩემი ნავი,  
ნორჩთა დღეთა გულთმიერი  
მიარხვედა წყალს ნიავი.

შენ ციმციმი თვალთა მტყორცნე  
თან ტკბილი და თანაც მწარე,  
მოგეხეიე — გადავკოცნე  
მე იმ სახის არე-მარე.

ეხ, დრო იგი დარჩა მიღმა,  
ტალღა მოსკდა, როგორც გორა.  
ზღვას შეშურდა, ჩვენ სასტიკმა  
ღელვამ დაგვაშორიშორა.

ძნელი როდი არის პოვნა,  
რაც რაშაა დაკარგული,  
მაგრამ, რასაც ჰკარგავს ხსოვნა, —  
ღრმად ინახავს ჩვენი გული.



არ ვარ თბოლი ამ ქვეყანაზე  
შენ მეგულები ნუგეშად სანამ...  
რა არის ტკბილი დედის ნანაზე?  
მე მიმატოვა აღრე იმ ნანამ...  
მაინც დაუღივარ ამ ქვეყანაზე.



სულ არ ვივლიდი ამ ქვეყანაზე,  
 ნუგეშად რომ არ მეგულებოდე-  
 დაე, მგოსნობით მრავალ ხანაზე  
 ზოგს ვყვარებოდე, ზოგს ვტყულებოდე:  
 ობლად თავს არ ვთვლი მე ქვეყანაზე.

არ ვარ ობოლი მე ქვეყანაზე,  
 აგერ ქნარები, აგერ გულები...  
 ზღვაო, ის ჰანგი შენ გაანაზე,  
 კვლავ ვიტყვი: რაკი შენ მეგულები, —  
 ობლად თავს არ ვთვლი ამ ქვეყანაზე.

მოჰყენია ფერი დილის  
 არე-მარეს იმ წყაროთა,  
 სადაც როსმე ყოველ დილის  
 გათენება მიხაროდა.

ის ნაპრალიც დროთა სვლაშიც  
 სურომ ფითრით გადაბარდნა.  
 საიდანაც შშფოთარ ზღვაში,  
 მიხაროდა გადავიარდნა.

აწ იგი დრო მიდის, მიდის,  
 იჩქარის და იჩქაროდა.  
 მაგრამ ტებნა მარგალიტის  
 მიხარის, ვით მიხაროდა.

მოგონებებმა შენს ჩრდილში ნახა  
 მზე — ისე მკრთალი, როგორც თიფთიკი,  
 ვესაუბრები შენს ჩრდილს, თუმცა-ღა  
 შე პოეტი ვარ, შენ ვეკალიბტი.

მწუხრს შავი ზღვიდან ქარი მოდელავს  
 შენს მაღალ მწვერვალს ზრის, უალერსებს.  
 ის ბალახ-ბულახს თუმცე გადათილავს,  
 ვერას დააკლებს შენს მტკიცე ფეხებს.





ასეუ თუ ახლო ფიქრი დაერთო,  
 ეხმაურება ოცნება შორისს.  
 რალაც საერთო, დიდი საერთო  
 ძვირფასო ხეო, არის ჩვენს შორის.

სულთქმით დიადით, გულთქმის ხმაურით,  
 მხრების აზიდვით და ძალმოკრებით —  
 მცენარე მკვიდრობს ფესვებით მძლავრით,  
 ადამიანი სდგას მეგობრებით.



ჩვენ ვიგონებდით ჩვენს სიყმაწვილეს,  
 რა სიძლიერე, რა სანანური...  
 ვინ მოიგონებს სხვა იმგვარ „ლილეს“,  
 რომელსაც ჩანგი მიჰყვა სვანური.

იმერს დამ ამერს, ლიხს იქით, აქეთ,  
 ამღერებული არის ბუნება.  
 ჩვენ ეს კოშკები სიმღერით ვაგეთ,  
 ომს სდევს სიმღერის აგუგუნება.

ტკბილი სანთურის და სალამურის  
 აუწერელი ხმის გაგონება.  
 გულს ამიძგერებს, სულს იგი სწყურის  
 როგორც ოცნება და მოგონება.



მდიდარზე მდიდარ ბაღში შეველი,  
 ვარდები დამხვდა დაუღეველი,  
 ვიყავ ამაყი და უძლეველი  
 მილიონებში ხელისმრეველი.

გადანგრეული მახსოვს სასაზღე...  
 არის ჩემს გულში ერთი სიახლე:  
 ამეამად მხოლოდ ზღვას ვასახელებ —  
 მილიონებში ხელისმრეველი.

აი, სიალცე იშლება დილის,  
 ოქრო ლიმონის, ქლიავი ლილის,  
 დაფნის, ფორთოხლის და ზეთისხილის  
 მილიონებში ხელისმრეველი.



ზემმა საშობლომ მშვენიერმა  
 რაც ნახა ჭირი,  
 რაც მახინჯთაგან განიცადა  
 ეამთა მორღებლევით,  
 რაც ნახა ჭირი, ვიგონებ მას  
 მე, მუხაჯირი.  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

დავესაჯა ბედმა, იმ შაებედმა  
 და გასაჭირი  
 გაელინთა ნისლის, ცრემლებისა  
 და სისხლის გუბით.  
 თიხას დიხაშხოს, თუ ფხვიერსა  
 ვგრძნობ, მუხაჯირი:  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით

რა დამაფიწყებს ფირუზის ფერს  
 ტყესა და ნაპირს,  
 მაღალ მთებითა და ერცახეს  
 ვარსკვლავით ტყუბით.  
 ჯახში, ჯახირში, ქაობებში,  
 ხაშში—მუხაჯირს—  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

რაა გარშემო? სეედა, ანძა  
 და მოაჯირი.  
 ქანაობს გემი ქარისა და  
 ტალღების ჩხუბით.  
 რა საჭიროა? სადაც მივალ  
 მე, მუხაჯირი—  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

ცაზე ღრუბლების მობნეული  
 წყება ხშირ-ხშირი,  
 ციფა და ბაქანს წვიმა ასხამს  
 ღრუბელთა რუმბით...

ვერ ვეღორსები ჯარს და ჯირითს  
 მე, მუხაჯირი.....  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

იმედს არასდროს არა ჰკარგავს —  
 ვინც ომს აპირებს,  
 უიმედოა მხოლოდ ქაჯი  
 თვალ-ირიბ უბით  
 ერთი იმედი უცხო მხარეს  
 მიმაქვს მუხაჯირს —  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

მალე მაისის მხურვალე მზე  
 სხივებს დააქერს,  
 და არე-მარე მოირთვევს  
 ყვავილთა ჯგუფით.  
 რომ გამახსენდე, გაზაფხულო,  
 მიმაქვს მუხაჯირს,  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

არა, არაა ყველა გზები  
 გადანაპერი,  
 მჯერა, მხურვალე მზე დაგვიცავს  
 ელვარე შუბით,  
 თვით სამარეშიც ამას ვიგრძნობ  
 მე, მუხაჯირი,—  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

როცა წარსდგება დიდებული  
 მომავლის პირს  
 აფხაზი მზითა, ოსმალო კი  
 ქუქყით და წუმპით  
 აი, იმ დღისთვის, დღეს განწირულს  
 მიმაქვს მუხაჯირს,  
 შშობლიურ მიწის ერთი მუქა  
 თან მიმაქვს უბით.

გარდავა ბნელი უფსკრულების  
მღვრიე ნადირი.  
აღმოსავლეთი მოიროთევბა  
ციხკრის ალუბლით,  
მომავალ დროშებს ვსლავე ვგრძნობ  
მე, მუხაჯირი;  
მშობლიურ მიწის ერთი მუკა  
თან მიმაქვს უბით.

თუ გაილეებს იმათ თვალწინ  
ჩვენი ზანჯალი  
ჩონგურს ძველებურს თუ სიმები  
ისევე გავუბით—  
კვლავ შემოვძახებ ძველს სიმღერას  
მე, მუხაჯირი.  
მშობლიურ მიწის ერთი მუკა  
თან მიმაქვს უბით.

იმ ნადირობით, ცხენოსნობით,  
ხმით პირდაპირით,  
ღვინით, სიმღერით, მშვიდობიან  
სუფრით, საუბრით.

სტუმრებთან ერთად ვერ დავაკლები  
მე, მუხაჯირი, ვიღაცეებს  
მშობლიურ მიწის ერთი მუკა  
თან მიმაქვს უბით.

აწიოკების და დარბევის  
ზანგრძლივი ძირი...  
მე მაგონდება მამა, ღელა  
ნათელი უშუბლით,  
იმათ ფერფლს მარად ვენაცვლები  
მე, მუხაჯირი—  
მშობლიურ მიწის ერთი მუკა  
თან მიმაქვს უბით.

აი, რას ვეტყვი აფხაზეთის  
მომავალ გმირებს:  
არც უსასო ვარ, არც ცრემლები  
მდის ღაბა-ღუბით.  
კგრძნობდეთ მოძმენო მწუხარებით  
ჩვენ, მუხაჯირებს  
მშობლიურ მიწის თითო მუკა  
თან მიგვაქვს უბით!

„აფხაზი, ომგადახდილი  
სამშობლო მხარეს ბრუნდება.  
ცა-გუმბათია ახლილი,  
ზღვაც ძველები აგუგუნდება.  
ცხენით—მიმფრენი ვერხვია,  
დაბრუნდა, ნაბაღს ქარი შლის.  
ჯერ დედას გადაეხვია—  
შერე ცოლსა და ქალიშვილს.“

„დაბრუნდა“—უცებ გაისმა  
ხმა მშობლიური ტყეების.  
„დაბრუნდა“—და ცხრა მაისმა  
შორს გასცა ხმა სივრცეების.  
„დაბრუნდა“—გრგვინავს ტალღა ზღვის  
მიწასაც მისი თქმა უნდა—  
და ყველა მხრიდან გაისმის  
„დაბრუნდა, გმირი დაბრუნდა!“

ომგადახდილი ოცნებით  
 გაქვნილია მის გამო —  
 რომ მსუა და ცხენოსნებით  
 აივსო ეზო-მიდამო.  
 და აფხაზური სიმღერის  
 ხმა სასიამო ირზევა,  
 აფხაზურ ცეკვით თეოდ ჭერის  
 მკერძი ფიცარი ირყევა.

— ხომ ძველებურად? — კითხულობს,  
 — ისეც იმგვარად, — ეტყვიან,  
 გული ისევე ლომ-გულობს,  
 თუმც, ომით დანასეტყვია,  
 და საუბარი სდის ხანის,  
 საღამო ხანის, გვიანის.  
 ტკბილია მოგონებანი  
 ასი წლის აღამიანის.

თრთის სამხრეთის ცა, ციური  
 გაღმოდინება ბურისა,  
 სთვლემს ხიდი ვენეციური  
 და კოშკი კილასურისა.  
 სიტყვაში ვით მაგიური  
 ხმა წმინდათ ნაკამკამარი,  
 ხშირად გაისმის მზიური  
 დასახელება: თამარი.

თასებში ღვინო ელვარებს  
 ცვარი ეცემა მღვლოებს,  
 ცლიან და ცლიან, მგზნებარეს  
 იტყვიან საღვთვრძელოებს.  
 ბორჯავენ მონადირენი  
 შელის და ხოხობის ამბებით  
 რა მისდევს ირემს ირამი  
 მწერეალებით და შამბებით.

სხვები შორეულ ნაოსნის  
 თავგადასავალს ჰყვიბიან,  
 უკოთავი „ვეფხისტყაოსნის“  
 ღრმა აზრით იღვინთებიან.  
 ზოგი „გამზროელის“ სტრიქონებს  
 ხოლახოა ვანიმორიბს,  
 ზოგი ხოლხორ თქმებს იკონებს  
 და იმის შემქნელ მთავორებს.



ცხოვრება ჩვენი რთულია,  
 სთქვეს: განათლება მოვიდა,  
 რკინისგზაც გამართულია,  
 სიბრძნესთან სიახლოვეთა.  
 ღამეა. მოდის ნელნელი  
 ხმა მდინარეთა დუდუნის.  
 კელებზე მიმოფენილა  
 პლანტაციები თუთუნის.  
 სიმშვიდეს მიჰყავს ხალისად  
 მზისაგან სხივ-შენახები  
 ლიმონის, ფორთოხალისა  
 და ზეთისხილის ბაღები.

ერთხელაც კიდევ ახსენეს  
 მხარე, ძვირფასი მამული,  
 წარსულის გულ-განახსენის  
 და აწმყოს მძლე ერიამული.  
 გაქრეს შავი დრო, მწუხარე,  
 მზე გვახლდეს იმერ-ამიერ  
 თასი აიღეს. მქუხარე  
 დასძახეს „მრავალ-ამიერ“.

„დაბრუნდა“ თითქო იძახდა  
 და სივრცე იმეორებდა  
 იმ უხე ნაპირთა, იმ ბაღთა  
 არიებს ვერ აშორებდა.  
 გაძტრინდა, გაჰყვა სადღაც შორს,  
 ძლიერ შორს გადაგუგუნდა,  
 ხმა მოესმოდა ტოლს და სწორს,  
 „აუხზაზი გმირი დაბრუნდა!“



მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური:  
 შენ სამამულო ომის დღეების  
 თავდადებული გესმის ხმაური?  
 ეს სიმღერაა ჩვენი დღეების!

გესმის გუგუნი მეწყერის ავის,  
 გესმის ძახილი სიმაღლეების,  
 გესმის გრიალი მომსკდარი ზეაგის?  
 ეს სიმღერაა ჩვენი დღეების!



თავისუფლების მოყვარულ ერებს  
ვერ დასძლევს ზრახვა ბნელ სახეების,  
მთა რომ იმღერებს, გზა რომ იმღერებს,  
ეს სიმღერაა ჩვენი დღეების!

აქ ერთა ძმობა დროშას სწვრივ,  
აქ ხმაა სიერცის და სიერცეების —  
ფაბრიკა-ქარხნებს რაც უმღერიათ,  
სულ სიმღერაა ჩვენი დღეების!

თვითმფრინაეებით მოჭრილ ჰანგების  
ტყვიამფრქვევების, ბატარების,  
გესმის გრიალი მებრძოლ ტანკების?  
ეს სიმღერაა ჩვენი დღეების!

ისმოდა ბევრი ასეთი ჟღერა  
გმირული საქმის და იდეების.  
ეს გამარჯვების არის სიმღერა,  
ეს სიმღერაა ჩვენი დღეების!

## დღღოფალი ბოზანვიილა

ისტორიული რომანი

პასილ ბარნი

★

1.

შემოდგომის პირი იყო. ღრუბლებს  
გაჰხარებოდათ ღამის სიგრილე, თეთრ  
ქულებად წამოშლილიყვნენ. მზე-  
საც აღარ ჰპორჩილებდნენ ახლად-  
ამოსულს: ელობებოდნენ მის მბრჭყვი-  
ნავ სხივებს, უშლიდნენ მათ მთე-  
ლი სინათლით მოჰფენოდნენ ქვე-  
ყნიერებას და გაეჭროთ უფსკრულე-  
ბშიც ბნელთა ლანდები.

ნაადრევედ ხალისობდნენ გულმო-  
ცემულნი: ჯერ ისე არ დაკნინებუ-  
ლიყო მნათი კეთილი, ვერ დაპრეო-  
და შენივთებულ ნისლის ნაგლე-  
ჯებს, განგმირა მზემ სხივთ შუბე-  
ბით ღრუბელთ ჯგუფები, უჩინარ  
ორთქლად შეურია ეთერთა ტალ-  
ღებს. გაიკვლია დიდებულმა სავალი  
თვისი!

უზვად მოჰფინა მთაწმიდასაც თბი-  
ლი ნათელი. ააციმიცა საყდრის  
ჯვარზე ოჭროს ისრები. კლდის მა-  
ღალი ქიმი ჯერ მაინც უშლიდა  
მთლად გაეშუქებინა ტურფა არე,  
ღმერთთა სავანე. აქ ეამთ დენაში  
ენაცვლებოდნენ მეუფენი ერთი  
მეორეს: ციშებს — არმაზი, რვალის  
ღმერთს — ჯვარი, სავანე კი მკვიდ-  
რად იდგა შეურყეველი. სულ ერთი  
იყო: ითრუშან, არმაზ, ჯვარი ქრის-

ტესი — ერთისა და იმავე ღმერთის  
ნიშანი იყვნენ. შემოქმედის მანვე-  
ნებელნი.

— საუკუნეთა უყენებელ დიად  
სრბოლაში გჯვარსაც სხვა რამ დაე-  
ნაცვლება დიდმეუფის ამბატველი  
სათაყვანები, — გაიფიქრა ბერმა

და შემოესმა ეს თვისი ხმა შორით-  
მოსულ თქმად. შეკრთა, შეშინდა:  
მაენე სული მეუბნებაო.

— ჩვენთან არს ღმერთი! განვედ  
ჩემგან, იღუმალო ხმავ შორეულო!  
წარსტყვა მან

და სასოებით გადისახა პირჯვარი  
შემალლებულ მზეზე.

— თუ მზისგან ალაპლაპებულ  
ჯვარზე?

— ერთზედაც, მეორეზედაც: მზე  
ღვთაების ანარეკლია, თვით თვალ  
მისი, — უნებლიედ დაასკვნა ბერმა.

და შიში ძრწოლად გარდაეჭმნა სა-  
გმობ ჰაზრებზე. დაეცა მუხლზე, მი-  
წად დახარა შუბლი მაღალი: ილოც-  
ვიდა, სატანაის განსადევნელ სიტყ-  
ვებს იტყოდა. გადმოეშვნენ შეთრ-  
თვილულნი თპათა ჯალჯები, დაფა-  
რეს მიწა ჩაშლილ ძნასავით.

2

შებრუნდა სენაკში, გაღვიოლო ახა-  
ლი კაბა-ანაფორა, მაშიები, კუნკე-





3

გადაშალა წიგნი, რომ ახალი დასასწაველი გაეკეთა მოწაფისათვის. აღარ დასცალდა: აივანზე გამოჩნდა მეფე. კრიალოსანს ამღერებდა, მობრძანდებოდა. გალიაკში შემოვიდა, აკოცა ქალსა. იღვა ბერი თავდახრილი გულზელდაკრეფით. მიარუნდა მეფე. ბერმა ჯეჯიო გადასახა, ხელს ფაშბორა. შეახო ბაგე ბატონმა თმაზე.

— შრომობთ ბეჯითად. მოწაფე ხომ ნიჭიერი გყავს?

— დიდი ნიჭით ცხებულა ბატონიშვილი. უკვე ვვარჯიშობთ ლექსთა წერაში. შეეუღლებით სძლისაირთა თუ ჩამბიკით თხზვას.

— კეთილი! ვეფხის-ტყაოსანი?

— ვსწავლობთ ნელნელა. გვიჭირავს ხელში ქებათა-ქებაც. მსგავს ადგილებს შევადარებთ, ზოგჯერ განვმარტავთ.

— და ბერს შეგშეენის სამიჯნუროთ თარგმანება, პირისპირება?

— სიყვარული, ბატონო მეფე, აღმაფრენა არის სულისა, მიწიერთა სიმძიმეთგან მისი განტვირთვა.

— ბერად აღგვეცეს, მგოსნის სული შენთანვე დარჩა, — შენიშნა მეფემ.

და მიჰმართა ქალს:

— მიხარია, კარგი ნიჭი შეგმჩნევი, სწავლას ხალისობ: მეტი შრომა დაგჭირდება: უნდა დასდგე განათლებული; აღარ კმარა მხოლოდ ქართული, ელინურიც უნდა ისწავლო!

უბრძანა მოძღვარს:

— ბერძნული ენა კარგად იცი, ათონს გაზრდილო. უნდა ასწავლო ჩემს ქალს ის ენა. შენ თითონაც დაგჭირდება გონებაში მისი განახლება. გაბრძანდა მეფე. მიდიოდა, ხელს აყოლებდა: თავისსვე თავს ეუბნე-

ბოდა. ძნელი ფიქრი თუ ასწავლოდა. ოსტატიც გამოეთხოვა კოწაფეს; ჩნუ-  
გემა: გიგლინიძე

— ადვილად შეგასწავლი ელინურს: წიგნი კარგად ვიცი, საუბარიც შემძლია თავისუფალი.

მოდიოდა მოხაზონი, თანა ფიქრობდა:

— რა საჭიროა ქალისათვის ბერძნული ძნელი? ძვირფასი დროს დაკარგვაა მისი შესწავლა. ის ენა რომ მოეხმაროთ ქართულ წიგნთ სწავლას, იქნებ შესალოს, გაიმართოს რიტორობაში, ვით მე შეესძ... ეკ, და მკზო ის ტურფა გზა ყვავილოვანი განგებამ ბრძანა, საღმთო საგნებს მიეფინოს ჩემი მგოსნობა... მაინც რად უნდა, ღმერთო ჩემო, მას ელინური? — იმეორებდა ბერი გზადაგზა.

გაცდა ხეც კლდოვანს, აელო აღმართი, გადაადგა თვის საყდრის ეზოს: შეუძნეველად მისულიყო თავის ბინაზე.

— შენ თითონაც დაგჭირდებაო შენი ბერძნული. ნეტავ ვიციოდე, რა პნებავეა ბრძანებისა!

და ეს საკითხი არ ჰშორდებოდა ბერს მამინაც კი, როს საყდარში ასრულებდა მღვდელთმსახურებას.

ქალიც მეტად გააკვირვა მამის ამ ნებას. ვერ გაეგო, რად სჭიროდა მას ელინური. ის კი იცოდა, ეს ბრძანება იქნებოდა მიმართული მის სასიკეთოდ: ქალი მამას მეტად უყვარდა. ერთადერთი შვილი დარჩა პირველ ცოლისაგან, ხოლო თამარ განსვენებული... ბატონ მეფეს მზე იმაზე ამოსდიოდა.

4

მეფემ მხოლოდ ოდნავ ახადა ფარდა სახელმწიფო საიდუმლოს ქალის შესახებ. მეტი არ შეიძლებოდა: სათუო იყო განზრახვა ძნელი. საფიქ-

რი იყო თქმა ნაქარბევის; ამ ამბავს სტული ფარეაც არ ეგებოდა. საკვირველი მოეწერნა გიორგი მეფისათვის ბიზანტიაში მყოფ მის ელჩს. წიგნი მოერთმია განზრახ გამოგზავნილ კაცის ხელით. რამდენიმე დღე იყო, წერილი ხელთა ჰქონდა, მაინც სათანადო გადაწყვეტა ვერ მიეღო. მკვეთრ დასკვნამდი ვერ მიუღო. ამისათვის მხოლოდ შორიდან ანიშნა ეს ამბავი, ვისაც პირდაპირ შეეხებოდა. დანარჩენზე სდუმდა ბატონი. მოხსენებდა ელჩი:

„...კეისარმა კონსტანტინემ საგანგებო მინდობილობით გამოგზავნა თავისი მახლობელი კარისკაცი ფრანტისი. დიდი ამალით მოდის იგი და სიმდიდრით. პონტის სამფლობელოზე გადმოვიღის, იერმე გეახლება. იმპერატორმა დაასკვნა მოიყვანოს დედოფლად შენი ქალი. დასავლეთულ მფლობელთა ასულეზე, რომელიც კი შემოადლიეს, უარი განაცხადა. პონტოელს ესტუმრება მითომ მის ქალის გასასიხჯად...“

დაასკვნა ბიზანტიელმა, საქართველოს მეფეს დაპოყვებოდა. გიორგის ჰყავდა გასათხოვარი ქალი პირველი ცოლისაგან. ელჩს ექო მკვიანი და ლამაზაო. იმპერატორის არჩევანს მზარს უპერდენ თანამშრომლები. ბუბის დროს თითონ ქალს მაინც პირველი ადგილი არ ექირა: ყველაზე დიდი საზარუნელი გაჰხდომოდათ თვით სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ იყო შემოკდომილი ოსმალთა ძლიერებით:

ხონთქარს მიზნად დაესახა ბიზანტიის მოსპობა. გამკრახი კონსტანტინე დამხმარი ძაოებს დაეძებდა ამ განწირულ ბრძოლაში.

— განსაცდელშია ჩემი სამეფო, ქრისტიანობის დიდი ბურჯი აღმოსავლეთში. შესაძლოა, უსჯულოთაგან შეიმუსროს ეს გოდოლიც მართლ-

მორწმუნობის, ვით შეიმუსრნენ სხვა სიმკრეხი. სად ლა არიან ეკლესიური ალექსანდრიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლისა? აიგ ენენ პირისაგან ქვეყნისა; შეგვრჩენია მხოლოდ სახელნი. მეშინიან, წმიდა სოფიოს ტაძარზე არ აღიმართოს ახალი მთვარე.

— დავიხსენ, ღმერთო! წმიდა სოფიო ღვთის სიბრძნეზე დაფუძნებულია; ვერ შემუსროს თვით ძალთაგან ჯოჯოხეთისა, — წარსთქვა პატრიარქმა ათანასემ და პირჯვარი გადაიხახა.

— მაინც საშიშია: განგება ვზას ბევრჯერ აძლევს ბნელეთის ძალებს ჩვენ დასამწყაელად. წმიდა ქალაქს დასაცველად ყოველი ღონე!

— სიფრთხილე გეძარაუბს. მჭიდროდ შემოგვაქდო ხონთქარმა გარა რეალის გრკალი. რაღა დარჩა დიდის ბიზანტიიდგან? ბრუსა, ნიკეა, ნიკომიდია უსჯულოთ ხელში. გაანადგურა სერბია და ბულგარეთი. არიან თბოლს აამაულა სამეფო ტახტი. ნაპირები ყირიზისა ოსმალთ ხელშია. ჩვენს გარშემო სალტესა სწურავს, რომ ბოლოს ემს ერთის დაკვრით გაგანადაუროს! — მსჯელობდა ამირსპასალარი.

— ჩრდილო საზღვარი დარმნიშენელოვანი იყო ჩვენთვის; იქიდან შეგვეძლო ხელის გაწევა, რისთ ქვეყნებისაყენ, სად უამრავი მებრძოლია სასყიდლით მბრძოლო. შესალო იყო იქით მხრიდან შედართ მოყვანა... ახლა? — დასძინა სხვამ ჩაფიქრებულმა.

— ეს საფრთხე მოსპობს არა მხოლოდ ბიზანტიასა: ოსმალთ თუ გამაგრდება ბიზანტიაში, დასავლეთიც დაიღუბება!

— მას გენუაც დანაქება, საქმობლო ჩემი. მისი სიდი რე გაუფიწლ ბა! — სთქვა რაინდმა ჯიუსტინიანმა.

— დასავლეთი... მეტად სასტიკად მოგვეპყრნებ ჩვენ დასავლეთელნი; აგვიოხრეს სამეუფო ქალაქი ჩვენი; შეგვიბღალეს სიწმიდეები; სწადდათ მოსპობა მართლმოწაუნეობის. არა ის მირჩევნია, ჩვენს სატახტოში მაკამდიანთ დოლბანდი ვნახოთ, სანამ ვიხილო პაპის ტიარა... — წარსტევა ღელვილმა ამირბარმა ლუკა ნოტაროსმა.

— მაშ რას გვიბრძანებ, ემპერატორო?

— სხვა გზა მოვსძებნოთ! გამაგრდეს ძლიერ დედაქალაქი, სანოვაგე შემოიზიდოს; მებრძოლთ რაშები მოვიყვანოთ საქართველოდან. ოქროს ზოგვა არ შეიძლება: რას ც დავზავავთ, მტერს შეეუწნახავთ. სახელმწიფოს დაცვისათვის ყოველიფერი!

## 5.

სანოვაგის შეგროვება და მებრძოლთა ქირით შოვნა შესაძლო იყო: ოქრო-ვერცხლი თუ სხვა სიმდიდრე ბევრი იყო შექუჩებული სამეუფო ქალაქში. ბიზანტიას ბლომად ჰქონდა ზომალთა რიცხვი. ჰხედავდა ამას კეისარი, მისამართი გზა შექზლუდოდა: დასავლეთი საიმედო არ გამოდგა გაქირებაში; ის ვერ შეეგნო, კეისრის მტერი იმათვისაც ღუშმანი იყო. აქ მძღაერად ეჩინა თაქ ძეღისძველ ბრძოლას ევროპისა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მხოლოდ ერთ მათგანის მოსპობით-ღა დათავდებოდა. საზოგადო განსაცდელის წინ აბრძავებდა დასავლეთელთ და ბიზანტიელთ მათ მოღკათი სხვადასხვაობა, რომელიც მკვეთრად აღბუკდოდა საერთო მათ სჯულს.

ბიზანტიას აღმოსავლეთით-ღა დარჩენოდა გზა. იქ არსებობდა მოკავშირე საქართველო თანამორწმუნე, იყო კიდევ ერთრჯული პონტო, სადაც მეფობდა კომნენების გვარეულობა, მაგრამ ოსმალთ იგი მეტად შეეზღუდათ: უვალ მთებში შერჩენოდათ ცა-

ტა ადგილი. იქიდან შეელას ვერ მოიღებდნენ, პონტოელებს კოცუნდოდათ გასქირებოდათ. მიჰმართებოდათ არ იცოდნენ ბიზანტიელთ, რომ იმავე მტერს ქართველთავეც გაეწონა დაშნა ლესილი. ჩაეღოთ მათ გორგი-მეფე საგონებელში.

— უახლოვდება ოსმალი ურდო ჩემს სახელმწიფოს. ბანაია ის სამხედრო ველურთ სიმრავლის. წინათ ძლიერი ბიზანტია, მომხრე ჩვენი, შეაეწროეს. რაღა იგი? აზიიდან მთლად განდევნილი, ევროპაში შემოსალტული.

— მაინც ძლიერია იგი, ბატონო მეფე! სიმდიდრე აქვს თვის ქალაქში სხვადასხვა სახე: სახელმწიფო ხაზინა, მონასტრები, ეკლესიები, კუროჯახნი — ქონებით სავე. მებრძოლთ შეძენა სასყიდელით შესაძლო არის. მოახერხებენ მომზადებას და გამკლავებას.

— შესწევს კეისარს ბრძოლის უნარი, თუ შეიგნეს ქვეშევრდომთა, რომ მიეახლათ ეამი ბოროტი და მოითხოვს მათი სამშობლო თავის-განწირვას.

— იქნებ კიდევ დადგა მათთვის დღე განკითხვისა.

— არა მგონია: კონსტანტინე გომოცილი რაინდია მთლად უშიშარი; შესძლებს დაიცვას მისულ მტრისგან თვის სამფლობელო.

— ინებოს ღმერთმა! თუ დაეშა ბიზანტია, მოგვეშლება ბურჯი საყრდნობი. გარს გვახვევიან უსჯულო ბრბონი. ყმადნაფიცი მეზობლებაც აღიძრნენ ჩვენზე: გადგნენ ჩვენგან შირვანელი, ხარჯს არ გვაძლევენ. — წარმოსტევა მოლარეთუხუცესმა.

— ისიც ოსმალთ გავლენაა, რომ ყვარყვარე გავვიხასდა და შეგვებრძოლა.

— ღმერთმა ქმნა და მკაცრად დამარცხდა. აწინდელი ათბაგი აღბულდ შეგობარია ჩვენი უცვლელი.

— ანტიოქელიც მათით მოქმედობს, რომ ჰბედავს და პრეეს ეკლესიის ჩვენის ერთობას. მათი გავლენით ლაპარაკობს და შემოაქვს აღრეულობა.

— ყვარყვარესაც ექმნებოდა აღქმული ბევრი, მაგრამ...

— ყვარყვარე მაინც ჩვენი არ არის: თუ დრო იხელთა, კვლავ გვიღალატებს.

— ბოროტი ხელი ხონთქარისა მოსჩანს ჩვენ შორის: განცალკევდა ბედიანი, მეფედ იხსენებს წარწერებში უკვე თავისთავს; გურია... საკუთარი ჯარი ჰყავს უკვე. შავი ზღვა ღამის მთლად ჩამოგეშორდეს. ვინ იცის კიდევ რა ბოროტი ევლინება საქრისტიანოს.

— რაც განგებას ესურვება, იგი მოხდება! პირველ ყოვლისა — მოვაყვანოთ მორჩილებად ჩვენ შირვანელნი, მათ მეზობლად მყოფნი მთიელნი. ხმალი გეჭირია! მერმე... საქართველო ჯერ ისე არ დამცივებულა, მის ნაწილთა განმგებელნი გვირგვინს იღვამდნენ!

— ჰეშმარიტს ჰბრძანებ! ჰმორჩილებდეს ქართველთ ტომის ყველა თემი ჩვენს მეფეთმეფეს. მოსპობილ იქმნეს ყოველი ურჩობა! — წარსთქვარიხიანად ამირსპასალარმა წათემ.

შაჰ-შირვანზე გალაშქრება ერთბაშად დაასცვენეს. მოუწოდეს მონაპირედა. ყაბალის გზა ლაშქრის საკაღალად.

მეფე გიორგის გაუმარჯვდა ამ ომში დიდად. ყვარყვარემ და მის უფროსმა ვაჟმა ბაკურმა დიდი მხნეობა გამოიჩინეს. მეფის გული მაშინ მოიგეს.

6

ყვარყვარეს გატეხისა და მეფის კარს ტყვედ დაჭერის შემდეგ საქართველო მცირედ დაწყნარდა. როდეს

საც ყვარყვარე ებრძოდა თავის შინაშე აღბუღას და ისწრაფოდა, რამდენა შეძლებოდა საათაბაგო <sup>გეგმა</sup> <sup>საქართველო</sup> <sup>საქართველო</sup> ფოდ გაეტანა საქართველოდან, ივერიის ეკლესიის გაპობაც განიზრახა. მესხეთის განცალკევება მთლიანი არ იქნებოდა, თუ სჯულის საქმეში მესხნი დამოკიდებულ იქმნებოდნენ მცხეთისაგან. რალა მეფე იქნებოდა ყვარყვარე, თუ მის საბრძანებელში სჯულისთავად ისევე მცხეთის კათალიკოზი დარჩებოდა, ღვთის მსახურების ეამს მასვე მოიხსენებდნენ და მეფეთმეფეს საქართველოსისა? ყვარყვარეს თანამოაზრე ანტიოქიის პატრიარქიც ამ ჰაზრს ამბობდა.

— საქართველოს ეკლესიის თვითდამწყუსა შეშლილობაა საეკლესიო წესისა. მაწყვერელი და სხვა ეპისკოპოსნი სამცხისა მცხეთის საყდაზს არ უნდა ჰმორჩილებდნენ. თვით მცხეთა უნდა მორჩილებდნენ ანტიოქიას! — იტყოდა იგი.

ახლა, როდესაც ყვარყვარე დამარცხდა, დაცხრნენ ეკლესიაში განხეთქილების მოსურნენი. დავით კათალიკოზის ხმა უკვე სწვდებოდა სამცხემდინ. მესხეთის სამღვდელობამ მორჩილება გამოუცხადა. იქ ური ეპისკოპოზნი კურთხევის უანს აღთქმას სდებდნენ, რომ ჰხადიან მაკურთხეულად მცხეთის პატრიარქს.

ეს დრო ბედნიერი იყო გიორგან მეფობაში. მეფის მარჯვენამ თითქო ისევე წინანდელი ძალა იპოვა. მართალია, დასავლეთის ნაწილები სავსებით ვერ შეიერთა, მაგრამ მაინც ჰმორჩილებდნენ მას: დააფიქრა მეფის ძალამ, როს ყვარყვარე დაიმორჩილა. შაჰ-შირვანის, რანის გატეხამ მთლად მოარბილა. ეახლნენ მეფეს მოულოცეს გამარჯვება, მოართვეს ზღვენი.

და ზეიმობდა გიორგი-მეფე გამარჯვებული. გეგმებს აწყობდა თავის დიდებულ სტუმრებთან ერთად

საქართველოს აღყვავებაზე. ნადი-  
შობდა რაინდთა თუ აეკლუტთ შუა  
გალაბული. იშვეიდნებ და იხარებ-  
დნენ ბედნიერებბ.

ამ განცხრომაში იყვნენ, როცა  
ქახლა შეფეს ქსნის ერისთვის შვილა  
გურამი. შოართვა ცნობა: იმპერა-  
ტორს დიდი სიმდიდრით გამოეგზავ-  
ნა თვისი მეგობარი ფრანძესი, მამ  
დავალებული ჰქონდა, დაენიშნა პონ-  
ტოელის ქალი, თუ ღირსად სცნობდა.  
თუ არა, მაშინ...

— როგორ? არჩევანშიც ჩამდგარა  
ფიქი? ჩეკი ქალი...

— მაპატიე, ბატონო მეფევი მაგას  
როგორ გაგიბედავდა! ეს დაკლება  
შროლოდ მოსახეხებელაა. პონტოს  
შეფის კარს სხვა საქმე აქვს: მსურს  
გაიგოს, თუ დათანხმდება იგი მეფე  
ხონთქართან ბრძოლას. ქალი შენ  
ჰყავს ამორჩეული.

— კიდევ რა ჰაზრით მოუპყრია  
იმპერატორს თვისი ყურადღება?

— ნახეს ბიზანტიელთ, აუცილებე-  
ლი შეიქმნა ბრძოლა სულთანთან და  
კონსტანტინემ თვითონვე გამოიწვია  
ის საბრძოლველად.

— თათონ?!

— დიად, ბატონო მეფევი! კეისარს  
კარს სცხოვრობს ოსპალთ ბატონი-  
შვილი ღრხანი. კანონის ძალით ხონ-  
თქარობა იმას ეკუთვნის. სულთნი  
თვალს აღევნებდნენ ამ ტაბტის ზე-  
ბნელს. ბიზანტიელებს დავალებული  
ჰქონდათ, ყური ეგდოთ, არსად გაეშ-  
ვათ. ოქროს იზდიდნენ ამისათვის წა-  
ნა სულთნები. კონსტანტინემ მოსო-  
ხოვა მაჰმადს აღთქმული ხარჯი და...

— ოში გამოიწვევას უღრის ევ.

— რაინდი კეისარი ვერ შეურიგ-  
დებოდა, წყნარად ეშზირნა, როგორ  
თანდათან გარსერტყმოდა მჭერი სა-  
ტაბტოს, რომ ერთის დავრით მოე-  
შთო ბოლოს. დაეძებს ახლა კეისარი  
მებრძოლთ სამრავლეს.

— ხონთქრის უამრავ ძალებთან

ოში რა დახმარებას გაუწევინა პონ-  
ტო იქნება თუ საქართველო?!

— პონტო ვერ-ფეხს; მთელად უძ-  
ლურია. ისიც მოგკმეწეწეწე მტრის  
მეფე კომენია, იმპერატორთ შთამო-  
მავლით. კონსტანტინე პალეოლოღს  
არა სცნობს იგი კანონიერ შემკვი-  
რედ ტაბტის. თავისთვის თუ გამოე-  
ლის ბიზანტიასა. უწოდებს თავს იმ-  
პერატორად.

— და შესაძლოდ მიგანნია უძლევ  
სულთანს ომით მიემართო!

— არა, მზისშვილო! ფრანძეს  
ოქრო მისთვის მოაქვს, ბრძანოთ შე-  
ბრძოლთ ქირავობა ბიზანტიისათვის.

დაფიქრდა მეფე. აღარებდა ამის  
ნათქვამს იმ ცნობებითანა, აღრეე რომ  
ჰქონდა მიღებული ბიზანტიიდან.  
ეთანხმებოდნენ ამბები ერთერთს.

— კეისარის მოფიქრება ჰქვას აბ-  
ლოს არის: მეომართ შოენა ჯამაგე-  
რით შესაძლო არის. საბჭომ უნდა  
განიხილოს შიმიე საკითხი — დაა-  
კენა მეფემ.

7

როდესაც სტუმრებმა სიტყვა ჩა-  
მოაგდეს, უამი არისო გამოთხოვები-  
სა, მეფემ შორს დაიჭირა მათი გან-  
ზრახვა.

— კვლავ ერთი სწორი! დარს  
რომ ჯაგრი მოაქვს და უბედობას  
უბედურობა, სიამეე სიხარულს მოა-  
რხევს, ვით ღიმი სიცილს.

სთხოვეს მეფეს, ემცნო მათთვის,  
რას გულისხმობდა. გადასცა მან, რაც  
ესმინა მოსულ კაციისგან ახალმოყ-  
რობის შესახებ.

— ერთ კვირაზე მეახლება ბიზან-  
ტიელის ელჩი. აუცილებლად მიმარ-  
ნია თქვენი ჩემს კარს ყოფნა: მსურს  
ქალის გათხოვების შესახებ მოვისმა-  
ნო თანხმობა საქართველოს ყველ  
კუთხის მმართველებისა.

— შოვალნი ვართ მეფის ოჯახის სიხარული გაეზიაროთ!

— ერთია ძნელი: მეტად შევეჩვევით მეფურ ქეიფს. ვაპ თუ შინაც მოგვსურვილდეს მისი განგარძობა.

— რა დაგვიშლის? განვაგარძოთ იქაც!

— ყველას გვმართებს საქმიანობა, მაღალთა ღირებაც, რომ გავ-მაგრაო ჩვენდა მონღობილნი სამფლობელნი, დავაწყაროთ მშვიდობა თუ უხვი ცხოვრება.

— უსათოდ! აწ ერთადა ვართ ძმადშეფიცულნი. და მიუძღვის საქართველოს ბედნიერი მეფეთამეფე. აღარ გვშვენის შუღლი ერთურთში, არც გარედან მოსულ მტრის შიში.

კარგი ქეიფი თუ დროსტარება აღვირლი იყო დიდებულთათვის: ჩეუღონი იყვნენ. მაინც ისურვეს: ყველას ეზრუნვა, რომ მეფის კარს მეტ დადებით დაჰხვედროდნენ მოყვრადმოშავალს.

— თურმე მოდის დიდის ზემით. ოჭროს აწვევს, როგორც ქეიშას ბოსფორისასო.

მეორე საკითხი, რომელიც დაევალებინა კეისარს ელჩისათვის და ხაზინაც გამოეტანებინა მის სასრულებლად, ფრთხილად მოფქრებას თხოულობდა, მარჯვედ მოზომებას. კერძო კრებაზე მოიაზრეს, რა პასუხი უნდა გაეტათ ამ საქმის გამო. დაირკვა:

ფულით შეკრება მეომართა არ იყო ძნელი: საქართველოს ყველა კუთხიდან შეიძლებოდა გამოყვანა გაწვრთნილ მებრძოლთა, ხალისათ დაეთანხმებოდნენ ჯამაგირით ემსახურნათ თუნდ უცხოეთში. თუ მეტი ხალხი დასჭირდებოდათ, დარიალით გადმოიყვანდნენ მთათიქითიდან.

სასყიდლით ჯარის აყვანამ ბჭეებს გაახსენათ კარგმედევნიანი დაწესებუ-

ლება ოსმალთ ლაშქარში: იანიჩართა ჯარი.

— ოცათასამდინ ავიღოთ მათგან რიცხვი.

— ამგვარი ლაშქრის კარგი ის არის, განუწყვეტლად ვარჯიშობენ და სამხედრო ქმედობაში ხელოვნდებიან.

— ესეც სათქმელი: ისეთი ჯარი საბრძოლველად მარად მზად არი.

დაასკენეს, ასეთი ჯარი დაეწეა თავის კარს მეფეს, შესაფერი მათი რიცხვი დიდმმართველებსაც.

— აუცილებელია ამ ძნელ დროში, როცა ხონთქარს მიზნად დაუსახავს მოსპოს ქრისტიანობა აზიაში და შემსუროს ევროპაში ბურჯი ამ სჯულის.

— მეტადრე ახლა, როდესაც ბაზანტიასთან მოყვრული კაჟირის დაქერა ოსმალეთის ყურადღებას ჩვენზე მოაპყრობს.

— არც ის იქნება დაფარული, რომ საქართველო ჩაერევა ამ დიდ ბრძოლაში, ბიზანტიას მხარს დაუჭერს თვისი მეომრებით.

— საიდუმლოდ უნდა დარჩეს დადგენილობა!

— არა არს საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს!

მეფე დაფიქრებული უსმენდა მსჯელობას. მერმე წარმოსთქვა: სიხარული და სიმძიმელი გადაბმული არიან ერთმანეთზე, როგორც ნათელი და ბნელი. სასიხარულოა მოყვრობა კეისართან, სამძიმოა მასთან ერთად ვებრძოდეთ ხონთქარს. მაინც არ შეიძლება მხარი არ დაეუჭიროთ ქრისტიანობის დიდ გუშავს.

— რადგან ერთხმად ვსცანით აუცილებლად ამ ძნელი ნაბიჯის გადადგმა, ალბათ ვართ იარაღნი დეთანხანგებისა.

— იყავნ ნება უფლისა და სურვილი მრთელის ერისა!

კრებაზე არ დაისწრეს ყვარყვარე-შაქ-შირვანის ომისათვის მეფემ პირად მადლობა უძღვნა მამასაც, შვილსაც. ბრძანა მეფემ:

— არაფერში არ გაიძრეს დღეის იქნა დიდ დიდკაცთაგან.

ნადიმზე თუ დარბაზობაში წინანდელ პატივს მიუპყრობდნენ საპატიო ტყვეს. ბატონმა კიდევ აგრძნობინა, საათაბაგოს დაგიბრუნებო. ახლა კი... ჯავრმა გაუპო გოროზს გული, რომ არ დაუშევს მეფის საბჭოში. კბილთ აღრქენდა გაცოფებული.

— შეგანანებ ჩემს დამცირებას! მსჯელობთ ქვეყნის განგაბაზე, საქართველოს საჩინონი მივიწვევია, მე კი, ათაბაგ ყვარყვარეს, არც კი მახსენებ. სისხლს ავიღებ დამდაბლები-სათვის, სისხლს!

მეფე გრძნობდა, რა შეურაცხყოფა იყო ყვარყვარესათვის ასეთი უნდობლობის დაჩენა, მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც ოსმალთა საწინააღმდეგოდ მიმართვაზე მსჯელობდნენ, ყვარყვარე კი ხონთქარისკენ გადაბრლიყო?

ცდილობდა ყვარყვარე შვილისათვისაც ჩაეგონებინა თვისი ქუფრო ფიქრები, გადაეცა თავისი ბნელ გრძნობა, რომ თუ თითონ ვერ უზამდა მეფეს მაგიერს, იმას მაინც მიეზლო მისთვის, ემშვიდებინა მისი სული თუნდ ჯოჯოხეთში.

— ბაკურო, შვილო! კვლავ დამამცირეს. მეფისათვის დავღვარეთ სიხლი, ისევ უნდობლად გეპყრობა იგი. არ არის ჩვენგან ეს დასათმობა!

— ბატონო მამავ! შენ არა ხარ ვაზირთა შორის. აღარც რიცხვში დიდ გამგებელთა; ალბათ ბჭობენ იმისთანა ძნელ საზრუნველზე, რომელიც მხოლოდ მათ შეეხებათ.

— და შენ, ბაკურ, ჩემი შვილი

ხარ, მემკვიდრე ჩემი! <sup>აღბუნდა</sup> ზის იქ მეფის გვერდზე, მე კი... არა, არ ეგების ეს!

— დამშვიდლი, <sup>ეროვნულ</sup> მშვიდ-ღეა საქართველოსი და ვალდებულია სახელმწიფო სარგო მეტად დააფასოს კერძო კაცის სიკეთებედა, თუნდ იგი იყოს ათაბაგი ან რომელიმე დიდი მთავარი.

— ქადაგივით იტყვი და იტყვი დედასა ჰგავხარ: მწრთენიდა მარად სიმშვიდეზე ის ცხონებულცი... იქნებ უული სხვას გეტყვის რასმე და შენს ენას დამმონები გრძნობა აუბნებს?

გაპშორდა ბაკურ. მეტის თქმა აღარ შეიძლებოდა: მამა შეეხო უცაბედად მის საიდუმლოს; შეიძლებოდა ხმასა თუ თქმას ემკლავებინა.

ყვარყვარემ არ იცოდა შვილის განცდა ჯერ ბუნდოვანი, უცებ შეიგრძნო, რომ მის შვილს ბაკურს სხივთა კრთომად ასჩენოდა ქალი ხათუთა და უნებლიედ გარს ევლებოდა; ჯერეთ შორეულს მათს გარშემო ფარგალს გრკალავდა. გაამწარა ამ გუმანმა; ქათებს ჰყრიდა.

— როგორ! ჩემი შვილი და მემკვიდრე ჩემს მეტრს ხელს აძლევს? ჩვენბ მნატრობს და ემოყროს, დაუთვისტომდეს? არა! არ ეგების ეს...

ასე მსჯელობდა ალაგარდნილი, სისასტიკეს დაიჩინდა, თუ წინ სდგომოდა. დაეშვა შემდეგ გამძაფრება, ნელნელა დაწყნარდა და... სულ სხვა სახით შეხედა მან იმავე საგანს. ეტყოდა თავისთავს:

— აჩქარებული კაცი ნუ ხარ, ყვარყვარე ჩემო, გრძნობათა მონა. ტყვეობაშიც მისთვის ზიხარ, რომ გულს აპყვეი: იქნებ ბაკური ზომავს შორიდან ჩემსავ საწაღელს, მიღწის იქით უფრო მარჯვე გზით. დამოყვრება მეფის ოჯახთან. ათაბაგი საქმე თვით მეფის. მეფის ტახტთან უფრო მეტად მახლობელი, ვიდრე სხვა ყველა... ფრთხილად, ყვარყვარე! შენის



ხელით ნუ კი აშლი შენის გვარის  
სადიდებლად მოკირწყლულ შარას!

9

ჭაბუკობის მიმდევარი ბაკურ-რაინ-  
დი. მის ფიქრთა არე ჩვენებებით აზ-  
ღარებული. ვერ შეეძლო დაეფინა  
მშრალ ცხოვრების გზა თავის ლამაზ  
ოცნებებისათვის. მის ფიქრთ საჯანი  
ველებოდნენ ქალწულ ხათუთას.

ბატონის ქალი... ახლა-ღა გამოსუ-  
ლი ბაღობის ჰასაკიდან. საროსავათ  
აულორტილი იფურჩქნებოდა. თით-  
ქმის მაღალი აგებულება. ოდნავ მო-  
გრძოდ მოყვანილი პირის ფარგალი.  
ყული, ყვრიმალი ყვავილის ღერო.  
ბაცი ვარდი გაშლილიყო მწყაზრ  
ღაწევებზე. მოსასთველად მომხადე-  
ბული. ჯერ ვერ შეეგნო, რომ გაზრ-  
დილიყო.

უკვირდა ჭაბუკს: კაეშანი ირხეო-  
და ქალის თვალებში. დარდის აჩრ-  
დილი მუქდებოდა, ხან ბაცდებოდა;  
არ კი ჰქრებოდა.

— რა აქვს ნეტა ბედნიერ ნორჩს  
დასაფიქრები?! არ იქნა და ვერა  
ენახე მოციინარი, გულგაღებული! —  
იტყოდა ბაკურ.

როს ეამით-ეამად შეჰხედებოდა  
ხელმწიფის-ქალსა, დროს მოჰხელავ-  
და, დაკვირვებით ეჭვრიტნა მისთვის.

უნელები რაიმე დარდი ჰქონდა  
ქალსა: კაეშანი სახე იყო მის ხასა-  
თის. სხვებსაც ჰქონდათ შემჩნეულა  
იმ ქალწულის ფიქრიანობა. ამპარტა-  
ვნობას მიაწერდნენ, უკარებლობას.

— როდი უნდა, ვნმე თვ-სტოლს  
გული შეაწყოს; გაიცინოს, გაიხაროს.

— ის თუ ჰსურს, მძიმედ, ფიქრია-  
ნად გვიჩვენოს თავი.

სცდებოდნენ! მართალი ის იყო,  
რომ იმის ისეც კაეშნისკენ გაზრილ  
ბუნებას ზედ დაერთო საყვარელი  
ღედის დაკარგვა, მძიმე თვალი ღე-  
დინაცვლის. ახალი ღელა ნესტანი

გულგრილად იყო: ქალი მეფისთვის  
შეეცაილიყო გარდასული, მყოფი ღედ-  
ლის საგონებელი; დედინაცვალს

— სიძვენიერით, სულის გაძით  
თუ სათნოებით ვერ ედოება ეს ნეს-  
ტახი წასულს თამარს... — ფიქრობდა  
ნეფე.

ამას ჰხედავდნენ, გრძნობდნენ ყვე-  
ლანი. ეს იცოდა თვით დედოფალმა  
ამისთვის იყო, რომ დედინაცვალს  
ვერ გაეხსნა გერისთვის გული. გარე  
ქალობილი ახერხებდა, დაეფინა თვი-  
სი გრძნობა დედინაცვლისათვის. დი-  
დადზრდილნი, ფაქიზადქცევნი არ  
იჩენდნენ აჩრდილსაც ხინჯის, მოჭ-  
რაობით თუ სიტყვებში არ ამეღავენ-  
ბდნენ; მაინც თბილ გრძნობის უჭა-  
ნლობა ჯანლად სდევდა დიდებულ  
ყოფას.

ბაკურ-ჭაბუკი შორეულად ოცნე-  
ბობდა მის გვერდზე მყოფ მიუწით-  
მელზე; ცდილობდა იგი მის სამსა-  
ხურს, სიამოვნებას, ინატრიდა, ეტყო-  
და თავსა:

— ბედნიერ ვიქნებოდი ვაჟკაცთა  
შორის, თუ შევეროდი ასეთსავე მამ-  
ზიდველს ვისმე!

მსწრაფლ შეუტევდა თავისავეთავს:

— რას ამბობ, კაცო? მიმზიდველი,  
სასურველი ხათუთასავით?

ნაწურ-ნაეჭრი ახალგაზრდულ გა-  
ტაცებისა. სხვანაირად ვერცა სცხ რ-  
ვრობს ქალ-ვაჟის სული: ან ნამდვი-  
ლში მოსასწრაფი რომელიმე სახე,  
ვის იგი გარს შემოახვევს ყოველ სი-  
კეთეს; ან ოცნებათა ნათელნაჭარბ  
მდიდარ არეში.

და მის სახელით დაადგება ჭაბუკი  
სული საკაცობო ქმედობისკენ წამყ-  
ვან წაეარნას. მოიპოვოს ქვეყანაზე  
ყოველი სიკეთე, ფიანდაზად გაუშა-  
ლოს მოსანატრებელს, თუნდ სრუ-  
ლებით არარსებულს ხელშესახებად.

რა უშვანს ოცნებად გარდაქმნილი  
სინამდვილე და ოცნება ნივთიერქმ-  
ნილთ თანაბარი არსებაა ზემზედვე-



ლისთვის, ერთი ქმნილი გარე ძალ-  
თაგან, ხოლო მეორე თვისი შრომ-  
მედ მადლისაგან წარმოშობა.

ბაკურისთვის ხათუთა იყო საოცნე-  
ბო სხივით მოსილი; მისი სახელით  
დასდგომოდა რაინდობის გზას. თა-  
თვის ემძიმა მამის ბრძანება, შეუძ-  
ლებლად მიითვალა ტურფა ასულს  
განს გასდგომოდა. უსიტყვოდ უთხ-  
რა, რომ იგი ვერ აპყვებოდა ბნელ  
ქაზრთა ღენას.

## 10.

ქალმა ნამდვილად არ იცოდა, რა  
დიდებას ამოელო იგი მიზანში: გამზი-  
ლებას არა ჩქარობდნენ. ამ ამბავთან  
სახელმწიფო საკითხი იყო დაკავშა-  
რებული; მანამ საბჭო ცხად რამ და-  
სკვნას არ დაადგენდა, იმისი თქმა  
არ იქმნებოდა.

მთლად კი არ იყო მომავალი და-  
ფარული ქალწულისაგან: მამამ აღ-  
რევე შორეულად აგრძნობინა ეს, რო-  
ცა უბრძანა, ბერძნული ენაც ესწავ-  
ლებინა. შემდეგ ხომ სხვაც დაავალა:

— წერა-კითხვა გაგიკვეთიათ, სა-  
ბერძნეთის წარსულიდანაც უთხრობ-  
დე რასმე.

ბერი უკვე ასწავლიდა ელინებას  
ისტორიიდან, მათ სიბრძნიდან, ხე-  
ლოვნებიდან. ზამთრისპირი მოწყე-  
ნილიყო. წუხდა ჰაერი. ფოთლეულო-  
ბას დრო მოეჭამნა: ძირს ეფინა ათა-  
სფერად ჩაქანგებული. ყუავილთ მა-  
გნერად ჯოყარი-და ჩასდევდა ნა-  
კადს. ქალი ტახტს იჯდა. მოშორე-  
ბით სკამი ედგა ბაკურ-ჰაბუკსა. ოს-  
ტატი გართული იყო საუბარში: გან-  
მარტავდა შოთას სიტყვას მიჯნურო-  
ბაზე:

— მიჯნურმა გული ერთს დააჯე-  
როს, სამუდამოდ მისგან არჩეულს.  
სხვანაირად არც შეიძლება: გულს  
იგი მოსწონს! თუნდაც ჰპოვოს იმ  
ჩრეულში ხინჯა გონებამ, ვერ გაი-

მარჯვოს: სუსტი არის იმისა ხმა  
გრძნობათ არეში. მიჯნურნი მოლიან  
ერთარსებას წარმოადგენენ სუსტად  
ჩენამდინ. იყოფიან განუცუცხის კეპს  
ქალად და ვაჟად. ცხოვრებაში იგი  
ორი ნახევარი ეძებს ერთმანეთს. ნა-  
თელგზიანნი შეჭხედებიან ერთიმეო-  
რეს და განიცდიან ამ ქვეყნადვე  
სრულ ნეტარებას. ბედნაკლებნი ვერ  
შეხედებიან, ვერც იგემებენ ამა ქვეყ-  
ნად ნათელ სიყვარულს. ბევრი არის  
ატოლება ტრფობის გარეშე, გრილი  
არას იგი კავშირი; როდი ელვარებს  
მთლად მიწითრი. ზოგი ბედკრული...  
ეგონება: „შეგზედი ნახევარს!“ შეი-  
გნებს შემდეგ: სხვას შეხედვარია!  
მძაფრ ჯოჯოხეთს დაიმკვიდრებს  
სააქავოსვე....

— მაშ, ბერო, შესაძლო იქნება ის  
ნახევარი ერთი სხვა ქვეყანაში გაჩ-  
ნდეს, მეორე სხვაგან; მაინც იგრძ-  
ნონ და მონახონ ერთმანეთი საბედ-  
ნიეროდ?—მიჰმარაჟა მეფემ რომელ-  
მაც გადასწია კარის ფარდა და შე-  
მობრძანდა. ბერი დაიბნა და შეეიწ-  
მიზდა.

— დასხედით! ერთის წამით მოწა-  
ფე ვარ ვითომ მეც შენი!

ბაკურ-ჰაბუკმა სავარძელი მიართ-  
ვა მეფეს.

— ძამაშიც მგოსანივე დარჩენილ-  
ხარ: გატაცებით უბნობ ტრფობაზე.

— რუსთველსა ვსწავლობთ, ბატო-  
ნო მეფე, და ვადარებთ...

— განაგრძე!

დაიწყო კრძალვით. ენა ებმოდა  
მძლავრად ვეღარ ჩასკდებოდა ფიჭვი  
სათქმელებს. ნელნელ ისევ გაიტაკა  
საფიქრ საგანმა.

— ის მიჯნურობა, მოყვარულნი  
რომ ერთმანეთს შეეყვებიან, არის  
წმიდა საიდუმლო ზეცით ნაკურთხი.  
სიკვდილმდეა გასატანი ის სიყვარუ-  
ლი, სიტყბო ნაჭარბი იმ ქვეყნადაც  
წასატანია. სხვა ყოველი... წუთისა-  
ფლის მოვალეობა.

— ბერო, ცხოვრება გამოცდილ გაქვს; თუ გიგრძნობია მიჯნურობა სამარადისო?

— ვარკვევ მგოსნისგან ნაქანდაკებ ნათელ სიყვარულს, ბატონო მეფეკ, მისი მტვირთველი უნდა იყოს დიდსულოვანი და შემკული ყოველი სიკეთით. ჰხამს ესე იმას. მე... ვინმე მწირი განგებისგან უარყოფილი, — წარსთქვა მოძღვარმა.

და შეერთა ამ თქმით. სასობათ გარდისახა ხატზე პირვეარი.

— მოამზადე მოწათე შენი, დიდ დიდებაშიც ღირსეულად გამოჩნდებოდეს. მოგელისთ, ბერო, და შენც, რაინდო, საპატიო სამსახური ამ რჩეულ ქალთან! — ბრძანა მეფემ.

და გაბრძანდა გალიაკიდან.

II

მეფის სიტყვამ დააფიქრა იქმყოფი ყველა. ცხადი იყო: ბატონისქალა დიდ დიდებად იქმნა მიწვეული. მისსავე შარავანდელს უნდა გაენათებინა მგოსანი ბერი და კაბუკი პაეტრ. ბედისწერის ასაყოლად სჭირდებოდათ მათ მომზადება. რა მოლოლა თვითეულს მათგანს, ვერ გამოეცნოთ.

თუ ქალი გამოცდილი ყოფილიყო, გაიგებდა მაშინ ნაყიმ სიტყვებიდან, რომ მას მოელოდა დედოფლოზა განთქმულ მხარეში, მორკმით ჯდომა სამეფო ტახტზე. ბერი უფრო დაახლოვებოდა ჭეშმარიტებას. ის ემყარებოდა მეფის ბრძანებას:

— ბერძნული ბეჯითად! გამოგადგებათ.

მიხვედრილიყო: ქალსა და მის მომავალს მიექციათ პირისახე ბიზანტიისაკენ. ვერ ვარკვია, თვით ბიზანტიელი იგულისხმებოდა თუ ტრპეონელი: პონტოელის კარსაც ელაინურია შემოღებული. ჰყვანდა იმას შემკვიდრე ვაჟი, ჯერეთ უცოლო.

ეს ორივე ერთი იყო ბაქთრისთვის: მისგან მოითხოვდნენ რაინდულ სამსახურს და ის ხომ მზად ნადრობდა საეუკაცო შეძთხვევები შემოხვედროდნენ, რომ ეყარა გულისბუხარი, თავიც ეჩინა. და თუ ასეთი შემთხვევები მზექალის გარშემო იტრიალებდნენ, ესეც კარგი ღიმი იყო მასადმი ბედის. მაინც მეტად აღონებდა ის დაბრკოლება, რომ არ იყო რომელიმე ხელმწიფის-შვილი, ტახტისმემკვიდრე.

— შევძლებდი მაშინ, მემცნო ქალისთვის სევედა გულისა და დაეხდგომოდი მისი ძებნის ძნელ გზას. ახლა... ქალმა ახლა არც კი იცის, რა ცეცხლი მდაგავს.

ოსტატი და მისი მოწაფენი საკუთარ ფიქრით მოცულ იყვნენ რამდენსამე წამს. მოძღვარივე გამოერკვა, სიტყვა მოიცა:

— ლეთის ხელთ არის გული ცხებულის; მისი ფიქრები უცვლელ-ურყევ ლეთის განგებას დასტრიალებენ. განვაგრძოთ სწავლა: მუშა მიწყვიტე მუშაკობდეს.

— ბრძანეთ, მოძღვარო!

— სიყვარულზე მოგახსენებდიო, აღავარდნილ მიჯნურობაზე.

და იგი მიჯნურობა სხივისანაა; ხოლო ნათელი ანუ კეთილი სამუდამოა. სიკვდილი ვერ სძლეეს, ბნელი ვერ მოსპობს; იმ ქვეყნადაც გზას უნათებს ის თვისთა რაინდთ. სამუთო არის ამგვარი ტრფობა, ასეთს სიყვარულს უგალობს ბრძენი:

„მითხარ მე, სულამითინ, რომელი შეგიყვარა სულმან ჩემმან, სად ხარ შენ, ყვაილი საესე და შროშანი ლელეთა? აღსდეგ, მოვედ ჩემდა, მახლობელი ჩემო, კეთილი ჩემო, მტრედო ჩემო! მიჩვენე მე პირი შენი, მასმინე ხმა შენი: ტკბილ არს ხმა შენი და სახე შენი მშვენიერი! გოლეული მოქსწვეთს ბაგითა შენთა, თაფლი და სძე ქვეშე ენისა შენისა...“

„წყულუ ვარ მე სიყვარულითა შენითა!

„სამეოც არიან დედოფალნი და ოთხმეოც ხარკნი და ქალწულნი, რომელთა არა არს რიცხვი. ერთა არს მტრედი ჩემი, რომელი აღმობრწყინდების, ვითარცა ცისკარი; მშვენიერ არს, ვითარცა მთვარე; რჩეულ არს, ვითარცა მზე! ძუძუნი შენი ნუკრნი მარჩბიენი ქურციკისანნი, რომელნი სძოვენ შორის შრომანთა; მკერდი შენი, ვით გოდოლი სპილოს ძვალისა; თვალნი შენი, ვითარცა ტბანი; ვითარცა პორფირი სამეუფო ნათხუნენი თმანი; მუცელი შენი ხვათი იფქლისა, გარემოცული შრომანთა მიერ!

„წყულუ ვარ მე, მტრელო ჩემო, სიყვარულითა შენითა!

„მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს, რათა გეტრფოდეს წაშაყოველსა. მოვილტვი შენდა მითათა ზედან, ბორცვთა ზედან მოვხლტი შენდამი. აღსდეგ, აღსდეგ! მოაქციე ჩემდა მიმართ პირი შენი განათებული. მოვედ, შენთ კეთილო ჩემო, მოვედ ჩემდამო..

„ძნელ არს სიყვარული, ვითა სიკვდილი!“

— ეს არის ტრფობა ღვთისაჲ ნაკურთხი, მიჯნურობა იგი უძლევი. ბრძენი სოლომონ შორით განსკვრეტს ესდენ სიყვარულს თვის სასძლო ეკლესიისადმი ღვთაებრივ სიძის იესოსი, რომელმან შეიყვარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვისა, რათა წმიდა ჰყოს იგი, განბანოს საბანებელით მით წყალისათა და წარუდგინოს თავსა თვისსა დიდებულად, რათა არა ჰქონდეს მწიკვლევენება, არცა ნაოკი ბრავილისა, არცა სხვა რაიმე ესევეთარი, არამედ იყოს წმიდა და უბიწო.

— ამგვარია მიჯნურობა, რომელს აკურთხებს ეკლესია სრულიმ კურთხევით, ამაჲ სახე სიყვარულზე

სიქვა მოციქულმა: დაუტერს ქაქმას მამა თვისი და ედგაჲს ფეხს და შეერთოს ცოლსა ფეხსაჲს დაჲყუნენ იგინი ერთხორც და ერთსულ. დიდ არს საიდუმლო ესე!

იტყოდა ხუცესი თვალადგზნებული. თუ მიექცია მხედველობა იმ ზეკაცურ მიჯნურობისთვის; თუ ასდევინათელ არეში გარდატყორცნილს თვის სიყვარულს ძნელს: სამუდამად განმორებულ თვის ციერასა მარად მასთანყოფს; არ თუ ახსოვდა ალტაცებულს, სად იყო იგი და რას იტყოდა. სდუმდა მოძღვარი. თმაზე ხელ გარდაისვა, გონს თუ მოვიდა.

— ბევრი რამ ვსთქვი, ბატონიშვილო, იქნებ თავი შეგაწყინე და...

— არა, მოძღვარო! უბნობდი ისე, ვით ქადაგი ღვთის სიტყვის მოქმელი — მიუტო ქალმა.

— ნაკადობდა შესს ბაგიდან ტურფა სიტყვა ყვაევილოვანი — დასძინა ბაკურ.

## 12

დიდებით გამოისტუმრა კონსტანტინემ ელჩი ფრანქესი. რჩეული ამაღლა, მონა-მსახურნი, ოქრო მრავალი. საკუთარი ხომალდთაგანი უბოძა სამგზავროდ საუკეთესოდ შემკული. ფერადი აფრები მძიმე ქსოვილს; საბატონკაცო მოწყობილობა; სანოვაგე, სასმელები გადარჩეული; სხვა კატარლით ვაჟაკები მგზავროთ დამცველად. იტყოდნენ:

— პონტო მეკობრეთა სათარეშოდ არის გარდაქმნილი და საფრთხილოა. მეტის დიდების მოსაჩვენებლად ფრანქესმა გამოიყოლა მგონები, დამკერელები, ფალანები, რომ გზა მზიარულად გამოეელოთ, უცხო ხელმწიფეთა კარსაც ზეიმ-შეჯიბრებაში არ დამციარებულებიყვნენ.

სხვანაირად არ შეიძლებოდა: ფრანქესი მახლობელი წარმომადგენ-

ლი იყო იმპერატორისა; იგი თვით კონსტანტინეს სახე იქმნებოდა უცხოეთში, მისი დიდებული პიროვნების აჩრდილი: ხელმწიფური იერაუნდა წამდგარიყო ყველგან. ისაც საჭირო იყო, ეჩვენებინა გალალეზული მტრისათვის, რომ ასე გულზღუთად იქცეოდა, შეიწროებას არავითარი დაღი არ დაესვა მისთვის. სამეფო ქალაქიდანვე ღზინით დაიჭრა დიდებული მყარიონი დიდის კუხრისა.

— ცოლსა თხოულობს ჩვენი იმპერატორი; ხომალდები დედოფლს მოსაყვანად გაგზავნა.

— ჯერ მთლად ახალი კაცია: არ შექმენის დიდხანს ქერივობა.

— საიდან უნდა მოიყვანოს დედოფალი?

— პონტოს ხელმწიფის ქალი ჰყავსო ამორჩეული.

— არა, საქართველოს მეფეთმეფის ასული არისო დასახლებული.

— მშვენიერიო და კეთილი.

— თურმე სწავლულიც არის; ელინური კარგად იცისო.

— ქალი რომ ნაქებია, მისადევარიც კარგი ჰყავს ამ გაჭირების უკს, როდესაც სულთანს დაუფიცნია: ან ავიღებ ბიზანტიას, ან მთელ ლაშქარს ზედ შემოვანწყვეტო.

— განა ძლიერი ხელმწიფეა ქართველთა მეფე?

— თითონ ისე არა: პატარა სახელმწიფო უჭირავს, მაგრამ მის საზღვრებზე თურმე არიან თვალუწოდენი სამეფოები პაქანიეთა, ოვსთა, კალმუხთა, როსთა, იქიდან ულკე ლაშქართა დაჭირავენა შეიძლებაო.

— მეც გამოვიჩინა, ის ქვეყნები კაცის სიმრავლით გარდაჩეულნი არიანო.

— გახსოვთ, ქაჯებს რომ ჰხოცავდნენ, მათი რიცხვი კი მრავლდებოდა უფრო და უფრო?

— ბერი ქაჯი ციხის კონგურზე გადმოგდარაიყო, სტეირს უფრო ფეხდა და მის ხმაზე ღრუბლები მომხდნენ და ქაჯთა ლაშქარი.

— ქართველთ მეფეს იმ ქვეყნებდან გადმოსავალი გზები უჭირავს, ნიაღვარად გადმოუშვებს მებრძოლთ სიმრავლეს.

ოსმალთა თვალთწინ გამოემართნენ დედოფლის მოსაყვანად. ხონთქარს არ შეეძლო, გზა გადაეჭრა: ომი ჯერ არ იყო მათ შორის დაწყებული. მაინც ფიზილად აღეწებდნენ თვალს. იცოდნენ: კეისარს სათანადოდ ჰქონდა შეფასებული სულთანის დასკვნა ბიზანტიის შესახებ და იძულებული შექმნილიყო ეძებნა დამხმარეები.

დასავლეთისკენ ამაოდ იწვდიდა ხელს ძნელ გარემოებაში მყოფი: იქაურ მძლავრებს თითონ მოკსურებოდათ ამ სახელმწიფოს დაპყრობა, სულიერად და ზორციელადაც შეერთება უწინდებურად. ბიზანტიამ განიცადა ეს ჯვაროსანთა ომების დროს, იმათგან კონსტანტინოპოლის განადგურების უკამს. კონსტანტინემ თითონაც გამოსცადა ეს, როცა შეიწროებული ტყუილად ევედრებოდა, მიჰშველებოდნენ უსჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ძნელ დათმობაზედაც მიდიოდა, ოღონდ დაეყოლიებინა.

ჩრდილოეთის გზები შეკრული იყო ბიზანტიისათვის: იმ საზღვრებზე ფრიალებდა ხონთქარის დროშა. აღმოსავლეთისკენ-ლა მოაქცია კეისარმა იმედის თვალი.

ოსმალთ იცოდნენ ამ იმედის ჰაზრიანობა. თვალს არ ამორებდნენ კეისარის ელჩს არც პონტოში, არც საქართველოში, ტრაპეზონში რომ მივიდნენ ელჩის გემები, ნავთსადგურშივე შეტურდნენ ოსმალთ ხომალდნი: სასოვდო დაეტვირთათ ბიზანტიასში.

## 13

პონტოს მფლობელმა დიდებით არ მიიღო კეისრის ელჩი. ზრდილობიანად შეხედნენ, გამოჩინება კი არ დაეტყუთ არც მეფის სასახლეს, არც სატახტო ქალაქს. ნათესაყვდელმა დაახვდა მეფის კარის მოხელე და მიუძღვნა მისდა მიჩემებულ ბინამდისინ.

მეფემ შემდეგ მიიღო ელჩი. ჩამოართვა კეისრის წიგნი. დაესწრნენ ამ ამბავს დიდებულნი და მათ შორის ხონთქარის ელჩი შერიფ-ედინი, შორეული ნათესავი მაჰმად მეორის. ანისთანა კრებულში ფრანქესს არ შეეძლო საუბარი ჩამოეგდო სახელმწიფო საკითხზე და მან მხოლოდ მოახსენა, რომ იმპერატორს ქალის გასასინჯად გაეგზავნა ის.

— შენი ქალის ქება მოვიდა ბიზანტიამდით. ჩვენი მეფე უნახავად მის ტრფიალია. ღირს მყავ, ვნახო იგი ქალწული!

მეფემ არავითარი სიამე არ დაიმჩნია ამის გაგონებაზე, თხოვნაზე კი უარი არ უთხრა.

— ჩემს ძმას კონსტანტინეს მოსურვებია ჩემი ქალის ამბის გაგება. რა მეთქმის ამის წინააღმდეგ?! გამცნობენ, როცა შესაძლო იქნება ქალის ნახვა!

— შენს ქალზე, იმპერატორა შრთელის პონტოსიაც, სხვა ხელმწიფეებს თუ ბატონიშვილებსაც უკირაუთ თვალი, ისინიც მოგმართავენ მაგვარივე თხოვნით. ვისიც ყისმათი იქნება, მას დარჩება მზეთუნახავი! — მიჰმართა შერიფ-ედინმა. და უღელავზე გადისვა ხელი. გამოიჩინა: ხონთქარს ახლო კავშირი დაუჭირა პონტოს მფლობელთან; ეგრძობობინებინა, რომ მასა სთვლის კანონიერ იმპერატორად ბიზანტიისა. დაჰპირდა რომ აღადგენდა იმის უფლებას.

არ შეიძლებოდა რაიმე იმედი დაემყარებინა პონტოელზე. არც რომ შეეძლო მას: თავისთავად უსუსური-ბოდა გარშემოზღუდვით. ერთი დაკერა და ტრაპეზონს ჩამოართმევდა. ამ ნაბიჯს არ სდგამდა ხონთქარის მიზნად ჰქონდა აღებული ჯერ ბიზანტია. რახან იმას დაიპყრობდა, პონტოს მთელი სახელმწიფო უბრძოლველად დაჰნებებოდა.

რამდენიმე დღე დარჩა ფრანქესი პონტოში და ისიც მხოლოდ მისთვის, რომ დაეცვა სახე სტუმრობის; შეეკრიბნა სანოვაგე, ხომალდებიც გაესინჯა, ზოგი რამ ნაკლი შეესწორებინა.

მეფისასული მაინც უჩვენეს. არ მოეწონა: ხმელხმელი სახე, ზურკიანი ცხვირი მოზრდილი; ტანად კი კარგა იყო: მალალი, სწორე. მაინც ქება უთხრა ზრდილმა და მიართო მდიდრული პირსანახავი. ძვირფას ნივთებში არ ერია რამ სადედოფლო.

რომ პონტოელის კარს არ იყო კონსტანტინეს ბედი დაეანებული, ეს აღრეც იცოდა კეისრის კარისკაცმა. ის კი ვერ ჰქონდა წარზოდგენილი, რა მძლავრად ჩაეკიდნა ხონთქარს მისთვის ბასრი ჭვანგები. მხოლოდ გარეგანი სახე-ლა, შერჩენოდა თავისუფალი მფლობელობისა. აღარ შეეძლო თვისით ქმედობა. განაგებდა შერიფ-ედინი.

ფრანქესმა მაინც გული მითომ არ გაიტეხა: უხვად დაასჩუქრა ყველა, ვისაც რამე სამსახური გაეწია იქ მისთვის და ისე მხიარულად გამოეთხოვა, დითქო გამარჯვებული მოდისო.

## 14

დარდი გამოჰყვა ფრანქესს ტრაპეზონიდან: შესაძლო იყო თავს დაჰსხმოდნენ პონტოელები მეკობრეთა სხით. გრძობდნენ იგ-ნი, რომ შორს გზახედ წამოსულ ელჩს სასძლოს ქებ-

ნის გარდა სხვა სახელმწიფო დავა-  
ლება ექნებოდა და მის შესასრულე-  
ლად საკმაო ოქრო.

— კიდევ კარგი, მეზობლნი გა-  
მოვიყოლეთ თასი მე რომ შევატყუ-  
დაულუპავს არ გაგვიშვებდნენ ამ სა-  
ხიფათო გზაზედ. — გაიფიქრა გამა-  
ცილიმა.

და ბრძანა სხვა გემი ახლო მო-  
ყოლოდა; ყველაფერი საომარ ფეხზე  
დაეყენებინათ; შზად ყოფილიყვენ  
ყოველ შემთხვევისთვის.

— საშიში ჯერ არაფერი სჩანა,  
მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკა-  
ვა; ისეთ ადგილებში ვართ, სადაც  
ზღვისპირელები დახლოვებულნი  
არიან არა მხოლოდ ზღვა-ზღვა ვაჭ-  
რობაში, მეკობრობაშიც. შეიძლება  
სცადონ ჩვენზე თვისი ხლოვნება.

არ გამართლდა ფრანძისის შიში.  
შემოხვდა მათ რამდენიმე გემი თუ  
ნაეი, მაგრამ მათ მხოლოდ სავაჭრო  
გადაჰქონდათ. მიუახლოვდნენ საქარ-  
თველოს საზღვრებს. ინიშნეს ფაზი-  
სის ნავთსაყუდელი. დაუბირდაპარ-  
დნენ.

შეეგება მომავლებს კობტა კატარ-  
და. ბაგრატიონთ ბაირაღი გემზედ გა-  
შლილი. ეცნობებინათ მეფისათვის  
სტუმართ წამოსვლა და ბრძანება გა-  
ეცა, დიდებულად მიეღოთ ბაზანტი-  
ის ელჩი და ხალხი. მოუსვენეს მოგ-  
ზაურებს ორიოდე დღე. გამოისტუ-  
მრეს რიონით. გააოცა უღრან ტყეე-  
ბმა, ორსაე მხროიან რომ მოსჯროდ-  
ნენ ფართო მდინარეს.

— დიდი სმოდირე ულაველა!  
მშვენიერობა ბედნიერ მხარის! — იტ-  
ყოდა აღტაცებული ფრანძისი.

აჩნდა სოფლები. ბაღნარში ისხდ-  
ნენ. დაფენილი ადგილები მოჩქე-  
ნათ მოსულთ ედემად. ისე მოეწყოთ  
მასპინძლებს, რომ ხალხი მახლო-  
ბელ სოფლებიდან შესაგებებლად გა-  
მოდიოდა. მოსაკითხს მიართმევდნენ;  
შესძლენდნენ ხილს, ქურჭულს, ქსო-

ვილს და სხვა საიარალო ნახელოვ-  
ნებს. გურიიდან, ეგრისიდან იმერე-  
თიდან მოდიოდა დიკაცობა-ჩაქცევე  
სახეებრად. მოიკითხავდნენ, იწვრი-  
ლებდნენ მგზავრობის ამბავს, გზას  
ულოცავდნენ.

დიდად კმაყოფილი დარჩა ფრანძე-  
სი, როცა პონტოში ცავად მიღებრს  
შემდეგ აქ ასეთი პატივი ნახა. ოქ-  
როს არ ჰყოვავდა, გზაგზა აბნეედა.  
მთებს რომ შემოუდგნენ მგზავრბა,  
აღტაცებაში მოვიდნენ დიდებულო  
სანახაობით.

— აქ სიუხვე, მშვენიერება სიდი-  
დეს შესთვრსებინა! — იტყოდნენ გან-  
კვირვებულნი.

სურამიდან ნაეებით წამოვიდნენ.  
თბილისის კართან შეჰხვდათ მათ დ-  
დებულნი და მათ შორის ყვარყვარკუ  
ვაეი ბაქური. წაუძღვნენ მოსულთ.

მეფე ნარიყალის სასახლიდან უკვე  
გადმობრძანებული იყო ისინი პალ-  
ტში, რომელიც ამართულიყო მტკარის  
კლდოვან ნაპირზე. გადაჰყურებდა  
მთელ ქალაქს. თითონ ფრანძისი სა-  
სახლეში დააბინავეს. მის ამალას  
სხვა სადგომი მიუზამეს ქუჩის გა-  
დაღმა, სასახლის გასწვრავ.

ეახლა ელჩის ხელისოფალი. მეფემ  
სახელით მოულოცა მშვიდობით მო-  
სვლა. ებრძანებანა დარბაზობა, დღე  
აღენიშნა.

— ახლა კი მოისვენეთ: დღად  
დაღლილი იქნებით გრძელის მგზავ-  
რობით. სანოვაეე და სხვა ყოველი  
სასახლიდან მოგერთმევათ თათაეის  
დროზე! — მოახსენა კარისკაცმა. და-  
ემშვიდობა.

15

მეფემ ბრძანა ფრანძისის კარძო  
მიყვანება. მხოლოდ მაშუღოაღლო  
ჰყვანდნენ ვიეროს. მსჯელოდნენ  
იმ სახელმწიფო საქმეზე, რომელაფ  
უმთავრესად ჰქონდა დავალებული

ელჩს. იმ საგანზევე იყო დამოკიდებული თვით დამოყვრება. დაკვირვება დასჭირდათ, ყოველ მხრივ აწონა და შეფასება. ერთი შეხედვით თითქოს ხაძნელო და საფიქრი აქ არა იყო რა: თქრო მოეტანა დავალების შესასრულებლად, მეომრებიც ბევრნი იყვნენ საქართველოში და ჩრდილოეთში.

— ეს ყველაფერი ადვილი მოსახერხებელი იქნებოდა, თუ სახიფათო არ იყოს ოსმალთა მხრივ. მათ საქართველოში ჰყავთ თავისი კაცები, რომელნიც ალბათ ჩვენ ყველა ნაბიჯს თვალს ადევნებენ და...

— მეტადრე ახლა, როდესაც ჩვენი მეფის კარს ისეთი მისანდობელი ელჩი არის, როგორიც შენ ხარ, რჩეული ფრანძქს!

— ბიზანტიელთა მოყვრობა სხვა გარემოებებში ხონთქრის ყურადღებას არ მიიქცევდა; ახლა, რაკი სულთანს განუცხადებია, ბიზანტიას დაუნგრეველს არ გავუშვებო, ეს ამბავი მიზეზს მისცემს მას, ჩაგეთალოს განცხადებულ მოკავშირედ კეისრისა და დაიწყოს ჩვენთანაც ბრძოლა.

— ჰკვას ახლო არის ყველა მკვამრამ სხვა გზა აღარც თქვენა გაქეთ: მაჰმადიანობამ მოსპო წინააზიაში ქრისტიანული სახელმწიფოები; საქართველო-და დარჩა, ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ დაიპყრობს საქართველოსაც, რომ აფხურას აქაც სჯულელი ქრისტესი. პონტოს სამფლობელოს აღარა ესთვლი: ხელმწიფეს იქ სახელი-და შერჩენია, ისიც დროებით! — სთქვა ფრანძქსა.

— ოსმალნი არც აქამდინ გვაკლებდნენ მტრობას: მათის გავლენით აგვეშალნენ სანაპირონი. ყვარყვარე იმათ შთაგონებით თუ შემწეობით აწარმოებდა მტრობას და ცდილობდა, დაეშალნა საეკლესიო ერთობაც კი ივერისა.

— ანტიოქიის პატრიარქი მონათესავე სულთანისა. მისი სურვილით თუ იმედით განაეთთარებდა სულთანს, — დასძინა კათალიკოსმა.

— ვერსად წაუვალთ ღვთის განგებას: აუცილებელია, განსაცდელში მივეშველნეთ ერთმორწმუნე ძმას! — დაასკვნა მეფემ.

ფრანძქსმა მადლი გადაუხადა მეფეს კეთილ თქმისათვის.

როგორ უნდა შესრულებულიყო ეს დადგენილება და მოწყობილიყო ეს სამხედრო მოძრაობა, ამბავ უნდა ეთქვა ამირსპასალარს. სთქვა შერმაღინ შაეშეთელმა:

— ახლაც უნდა გაეზას კავშირი ჩრდილოელებთან. ჩვენი კაცები უნდა ვიყოლიოთ იქ. ლაშქრის დაჭირება და გადმოყვანა ნაწილნი. წილაღ: ბევრის ერთბაშად მოყვანა და გადაგზავნა მეტ ყურადღებას მიიქცევს თვისზე. მტერი ალბათ გზასა სდარაჯობს; ვაჰ თუ ერთბაშად დაამზოს მებრძოლთ სიმრავლე.

დასთანხმდნენ. ერთმა ჰაზრმა გამოიწვია კამათი. ფრანძქსი ჰგონებდა, გაგზავნილი ხალხი უნდა ყოფილიყო ბიზანტიის სარდლობის სრულ განკარგულებაში, მისულნი უნდა განებნიათ ელინთ ლაშქარში. სხვები იტყოდნენ: სჯობს, შესდგეს მათგან ცალკე ჯარი; თვითონ ქართველებმა მათ სარდლებად.

— აუცილებელია სარდალთაგან ცოდნა მათის ზნეჩუეულების, ბრძოლის უნარის თუ მოხერხების.

— ისიც საჭიროა, მებრძოლს ესმოდეს, რას უბრძანებენ. ქართველთა შორის ადვილად შეიძლება, არჩეულ იქმნეს მათი ენის მცოდნე ხელმძღვანელები.

დაასკვნეს: ჯერჯერობით რამდენიმე ცხრა გამოცდილი მებრძოლი აერჩივნათ ქართველთავე შორის და ამალის სახით გაიტყნებინათ მეფის ელჩისათვის, რომელიც უნდა გაეგ-

ზენათ ფრანქესთან ერთად კეისრას წინაშე.

ფრანქესმა მიართვა მეფეს ოქრო, რომელიც გამოეგზავნა კონსტანტინეს ამ სამხედრო სპვიროებისათვის. ბოლოს შესთხოვა ელჩმა საჯაროდ შეჯელობამდის კეთილ ენება და ეჩვენებინა მისთვის სასძლო ბიზანტიისა.

16.

მშრალი დღე იყო, უნიაყო. რამდენიმე გამჟვირვალე ღრუბელი აკვროდა ცის გუმბათს. იშუაობდა ქალაქი გვიან შემოდგომის თბილ მზუზედ.

ბიზანტიის ელჩი გადმოსდგომოდა გალაქანს მტკერის მხრივ: ქალაქს ათელიერებდა. მოსწონდა კლდეზე შეფენილი უბნები. შორიდან ჩვენებოდა, ქვენა სახლების ბანები ზენა სადგომების ეზოები არისო. ქალაქს კედელი ერთყა ირგვლივ. ნაჩიყალიდან ჩამოსდევდა მაღალა გალაქანი მარჯვნივ და მარცხნივ მტკერის პირებამდინ. მნძილმანძილ ქონგურიანი კოშკები ამშვენებდნენ ციხე-გალაქანს, განამტკიცებდნენ.

— ძნელი ასაღების ვერც ციხის მხრიდან, ვერც მდინარიდან ვერ გასატეხს მტერი. აღმოსავლეთით და დასავლეთით იფარავენ კედელ-კოშკები. ბიზანტია... უფრო კარგად არის გამაგრებული, ზღვაც ჩაკეტილია უსხნელ ჯაჭვებით, მაგრამ ერთოვ დღია, ტაშირზედა სდგას, და რახან ერთს ადგილს შეიმუსრება, დაიღუპება მრთელი ქალაქი: ფეხის მოსაკიდებელი სიმტკიცე აღარსად არის — წარსოქვა ფრანქესმა.

და შეშფოთდა: წარმოუდგა გატეხილი ბიზანტია სისხლმოთხეულა, მხეცქმნილ მტრისაგან აკლებული, ვერანებული.

— აქ... ძნელსავალ კლდეზე ციხე მაგარი, თვით კლდეებიც მტკიცეა სიმაგრეები. აქათი მხარეზე შეიძლება ჯარმა თუ ხალხმა გაღირხინოს თავი გამოდმა. ქალაქზედვე, მთები ტყიანნი მათ შეუძლიანთ შეიფარონ ლტოლვილთ სიმრავლე. იქ კი, ბიზანტიაში, ვერსად წაუვა მტერს გაქცეული. მთელი ქალაქი განერთხმევა მძლეველთ ფერხთა ქვეშ.

უიმედოდ გაპყურებდა ბიზანტიამ ძნელ მომავალსა.

— ღმერთი თუ იხსნის თვის რჩეულ ქალაქს და მაღლი წმიდა სოფიოს ტაძრისი — გაიფიქრა ულონოქმნილმა.

და გადისახა პირჯვარი.

— ის ტაძარი, რომელზედაც პირჯვარი გადიწერეთ, წმიდა სიონია ძველისძველი ქართველთ სიწმიდე.

— სიონი?

— მცხეთის საკათალიკოზო ტაძრის შემდეგ პირველია ჩვენს ქვეყანაში და განთქმული სასწაულთმოქმედ ღვთისმშობლის ხატით, — შეუწყვიტა ფრანქესს ფიქრი მეფის ეჯობმა.

— მაჩვენეთ იგი ნეტავ ქალაქსაც დამატარებდეთ: თავისებური სახე მოსჩანს განსხვავებული.

— ავისრულებთ სურვილს! ახლაკი ბატონი მეფე ბრძანებს, ეახლოთ.

— მეფე მიბრძანებს?!

— დიალ! თითონაც, დედოფალაც ერთად ბრძანდებიან.

ფრანქესმა გადააქლო თვალი თავის ტანისამოსს და ულონოდ შეხედა მოსულს.

— ნუ გეფიქრებათ, სუფთად გაცვიათ. მეფე-დედოფალაც შინაურულად არიან შემოსილნი, — მოახსენა კაცმა.

და ფეხი გადადგა. გამოჰყვა ელჩი. აივანზე გამობრძანებულიყვნენ. გაძრკვილ წალკოტს გადაპყურებდნენ.



ორიოდე სეფე ქალი ახლდა დედოფალს. ფრანძესმა აირბინა ცოტა კიბე, ავიდა აივანზე და ეთაყვანა დედოფალს ცალ მუხლზე მდგარი. მდაბლად მიესალმა მეფეს.

— გსურდა გაგეცნო ჩემი ქალი, აგერ დრო არის!

სტუმარმა ახედ-დახედა დედოფალთან მყოფთ. მეფეს ოდნავ გაეღიძა.

— მობძანდით! ჩემს ქალს დანდობილად ვნახავთ: სწავლაშია გართული, არვის მიელის!—პბრძანა დედოფალმა ნესტანმა.

და გაუძღვა. მიჰყვენენ მეფე და ელჩი. ქალმა რომ დაჰკრა თვალი დედ-მამას და მათთან სტუმარს, შეკრთა, აღელდა. გულის ჩქროლევა ვარდის სახედ აფარაღდა იმის დაწვებზე. მიეგება მშობლებს. მძივდ დაუკრა თავი ფრანძესს. მოავლო ელჩმა თვალი მზევრავი. გაუნათლდა სიაპით სახე.

— აი ჩემი ქალი ხათუთა!

წარსდგა ფრანძესი, ეთაყვანა მეფის ასულს, ვით დედოფალსა. ქალმა უფრო დაირცხენინა და აეარავარდა. მიეშველა მამა:

— იცოდე, ფრანძეს: დიდი იწიგნობარია, თქვენ ენასაც სწავლობს.

— აღტაცებული ვარ!

მოდღვარი ბერი ახლო იდგა თვას მოწაფესთან. იქით კედელთან ვაეკაცურად ბაკურ-ქაბუცი: ეთაყვანა მათ შესვლისას მეფე-დედოფალს და გადგა განზე.

## 17

დაბრძანდნენ თვითონ. იწვიეს ელჩი. ქალმა დაიჭირა თავისი ადგილი. სხუები ფეხზე იჯნენ, თამცა დედაფალომა მაინც უბრძანა დასხლოვა. ბაკურმა დააპირა წასვლა. მეფემ ანიშნა, დარჩენილიყო.

— უყვარს ქალს წინი, ამ ბერს ეუბრძანე ხელმძღვანელობა. მგოსანი

იყო, მონაზონად აღიკვეცა. აგერ ნუ ლყურებ: ათონზე ეტრატე გაწაყალილი.

ბერმა თავი დაუკრა მეფეს, ფრანძესსაც. ელინურად აეჩქამა ელჩი, ადვილად შიილო პასუხი.

— ჩემი კარის რაინდი ბაკურ. ხელი მისთვის აქვს ჩამობმული, ვაეკაცურად გაისარჯა შირვანის ოაში. დაჰკრილი გამოვიდა, როგორც სჩევიცა მეტრძოლს,—პბრძანა მეფემ.

და მიჰმართა ჰაბუცს:

— როგორ სწარმოობს შენი სწავლა? ნუ გგონია ჩემს ქალს გაუსწრო. ბაკურმა მდაბლად დახარა თავი მეფის წინაშე:

— თქვენი ქალი... არა, ბატონიშვილს ვერ მოვსწვდები სწავლაში იალიან კი ეუმადლი ჩემს ჰრილობას, რომ ღირსმყო მასთან მეცადინეობას.

მიჰმართა დედოფალმა ქალს:

— აბა, შეილო, რასა სწავლობ ახლა?

წამოდგა ქალი. ფრანძესი მიაჩერდა სხარტად ასულ ნორჩს. მოახსენა დედას, რას მუშაობდნენ. ელჩს მოეწონა მისი სუფთა ხმა, ნაზად გამოთქმა. დასრულებული იყო ქალი. მკერდის ბუტკონი აფეთქებულნი. მის ახალს სიტურფეს ისა ჰხდიდა სანდომიანად, რომ თითონ ქალს არ ესმოდა თვისი სისრულე, მოწიფულებდა. ისევ მცერთად ეტყოზოდა ყმაწვილური მიხვრა-მოხვრა მოუფრკალავი.

— აბა, შეილო, ეტრათი მოიტა, ვნახო, როგორი ხელი დამეშვევე.

გატრიალდა ქალი, გამოილო ნაწერი, მიართო დედას. ფრანძესმა თვალი აადრენა მის მისალა-მოსვლას. მეტად კმაყოფილი დარჩა: ხინჯი არ ჰქონდა მის მოძრაობას. ჩამოდგა ელჩი. კვლავ მეყით დაჰკრა ხედვის ისარი და... უკუსდგა, ეთაყვანა, ვით დედოფალს, განცვიფრებულ ქალს.

უმა დედ-მამას, რომ ქალმა ასეთი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა შუაკაცზე.. სტუბრაღმისულს უფრო მიუტყბენენ. ის-ღა დარჩენილიყო, განცხადებით დაეყენებინათ ქალის გათხოების საკითხი, დაეკვლიათ მის შესახებ ყოველი მხარე. ეს უკვე აღარ იყო ვიწრო საქმე მხოლოდ საოჯახო: ბიზანტიელთან მოყვრობის საკითხი სახელმწიფოს შეეხებოდა; ამ საზრუნავში მონაწილეობა უნდა მიეღო საბჭოს, რომ ყოველივე საჯარო გ მოქვეყნებულიყო. ჰბრძანა მეფემ ბჭეთა მოხმობა.

ფრანძესმა მაინც გადადგა საბოლოო ნაბოჯი: მაართო კეისრს სურათი. კონსტანტინე რაინდად იდგა, ბეგთარში იჯდა. მუზარადი ისარაწვდილი. საბარკულნი, სამკლავებო. წერილთვალის ხელჯაგები. საომარო ხმალი ერტყა შეუქმობელი. ღიმი უკრთოდა. კარგი ის იყო, ოსტატა ხელს სურათისათვის სიცოცხლე მიეცა: ნახატს თითქოს მოძრაობა ასდევნებოდა.

მეფე დააკვირდა სურათს. მოეწონა.

— მშვენიერი ვაჟკაცი მოჩანს!

— კეისარი რომ ბრძანდება, თან რაინდია უკეთესი მთელ თვის ლაშქარში.

— მეცა მსმენია მისი ქველობა, ომში მარად პირველიაო.

— მთლად უშიშარი! თანაც ურალო: თითქმის ყელას პირად იცნობას თავის ჯარისკაცს.

სთხოვა ფრანძესმა, ნება მიეცა, წარედგინა მეფის სახე ქალწულისათვის.

დადგა სურათი. მიჰპართა ნესჰანს:

— შეამზადე შენი ქალი ამ აზნიათვის. გადაეცი მას საქაროს სახე.

უბრძანა ფრანძესს:

— ჩენი წესია, რომ ნიშნობა საჯაროდ მოხდეს. ჯერ კი უნდა განიხილოს სამეფო საბჭომ. ყოველი კითხვის განმარტება იქ მოვიინდებო. იმე-

დი მაქვს, კეისრის სახე შესტლეს თითონ დაითანხმოს ჩემი ასუფენი.

18

დიდებულთ კრება შესდგა. მთელი საქართველოს წარჩინებულნი მეფეს კარს იყვენენ და მიიღეს ბჭობაში მონაწილეობა. ფრანძესი ძვირფასად მორთული წარსდგა მეფის წინ. ეგონა, მდიდრულ ტანთსამოსით და მკდიდურობით მეტ შთაბეჭდლებას მოახდენდა მოდარბაზევსზე. მაგრამ როცა გადახედა სხვადასხვაგვარ ტანისამოსში გამოწყობილ მძღორად ნაგებ რაინდებს, ჩგრძნა: ვერა სჩანდა იმთ შორის ყავიან მოყმდ.

დაიწყო სიტყვა. გაამჟღავნა დაეულებანი. კეისარის დიდებაზე ფართოდ იტყოდა, თითქოს იყო უწინდელი დრო, ვერ გაუფრთხილდა საუბარში გადაჭარბებას: თვისი კილო ისე დახარა, თითქოს მოჰყენდა საქართველოს დიდ წყალობას. თუ ეგონა, გარშეხვიენენ მას უბრყვილონი და შესტლებდა დაეფარნა გასაქირი ბიზანტიისა.

— დიდებულო სტუმარო, თვით აჩრდილო ბიზანტიის კეისრისა! მეფეთმეფესთან ნაჩეენი ვართ პარისპირ სიტყვას, იქნებ ხან მკვიტოს, მაგრამ ქეშმა'იტს. ბიზანტიის აწინდელი გაჭირვება მოგვეხსენება. იმასაცა ვგრძნობთ, რად ინება კეისარმა აქეთ მომართოა. ბუნებრივად მიგვიჩნია, კონსტანტინე რომ ქალს გვენუეის. საქართველო თვის ფარკლებში ისევე მკვიდრია და ამაცი, ვით იყო აღრე ბიზანტია თვის დიდ საზღვრებში. მაინც ძმორათ მოგვიღია მისი სურვილი! — წარმოსთქვა დადიანმა, რომელიც მეტად ააღელვა ფრანძესის კილომ.

— ბეთის ტრიალს ჩვენ ახლო ვაცნობთ. სულაო არ გვივიტის დარინება დიდი ბიზანტიის. არც აღრინდელ მის დიდებას მოვეყვანილი ჩვენ

განციფრებაში. ჩვენ მაშინაც პატრის ვცემდით დიდ ბიზანტიას, როგორც ერთსჯულს, მძლე მოკავშირეს; ახლაც პატრის ვცემთ იმავე ზომით, იმავე ხარისხით!—დასძინა იმერეთის მფლობელმა.

— ახლა უფრო დაეუმტკიცებთ მას ჩვენსა ძმობას: მეგობარი ქირში იქნობის!—ჩამოართვა თქმა გურგულს.

— იმის მოყვრობას ისეთივე სიამოვნებით, როგორც მაშინ მიეცლებდით, დღე მისკენ იყოს ბედის თვალი მიბრუნებული!—დაათავა კათალიკოზმა.

— მაშ კეისრის სათხოვარზე დაატურს მოველი? გუშინ მიბრძანეს, ქალის ნებაც უნდა იყოს ზედ დართული.

— ქალს შევეკითხეთ და მივიღეო მისგან თანხმობა. საბჭოს, ჰხედავ, საუარო არაფერი აქვს, — უთხრა ვაზირმა.

ფრანძეს რაღაცა უნდოდა ეთქვა; ყოყმანობდა, ველარ ჰხედავდა. შაბტყო ეს ხელმწიფემ, თითონა ბრძანა:

— დავალებული გექნება ნივთიერი გარემოების გაკვლევა, აი ჩვენი ნება. მზითვეს ვერ გამოვატან ქალს: ჩვენის წესით თვით საქმროა ვალდებული საგანძური მიართვას ქალსა. მაგრამ მაინც სიძუნწეში რომ არ ჩასთვალონ და იცოდნენ, ქორწინებას მსურველები ვართ, ვაძლეე ჩემს ასულს საჩუქრის სახით: ორმოცდათექვსმეტ ათას ოქროს ერთდროულად; ვბრძანებ, ჩემის ხაზინიდან ეძლეოდეს მას ყოველ წელს სამი ათასი ოქრო; უფლება აქვს, თვისი ყველა სამკაული, ჩასაცმელ-დასახური, ოქრო-ვერცხლის-ჭურჭელი და მის სახელზე დადებული ძვირფასეული თან წაიღოს მან.

უბრძანა მწიგნობართუხუცესს, სათანადო საბუთი შეედგანა ამის შესახებ.

ფრანძეს სახე გადაეწმინდა. მეფეთმეფეს შესძენა მადლობა,

არც თითონ ფრანძესი დასტოვეს უყურადღებოდ. უთავიხეცე ქაღალდით მიანი ვერცხლის ხტნა-ლარის საცქერეთხით ლაღით შემკული; ეწყო აზარფეშა, შევერცხლილი წყვილი ჯიხვი ძეწყვით გაბმული, ვერცხლისე თასი, კულა, ჩოღრაათო. ამის გარდა მართვეს მას ქსოვილები, შელოგობა აბრეშუმისა.

19

ნიშნობა დიდ დარბაზშივე გაიმართა ხალხის წინაშე. შეკრებილიყენენ სტუმარნი, ელოდნენ სასაქლოს. ვადასწიეს არდაგები; დედოფალი ნესტანი, გვერდს ახლდა ქალი. ქალამ ამაღლა. შეეგება მეფე, მიჰმართა ასულს:

— შევიღო ჩემო საყვარელო! ღეთის განგებამ ბიზანტიის დედოფლად გასახა, კეისარ კონსტანტინეს თანამეცხედრედ. ვიცით მშობლებმა დასტური შენი. მოგიწოდე, საჯაროდ მოხედეს შენი დანიშვნა: შენი ბიდი ბედნიერა ჩვენი საოჯახო ამბავი არის, ამასთანავე სახელმწიფო საზრუნველი სასიქადულო.

დაბრძანდა მეფე თავის ადგილას. ქალწულის წინ წარსდგა ფრანძესი. მოართვეს ელჩს სადედოფლო შესამოსი და ტაგრული გოპარმუყრილი. ეთაყვანა ქალს. მოახსენა:

— ჩვენს დიდ კეისარს, ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინეს შორიბ მიესმა ამბავი შენის სიმშენიერას, გონიერების: შენი ქება უმცერას მას ბონტოს ტალღებმა. და მიბრძანა მე, თყანსა მონას, მყის გეახლო აქ, მის სახელით განგიცხადო მისი მიჯნურობა. შეგვედრები: მიიღე მისი სიყვარული აღტაცებული!

აწითლდა ქალი, აღმა აპყრა აღელვებულს, აავარეარა, მიუახლოვდა კათალიკოზი.



— შეილო ჩემო სულიერო მით-  
ბარ ბიძაშენს: ხომ წრფელია და გუ-  
ლსავე თანხმობა შენი?

ქალმა ოდნავ დ. ხარა თავი. პატრი-  
არქმა საპატარძლოს დასახა ჯვარი,  
მორთმეული ხელისყუთი გახსნა ფრან-  
ძესმა. ორადორი ნივთი აღმოჩნდა:  
სადედოფლო ჯილა ელვარე, ნახიან-  
ნი რამ ბეჭედი მისი შესაფერი.

— დიდებულო დედოფალო ბიზან-  
ტიისა! შენ და ჩვენი კეისარი კონს-  
ტანტინე განუყრელად შეგაერთად  
საიღუპლო სიყვარულმა სამარადო-  
სომ. თქვენი კავშირი ნიში არის საქა-  
რთველოს და ერთმორწმუნე ბიზან-  
ტიის ძმური ერთობის. მიიღე ეს სა-  
დედოფლო ბეჭედი და სამკაული იე-  
მის ხელით თითონ დიდი კონსტანტინე  
მოგართმევს აქ სახელმწიფო ნი-  
შანს თქვენის შეუღლებიას!

კათალიკოზმა აკურთხა ნივთები,  
ფრანძესმა ბეჭედი გაუკეთა ხელზე.  
ქალმა შეახო ხელი ჯილას, შესამო-  
სელს და ანიშნა, ჩამოერთმიათ. ვად-  
მობრძანდა ტახტიდან მეფე, მოულა-  
ცა ბედნიერება. დედოფალმაც და-  
კოცნა ქალი. ბრწყინვალე ბედს  
ულოცავდნენ ახალ დედოფალს. თა-  
თონ ფრანძესსაო. კეისარის აჩრდილს.

მეფემ ნადიშვე მიიწვია მთელი  
ძრებული. ზეიმის ეამს სადედოფლო  
ტალავარი ემოსა ქალსა, თავს ედვა  
ჯილა. წყნარი ქცევა, ნაზი სიტყვა  
ფიქრიანი ძლივს ჰფარავდნენ მას  
მღელვარებას.

— რა ძვირფასი ტანსაცმელია!

— ერთ ქალაქად ღირს მარტო  
ჯილა.

— მე არ მომწონს ეგ შესამოსს:  
ხატის სახეღ დააყენა ნორჩი ქალ-  
წული...

— ამბობენ, ჯვარის დაწერის  
დროს სახელწოდებას შეუტყლიანი,  
ქსურთ უწოდონ თურმე ელენე.

— რათაო, ქალო? თუ არ მოსა-  
წონთ ჩვენებური სახელწოდება ეკა-  
ლაც უცხოებს?!

— მიკეირს, კაცო, ბაკური არ  
სჩანს.

— ყვარყვარეც კითხულობდა წე-  
ლან.

— არც ნიშნობას დასწრებია ქა-  
ბუეი...

— როგორ არის დაღვრემილი, და-  
ხე, ყვარყვარე.

— არ თუ მოსწონს მას ეს კავა-  
შირი.

— ალბათ ლალატად მიაჩნია ზონ-  
თქარისადმი მაგ ოსმალთა გვერდს.

20

მღვრეულ გუნებაზე იყო ყვარყვა-  
რე: მეტად ეწყინა, რომ მეფემ დიდის  
პატივით მიიღო ფრანძესი და საიკუ-  
ბით გაღიხარა ბიზანტიისკენ. ერჩიე-  
ნა ოსმალს მიმხრობოდა, დაეპირნა  
იმისთვის მხარი; მით უფრო, რამ  
იყოდა, ზონთქარის აღთქმა, საქარ-  
თველოს წყობილებას ხელს არ ვაბ-  
ლებო.

რა უნდა შეგეძინოს დაკნინე-  
ბულმა ბიზანტიამ? თავისთავიც გასჭი-  
რებია, დღეს თუ ზვალ დაიღუპება.  
მაგრამ... ბაგრატიონნი ბიზანტიელთ  
დაუდგენიათ, გვარად მოუღლით მათ  
ჰმორჩილებდნენ.

ჯერ ისევ წინათ, როდესაც ყრულ  
გაისმა შორეული ხმა, იმპერატორი  
დამოყვრებას აპირობსო ქართველთ  
მეფესთან, ჯავრობდა კაცი:

— იცის გიორგიმ, რა გაჭირვება  
დასდგომია ბიზანტიელსა, შინც საა-  
მით იხრის თავს მის წინ; ქსურს, შე-  
სწიროს თვისი ქალი უკვე განწა-  
რულს!

ამგვარ სიტყვას ისიც ათქმევინებ-  
და ყვარყვარეს, რომ ბოლოს ხანს  
თითონაც ფიქრობდა ბაკურისა და  
ხათუთას შეკავშირებაზე; ამ ქაზრს

იგი თანისთანად ეთვისებოდა. ისიც მსურდა, გაბედულად დასდგომოდა ამ გზას ბაკური, ძანამ კიდევ შორაა სჩანდა ხმა დარბეული.

— რატომო?! იცის მეფემ, რომ ჭაბუკი მომწონის თვალთ უყურება ქალწულს, მაინც იგი მიღებული ჰყავს, არც ქალს არიდებს. ალბათ მოსწონს თითონაც ბაკურ. ან ვის ჰპოვებს სამეფოში ამაზე კარგსა?! მაჰმადიანთ უფლისწულნი ჩვენს გარშემო. თავის სიძედ ვერ გაიხდის იგი უსჯულოს. დედოფალი ნესტანი... იგი ქალი გერია მისი და ადვილად შესძლებს მისცეს თუნდ არა რჩეულს. ჩემი შვილი კი... რაინდ ბაკურა რა წუნს დასდებენ? უკვე განთქმული. მის წინაშე თავს მოიხრის ბევრა ჭაბუკი. მემკვიდრეა საათაბაგოსი. ვაჰ, რომ ომში შემმართებელს ეშინის ქალის!

და მიჰმართავდა თავის მემკვიდრეს:

— ნულარა ჰყოენი. გაუმღავენ დაფარული ქალს. მის დედ-მამას. დრო კიდევა გაქვს. როგორ?! დიდი მებრძოლი გაუტეხი და ჯაბანი ქალის წინაშე? გაიტაცე შენი სატრფო, თუ შეყოყმანდნენ.

მზეჭაბუკი იდგა უძრავად. მძლავრ მღელვარებამ ვერ დაპრია. მის სახეს ხელი. უსმენდა და ვერ უსმენდა გარისხებულ მწრთენელს. ერთი შეკადრა:

— სხვა სხვის ომში ბრძენი არას, მამავ-ბატონო!

არ იმჩნევდა ჭაბუკი ტანჯვას, თუმც ნაჰარბად ეწამებოდა. ბაღლობიდან ჩვეული იყო დარდისა თუ ტკივილის ფარვას. ბევრჯერ მოსულა ტოლ-სწორიდგან ნასახდასმული, ნადირთაგან დატორილი, ან ბრძოლაში მიხვილ-ზახები. არ გაუფიქრებია მისგან ჩივილი, არც გმინვა-კვნესა. ახლა უთმინოდ სტანჯავდა მს გულის კრილობა მეტად გააჩუქდა ის ია-

რა, რომ მკაფიოდ თქვეს: მეფის ქალის სათხოვნელად მისცეს ქალი ფრანძესი. როცა გაშვებულდა და პნიშნავდნენ მის საყვარელს ვიღაცა სხვაზე, მზე ჩაესვენა შუადღისას ბედშევისათვის. შეეზარა ნაცნობთ ნახვა, მათი ხმის სმენა. გაიგარა კაცთ სამყოფიდან.

მიმავალმა ინახულა ის არემარე, სად გაეცნო ბედნიერ დროს იგი მზე-ქალას. ნაღვლიანობდნენ იქ თალარა, ის წალკოტი, თვით ლელვთაბევი ხეივანები ჩამოძენილი. ფოთოლთ სიმრავლე ძირსგართხმული, გამიწეებული. შიშველ ტოტებზე ფარატინად მკენარი ფოთოლი. მოაქანებდა სოველ ბურუსს მთათა ნიავი. ჩაუბნელდა ჯანდიანი გული ვნებული.

— ქარო ბოროტო, მოაცალე ერთის დაკვრით ხეებს ფოთოლი: მომაკვდავებს სჯობიან მკვდრები. მაგრამ არა! ვიამება სიმშვენიერის თანისთან ძარცვა! სულდგმულსაც ხომ ბნელი ძალა ნელინელ სჩაგრავს, სპობს ნაწილნაწილ...

შევიდა თალარში. შესდგა მცირე ხანს. ოდესღაც აქ იწვია დაჭრილი მეფემ. ესე უბრძანა:

— უნებლიედ უქმად მავალს წიგნი გაგართობს. შენ ხმლის კაცი ხარ, საათაბაგო შენის დაშნით უნდა დაცვა: მაგრამ წიგნიც საჭიროა, გამაგადგება.

— ჰა, ჰა, ჰა!.. მეძნელებოდა პირველ ხანში აქ სიარული. ონოფრე ბერმა ძლივს შემაჩვია წიგნთნ სუბარს. მერმე... მეოძე უკო მოვისწრაფოდო: ჩემი ძნელი ბედისწერა აქა მზეობდა.

სულ რამდენსამე წუთს დაჰყო ვაჟმა მიტოვებულ ბაღნარში, ვეღარ გასძლო აქ! აზუელას კარით გავიდა ციხიდან. ბილიკები ოქროყანისაკენ.



არ შევიდა სოფელში. დაუხვია მთა-წმინდისაკენ. გადაადგა ფრიალოს. გადაშლილი თვალთ წინ ქალაქი. მიზღინარე მტკვარი გულგრილი. ფერღობები დაძონძილი ტყით შეშოსილი. შორი მთები თოვლისაგან ქალარნა-ქარბნი. თვალუწვდენი ტაშირები აღმოსავლეთით. ქალაქის მარცხნივ მიმდორი ვაკე.

— აი იქ იღვა კეისარი ერეკლე ჯარით, გვირ სტეფანოსს რომ ებრძოდა დასამონებლად. ახლა მოყვრობას გვეუტევა იგივე მეფე ბიზანტარსა... საბურთალო. აქ აღლუმთ მმართვეს მეფე ჩვენი ამ მცირე ხანში. იმელი მაქვს, ვაჟაკობას გამოიჩენა, მიბრძანა იმ დღეს. შევეცდები: ზომ მომირჩა მკლავის იარა. ექე დიდუბე-მზე-თამარმან მყინვარელთან აქ იჭორწინა. ღირს რაინდად ვერ გამოდგა შორითმოსული: შეგვიმღვრია თჯახი წმინდა.

ხედვის ისარი ჩამდინარე წყალს ჩააყოლა. შესდგა მხერა ციხე მეტეხზე.

— იქ არის, იქა ჩემი სიცოცხლე! ახ, როდი იცის, რა ძლიერ ვეტრფო. რაინდი მხოლოდ ვგონივარ თვისი. გამოუცდელი! იქნებ კიდევ შეეყვარებოდო, თუ... ვინ დააცილიდა ტურფას სანუქვარს?! მე კი წინათ არ ვიცოდი, როგორ მიყვარდა. ჯილოსანი გველესაში ზღვით გამოცურვა, შემოეხვია. დრო აღარ არის იმაზე ფიქრის: მისდევს გულდინჯად დიდებისმეჭონს.

დაეშვა დაბლა. უგზო-უცვლოდ მიდიოდა ციციბოებზე, მონადირე სალთა ფხაზე სელასშეჩვეული. რამდენსამე წამს მოუნდა საყდრამდი ჩასკლას. მიჰყუდებოდა ბერი კლდის ქიმს, მზეზე თბებოდა. იმავლის ფერთბ-ქვეშ ხრემის შრიალ-ხრიალი. შეხედა, იცნო.

— არ დასტტე სიბზე.

— ნუ გეფიქრება! *ერეკლესული* წამს გაჩნდა ბერთანმგზობითქან

— სევედა რაიმე შემომამწვა და ვეღარ დავსდექ. ლეღვთა-ხევით წამოველ, ოქროყანის ბილიკებით გადმოვიარე.

— რამ დაგალონა? სასახლეში გაბმულია დიდი ზეიმი.

მზე-ქაბუქმა დახარა თავი.

— მონაზონად აღვეცილი ძნელად შეიგნებ.

— არ ვიყავ ბერი. ვიცნობ მწვავედ სოფლის სიმუხთლეს. დაისადგურა ერთხელ ჩემთანაც სატფო ნათელმა... განქრა, წაიღო ჩემი გული, მთელი არსება!—წარსთქვა ბერმა.

და თვალთა გუგა ცრემლით ავესო. სდუმდა ჭაბუკი. უნდოდა ემცნო თავისი დარდი, ენა მისი თქმად ისწრაფიდა. თავს იმაგრებდა: ეკრძალებოდა, გაემხილა თვის ხეაშიადი. შეატყო ბერმა, აღსარება გაუადვილა.

— შემიგნია ბუნდოვანად გულისთქმა შენი: მზექალაი შეგყვარებია.

— მოსვენებას აღარ მაძლევს ჭრილობა გულის. ვიგრძენ, მიყვარდა; განცხადება ვერ გავუბედღე: ვერ შეიგნებდა ქალის გული იმ ჩემსა სათქმელს. ახლა...

— არ ყოფილხართ განგებისაგან ასახულნი ერთმანეთისთვის. დედოფალია აწ ბიზანტიის. დიდებულები რაინდიო. იმათსა კავშირს მიჯნურების საფუძველი მაინც არ უძეხს.

— შეიძლება გრძნობა ჩემი განქრეს უკვალოდ?

— არა მგონია! მიჯნურობის ძნელსაველზე იდექით ორნივე, თქვენ თუ დაგცლოდათ...

— მისწრო უღროოდ ძნელმა იუბალმა.

— შენს გულში რომ შეგობრობა გაიფურჩქნა ტრფობის ყვავილად, ქა-

ლის გულში ახლად იყო განასკვილი იგი კოკორი. გახლეჩდა ბაგეს დღეთ რონინში იგოცა ბუტკო და ყვაილადა გადიშლებოდა.

— თუ აღრევე წამეკითხა ჩემა გულისთქმა...

— სხვა სიყვარული ელდასებურა: შეპხედები ლამაზს, წამს შეიყვარებ. იტყვი: სწორედ ეს! სხვა არავინა! მე ესეთი სიყვარული მარჯუნა ღმერთმა.

— შენა, მოძღვარო?!

— ჩემს დაუფიყარს მე მაშინ შევხვდი, მეფის კარს როს სხვა მელექსეს გამაბაასეს. ერთს ეამს ორი ბედნიერება: გავიმარჯვე და ვპოვე ცალი! ერთს წელს თუ ერთს წუთს ნეტარქმნილმა დავკარგე სატრფო. სამარეში ჩავატანე ყოველი სიამე. ახლა... მხოლოდ ოცნება ნამდვილქმნილი ნუგეშად ჩემდა... — წარსტქვა ბერმა.

და გაერთბა საყდრისაკენ მიწას:

— ნუ შემრისხავ, სახიერო, ძვალად შემინდე. გადვიფიყო წუთისოფლის ამოება. ოპ, რა ძნელია!

## 22

გაღიხადეს ნიშნობა. მორჩა ზეიმი. ფრანძესი წარუდგა მეფეს; სთხოვა, წასვლის ნება დაერთოთ მისთვის.

— ძნელს გარემოებაში დავსტოვე სიძე შენი იმპერატორი. მოუთმენლად მოელის შენს კეთილ სიტყვას. დედოფალის წასაყვანად მევე გიახლოთ. წესი მოითხოვს, კეისარის ჯვარისწერა შესრულებულ იქნას წმიდა სოფიოს ტაძარში.

— აღსრულდეს სურვილი იმპერატორისა!

აუცილებელი იყო ელჩის მალე დაბრუნება: უნდა სცოდნოდა კონსტანტინეს, რა ხანში შესძლებდა მეფე ჯარის მოშველებას და რამდენისას. საფიქრო იყო, ოსმალნი არ დაპხედროდნენ შეკობართ სახით, არ დაებრ-

კოლებინათ მიმავალნი, არ ჩაეხოცნათ. დაასკენეს, თან გუეტანებინათ პირველი დასტა მეტროპოლიტანს, უფრო საიმედო იქნებოდა საბრძოლო გზის გავლა.

— ბიზანტიელსაც გული დაედება როცა ქართველთ აღთქმას საქმედ ქმნილს ჰნახავს.

ეს პირველი დასტა ქართველთაგან იყო შემდგარი. სამოციოდ მებრძოლი გააყოლეს, რჩეული იყვნენ, კარგად შეიარაღებულნი. მოეწონა ელჩს ვაჟკაცები. მიჰმართა მთავარსარდალს:

— ბატონო ბებური! სხვა დასტების გამოგზავნის დროს, არ იქნება ძლიერ საჭირო მეტი ზრუნვა იარაღზე: სამეუფეო ქალაქში დიდძალი საქურველია საუკეთესო. კაცნი გვაკლიან. სხვა ყოველი უამრავი გვაქვს.

მიმშველთ რომ გაიგეს, იქ ადვილი იქნებოდა აბგარ-აბჯრის შოვნა, უფრო წახალისდნენ. დადგა საკითხი, ვინ უნდა ეთავებინათ გასაგზავნი რაზმისთვის. მეფის არჩევანი შედგა ბაკურზე.

— მებრძოლია აღგზნებული და ერთგული ჩვენის ტახტისა.

— არა ჰგავს მამას, რომლისა გულს კელავად არის მანკიერება.

განუცხადა თვის სურვილი მეფეც ყვარყვარეს. ჩადიქრდა იგი: თუ ნება დაერთო, მის ვაჟს მოუხდებოდა ბრძოლა ოსმალთ წინააღმდეგ, თითონ კი მათი მომხრე იყო; თუ არ დაჰყოლოდა, განცხადდებოდა მისი ქვექვეგამხედველობა და მეფე აღარ დაუბრუნებდა ცამთავროს. ჰკითხეს თვით ბაკურს.

ჰბუჟს გაეზარდა ეს დავალება: ვერ შეეძლო მეფის კარს ყოფნა, სადაც იყო მისი სატრფო სხვისთვის ნაგული. მაინც გადახვეწას აპირობდა, თუმცა ნებისყოფა არ ემორჩილებოდა. რამდენჯერმე ჩაეშალა მას ეს

სურვილი: კვლავ ქალაქში ბრუნდებოდა გზაზე დამდგარი. ახლა... მხნედ უნდა აესრულებინა ბრძანება. ბრძოლის ასპარეზიც იზიდავდა.

— კარგ რაინდად მსახავ შენს თავსა. ჰე ბერთი და მოედანი გამოსაცდელი. ისე იბრძოლე, შორ ქვეყანას აელეება შენის დამნისა შექცდებოდეს ქართველთა ცაზე.

ისიც იზიდავდა ჰაბუკს იქით... ის მებრძოლი მისი მძლეველი და.. ათას რასმე სხვას ფიქრობდა გამწარებულნი.

როცა ყოველივე მზად იყო სამგზავროდ, მოართვეს მეფეს შეკვეთილი სურათი ქალის. ფირფიტაზე ამოკრილი ქალის აღაღმა. მის სახეზე აღბეჭდილი უბრყვილოება მადლიანად აესახნა ვერცხლზე ოსტატსა. ფრანძეს მოეწონა ხატი. უხვად დაასაჩუქრა ხელოვანი თავისი მხრითაც.

ბაქური რაინდულად დაემშვიდობა ქალს. რომ ემთხვია კაბის კალთაზე, ხელი უპყრო ქალმა, ააყენა და ჩაბხედა რამ ვედრებით ვაქაყს თვალეებში. მისი შეხედვა თან წაჰყვა ჰაბუკს. ვეღარ, ვეღარ დაივიწყა ქალის თვალეები.

23

თანისთანად ძნელდებოდა მდგომარეობა: ბიზანტიისკენ ოსმალეთი ძალებს სწურავდა. მტრის ბანაკი საშეუფეო ქალაქს გარშემო. ვიწროვდებოდა ნელინელა ფოლადის რკალი.

ჰხედავდა მეფე თავის ძნელ ყოფას. გულს არ იტეხდა. მხნეობდა თითონ, ამხნევებდა გარემო ყველას. იმედი კი საიმედო არსაით სჩანდა. ხელსაჭიდი რაიმე ხაესი აღმოსაველეთით: ფრანძესისგან მოუთმენლად ელოდდა ამბავს. მოუვიდა მოხსენება ტრაპეზონიდან:

... ცივად მიგვილო მეფე კომნენმა,

თითქო მტრულადაც. სახელსდებს თავს იმპერატორად: თვესიქცი... ფუ გამოელის ბიზანტიასაც... დაიხმა პონტოც. დარჩა მხოლოდ საქართველო იმედის კარად. მზრუნველი მეფე მხოლოდ ღამდამ ისვენებდა პირად შრომისგან. მაგრამ ბნელიც ვერ ჰვარავდა ძნელ საშიშრობას. უღელისგან ქენჯნის ძილი ძნელად უმწუხავდა დაქანტულ თვალეებს. ამგვარ წუთებში მცირედ რასმე გართობდა საუბარი მეცნიერებთან.

იმის დროს, იცი, იქ ცხოვრობდა განთქმული მოგვი თეოფილე ხირანიკოსი. წიგნში, იყო მარად გართული. სახელმწიფო გამგეობის გარეშე იდგა. მაინც გამკვერეტ თვალს ავლებდა ცხოვრების დენას. როგორც სწვევოდა, უხმო იმას სევედითმოცულმა. ვერ გადუყარა ჯავრის ჯანყი განყენებულ თქმამ. შეატყო ეს მეინახემ და გაუბედა:

— დღეს, კტისარო, გული მეტად შეგლამებია. თუ კიდევ ვაიგე რაიმე ძნელი მტრის ძალთ შესახებ?

— დარდი დიდი მით შემომაწვა, რომ შინაურნიც მალატობენ განსაცდელის ეამს, თვით მსახურნიც ეკლესიისა.

— ბრძანე, ბატონო!

— იცნობ ბერებს ბასიანეს და კოსიანეს. ოქრო ბევრი მიუღუვალე ეგრიკიანის ძველ გოდოლის გასაახლებლად. წაველი, ვნახე. იგი კოშკი დაშლილივ დაშხედა... აღარ სჩანს ოქრო, ბერებიც. ის ავაზაკნი ჩემგან იყვნენ პატიეცმულნი!

— რად გაკვირს ეგე, მადლითცებულო? განდევლილ შორის უფრო მეტად ძლიერდება თვითყვარება ეშმაკეული: ზრუნავენ მხოლოდ თავის თავზე: სულით, ზორციით მიილტვიან ნეტარებისაკენ.

— უარყოფენო ხორცილთუგეშობას?



— არა! ესეა რწმენა: კვლავ შეიმოსავს სული თვისსავ ხორცს, მხოლოდ განწმენდილს, ეთეროვანს, განსპეტაკებულს. ამის საღწევად დასჭირდებათ შენი ოქრო მათ: უყიდის იგი აქ მიწას, იქ ცას.

— სამშობლო მხარე? ხალხი ტანჯული?

— არ აქეთ სამშობლო, არცა სწამთ ერი! თავისთავი უღმერთებიათ.

— ახლა სხვას მივეც ოქრო ბევრი იმავ საქმისთვის.

— ყოელი ქონება ამ შავი დღისთვის! უფრო მეტი საშინრობა ბიზანტიას არ განუცდია.

— ლათინთაგან მის აოხრება?

— რა ბრძანებაა?! ამ დიდ ბრძოლას სხვა აზრი მოაქვს. მარტო ჩვენთვის როდი არის მტერი საზარი, საშიშია დასავლეთისათვისაც: იგი უმზერის ბიზანტიას, ვით ევროპის კარს, აწ ხონთქარია მოვლენილი დიად განზრახვის ასასრულებლად, რამლი არის ეამთა სვლაში მოზომილი აზიისა და ევროპისათვის.

— რა აზრს ჰკულისხმობ?

— ამ ორ ქვეყანას ერთურთშორის არც რა აქეთ საერთო. ბუნებით მტერნი ერთმანეთისა. ბუმბერაზულ მათ შორის ბრძოლა დათავდება ერთ მათგანის განადგურებით. ძველი ბრძოლა ირანელთ და ელინთა შორის გამარჯვებით დაათავა ისკანდარ დიდმა. აზიაში აფრიალდა ევროპის დროშა. დიდ კონსტანტინეს მძლავრი ბრძოლა აღმოსავლეთთან. დასავლეთი თავს ესხმოდა აღმოსავლეთს ჯვაროსანთ სახით: ორ დიდ სჯულთა შერკინება ბუმბერაზული. მძლავრი ხონთქარი... მხოლოდ შენ სდგებარ მის წინაშე ამ დიდ ბრძოლაში. ისტორია შენ გიმზერის შორისმჭვრეტი ავალით. როდი ესმით ბნელ ბედისაგან დაბრმავებულ დასავლეთელებს.

არ შეიძლება დაღონება, შედგება შენი

— მაშ დათავდება მტერი მტერთა. ცხადი იქნება ღვთის განგებნა ზრახვა უცვლელი.

— არა, ვერც ეს ომი დაათავებს დიდ შემართებას. დროთა დენა კიდევ ჰნახავს ამ მტერთა შუა მრავალ ბრძოლას უფრო საშინელს.

— უთავეები თუ ყოფილა დიდი მტრობა?!

— ეგ მხოლოდ ჩვენთვის, წამიერთათვის; ერები კი უკვდავ არიან: ბუმბერაზულ ბრძოლის ბოლოს მოესწრებიან.

ამ დიდ ბრძოლას ახლა კონსტანტინოპოლზე უნდა გადმოეცელო. აღმოსავლეთს ეს ქალაქი ამოელო მიზანში. აზიამ ეს გზა დარბოზის დროსვე დაჰკელია: ჰკვიანმა მეფემ ამ ადგილას ციხე აავა. მის მნიშვნელობა სათანადოდ შეაფასა აწ ოსმალებმა. ბაიანეთი გარს შემოერტყა. გაიმარჯვებდა, თუ თემურ-ლანგის შემოსევას არ დაეშალნა. წრეს აგლებდნენ ოსმალები ამ დედა-ქალაქს. ციხე-სიმაგრე მაჰმად-ფატოხი ბოსფორის ნაპირს. ცხადი იყო ოსმალეთის დიდი სურვილი.

24

— აუცილებელია აჩქარება: იმპერატორს ყოველივე დროზე უნდა ვაცნობოთ; ჩვენც ყველანი უნდა ჩავდგეთ მებრძოლთ მწკრივებში — იტყოდა ფრანძეს.

ალარ ჰყოვნიდა. გზად გაემართნენ. უწყის ფაზისს. ჩასხდნენ გემებში. საშიში ცურვა: ოსმალთაგან ელოდნენ საფრთხეს.

საქართველომ ძველთაგანვე მიიპყრო თვისზე ყურადღება წინა აზიის მის მტერ ბერძნებთან ჰქონდათ ქართველთ მტკიცე კავშირი. სოფდაგრობას ეწეოდა ელინეთი საქართველოსთან. ელინების ახალშენნი შავი ზღვის



პირას. რომის ხანში გაძლიერდა ადვოკატი-მიცემა. დამპყრობ რომაელთ გაამარავეს ახალშენები.

გატკბა უფრო ჩვენი ერთობა, როს აზია შეაერთა მამადის სჯულმა. ბრძოდა ისლამი ევროპულად განსახებულ ქრისტიანობას. ძველივე ბრძოლა ისტორიული სარწმუნოების საბურველში მოვლინებული.

ახლად აღაგზნო შემართება აზიელთა მოწინავედ ოსმალთ ჩადგომამ. წინააზიის ახალი ზალხი. ერთი მოდგმის თემებიდან არ შესდგებოდა; არ ჰქონებიათ არც საერთო მათ ისტორია, მათი წარსული მათ ერთ ვრად არ აჯგუფებდა; მთლად ბნელნი იყვნენ, განვითარებას არ მიეცა საზღვარილი სახე. მათ აერთებდათ მხოლოდ სჯული და სამხედრო წესწყობილება.

— ვინც არ არის მართლმორწმუნე მამადიანი, არც წევრი არის ჩვენის ბანაკის. მტერია იგი. შებრძოლება დაუნდობელი!

ქართველები ბუნებრივად ოსმალთ მტერთ რიცხვში. საბედისწერო იყო ეს მათთვის: თვით აზიელნი; დასავლეთის მამად ბრძოლაში აღმოსავლეთთან ევროპას შერჩნენ. განძვინდა ბრძოლა ისტორიული, ხონთქარი და კეისარი როცა შეიბნენ.

ოსმალეთი ქართველობას მზირ თვალს ავლებდა: ხონთქრის ზომალდნი საქართველოს ნაპირებთან ხშირად რჩებოდნენ. მოხდებოდა, ქალაქებსაც ააოხრებდნენ. ახლაც თვალი ედევნებინათ, და რომ გამგზავრდნენ, შორი ახლო აედევნენ მტრის ზომალდები. თავს არ ესხმოდნენ, არც თვალიდან იკარგებოდნენ. ამან მეტად შეაფიქრა ფრთხილი ფრანქესი.

— ეს კატარღები არა ჰკვანან მეკობრეთ გემებს.

— ვინ იქნებიან?

— ოსმალეთის ზომალდები სავდარაჯოდ თუ გამოსულან.

— დასახვედრად სჯობს მოვემზადოთ.

— უსათუოდ! რომ წამოვედით, კეისარს და ხონთქრის შუა ომი არ იყო; მაგრამ ვინ იცის, რა მოხდა შემდეგ. იქნებ გაბედონ და შეგვებრძოლონ.

— შესაძლო არის. მეტად თუ უძიძით თქვენი ჩვენთან დაკავშირება.

— ალბათ, დიდად სწყინთ.

— ცდილობს სულთანნი, მთლად შეზღუდოს ბიზანტია, მოაცილოს ყველა მშველელი.

თვალშიერად იყვნენ მგზავრები, მეტად ფრთხილობდნენ მიმდევარნი, არ იხენდნენ არაფერს სამტროს. მოსდევდნენ მხოლოდ დაეინებით სულ ერთ მანძილზე. შუა ზღვაში როდი შევიდნენ: ნაპირნაპირ მიდიოდნენ; ხან ისვენებდნენ. პონტოს საზღვარს არსად მიადგნენ. ასცდნენ ნაპირებს იმ ადგილებში, დაიწიეს შუა ზღვისაკენ. პონტოს მთები მიეფარნენ მგზავრთა თვალიდან.

ტრაპეზონის პირდაპირ იქმნებოდნენ, რომ მიმდევარი ზომალდები უჩინარ იქმნენ. ეგონათ მგზავრებს, განსაცდელი ჩამოგვშორდათ. გამოჩნდა ზღვაზე პონტოელთა ალამით გემი. ურიდებლად ახლოვდებოდა. შედგნენ მგზავრები, იარაღი მოიმარჯვეს მტრის დასახვედრად. მოწვენილ გემზე აიშართა ანძა სამსხვრევი. დაუახლოვდა. შესაძლო იყო ისრისა თუ ხელშუბის ტყორცნა. უკვე ელოდნენ მიმავალნი ბრძოლის დაწყებას. იწყო ნელნელა ჩამორჩომა მტრის კატარღამა. გადაიკარგა. აჩნდნენ ტალღებზე წინანდელნი გემნი მდევარნი.

უზიფათოდ გაიარეს დანარჩენი გზა. მიუტანეს იმპერატორს კარგი ამბები. მოეწონა კონსტანტინეს მხედართა დასტა და იმათი სარდალი ბაკურ.

— ესეთ ვაჟკაცთ ოთხი-ხუთი ათასეული და თვითონ მე გადავიდოდი შეტევაზედა.

— მებრძოლთ დასტები, კეისარო, კიდევ გადმოვლენ. აქ გავწერთნით იმათ ჩვენებურად სამხედრო წესზე, — მოახსენა ფრანქსმა.

მეფე კმაყოფილი დარჩა ელჩისა: ორივე სამძიმო დავალება წაღმა ეფიქრა. ქალის სურათს დაეინებით აკვირდებოდა.

— ჯერეთ ისევ ბაღის სახე მოწიფულ ქალწულს, არ შეშხვედრია! ნაღელიანი თვალნი მოსჩანან. მიმზიდველია!

კეისარმა ბრძანა ზემო: სწადდა საჯაროდ ეთქვა დედოფლად; ისიც ემცნო თვის ხალხისათვის, რა კავშირი შეკრა იმან ქართველთ მეფესთან. გულია სუფრა დიდმოსალხენი. იტყოდ: უღვა იმპერატორს ბრწყინვალე ეამი. სადედოფლოდ დასახელდა ქალი ხათუთა. პატრიარქმა პარაკლისი გარდიხადა დანიშნულთა დღეგრძელობისთვის. დედოფალი ელენეო, მოიხსენია.

— წმინდა ელენეს შესაღარად, გვერდს რომ ეღვა მოციქულთსწორ კონსტანტინეს მის ნათელ ღვაწლში.

ნადიმის დროს გვერდს ესხდნენ მეფეს ქართველთა ელჩი, ბაკურ-ჰაბუკი. მათ პირდაპირ ურხანი და გმირი ჯიოვანე. ახალ დედოფლის სადღეგრძელო. ქალის სურათი. ხელისხელსა-გოგმანებლად გახდა მისი ხატი. ქალწულის სახემ ბევრი კარგი ათქმევინა შეინახეთა. ულოცავდნენ იმპერატორს, შესძლენიდნენ ქებას. ვასცა სა-

უნჯე კეისარმა, მიპტინა ხალხს თვის წყალობა. ურხან, ჯიოვანე და ბაკურმა მეგობრებად დასახეს თავი: მოწვედილ ხალხზე კეისარის წინ შეპტიცეს ერთ-ერთს.

რანდი ურხან ოსმალთ ტახტის მემკვიდრე იყო კანონიერი. კონსტანტინეს მამის დროსვე ბიზანტიას შეჭფარებოდა. ტახტის წარმტაცი მზევრავ თვალებს არ აშორებდა. არ გაუშვას კეისარმა, იმის ხელით აჯანყება არ მოაწყოსო. სულთანი მურად ამისათვის იმპერატორს ოქროს აძლევდა.

რანდებმა კონსტანტინეს პირად მკეელად დასახეს თავი. ერთმანეთის კითხულნი იყვნენ. ჯიოვანე ხელმძღვანელობდა: დაბრძნობილი მებრძოლი იყო ომში წრთობილი.

— გამხნვედა მეფე, უტეხად შრომობს. გაცოცხლა ლაშქრის ძალა თითქმის ჩაშლილი.

— კარგი მებრძოლნი შეიკრიბნენ მეფის გარშემო. თუ განაგრძო ესეთივე მარჯვე ქმედობა...

— ცოტა ჰყავს ჯარი მებრძოლ კეისარს მტრის შედარებით. ხონთქარი შესძლებს, რამდენსამ კეცად შემოარტყას ქალაქს ლაშქარი.

— სიმაგრენი დაგვიფარავენ. იარაღიც ბევრიაო ჯაბახანაში.

— ოქროს ყურეს ჩაჰკეტენო დიდი ჯინჯილით.

— კარგი აზრია! თორემ შესძლებენ ახლო მოსელას და დაგვლუპავენ.

ცოტა სჩანდა დამცველთა რიცხვი. ამისთვის იყო, რომ კონსტანტინეს მეტად უაშა, როდესაც საქართველოდამ კვლავ მოვიდა მებრძოლთა დასტა. სწერდნენ:

— დიდი ჯგუფების გამოგზავნა საშიშო არის: სდარაჯობენ ხონთქრის ზომალდნი.

ალუთქვამდნენ მეომრების წერილ-წერილად გზავნას. ბიზანტიელთ გული მოეცათ. შესწირავენ ვერცხლს

თუ განძეულს; მებრძოლთ რიცხვში ეწერებოდნენ. შენდებოდნენ, მაგრადებოდნენ ციხის კედლები.

26

ბოლოს დროს კონტანტინეს ისიც ანუგეშებდა და ამხნევებდა, რომ ბიზანტიის ეკლესია, რომელიც მარად გადაგებული იყო სჯულის საკითხებზე და სამღვდლონი ერთმანეთს აღარ ინდობდნენ, აწ გაიმსკვალა ერთი აზრით:

— მტერთაგან დაცვა დედაქალაქის: მხოლოდ იგია მტკიცე გოდოლი ქეშმარიტის ქრისტიანობისა

ეკლესია არას ზოგავდა ამის გასაზორციელებლად. თვისი საუნჯე უხვად მოზიდა თავდაცვისათვის მოსახმარისად. პატრიარქმა გასცა გუჯარი:

— ... აწ რომელსა აქენდეს მახვილი, აღილოს იგი! რომელსა არა აქვინდეს, განწყვიდოს სამოსელი და იყილოს მახვილი! შეირტყენით ხმალნი წელთა ზედან თქვენთა. ჰხმილავდით ქალაქსა ამას სამეუფოსა! რომელმან დასდოს თავი თვისი სჯულისათვის წმიდისა, დაიმკვიდროს სასუფეველი!..

პატრიარქის ეპისტოლემ აღაფრთოვანა: საეკლესიო გზაზე მდგარნი თავის ნებით მოქმედ ჯარში ეწერებოდნენ. გონიერობაც დაეინებით მოსთხოვდა ბრძოლას:

— თუ დაეცემა ბიზანტია, მტკიცე ფუძე ეკლესიისა, დაემსგავსება აქაური სამღვდლოებაც აღექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის გლახაქმნილ კრებულთ. ვიხილავთ მაშინ მართალთა თესლს მთხოველ პურისა.

ეს ამბავი ამხნევებდა კონსტანტინესა, განსაიდელში გულს არ უტრუნდა. ოცნებაში კვლავ აღდგენას უმზადებდა თვის სამფლობელოს.

— დამშურს მალლიდან იმ კონსტანტინეს სული ძლიერი; მდგარ ბრძოლას შთამავონებს, განუტეხელ-

სა. ღმერთი ძლიერი არ გაგვირავს ჩვენ, მისსა მრნებს! დედაქალაქის კვლავ აღყავედეს ბიზანტიის მარჯვენით!

მტრის დასახვედრად საერთო მზადებამ ხელი ვერ შეუშალა ზამთრის დღესასწაულებს. უწინდელი ზეიმიით და დიდებით გაატარეს ბედნიერი დღეები. კეისარი ჯავრს არ იმჩნევდა ვერც სამხედრო დიდმა ხარჯებმა შეაყინინეს მისი უხეობა.

არ დაივიწყა თვისი დანიშნული მიართვა მას სამიჯნურო. უსტართან ერთად დიდებული მოსაკითხი: იშვიათი რამ ქსოვილი ბაცი ცისფერი; ლალთა სიმრავლე ტალავარის მოსაკაზმავად. ქართულად შეაკერვინეო ხელოვანს.

მეფე გიორგისთანაც იყო დროს შესაფერი ეტრატე. მხნედ მოსჩანდა კეისარი თვის იმ ნაწერში. განიფანტნენ გიორგის კარს ქუფრი აჩრდილნი.

— მადლობა უფალს! სიძე კეისარს, მის წმიდა ქალაქს, უიმედო გასაჭირი არ დასდგომიათ.

აჩქარებით გადაგზავნა ახალი დასტა. არ იცოდა შორეულ მეფემ, რომ ეს იყო იმედის შუქი უკანასკნელი. გაგზავნილი მისგან დასი ოსმალთ ტყვედ გახდა. ზღვა მთლად შებოჭა მაჰმად ხონთქარმა. შეუძლებელი შეიქმნა მიცელა-მოსვლა; საქართველოს სანაპიროს სასტიკად სცვაედნენ. მიიწვედა სულთანის ჯარი კონსტანტინოპოლს. აჯანყება აზიამი სისხლით დაატრო. მთელი ლაშქარი გაისტუმრა ბიზანტიისკენ. იზრდებოდა უმთავრესი ჯარი მებრძოლი: დამონებულ ერებიდან მეომრები უერთდებოდნენ. ჯარს იზიდავდა სიმღიდრეც დიდი საალაფოდ განწირულის დედაქალაქის.

სამასი ათასი კაციისაგან შესდგებოდა ხონთქარის ჯარი. ეჭირა ზღვა იმისავე ოთხ-ას-ოც ზომალდს. პირადი

ჯარი მაჰმადისა ოცი ათასი. ჯამა-  
გირი ეძლეოდათ სულთანისაგან. ქარ-  
თველებიც ერივნენ მათში. რკალის  
გრკალი იწურებოდა. ეხუთებოდა ბი-  
ზანტიას თანისთან სუნთქვა.

27

ქართველებმა აღარ იცოდნენ, რა  
ამბავი ტრიალებდა კონსტანტინეს  
კარს. ზღაპრად ესმოდათ: ოსწალთ  
სულთანმა მთელი ჯარი დაახვია  
კონსტანტინობოლს. აღონებდა ესეთა  
თქმა მეფე გიორგის. მაინც დიდ რამ  
საფრთხეს არ მოელოდნენ: ბიზანტი-  
ის დაცემას და დამონებას ვერა ფიქ-  
რობდნენ.

— შემოქმედი არ ინებებს, არ და-  
არღვევს ერთს-ღა ფუძეს მართლმორ-  
წმუნეთა.

— მართალსა ბრძანებ: წმიდა სო-  
ფიოს ტაძარი აგებულა ღვთისა ნე-  
ბით უძრავ კლდეზედა: ვერ შემუს-  
როს იგი ვერცა ძალთა ჯოჯოხეთისა-  
თა!

თქმულებაც დადიოდა: წმიდა სო-  
ფიო და ბიზანტია ურყეველად იდგე-  
ბიან ღრთთ სასრულამდინ; მანამდი-  
სინ გაერცელდება ქრისტეს სჯული  
მთელ ქვეყანაზე, შეიქმნება კაცობ-  
რიობა ერთ სამწყსოდ მხოლოდ ჯვარ-  
ცმულის ღვთისა და ქვეყანაზე მის ამ-  
სახველ კეისარისა. ისიც იყო ნათქვა-  
მა: იმ დიდებულ კეისარის სახელიც  
კონსტანტინე იქნებო, როგორც ამ  
სამეფოთა ქალაქის პირველ დამაარსე-  
ბელისა.

— მაშინ მშვიდობა დამყარდება  
მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის  
სათნოება მზეებრ ბრწყინვალე. იქმ-  
ნას კურთხეულ მისი მეუღლეც დედა-  
თა შორის!

სწამლათ ეს თქმები საქართველო-  
შიც, ამზადებდნენ ქალს საქორწინოდ.

— განა ღირსშესანიშნავი არ არის,  
ქალო, ჩვენი ქალისთვის ეღწევენ  
უწოდებიათ?

— იქნებ შემთხვევით არ აირჩიეს და  
შთააგონა სულმან წმიდამ სახელწო-  
დება.

— ეინ მიხვდება განგებას ღვთი-  
სას?!

საკვირველი მზითვეი მზადდებოდა:  
ძალიან ცოტა, მეტად ძვირფასი, ვერ-  
ცხლეული მხოლოდ ისეთი, ხმარებაში  
რაც არ ჰქონდათ ბიზანტიელებს. კუ-  
ლა, ჯიხვები, ჩოლრათოები, დოქრ,  
ბაღია, აზარფეშა ქართული ნახჩის.  
საქორწინო ტანსაცმელი: კოპ-სარა-  
ღუჯი, კაბა, ქათბი, ოქროს ქოშები.  
ქალის ყველა სამოსელი და სამკაული.  
ცოტა ადგილი ექირა, ხაზინად ღირდა.  
შუუკერეს მოძღვნილი ფარჩაც. ლა-  
ლით სავსე ტაგრუცი გახსნეს.

— კაბის მოსართავი მასალა კი არა,  
მთელი ქონება არის.

— კეისრის სასახლეში ხეავებად  
აგროვიან თვალ-მარგალიტი.

დამოსურეს კაბა. შეურჩიეს სარტ-  
ყელი თუ გულისპირი, თავსაკრავები.  
შეაყარეს ლალი, შეამკეს. მათ მოგ-  
ზანეილ ტანისამოსს ბევრიოთა სჯობდა.

— მათებური ტანსაცმელი მეც არ  
მეჩემა: ქლს კისკასად მოძრაობის  
უნარს ართმევდა.

რომ შეეკრეს და მორთეს ქალი,  
მთლად ჩახატა ახალ-ნორჩი, ყვაილს  
ამგზავს: ვარდის ფურცლად გადღე-  
ნა სიამის ღელვა, ყირმიზობა შეუფე-  
რა ლალების ლაქლას.

— საღედოფლო მორთულობა ფას-  
დაუღებო!

— შეუღარი ტალავარი მეფის მე-  
უღლის!

— მოეწონება ჩვენებური ჩაცმა-  
დაბურვა?

— ვერაფერს წუნს ვერ დასდებენ  
ჩვენს დედოფალ ქალს!

— მიუვათ სძალი გულკეთილი იმ ზედნიერებს!

— აქ რომ სჩევია გაპირებულთ ზელის აპრობა, იქაც ყველა შეიწრებულს დაეხმარება!

— კეისარიც მოყვარული კაცი არისო.

— უნაკლულო რაინდიო ბრძოლის ტრფიალი.

— ხალხიც უყვარსო. მეგობრად ჰყავს ჯარისკაცები.

— პირად თითონ ასწავლიყო სამხედრო გარჯას.

— თურმე სადილობს იმათთანვე, მათებურს იცვამს; უცხო თვალი ვერ გააჩრევს სხეებისაგანო.

კონსტანტინე, ელინები, საქართველოს დამოყვრება ბიზანტიასთან... სასაუბრო სხვა არ იყო ბატონ მეფის კარს. რაზედაც უნდა ჩამოეგდოთ მათ ლაპარაკი, მაინც ბოლოს ვადიტანდნენ ამ სათქმელებზე. იყვნენ ისეთნიც, ეჭვით, შიშით რომ უმზერდნენ ბერძენთ მომავალს.

— თუ დასძლია ოსმალეთმა იმპერატორი, დასცა მისი საბრძანებელი, მაშინ ჩვენსკენ მოაბრუნებს იგი თვის მახვილს.

— ჰკვას ახლოს არის: მთელს აზიაში ერთადერთი ქრისტიანე სახელმწიფო საქართველოა და მოკავშირე ესეც მათ მტრისა, მისი მოყვარე. არ შეიძენს ხონთქარი ჩვენს ჯავრს.

— მანამ თათარი საბერძნეთთან ომს აწარმოებს, უნებლიეთ დაგვტოვებს წყნარად.

— თუ გაგრძელდა ომიანობა, ურო გვექმნება, შევემზადოთ მტრის დასახვედრად.

— ოსმალო მაინც კარგის თვალით როდი გვიმზერის. ცდილობს ჩვენს

ენებას; ხმარობს ყოველ ხერხს, რომ გვაზიანოს.

— მისი ბრალია ყოველდღიური საქართველოში.

— იბზარება საქართველო მათის გავლენით, დაშლისკენ მიდის.

— არ ზოგს არაფერს, ოღონდ შუღლი გაამრავლოს, დააენინოს ერთმეფობა საქართველოში.

— არ მოიშლის არასოდეს სამტრო ქმედობას, ეცდება მთლად შეისრულოს გულის წაღილი. მათი მცნებაა: ჩვენი სჯული ყველას უნდა მივაღებინოთ; მაჰმადის ძალი ოსმალეზად გარდაქმნის სხვათაც.

— დიდი ხანია, მათი გეგმები თარეშობენ ჩვენს ნაპირებში. აობრებენ ქალაქებს, სოფლებს; ტყვედ მოუღიბო ჩვენი ხალხი დაურიღებლად.

— შეკრა ახლაც ზღვის კიდეები. აღარ ეიცით, რა ამბავი დატრიალდა ბიზანტიაში.

— იქნებ კიდეც დაიწყო ბრძოლა.

— ოსმალეთის გამარჯვება თავს დაგვატეხს უბედურებას: მთლად ვეღურია. მათი ლხენა სისხლის ღვრა არის, ვალალება — მათი სიმღერა.

— როდესაც დაბრძანდება ჩვენი ქალი ბიზანტიის ტახტზე და საქართველო მათთან მჭიდროდ შეკავშირდება, კეისარმა იქნებ შესძლოს და შეზღუდოს თათართ მძლავრობა.

ბიზანტიის დედოფალს ეს ფიქრები არ აწუხებდნენ. ჯერეთ ისევე ახალნორჩი, გამოუცდელი. სახელმწიფოს ცხოვრების გზა მას არ ესმოდა. არცა ცდილობდა ამ რთულ საქმეს ჩაჰკვირებოდა. ეს საზრუნავი მეფესა და იმის ბჭეებს ეკითხებოდათ. ალბათ, შესძლებდნენ, აზრიანად ვაუძღვებოდნენ.

საკუთარი საფიქრელიც ქალს ბევრი ჰქონდა. გალიაკში ჩაეკტილიყო. გავშალნა უცნობ-უნახავი ვაჟიკის ხატი. დაკვირვებით სინჯავდა სურათს. ეინებულ მხერას სულდგმულ ექმნა რაინდის სახე. ნახატ აჩრდილის ნივთიერი განსახება გაცოცხლებული.

მკვიდრად ნაშენი ვაჟიკი, თითქმის მომადლო. პოროლის ტარზე დაყრდნობილიყო. შუბის წვერი დასწლო-მოდა გუშბათიან მუზარადის ახეულ ფრთებსა. მარჯვენაზე წაყვარნა ჯაჟვის თათმანი. ძარღვიანი ხელი ჩანდა ძალის მაჩვენ. თითზე ბეჭედი. გაალიმა მის ფერხთსაცმელმა: წითელ წულეზე ჯაჟვის წალა წაგრძელუბული.

— ამგვარი ჩექმა უზანგოში მაგრა ჯდებაო, ფეხშიც ძნელად დასჭრიან მხედარს! — ამბობდნენ იმ დღეს.

ჯაჟვ-ჯაჟვანზე ორბი ორთავი. მოსწონდა ქალსა. მხოლოდ ჯავრობდა: გმირის წინაშე უნებლიეთ მოყრძალეზას რასამე გრძნობდა.

— დიდი ხელმწიფე. ბიზანტიის იმპერატორი. კეთილი კი სჩანს, ლმობიერი! — იტყოდა ქალი.

და ცდილობდა გახსენებას რაღაცა ხახის.

— ძლიერა ჰგავს ვიღაცა ნაცნობს. ახ, ღმერთო ჩემო! სადღაც მინახავს.... მართლა, მართლა! სწორედ არ არის?

— ვინ არის ქალო?! — გაკვირვებით ჰკითხა გამდელმა.

— მიხეილსა ჰგავს, კანკელის კარზე რომ მხატია, მთავარანგელოზს, — მიუგო ქალმა.

და გაეცინა: უცნაურად მოეჩვენა, რომ მისი საქმრო ედრებოდა დიდ წინამძღვარს ზეციერთა მებრძოლთა ძალთა. მიუალერსა:

— ჩემდა მფარველ ანგელოზად აღმოჩენილხარ, ვინც შენთვის ცისფერ თვალეში. ექსპლანდირება და შემოყვარებ. შენ ტრფობისგან უარქმნილი ვერ გასძლებს გული.

ქალის გრძნობათა შესაკრებელს ის ნაკლი აჩნდა, რომ პირისპირ არ იცნობდნენ ერთიმეორეს. ცხოველ გრძნობას არ გაემა მათ შორის ქსელი. ეს კავშირი შემკულ იყო ყოველ კეთილათ. აქ მხატვრობდნენ დიდი დიდება, ზღვა სიმდიდრე, მასაკთა ძალა, რომ შემოსათ ბედნიერნი სიამეთა ნათელ სამოსით. მაგრამ ამ კავშირს ჯერ არ ედგა სული ცხოველი: მათ მიჯნურობას სამშენიველი ცხოვრებისა არ შთაჰბეროდა.

— მოგვივა იგიც, შექმფენი ტრფობა, მოგვეფინება! შემოყვარებს იგი რჩეული, მე კიდეც მიყვარს. ხანჩანსე ვგრძნობ, თითქოს კიდეც შეემა ბობივართ ერთმანეთსაო, — იტყოდა ქალი.

და ნატრობდა, ესწრაფა დროსა, რომ პირისპირ შეჰხედროდნენ ერთიმეორეს. მაგრამ ზოგს წამს მაინც ეკვობდა:

— ვაჰ, თუ ცუდ თვალზე დამინახოს, არ გაეხსნას გული საჩემოდ. ღმერთმან კი ნუ ქმნას! შევევედრები ღვთისმშობელ დედას, კეთილ თვალთ მოახედოს და შემეწყვაროს: ჩემდამი ტრფობა ჩაუნერგოს დიდებულ რაინდს, — იტყოდა ქალი.

და ლოცულობდა მუხლმოდრეკით ხატის წინაშე, ევედრებოდა, შეესმინა მისი გულისთქმა; ეკლესიის ამენებას აღუთქვამდა ძვირფას თბილისში.

გაირთო ქალი საგონებელმა. საქმროს აჩრდილი ფიქრთ არეში თანისთანად უნათლებოდა. ნივთიერად იქმ

ნებოდა, ხორცს შეისხამდა. დანიშნული ეტყოდა ქმრის ლანდს:

— კეთილად იპყარ ქვეყნიერება, სიკეთე სთესე შენს ქვეყანაში; მით მოიმიკი ერის სიყვარულს, მოჰფენ სიამეს. ვიქმნები შენს გვერდს, ეცდები მეც, შეგეშველო კარგთ შრავლებაში: ნათულქმედობას სიყვარული შემადლებინებ. შეიყვარა სახე შენი საწყალმა გულმა, ქვეყანაც შენი!

— რად მეტყვი, ტურფავ: შენი ქვეყანა? ესე მითხარი: სამეთო ჩვენი ნურც იმას მეტყვი, ჩემმა გულმა შეგიყვარაო, ესე მეტყოდე: შეიყვარეს ჩვენ გულთ ერთურთი!

— ჰო, ძვირფასო?! ვეტრფით ერთმანეთს; გვიყვარს ჩვენი სახელმწიფო, თავს დავსდებთ მისთვის!

— ეგრე, ჩემო მახლობელო, ჯერ შორეულო!

მიჰპართა სურათს:

— აწ კი მიბრძანდი, ჩემო კარგო, და დაისვენე!

შეახვია სათუთად სახე, ტაგრუცში ჩადო, სადაც ჰქონდა მას დაკრძალული თამბალათი საუფლისწულო.

— დროა ეტრატი ამოვიღო, საწერ-კალამი: მოვა ოსტატი.

ონოფრე ბერი სასახლეში ისევ ვიდოდა, ქალს ასწავლიდა. საზრუნველმა ნირი იცვალა: მეტი ძალა მიიტანა ბერძნულ ენაზე. მის მოწაფეს ელინური წერა-კითხვა უკვე შეეძლო, მარტივ თქმებსაც შიგადაშიგ მოახერხებდა; თავის მოძღვარს ელინურად აძლევდა პასუხს.

ერთი ახალი შენიშნა ბერმა: ქალს ხანდისხან გულის ყური ეკარგებოდა, მიტაცებულ მხედველობით რასმე შეჰმზერდა, საუბარი აღარ ესმოდა. გრძნობდა ჰევიანი—ქალიშვილის სულისკვეთებას, მეტად სათუთად ეპყრობოდა ამგვარ წუთებში. საუბრის

საგანს შეუმჩნევლად ასხეფებოდა. საბერძნეთში გადიტანდა ფრანგულ-ქმელებს, თავის მოწაფის უტრამდელებას იქ შეჰხვდებოდა. საბერძნეთის ისტორია ძველი, ახალი; ელინთა სიბრძნე, პოეზია თუ მსახიობა. ქალი მყისვე ფხიზლდებოდა, აზრს აპყევბოდა; ნაამბობი მისი გონების კაბადონზე აიჭდებოდა. გაეცნო ქალი საბერძნეთის უკვდავ ქმედობს აზრთა არეში.

მხოლოდ ის იყო დაბრკოლება: მათი გაცნობა მათ ენაზე ქალს ჯერ ვერ ეძლო. ესე ეშველა: საუკეთესო ოსტა ადგილთ თითონ სთარგმნიდა, ლექსად აწყობდა, შესასწავლად იმას აწვდიდა.

მეფე ხანხან დაჰხედავდა ქალის სწავლებას. დაბრძანდებოდა, ყურს უგდებდა, კრიალოსანს შეეჭკეოდა. ის უკვირდა: მისი ქალი მოწინებით ეპყრობოდა თავის ოსტატსა: უზარებლად ასრულებდა მის დავალებას, მოკრძალებით ეტყოდა სიტყვას.

— გიქებ, ბერო, მოძღვრობის აღლოს. დიდს უნარს იჩენ. სხვის სწავლება, გეტყობა შენ, არ გემძიმება.

— არ არის ძნელი, დიღო მეფევ, ნიკით ცხებულს თუ შეჰხვდება მასწავლებელი. და დედოფალი ბიზანტიისა...

— მაშ უკვე მზად ხარ, საბერძნეთშიც გაპყვე მოძღვრად ამ შენს ზოწაფეს?

— უცილებლად, ბატონო მეფევი!

— მივსწერ ჩემს სიძეს, მღვდლად მიგიღოს თვის სასახლეში.

— ნუ მივიღებ ჩემგან, მეფევი, მაგ დიდ წყალობას!

და ეთაყვანა მეფეს ბერი კარგ ბრძანებისთვის. სწავლების ფაჰს ქალს გვერდთ ახლდა მისი გამდელი. წარსულვა იგი და მოახსენა:



— მსურს ვეახლო ჩემს დედოფალს ბიზანტიაში! ნუ დამაშორებ, ძეწალობელო, მეც ჩემსა აზრდილს.

— კეთილი სიტყვა ძვირფასი გულის! მაგრამ... თავი ახალგაზრდა ნულარ გგონია. მეტად ძნელი შეიქმნება მგზავრობა შენთვის, იქაც გაძლება, უცხოთა შორის. შენი აღზრდილი ხშირად გენახავს და გაგვაზარებს. შენც შენებური სიხარულით მასთან იხარებ.

## 31

აღდგომა ახლოვდებოდა. ახლა კალაში ამზადდებდნენ მეფის სასახლეს: პრეცხდნენ, სწაენდავდნენ, ჰხებდნენ, ბერტყავდნენ. ჩქრიად—თქრიალი. მეშახელი გამრავლებული: კალატონი, თოქძაჩები, ზეინკლები; მსახურნი თუ მოახლეები, სასახლის ბაღს ჰფოცხდნენ, ჰბარავდნენ. ყვავილთათვის კვლებსა ჰქსელავდნენ. ფოთოლ-ჩინჩხვარს მტკვარს აძლევდნენ, ბაღის ბურჯებს რომ უდიოდა. სასახლის წინ დიდ სალაყბოს ასუფთაებდნენ. ერთგულობდა პალატთა გამგე, სახლთუხუცესს თავს აწონებდა.

ხელმწიფის ჩვეულება იყო, აღდგომას ამ სასახლეში შექმნებდებოდა. თიბათვემდინ აქა რჩებოდა. მერმე უკვე წავიდოდა საგრილობელად. ბრწყინვალე დღესასწაულს იმისთვის გადიხდიდა აქ, რომ სასახლის ეზო და სალაყბო თავისუფლად დაიტევდა მრავალ მიმლოცველს.

ეს სასახლე სჯობდა მაინც გაზაფხულისათვის. ისნის ხიდიდან ანჩხატამდინ ბაღი გასდევდა. მდინარის მხარე უფშხენელ კედლით თუ ბურჯებით გამტკიცებულ. ჩასდევდა კედელს ლაბიერი ბაღის სივრცეზე. ხილთ რჩეულობა. ყვავილთ სიმრავლე. შესაძლო იყო მდინარის პირს ჩასეირნება: კიბე ჩასდევდა გვირაბამდინ, კარის წმიდა გიორგიდან მდინარემდინ

რომ გაეყვანათ. ჩახვიდოდი, სასმისს რასმე აავეხბდი, ქონარჩხენს ვადუსეამდი მოცეკვაჭ ქველუმს.

ახალი, გაზაფხული იდგა. აჩენილიყვენნ ტურფა ყვავილთ მახარობლად ენძელა, ია. ხეხილთ, ყვავილთ დატენილი ბუტკოები გასალიმად ემზადებოდნენ.

— დიდებულე ამინდები სდგას. დაქშვენდება სააღდგომოდ ბაღი ყვავილით.

— რაღა დაუშლის?! მიწა უხვად გაქლენთილი, კარგი დღეები.

— კიდეე მარტია: შეიძლება შეანანოს ყვავილთ ჩქარობა.

დანიშნული ქალისთვის მოაწყვეს ბინა. ორხოებით მოფენილი გალიაკები, დიდებულნი მოვიდნენ ბიზანტიელთ დედოფლის ნახვად, მოსაკითხად, მოსალოცად ბრწყინვალე ბედის. უამრავი მომლოცავი უნდა მიეღოთ.

— სჯობია, ახლაც შეეჩვიოს დიდებულთ ხლებას, მათთან საუბარს, რომ იქ თვალი აღარ მოსჭრას მას თავდახრილ ბანოვანთა დიდმა სიმრავლემ—იტყოდა მეფე.

— საარაკო ბედნიერი ბედი ეწვია. ვინ იფიჭებდა?! ოლონდაც რომ ჰხამს მომზადება ზემადლებულ თვისი ყოფის შესაფერისად,—იტყოდა დედოფალი ნესტან.

და შურის ბეკრა გაისმოდა ამგვარ მის თქმაში. მეფისა და მისი ოჯახის გადასვლა ახალ ბინაზე არ მომხდარა გამოჩვენებით: დიდმარხვა იდგა, გაისმოდა მგლოვიარე ზართა ზახილი; დრო არ უწერდა არავითარ მზიარულებას, წირვა-ლოცვა კარის საყდარში. ხშირად თითონ პატრიარქი იმოსებოდა. ემზადებოდნენ ზიარებად მეფე ბატონი, მისი ოჯახი, უკლებელი და ოხინჯო ლეთისმსახურება. ჩვეული ხმები კაეშნიან საგალობლებს დაპლიინებდნენ. ბეკრადარკვევით კითხვა თუ

თქმა კვერექებისა. გუნდრუკის სუნი შოალეოაჲ, დამატეოაელი.

ამ საყდარში ძარტოოდენ ემზადებოდნენ. საიდუმლოს თვით სიონში მიუპყრობდა კათალიკოზი.

ბიზანტიის დედოფალმა აღსარება თავის მოძღვარს უთხრა. განდობის წინ ოდნავ კრთებოდა. ცოდვა რაიმ სათაკილო არ მიუძლოდა. მხოლოდ ეს იყო: მის გულს ხანხან დაძებრაჲდა ზვიადობის ფიცხელი სიო. ეძნელებოდა კდემამოსილს მისი მოთხრობა თუნდ ქრისტესათვის.

32

ისე გაიარა დიდმარხვამ, არავითარი სწორე ცნობა არ მოსულა ბიზანტიიდან. არც ის იცოდნენ, სულ ბოლოს დროს გაგზავნილი მეომრები მივიდნენ ადგილს, თუ ხიფათი რამ შეემთხვათ შორეულ გზაზე. მეფე მაინც ასრულებდა თავისსა აღთქმას: მზადა ჰყვანდა გასაგზავნად ახალი რაზმი.

ეს ჯგუფი თითქოს სულ ქართველებისაგან იყო შემდგარი. სასყიდლის გარდა ხმლის ქაბუკებს ის ამხნეებდა, რომ მიაჩნდათ სასახელოდ ბიზანტიის დასაცავად შტრის შემართება. იზიდავდა კეისარის კარგი სახელიც.

— თვით პირად იბრძეის; მებრძოლია თვის ლაშქარში საუკეთესო.

— ეგეც არ იყოს, მეფის სიძეა: ვალად გვაძევს, მოვეხმაროთ ახალ მოყვარეს.

— ვინც გადარჩება, დიდ საჩუქარს მიიღებს ის კეისრისაგან.

— აქ კვლავ მეფისაგან.

— ვაჟაკობის კარგ სახელსაც დამსახურებს.

— და ეგ ყველას ემჯობ-ნება.

გავიდა ხანი. ბუნდოვანი გაჩნდა ცნობა უსიამოვნო: ბოლოს გაგზავნილი გუნდი დაღუპულიყო ოსმალთა ხელით. გვიან გაეგოთ ელინებსაც ძნე-

ლი ამბავი. ხანსაც გაეცლო, მანამ შესძლებდნენ სანდო კაცის გამოგზავნას საამბობელად. კონსტანტინეპოლ კითხვას სწერდა, ორიოდ თქმით ახსენებდა თავის ძნელ ყოფას. იმედს მაინც არ ჰკარგავდა: შევიძლებო შტრის გამკლავებას. დანიშნულთან ცალკე უსტარი. ხომალდები ამ ზღუხულსვე მოგივლენო ჩამოსაყვანად, დანარჩენი პირად უამბეს.

ბიზანტიელს ოსმალები გაპხასებოდნენ. კატარღებით აევსოთ ზღვა, ზღვის ყურეები. მალე იყო სალოდნელი ქალაქის მოცვა, ბრძოლის დაწყება. განულო კიდეც დრომ. არ მოვიდა არრა ამბავი. მოყმეების გასაგზავნად მიჰმართეს სხვა ხერხს, დასავლეთელ მოხერხებამ იჩინა თავი.

— არც თუ ეგრე ძნელი არის ბიზანტიის გზა, შეუძლებელი. შოვახერხებთ, შევძლებთ გადასვლას.

— როგორ?

— განუწყვეტლად კავშირი გვაქვს ზღვისპირ სოფლებთან: საეაქრო ევაქეს. სამუშაოდ დავიარებით: ახლაც წავალთ ცორ-ცორანი მცირე ნაევებით. სოფლიდ ნ სოფელს, ნავთისა ყუდიდან ნავთსადგურზედ და მივალწვეთ დანიშნულ ადგილს.

მეფეს შეუძლებლად მიაჩნდა ესეთი გზით რაიმ საგრძნობელი ძალის მიშველება, მაინც ნება დართო, სასყიდელიც გაუორკეცა.

— ჩემი სიძისთვის ცოტა მბრძოლიც ბევრს უდრის ახლა.

— მართალსა ბრძანებ, ბატონო მეფე: გამძაფრებულ ხელჩართულ ომში გამბედავი მებრძოლი ჯგუფი მთელ რაზმს ედრება.

— ისიც იცოდეს კეისარმა, ჩვენი სიტყვა არ გატყდება, დანაპირი არ შეირყევა!—დაასკნა მეფემ

და უხვად მისცა თავდადებულთ ოქრო საგზაო. მეტიც აღუთქვა სახიფათო გაბედვისათვის.

დაძვარა მეფე უკუნმა გრძობაჲ. სასახლეში გათაველდა კმუნეა. აცობეს ქალს მის შესახები. გაკერით მიუთხრეს:

— ზონთქარი და კეისარი პირისპირ სდგანან. შეიძლება ბრძოლა კიდევ დაწყებულია.

განწირულ ბრძოლის საშისროებას ვერ ჩასწვდა ქალი. უფრო მეტი ყურადღება იმას მიაპყრო, რომ ზაფხულში მოვიდოდნენ მის წასაყვანად. ააღუღეა ქალის გული ამ ახალმა თქმამ: თითქო უმძიმსო მოშორება სამშობლო მხარის.

## 33

დიდებულად ჩაიარა აღდგომის დღესასწაულმა. მილოცვები რჩეულთაგან, მთელი ხალხისაგან. ზეიმ-ნადიმი სასახლეში, ფართო ეზოში. მეტადრე მზიარულობდნენ ქალები. ბიზანტიელი საპატარძლო აღტაცებად გარდაქმნიდა იმათ სიხარულს.

ცისკარ—წირვაზე ის კაბა ეცვა, დანიშნულმა, რომ ქსოვილი გამოუგზავნა. საუცხოვო რამ! ყოველივე შეხამებული. ლალითფრქვეული მთელი კაბა და მორთულობა. შემღერებულ კაბის კალთიდან წულა-ქოში წითლად თქვილი, ტოლნი, სწორნი გარს ევლებოდნენ. გულუბრყვილოდ მიიღებდა ქება-დიდებას. ყოველ-სიკეთეს აღუთქვამდა მოსიყვარულე.

დიდი პატივი სცა შემოსილმა კათალიკოსმა. მეფე-დალოფალს რომ მოულოცა და მიჰმართა მზიარული თქმით, მზეხათუთას მიუბრუნდა, ესე მიუთხრა:

— ჩემო ქალო საყვარელო! სიხარულით მოგილოცავ ამ ბრწყინვალე დღეს! დღის განაება გიწვევს დედოფლად საქრისტიანოს უმთავრეს ბურჯის. გმართებს ბერი დაფიქრება. დიდი სიფრთხილე, რომ დაიცვა ღირსე-

ულად შენი დიდება. <sup>ვიცნობ შენს</sup> კარგ სულს: გაგვახარებ ნათელ კმუნობით, ასახელებ შენს სიბრძნეულს, მთელ ქართველობას!

ჯვარი დასახა, ეამბორა, მოულოცა წითელი კვერცი. ხელმწიფის კარს დიდი ზეიმი. აღუყვებული წალოტი სუნნელს უქმევდა, სინარულით ასახე მტკვარი სუფრულს ეტყოდა. ბრწყინვალე მზე დაჰლიმოდა თბილი ღიმილით. სრული სიკეთე!

— თუ არ არის ქვეყანაზე სიხარული საეცებით საესე.

— რას ამბობ, კაცო?

— დახე ჩვენს მეფეს: ეღრუბლება ხანდ-სხან სახე, ღრმადებთან შუბლის ღარები. ქუფრი აჩრდილი თუ დაჰფრენენ მის ახრთა არეს.

— ბედისაგან ამორჩეულს რაღა აღონებს?

— ალბათ შეგნება, რომ სიკეთე ქვეყნიური არ არს ხანგრძლივი და მოსდევს ნათელს განუყრელად ბნელის აჩრდილი.

— გმოცილია ჩვენი მეფე ბედშიაც და უბედობაშიაც. იმას თუ ჰხედავს გონების თვალწინ, რომ ძნელი დღე უახლოვდება ახალ მოყვარეს და მასთან ერთად მთელ სიმტკიცეს სარწმუნოების.

— შენა გგონია საფრთხე ელის ბიზანტიელსა?

— ვსცნობ უძლეე ძალას ზონთქარისას. თვით მაჰმადის მძლავრობისაც დიდად მეშინის: რაკი მიზანში ამოიღო მან ბიზანტია, არ მოეშვება, სანამდისინ არ ისრულებს თვის გულისწადილს.

სულ არა ჰქონდა ქალს ამის დარდი: მას მიაჩნდა ბიზანტია ურყევე სიმტკიცე, ბუმბერაზად აჰსახოდა თვით კონსტანტინე. ესე დაესვენა:

— ბრძოლა უფრო მეტს დიდებას შესძენს კეისარს, გაახიფონებს შარავანდელს მის ბრწყინვალეობის. წარ-

სდგეს ჩემთან ტრაპეზის წინ, ვით ბრძოლის ღმერთი.

სალოდნელი კარგი ბედი უნებლიეთ აღიძებდა ჯერეთ უწრთობსა.

34

უთვლელი მტერი დასხმოდა თავს კონსტანტინოპოლს. გაწრთენილი ჯარი. ბევრეული ბრბო ველურების. საშინლობა ბიზანტიის მიდამოებში. საზარელი სპობით სპობდნენ ყოველ სიცოცხლეს.

აპრილში იწყო თვით ქალაქის გარემოდგომა. დადგა ეამი დიდ განსაცდელის. ქრისტიანთა მტკიცე ზურჯი სწრაფად უნდა შეენგრია უსწორო ბრძოლას. მაგრამ... ბუმბერაში ბიზანტია მძლავრად შეიძრა: უჩვენა ყველას, რომ ჯერ მთლად არ დაჰშრეტოდა უნარი ომის. რაინდი მეფე კონსტანტინე მხნედ დაჰხვდა მტერსა.

რიცხვით მცირე თვისი ჯარი გაანაწილა:

თვით კეისარმა დაიჭირა კარი რომანოზისა. მარჯვნივ მას ედგა განთქმული გმირი ოიანე ჯუსტინიანი სამასი კაციო. მარცხენა მხარს უმაგრებდა ფრანცესკო დე-ტოლედო თვისი მემრებით. ზურგს უმაგრებდნენ მებრძოლი სევასტ ბერძენთა ჯგუფით და ბაკურ-ჰაბუვი ქართველთა რაზმით. აღრიანოპოლის კარს იცავდნენ ძმანი პაოლო და ანტონიო ტროილები. ეგრიკანის კარი ეჭირა თევდორე კარისტელს, რომელს გვერდს ჰყავდა ბერძენთა გარდა ასიოდე გერმანელი. შემდეგ იდგნენ რაინდები: ისიდორე, რომელს ახლდა რამდენიმე ასი სლავი, სერბი, ბულგარი; იერემია შინატესი; ძმები იერემია და ლეონტი ლონგოსკოები იტალიელთა ჯარით. კერკოპორტის კარი ეჭირა სარდალ კორაკსოს. ნავთსადგურს იცაუდა ამირბარი ლუკა ნოტარი, რომელს გვერდს ედგა

თავის რაზმით ბატონიშვილი ურხანე. აკროპოლისს იცავდა გაბრიელ ტრავიზონი ოთხას ძვირძირეული მარცხენი კარები ეჭირა რაინდ კონსტანტინოს. სულამბრისი კარებთან იდგა გენუელი კატანიო. მებრძოლ ჯარების დასხმარედ იდგა ესპანელი ელჩი პედრო ჯულიანე, რომელს ახლდნენ კატალონელი. ქალაქში წესის დაცვა ებარა აღარნო ტუარნოს, რომლის განკარგულებაში იყო შვიდასი კაცი.

კონსტანტინეს ჰყავდა სულ ათიათასამდინ მებრძოლი; ბერძენი იყო მართოდენ ექვსი ათასი.

ოსმალთა ლაშქარს შეადგენდა: სამასი ათ:სი ხმელზე მებრძოლი, ოთხას ოცი ხომალდი მეზღვაურებით საესე; იანიჩართა ჯარი სხვა იყო.

ქალაქი დაცული იყო წყვილი კედლით და წყალით საესე დიდი არხებით. ბოსფორის ყურე დაკეტილი მაგარ ჯინჯილით. მაინც ზღვის მხარე უფრო სუსტობდა. ლათინთაც ხომ აქათ მზრიდან დასცეს ქალაქი ჯვაროსნობის ეამს.

ბრძოლა დაიწყო აპრილის პირველ რიცხვებში. მცირე იერიშებს აღვილად იგერებდნენ მცველნი. ოსმალთათვის უნაყოფოდ მიიწურა აგერ მათი. ბრძანა ხონთქარმა ძალთა გაშლა, მკაცრი თავდასხმა. ოსმალები იერიშზე ორგზის გადვიდნენ, და ორჯერვე დიდ ზარალით უკუეჭენ სირცხვილელნი.

სცადა ხონთქარმა, კონსტანტინეს თავის ნებით გაეღო კარი. ხელსაყრელი პირობები შეაპატივა. არ უსშინა კეისარმა, ხმაც კი არ გასცა.

რისხვით აღსავსემ მთელს ჯარს უბრძანა გაეკრაპებულს თავს დასტეხოდა: მიმსვლელ ლაშქართ უკან იდგა მოძრავი ჯარი: უკუეჭულთ ჰხოდდა უწყალოდ. მზე ამოშუქდა. იწყეს ოსმალთ საბოლოოდ ქალაქზე მისვლა. საიმედო იყო მტრისათვის ეს თავდა-

ტხა: ჯაკვი ვერ გასჭრეს, მაგრამ ღამით ხომალდები მშრალით წაიღეს, ჯაკვის იქით ჩაყარეს ზღვაში, შემოარტყეს ქალაქის კედელს.

მებრძოლთ ყიჟინა არყევდა ჰაერს. უდიდესი ზარბაზნები მეხებრივ სკექდნენ. რამდენჯერმე უკუპრიდა ხონტქრის ლაშქარმა, მაგრამ მყისვე განახლა თვისი თავდასხმა. მკედართა ზვინები ქალაქ გარშემო.

სულთნის რისხვამ გარდაჰლაბა ყოველი ზღვარი. წვერთ მოიზიდა აცეხლებულმა, პირად მცველებს შეუზახა ომში გადასვლა.

მიაწყდა ქალაქს ჯარი უთვლელი. კაცთა ხოცვით მოიღალა მცველი მარჯვენა. ფხა დააცვდა მეომართ ხმალსა. კეისარი თავს არ ზოგავდა. თვალსაჩინოდ იდგა უშიში. გაბრუნდებოდა მტერი ახლაც სირცხვილეული, მაგრამ..

განწირული იყო განგებისაგან მეორე რომი: ჯუსტინიანი მიძმედ დაიჭრა. აირია იმისი რაზმი. ისწრაფიდა ამ მხრისაკენ იანიჩართ ჯარი. მოუძლოდა შესაზარი აკბარ-ახმედი. გვერდს წაუდგა კონსტანტინეს რაინდი ბაკურ. ბრძოლა მედგარი. ნატყორცმა შუბმა შეუღება ქაბუქს ბეგთარი. აკბარის დაშნამ ჩაუყაფა კეისარს სახე. ხმა საზარელი:

— მტერი ქალაქში!

— კეკროპორტი გაულიათ, შემოუშვიათ!

უკუიქცა დამცველთ სიმრავლე. ისწრაფიდნენ ზეკისებურად. მათმა ზვირთმა გაიტაცა იმპერატორი.

## 35.

იქვე დაილუპებოდა ბაკური, თუ ქართველთა ზახილს ქართველ იანიჩართ ყურადღება არ მიეჭკია.

— ქართველთ ბრძოლის ხმა!

— აბა, ბიჭო, ეგებ დავიხსნიო!

წაესწრაფნენ, მივიდნენ, ნახეს. დაჰსეოდა მტერთ სიმრავლე. მტერმა მებრძოლს. გარს შეჭმულს. თვის მოძმეებს, გაინაპირეს; მოაცილეს მძაფრ ბრძოლის ადგილს.

გონს რომ მოვიდა ბაკურ-ქაბუქი, სახლში ნახა თავისთავი წყლულშეხვეული. მის გარშემო ქართული თქმები. გაიფიქრა, სიზმარიყო.

— კაცო, ბაკურო, თვალნი გაახვენ!

— ხმა ამოიღე, თუ ცოცხალვე ხარ გაახსენდა ყოფილი ყველა. ღმერთს მადლობა გადაარჩენისათვის.



ყრულ გაისმა ქართველთ შორის მეხისტების ხმა. ძნელი თქმები შორეულნი ძლიერდებოდნენ; მრავლდებოდა ხმა აღრეული; ქუფარი სიტყვა ირეკებოდა.

— შეიძუსრა ქრისტიანთა ბურჯი ძლიერი!

— დაუპყრიათ ბიზანტია, წმიდა სოფიო!

მიძმე ამბებმა დაალონეს სასახლე მეფის: ქართველთა ერს ბიზანტიის დამონება მწვავედ შეეხო.

— ბიზანტია ჩვენთვის იყო ერთადერთი მისაყრდნობელი; ერთმორწმუნე მოკავშირე მოზღვაებულ საერთო მტრის წინ. ახლა...

— დაეკარგეთ ახლა, შეფეთ-მეფე, მახლობელი თანამბრძოლი, კარგი მოყვარე.

— აღარ არსებობს საქრისტიანო სახელმწიფო აღმოსავლეთში. ერთი-დადარჩა საქართველო უსჯულოთა სირავლისგან გარემოცული.

— გარს არტყიან ჩვენს ქვეყანას მაჰმადიანნი. არსად ინდობენ სხვა სჯულს არავის. ეცდებიან, აქაც დასცენ ქრისტიანობა.

— აქამდინაც ცდილობდნენ მაგას: მათმა ხელმა აგვირია საათაბაგო.

— სანაპირო სხვა ადგილებიც.

— საქართველო დაგვიბზარა მათმა გავლენამ.

— ჭეშმარიტს იტყვი!

— ჩვენი თავი ახლა მხოლოდ ჩვენ გვაბარია. ერთი ათად უნდა ვიქცნეთ და დავიცვათ ერი ჩვენი ბოროტისაგან.

— იქნებ ის სჯობდეს, თავისთავზე ხალხი იყოს მთლად დაყრდნობილი. სხვათა იმედი...

— ვინ დაამყაროს გარეშეზე თვის ძლიერება და არ ინანდეს?!

— ვიცი, შესძლებს ჩვენი ერი თვითარსებობას უსჯულოთა ზღვა სიმრავლეშიც.

— რის იმედი გაქვს?

— რაინდი ხალხი ნიჭიერი; ძნელად ხაზრძოლი მის ქვეყანა სიმდიდრით საესე; ზღვა გვიალერსებს, ფართო გზებს გვიძლევს. სხვა რაღა გვინდა?

— ყოფილა ბევრჯერ საქართველო თვის ანაბარას და უცხოვრნია თავისუფალს სახელოვანად...

— ღვთის განგება მიუწოდმელი მითვია ხმალი ბასრი უსჯულოსათვის... ერთსჯული ჩვენი ბიზანტია დაღუპულია...

— ღმერთივე გვიჩვენებს ჩრდილოთ კერძო დამხმარე ხელს მართლმადიდებელს,—წარსთქვა კათალიკოზმა.

36

მიუთხრეს ჭალს ბიზანტიის დამხობა. სინამდვილე დაწერილებით კი ვერ უაშბეს: თვითც არ იცოდნენ მის შესახებ რამე გარკვევით. ფერი ეცვალა, აკანკალდა შეძრწუნებულნი. იმედი მაინც საბოლოოდ არ განუქარდა: არ იცოდნენ კონსტანტინეს ბედი შემდეგი. ჩანერგილიც ჰქონდა მას რწმენა:

— არ წახდება საბოლოოდ წმიდა ჭლაჭი და კეისარი ღვთივე დადგენილი. თუ დაელია კაცთა ძალა მტერთ და-

საძლევად, ზეშთამბრძოლნი ცეცხლის ხმლებით დაკბუთავენ ბნელეთელ დუმანთ. ნამდვილ ამბის გადმოსტანას ჯერ მოცდა უნდა.

ითმენდა ქალი. უნებლიეთ ითმენდნენ სხვანიც.

ყვარყვარე მეტად გააშწარა ამ ძნელ ამბავმა. ოსმალეთის გამარჯვება მას არა სწყინდა, მაგრამ ბაკური მოპყოლოდა იმ გზნებულ ცეცხლში და მის გაგება რა წაეკიდა, ჯერ ვერ იყო შესაძლებელი.

შოგადაშიგ შფოთავდა მეფე: ვაჰ თუ ხონთქარმა თავის ლაშქარი საქართველოს მოუსიოსო.

— ეს-ლა დარჩა ქრისტიანთა სახელმწიფო მთელ აზიაში. ადვილია ხონთქარისათვის ჩვენიც დამხობა.

ამო იყო მეფის შიში, ნაადრევები: ქართველთათვის არ ეცალა ჯერეთ სულთანსა. მთელი თვისი ყურადღება მიეპყრო მას დასავლეთისკენ. საქრისტიანო სახელმწიფოთ აღტყინება შესაძლო იყო. ძნელი იყო ევროპაში ფეხმოდგმული მძლავრი ოსმალი.

გადარჩენილი ქართველები მოვიდნენ თბილისს და მათ შორის ბაკურ-რაინდი. მის ქრილობას შეპყროდა პირი და შეძლება მისცემოდა დაბრუნებისა. გაფითრებულე. შოგადაშიგ ახველებდა უღონო ხველით. მოხვედრილ ლახვარს გაეპო მყრდი, დაეწყულა შოგნეულობა. ინახულა ქალი ხათუთი და ეთაყვანა. მიოთხრა მას დაწერილებით ბრძოლის ამბავი.

— ... მეორე იერიშიც მოგერებულ იქმნა იმპერატორის მიერ. ოსმალთათვის დიდი ზარალი: გორებად იდგა იმათი მკვდრები; დიდი თხრილები საესეებით იყო ხონთქარის ხალხით. მაგრამ ბრძოლამ მიაყენა ქალაქს ზიანი: მისი კედლები ათგილ-ადგილ შეანგრიეს მძლავრ მანქანებმა, ზარბაზანთ გულამ. მებრძოლთა რიცხვი ჩვენ მხარეზედაც მეტად შემცირდა. გადავიდ

კონსტანტინე შიგნით კედელზე. შეჯდა მეფე და წაბრძანდა წმინდა ტაძარში. ილოცვიდა ტრაპეზის წინ მიწას-გართხმული:

— ღმერთო ძლიერო, დაიფარე უსჯულოთაგან ქალაქი ესე; ნუ უკუაქცევ პირსა შენსა ჩვენგან სრულიად. მაილე მსხვერპლად, მეუფეო, სიციოცნლე ჩემი და დაიცავ ერთი შენი განსაცდელისგან.

— პატრიარქმა აზიარა, დალოცა ჯვარით. მოგვეჩვენა იმედიანად. აღგვაფრთოვანა. იერიშს ახალს ამზადებდა კვალად ოსმალთ.

— ამ თავდასხმასაც უკუუვადებთ! დაეშევა ბრძოლა სასტიკი. ხონთქრის ლაშქარი შემკრთალა მარცხით. დრტვიანეს სიმრავლე, — გვამცნო მეფემა.

და მისი სიტყვა ელვის სისწრაფით მოელო ჩვენს ჯარს.

გატაცებით უსმენდა ქალი. თან შეპყურებდა დაეინებით მის თვალთა იერს, სახის თამაშს აკვირდებოდა: უნდა გავეო, სიმართლეს ხომ არ ჰფარავსო თავის ნათქვამში.

## 37

— თითქო უკვე სრულდებოდა კეისრის სიტყვა: განახლებულ იერიშში უამრავი ჩაიხოცა ოსმალთა ჯარი. მტერს მოზღვაებულს ატყუებოდა ლოდთა ხვაეები, ჩათხეული შიმში მორები, მღულარება გადანქრეული, გახურებული ზოდები რკინის, ტყვია დამდნარი. გახალისდა დამცველთა გული. მათი ხმალი ბანაობდა მტერთ სისხლთ ღვარებში. დადგა წუთი სანატრელი: შეერთა მტერი, უკუიხარა. შედგა ბრძოლა ხმალის ფხაზე და ირყეოდა.

უბედურობა: სასიკვდილოდ დასქრეს გმირი ჯუჯსტინიანი. აირია მისი დასტა და დიშალა. ჩემის რაზმით წავსდგე მის ადგილს. შენიშნა მტერმა ჩვენი მარცხი და თავს დაგვატყდა...

— მერე?

— იმპერატორი? *ერქონულნი*

— აღარ რა მასხრებენ! *მისი* ტყვეები, დაეკარგე გონი, ცნობას რომ მოველსხვის სახლში ვიწეკ, გვიხსნეს თურმე იანიჩარ ქართველთ...

ყვარყვარე გახარებული იყო, რომ შეილი ცოცხალი დაუბრუნდა. თანაც შიშობდა, შეეპყრო იგი ქუფრ წინადგრძნობას. ის არ მოსწონდა, რომ მისმა ვაჟმა ვერ მოიხედა; ყრუ ტყვილებს გრძნობდა ყოველთვის. ვერ უშველა კარის ექიმმაც.

— იმთავითვე რიგიანად ვერ მოუვლიათ: აღრე შეუკრავს პირი ნაჭრევს, წუთხს შიგნითვე უდენია და...

— თუ შეიძლება, ექიმმაზო, იარის გახსნა?

— ეფიქრობ მაგაზე. მეტისმეტად საშიშია: დრო გადასულა. შუბის წვერი, როგორცა სჩანს, ფილტვებს სწვევია.

სასოწარკვეთილებაში იყო ყვარყვარე. ცდილობდა მეფე ნუგეშისცემას: აღუთქვა ცხადად, ათაბაგობას აღბულას შემდეგ შენვე მოგვემო. მაგრამ მიინც სწუხდა ყვარყვარე: მემკვირე მეტად უძლებად ჰყვანდა. მისი სხვა ვაჟი ბაადური როდი იყო შემართებული.

— როცა ხონთქარი დღესა თუ ხვალ საქართველოსკენ თვალს მოაპყრობს, ათაბაგად უნდა იჯდეს კაცი ფხიანი.

— გამოიწრთენება! მანამ კი შენ...

— მე გარდაესულვარ, ჩვენის გვარის განდიდებას ჩემს მემკვიდრეს უწესს განგება. საქართველოს სჯობს ეპიროს თვალი ხონთქრისკენ. ჩემი ვაჟები... თითქოს მოხიბლა, მიიბირა მეფე გიორგიმ.

— რა კეთილს უნდა მოელოდეს ათაბაგი სულთანისაგან?

— სამეფო გვირგვინს!

— სამეფო ტახტს საქართველოსას?!

— მე ვგ არ მითქვამს... საბთაბაგო ცალკე საძეფოდ, თუძცა...

ძნელი არის განგეების გზა განსკერიტოს კაცმა.

— ქართველთა ჰყავს მეფის გვარი ზეცით ნაკურთხი.

— ჰაიჰაი ჰყავთ!

— ჩვენი ხალხი მას ვერ უარჰყოფს.

— ვერ უარჰყოფდა, მანამ ედგა ბიზანტია იმას დარაჯად. ახლა... კარგად გახსოვდეს: ბიზანტიამ დაადგინა ბაგრატიონნი; ძლიერნი იყვნენ, სანამდისინ ჰფარავდა მათ ორბი ორთავი.

— ძნელ საქმეს იტყვი მეტად საფრთხილოს.

— დაუკლვევ მხოლოდ განგების საეალს. ქართველთ მოდგმას უძლოდა სამცხე. ამე მხარეს დაუბრუნდეს კვლავ პირველობა! თვით სამცხელი ხარ: შეიგნებ სულთ ჩემს გულის ტყვილს.

მეფემ გუმანით იცოდა ქვეგამხედველობა ყვარყვარესი, იმას კი ვერ მიმხედარიყო, დიდგოროზი რას ოცნებობდა. ამხსთვის იყო, რომ აღბუღას გარდაცვლის შემდეგ აასრულა სიტყვა მეფური: ათაბაგად აღადგინა ისევე ყვარყვარე. მოახსენეს:

— საშიშია სამეფოსთვის იგი სამცხეში.

— მისი ორნივე ვაენი ჩვენი არიან, არ შეიძლება მათგან ღალატი. თითონ ყვარყვარე... იქნებ შეიგნოს, შეაფასოს ჩვენი სიკეთე.

— თუ არა და... მხცოვანი არის, იქვე ყურთ უკან უღდას სიკედილი.

38

სნა ამბებზაც მოალწიეს კონსტანტინეზე: სკამბოლიდან ქართველები კიდეე ოაბრუნდნენ, იმათ უამბეს:

— ბრძანა სულთანმა: კეისარი კონსტანტინე ახლავ ცოცხალი, ან თუნდ მკვდარი ძებნა, ჩხრეკა, მოკითხულო-

ბა. გაუსინჯი არ გაუშვეს არცერთი კუთხე. ვერსად მოხელეს მძის მძინავე, არვინ იცოდა. ბოლოდისინ ქობულა-ნა მეფეს. დაჭრილიყო ბუმბერაზთან პირად ბრძოლაში. გაეტაცნა ხალხის ტალღას ალაყაფისკენ. ან პოვნა მისი, ან... შეეძახნა ხონთქარ მაჰმადს დიდებულთათვის. კვლავ ძებნა, ძრწოლა. მოჰკიდეს ხელი ალაყაფთან ერთ მოკლულ რაინდს. ჩამოთლილი მთელი სახე, ნაბეგვ-ნაცემი. გააცალკევეს. ვიპოვეთო კეისარი მოკლულთა შორის! ვერ იცნობოდა. ვნახეთ ორბი ფეხსამოსზე ამოჭარგული, მით ვიცანიით. ებრძანა ხონთქარს: მოეჭრათ თავი, ან ძუხუზედან აგებული გაეკიდნათ ბრბოს საჩვენებლად. ხელმწიფურად დაემარხათ მოკლულის გვამი.

— თუ უნდოდა, ხალხს დაეჯერნა, რომ კეისარი ნამდვილ იქმნა ომში მოკლული?

— ხალხი მაინც არ იჯერებდა. პრავლდებოდა სხვადასხვა ხმები: გადარჩაო იმპერატორი. მოასწრესო დასავლეთში მისი გადაყვანა. იქ ხელმწიფენი ჯარს უგროვებენ. მოვა ლაშქრით, უსჯულოებს მთლად ამოფხვრისო.

დაასკენეს მსმენელთ:

— ის ჰხდის საეჭვოდ კეისრის სიკედილს, რომ ცდილა მაჰმად, ხალხს ვერმუნა მისი სიკედილი.

ამ ძნელ ამბავში ქალმა თვისი ყურადღება მას მიაქცია, რომ იმპერატორის მოსპობა საეჭვო შექმნილიყო თვით ხონთქარისათვის. იტყოდა იგი:

— ღმერთი ისე ვერ გასწირავს საქრისტიანოს, რომ მთლად შემუსროს ბურჯი საყრდნობი. დასაჯა ერი ცოდვათა გამო. კვლავ აღადგენს თავის მოსავს დიდ სამფლობელოს.

— შესაძლოა ეგრეც მოხდეს, ჩემო ღამაზო! ოღონდ გაიჩქევეს ეს ამბავი, არ ჩამავდეს შენი ყოფა, სხვა გზა



მოჰნახო, — უბასუხა ქალს მისმა გამდელმა.

— ვერ შეველევი მე მისსა აჩრდილს! თუ დავრწმუნდი მის მოსპობაში, თან გადავყვები. რაღად მინდა მე სიციოცხლე, თუ ჩანავლდა ყოვლი ოცნებაჲ!

— არ შეიძლება შავ ფიქრების ეგრე გაყოლა!

გაირკვევა მცირე ხანში ეგ ამბავი ბუნდით მოცული და ჰნახავ მერმე, სით მიჰმართო შენი ცხოვრება. შემოვტრფიან სხვანიც მრავალნი. იქნებ უფრო ნათელი და მთხარი იყოს მათი სიყვარული.

გაკვირვებით შეანათა თვალნი თვის ამზრდელს; ვის გულისხმობსო, გაიფიქრა მიუხლომელმა...

— ჩემი ბედი იგი იყო. მას ვერ...

— თუ შენი იყო, მაშ განგება გადაარჩენდა და მოვა შენს კარს. თუ დაიღუპა, სხვა ყოფილა შენი ყისმათი. ვერვინ წაუტვა ქვეყანაზე თვით ბედისწერას: შენს სახელზე გაჩენილი თვითონ გეახლოს!

## 39

ბნელმა მოიცვა ქალის სული, მისი არსება.

მოულოდნელად აჩნდა მისთვის ბედი შუქური, აღუთქვა მას ამა სოფლის ყოვლი დიდება, მიეპყრა ნიშიც ზემალელების. მცირედი ეამიც და იქნებოდა რჩეული ბედის. უდიდესი კეისარი მის საქმროდ თქმული, ბიზანტიის სახელმწიფო ფერხთქვეშ გაშლილი. რა უნდოდა თუნდ მეფის ქალს ამაზე მეტი? არაფერი, სულ არაფერი!

მოვიდა ცნობა: საქმროს მეტად მოეწონა ქალის აჩრდილი, ეტრფიალა, უნახავად გამოიჯნურდაო.

რაინდი ქმარი აუსრულებს მას ყველა სურვილს! მახლობელთა სიამოვნე-

ბა, გულკეთილი დახმარება / მთელ ხალხისათვის, ხელის დაუპყრება.

— არც თქვენ ვერცხვებდეთ თუ ვინმემ რა მაწყენინეთ თუნდ ბნელი ნებით: უკეთურობის სამაგიეროდ კეთილი გიზღვებათ!

სჯეროდა ქალსა, ნათელ სურვილთ აღსრულებას ძალე შესძლებდა.

— კიდევ ცოტა თვე და შეუდგებოდა აღსრულებას ჩემ ოცნებათა. კეთილთა ფრქვევა! მით დაეუძმევენებ დიდს კეისარს ტახტს ამაღლებულს. რაინდი მეფე მტერთან მეტრძოლი. დიდს დროს წაართმევს მას იგი ზრუნვა, რომ დაიცვას სახელმწიფო, მტერს გაუშკლავდეს. საღლა ეცლება სასიკეთო მრავალსაზე ქმედობისათვის?

მოაგონდა, როგორ არიგებდა მამა:

— ხონთქარს მეფე ძნელ ყოფაში ჩაუთრევი. ებრძვის უსჯულო საქარისტიანოს. კეისარი შეასრულებს განგებობის ნებას და გაბრწყინდება უფრო მეტად მისი დიდება. დაგვირდება ფრთაასხმული სიყვარული და ფიქრთა ძალა, რომ ნათელ ცალად დაუდგე გვერდს ზეგარდმოცხებულს. შესძლებ შენ ამას და გავეახარებ!

— ალბათ, შემატყო, რომ დამიმძიმდა. მითხრა ღიმილით:

— ნუ გეფიქრება სიყვარული წაიმძღვარე შენს ქმედობაში; ყოველ სიტრძნეს თუ სიკეთეს ის შთაგაგონებს.

უქუპრიდეს მოგონებათა. სისხლიან სინამდვილის ალაღმა ძნელი.

— ახლა... მოკლესო გმირი იგი შემართებელი!.. თუ გაუტლდა ყოველივე ნანატრი ჩემი?! თუ გასწირა ზეციერმა სამწყყესო თვისი?!.. ამბობენ თურმე, გადარჩენა მოახერხაო. უსათუოდ შეინახავდა სახიერი ქრისტეს მხედარსა. ესევე ფიქრობს ჳაბუკი ბაკურ... ახ, დაკრილია ძნელ ბრძოლაში, ჯერ ვერ მრთელდება.

უფრო დაკმუნდა მის ხსენებაზე.

— სულ იმას ცდილობს, განმიქარ-

გოს სევდა გულისა. დაპვიწყებია თვი-  
სი თავი, ჩეხე-ლა ფიქროს.

— რაო, შვილო?

— არაფერი, დედის სწოროს უნებ-  
ლიეთ მაღლა თუ ვსტქვი ჩემი საფიქ-  
რი.

— ვიცი რას ფიქრობს! გაქვს სალო-  
ნები. ბეუტავს იმედოც: რადგან ვერ  
პოვეს, ალბათ განერა.

— მეკდართა შორის აკი პოვესო.

— იმდენს აღარ იზრუნებდნენ, თუ  
კი ეპოვნათ: უბრძანებიათ მცნობები-  
სათვის დადასტურება; გაუკადნიათ  
ვერ საცნობი თავი უსახო; დაუმარ-  
ხიათ ხელმწიფურად ვიდასიკ ტანი;  
მოქარგული ფეხსაცმელი მოუგონიათ.

უამებოდა ქალს ესეთი თქმა: იმე-  
დის შუქი მსერავდა წყვიდადს, თავის  
ხლართებში რომ სწურავდა მის გულს  
დალაზერულს.

## 40

ქალს ნელნელა გაუგრძილდნენ თა-  
ნამგრძობელნი. უცვლელად შერჩნენ  
ჭაბუკი ბაკურ, ონოფრე-ბერი. მხო-  
ლოდ ისინი გულმტკიცობდნენ მის-  
თვის შავ ბედში. მამა ქალისა...

ის მეფე იყო. გულს უესებდა სა-  
დარდელი საქართველოსი. საშიშარი  
განსაცდელი წინ აღმართოდა. მჭრქალ-  
დებოდა მომავალი წყვილიადის წინ ქა-  
ლის შავბედი.

მეგობართ შორის ახლო იდგა ქალის  
გულთან ბაკურ-ჭაბუკი: პირად ენახა  
ის რაინდი საბედისწერო, ვინც უნებ-  
ლიეთ ჩაიხვია ხათუთას სული. ქალს  
შეეძლო ამ ჭაბუკთან საუბარი ნამდ-  
ვილ ნანახზე: ბრძოლის ცეცხლში  
ჰეკრიფა ბაკურს სათქმელი.

და სიამით შეჰხვდებოდა ვაჟკაცის  
ხლებას.

— დედოფალო, ჩემო ლამაზო! ბა-  
ჭური არის. გოგოდრება, მიმიღოსო,  
თუნდ ერთის წამით.

— მოახსენე, გიბრძანებს-თქო; შე-  
მოიყვანე!

მოიამშიდა სახე ნატყველ: გარდფისკვა  
წარბებზე ხელი; ტანთსაცმელსაც თვა-  
ლი მოავლო. შემოვიდა. კაბის კალთა  
დაუკოცა, როგორც ჩვეულოდა.

— დაბრძანდით, ყმაწვილო!

— გმადლობთ!

— როგორ ბრძანდებით?

— თავს კარგად ვგრძნობ, ხელმწი-  
ფვე ჩემო, ოდეს ღირს ვხდები, პირის-  
პირ გნახო. ბევრჯელ ვერ ვებდავ:  
კარს მოსული უკუ-ვბრუნდები.

— ნახვა თქვენი მეც მიაგება: მხო-  
ლოდ თქვენ ერთს შეგიძლიანთ რომ  
მიამბოთ ძნელი ამბავი. იქ ჩამიბნელდა  
გული საწყალი. თქვენც იქ დაღონდით.

— ნუ მეტყვით მაგას! მტერთან  
ბრძოლა წესი არის ვაჟკაცისა. სასა-  
ხელოა მეტად ჩემთვის იმ ომში ყოფ-  
ნა ღირსეული რაინდის გვერდზე.

— პატივსაცემის?

— მოწიწებით მოსახსენების! ორი  
არ იყო მისი ბადალი მთელ მის ლაშ-  
ქარში. დარდი წამომყვა მე იქიდან და  
მაღონები.

— რა ჯავრი ჩაგყვათ?

— ისეთს დროს დამკრეს, ვერ ვა-  
დევენე ბოლომდის თვალი. მხოლოდ ეს  
მახსოვს: ჯიოვანი რომ ჩამოვეშორდა,  
განდრკენ მებრძოლნი; შეეცადნენ სა-  
შიშ ადგილს განშორებოდნენ. შენიშნა  
ეს კეისარმა და წარსთქვა მწარედ:

— ნეტავ გული გამპობოდა, არ  
მენახა ეს სილაჩრე ბიზანტიელთა!..

— თუ ღელავდა ბედკრული მეტად.

— საოლევი იყო: თუ იმ მებრძოლთ  
მცირე ხნობით მხარი მოეცათ, მტრის  
ურდოების უკუგაქცევით და...

კიდევ სთქვეს, ისაუბრეს, გული გა-  
ართეს. ფიქრიანად ჰკითხავდა ქალი,  
აზრიანად ეტყოდა პასუხს: ძლიერ  
აწრთო ჯარეთ ნორჩი ზედიზედ გან-  
ცდამ. უფრო ამოლდა აღრაცებულ  
ვაჟის თვალში, ტურფად შეიშკო.

— რა კარგი არის ბედნიერი იქნებოდა ის დაღუპული... იქნება ძეც შეეყოლიყავ ხეტარების ბუქდ, იმ საბრალოს თუ ჩემი გზა არ გადაეკრა. ახლა... იქნებ ახლაც გამლებოდა ედემის-კარი, თუ დამკლიყო რაიმე ხანი, მოერჩენილიყავ, — გაიფიქრა ვაჟმა.

და სახეზე ჭმუნვა ააჩნდა.

— უტანელად თუ გაწუხებთ ხანხან პრილობა?

— აღარ, კეთილი! მხოლოდ ბევრჯერ მტკივნეულად მიკვნესის გული.

— ექიმი...

— ექიმბაში შეტად ცდილობს. ვგონებ, მომარჩენს.

და თვითონვე დაიჯერა თვისი ნათქვამი: სასიკვდილოდ თავი როდი ემეტებოდა, როს პირდაპირ ედგა სანატრელს. გამოეთხოვა. დაჰკრა თვალი მიმავალს ქალმა. მოხრილიყო გმირი ტანი, მოღვედილიყო. ყრუ რამ ხველა შემოესმა მიმავალისა.

— მსხვერპლი ძნელი ჩემის შავ ბედის. ვინც შეითვისა გულმა ჩემმა, მსწრაფლ დაიღუპა: დედა საწყალი, კეისარი საქმოდ ჩემად განმზადებული, ეს ჰაბუკი ჩემი რაინდი... თუ შევუყვარდო? მესმის აწ მესმის! მაშინაც თუ სძალავდა გრძნობა, ჩემსკენ ჰზიდავდა. იმავ თუ გრძნობამ ჩაღწვილმა გასტყორცნა ცეცხლში... საბრალოებო! ჩემი ბედი თქვენც დაგღუპავით ვით მე დამთრგუნა!

## 41

ქალის სწავლება კვლავ განეგრძოდა, მაგრამ შრომა მოიღვედა, ეშხი დაჰკარგა, ღერიც იცვალა: უბრძანეს მოძღვარს, მხოლოდ ქართულში ეხელმძღვანელებინა, ისიც ხანისხან.

ქალწულის დარღმა ბნელით ჰფარა თვით ბერის ბედი. სასურველი მისწავლა მასაც ჩაუხშო. ისე ეგონა, დიდ განათლებას დავსწვდებო ბიზანტი-

აში. შეჰმზერდა აწ თვის მოწაფესა დაღონებული.

— სავე ნათელი სურათები, სასაძლო მეფეთა. დედოფალი არცუთხილი არცროს დედოფლად. სძალი უსძლო. ბედნიერი ქალთა შორის მთლად უბედური. ტურთა ყვავილი კოკორშივე ფურჩქენილ-ქნობილი...

ბერის ოცნება უთანხმებელ შეთანხმებებს ქსელად აბამდა. ზედა ჰქარგავდა საგალობლებს, გრძნულ სიმღერებს. სინამდვილე მის თვალთაგან მიჰფარებოდა. გაკვირვებით შეჰმზერდა ქალი თავის მოძღვრის მოქცეულთ თვალებს.

— შამავ ონოფრე...

შეიწმრა ბერი, გადაისვა სახეზე ხელი. მთლად გამოფხიზლდა.

— გამიტაცა, დედოფალო, მე თქვენმა ბედმა. სურათები აირიენენ ჩემს ოცნებაში, თუ წარმტაცეს ცნობიერება. დიდი ბოდიში...

— მამაო, მოძღვ...

— დედოფალო, თქვენს წინაშე სავედრებელი!

— მამცნეთ, მითხარით! თუ ვიქნებოდი დედოფალი ბიზანტიისა, აწვე გეტყოდო: აუცილებლივ შესრულდების თქვენი სურვილი! ახლა...

— შესძლებთ ახლაც, დედოფალო, თუ კი ინებებთ. ნულარ მეტყვი: მამაო, მოძღვარ; ქრისტეს მიერ ძმად მიხსენიეთ! ამას შემოგთხოვთ.

— ძმაო ჩემო ქრისტეს მიერ თქვენც შეგაწუხათ ჩემმა დარღმა უნათებელმა. მადლობას გიზღვნით ამისთანა თანაგრძნობისათვის.

— არა მხოლოდ მე, საქართველო დააფიქრა თქვენმა იღბალმა. თქვენი ბედი ქართველთა ხვედრს დაუკავშირდა: ქართველი ხალხი გადაიჭდო თქვენი სახელით ბიზანტიასთან. ბიზანტიის ულოდნელი იგი დამზობა ჩვენს ქვეყანას დაჰმასრავს, დაჰბზარს.

— ჩვენს სამშობლოსაც საშინელება მოველინება?

— მაგასა ვგონებ. მაგრამ... თუ გადარჩა კეისარი, ჯერ არ არის წაგებული მაჰმადთან ბრძოლა.

— და რაღას შესძლებს იგი ულაშქროდ?

— შეაძრწუნებს ბიზანტიის დამონება საქრისტიანოს; დაიძვრის იგი აღსადგენად სახელმწიფოს. არაერთხელ გვიუბნია მე და ბაკურს ამავ საგანზე.

— ბაკურსა და თქვენ?

— ჰო, დედოფალი ის ქაბუციც სედიანობს თქვენს დაღონებით. ხანხან გადმოდის; ღამეც რჩება ჩემს საგანში. სასაუბროდ ეგ საგანი არ გვითავდება.

— ხედრმა ჩემმა იგიც დალახვრა. თუ მაინც ფიქრობს იმპერატორზე...

— იმაშია დარწმუნებული: მკვდართა შორის ვერა ჰპოვეს, სხვა დამარხესო.

— ელარ შესძლებდა თავის შველას დაჭრილი კაცი.

— ულოდნელიც ხდებოდაო იმ დიდ ბრძოლაში. სასწაულით გადავრჩიო მეც: თუ ხელში არ ჩავეარდნოდი ქართველ იანიჩართ, მოვისპობოდი.

— სად წავიდოდა, თუ გადარჩა კეისარი თუნდ სასწაულით?

— დასავლეთზე ვერ გააღწევდა: გამარჯვებულთ წამს შეკრეს გზები, ერთი-და დარჩა გზა ჩვენი ზღვისა. თუ მოახერხა თუნდ ნაგზე ასვლა...

42

საქართველოს უნდა უკვე შეეცვალა მიმართულება. აქამდისინ ნაცადი და გაკვეთილი ერთი გზა იყო: კავშირი ძმური ბიზანტიასთან. მას მიეცა ქართველთათვის სამეფო სჯული; წარმოგზავნა სამეფო გვარეულობა; მფლობელი იყო ახალშენთა საქართვე-

ლოში; ბიზანტიით მოსლიოდა ქართულთა ერს განვითარებას; აქამდისინ იმისთანავე გაჩაღებულნი.

— ბრძოლა უწყვეტი უსჯულოებთან ბიზანტიის, მამ ქართველთაც, მტერნი არიან...

ახლა სხვა იყო: ბიზანტია მოულოდნად მოსპობილიყო, ჩაშლილიყო გამძლე ბურჯი ქრისტიანობის. მარტოდ-მარტო დარჩენილიყო ქართველთა ერი. უნდა ეტვირთნა თავისთავის თვითონვე მოვლა.

— აღმოსავლეთი მთლად დაიპყრო მაჰმადის სჯულმა, უსჯულოთა ოკეანე გარს შემოგერტყმია.

— ქრისტიანთა სახელმწიფო პონტოა კიდევ.

— ანგარიშში აღარ არის ის მოსატანი. ინახავდა აქამდისინ იმას ზონთქარი, ვით მეტოქეს ბიზანტიელის.

— დავით პონტოელი მტერი იყო კონსტანტინესი. კომუნეები პალეოლოლთ არხევ-არყევედნენ. ამის გამო პონტოელებს არა სპობდა ოსმალთ სულთანი. ახლა...

— უკვე მოსპო ოსმალთ მეფემ ბიზანტიელი. აღარ სჭირდებათ პონტოელის დახმარება თუნდ ზნეობრივი და...

— თუ ეგრე არის, მოსპობილად უნდა ვსთვლიდეთ პონტოს სამეფოს.

ქართველთ უნდა აერჩიათ რამ ახალი გზა. ბევრი დაადგა ყვარყვარეს კვალს: მეგობრობა დავიჭიროთ, თვით ზონთქართანო.

— ძალა არის იმის ხელში, ის ჰხნავს აღმართსა.

— თუ ჩვენს ქვეყანას იგი მოჰხნავს თავის სათესლედ, სჯობს რომ ვიბრძოლოთ: რაინდთა ერის საშენია ომში სიკვდილი.

— სჯობს მოვანეწოთ მოყვარედ თავი.

— იქნებ კიდევ შეგვიყვარდეს მტე-

რი ძლიერი: შიში შეიქმს სიყვარულსა, — უთქომთ ძველად.

— მონურ სიყვარულს, აღსართან ჩემო! თუ გსურს გაახადო ქართველობა სხვა ხალხის ნალოდ...

— თავის დაცვა, ბრძოლა სასტიკი რომ გმირულად გავირჯებით, ღმერთი გვიშველის.

— შევეშადოთ ძნელ შემთხვევისათვის. თუ თავს დაგვესხნენ...

— უსათუოდ უნდა ვემზადოთ! თუმც შესაძლოა, განსაცდელი აგვეცდეს ამჟამად.

— უიმედო იმედებს იტყვი! ახლავ მოითხოვს ოსმალეთი ყოველ მიწა-წყალს, ბიზანტიელთ რომ ექირათ ჩვენს ქვეყანაში.

— თუ მოითხოვს, უნდა დაეუთმოთ: ჩაყოლა სჯობს აქ ჩათრევასა. სხვა არაფერი უბრძოლველად არ დაითმობის. მაინც კვლავ ვიტყვი: შესაძლო არის, ვერ იქნეს ჩვენსკენ განსაცდელი ჯერ მოქცეული.

— რად ფიქრობ ეგრე?

— ოსმალეთის ყურადღება მიიქცევა დასავლეთისკენ.

— თუ ეგრე მოხდა, საბრძოლველად მომზადებას მოვასწრებთ მანამ. ჩვენსავ ძალებზე დაეამყაროთ ჩვენი იმედი.

## 43

შინაც დიდი დარდი ჰქონდა მეფე გიორგის. მისი ხათუთა, ნაშთი, სახე განსვენებულ ტურფა თამარის, ისტორიულ მეწყერის ქვეშ ცოცხლივ ემარხა.

— თუ სახელმწიფოს არ ენება ჩემგან ეს მსხვერპლი, აქვე ჰპოვებდა ჩემი ქალი თავის კარგ იღბალს: ბაკურ-ჭაბუკი ჩემის ქალის ტრფიალი იყო. მეყოლებოდა საქართველოს სანაპიროს მოყმე ერთგული.

გონების თვალთ წინ დაუდგა ბაკურ.

— ექიმბაში დაეჭედე ჩოლოფსაძელსა. რი მისი აგებულობა მჭკმრჩვენი მისი ბოროტ იარაგს; ჭაბუკის ეამი მიწურულად მეჩვენებო. ჰო, რომ წაიქცევა დიდი ქანდარი, არ შეიძლება არ დალეწოს ნორჩი ნერგები. დასცა დიდი სახელმწიფო ეამთა სიავემ, ბეერს კარგი მოპყეობდა მის ნანგრევთ ქვეშე.

არ გაპყეა მამას ბაკურ-ჭაბუკი. ეს იმიზეზა:

— კარის ექიმი ზრუნავს ჩემზე, მის წამლობას ვერ შეველევი.

მართალი სჩანდა. მიზეზი კი უმთავრესი მაინც სხვა იყო: არ აძლევდა ნებას გული, თავის ფერმიხდილ მიჯნურობას განშორებოდა. ეს ერთი-ლა სიხარული დარჩენოდა ცხოვრება-ჩაშლილს: მზერა ქალწულის. იმის ბედზე გაეჩინა კეთილ განგებას, ბოროტ ეტლს კი ჩაექურფრა ის ნათელი გზა.

— თუ ბოროტებას იარაღად არ ეზმარნა დასავლეთელი, უსათუოდ მიეწვდებოდი სანატრელ სატრფოს... ვერ ეგებოდა ჩემგან სხვა ქცევა: ქალი მაშინ ვერ იგრძნობდა ჩემს ძნელ გულისთქმას. თუ აღრეე მეთქვა... არა, არა! დიდი ძალა დაუყენა ბოროტმა წინ ნორჩს: ვერ შესძლებდა მასთან ბრძოლას, თუნდ თანაეგრძნო. ეს ყოფილა ჩემი ხვედრი, უნდა ვსჯეროდე. განაპყრო ხელნი.

— სიკვდილამდინ ნუ მომაკლებ მე მისსა მზერას! ეს-ლა არის, მეუფეო, ვედრება ჩემი!

როცა გაანდო ეაქმა მოძღვარს თავის გულისთქმა, მან მოუწონა. შექმართა სიტყვა:

— შთაგონებია კეთილ სულისგან. ელარ გასძლებდი. ძნელი საღმობა შეიპყრობდა შენს დაღაზვრულ სულს.

— სიმართლეს შეტყვი!

— შეტსაც მოგიტბრობ: შენის გარ-

დახვეწით დაიქნებოდა შესაბრალოდ ქალიც ტანჯული.

— რას მერტყვი, კაცო?!

— ვერ ატყობ განა? რაც ეწია ქალს უბედობა, გარეშენი გაუგრილდნენ, გაუგარევედნენ. მის მამაზე არა ითქმის რა: სახელმწიფო საზრუნველმა დარია ხელი. დედინაცვალი... სხვებიც ჰბამდენ სიგრილეში მეფის მეუღლეს. ქალწული კი... უბედობამ დიდმღელეარედ გარდაქმნა იგი, მეტ მგრძნობიარედ. ესმის მკაფიოდ ყოველი ბგერა, მოძრაობა, სხვის გულისბგერა. სხვის აზრებსაც ვით ქადაგი დახელთილი, წამს წაიკითხავს.

— როგორც ხატისგან ხელდასხმული თუ აღნიშნული?!

— შე ეგრე ვხედავ.

— იქნება გრძნობს ჩემთა ფიქრთა უთქმელთ. უჩინართ.

— ვამჩნევ, ჰხედავს აზრთ მიმოხე-რასაც.

44

კონსტანტინეს ბედ-იღბალზე სხვა არ ისმოდა; ქალს კი მხოლოდ ეს ამბავი ესწრაფებოდა.

— არა, შეილო საყვარელო! თუ კეისარი სასწაულით გადარჩენილა, იტყოდა ვინმე; აჩქამდებოდა უკვე ხალხი, სადმე ცოცხლად რომ ჰგულებოდა.

— ახლა ბაკურიც ეგრეთვე ფიქრობს. მხოლოდ მას დასძენს: თუ ბოლოს დროს არ დაქრილიყო, ჰპოვებდაო გადარჩენის გზას.

— შესაძლო არის. ნაენებისთვის მიფარება გაძნელდებოდა ზღვა ხალხთ ფურტკენაში. აღარა ეგონებ მას ცოცხალთ რიცხვში. მიეც შენს თავს მოთმინება. ოღნაჲ დამშვიდდი. შენ რომ დაჰკარგე საქმრო რჩეული, მართლ-მორწმუნეთაც საძირკველი ჩაეშალათ

დასაყრდნობელი. მეტად ძნელი დთვის განგება უცვლელ-ურყევბრუნდულს!

— აღვილი იყო ამგვარი თქმა; რაზე ვის მიცემა. ქალის გული ესეთ რწმენას არ იკარებდა.

— იქნებ რაიმე სასწაულით მაინც გადარჩა; კრილობის გამო განცხადებით ვერ გამოსულა: განსაკურნად დრო უნდა ნახმლევს. აგერ ბაკური. ვეღარ განმრთელდა, თითქო თანდათან ხელსაცა ჰრევს იგი კრილობა,—ფიქრობდა ქალი.

და ამ ფიქრებს არ ეტყოდა არც თავის მამას; საიდუმლოდ ინახავდა თვის დახშულ გულში.

დაეშო დრო შემოდგომისკენ. მწიფე ნაყოფი. გულსავეს თესლი მიწაშივე ჩასამარხად შეამზადა გრძნეულ ბუნებამ: მიიღებდა ჟამთა შემდეგ ნორჩ სიცოცხლესა. შერკი ფოთოლი გაცრეცილი, ყვითელნაპარბი. დადგა იგი დრო, რომ მოვიდა კეისარის ელჩი და მეფისათვის დანიშნა ქალი. შემოსეს მაშინ იქაური შესამოსელი, შეეფრქვეეს სამკაული, დაადგეს ჯილა. სიმშვენიერე განსხვავებული.

— დაჰმსგავსებიახარ, დედოფალო, წმიდა ვინმე ქალწულს!—უაღერსა ნესტანა მაშინ შეილობილს.

შარშანდელი ის დღე გათენდა. უცნაური სურვილი ქალის:

— მოგზაენილი სადედოფლო შესამოსელი მსურს წლეულაც შეგხედე ჩემს დღეს მაშინდებურად.

— დედოფალო, შარშანდებურად!?

— გარს მეხვევიან კეისარის ფიქრნი, გრძნობანი! გრძნეული თვალით დამინახავს კვლავ ტურფად მორთულს მისეულებით, გაეხარდება...

შეკრთა გამდელი. მაინც თავი შეიმავრა, არ დაიმჩნია. მოართვეს. მორთეს. ერთიორად დამშვენდა ქალი. მოახსენა გაზრდილს გამდელმა:

— შარავანდელი დიდებისა თავს დაგტრიალებს. ძნელ მისწრაფებით აღზნებულნი ლამაზნი თვალნი სლამრულ შუქს ჰტენენ!

დიდ დედოფალს გაუხვენეს კარნი. გაჯაერება ეტყობოდა სასტიკ სახეზე.

— თუმცა ვიხდება ეგ სამოსი, აღარ შეგშვენის. კეისარი საქმრო შენი განგებისგან მიწვეულ არს უკვე იმ-სოფლად. ეპი არის, დაუტეო მასზე ოცნება, სინამდვილის ხედვა დაპყრა შენ ცხოვრების გზას.

მოველო ქალმა დედინაცვალს გამკვრეტი თვალნი.

— ვისმენს, დედაე — დედოფალო, შენი ქალი საწყალობელი. უნაკლულოდ ავასრულო ბრძანება შენი!

## 45

დედინაცვლის თქმამ დააფიქრა. რამდენიმე დღე ჩაყვტილი. აზრთა დენამ დააყენა ახალ ბილიკზე. თავის მამას ეახლა ქალი. მეფეს მებრძოლ გაეხარდა მისი იქ მისვლა: იშვიათად გასცდებოდა თავის გალაკს.

— მოდი ჩემთან, სიხარულო, გვერდს დამოეკეტი!

აკოცა მამას. ტახტზე ჩამოჯდა.

— ახალ რასმე საგონებელს თუ შეუპყრიხარ?

— შემოვედი, განგიცხადო გულის-თქმა ჩემი.

— თქვი, საყვარელო! უნდა ვიცოდე შენმა მამამ შენი დარღვები.

— შენს სამეფო-სასახლეში უფერი-ლა ვარ: დარდს წაუღივარ: ის, უნახავი, გონებიდან ვერ გაუიშორე, ნივთიერად შევლინება მისი აღალმა; გული ჩემი გადაპყვა იმას; სულით მარტო ვარ.

— მერმე, საწყალო?

— შენს სასახლეში საჭიროა გულის-ხმეირება, გრძნობათ სიწყინარე. მე...

განდეგილად დავივანო, ერთი გვედრების!

დალონდა მეფე. ანაწილად მიწვეულს, დახარა თავი: სვედამ შორკალა. ენა მისი აეკვა სასას. მიჯნურ მეფეს ეს ქალი-ლა დარჩენოდა თავის პირველ სიყვარულიდან; ვარდასრული თამარის სახე, მზგავსება მისი. ახლა ესეც გაცლას შესთხოვდა. ძნელყოფის წუთი. მაგრამ ქალი იტყოდა ბრძნულად: გაწამდებოდა სასახლეში ისეც ტანჯული.

— გეძნლება მოშორება ჩემი, მამილო? არა უშავს რა: მითომ მოვემკდარეარ რაინდთან ერთად.

თავი ველარ შეიმაგრა იმისმა მამამ. გაპენტოლ წვერზე აწანწყარდა ცრემლთა ნაკადი.

— არა, მამილო! თუ ძლიერად იტანჯები...

— და სად გინდა, სიხარულო, რომ დავივანო?

— საეანეში ბერად შემდგარ პაპა-ჩემისა!

— მოვიფიქრებ... აგისრულებ გულის წადილს, ჩემო ძვირფასო!

მცირე სასახლე ააშენა დიდ ალექსანდრემ მცხეთაში მაშინ, როს განდეენა საზღვართაგან მონღოლთ ურდონი, დაიღალა სახელმწიფოს აღსადგენად მიღებულ შრომით და განიზრახა აღკვეცა ბერად. საეანე იყო აგებული მირაანის პალატთ ნანგრევზე. ბრძანა მყოფმ განახლება იმ შენობისა. მალე შესრულდა ნება მეფისა. ქალს შეეძლო ახალ სადგომს გადასულიყო. კვლავ ბრძანა მეფემ:

— ავლნუსზე მაშინ ფრანძისის წინ ქალის მზითევი. აღნათქვამი ყოველივე სრულ საქუთრებად გარდაეცეს ქალს უყოვნებლად!

ეთაყვანა, მოეხვია ტკბილ მამას ქალი.

46

სცხოვრობდა მცხეთას. გვერდსა პუვანდნენ: თვისი გამზრდელი, შიმურ-ვანნი, მოახლები. უყვარდათ ქალი, ებრალებოდათ. მთლად განცალკევდა: თუ შესცურა ოცნებათა უძირო ზღვა-ში. ბევრსა ფიქრობდა. ხან ლოცუ-ლობდა. წიგნები-ლა გაეხადნა თვის მეგობრებად.

ჩაიხშვებოდა, თუ წყალობას არ გა-ელო მის სახლის კარი. მიეზიდნა მვედრებელთა დიდი სიმრავლე. აკავ-შირებდნენ იგინი-ლა სინამდვილესთან. ლოცავდნენ ქალსა. მადლობდნენ უფალს ნათელ სულის მათ საშველად მოვლინებისათვის.

ეახლებოდა ზოგჯერ მოძღვარი. მო-ართმევდა ახალ რაიმ საგალობელსა: ძლისპირს გალუქსილს თუ გოდებას ტანჯულ ქრისტეზე. ყვაილები ფრთიან ბევრათა. ნაქეთიან თქმათა შეშპარი მწყობრი. გულს უწყნარებდა ქალს მარად ლეღვილს, ბნელ ლანდთ არედან გამოარკვევდა. საკუთარ ხვებ-საც შეაწყობდა ათასში ერთხელ: უკარნახებდა წრფელი გული გატაცე-ბული.

ეახლებოდა იშვიათად ბაკურ-რაინ-დიც. მოირზა, დამაბუნდა ავ იარისგან. წყვილიად მომავალს უსწორებდა თვალს ვაჟაკურად.

— ესე ყოფილა ნაბრძანები ჩემი იღბალი. მომენიქა განგებისგან მაინც კეთილი: ვნახე ჩემი მზე, დავსტკბი მის მზერიოთ. ვერ კი ველირსე გარდა-ფურჩქენას მის სიცოცხლეზე.

— ღვთის განგება, ჩემო ბაკურ.

თვის სურვილზე აწყობს ცხოვრებას. ზოგს ქვეყანაში მარტოფილენ მფაღლან-დებს თვის უძვირფასესს: მინამორ-რით აწამებს მერმე. მაინც იგი კეთი-ლია და სახიერი: ტანჯვით ვზას უზა-ნის, შეხედვს შემდეგ თავისსა ნათელს.

— როდის-ლა მერმე?

— ხელმეორედ განკაცების ეამს!

— როგორ?

— ტრფილება ნათელია თვისის არსებით. სახიერი შემოქმედი არ მოს-ბობს კეთილს. დადგება წუთი ეამთა დასასრულს და შეჰხედვებთან კვლავ ერთმანეთს ნათელმოსილინ.

— შევეყრები ოდესმე ხათუთს?

— და ეს რწმენა მეც მასულდგმუ-ლებს: სიბოროტე იქმნებოდა ყოვლად-კეთილის, თუ მე ველარ შეეხვდებოდი ჩემს ძვირფას ციერას. ჩემი მეუღლე... აქედან იყო, ამ ქალაქიდან... წამს ვიყავი მეც ბედნიერი... აჰვე დაე-მარხე...

ვაზაფხულზე გარდაიცვალა ბაკურ-რაინდი. მცხეთის ტაძრის ეზოშივე დაასამარეს. ორი საფლავი გასჩენოდა ონოფრე ბერს საკურთხებლად. ბევრ-ჯელ ჰნახავდა ორივე საფლავს ყვაი-ლით შემკულს.

ბიზანტიის დედოფალი მთლად გან-მარტოვდა. ისე ეტყოდა თვის ოცნე-ბებს, როგორც ხორცსხმულებს. თეთ-რები ეცვა, შეჰფრფინებდა სავსე მთე-რეს, ევედრებოდა. უღიმოდა თვისსა სატრფოს ციდან რაინდი. ყვაილებსაც გაანდობდა ქალი გულისთქმას.

— დახე, ქალო, წალკოტშია ჩვენი ხათუთა!

— თეთრი ზამბახი!

9. „ნათობი“, № 9—10.



## მომავლის პოეზიას

პ. აბაშელი



ჩაფიქრებული და სიამით თვალდახუჭული  
ხშირად ოცნებას, მეგობრებო, თქვენთან მივყვარ.  
მესმის შორიდან აგზნებული თქვენი ჩურჩული,  
ასი წლის შემდეგ თქვენს პაერში რომ დაირხევა.

როგორც წარსული გარდავიდა, ჩემი დროც გავა,  
ჩემს შემდეგ უფრო აყვავდება სიტყვა ქართული,  
მაგრამ მე მაინც უშიშრად და თამამად ვდგავარ  
ჩემი ლექსებით მომავლის წინ ხელამართული.

შესდევით წუთით, პოეტებო მომავალ დღეთა,  
შორით რომ ბრწყინავთ მზის სხივების ოქროს წვიმასში  
თქვენი ლექსების ელვარებას აქედან ვხედავ,  
მაგრამ არ დაეხრი ჩემს ნაწერებს მე თქვენს წინაშე.

საუკუნეთა ქარაიანის უწყვეტ ჯაჭვიდან  
მე წილად მერგო მხოლოდ ერთი რგოლი პატარა.  
მარადისობამ ცეცხლიანი ხელი ჩამკიდა,  
ამ ერთი რგოლით დროთა მწვერვალს გადამატარა.

მე ვნახე — დილამ ცის პირველი არიერაეებით  
ათასწლოვანი ბნელი ღამე როგორ დახია.  
ახლაც ელავენ ცის დაღმართზე ცეცხლის რაშები,  
მისდევენ ღამის დამჭრალ ჩრდილებს და მისძახიან.

ჩვენზე უტყბესად იქნებ თქვენმა დრომ შოილზინოს,  
და უფრო მეტი სიტკბო ნახონ თქვენმა შეილებმა,  
მაგრამ ვერაინ ვერასოდეს ველარ იხილოს  
ქვეყნის პირველი გაზაფხულის აყვავილება.



ეს ჩვენ გვხვდა წილად და თქვენც ბევრჯერ  
 მოგენატრებათ  
 ჩვენი ეპოქის მჭუხარ ღღეთა შემობრუნება,  
 რომ თქვენი თვალით დაინახოთ ეს განათება,  
 რამაც შესცვალა ძველი ქვეყნის მკაცრი ბუნება.

მაგრამ ჩვენს შემდეგ ველარაინ ვერ დაინახავს,  
 როგორ აენტო ლამის ჩრდილში სხივს პირველი.  
 ამ საოცრებას მხოლოდ ჩვენი სიტყვა ინახავს,  
 მხოლოდ ჩვენ ვნახეთ ეგ სინათლე გასაკვირველი.

1 თანარი  
 1946 წ.

## ჩვენი მემკვიდრეები და ჩვენი გმოსნები

პ. ისაკიანი



1

მყუდრო სენაკში გამომწყვდეული,  
სადაც ქვეყნის ხმა აღარ ტრიალებს,  
უძილობისგან ლანდად ქცეული  
ზის სვედიანი შემატანე.

დასჩერებია ძველისძველ ეტრატს,  
წინ უღევს პური წყალში დამბალი.  
ეს ღამეც უნდა გასტეხოს თეთრად,  
რომ უთხრას მერმისს ქვეყნის ამბავი.

მტერს ჩვენი სისხლი როგორ ათრობდა,  
ჩვენ ცრემლმა როგორ ამოგვწვა თვალი.  
მთვარე კი-არა, თავს დაგვნათოდა  
ყიზილბაშების მოხრილი ხმალი.

გოდებდა მარტო, ლანდად ქცეული,  
მერე ხატის წინ ლოცვად ღგებოდა  
და ყრუ კედლებში გამომწყვდეული,  
ღმერთს ქვეყნის დახსნას ევედრებოდა.

II

ჩვენი გმოსანი ხალხში მღეროდა,  
ხალხს მოუხმობდა ქვეყნის მხსნელადა.  
ღარიბის ქოხში მუდამ ელოდა  
შუაეცხლი და სავსე ხელადა.



მისი სიმღერა ძალას შატებდა,  
რკინად აჭევედა კაცის მარჯვენას.  
ჩვენ გამარჯვებას მოგვანატრებდა,  
შტერს შეუთვლიდა არგადარჩენას.

ქვეყნის წარსულში ვაჟკაცს ეძებდა,  
გმირს აღიღებდა მისი თქმულება,  
და როგორც შვილებს, გვიანდერძებდა  
ხალხის სიყვარულს და ერთგულებას.

იგი ისმოდა როგორც ნალარა,  
მან არ დაჟანგა ჩვენი მახვილი.  
მან შეგვიანახა, მან შეგვაყვარა  
ჩვენი სომხეთი ომგადახდილი.

თარგმანი კონსტანტინე ლორთქიფანიძისა

## თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა

რომანი \*

აკაკი გულიაშვილი

★

მეფის სასახლის პირდაპირ, მოედნის ბოლოს, ამართული იყო დავათ სარდლის ორსართულიანი სასახლე. ქვის სვეტებზე დაყრდნობილი ზედასართულის ფართო აივანი პირდაპირ გადაკურებოდა მოედანს. აივნის მოხარატებული მოაჯირი და ხის მოჭკურთმებული სვეტები მთლიანად იყო დაფარული თოკივით დაგრეხილი გლიცინიის ტოტ ბით. ყოველ ზაფხულს, აივანზე ეშვებოდა წვეწვან ფოთლების ფარდა, რომელსაც ამშვენებდა მტევნების მაგვარი ცისფერი ყვავილები.

თამარი გადმოსახლდა თუ არა ქმრის სასახლეში, მაშინვე შეუდგა თავის გემოვნებაზე ოთახების მორთვა-მოწყობას და პირველ რიგში აივანი გაამშენებდა. იატაკზე ხალიჩები დაავი, კედელზე ფარდები დაჰკიდა, ტახტი მუთაქა-ბალიშებით მოჰფინა და ეს მივიწყებული აივანი ისეთი საამო სამყოფელი გახადა, რომ ვერც უცხოს და ვერც შინაურს ოთახებში ვეღარ აჩერებდა, ყველანი აივნისაკენ მიისწრაფოდნენ. განსაკუთრებით ჩოგლოკოვი აღაფრთოვანა ამ აივნის მყუდროებამ და აღმოსავლურმა მორთულობამ. ის დავითის ზმირი სტუმარი იყო და მოსვლისთანა-

ნავე ევედრებოდა მასპინძლებს, ღეთის გულისათვის — აივანზე დაესხდეთ, რომ ეს ზეციური მყუდროება კიდევ ერთხელ შევიგრძნოთო.

თამარი პირველ ხანებში სტუმრებთან არ ჩნდებოდა და აივანზე მართო მამაკაცები გროვდებოდნენ. მხოლოდ, როდესაც იულონის განკურნებისა და ერეკლეს დიდ სასახლეში დაბრუნების ამბავი მოახსენეს, თამარმა შეება იგრძნო და პირველად გამოჩნდა აივანზე — მამაკაცთა შორის.

დავითი ჩოლოყაშვილთან საუბრობდა, როდესაც თამარი აბრეშუმის კაბის შრილით გავიდა აივანზე და ქმარს გვერდით მიუჯდა. ჩოლოყაშვილი რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე პათი სტუმარი იყო და უკვე შინაურვით სთვლიდნენ.

— მადლობა უფალს, — ღიმილით შეეგება ჩოლოყაშვილი თამარს, — როგორც იქნა გაბედეთ აივანზე გამობრძანება, თორემ ჩაიკეტეთ ოთახში მონოზანივით და ყველას თავი მოგვანატრეთ.

— საიდუმლო ზომ არა გქონდათ რა, იქნებ ხელი შეგიშალეთ? — ჰკითხა თამარმა.

— არა, რასა ბრძანებთ! ბატონზე ესაუბრობდით. დღეს, როგორც იქნა, სასახლეში დაბრუნდა და იქნებ მიბრძანოს ჩემს საქმეს შეუდგეთ, თორემ

სქვევითან უქმი სტუმრობა ძალზე გა-  
მიგრძელდა.

— ჩვენთან სტუმრობას აგრე აღ-  
ვილად ვერ დააღწევთ თავს, თავადო.  
გიჯობთ—თქვენი სახლობაც ახლა-  
ვე დაიბაროთ რუსეთიდან, თორემ  
მარტოობა ვაი თუ მოსაწყენი შეიქ-  
მნეს თქვენთვის. მე და დავითმა ვი-  
თათბირეთ, რომ საქართველოდან  
აღარ გავიშვათ. რა გინდათ იმ ცივ  
რუსეთში, განა აქ არა სჯობია?

დავითმა აივნიდან თვალი მოჰკრა  
ანას, რომელიც ორი სეფექალის თან-  
ხლებით მათი სახლისაკენ მოემართე-  
ბოდა და მეუღლეს მიმართა:

— თამარ, მამიდათქვენი მობრძან-  
დება.

— უი, მართლა? — წამოიჭრა ზეზე  
თამარი, დაბურღული ფოთლები გა-  
დასწია და, დაინახა თუ არა მამიდა,  
აღტაცებით ტაში შემოკრა და შესა-  
აღებულად გაიქცა. მამაკაცებიც აღგ-  
ნენ და თამარს მიჰყენენ. თამარის  
ქორწინების შემდეგ ანა პირველად  
მოდოდა დავითის სახლში და სტუ-  
მარმასპინძლების მისალმებასა და  
ურთიერთ საყვედურებს ბოლო აღარ  
უჩანდა. თამარმა კინალამ დააღრუ-  
ხვენა-კოცნით მამიდა. თითქოს გათ-  
ხოვების შემდეგ პირველად ენახოს  
და ორი დღის წინათ საჩინოში ერთ-  
მანეთს არ შეხვედროდნენ.

— დამაცა, ქალო, ერთი მინდა ენა-  
ხო, თუ როგორ ჰპატრონობ შენი  
ქმრის ოჯახს! — სიცილით უთხრა  
ანამ და მიმოიხედა. — აჰ, შეხედეთ,  
განა არ ვიცოდით: თქვენს დაბაზუს  
ველარა ვცნობ, — მიმართა დავითს  
ანამ, — როგორ გაუმშვენიერებია.  
თქვენ კიდევ ქალებს არ გვაფასებთ.

— აბა რასა ბრძანებთ თქვენო  
ბრწყინვალეებო, განა თქვენთვის არა  
ვართ თავგანწირულნი ომში და ვებრძ-  
ვით მტერსა. თქვენზე უკეთესი ვინა  
გვყავს! — უპასუხა დავითმა.

ანამ მოისტრჯა ყველა ოთახი დაე-

თვალღერებინა. სეფექალებს უბრძანა  
მამაკაცები გაერთოთ, თიხროსკენ წაიყ-  
მართან ერთად სასახლისკენ წაიყვანა  
კუთხე ინახულა, ყველაფერი შეამოწ-  
მა, უკანა ეზოშიც ჩავიდა და მსახურ-  
თა სადგომები — სახაბაზო, სამზა-  
რეულო, საკუქნაო, საბაზიერო, თაჯ-  
ლები და ბელლებიც კი დაათვალიერა.

— ზოგიერთს ჰგონია, — უთხრა  
ანამ თამარს, — მსახურნი და მოახ-  
ლენი რადგან მდამბოთაგანი არიან,  
ჭუჭყი და ძონძები მათთვის უბრა-  
ნიაო. ასეთი აზრი არასოდეს გაიგლო  
გულში. მსახურთა სადგომი, ტანსაც-  
მელი, ისევე სუფთა და ახალი უნდა  
იყოს, როგორც ბატონისა. ჩემმა მო-  
ხლემ დღეში ათჯერ მაინც საპნით  
რომ არ დაიბანოს ხელი, ხომ მოეკა-  
ლი. ან კიდევ, მის სადგომში რომ  
შევიდეს და შებენარი შემადლოდეს...

— ფიქს მამიდა, რას ამბობ! — ზიზ-  
ლით წამოიძახა თამარმა.

— გენაცვალე, შენ აბა ბარათთან  
მსახურები გაჩვენა, რასა გვანან.  
ქექვა-ფხანის მეტს არაფერს აკეთებენ  
და სათოფეზე ახლოს მათი მიკარება  
არ შეიძლება. მერე განა დიდი საქმეა  
ათიოდე ლიტრა საპონი მოხარშონ  
და მსახურთ დაურეგონ? ან კიდევ  
ხამის საცელები შეუყერონ? მაგრამ  
სულ იმის მეუღლის ბრალია ყოველ-  
ვე. მტრის ოჯახს მოველინა ცუდი  
დიასახლისი. აქაო და, რაჟი ქალბა-  
ტონი ვარო, მთელი დღეები ძილისა  
და ჰამის მეტს არას აკეთებს. იმა-  
ტომაც ასე გაიტენა ქონით და საშო-  
ბაო ქოსმანივით ტანს ველარა სძრავს.

თამარი გულმოდგინედ უსმენდა  
მამიდას; ლაპარაკსა და სახის გამოკე-  
ტყველებაში ეტყობოდა ანას, რომ  
ძალზე კმაყოფილი იყო თამარის დია-  
სახლისობით. განსაკუთრებით მოუწო-  
ნა ოთახების მდიდრულად და თავისუ-  
ბურად მორთვა.

ბოლოს ორივენი აივანზე გაიღ-  
ნენ. აქ ახალი სტუმრები დაუხვდნენ:

პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი, ლეიტენანტი დევრალიე და მიძბაში ქაზოსრო მურვანიშვილი. ისინი, ეტყობოდა, ძალზე საქმიანი საუბრით იყვნენ ვართულნი დავითთან ერთად, რადგან არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ სეფექალებს, რომელნიც მოწყენილნი უძრავად, ფაფურის ქანდაკებებივით ისხდნენ ტახტზე. ანასა და თამარის დანახვისთანავე ყველანი ფეხზე წამოიჭრნენ და მოწიწებით მიესალმენ საპატიო მანდილოსნებს.

— მგონი ხელი შეგიშალეთ, — უთხრა ანამ დავითს. — თქვენ აქ საქმეზე საუბრობთ, — ჩვენ ოთახში დავსხდებით.

— არა, რასა ბრძანებთ! — დაამშვიდა დავითმა ანა. — თქვენ ხელს რად შეგვიშლით.

ჩოგლოკოვმა კითხვის თვალით შეხედა დავითს და, თუმცა ქართულის ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა, გარეგნული მოძრაობით მიხვდა, რაზედაც იყო ლაპარაკი და დავითს უთხრა:

— სთხოვეთ პრინციას, ჩენთან დარჩეს. მისმა ბრწყინვალემაძაც უნდა იცოდეს, რის შესახებ ვსაუბრობთ. მგონია, საქმისათვის ემჯობინება. — შემდეგ უცბად მოუბრუნდა ანას: — Je crois que vous devez parler français, votre excellence?\*

— Non, ma tante ne sait que grec et un peu du latin. Pour le moment il y a très peu de personnes à Tbilissi, qui savent français et pourtant il y en a assez de professeurs, surtout après l'arrivée ici des missionnaires, — უპასუხა ანას მავიერად თამარმა.

— Je croyais tout de même que son excellence connaissait cette langue. Je ne me rappelle pas bien,

\* — თქვენ, მგონი, უნდა ლაპარაკობდით ფრანგულად, თქვენო ბრწყინვალემა?

mais j'ai parlé français encore avec quelques personnes ici, j'ai même parlé avec votre poète, M. Gogol.

— Oh, il parle bien français\*.

ღიმილით უპასუხა თამარმა ანას მავიერად.

დავითი სიამოვნებისაგან გაიბადრა და ულვაშებზე კმაყოფილებით გაღისეა ხელი. ბავშვური სიამაყე იგრძნო მის გამო, რომ მისი მეუღლე ასე თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულ ენაზე. პეტერბურგში ყოფნის დროს ოჯახებში დავითს იშვიათად ესმოდა რუსული ენა, განსაკუთრებით ქალთა შორის შემთხვევით თუ წამოსცდებოდა ვინმეს რუსულად ერთი ან ორი სიტყვა, თორემ ქალბატონები მოახლეებსაც კი ფრანგულად ელაპარაკებოდნენ. დავითმა მაშინ არც რუსული იცოდა ხეირიანად და სანანებლად დაურჩა სემინარიის დროინდელი სიზარმაცე. რამდენაერ უგრძნვია უხერხულობა და სიმწრას ოფლში გაწურულა, როდესაც პეტერბურგის სალონებში მაღალი წოდების ქალები ხშირად მიპართავდნენ დავითს მისთვის გაუგებარ ენაზე და, როდესაც დავითი უხერხულად შეაშუშუნებოდა, გაცილებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

Qui est-ce, ce magnifique homme sauvage?\*

პირველად დავითს ეგონა, რომ ქალები მის ქება-დიდებაში იყვნენ და

\* — არა, მამიდანამშა მხოლოდ ბერძნული და ცოტადენი ლათინური იცის. ფრანგულის მცოდნენი თბილისში ჯერ კიდევ ცოტანი არიან, თუმცა მასწავლებლები, მას შემდეგ, რაც აქ მისიონერები გაჩნდნენ, საქმად მოიპოვიან.

— მე რატომღაც მეგონა, რომ მისმა ბრწყინვალემაძაც იცოდა. აღარ მახსოვს, ვილაყეებს ვესაუბრე კიდევ აქ ფრანგულით, თქვენს პოეტს, ბატონ გაბაშვილს.

— ო, იმან კარგად იცის ფრანგული.

\* — ვინ არის ეს მშვენიერი, ველური მამაკაცი?

თავი მეტად თავმომწონედ ეჭირა. ისე ზშირად ესმოდა სიტყვა „Sauvage“, რომ უნებურად დაიხსომა იგი და ერთხელ ერთერთ ნაცნობ ოფიცერს ჰკითხა მისი მნიშვნელობა. დავითი იმდენად იყო დარწმუნებული — ეს სიტყვა რაღაც დიდი ქების გამომხატველი მნიშვნელობისააო, რომ პირველად არც კი დაუგერა ოფიცერს, როდესაც აუხსნეს, — ასეო. შებლზე ხელი იტყვიო და მას შემდეგ თავმომწონედ აღარასოდეს არ გაპრანჭულა.

— აბა, აბა, თუ შეიძლებოდა — ნუ გვყიდით, — სიცილით უთხრა ჩოგლოკოვს რუსულად დავითმა. — ფრანგული კი არა და რუსულსაც ძლივს ვამტკრავ.

— მაპატიეთ, ღვთის გლისათვის, — მოიბოდიშა ჩოგლოკოვმა. — მინდა, მისმა ბრწყინვალეობამ, თეიმურაზის ასულმა, იცოცეს ჩვენი საუბრის შინაარსი. მგონია, ეს ჩვენი საქმისათვისც ემგობინება. თქვენ რაგორ ფიქრობთ?

— მე გავაცნობ გზადაგზა მის ბრწყინვალეობას ყოველივეს. თქვენ განაგრძეთ. — უთხრა დავითმა სტუმარს და გუნებაში კი გაიფიქრა. — ამას მგონია, რაკი რუსეთში ქალი მეფობს, აქაც სამეფო საქმეებს ქალები განაგებენო.

ჩოგლოკოვს თურქეთზე ლაშქრობის დაწერილებითი გეგმა შეედგინა და ახლა ამ გეგმას აცნობდა დავითს. მისი აზრით ახალციხის აღების შემდეგ ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი უნდა გადასულიყო ქუთაისისაკენ და გაპყლოვდა შავი ზღვის სანაპიროებს ბათოპტრაპეზუნისაკენ. ხოლო იმერეთის მეფე სოლომონი, თუ კი შესძლებდა სათანადო ჯარების შეგროვებას, გალაშქრებდა სოხუმ-აღლერის გზით. მართალია, ჩრდილოეთით მოქმედებდა განსაკუთრებული კორპუსი ივანე შედემის ხელმძღვანელობით და ის

ყუბან-ყაბარდოს მიმართულებით უტევდა ყირიმის სამფლობელოებს. ვერც ჩერქეზები, რომელნიც თუბებს ემორჩილებოდნენ ვერ მოახერხებდნენ ზურგიდან დასხმოდნენ ერეკლეს, მაგრამ სოლომონ-მეფის ვალაშქრება ჩრდილოეთისაკენ საბოლოოდ განამტკიცებდა სამხრეთისაკენ მოძრაიე ჯარების მდგომარეობას.

— ამრიგად თამამად შეგვიძლოა შიგ შეაგულ თურქეთში შევიჭრაო. მაგრამ, თქვენო ბრწყინვალეობა... — ჩოგლოკოვი შედგა და ისეთი თვალით შეხედა დავითს, თითქოს საყვედურს ეუბნებოდა. — მაგრამ ჩვენ ეკარგავთ ყველაზე ბებრფას იარაღს, რომელმაც შეიძლება გამარჯვება საეჭვოდ გახადოს. ესაა დრო! ვერ გამიგია, რისთვის აყოვნებს ერეკლე და არ გზავნის რატეუს ტოტლებენის დასატუსაღებლად. დანამდვილებით გავიგე, რომ ტოტლებენის ბევრმა ოფიცერმა, მაგალითად, პლატოვმა, ოროლოვმა, ბიბიკოვმა და კიდევ რამდენიმემ გადასწყვიტა გაცუ-ლდეს მას და რუს თში დაბრუნდეს თავიანთი ჯარის ნ.წ-ლებით. ამისათვის ტოტლებენი ანაწურში გამაგრებულა, რომ ამ ოფიცერებს არ მისცეს რუსეთში დაბრუნების საშუალება და სურს გზა გადაუკეტოს.

— ეგ ნამდვილია? — იკითხა დავითმა.

— საესებოთ! — ჩაერია საუბარში დეგრალიე. — მე მივიღე ბარათი პლატოვისაგან. ჩვენ მიეწერეთ წერალები იმ ოფიცერებს და ვურჩევდით, რომ მათ დაეტოვებინათ ტოტლებენი და თავიანთი რაზმებით თბილისში მოსულიყვნენ. პლატოვმა მოიწერა, რომ ფიცისგატეხა არ შემიძლია, ერეკლესთან რომ მოვიდე, ლალატს დამაბრალებენ, მაგრამ არც ამ თავგზააბნეულ გენერალთან დამედგომება და ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს



უკან დაებრუნდეთ, იქ კი როგორც გვიბრძანებენ, ისე მოვიქცევითო. გენერალმა დასწრო და მოულოდნელად, ერთგული ყალბეებით, დაიჭირა ანანური. კარგად მოგეხსენებათ, რომ არაგვის სეობაზე მიმავალი გზის გარდა არ არსებობს სხვა გზა, რომლითაც შეიძლება ჩვენი ჯარების უკანდაბრუნება და კავკასიონის ქედზე გადასვლა.

— ხედავთ, რამდენ ხელსაყრელ მდგომარეობას ვუშვებთ ხელიდან — ცხარედ წამოიძახა ჩოგლოკოვმა. — თითქოს განგებ ხელსა ვერავეთ ბელს, რომელსაც ჩვენთან დამეგობრებია სურს. ისტორია არ გვაბატი ბს ამ შეცდომას და ჩვენი შთამომავლობა, ალბათ, ბევრჯერ შამოგვიუბრთხებს. რატიცი რომ მაშინვე წასულიყო დღუშეთს, ტოტლებენს მანქანაში ვამბულ ჩიტყვით დაიჭერდა არც ახლა არის გვიან, მაგრამ... თუ ასე დაიწყეთ ყოყმანი, როგორც სჩადის ერეკლე, რომელიც ჯერ განკარგოლებას აძლევს რატიცის, შემდეგ უკანვე ითხოვს ბრძანებას, ასე არაფერი არ გამოვა...

— მოურავოვის ბრალია ყოველივე! — ამოთხერით სოქვა დაეითო, მაგრამ ჩოგლოკოვმა შეაწყვეტინა:

— მოურავოვი როგორც თაიდან უნდა მოეშორეთ, თქვენო ბრწყინებულებავ, თუნდაც რამდენიმე დღით. დავევალოთ ვინმეს მიიწვიოს საომრე სოფელში, ან არა და... დაეტუსალოთ...

ჩოგლოკოვი შეჩერდა, რაოგან აივანზე მოლოდინელოდ გამოჩნდა ჰესტი, კარებთან შეჩერდა და ჯერ მანდილოსნებს მიესალმა, შემდეგ მაკაკებებს.

— თქ, ბესიკ, მობრძანდით! — მიუგება დაეითი. — ჭაიბოსრო სკამი მოართვი ბატონ მეფის მდივანს. ეკრავ, რამ გვაფთხთრა? ცუდი ამბავი ბრძომ არა ვაგვიგია რა?

— დაეით, ცოტა ხნით ამოშობრძანდით, თქვენთან სიტყვა მაქვს. დაეითი მაშინვე ფეხს დაეითი და ორიენი დარბაზში შევიდნენ.

— რა მოხდა? — უნებური ჩურჩულით ჰკითხა დაეითმა და ბესიკმაც ასეთივე ჩურჩულით უპასუხა:

— ბატონმა მაგათი დატუსალება ბრძანა, — თვალით აივინსკენ ანიშნა ბესიკმა.

— როგორაო? — გაოცდა დაეითი. — მო! ახლა მანდატურთუხუცეს ქვეშოთ თქვენ სახლთან ღვას სარანგებითურთ და არ იცის, როგორ მოიქცეს. შენთან შემოსვლა ვერ გაუბედნია. აბა როგორ ვაგებდო და სახლთუხუცესის სტუმრები მისივე სახლში დაეატუსალო, არა და მეფის ბრძანებას ხომ ვერ გადავუვლო.

— ეგ რა მითხარ? ახლავუ ვეახლავი მეფეს.

— არა, დაიცა! — შეაჩერა ბესიკმა დაეითი. — სულ ერთია, არა გამოუკრა და თავს ტყუილად გაიწვილებ. უმჯობესია მათთან მოიბოდიშო, ვითომ სასახლეში მეფე იბარებეს...

— რას სჩადის ეგ დალოცილი, რას? სწორედ ვერა გამიგია რა! — შებღზე ხელი იტაცა დაეითმა და დარბაზში ამორიალდა. — გამაგებინეთ ვინმე ქრისტიანმა, რას სჩადია!

— დაიცა ერთი, ემანდ ხმამალა არა წამოცდეს რა. დღეს იესე მსაჯულის ამბავი არ ვაგვიგია?

— რა ამბავი? — შედგა დაეითი და ბესიკს შეხედა. — არა ვიცი რა.

— ცუდადა იმის საქმე. მაგრამ ამას შემდეგ ვაგებობ. ამათ რა ვუყოთ, შენ ისა სოქვი.

— რა უნდა ვუყოთ! მანდატურთუხუცესს უბრძანე, როდესაც ჩემგან წაეღენ, შემდეგ თუნდ დაეტუსალოს, თუნდ გაუშვას, აქ კი ფეხს ნუ შემოდგამს.

— კარგი, აგრე ვეტყვი.



— მაგრამ მაგათ როგორღა ვეა-  
უბრო, ან თვალეში როგორ შევხე-  
ლო. არა, ეგ არ იქნება. უნდა ვეახლო  
შეფეს! — მტკიცედ სთქვა დავითი,  
მაშინვე თავის ოთახში შევიდა და  
წასასვლელად მზადებას შეუდგა.

ბესიკმა სცადა ქალები მოეშველე-  
ბინა, რომ დავითი არ გაეშვათ სა-  
სახლეში. თამარს გასძახა, რომელსაც  
დარბაზში ანაც და სეფექალებიც შე-  
მოპყენენ. ყველანი შემოეხვიენენ ბე-  
სიკს და ეკითხებოდნენ, რა მოხდათ.

ბესიკმა მათ არა უთხრა რა, მხო-  
ლოდ თამარს სთხოვა, როგორმე და-  
ვითი არ გაეშვა სახლიდან, სანამ  
სტუმრები არ წაეიდოდნენ. თითონ კი  
აივანზე დააპირა გასეკა, რომ ჩოკ-  
ლოკოვთან ბოდიში მოეხაღნა, მა-  
შინძელი ახლავე გეახლებათო, და შე-  
ქმნილი უხერხული მდგომარეობა რო-  
კორმე გამოესწორებინა. სტუმრებმა  
იგრძნეს, რაღაც მოხდაო, და თვით  
გამოიყვანეს მასპინძლები უხერხულ  
მდგომარეობიდან. მაშინვე აღგნენ,  
ღიასაბლისს გამოეთხოვეს და სასახლე  
დასტოვეს.

შემდეგ აივნიდან ყველამ დაინახა,  
როგორ გავიდნენ მოე-ანზე ჩოგლო-  
კოვი და დეგრალიე. როგორ დაეწა  
მათ მანდატურთუხუციის გლახა ცი-  
ციშვილი და თავაზიანად სთხოვა შე-  
ჩერებულობეყენ. სარანგები უცებ შე-  
მოკრტყენენ გარს ორივე ოფიცერს,  
სწრაფით აპყარს იარაღი და უბრ-  
ძანეს მიჰყოლოდნენ. მალე ყველანი  
ციხისკენ მიმავალ შეკაში მიიმალნენ.

რამდენიმე დღეს ღრუბლიანი ამინ-  
დი დაიპირა და ისეთი უცნაური ცივი  
ქარი ამოეარდა, რომ ხალხი გაიძახო-  
და: ზამთარი დაგვიბრუნდაო. ყველა-  
ნი ბინებში შეიყუვეს და ბუხრებს

მიაშურეს. ბაზრებიც დაცარიელდა.  
ხელოსნები მაყალაზე იფიქრებდნენ. ჩე-  
ლებს და დროს უკმ სევენდნენ. მტკი-  
ბდნენ, თუმცა არც მათ საუბარს ეტ-  
ყობოდა დიდი ხალისი. ქარი შემოლი-  
ლივით ეხეთქებოდა ქალაქს, სტვენით  
და კივილით დაჰქროდა შექებში,  
მტვერის კორიანტელს ატრიალებდა  
და ისე უბერავდა, თითქოს რაც ქა-  
ლაქში ნაგავი იყო, ზეცაში უნდოდა  
აეხვეტნა. ასნაფები იძულებულნი  
იყვნენ დარაბებიც კი დაეხურათ,  
თორემ ქულებაცები მტვერით აეცსოთ.  
ყველა ცდილობდა თეალსაჩინო საქო-  
ნელი საღმე მიემალ-მოემალნა. მე-  
ბურეები ტილოებში ხვეედნენ შო-  
თებს და ლავაშებს, რომ სილისაგან  
დაეფარათ და გადასაყრელად არ გა-  
ხდომოდათ.

ქარმა თითქოს საერთო დამაბუ-  
ლი მდგომარეობაც მიმოჰფანტა და  
ქალაქში ყველაფერი უცნაურად მი-  
ყურდა. თავიანთ სახლშიაც კი ყველა-  
ნი ისე გაირინდნენ, გარეშე აღამიანს  
ეგონებოდა, ქარის ჩადგომას ელოდე-  
ბიანო. სასახლეშიც მიჩუმდა ცხოვრე-  
ბა. მეფეც. ბატონიშვილებიც და სა-  
სახლის მთელი ჯალაბი, ყოვლანი  
კარჩაკტილნი ისხდნენ ოთახებში და  
უპირესად წიგნების კითხვით ირთო-  
ბდნენ თავს. ბესიკმაც უნებურად იხე-  
ლთა დრო და ლესაყის „ეილ ბლა-  
ზის“ კითხვას შეუდგა. პირველი. მარ-  
თალია, ძალიან გაუჭირდა. რადგან  
საერთოდ ფრანგულ წიგნებს ის პატრ  
ლეონაროს დახმარებით კითხულობ-  
და. პატრი მას გაუგებარ სიტყვებს  
უთარგმნიდა. ახლა, დამოუკიდებლად  
წაკითხვის დროს ბესიკი ნახევარსაც  
ვერ გებულობდა, მაგრამ თანდათან  
შეეჩვია, ბევრი სიტყვის მნიშვნელობა  
აგონდებოდა, ბევრს კიდევ გუჰანით  
ხედებოდა და კითხვაც თანდათან უ-  
დვილდებოდა. ამ წიგნის კითხვამ მი-  
ეიწყა ბესიკს ბოლო დროს მომხდარი

ამბები და ის, ტახტზე წამოწოლილი, წიგნით ხელში, დღის უმეტეს ნაწილს ოთახში ატარებდა. მეფესთან მორიგეობისაგან უკვე გათავისუფლებული იყო, რადგან ირანში გამგზავრებისათვის სამხადისს უნდა შედგომოდა; ამაღლა უნდა შეერჩია, საელჩო ტანსაცმელი შეეყვანა და, როგორც კი ალა იბრეიმის ქარავანი დაიძვროდა, მაშინვე გზას დასდგომოდა. ამისათვის არც ისე იყო საჭირო აჩქარება, რადგან ალა იბრეიმს დაბარებული აქლემები ჯერ კიდევ არ მოსვლიდა და ცხადი იყო, იენისის შუა რიცხვებამდე გზას ვერ გაუდგებოდნენ. ამის მიზეზს, ცხადია, ამინდის ეს უცნაურად გაფუჭება წარმოადგენდა.

ექვს იენისს, ღამით, ქარი უეცრად ჩაღვა. წიგნის კითხვაში გართულ ბესიკს კიდევ არ ეძინა, როდესაც საოცარი სიწყინარე იგრძნო და უნებურად შეხედა ფანჯარას, რომლის შინა რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტლად რახრახებდა ქარისაგან და მას მოსვენებას არ აძლევდა. ახლა აღარც შინა ხმაურობდა და აღარც ქარის სტენა-კივილი ისმოდა. ბესიკმა მაშინვე გაიხედა გარეთ. მაწმენდილ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ, უკვე აღარ ციოდა და ბალიდან ისმოდა ტიქინობულის გაბმული ჭრისკინი. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ დღისით კარგი ამინდი იქნებოდა და გულდამშვიდებული ბესიკი საწოლს დაუბრუნდა. წიგნი განზე გადადო, სანთელი ჩააქრო და ფიქრებს მისცა თავი, ხვალინდელი დღის მოულოდნელმა ამბებმა უცბად ჭაახუნა ჩოგლოკოვიც, რატიევიც, ლეონის შფოთვაც და მთელი ის სადავიდარაბო ამბები, რაც ამ ბოლო დროს რუსეთთან ურთიერთობით იყო გამოწვეული. რატიევმა მეფეს ტოტლებენის დატუსალების ბრძანება უკან არ დაუბრუნა და, ვაივო თუ არა ჩო-

გლოკოვის შეპყრობის ამბავი, მაშინვე აშალა თავისი ცხენოსანი კარი და გზას გაუდგა. ყველა იმეორე მეფე მღვერებს დაადევნებდა, მაგრამ ერეკლემ მშვიდად მოისმინა მისი წასვლის ამბავი და ერთი სიტყვაც არ უთქვამს რატიევის შეჩერების, ან შეპყრობის შესახებ.

დავითმა და ლეონმა მაშინვე დააკენეს, რომ ერეკლე ამჯობინებდა რატიევი თავის ნებაზე მიეშვა. თუ შეხლებდა ტოტლებენის დატუსალებს, რომ კარგი, თუ არა და, გენერალი თვით დაატუსალებდა რატიევს, მაგრამ მეფეს უკვე ვეღარ უსაყვედურებდა, შეამბოხე ოფიცერს იფარებდა და მფარველობო.

მას შემდეგ იყო, ეს უცნაური ქარი რომ ამოვარდა და ყველანი სახლებში შერეკა. არც ამბავი მოდიოდა საიდანმე და ყველა ერთი სურვლით იყო შეპყრობილი, ეს საშინელი მოწამვლელი ქარი როგორმე ჩამდგარიყო და ხალხს თვალში გამოხედვის საშუალება მისცემოდა.

— ნეტავ თუ დაატუსადა ის ურჯულო—ლმონდა ბესიკს და თვალნათლივ წარმოიდგინა რატიევის მიერ ტოტლებენის შეპყრობა.

ის, ალბათ, მშვიდად მივიდა ბანაკში. ერთგული ოფიცრები იაზლა და გამართული ნაბიჯით გაემართა გენერლისკენ პატაკის მოახსენებლად.

აი მიუბალოვდა გენერალს ფეხების სხაპუნით. ფეხი ფეხთან მიადგა და დეზებმა ორჯერ გარკვევით გაიღეს წკრიალი. ასწია ხელი და უცბად...

... პაერში ატაცებული ტოტლებენი სასაცილოდ აფართხალდა და იმ წამსვე ზღართანი მოადინა ძირს...

ოცნებით გატაცებულმა ბესიკმა ვერც კი იგრძნო, თუ როგორ გადაექცა სიზმრად ფიქრები.

ის ახლა რატიევის გვერდით იდგა, ეხვეოდა და რატიევი სიცილით ეუბნებოდა: „ნუთუ აქამდე არ იცოდა,



მე ვიღ ბლახ დე სანტილიანა ვიყავით. შემდეგ ბესიკი ცხენზე შეჯდა და უცნაურ ტალახიან ბეჭობს გაუყვა. ცხენს ფეხი უცურდებოდა ბეჭობზე. ბესიკმა დაიხედა და დაინახა, რომ ეს საკუთარი ფეხები ეფლობოდა. ტალახში. ბეჭობი აღმართად იქცა. ბესიკი ცდილობდა აღმართი დაეჭლია, მაგრამ რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო უჭირდა ნაბაჯის გადადგმა, სული ეხუთებოდა, გული ყელთან ებჯინებოდა. ზევით კი მწვერვალი მოჩანდა, მწვერვალზე ანა იღვა და იქიდან გამწარებული ეძახოდა: — „ბესიკ, ჩქარა, ბესიკ, ბესიკ!“

ბესიკმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიბრძოლა და უცბად თვალი გაახილა.

— ბესიკ, გაიღვიძე ჩქარა! — მოესმა ძახილი.

უკვე გათენებული იყო. მზის შუქი მახვილივით შემოჭრილიყო ფანჯარაში და იატაკს ებჯინებოდა.

— შემოდი, ეინა ხარ? — გასძახა ბესიკმა და საბანი ისევ წაიხურა. — კარი არაა ჩარახული.

ოთახში ანა ხანუშის მოახლე პირმოვარისა შემოვარდა და, თითქოს ყველაფერს ცუცხლი მოსდებოდეს, ერთის კრიახით და ქოთქოთით მიაძახა ბესიკს:

— აღეკი ჩქარა, ვიყრებით, ქალაქში ფამი გაჩენილა.

— რაო? — ზეზე წამოიჭრა ბესიკი.

— ფამი გაჩენილა, შავი ჭირი, გაიგე? ჩვენს ბარგს ვაწყობთ ურმებზე, ახლავე უნდა წავიდეთ. ანახანუმი უკვე წაბრძანდა ურბნისს.

— დაიცა, დაიცა, დალაგებით მამბე...

— ეექ! შენ მგონი ისევ სიზმარში ხარ, — გულმოსულად შეუტია მოახლემ ბესიკს. — განა მაგდენი დრო მაქვს!

— დაიცა მეთქი...

მოახლემ ხელი ჩაიქნია და ოთახიდან გაეპარდა.

ბესიკმა ფუსფუსით მიახლოებულ დესაც სასახლის დიდ დერეფანში გაიხედა, იქ ისეთი ალიაქოთი იდგა, ქალი პატრონს ვერ იცნობდა. მოახლეები, ფარეშები, სასახლის მსახურ-მოხელენი და დიდებულები ერთმანეთში ირეოდნენ, ზოგი ბარგს ეზოდებოდა, ზოგი განკარგულებებს იძლეოდა, ზოგი თავგზაბნეულად დარბოდა და ამ არეულ-დარეულ ღრიან-ციელში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა:

— ჩქარა, სადა ხარ?...

— ეგ რა მოგაქვს? ლოგინი რა უყავე?..

— კარებები ჩასქედე თუ არა?..

— ჩაქუჩი და ლურსმანი ვერა ვნახე!..

— მიშველეთ, თქვენი ჭირიმეთი ბავშვები არ დაგრჩეთ!..

— ოჰ, შენი დედმამის ულცა... სად არიან ურმები? სად არიან მეთქი ურმები?

— რა ვი, რა!

— ყაფლაან, ეს რა ლეთის რისხვა მოგვევლინა, ყაფლაან!

— ეი, ყურბანი! ბატონის ხალიჩები თუ შექარი!

— სად არიან მეთქი ურმები? სად არიან ურმები, სად არიან?.. — და სიტყვას მაგარი ტყაცანი მოჰყვა.

შედა სართულს მთავარ შესასვლელთან ბესიკი გოგია ფატრელს წააწყდა, რომელიც ნშიდიად იდგა საგუშაგოზე და არხეინად ადევნებდა თვალს მოფუსფუსე ფარეშებს.

გოგიამ აუღელვებლად უამბო ბესიკს ყოველივე. წინა დამით, მატატანთ ქიტესას სახლში, შებაზრის ბოლოს მღვმერი გამხდარიყო ავად. ექიმი მოეყვანათ და მას, როგორც კი დაეხედნა, შეშინბულს წამოეძახნა, არიქა, შავი ჭირიაო. არ დაეჯერებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მარქარას დუქანში შევირდი აყვირებულიყო.

მიველეოთ. მივიდნენ თურმე, ნახეს, შავდება კაცი. იხმეს ექიმი. იმან—**აჰ** ფავს უშველეთ, ხომ ვთქვი შავი კარიაო. გათენებამდე ორივენი გათავდნენ. ბატონს მოახსენეს. ბატონს შაშინვე ებრძანებინა, კიტყსას სახლი და მარქარას ღუჭანი დასწვითო. შაშინვე მისცეს ცეცხლს.

— ახლაც კი ასდის ბოლი იმ სახლებს, გაიხედე! — ხელით ანიშნა გოგიაჰ. — მაგრამ რა, ტყუილბრალოდ დასწვეს უკვე თხუთმეტოდე კაცს შეჭყრია ეს უკურნებელი სნება. მეტე განა იქვე ახლო მეზობლებს, ზოგი სეიდაბადის მოსახლეა, ზოგი კალის, და ზოგი ავლაბრისა. აბა ახლა მოედება ქალაქს, ტა, ტა, ტა! მგონი დამმარხავიცი აღარავინ დარჩეს.

— ბატონი აქა ბრძანდება?

— იმ! — ისე წამოიძახა გოგიაჰ, თითქოს ბესიკს ეუბნებოდა, ეგ რა სისულელეს მეკითხებითო. — ბატონი მთელი თავის სახლობით შაშინვე წაბრძანდა. სამეფო გვარის ერთიცი აღარ დარჩენილა ბატონის დის ანას გარდა და ისიც იმის გამო, რომ ქმრისთვის ურემს ელოდება.

— შენ რალს აპირებ?

— მე? როგორ თუ რას ვაპირებ.

— არ მიღიხარ?

— კარგი ერთი. მე სად უნდა წავიდე? სასახლეს ყარაული არა სჭირდება? უპატრონოდ ხომ ვერ დავტოვებთ? განა ყველა მიდის ქალაქიდან? ჭირიანობის არ მეშინია. სინდეთს რომ ელაშქრობდით, ისეთი ჭირი მინახავს, რო კერეხივით ეყარა ხალხი. აგრე ვაბიჯებდით მიცვალებულებში, არაფერიც არ შემყრია. ჭირი განა ყველას შეეყრება? ერთ სახლში შეიძლება ძირ-ფესვიანად ყველა გასწყვიტოს, მაგრამ მეზობლად ხელიც არავის ახლოს. თავენებაა. ამბობენ, ვისაც იმისი ეშინია, სწორედ იმათ ეტანებაო. ერთი დამ-

ქროლებს, ვინც გასაყლელია ვაჭ-  
ლურს და წავა.

გოგიას მშვილმა კულმის ტყუილად დაამშვიდა. ქალაქს ვახედა. იქ არავითარი ალიაქოთი არ იგრძნობოდა. ღუჭნები ღია იყო, ბანებზე ასული ქალები ლეიბებსა და მუთაქა-ბალაშებს ბერტყავდნენ. შუკაში მოჩანდნენ თავზე გობდადგმული ფერეზიკები, მეთულუხჩენი, მაწონის გამყიდველნი და მენახშირენი, რომელნიც დატვირთულ ვირებს ერეკებოდნენ, თან გამყივარი ხმით გასძახოდნენ.

— მაწონი...

— ნახშირი, ნახშირიე!

ცხადი იყო, რომ ქალაქიდან მარტო სამეფო სამსახურის დიდებულები და სოფლების მეპატრონენი იხზნებოდნენ და ამას მოქალაქენი ყურადღებას არც კი აქცევდნენ. ისინი შეჩვეულნი იყვნენ სამეფო სახლის დიდებულთა და თავადთა ასეთ გახიზნვას ქალაქიდან ყოველგვარი სენის გაჩენის ღროს. ამისთვის, ალბათ, არც ახლა გაკვირვებით მოჩარდახული ურმების დანახვა, რომელნიც დილა ხოკოებივით მილოდავდნენ ზოგი განჯის-კარისკენ, ზოგი წყლის კარისკენ და ზოგი ავლაბრის კარისკენ.

სასახლეში კი ისევ ერთი ალიაქოთი იღვა. მსახურნი დარბაზების აეკუჯეულობას, ხალიჩებს, კედლის სამკაულებს, ფარდებს, ყველაფერს ხსნიდნენ, აგროვებდნენ და სარდაფებში ჩაჰკონდათ. ბესიკმა მოსძებნა, ეზოსმოძღვარი, რომელიც ფეთიანივით დარბოდა და ყვირილისაგან ჩახლეჩილი ხმით განკარგულებებს იძლეოდა:

— მამუჩავ მე რას მირჩევ? — ჰკითხა ბესიკმა. — თუ იცი, ბატონს არა უბრძანებია რა?

— რა ვი, აბა რა ვითხრა? ყველა თავის ჭკუაზე დარბის, მე რა უნდა ვქმნა მარტოყამა.

M

— სახლთუხუცესი სად არის?  
— ბატონს ეახლა, სახლობა კა  
მგონი ტანძრას გაგზავნა.

— ბატონი სად წაბრძანდა?  
— აქვეა, განა შორს წავიდა. ირა-  
კლისციხე არ იცი? ჯერჯერობათ  
იქ დადგა.

— ლეონი?  
— ბატონიშვილმა ციხისათობა ბე-  
ზუთაანთ იოსებს დაავალა, თითონ  
კი, მგონი, კათალიკოსთან ერთად  
შეხვეთას წავიდა.

— მდივანბეგები?  
— ყველანი თავთავიანთ სოფლებ-  
ში წავიდნენ. ზოგი, მგონი, ჯერ არც  
კი წასულა. დღეს არა, ხვალ ყველანი  
წავლენ. განა შენ არ მიდხარ?

— სად წავიდე რომ არ ვიცი? სო-  
ფელი არ გამაჩნია და არც ნათესავი  
მყავს სადმე. ბატონს ევახლო, ვი  
თუ ტყუილბრალოდ ტვირთად დაგა-  
წვე...

— ეგ სწორეა, — შეაწყვეტნა მა-  
მუჩამ, პრელი ხელსაზოცით შუბლი  
მოიწმინდა და შემდეგ განაგრძო. —  
ირაკლისციხე პატარა სოფელია. ამო-  
დენა ხალხი ჩავა, პურის ნაჭერსაც  
ვერ იშოვი, შიშვლით სოლი ამოგ-  
ძვრება. რისთვის ანახანუმს არ გაა-  
ყვე ურბნისს?

— ჯერ ერთი ისე წაბრძანებულა,  
ჩემთვის არა უთქვამს რა, მერე და  
იქ მაინც ვერ წავიდოდი.

— რისთვის?  
— იქ ტოტლებენის რაზმები დაძ-  
რწიან. ვინმე შარს მომ-ებდა, ანა-  
ხანუმი გენერალთან კავშირს აბარს  
და ბესიკი ეხმარებაო. ეგ-ლა მეჭიე-  
რება!

— ეგეც სწორეა. პო, მაროლა, ახ-  
ლა გამახსენდა იოსებ მუშრითან შა-  
ლი. ბატონმა ბრძანა, ჩვენს მხელე-  
ებს; მდივნებს თოთრი დაურვივთო.  
წაღო რაც ვერგება შიილე, თორემ  
შერე ვეღარ ნახავ.

ბესიკი მაშინვე გაემართა სოლო-  
საკენ. მუშრებმა ორმოცდაათი გვერცხ-  
ლის მინალთუნი ვეფხვეფხვეფა  
უთხრა, ბატონმა გიბრძანა, ალა იბ-  
რეიმს დაუკავშირი და როგორც ის  
მოიქცეს, შენც ისე მოიქცეო.

ამ ცნობამ ბესიკი დააბნია. ირანში  
გასამგზავრებლად საკმაო ფულის გარ-  
და ოც კაცზე მეტი უნდა გააყოლო-  
და ამაღლად. შაჰისათვის კიდევ საჩუ-  
ქრები იყო საჭირო, ყოველივე ამას  
თადარიგი სჭირდებოდა და ამ არე-  
დარევაში უფულოდ, უამლოდ და  
ხელცარიელად ირანში წასვლაზე ფი-  
ქრიც აღარ შეიძლებოდა. ბესიკმა  
მაინც მოინახულა ალა იბრეიმი და მე-  
ფის ბრძანება მოახსენა. სოფდაგარი  
ძალზე შეშინებული იყო ჰირის გა-  
ჩენით და ისიც გასახიზნავად ემზა-  
დებოდა. ირანში წასვლაზე აღარც ის  
ფიქრობდა, რადგან თბილისიდან უკ-  
ვე საქონლის გატანა არ შეიძლებო-  
და. შაჰის სოჰბათ-ისაღლები მთლი-  
ანად დაუწვავდნენ საქონელს, რო-  
გორც კი გაიგებდნენ, რომ ეს საქო-  
ნელი თბილისიდან არის მოტანილი,  
სადაც შავი ჰირი მძვინვარებსო. აღამ  
ურჩია ბესიკს, გაყოლოდა ტანძრას,  
სადაც ის სახლთუხუცესის მოწვევით  
მიემგზავრებოდა და შემდეგ, რა-  
გორც მოგომარეობა უჩვენდა, ისე  
მოიქცეოდნენ. სიზარულთი აუციმე-  
მდა თვალში აღას მეღლე გულნა-  
რას, როდესაც ბესიკმა გაყოლაზე  
თანხმობა განაცხადა. ხოლო ჯავაი-  
რამ დაურიდებლად გამოსთქვა აღ-  
ტაცება:

— ბატონი მეფის მდივანი და ასე-  
თი მგოსანი თუ ჩენთან იქნება,  
ჩვენს ბედს ძალიც არ დაწყვეფს,  
წამობრძანდი, ბესიკ, და ჩიტის რძე-  
საც კი არ მოაკლემო.

შერე სტუმარი ალაათამდე გაატა-  
ლა, მიმოიხილა, ხომ არავინ გვიკმე-  
რისო და სწრაფად წახსურჩულა:

— დავითაც იქ იქნება.

თან ერთი მაგრად უჩქმიტა ბესიკს და ტერციალ-კისკისით სახლში შებრუნდა. ბესიკმა თავი გადააქნია, ძალზე თავაშეებულნი იყვნენ, უსაქმურობით განებივრებული დედაყვები. ჯავაირა არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ დავითი ახლად ცოლმერთული იყო და წინანდებური სილაღით ვეღარ გააბამდა ამ ქვრივ ქალთან მიჯნურობას, თამარის შიშით დავითი ვერც კი გაბედავდა შეხედნა ამ შავთვალასათვის.

შინ დაბრუნებისთანავე ბესიკი გამგზავრებლად მზადებას შეუდგა. მართალია, მას ბევრი არა გაჩნდა რა, მაგრამ, რაც კი ჰქონდა, ყველაფრის ჩალაგება იყო საჭირო. მოლარეთუხუცესს ორი მოზრდილი ხურჯინი გამოართვა, და პირველ რიგში, წივნების ჩალაგებას შეუდგა. ჯერ ერთი ხურჯინიც არ ჰქონდა თავმოკრული, რომ მოულოდნელად ოთახს კარი ანამ დაუითხავად შეიღო და ფარის კაბის შრიალით სწრაფად მიუახლოვდა.

— ბესიკ, — კენესასავით აღმოხდა ანას, და როდესაც ბესიკმა მის წინ ცალმუხლზე ჩაიჩოქა, ანამ მკლავები კისერზე შემოაქლო. — ბესიკ, მე დმანისს მივდივარ. წამოდი ჩემთან. თუ სასიკვდილოთა ვართ განწირულა, ერთად მოვკვდეთ, თუ რამდენიმე დღის სიცოცხლე გვიწერია, მინდა ეს დღეები შენთან გვატარო. შენ აღარ გახსოვარ...

— თქვენო ბრწყინვალეობა...

— არა დაიცა, არ მინდა შენი თავისმართლება. ვიცი, რომ გიმიძის ჩემთან ტრფობა. მე ბავშვი არა ვარ, არც ჩემი თავი მინდა ტყუილგზალოდ ვინუგეშო, მაგრამ... წამოხალ? ბესიკი აღგა. ანამ ხელი არ უშვა და კისერზე ჩამოკიდებული ახლა ქვემოდან ასცქეროდა ახოვან ქაბუტს.

— წამოხალ?

თვალეზზე ცრემლმომდგარი ტანმორჩილი ანა პატარა გოგონასავით ბუტავდა ტუჩებს.

— იქ მარტონი ვიქნებით. ანაკო დარეჯანს ვაახლუ. ციხედარბაში კარგი მაქვს, ლეინო ბევრი, ილხინი რამდენიც გუნებოს. წამოხვალ?

ბესიკმა წელზე მოხვია ხელეპანას.

ანა სიხარულით მიეკრა მკერდზე, რადგან მიხვდა, ეს თანხმობის ნიშანი იყო.

• • •

არა თუ იმავე დღეს, ბესიკმა მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვერ მოახერხა თბილისიდან გამგზავრება. მისი ცხენი ლეონის მხლებლებს წაყვანათ და არც ფიქრობდნენ დაებრუნებინათ. დმანისამდე კი დიდი მანძილი იყო. ანამ შესთავაზა ბესიკს საკუთარი ცხენი, თითონ კი ქმართან ერთად ურმით აპირებდა მგზავრობას. მაგრამ ბესიკმა უარი მოახსენა. მას იმედი ჰქონდა, ცხენს სადამოძღვრებრუნებდნენ და ანას ქარავანს გზაშივე დაეწეოდა. ბესიკმა მხოლოდ ხურჯინები გააყოლა ანას ბარვს.

შეიარაღებული ამალით გარშემორტყმული ანა გამგზავრა და ბესიკს ურჩია აჩქარებულიყო.

საღამოს უკვე მთელი სასახლე დიაცალა. ბესიკი მოუსვენრად წრიალებდა ეზოში და წამდაუწუმ ეკითხებოდა დარაჯებს, ჩემი ცხენი ხომ არ მოუყვანიათო. მეორე დღეს ცუად ქირით მაინც ემოვნა სადმე ან ცხენი, ან ჯორი, და ასახები დაგზავნა ქალაქის ყოველ მხარეს, მაგრამ ისინი ხელცარიელი დაბრუნდნენ. ვინაც კი ცხენი, ჯორი, ან ვირი ჰყავდა, ყველა იზიზნებოდა ქალაქიდან და ქრად თუნდაც ასი თუმანიც რომ მიგვეთ უარზე იყვნენ.

— ფეხით უნდა წაბრძანდეთ, — ურჩევდა ასასი გოგოლა. — საღან-  
ლულს რო გასცდებით, იქ ცხენსაც  
იმოვით ქირით და ჯორსაცა, აქ კი  
ტყვილებრალოდ ელოდებით. ეგ და-  
ხატული მაშეები გაიძრეთ, ერთ კარგ  
ჩვენებურ ქალამნებს ამოგისხამთ და  
ჰაიდა, ჰაი გაუღექით გზას.

— მერე და ქვეითს ცხენოსანი მო-  
თარეშე ლეკები რომ დამესხნენ  
თავს, შენი ქალამნები ცხენობას გა-  
მიწევენ?

— განა მარტონი იქნებით. სომ-  
ნები სუ იქით არ მიდიან? გზაზე რა  
გახედო, სუ იმათი ურემები ზოჩნან.

ბესიკმა ისევ ალა იბრეიში მოინახუ-  
ლა, რომელიც ჯერ კიდევ არ გაშ-  
გზავრებულიყო. მას ბევრი ბარგა  
ჰქონდა და აქლემებს ელოდებოდა.  
იღას უბანში ჯერ ქირი არავის შეჰ-  
ყროდა. ამის გამო ის არ ჩქარობდა.  
გულდამშვიდებით უეღიდა ავლად-  
დებას. ქარვასლის დარაბებს რაინა  
ურდულებით ჰკეტავდა და ზედ ვე-  
რა ბოქლომებს ჰკიდებდა, ძვირფას  
საქონელს და განძეულს კი მაფრა-  
შებში აწყობდა, რომ თან წაეღო.

— თქვენ კიდევ აქ ბრძანდებით? —  
ჰკითხა ბესიკმა საქითგართულ აღას,  
რომელიც ქარვასლის შუაგულ ადგი-  
ლას დახრილიყო და მაფრასას ჰქარ-  
გლდა.

— განა, რა გეჩქარებთ? — ხენუ-  
შით უპასუხა აღამ, მაფრასის თოკი  
ღონიერად მოზიდა, გადნასკვია, შეჰ-  
დევ გაიმართა და შეკრული მაფრასა  
მოსინჯა. — აჩქარებითა სოფელი  
არავის მოუტყამიო, არ გაგიგონია?

— მაშ ველოდოთ, სანამ ქირი არ  
შეგვეყრება?

— ჰე, ჩემო ბესიკ, თუ კაცს სიკ-  
ვლილი გიწერია, ბევრიც რომ ირბა-  
ნო, მაინც ვერ გააქევი. იმ უღეთოს  
უცნაური ზნე სჭირს. ზოგს დიმიტრი  
ორბელიანივით დაივიწყებს — გუშან

გაატარეს ურმით, აბა ის რა წასთყ-  
ვანი იყო. ზოგს კიდევ აკენამივე და-  
ეძგერება. ასეა.

— მაინც როდის მობრძანდებით?  
— დღეს თუ არა, ხვალ მაინც წა-  
ვალთ. ხომ მოდიხარ ჩვენთან.

— მე დმანისს უნდა ვეხლო მა-  
ტონის დას. ტანძიაც არ არის შორს  
იქედან. ახლოს ვიქნებით, მხოლოდ  
ჩემი ცხენი ვილატას წაუყვანია.

— ჰოო, როგორც გენებოს, —  
მშვიდად ჩაილაპარაკა აღამ და ისევ  
მაფრასებს მოუბრუნდა. — ცხენი მე  
არა მყავს. აქლემით მგზავრობას თუ  
იკადრებთ, შემიძლია გემსახურო.

— აქლემზე ჩემს დღეში არა  
ემგდარევარ.

— ჰოო, მაშინ არ გირჩევ. აქლე-  
მით მგზავრობა ღელეს დროს ხომ-  
ლდით მგზავრობასა ჰკავს. თუ შერ-  
ვეული არა ხარ, გულისრევა და პი-  
რიდან საქმება იცის. ისევ ცხენით  
გიჯობთ წამობრძანდეთ.

მეორე დღეს ალა მართლაც გაე-  
მგზავრა თბილისიდან. მას ორმოც-  
დაათამდე აქლემი მოჰკვარეს და  
გრძალდამწყკრებელი ქარავანი ზა-  
ნხალაკების ეღარუნით დინჯად გაუ-  
დგა გზას. ბესიკმა გულისწყვეტით გა-  
აყოლა თვალი წასულებს. სასახლეში  
რომ დაბრუნდა, ისეთი სიმატროვე  
იგრძნო, ისეთმა მწვავე სეედამ შეიპ-  
ყრო, რომ გადასწყვიტა. თუ საღამო-  
დე ცხენს არ დაუბრუნებდნენ, შეჰ-  
დევ დილას ფეხით გადგომოდა გზას.

ქალაქს სწრაფად ედებოდა ქირი.  
გოგია ფატრელის სიტყვით უკვე სა-  
მასზე მკტი იყო შეპყრობილი ამ სე-  
ნით, ხოლო ოცდათხუთმეტი მომე-  
დარიყო. ქალაქის ყოველი კუთხიდან  
ისმოდა გლოვატირილის ხმები და  
ზარების სამგლოვარო რეკვა. ხან-  
დახან შოკში მოჩანდნენ მისაფლა-  
ვენა, რომელთაც სულარაში შეხვეუ-  
ლი მიცვალებული საკაცით მიჰქონს



დათ სსაფლაოსაკენ. მიცვლებულებს პირველად ერთი ან ორი შინაური თუ აცილებდა, ხოლო შემდეგ ისანიც აღარ სჩანდნენ. მარტო მესაფლავენი დარბოდნენ ქლაქში და დღე-ღამე მუშაობდნენ. მოსახლეობა სახლებში ჩაიკეტა, ვერავენ ბედავდა გარეთ გამოსვლას. თუ რომელიმე სახლში ვინმე გახუბოდა ავად, შინაური ჯიშის წვერები მაშინვე გარეთ გამოიყვანდნენ, იქვე აწვენდნენ და ღვთისანაბარად სტოვებდნენ.

ერთადერთი ექიმი იყო პატრი ლეონარდო, რომელმაც გაბედა ქლაქში დარჩენა და ავადმყოფების მოვლა. მოჩვენებასავეით დადიოდა ქუჩებში და უცნაური ტანსაცმელით განწარულ სნეულებს სიკვდილის მოციქულივით უფრო აფრთხობდა, ვიდრე რაიმეს შეელოდა. ტანზე ფართო კაზის მსგავსი გრძელი შავი ჯუბა ეცვა. ასეთი ჯუბა ხუთი თუ ექვსი ეცვა ერთად. ბინად ქლაქგარეთ იდგა, და როდესაც ქლაქისაკენ მიდიოდა, თავის კართან ერთ ჯუბას იცვამდა, ქაბულას ბალთან — მეორეს, რომელიც ყოჩენი ჰქონდა დამალული, განქთან — მესამეს, ეს უკვე ერთ დედაკაცს ებარა, ბებერ მუხასთან — მეოთხეს, რომელსაც ფულუროში ინახავდა, ხოლო ქლაქის ბქესთან — მეხუთეს. თავზე ეხურა უცნაური ხუფი, წინ ბილურას ნისარტის მსგავსად წვეტილო, და გამორჩედილობდა თუ არა ქლაქში, მდებარე მელექნიები ასტეხდნენ ყვაროს: არიქა თავს უშველეთ, სიკვდილის ანგელოზი მოვიდაო. ლეონარდო მათ ყოყინს არავეითარ ყურადღებას არ აქცევდა, მშვიდი ნაბიჯით დადიოდა ქუჩებში და ავადმყოფებს ზოგს წამალს აწვდიდა, ზოგს ნიობის შიგნიდან მიყრობული ხმით ნუგეშს აძლევდა. ასანებს უბრძანა, კირი მოეზიდათ. წყალში გაეხსნათ და შუიბი მთლიანად ასეთი კირწყლით მოერწყოთ.

ასასები ერთგულად ასრულებდნენ ლეონარდოს ყოველქვე ბრძანებას და ისე გულმოდგინედ რწყავდნენ ქუჩებს კირწყალით, რომ მალე მთელი შუკები მთლად გადაათეთრეს. ქუჩებში მწოლიარე ავადმყოფებსაც კი ასხურებდნენ, წამალი ყოფილა, მოგიხდებათო.

სნება კი უფრო და უფრო ეღებოდა ყველას. დღეში უკვე ათეულობით სული კვდებოდა და არა თუ ავადმყოფის მიმხედავ, დამმარხავიც კი აღარავინ იყო. გლოვა და ტირილა მისწყდა. აღარც სამგლოვიარო ზარების რეკა ისმოდა. სამაგიეროდ განშირდა მთვრალეების უშვერი სიმღერები, დოლის ბავაბუგი, ზურნისა და საზანდრის შეწყობილი ხმები. სირაჯებმა მოხსნეს რუმბებს თავები და შეიქნა თავდავიწყებული სმა. ახლა საითყენაც არ უნდა გაგებდით, ყველგან მოჩანდა მოქიფეთა გუნდები. ხშირად რამდენიმე მთვრალი ყარაჩოლელი ჩამოივლიდა შუკას, ყოველ მიცვალბულთან, ან ავადმყოფთან შეჩერდებოდა და ერთი მათგანი იკითხავდა:

— ეს ვინაა, — ბაგრატა?

— ბაგრატა, — უპასუხებდა მეორე, ილღიაში ამოჩრილ ტიკიდან ჯამს აავსებდა და ერთერთ თავის ამფსონს მიაწოდებდა. — შაიწყალოს უფალმა.

— შაიწყალოს! — უპასუხებდნენ ყველანი.

— ეს ვილაა, ბეყუანთ თალალა? შაიწყალოს!

ხანდახან მოულოდნელად ისმოდა ავადმყოფის მისუსტებული ხმა:

— მე ცოცხალი ვარ.

— ვაჰ, ეგ კოდვ უკეთოსი! — უპასუხებდა რომელიმე ყარაჩოლელი, — ჩვენ კარგ სიტყვის შენც გაიგონებ, ჩვენ ეიკითხოთ, რომ არავინ აღარ გვეტყვის შენდობას. შენ კი ბედ

ექონია. ბიჭებო, შაიწყალოს ამისი სული.

— შაიწყალოს!

მოქიფებებს ღამლამობითაც არ ეძინათ და ღრიანცელს განაგრძობდნენ. ბესიკი ახლა სასახლიდან აღარ გამოდიოდა და ძილგამერთალს გათუნებამდე მოსვენებას არ აძლევდა ზურჩის ხმა და დოლის ზაგაბუგი. დილაობით კი ის აიენიდან გადაცქეროდა ქალაქს. საშინელ სანახაობებით თავზარდაცემული ბესიკი მზად იყო ფეხით გასდგომოდა გზას, მაგრამ უკვე არსად იყო თავისუფალი შუკა, სადაც შეიძლებოდა ფაქიხად გავლა ისე, რომ მიცვალბულს არ გადაყროდა, ან ავადმყოფის მიერ საშველად გაწვდილი ხელები არ წასტანებოდა. სნეულები კი ყველანი შველას ითხოვდნენ: ზოგს წყალი უნდოდა, ზოგს— წამალი, მაგრამ მათი მომვლელი არავინ იყო.

მწარე ფიქრებით შეპყრობილი აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, შემთხვევით ხსნა რომ არ მოვლენოდა. ერთ დილას თვალი მოჰყრა ტივს, რომელიც მტკერის შუაგულზე მძიმედ მოექანებოდა. ბესიკი მაშინვე ჩაყარდა მდინარის პირას და მტრევეებს ყვირილით ანიშნა ნაპირს მოსდგომოდნენ. მტრევეები რატომღაც გამგონენი აღმოჩნდნენ, ორთაყვირები მოიშარჯვეს და მალე მძიმე ტივი ნაპირს მოადგა. ბესიკი დაურიდებლად შედგაფუნდა წყალში და ტივზე ავიდა. მტრევეებს ბორჯომიდან მოჰყავდათ თავიანთი ტივი და ქალაქში გაჩენილი შავი ქირის შესახებ არაფერი იცოდნენ. ბესიკმა უბრძანა სწრაფად გასცოდნენ ნაპირს, და როდესაც ორთაქალის კუნძულს დაუახლოვდნენ, უკანასკნელად მოიხედა ქალაქისაკენ. ნარიყალას ციხე კუმბად ამართულიყო კლდზე. ბრტყელსახურავიანი სახლების საკვამურიდან აქაიქ ამოდი-

ოდა ბოლი და შორიდან ისე წყნარო იყო ქალაქი, თითქოს ~~არაფერი~~ მომხდარიყო.

გეგლინოთქანა

ორთაქალის ქვემოთ ბესიკი ნაპირზე გადმოხტა, მტრევეებს ერთი თეთრი მისცა და შეუნაბადასკენ ფეხით გაუდგა გზას. თელთში ბესიკმა ექვს მინალთუნად ერთი ბეხრეკი ცხენი იყიდა და მაშინვე გაემგზავრა დმანისისაკენ. გავიდა სარჯანის დიდ მანდორზე, რომელიც მეფის აქლემებზე სადგომს წარმოადგენდა. გზაზე სამა ადამიანი შენიშნა. ორი ჩაცმულობით რუს ოფიცერს გავდა, მესამე ვილაც დაერდომილი ქართველი უნდა ყოფილიყო. ყავარჯენით მიაბიჯებდა და ფეხებს მოწყვეტილივით მიაქანებდა. დაუახლოვდა თუ არა, იცნო ჩოგლოკოვი და დეგრალიე. შორიდანვე მზარულად მიესალმა და მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან. მგზავრები შეჩერდნენ. მოიხედეს. მათ ეგონათ მღვდარი თუ მოგვლევსო და შემკრთალნი უხერხულად შედგნენ. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ ჩოგლოკოვმა იცნო ბესიკი, გახარებულნი მივარდა და გადაეხვია.

— ეს შენა ხარ, პოეტო? როგორი მოხარული ვარ. ცოცხალი ხარ? საიდან მოდიხარ?

— თქვენ თითონ საიდან, ან სად მიდიხარ? — ბესიკმა ჩოგლოკოვისაგან თავი გაითავისუფლა, დეგრალიეს ხელი გაუწოდა, ხოლო მესამეს, რომელიც დაგლოჯილი ტანსაცმლით, უცნაურად გაზროილი წერტილვანითა და ილღიებში შეყუდებულა ყავარჯენებით ნამდვილ მათხოიარს ჰგავდა, მხოლოდ თავისდაყვრით მიესალმა და ისევ ჩოგლოკოვის მოუბრუნდა:—გაგათავისუფლეს?

— ჰო, გაგათავისუფლეს. — ჩოგლოკოვი ცდილობდა მარტივი გასაგები სიტყვებით ელაპარაკნა და თან რუსულს განგებ ისევ ამჯეროდ, როგორც ბესიკი. — ციქვი ყარაული ხარა და ჩვენ ფიტი! წამოვედით.

— შენ რომელი ხარ? — უცბად ჰკითხა აქამდე ჩუმადმდგარმა ქართულმა და ბესიკს დააკვირდა. — ველარ გიყან.

— გაბაშვილი ვარ.

— ზაქარია მოძღვრისა? — მგზავრმა უცნაურად გაიღიმა. — მე ველარ მიყან?

— ველარ? — ნელა გაიჭნია თავი ბესიკმა და თან მგზავრს აკვირდებოდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო. მისი საოცრად გაფითრებული სხე მოწმობდა, რომ ეს დაერდომილი დიდხანს მგდარიყო დილეგში და დღას სინათლე არ ენახნა.

— ალექსანდრე ამილახვარი აღარ გახსოვს? ან კი როგორ უნდა მიცნო.

— ალქსანდრე, ნუ თუ ეს შენა ხარ! — აღმოხდა ბესიკს.

— უცბად მოაგონდა ახალგაზრდა ღამაში ჰაბუკი ალექსანდრე, როდესაც ის მოედანზე სარანგებით გარშემორტყმული მორჩილად ელოდა სასჯელს, როგორც პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილე ერეკლეს წინააღმდეგ. ჯალათმა მაშინ ალექსანდრეს ფეხის ძარღვები გადაუჭრა და დაწყვიტა, რადგან სასამართლოს გამორეკვივ, რომ ახალგაზრდა თავადი შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა შეთქმულთა შორის და მეფეს ებრძანებინა, ფეხის ძარღვები დააჭერიო, რომ ნაბიჯი შეუძროკლდესო. ჯალათმა ერთგულად შეასრულა ბატონის ბრძანება და ალექსანდრეს შემზარავმა კვიცილმა მაშინ სასიეროდმოსული ბრბოც კი შეადრწუნა.

— ეს მე ვარ, მე, — უთხრა ალექსანდრემ. — ველარ მიყან ვანა? ან კი როგორ მიცნობდი, წინათ კაცი ვიყავი მფლობელი თავადი ძლიერი, ახლა მათხოვარსა ვგაჟარ და სამოწყვადლოდ ვგამიხზა სვეტი. შენ როგორა ხარ? მამაშენი ცხად ხარის? უწყდა მწარედ ამოიოხრა — ალექსანდრემ დააღიჯა.

მამაშენსაც უნდა ვემაძღლოდე ჩემს ამ დღემდე მოყვანას. მამაშენი ილევია ამილახვართა გვანდობიერად. ეგონა, ერეკლე დამხსოვნესო, მაგრამ არც თითონ დაადგა კარგი დღე. ახლა სად არის?

— რუსეთს გარდაიხევეწა.

— რუსეთს! მალე, ალბათ, ეგ ვეშაბი მთელ საქართველოს რუსეთში გადაასახლებს, წვიდეთ, რას დაედექით! — სიქვა ალექსანდრემ.

— თქვენ სად მიღიხართ? — ჰკითხა ბესიკმა.

— აბა, რა ვიცი. იქნებ სადმე ცხენები ვიშოვნოთ და შემდეგ მანგლისზე მოვლით ახალგორს მივინდა ავიდე. იქიდან კი რუსეთს გავემგზავრები.

ბესიკმა თავაზიანად დაუთმო თავი. ნი ჯაგლაგი ალექსანდრეს, რომელიც დიდს გაკირუებით და სამივე თანამგზავრის დახმარებით შეჯდა ცხენზე და ყველანი გზას გაუდგნენ. როდესაც ბესიკი ალექსანდრეს ეშველებოდა, ისეთი შმორისა და სიმყარლის სუნი დაეტაკა, რომ თავი უნებურად განზე გასწია. ალექსანდრემ შენიშნა ეს და მწარე ღიმილით უთხრა:

— შეგაწყუხა გათა ჩემი სამოსის სუნმა! რას იზამ, ასეთია დილეგში ყოფნა! კაცი შენივე თვლით ნახავ საკუთარ ხრწნილებას. არა უშავს რა, თუ ვიცოცხლე, გადაეხზი ერეკლეს ჩემს წამებას. თუმცა, ხომ ხედავ, რომ მარტო მე არ ჩამავლო ასეთ დღეში. იმდენად ცოდვიანია, ახლა მთელი ქალაქი ეამით უწყდება.

— ოჰ, ეს რა ღეთისრისხვა მოგეველინა, — მწარედ ამოიოხრა ბესიკმა და თბილისისკენ მიიხედა, თითქმის სურდა, ერთხელ კიდევ დაენახნა საყვარელი ქალაქი.

თბილისი აღარ ჩანდა. მხარ მარჯვნივ კემისის ტბა ლაღივებდა და იმის იქით შეჩნებადას მწენე ფერდობები მოჩანდა. ბალახი ჯერ კიდევ არ იყო გადაჩუქული მზისაგან.

დაბა კუმისამდე ბერი გზა არ იყო. იქ გაქეულები იმედოვნობდნენ ცხენების შონას. ალექსანდრე გზადგზა უამბო ბესიკს თავგ-დ-სავალი და მომავალი განზრახვა. ალექსანდრეს რუსეთში წასვლა ჩოგლაკოვთან ერთად იმისთვის სურდა, რომ ეს გზააბნეული ოფიცერი პირდებოდა იმპერატრიცასთან წარდგენას და დახმარების გაწევას. თავის მხრივ ალექსანდრე აღუთქვამდა ჩოგლოკოვს და დეგრალიეს პეტერბურგამდე საკუთარი ხარჯით ჩაყვანას და სათანადო მფარველობას, თუ კი გზაში მოზღოვისა და ყიზლარის კომენდანტები დააპირებდნენ, ტოტლებენის მოთხოვნის თანახმად, ამ ორ ოფიცრის დატუსაღებას.

„მკედარი მკედარს აეკიდა, როგორმე სამარემდე მიმიყვანო“, გაუელვა ბესიკს, როდესაც მათი საუბარი მოისმინა.

ალექსანდრემ გამოჰკითხა ბესიკს, თუ როგორ ცხოვრობდა ის თბილისში მამის განდევნის შემდეგ და როდესაც გაიგო, რომ ბესიკი ანახანუშა შეეკედლებოდა, ხოლო ერეკლეს თავის მდივად დენიშნა, მაშინვე გესლიანად წამოიძახა:

— მელას დამხედეთ, ვითომ ანახანუშს პატივი სცა და ნამდვილად მისივე ოჯახიდან მსტოვარი გაიჩინა. იცი რა გითხრა, ჭაბუკო, შენ ანახანუშს ვერ უღალატებ, ხოლო ერეკლესთან პატიოსნებით შორს ვერ წახვალ. ახ დილეგში ჩაგალობს, ან თავს მოგვეთავს. ამ რუსებსაც რა უყო, ხომ ხედავ. ისევ გიჯობს გაცალო და ჩვენთან წამოხვიდე. მოსკოვს მამაშენთან მიგიყვან, და მერე, როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეც.

ბესიკმა მადლობა მოახსენა და მათთან მგზავრობაზე უარი განაცხადა. კუმისში ალექსანდრემ ცხენპატრონს ჩააბარა და ოფიცრებთან ერთად შეუდგა ქირით ცხენებს.

შონის თადარიგს, ხოლო ბესიკა მოახტა თავის ჯახრაკს და გაუდგმა გზას დმანისისაკენ.

დმანისის ციხე-სიმაგრე ასიოდე წლის წინათ წილად რგებოდა დიმიტრი ორბელიანის პაპას — ყაფლანს. მას დაქცეული კედლები შეეკეთებინა, ალაგალაგ გალავანიც მოემატებინა, ხოლო ციხის შიგნით ქვიტკორის სასახლეც აეგო საცხოვრებლად. შემდეგში ყაფლანის მემკვიდრეებმა თითქმის მიიფიწყეს ეს ციხე, რის გამოც მისი კედლები კვლავ დაზიანდა, სახურავები ჩაინგრა, და მალე მთლად გავერანდებოდა, რომ დიმიტრი ორბელიანს, ანას დაეინებული რჩევით, კვლავ არ განეახლებინა. ანა თვით ზელმძღვანელობდა ციხე-ღარბაზის შეკეთებას. შემდეგ ყოველ ზაფხულს აქ ატარებდა. ბოლო ხანებში ანამ ქმრის ლოგინად ჩავარდნის გამო კვლავ მიიფიწყა ეს მომხიბვლელი კუთხე. თუმცა მოურავი არ წმუნებდა იქ ყოველივე რიგზეაო, ციხეღარბაზს მაინც დატყობოდა უპატრონობა. მეციხოვნეებს ყველაფერი გავერანებინათ, ღარბაზებში და ეზო-გარემო ნაგევით აევსოთ, კარები მოეხსნათ და სწოლ ტახტებად გადაექციათ, ფანჯრის მინები ჩაელეწნათ, ხოლო აივნის მოაჯირები, ხარისხები შეშალ ეხმარათ.

ანას თავზარი დაეცა, როდესაც თავისი საყვარელი კუთხე ასე გავერანებული დაუხედა. მაშინვე აფრინა კაცო ტანძიას და მოურავი დაიბარა, რომ მისთვის პასუხი მოეთხოვნა, მაგრამ მოურავმა თავი მოიკიდებინა და ქალბატონს არ ეახლა. ანა იძულებული იყო თითონ შესდგომოდა საქმეს. ახლომახლო სოფლებიდან გლეხები დაიბარა და ციხეღარბაზის

შეკეთება დააგალა. <sup>✓</sup> დმანისში გლეხებმა რამდენიმე მიტოვებული და მშვენიერად ნაგები ქვიტკირის შენობა დაანგრეს, რაც ამ სახლებს ხის მასალა შერჩენოდა—ღრეები, გადასაყიდები, კარფახურების ჩარჩოები, სვეტები, — ყველაფერი ციხეში აზოდეს. ზოგი ფიცრებად დახერხეს, ზოგი ხარიხებად და მოაჯირის სვეტებად დათალეს და სასახლის შეკეთებას მოახმარეს. ერთ კვირაში სასახლე უკვე მალად იქნა აღდგენილი, დაგვილ-დასუფთავებული, და ანას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ფანჯრებში, მინების ნაცვლად გაპოხილი ქალაღები გააკრეს. მინა მაშინ მარტოდენ თბილისსა და თელავში იშოვნებოდა, ხოლო ერთგან ქირი მძვინვარებდა, მეორე კი ძალზე შორს იყო და ამიტომ მინებზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ანას ეს საგარაკო ორსართულიანი სასახლე სულ სამი ოთახისაგან შესდგებოდა. ერთი დიდი ოთახი ქვემოთ იყო, რომელსაც დიდი ბუხარი ამშვენებდა. ეს ოთახი სამზადად და სასადილოდ ჰქონდათ. ზემოთ ერთი ოთახი დიმიტრის ეჭირა, მეორე კი — ანას და მის მოახლე გულვარდისას. მსახურთა ციხის კოშკების სენაკებში ცხოვრობდნენ, გარდა ერთი კოშკისა, რომელშიც ანამ არა თუ მსახურთ, არამედ მეციხოვნეებსაც კი აუკრძალა შესვლა. ეს კოშკი სამი სართულისაგან შესდგებოდა და მას ორი საიდუმლო გვირაბი ჰქონდა. ერთი ციხის კედელში იყო დატანებული და სასახლეს უერთდებოდა, ხოლო მეორე მიწის ქვეშ იყო გაპრილი მდინარე მაშავერას ნაპირამდე. ანამ უბრძანა კოშკი განსაკუთრებით დესუფთავებინათ, შუა სართულს ოთახი ხალიჩებით მოეფინათ და ბესიკის ორივე ხურჯინი იქ აეტანათ. შემდეგ გლეხებს უბრძანა სურსათი

და შუა მიეზიდნათ და გულშევიდად დაუწყო. ლოდინი ბესიკს ბესიკი კი არ ჩანდებოდა. ანას ვარაუდით მას დიდი-დიდა სამ დღეს დაგვიანებოდა, მაგრამ აგერ ათ დღეზე მეტი იყო, არა თუ მოდიოდა, რაიმე ამბავსაც კი არ იტყობინებოდა. ანა ჯერ ფიქრობდა: ვაი თუ იმასაც ქირი შეეყარა და სადმე სული ხდებაო. შემდეგ ეგონა, იქნებ ბატონმა დაიბარა და იქ გაემგზავრაო, მაგრამ ორივე ეს მოსაზრება თანდათან განდევნა იქვას გრძნობამ. ნათლად ხედავდა ანა, რომ ბესიკს მძიმე ტვირთად აწვა მასთან მიჯნურობა, მუდამ ერიდებოდა ანასთან შეხვედრას, და თუ შეხვდებოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს შეშინებული ფრინველივით, გაფრენას აპირებდა. სახეზე არასოდეს არ აღბეჭდვია აღტაცება ანასთან შეხვედრის გამო და ყოველივე ამის წარმოდგენა მძიმე ტკივილს იწვევდა ანას გულში.

თანდათანობით დარწმუნდა ანა, რომ ბესიკს, ახალგაზრდა ჭაბუკს, სხვა ვიღაც უყვარდა და ვერ ბედავდა ეს ანასთვის გაემხილნა, ვერ ბედავდა უარი ეთქვა ბატონის დიამიძალბებულ ტრფობაზე.

საოცარი შეურაცხყოფის გრძნობამ მოიკცა ანა. გაბრაზდა, რომ ასე იმცირებდა თავს და მათხოვარივით ევედრებოდა თავისთვის შეუფერებელ ჭაბუკს, ეწყალობებინა ანასთვის ოდნავი ყურადღება.

მოსვენება დაჰკარგა.

დამეგები აღარ ეძინა.

ფიქრები ერთმანეთში ირეოდნენ. ქმრის ოხვრა, ზარმაცი ძალივით ხმაშალაობი მთქნარება და ჭამისთვის მუდმივი ზღუქენი სულს უხუთავდა და ისე გამოჰყავდა მოთმინებიდან, რომ ერთხელ ღამით აბრეშუმის საბანი სიბრაზისაგან სულ ნაკუწებდ აქცია, გულვარდისამ კარგად იცოდა

ქალბატონის კავშირი და ცდილობდა როგორმე დაემშვიდებ ნა იგი.

— სისხლის ბრალია, ქალბატონო, ყოველივე. დალაქი ვიხმოთ, სისხლს გაგიღებს, დამშვიდდება, დაწყნარდება და ყოველივე დაგაგიწყნარებს. აბა რად იკლავ თავს!... — უთხრა გულვარდისამ ანას, როდესაც ის უცბად ლოგინიდან წამოიჭრა და ჩაცმა დაიწყო.

ანამ ხშირად იცოდა ციხის გაღწევაში გასვლა ღამით და კავშირის განსაქარებლად სერიზობა. გულვარდისაც იძულებული იყო ყოველთვის ხლებოდა ქალბატონს.

— დამშვიდდი, შენი ჰირი შემეყაროს, მოისვენე!

ანამ არ უპასუხა გულვარდისას. ლოგინზე ჩამოჯდა და თმაგაშლილი, ტუჩებმოკუმული ისე დაეყრდნო ხელეზით ტახტს, თითქოს ადგომა აპირებდა. უცბად გადასწყვიტა ხელებისთვის დმანისიდან ეპისკოპოსი ეხმომო და გულახდილად ეთქვა აღსარება. ეს იყო ერთადერთი ხსნა, რათა მოეპოებინა სიმშვიდე და საშუალოდ დაეთრგუნა თავისი გრძნობები. ანა ისევ დაწვა ლოგინში, გულვარდისამ ბნელაში ხელების ფათურით მოსახებნა მეორე საბანი და ქალბატონს გადაადგარა, თან ყურთან წასწერჩულა:

— ნუ დარდობ, მოვა.

— ვინ? — სწრაფად ჰკითხა ანამ და თითქოს პასუხის ემინოდა, მაშინვე დასძინა. — განკითხვის დღე უკვე მოვიდა. მეტი აღარავინ აღარ მოვა.

მეორე დღეს ეპისკოპოსს ცხენი გაუფხავნა და ციხედარბაზში მობრძანება სთხოვა. თან ბოდინში შეუთვალა, მოხუცი და უძლური ბრძანებები, თვით უნდა გხლებოდი, მაგრამ შეუძლოდა ვარ, ამიტომ პატივი დამღევით და თუ არ შეწყუხდებათ, მინახულეთო.

ეპისკოპოსი დომენტი, მართალია ძალზე მოხუცებული იყო, მაგრამ ჰარმავიობა საკმაოდ შერჩენოდა და

დიდი თანამდებობის მიუხედავად თავდაბლობა საამაყო თვისებად მიანდა. თუმცა ბერადმშვიდგარე, მშვიდმივი სიღინჯე და ამქვეყნიურ სიამოთაგან თავდაჭერა შეეფერებოდა, ის მიუხედავად ამისა საოცრად მხიარული, ოხუნჯი და მოსწრებული სიტყვის ადამიანი იყო. ისეთი გულღა სიცილი იცოდა, რაგინდ კრიკაშეკრულიც არ უნდა ყოფილიყო ადამიანი, მაინც აიყოლებდა და გააციუნებდა.

დომენტი მაშინვე ეახლა ანას, ძხარული ჰოთჰოთით შევიდა დარბაზში და შორიდანვე მიამახა:

— ჩვენი კუთხის მშვენებას, თამარ დედოფლის შესადაარს, კურთხევა! დაიცა, შენ ანას შევილიშვილი ხარ, თუ თვით ანა.

— ოჰ! მამაო, სულ აგრე უნდა იხუმრო? — უპასუხა ღიმილით ანამ. — განა ბერს ცოდვად არ ეთვლება ხუმრობა!

— სახარებაში სწერია: „და ოდეს შეგიყვანენ თქვენ შესაკრებელთა და წინაშე მთავართა და ხელმწიფებთა, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ რა სიტყვა მუუგოთ ანუ რა ჰსთქვათ. რამეთუ სულმან წმიდამან გასწავოს თქვენ მას ეამსა შინა, რა იგი სთქათ“. მე რა ძალა მაქვს, რომ სულიწმიდას, რომელმაც შთამინერგა ასეთი თვისება, ვეურჩო და განეარისხო.

„იქნებ მეც სულიწმიდამ შთამინერგა აღსარებით მოვიპოეო სიმშვიდე, — გაუელვა ანას. გათენებისთანავე ანას უკვე აღარ სურდა საიდუმლოების გამხელა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და ახლაც ცდილობდა დაეჯერებინა თავი, რომ მისი ხსნა გულწრფელ აღსარებას შეეძლო.

ეპისკოპოსი კი მხიარულობას ვანაგრძობდა და მხოლოდ ერთხელ შეიქმუნა, როდესაც მათი საუბარი თბილისში გაჩენილ ჰირს შეეხო. მამ პირჯვარი გადაისახა, ლოცვა წარმოსთქვა და ანას ამოოხვრით უთხრა:

— ნუგეშად ის-ღა დაგვრჩენია, რომ უფალი განალებს ბჭეთა სამოთხისათა და დაუმკვიდრებს სასუფეველს ამქვეყნად ტანჯულთ. ჰეშმარიტად განგვირისხებია უფალი, რომ ასეთი სასჯელი მოუვლინა ჩვენს ქალაქს.

ანამ ხელსაყრელად ჩასთვალა ახლავე ეთქვა ეპისკოპოსისათვის განზრახვა აღსარების შესახებ. გული გაიმაგრა და ის იყო დააპირა კიდევ საუბრის დაწყება, რომ ამ დროს დარბაზში ფრთხილად შემოვიდა გულვარდისა და ანა, მოახლის სახის გამომეტყველებით, მაშინვე მიხედა, რომ ბესიკი მოვიდა.

— რა გინდა, გულვარდისაე? — ხმის კანკალით ჰკითხა ანამ.

— არაფერი, ქალბატონო, თქვენ ხომ არა გნებავთ რა?

— არა! — თითქოს უარის ნიშნად გაიქნია თავი ანამ, მაგრამ თვალბის გამომეტყველება და ეს თავის გაქნევა კითხვას ნიშნავდა: „არა?“

გულვარდისამ ასევე ოდნავი თავის დაქნევით ანიშნა „ჰო“ და მაშინვე გარეთ გავიდა.

აღლევებისაგან ანას სუნთქვა შეეკრა, მაგრამ შეეცადა თავი დაეკვირა და დომენტისთან საუბარი განაგრძო. შემდეგ თავაზიანად წაუძღვა საპატიო სტუმარს და დიმიტრისთან მიიყვანა. ეპისკოპოსმა სათანადო ლოცვა-კურთხევის შემდეგ მაშინვე დაუწყო ხუმრობა დიმიტრის.

ანა მაშინვე ოთახიდან გავიდა.

მეორე ოთახში ანა ჯერ ერთ ფანჯარას ეცა, შუბლის ქინძისთავით ქალღივი გახვრიტა და ეზოში გაახედა, მერე — მეორე ფანჯარას, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ისევ აივანზე გავიდა და მხოლოდ მაშინ მოკრა თვალი ბესიკს ციხის ალყათან. ციხისთავს მისთვის ჩამოერთმია ცხენი, რომელიც ჯერ ისევ სადავით ეჭირა და სტუმართან თავაზიანად საუბრობდა.

გულვარდისას თუნგი, პირსაზოცი და საპონი მიეტანა და შორიახლო მორიდებით ელოდებოდა.

ახლა მთლად ხახში შესულს ჰგავდა ბესიკი. სახე მზისაგან დასწვოდა და კარგა ხნის უპარსავი წვერი ღამაზად შემოზარდოდა.

ანა ისევ შევარდა ოთახში, სარკეს ეცა, ჩაიხედა და თავისთავს გაუღიჰა. შემდეგ ტანსაცმელი შეისწორა, სამკაულები აისხა და მიჯნურს ქვემო სართულში შეეგება. ბესიკს პირი დაეხანა, ტანსაცმელი გაებერტყნა და ტალღებად აშლილი თმები უკან ღამაზად გადაეყარცხნა.

მორიდებული თავაზიანობით შეეგებნენ ორივენი ერთმანეთს. ანამ შეატყო, ბესიკი ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ყველაფერს.

— როგორ მოგეწონა ჩვენი სამყოფელი? — ჰკითხა ანამ.

— აქ წინათაც ვყოფილვარ, თქვენო ბრწყინვალეზე, — უპასუხა ბესიკმა, — თქვენ მაშინ თბილისში ბრძანდებოდით. ლორეს რომ ვახლდი ბატონიშვილს, იმან მაჩვენა გზიდან; ეს მაშიდას ციხედარბაზიო.

ანამ დაწვრილებით გამოჰკითხა დაგვიანების მიზეზი და ქალაქის ამბები. როდესაც ვაიგო, ქალაქში ჰქირა ასე საშინლად მძვინვარებდა, გადარჩენა მიულოცა და თან ტირილი აუვარდა.

— ეს რა უბედურება მოგვევლინა, — სთქვა სლუკუნით ანამ, — ისედაც ბეჩაეებს ეგ-ღა გვეჭირებოდა. სად დავიფანტენით უპატრონო ფარასავით ტყე-ღრეებში, რას ემსგავსება ჩვენი სამეფო. ჩემი ძმა ალბათ თელავს წაბრძანდა. კიდევ კარგი, ეს მეორე ქალაქი მაინც გვაქვს, თორემ სად უნდა დაეზინავებინა ამდენი მოხელენი და სამეფოს მსახურნი. შენც მალე დაგიბარებს თავისთან, მაგრამ, — ანამ სული მოითქვა და გაიღიმა, — მე არ გავიშვებ აქედან. ახ-



ლა წაბრძანდი, შენი ოთახი ნახე კოშკში, როგორ მოგეწონება.

გზაჯვარებისაგან დაღლილი ბესიკა შევიდა თუ არა თავის ოთახში, მაშინვე გაუხდელად წამოწვა და მაკრად დაეძინა. მოახლე რამდენჯერმე მოვიდა და ჯერ სამხარზე, ხოლო შემდეგ ვახშამზე ეპატიებოდა, — მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა მისა გაღვიძება.

უკვე თენდებოდა, როდესაც ბესიკმა თვალი გაახილა და მიმოიხედა, პირველად აღარც კი ახსოვდა, თუ სად იყო. ღია კარიდან, რომელიც ცხედარბაზის ეზოს გადაჰყურებდა, მოჩანდა განათებული ცა და ოდნავ-შეწითლებული ღრუბლები.

სიჩუმე იყო და სადღაც შორს მამალები ჰყიოდნენ.

ბესიკმა თვალები მოიფშენიტა, დილის სიცილით შეერყოლებულმა მკლავები აიჭნია, შეხურდა და გარეთ გამოვიდა.

ციხის ალაყაფთან, დაფრთხილ ცეცხლთან, ქვაზე ჩამოძვარარი თოფიანი დარაჯი თვლემდა: იქვე ეძინა დიდ ბანჯგვლიან ნაგაზს. მას ცხვირი ნაცარში წაერგო. იგრძნო თუ არა, ეზოში ვიღაც დადიოდა, მაშინვე ცქვიტა ყურები და მხოლოდ ერთხელ დაიყუდა.

დარაჯი შეირხა და როდესაც ეზოში ჩამოსულ ბესიკს მოჰკრა თვალი. ნაგაზს შეუტია.

— იწექ, თოლიავ.

თითონ კი ფეხზე წამოიჭრა და საბატიო სტუმარს მორიდებულად შეეგება.

— აღრე აბრძანებულხარ. დილა მშვიდობისა!

— იცოცხლე! — ბესიკმა ცეცხლს მიამურა. — როგორ ცივა, კაცო.

— აქ განა თბილისია, — ჩაიციანა დარაჯმა. ნაგაზს წიხლი ჰკრა და ბესიკს ქვა დაუდგა ცეცხლთან, შემდეგ ნალვერდალი მიჭექა და ზედ ხმელი

ფიჩხი დააყარა. — აქ შაგირი მატროია, დილაობით ხანდახან ესეც ცივდება. ესე დაეძინა და დააწყებინა.

— შენი სახელი?

— მგელიკა.

— ხევსური ხარ?

— არა. აქაური. პაპანეში თურმე იქედან ყოფილა და ჩემი ბატონის მამას მსახურებდა. მერე აქ დასახლებულა, აქაური ქალი შეურთავს, ეს თოფიც იმისი ნაჭონია.

ხმელი ფიჩხი ჯერ აბოლდა და შემდეგ თავისით აბრიალდა. ბესიკმა ხელები მიუშვირა ცეცხლს, თავი განზე გასწია, რომ მწვავე ბოლისთვის თვალები აერიდებინა, და დარაჯს ჰკითხა:

— მგელიკავ, აქ სანადიროები კარგია?

— რატომ. ძლიერ კარგია. კერუთის მთაში იმოდენა ირმების ჯოგებია, ნახირი გეგონება. ლორეს თუ წაბრძანდებით, იქ კიდევ ტახების მთელი კოლტები ეგრე დაურიდებლად, შინაური ღორებრვით სძოვენ ბალახს. ბოლოლის მთაში და ქვემოთ ბოლნისისაკენაც ჯეირნები გახლავთ. — მგელიკას საოცარი გამოცოცხლება დაეტყო. სანადირობა მისთვის უდიდესი ზეიმი იყო და ახლა აღტაცება იმით გამოხატა, რომ ცეცხლს კიდევ დააყარა ხმელი ფიჩხი. ნაგაზს, რომელიც ცეცხლს ეტანებოდა, მოსაუბრეებს ჰკვიანი თვალებით უცქეროდა და მოკვეთილი კუდის ნარჩენის სასაცილო მოძრაობით ცდილობდა მათი ყურადღება მიეპყრო, თოფის კონდახი უთავაზა და ბესიკს ჰკითხა: — მალე ინებებთ წაბრძანებას სანადიროდ?

— როდის აჯობებს, შენ როგორ ფიქრობ?

— ნაწვიმარზე სჯობია. ახლა მიწა ფიცხია და ფეხისხმაზე ნადირი დაფრთხება.

— განა ფეხისხმა აგრე შორს მდის?

— ი, მიდის და აგრე! რამდენჯერ



მძინებია ან ლაშქრობის დროს ან ისე, მინდორში, ყური მიწაზე მდებია და ცხენის ფეხისხმას გავუღვიძებია. გაიხედავ, არაეინ არის, დაადებ ყურს მიწას, ისმის. ცხენოსნები მოდიან. შემდეგ, ჰე, ჰეეე, როდის გამოჩენილან მხედრები. ძალიან შორს ისმის.

— მაშ ნაწვიმარზე სჯობია.

— ნაწვიმარზე ისე მიეპარვი ნადირს, რომ მგონია ხელითაც დაიჭერ. უკი რამდენი ხანია სანადიროდ არ წავსულვართ. ბატონი დიმიტრი რაც დაუძღურდა, მას მერმე ჩვენს სანადიროებს არაეინ გაჰკარებია.

— მაშ წავიდეთ, ჩემო მგელიკავ, დიმილით უთხრა ბესიკმა.

— ციხისთავს უნდა უბრძანოთ, გამომიშვას, თორე ისე არიან დანატრებული ბიჭები ნადირობას, რო ყველა თქვენთან ხლებას ისურვებს.

— ვეტყვი, ვეტყვი.

— ირემზე ახლა არ ვარგა ნადირობა, — განაგრძო აჩქარებული ფუსფუსით მგელიკამ, თითქოს იმ წამსვე აპირებდნენ წასვლას. — ახლა ისევ ჯეირნებზე წასვლა სჯობს, ირმებზე ენკენისთვეს უნდა ნადირობა, ყვირილობის დროს. მაშინ ხარი ფურს უხმობს და ადვილია მიპარვა. გიორგობისთვეს კიდევ ტახებზე. ჯელგით ნადირობას თუ ისურვებთ, ყოველთვის შეიძლება წაბრძანდეთ, მხოლოდ წვიმა თუ არ მოვიდა...

მგელიკამ ცას ახედა და თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია. ამინდს კარგი პირი უჩანდა და საეჭვო იყო, რომ შეცვლილიყო.

— აბა, ნახე ჯიბრზე თუ ახლა სულ გვაღვები არ დაიჭიროს, — ნაღვლიანათ ჩაილაპარაკა მგელიკამ. შემდეგ უცბად გაახსენდა, ორ სამ დღეში მთვარე უნდა შეცვლილიყო, და სიხარულით წამოიძახა: — გაავდარდება!

— აბა რა იცი?

— მთვარე ხეალ უნდა გამოიკვალოს. იპი ეგ როგორ ეტყვი, გამახსენდა. აი თეთრი ღრუბლებზე ვიხედავ მთვარეს. ასეთმა ღრუბელმა აედარი იცის. ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ. ჩვენ ოლონდ თოფები დავმართოთ, ვახუნები თოფის წამლით ავაესოთ და ტყვიები ჩამოვასხათ, მანამდე წვიმაც მოვა.

— თოფი კარგი გაქვს? მარვენე.

— ეპ, ეს რა სახსენებელია ბატონის თოფთან, — გაუწოდა თავის ხირიმი მგელიკამ. — თქვენ თუ ბატონის თოფს წამოიღებთ ნადირობა მართლაც ეღირება. სულ ერთია, ახლა იმას თოფის გასროლის თავი აღარა აქვს.

— განა რა არის ისეთი? — ჰკითხა მგელიკას თოფის თვალღერებით გართულმა ბესიკმა.

— რა არისო! ჯერ ერთი ისეთი მსუბუქია, გინდა ლერწმის ჯოხი გვერია ხელში, გინდა ისა. ისეთი თხელი ტუჩი აქვს, გეგონება ხელი რო მოვუჭირო, გავეყლუტო. დამასკოს ფოლადისაგან არის ნაჭედი. სუ ოქროს ჯაგარი აყრია. ის თოფი მომცა და მერე არც კამა მინდა, არც სმა. ისე ვიცხოვრებ.

ციხე-დარბაზის ეზოში გამოჩნდნენ გაღვიძებული ფარეშები, მეციხოვნენი და მოახლეები. ყველამ საქმეს მიჰყო ხელი. ბესიკმა თოფი მეციხოვნეს დაუბრუნა და პირის დასაბანად წყაროსკენ გაემართა. ეს წყარო ციხის ეზოში, სამი ეჯის მანძილიდან, თიხის მიღებით იყო გამოყვანილი და ერთ დროს ბლომად მოედინებოდა. დროთა განმავლობაში წყლისდენას თანდათან ეკლო და ახლა ოდნავ მოწანწყარებდა.

ბესიკმა ღარს პეშვი მოუშვირა და პირის ბანის დროს სიამოვნებით ადევნებდა თვალს ბაჯბაჯა იხვებს, რომელნიც ხმაურით წყალში ჰყუმბალობდნენ.

## ახალგაზრდა გეორგია

რომანი \*

ალექსანდრა ზაქარაიძე

★

### თავი მეთოთხმეტი

იმპე დღეს, როდესაც მათე შულ-  
გამ დასტოვა ოსმუხინების ქოხი, იგი  
გაემართა კრასნოდონის გარეუბანში,  
რომელსაც ძველებურად „გოლუბია-  
ტნიკს“ ეძახდნენ, და ეწვია თავის  
პარტიზანობის დროინდელ მეგობარს  
ივანე კონდრატეს-ძე გნატენკოს.

ისე, როგორც კრასნოდონის სხვა  
მრავალი რაიონი, ეს გარეუბანიც  
სტანდარტული სახლებით იყო მოფე-  
ნილი, მაგრამ მათე კონსტანტინეს-ძემ  
იცოდა, რომ კონდრატეს-ძე წინანდე-  
ბურად საკუთარ პატარა ხის ქოხში  
ცხოვრობდა; ეს იყო ერთი იმ უცნა-  
ური ქოხთაგანი, რომელთა გამო ამ  
გარეუბანს გოლუბიატნიკი შეარქვეს.

დააკაუნა თუ არა სარკმელზე, კა-  
რებში გამოჩნდა ბოშა ქალის მსგავსი,  
ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა,  
მაგრამ გათქვრიებული და მოუვლე-  
ლი, თუმცა არც თუ ისე ღარიბულად  
ჩაცმული ქალი. კოსტიევიჩმა უთბრა  
მას: აქ გავლით ვარ, ივანე ეგნატეს-  
ძეს ნახვა მინდა, თუ შეიძლება მოხუ-

ცი ქუჩაში გამოვიდეს, სალაპარაკო  
მაქვსო.

და იქ, ქოხის უკან გაშლილ ტრა-  
მალზე, სადაც დაბლობისაკენ დაეშე-  
ნენ, რომ თვალში არ სცემოდნენ  
სხვებს, როდესაც ჯერ კიდევ მოის-  
მოდა შორეული საარტილერიო სრო-  
ლა, ერთმანეთს შეხედნენ მათე შულ-  
გა და ივანე გნატენკო.

ივანე გნატენკო, ან უბრალოდ კონ-  
დრატოვიჩი, იყო ერთ-ერთი შთამომა-  
ვალი მალაროელების იმ თაობათა, რო-  
მელთაც სავსებით სამართლიანად შე-  
ეძლოთ დონეცის მალაროების დამა-  
არსებლად ჩათვალათ თავი. უკრაინი-  
დან გამოსული მისი პაპა და მამაც,  
თვით კონდრატოვიჩიც, შეწვევითა  
ღვთისთა მკვიდრი მალაროელები იყე-  
ნენ, ღონბასის აღმშენებლები, მალა-  
როელთა დიდებისა და ტრადიციების  
მატარებელნი, მალაროელთა ის გვარ-  
დია, რომლებზედაც გერმანელთა ოკუ-  
პაციამ და თეთრების მოძრაობამ კბი-  
ლები დაიმტვრიეს 1918—1919 წლებ-  
ში.

ეს იყო ის კონდრატოვიჩი, რომელ-  
მაც თავის ღირეკტორ ვალკოსა და

გრიგოლ ილიას-ძე შეეცოვთან ერთად აფეთქა № 1-ბის მალარო.

— აი როგორი საუბარი გაიმართა მასა და მათე კონსტანტინეს-ძეს შორის ამ დაბლობზე, ტრამალში, მზის გადახრისას, შებინდების წინ.

— იცი თუ არა, კონდრატოვიჩ, რატომ მოვედი შენთან?

— არ ვიცი, მაგრამ ვხედები, მათე კონსტანტინეს-ძევ, — ნალელიანად წარმოსთქვა კონდრატოვიჩმა ისე, რომ არც კი შეუხედნია შულგასთვის.

დაბლობში შემოჭრილი ტრამალის ქარი ცერად, ცალ მხარეზე სწევდა ბაპისეულ დასაყრდელბული ჯუბის კალთებს, რომელიც ჯვარზე ჩამოცმულივით ეკიდა ბერიკაცის გამხმარ ტანზე.

— მე აქ სამუშაოდ ვარ დატოვებული, ისე როგორც ეს იყო თერამეტ წელს, ამიტომ მოვედი შენთან. — წარმოსთქვა კონსტანტინეს-ძემ.

— მთელი ჩემი სიცოცხლე შენია, ეს შენ იცი, მათე კონსტანტინეს-ძევ. — დაბალი, ხრინწიანი ხმით ისე მიუგო კონდრატოვიჩმა, რომ თვალბში არ შეუხედნია შულგასთვის, — მაგრამ არ შემიძლია მიგიღო ოჯახში, მათე კონსტანტინეს-ძევ.

— ის, რაც კონდრატოვიჩმა წარმოსთქვა, იმდენად მოულოდნელი და შეუძლებელი იყო, რომ მათე კონსტანტინეს-ძეს საბასუხო სიტყვა ვერ ეპოვნა და გაჩუმება ამჯობინა. კონდრატოვიჩიც სდუმდა.

— სწორედ გაგიგე თუ არა, კონდრატოვიჩ, — უარს მეუბნები ოჯახში მიღებაზე? — უცრად სუფთა რუსულზე გადავიდა და ისე შეეკითხა შულგა, თან ეშინოდა თვალბში არ შეეხედნა მოხუცისთვის.

— უარს კი არ გეუბნები, არ შემოიძლია, — ნალელიანად მიუგო ბერიკაცმა.

რამდენიმე ზანს ისე საუბრობდნენ,

რომ ერთმანეთისათვის არ შეუხედნიათ თვალბში.

— თანხმობა მიეცემა თუ არა? — გულში აღუღებული მრისხანებით შეეკითხა კონსტანტინეს-ძემ.

ბერიკაცმა თავი ჩაჰკიდა.

— ზომ იცოდი, რაზედაც თანხმდებოდი?

ბერიკაცი სდუმდა.

— გესმის თუ არა, ეს იმას ჰგავს, რომ გვიღალატე?

— მათე კონსტანტინეს-ძევ... — საშინლად დაბალი, ხრინწიანი ხმით, თითქოს დაიყვებო, მეუქარით წარმოსთქვა ბერიკაცმა. — ნუ ამბობ ისეთ რამეს, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია.

— რასი უნდა მეშინოდეს? — ღვარძლით წარმოსთქვა შულგამ და პირდაპირ შეხედა მის გამომშრალს, თამბაქოს ბოლით შეჭკვართლულს, თითქოს გაფეკენილს, თხელ წვერიან სახეს და სისხლი მოაწვა ბულასებურ თვალბში. — რისი უნდა მეშინოდეს? რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო საშინელი, რაც მესმის?

— დაიცა... — კონდრატოვიჩმა თავი ასწია და ბრკყალბისებური დასახიჩრებულ, შეაფრჩხილბიანი ხელი იდაყვი სტაცა შულგას. — გჯერა თუ არა ჩემი? — ნალელიანად შეეკითხა, გამსკვალავი, ჩაყარდნილი თვალბებით მიანერდა და მუდარით უთხრა:

— დაიცა... ყური მიგდევ...

ახლა პირდაპირ თვალბში შესიქვროდნენ ერთმანეთს.

— ოჯახში ვერ მიგიღებ, ვინაიდან ჩემი უფროსი ვაჟის მეშინია. მეშინია გავცემს, — ხრინწიანი ჩურჩული უთხრა ბერიკაცმა და სახე მათე კონსტანტინეს-ძის სახეს მიუახლოვა: — გახსოვს, ოცდაშვიდ წელს რომ იყავი ჩვენსას? მაშინ შენ უკანასკნელად იყავი ჩემთან, მე და ჩემმა დედაკაცმა ერთად ცხოვრების ოცდახუთი წლისათვის, ვერცხლის ქორწილი რომ გადა-

გინადეთ. გეტყობა, ჩემი ბავშვები, ყველანი არ გახსოვს, არცა ხარ ვალდებული, — გაიცინა ბერიკაცმა, — უფროსი კი უნდა გახსოვდეს, ჯერ კიდევ თერამეტი წლიდან...

შულგა სდუმდა...

— აი, სწორედ ის გადაშერია, — ხრინწიანი ჩურჩულით უთხრა კონდრატოვიჩმა. — გახსოვს, მაშინაც, ოცდაშვიდშიც უხელო იყო?

შულგას ბუნდოვანად აგონდებოდა შუბლშეკრული, ზანტი, სიტყვაძვირი ბიჭი, რომელიც კონდრატოვიჩთან ნახა თერამეტ წელს. მაგრამ იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც ოცდაშვიდ წელს, კონდრატოვიჩის ბინაში ყოფნისას გარს ეხვია შულგას, სახელდობრ, რომელი მათგანი იყო ის ბიჭი მაშინ, ან მათ შორის რომელი იყო უხელო, ეს კი აღარ ახსოვდა შულგას. გაუკვირდა, რომ საერთოდ ცუდად ახსოვდა ის საღამო. მაშინ ალბათ მოვალეობის მოსახდელად ეწვია კონდრატოვიჩს, და ის საღამოც დაიკარგა მრავალ მის მსგავს რთულ საღამოთა შორის, რომლებიც გაუტარებია ასევე მოვალეობის მოსახდელად, სხვა ადამიანებთან, სულ სხვა ვითარებაში.

— ხელი მოგლიჯა მანქანამ ქარხანაში, ლუგანსკში... — კონდრატოვიჩმა ძველი სახელი უწოდა ვოროშილოვგრადს, ამით შულგა მიხვდა, რომ ეს დიდი ხნის ამბავი იყო: — ჩვენს სარჩენად დაბრუნდა შინ. სწავლა გვიანდა იყო მისთვის, მართალი რომ ვთქვა, ჩვენ უცებ ვერც კი მოვისაზრეთ ეს, ხოლო თავისი შესაძლებლობის შესაფერი პროფესია ვერ იშოვნა, და გადაიჩია, გალოთდა, მამის — ესე იგი, ჩემს ხარჯზე; მე კი მებრალდებოდა. ცოლად არავინ მიჰყვებოდა. ამიტომ უფრო გაუტარა. ოცდაათ წელს კი გადაეყარა ეს შშვენიერი, შენ რომ ნახე, ამან კიდევ სულ თავგზა აუბნია და საქმე უკუღმა დაუტრიალა. ქალმა რაღაც მალულ

სირაჯობას მიჰყო ხელი, სპეკულანტობა დაიწყო, ასე გასინჯეთ ნაქურდალის ყიდვა-გაყიდვასაც კი დაიწყო დებოდნენ. თავდაპირველად მებრალდებოდა, მერმე სირცხვილს მოვერიდე. მე და ჩემმა დედაცაცა გაჩუმება ვამჯობინეთ. ვღუმდით კიდევ. საკუთარი შვილების წინაშეც კი ვღუმდით და ვღუმდით. ახლაც გაჩუმებული ვართ... საბჭოთა ხელისუფლების დროს ორჯერ გაასამართლეს, ის ქალი უნდა დაესაჯათ, მაგრამ ჩემმა შვილმა ყოველთვის თვითონ იკისრა დანაშაული, ხომ იცო, მოსამართლეებმა იციან, რომ მე ძველი პარტიზანი ვარ, წარჩინებული მგრეველი, სახელმწიფოებელი, — ერთხელ გაკიცხვა გამოუცხადეს, მეორე პირობით მიუსჯეს. წლითწლობით სულ უფრო გამწარდა. გჯერა თუ არა ჩემი? როგორღა შემძლია მივიღო ოჯახში? იმისთვის, რომ სახლი დაინარჩუნოს, შეუძლია, მე და ჩემი დედაცაო ორივე ერთად გავგყოდოს! — კონდრატოვიჩს შერცხვა, პირი მოარიდა შულგას.

— ეს თუ იცოდი, როგორღა დაეთანხმე? — აღელვებით წარმოსთქვა შულგამ, კონდრატოვიჩს ჩააცქარდა დანის პირივით თხელ სახეში, თან არ იცოდა დაეჯერებინა თუ არა მისთვის: უცრდ სასო წარეკვეთა, როცა დარწმუნდა, რომ უკვე დაეკარგა ყოველგვარი საზომი, თუ როგორ ადამიანებს უნდა ენდოს და როგორს არ უნდა ენდოს იმ პირობებში, რომლებშიც ახლა აღმოჩნდა იგი.

— როგორღა შემძლია უარი მეთქვა, მათე კონსტანტინეს-ძვე! — ნალელიანად უთხრა კონდრატოვიჩმა. — აბა თვითონ დაფიქრდი: მე, ივანე გნატენკოს — უარი მეთქვა! სირცხვილით სად უნდა გამომეყო თავი? იცი თუ არა, როდის იყო ამაზე ლაპარაკი? ამბობდნენ: იქნებ არ დაგვჭირდესო, ხოლო თუ კი დაგვჭირდა, თანახმა ხარო? თითქოს ჩემს სინდისს

ამოწმებდა, მე კი უცებ შეიღზე უნდა ჩამომეგდო ლაპარაკი. თითქოს თავიც დამეძვრინა და შევიღე საყრობილეში ჩამეგდო. რა ვქნა, შეროლია!.. მათე კონსტანტინეს-ძე! — უსაზღერო სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მოხუცმა. — შენი ვარ, მიმსახურე რაშიც გინდა. შენ იცი ჩემი ხასიათი — სამარის კარამდე გავჩუმდები, მე სიკვდილისა არ მეშინია. მენდე ისე, როგორც საყუთარ თავს. გიშოვნი თავშესაფარს, ხალხს კი ვიცინობ, საიმედო ხალხს გიშოვნი, მენდე. მაშინაც, რაიკომშიც ასე ვიფიქრე: თვითონ მე ყველაფრისათვის მზად ვარ, ხოლო რაც შეეხება შეიღს, მე, როგორც უპარტიო კაცი, მოვალე არა ვარ ვილაპარაკო რაიკომში, მაშასადამე, სინდისი წმინდა მაქვს... ჩემთვის უმთავრესია, შენ მენდობოდე... ხოლო, რაც შეეხება ოთახს, გიშოვნი, — ამბობდა კონდრატოვიჩი და სრულიად ელარ ამჩნევდა, რომ ხმაში პირფერობაც კი შეეპარა.

— მე მჯერა შენი, — უთხრა მათე კონსტანტინეს-ძემ. მაგრამ მთლად სწორად არა სთქვა: სჯეროდა და არც სჯეროდა, ეჭვი ეპარებოდა; ასე კი იმიტომ სთქვა, რომ ეს უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის.

უცებ მთლად შეეცვალა სახე მოხუცს, უმალვე მოღბა, თავი ჩაჰკიდა და რამდენიმე ხანს ჩუმად ჭმინავდა.

შულგა კი იღვა, შესეკეროდა მას და სწონიდა ყველაფერს, რაც კონდრატოვიჩმა უთხრა, სასწორის ხან ერთსა და ხან მეორე თეფშზე აწყობდა მის ნათქვამს. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ კონდრატოვიჩი სანდო კაცი იყო, მაგრამ შულგამ არ იცოდა, როგორ ცხოვრობდა იგი მთელი 15 წლის განმავლობაში, მერმე და ისიც როგორ წლებში, — როცა ჩვენს ქუჩახაში ყველაზე უდიდესი და მწავე ამბები ხდებოდა. და ის ამბავი, რომ კონდრატოვიჩი ხელისუფლებას უმა-

ლავდა თავის შეიღს, დამალა იგო ცხოვრებაში ყველაზე უფრო... კასუს-საგებ წუთშიც კი დეკლარაციისთვის ისეთ საარსებო საქმეში, როგორცაა გერმანელების წინააღმდეგ არალეგალური მუშაობის დროს მისი ბინის გამოყენება, — ყოველივე ეს იმდენად მხრიდა სასწორს, რომ კონდრატოვიჩზე მთლიანად დანდობა ყოველად შეუძლებელი იყო.

— ცოტა ხანს აქ ჩამოჯექ, ან წამოწექ, საქმელს მოგიტან, — ხრინწიანი ჩურჩულით უთხრა მოხუცმა, — მე კი აქვე მივირბენ, ერთ ადგილას და ყველაფერს მოვაგვარებ.

წუთით მათე კონსტანტინეს-ძე კინალამ დაეთანხმა კონდრატოვიჩის წინადადებას, მაგრამ წამსვე შინაგანმა ხმამ, რომელსაც იგი სთვლიდა არა მარტო მხოლოდ შინაგან ხმად, არამედ ცხოვრების გამოცდილების ხმად, უყარნახა მას — გრძნობებს არ უნდა აპყვეო.

— წასვლა რა საქირია, მე ერთი და ორი ოთახი როდი მაქვს შეკრულებული, ადგილს ვიშოვი, — წარმოსთქვა მან, — უქმელობას კი მოვიტყენ: უარესი იქნება, იმ კუდიანმა ქალმა და შენმა შეიღმა რაიმე არაპაპურველ საქმეს შემყარონ.

— შენ იცი! — მოწყენით უთხრა კონდრატოვიჩმა. — მაგრამ ყოველ შეთხვევაში ჩემზე ხელს ნუ აიღებ, გამოგადგები.

— ეგ მე ვიცი, კონდრატოვიჩ, — უთხრა შულგამ, რათა მოხუცი ნუ ეჭმებინა.

— რაკი მენდობი, მოთხარე ვისთან მიდიხარ. გეტყვი, კარგი კაცია თუ არა, ან ღირს თუ არა მასთან მიხელა, თან ვინიცობაა, საქირი რომ შეიქნეს, მეცოლინება, სად უნდა გეძებო...

— ვერ გეტყვი სად მივდივარ, უფლება არა მაქვს. შენ თვითონ ძველ არალეგალური მუშაკი ხარ, და იცი კონსპირაცია, — ეშმაკური ღიმილით

უთხრა შულგამ. — იმ კაცს, ვისთანაც მივდივარ, ვიცნობ.

კონდრატოვიჩს უნდოდა ეთქვა: მეც ხომ ნაცნობი კაცი ვარ შენთვის, მაგრამ ხომ ხედავ რამდენი რამ აღმოჩნდა უცნობი, უმჯობესია მე მკითხოხ რჩევა-დარიგებო. მაგრამ შერცხვა ასე ეთქვა ეს მათე კონსტანტინეს-ძისათვის.

— შენ იცი, — მოწყენით მიუგო მოხუცმა, საბოლოოდ დარწმუნებულმა, რომ შულგა აღარ ენდობოდა მას.

— რას იზამ, კონდრატოვიჩ, წავიდეთ! — ნაძალადევი მხნეობით უთხრა შულგამ.

— შენ იცი, — ჩაფიქრებით გაიმეორა მოხუცმა ისე, რომ არც კი შეხედა მათე კონსტანტინეს-ძეს.

უნდოდა სტუმარი გაეტარებინა ქუჩაში, თავის სახლის გვერდით, მაგრამ შულგამ შეაჩერა და უთხრა:

— უმჯობესია უკანა მხრით წამიყვანო, თორემ თვალს შემასწრებს შენი... ის მშვენიერი, და... — შულგამ ჩაიცინა.

მოხუცს უნდოდა ეთქვა: „თუ შენ იცი კონსპირაცია, მაშინ თვითონ უნდა გესმოდეს, უმჯობესია წახვიდე იქით, საიდანაც მოხვედი, — ვის მოუვა აზრად თავში, რომ მოხუცს გნატყვოს თან არალეგალური მუშაობისათვის მოხვედი“. მაგრამ იცოდა, არ ენდობოდნენ და ლაპარაკიც უსარგებლო იყო. მოხუცმა უკანა მხარით ერთერთ მუხობელ ქუჩაში გაიყვანა მათე კონსტანტინეს-ძე. აქ, კუთხეში წამოდგმულ ფარდულთან შეჩერდნენ.

— მშვიდობით, კონდრატოვიჩ, — მიმართა შულგამ და ისე გაქრა გულში, ერჩინა კუბოში წოლილიყო, — კიდევ შეეხედებით... —

— როგორც გინდოდეს, — წარმოასთქვა მოხუცმა.

შულგა ქუჩას გაჰყვა, კონდრატოვიჩი კი ერთხანს კიდევ იდგა ფარდულის მახლობლად; მიმავალ შულ-

გას გასტყუროდა ეს ჩამომხმარი წვივ-მალალი მოხუცი, რომელსაც უკუაოზე ჩამოცმულივით ეცემოდა მხალხლზე შეკერილი ჯუბა.

ასე გადადგა დაღუპვისაკენ მეორე ნაბიჯი მათე შულგამ.

თავი მეთხუთმეტე

იმ დროს, როცა მათე შულგა მართო იჯდა ფოშინის ქოხის ნახევრად ბნელს ოთახში და არ ეცნობდა არც იმ კაცს, ვისთანაც ახლა იმყოფებოდა, არც იმ ხალხს, რომელთანაც მას მოელოდა მუშაობა, სერიოფკა ტიულენინმა და მისმა მეგობარმა ვიტკა ლუკიანჩენკომ, სერიოფკას დამ — ნადიამ და მოხუცმა მომვლელმა ქალმა — ლუშამ სულ რამდენიმე საათის განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ჩვიდმეტზე მეტი ოთახი აღმოაჩინეს დაქრილების მოსათავსებლად. მიუხედავად ამისა, ორმოცზე მეტი დაქრილი ჯერ კიდევ არ იყო განაწილებული: არც სერიოფკამ, არც ნადიამ, არც ღეიდა ლუშამ, არც ვიტკა ლუკიანჩენკომ, არც იმათ, რომლებიც ამ საქმეში ეხმარებოდნენ მათ, არ იცოდნენ, კიდევ ვისთვის შეიძლება მიემართნათ, იმავე დროს არ უნდოდათ საეგებიო გაეხადათ ეს საქმე.

უცნაური იყო ეს დღე. ასეთი დღეები მხოლოდ სიზმარში შეიძლება იყოს. ქალაქზე გავლით, გზებში მიმავალი ნაწილებისა და ლტოლვილთა შორეული ხმები და ტრამალებში წარმოებული ბრძოლების გუგუნის ჯერ კიდევ გუშინ მიწყნარდა. უჩვეულო სიჩუმე დაკვიდრებულყო ირგვლივ ქალაქსა და მთელს ტრამალში. მოელოდნენ—საცაა ქალაქში გერმანელები შემოვლენო, — მაგრამ გერმანელები არ მოდიოდნენ. დაწესებულებათა და მალაზიების შენობებიცა-

ჩიელო იყო, იქ არავინ შედიოდა. წარმოებანიც გაჩუბებულნი, დაცარიელებულნი და მღუმარენი იყვნენ. აფეთქებული მალარობების აღვილზე ჯერ კიდევ მაღლა მიიწვიდა წერილი ბოლი. ქალაქში არავითარი ხელისუფლება არ იყო, არც მილიცია, არც ვაჭრობა, არც შრომა, — სრულიად არაფერი. ქუჩები ცარიელი, უკაცრიელი იყო, ხანგამოშვებით აქ-იქ წყლის მილთან, ან ბოსტანში თუ ჩაირბენდა რომელიმე ქალი — მოსწვეტდა ორ-სამ ცალ კიტრს, კვლავ გაილალებოდა, კვლავ მიწყნარდებოდა ყოველივე. არც სახლების საკომურები ბოლავდნენ, — სადილს უკვე არავინ ამზადებდა, ძაღლებიც კი მიყურდნენ, რადგანაც გარეშეთაგან არავინ არღვევდა მათს მყუდროებას. ხანგამოშვებით მხოლოდ კატა თუ გადაირბენდა ქუჩაში, და კვლავ სიუარჩიელე იყო.

19 ივლისს ღამით, დაჭრილებს უკვე ბინებში ანაწილებდნენ, მაგრამ სერიოკა და ვიტკა აღარ მონაწილეობდნენ ამაში. იმ ღამეს მათ სენიაკის საწყობიდან შანხაიში გადაზიდეს ფეთქებადი სითხიანი ბოთლები და დამარხეს ხევში, ბუჩქების ძირას. ამავე დროს რამდენიმე ბოთლი თვითუღმა მათგანმა საკუთარ ბოსტანშიც დაფლა, რათა საჭიროების დროს ახლო ქონოდათ.

მაინც სადღა წაეიდნენ გერმანელები?

სერიოკას განთიადმა ქალაქგარეთ, ტრამალში მოუსწრო. მოგარდისფერო რუხი ბოლის გადაღმა მაღლა მიიწვიდა დიდი, მრგვალი მზე, შეიძლებოდა პირდაპირ გეკვირნათ მისთვის. შერმე მისმა კიდემ თავი ამოჰყო ბოლის ზემოთ, გაღნა და მილიონობით ცვარი, ყველა თავისი შეჭით, საციმიციმა ტრამალში, და ვარდისფერადვე შეღება ამ ტრამალში აქ-იქ ამართული ტერიკონების მუქი კონუსები. ირ-

ველივე ყველაფერი გამოცოცხლდა და გაბრწყინდა, სერიოკაც კი, ისე ეგრანო თავი, როგორც საფრანგულად გამოგლებულ გუდაპერჩის ბურთს შეეძლო ეგარძო თავი.

რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ მიემართებოდა შარავზა, რომელიც ხან უახლოვდებოდა, ხან კვლავ შორდებოდა ამ ლიანდაგს. ორივე გზა ზეგანზე გადიოდა, საიდანაც ორივე მხრით თანდათან დაბლა ეშვებოდა ხეებით გამოყოფილი მცირე განშტოებანი და, რომლებიც დაბლდებოდნენ და უთანაბრდებოდნენ ტრამალის დონეს. თვით განშტოებანი და ხეებიც მათ შორის დაფენილი იყო აქორჩილი პატარა ტყით, ბუჩქებით. მთელს ამ ადგილს ვერხნედუევანაის ჭალას ეძახდნენ.

მზე, რომელმაც ერთბაშად დააცხუნა, ჩქარა მიიწვიდა მაღლა, ტრამალის ზემოთ. სერიოკა ხედავდა თითქმის მთელ ქალაქს, რომელიც არათანაბრად, დაკვანძულად იყო გაშლილი, უფრო მეტად მალაროს ახლოს, და რაიონის აღმასრულებელი კომიტეტისა და ტრესტ „ქრასნოდონუგოლის“ შენობების ირგვლივ. ზეგანის განშტოებებზე ამართული ამწვანებული ხის კენწეროები ბრწყინავდნენ მზეზე, ხოლო ბუჩქებით დაფენილ ხეებში ჯერ კიდევ იწვა დილის გრილი ჩრდილი. რელსები ბრწყინავდნენ მზეზე, ისინი თითქოს უერთდებოდნენ ერთმანეთს, მიემართებოდნენ შორს და ეფარებოდნენ შორეულ გორაკს, რომლის გადაღმა, ცისკენ ნელინელ მშვიდად მიიწვიდა მრგვალი, მოთეთრო ბოლი, — იქ იყო სადგური ვერხნედუევანაია.

და ანაზდად ამ ბორცვის ზურგზე, იმ წერტილზე, სადაც თითქოს თავდებოდა გზა, გაჩნდა მუქი ლაქა, რომელიც მუქი ლენტის მსგავსად ჩქარა მოიწვიდა წინ. რამდენიმე წუთში ეს ლენტი გამოეყო ჰორიზონტს, რალაც



მოგრძო, ბრტყელი, კომპაქტური მუ-  
ჭი რამ ჩქარა მოემართებოდა შორი-  
დან სერიოჟკას შესახვედრად, უკან  
კი სტოვებდა მოწითალო მტვერის  
კონუსს. უფრო ჩქარა, ვიდრე სერი-  
ოჟკამ შესძლო დაკვირვებოდა და გა-  
ერჩია, თუ რა იყო ეს, იმ ტყაცუნისა  
და ღრიანცელის მიხედვით, რამაც  
ტრამალი აავსო, იგი მიხვდა, რომ  
მოემართებოდა მოტოციკლეტისტთა  
რაზმი.

სერიოჟკა ბუჩქებში გადახტა, გზის  
ცოტა ქვემოთ, მუცლით მიწაზე გაწ-  
ვა და იწყო ლოდინი. მეოთხედი სა-  
ათიც კი არ გასულა, რომ მოტორების  
ბათქუნმა ირგვლივ ყველაფერი ააგ-  
სო. და სერიოჟკას ახლოს ჩაიჭროლა  
ოცზე მეტმა გერმანელმა მეავტომატე  
მოტოციკლეტისტმა; მიწაზე გართხ-  
მული სერიოჟკა მათი ტანის მხოლოდ  
ზედა ნაწილს ხედავდა. მათ ეცვათ  
გერმანიის არმიის ჩვეულებრივი რუ-  
ხი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი. ეხურათ  
პილოტურები, მაგრამ თვალებს, შუბ-  
ლსა და ცხვირის ზემო ნაწილს უფა-  
რავდათ უზარმაზარი, მუქი, გამო-  
ბურთული სათვალეები და აქ, ღონე-  
ცის ტრამალში, ასე უეცრად გამოჩე-  
ნილ ამ ხალხს რაღაც ფანტასტიურ  
შეხედულებას აძლევდა.

ისინი განაპირა სახლებამდე მივიდ-  
ნენ. მანქანები დაამუხრუჭეს, გადმო-  
ხტნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ.  
მანქანებთან დარჩა სამი თუ ოთხი კა-  
ცი, მაგრამ ათიოდე წუთიც კი არ გა-  
სულა, მოტოციკლისტები ზედიზედ  
დაბრუნდნენ, ისევ მანქანებზე შესხდ-  
ნენ და ქალაქისაკენ გაექანენ.

სერიოჟკამ ვეღარ დაინახა ისინი სახ-  
ლების იქით, დაბლობში, მაგრამ კარ-  
გად იცოდა, რომ თუ ისინი ქალაქის  
ცენტრალურ ნაწილში, პარკისკენ მი-  
დიოდნენ, გვერდს ვერ აუვლიდნენ  
ლიანდაგის გადაღმა გზის აღმართს,  
რომელიც კარგად მოსჩანდა აქედან.  
სერიოჟკაც ამ აღმართს უთვალთვა-

ლებდა. ოთხიოდე თუ ხუთიოდე მო-  
ტოციკლისტი მარაოსავით მიეფენდა, ამ  
აღმართს, მაგრამ პარკისკენ მიმავალ  
ვიდნენ, არამედ გაუხვიეს ბორცვზე  
წამოდგმული სახლების იმ ჯგუფი-  
საკენ, სადაც რაიონული აღმასრულე-  
ბელი კომიტეტისა და „ცოფიანი ბა-  
ტონის“ სახლი იყო. რამდენიმე წუთ-  
ში მოტოციკლისტები ისევ უკან, გა-  
დასასვლელისაკენ, გაექანენ და სერი-  
ოჟკამ მთელი რაზმი კვლავ დაინახა  
განაპირა სახლთა შორის, — რაზმი  
ვერხნედუვანაიასკენ ბრუნდებოდა. სე-  
რიოჟკა პირქვე დაემხო ბუჩქებში, თა-  
ვიც კი არ აუწევია მაღლა, ვიდრე  
მოტოციკლისტებმა გვერდით არ ჩა-  
უჭროლეს.

სერიოჟკა გადახიზდა ხეებითა და  
ბუჩქებით დაფენილ გორაკზე, რომე-  
ლიც ვერხნედუვანაიასკენ იყო წაწე-  
ული; იქიდან მთელი არემარე ხელის  
გულივით მოსჩანდა. აქ ხის ძირას  
იწვა იგი რამდენიმე საათის განმავ-  
ლობაში. ცის კიდეზე თანდათან და-  
სავლეთით მსრბოლი მზე ისევ და  
ისევ პპოულობდა სერიოჟკას და ისე  
აჭერდა, ისე აცხუნებდა, რომ იგი  
უკან მიხიზავდა — ჩრდილს ეფარე-  
ბოდა.

ბუჩქებში ბზუოდა ფუთკარი და კე-  
ლა, რომლებიც აგროვებდნენ გვიანი  
ზაფხულის ყვავილებში ჩამდგარ ნექ-  
ტარს და ხეებისა და ბუჩქების ფოთ-  
ლებიდან გამკვირვალე წიბოვან სა-  
გოზავს, რასაც ფოთლების მეორე  
მხარეზე ჰქმნიან მღილები. ტრამა-  
ლის მთელი სივრცე სრულიად გა-  
დატრუსული იყო, — ფოთლებისა და  
ბალახებისაგან, რომელიც უხვად ამო-  
სულიყო აქ, გრილოდა. ხანდახან ნე-  
ლა დაუჭროლებდა ხოლმე ნიავი და  
ამრიალებდა ფოთლებს. მაღლა, სულ  
მაღლა — ცის გუმბათში გაფენილი-  
ყვინ მზის შუქით გაბრწყინებული  
წვრილ-წვრილი, ხუჭუქა, ღრუბლის  
ფანტელები.



ისეთი მოთენთილობა ჰპოქავდა მისი სხეულის ყველა ნაწილს, ისე აწვებოდა გულზე, რომ ხანდახან სერიოჟკას ავიწყდებოდა, რატომ იყო აქ მენსიერებას ისევ უბრუნდებოდნენ ჩუმი და წმინდა შეგრძნებანი ბავშვობის წლებისა, როცა ასევე თვალში-ლულული იწვა იგი სადმე ტრამალზე და მზეც ასევე ჰქებნდა მის ტანს, ირგვლივ ასევე ბზუოდა ფუტკარი და კელა. ასევე დაქმეულიყო ცხელი ბალახის სურნელება და ქვეყანაც ასევე მშობლიურად, გამკვირვალედ და მარადიულად ეჩვენებოდა. კვლავ მოტორების ბათქუნი ედგა ყურში. მტრედისფერ ცის ფონზე ისევ ხედავდა ამ არაბუნებრივად უზარმაზარ სათვალთან მოტოციკლისტებს და მყის მიხვდა, რომ არასოდეს, არასოდეს აღარ დაბრუნდებოდნენ ჩუმი, სუფთა შეგრძნებანი ბავშვობის წლებისა და ზედნიერების ის აღრინდელი ქროლვანი. და ხან მწვავედ და ტკბილად გაკრავდა გულში, ხან მთელი არსებით იმსქვალეობდა იმ შეუურიგებელი ბრძოლის წყურვილით, რომელიც მის სისხლში სდუღდა.

მზე ნაშუადღევს გადაცილებული იყო, როცა შორეული ბორცვის იქით, გზაზე ისევ თავი წამოაყო გრძელმა, მუქმა ისარმა, უცებ პორიზონტისკენ სქლად აიბურთა მტვერი. ისევ მოტოციკლისტები იყვნენ, ბევრნი იყვნენ ისინი — გრძელი, დაუსრულებელი კოლონა. მათ მოჰყვნენ მანქანები — ასობით, ათასობით საბარგო მანქანები კოლონებად, რომელთა შუაგ მოდიოდნენ მეთაურთა მსუბუქი მანქანები. ბორცვებიდან კვლავ მოჰქროდნენ და მოჰქროდნენ მანქანები. გრძელი, მსხვილი, მწვანე, მოსრიალებდა მზეზე ჭერცლით მბრწყინავი გველი; იგი სულ იქიმებოდა და იქიმებოდა პორიზონტიდან მოკიდებული, — მისი თავი უკვე სულ ახლოს იყო იმ ადგილიდან, სადაც სერიოჟკა იწვა,

ხოლო კელი ჯერ კიდევ არა სჩანდა. მტვერი ღრუბლებად გამდგარეყო გზაში, და მოტორების უფრთხილქოს მთელს სივრცეს აესებლა მიწიდან ცამდე.

გერმანელები კრასნოდონში შედიოდნენ. სერიოჟკამ პირველმა დაინახა ისინი.

კატისებური მსუბუქი მოძრაობით გაბოხდა, გადახტა თუ გადაძვრა გზაზე, მერმე რკინიგზა გადასჭრა და სირბილით გასდია ხეებს, ქვევით, უკვე მალლობის მეორე მხარეზე, შეუძლებელი იყო მისი დანახვა რკინიგზის ყრილის გადამა მიმავალ გერმანელთა კოლონიდან.

სერიოჟკამ მთელი ეს ფანდი იმიტომ გამოიგონა, რომ გერმანელებზე აღრე მისულიყო ქალაქში და ქალაქის პარკში მოთავსებულ გორკის სახელობის სკოლის სახურავზე წინასწარ დაეჭირა მოხერხებული სათვალთვალ პუნქტი.

უკვე გამომუშავებულ მალაროს ახლოს, უშენი ადგილებით, პარკის გადამა, უკანიდან გადმოიბრინა სწორედ იმ ქუჩაში, რომელიც ქალაქიდან გამოცალკეებით უხსოვარი დროიდან დღემდე შემონახული იყო თავისი პირველყოფილი სახით, და რომელსაც მდამიურად „ვერხნელუფანაია“ ეწოდებოდა.

და აქ მან დაინახა მისი წარმოდგენისათვის იმდენად განმაცვიფრებელი რამ, რომ იძულებული გახდა შეჩერებულიყო. უხმაუროდ მიძვრებოდა მოსახლეთა ბაღებზე შემოვლებული ღობის გასწვრივ. ამ ბაღების უკანა ნაწილი დერევიანაიას ქუჩაში გადიოდა. ერთ-ერთ ამ ბაღში სერიოჟკამ დაინახა სწორედ ის ქალიშვილი, რომელსაც ბედმა გუშინწინ დამით ტრამალში საბარგო მანქანაზე შეახვედრა.

ქალიშვილს აკაციის ჩრდილში დევგო მუჭხოლიანი შალი, თავქვეშ შალიში ამოედო, ფეხსაცმლიანი მზედა-



კრული ფეხები ერთიმეორეზე გადაედო, სერიოზულიდან ხუთიოდე ნაბიჯზე იწვია და, მიუხედავად ირგვლივ მიმდინარე ამბებისა, წიგნს კითხულობდა. მისი ერთ-ერთი მსხვილი, ქერა და ოქროსფერი ნაწნავი მშვიდად და თავისუფლად ვაშლილიყო ბალიშზე, რაც მკაფიოდ გამოჰყოფდა მზედაკრულ, შავ წამწამებიან და თავმოქონულ აწეულ სქელტუჩიან სახეს. დიდი, მაშინ, როცა ათასობით მანქანა, მოტორების ღრიალითა და ბენზინის ტუსით მთელ სივრცეს ავსებდა ტრამაილიდან ცაშდუ და გერმანიის მთელი არმია ვრასნოდონში მიეშურებოდა, — ქალიშვილი პატარა ბაღში შალზე იწვა და წიგნს კითხულობდა, თან მაგრად ეპირა იგი მზედაკრული, ბუსუსებიანი ორივე ხელით.

სერიოზუა სუნთქვას იკავებდა, რომელიც მკერდიდან სტვენით ამოდინდა, ორივე ხელით ძელყორის თამასს ჩაჭიდებული, რამდენიმე წამს თვალაჭრელებული და ბედნიერი შესცქეროდა ამ ქალიშვილს. რაღაც გულუბრყვილო და თვით სიცოცხლესავით მშვენიერი რამ იყო ამ ბაღში გაშლილ წიგნით მწოლიარე ქალიშვილში, სამყაროს არსებობიდან ამ ერთ-ერთ ყველაზე საშინელ დღეს.

სერიოზუა თავზეხელაღებული შემართებით გადახტა ძელყორეზე და უკვე ამ ქალიშვილის ფეხებთან იდგა. ქალიშვილმა წიგნი გადასდო და მისი შეწარბებიანი თვალები მშვიდი, გაკვირვებული და მზიარული გამომეტყველებით მიაჩერდნენ სერიოზუას.

იმ ღამეს, როცა მარიამ ანდრიასასულმა ბორცმა ბელოვოდსკაიას რაიონიდან კრასნოდონში ჩამოიყვანა ყმაწვილები, ბორცების მთელ ოჯახს — თვითონ მარიამ ანდრიასასულს, მის ქმარს, უფროს ქალიშვილს ვალიას და უმცროს ქალიშვილს, თორმეტი წლის ლუსიას — გათენებამდე არ დაუძინიათ.

ელექტროსადგური, რომელიც შუქს აწვდიდა ქალაქს, ჩვიდმეტრი მინიჭებულან აღარ მუშაობდა, — თითქოს სტუმრად არიანო, ისე ისხდნენ ერთიმეორის პირდაპირ, მაგიდასთან, ნათის სანათურის შუქზე. ახალი ამბები, რომლებსაც ისინი ერთიმეორეს უზიარებდნენ, არც თუ ისე რთული, მაგრამ ისეთი საშინელი იყო, რომ მათს შესახებ შეუძლებელი იყო ხმამაღლა ლაპარაკი იმ სიჩუმეში, რაც ახლა დამკვიდრებულიყო შინ, ქუჩაში, მთელს ქალაქში. სადმე გამგზავრება უკვე დაგვიანებული იყო. დარჩენა კიდევ საშინელი. ყველა ისინი, ლუსიაც კი, როგორც მისი და, ოქროსფერი, მაგრამ კიდევ უფრო დია ფერის თმისი და ფერმკრთალ პატარა სახეზე დიდრონ დინჯთვალეებიანი გოგონა, ყველა ისინი გრძნობდნენ, მოხდა რაღაც იმდენად გამოუსწორებელი რამ, რომ არც გონებას, არც გრძნობას ჯერ კიდევ არ შეეძლო წარმოედგინა მთელი ეს უბედურება.

მამა საცოდავი იყო. განუწყვეტლად ახვევდა იაფფასიანი თამბაქოს პატარა სიგარებს და ეწეოდა. ბავშვებს უკვე უძნელდებოდათ წარმოედგინათ ის დრო, როცა მამა იყო ჯანმრთელი, ოჯახის ბურჯი და მფარველი. იგი იჯდა გამზდარი, დაპატარავებულ მას ყოველთვის სუსტი მხედველობა ჰქონდა, უკანასკნელ წლებში კი ერთბაშად დააკლდა სინათლე და უკვე ძლივს ემზადებოდა გაკვეთილებისათვის. ისე, როგორც მარიამ ანდრიასასული, იგიც ლიტერატურას ასწავლიდა და მის მოსწავლეთა რვეულებს, მის მაგიერად, ხშირად ცოლი ამოწმებდა ხოლმე. საღამურის შუქზე ვერაფერს ხედავდა, მისი, რაღაც ეგვიპტურად გაჭრილი თვალები დაუხამხამებლად გამოიყურებოდნენ.

ირგვლივ ყველაფერი ესოდენ ჩვეული, ბავშვობიდან ნაცნობი და მანც უცხო იყო. ფერადსუფრიანი მაგიდა,

მიანიო, რომელზეც ვალია ყოველ დღე უკრავდა თავის პატარა პიესებს. მინისკარებიანი ბუფეტი, სადაც სიმეტრიულად ელაგა უბრალო, გემოვნებით შერჩეული ჭურჭელი, წიგნებიანი ღია კარადა — ყველაფერი ეს ისეთივე იყო, როგორც წინათ, და მაინც უცხო იყო. ვალიას მრავალრიცხოვანი თავყვანისმცემლები ამბობდნენ, ბორცების ოჯახში მყუდროობა და რომანტიულობა სუფევსო, ვალიამაც იცოდა, რომ ეს იყო თვითონ, ამ ოჯახში მცხოვრები ქალიშვილი, თვითონ იგი ხდიდა რომანტიულს ყველაფერს, რაც კი გარს ეხვია მას. და აი ყველაფერი ეს ახლა გაშიშვლებულივით იდგა მის წინ.

უწინოდან ჩაქვროთ შუქი, გაფანტულიყვენენ, ყოველი მათგანი თავის ფიქრთა და შეგრძნებათა ამათა მარტო დარჩენილიყო საკუთარ ლოგინში. ასე ჩემად ისხდნენ ისინი განთიადამდე, — ოთახში მხოლოდ საათი რაკრავებდა. მხოლოდ მაშინ, როცა მოისმა, თუ როგორ იღებდნენ წყალს მეზობლები მათი ქოხის პირდაპირ წყლის სატუმბი კოშკიდან, — ლამპა ჩააქრეს, დარაბები გაადგეს, რაც კი შეიძლებოდა, ვალიამ განზრახ ასტეხა ხმაურობა, გაიხადა და დაიძინა. ლუსიამაც დაიძინა. ზოლო მარიამ ანდრიას-ასულსა და მის ქმარს სულაც აღარ დაუძინიათ.

ვალია თითქოს მიწისძვრამ გამოადვიდა. დედა და მამა სასადილოში ოდნავ აწყარუნებდნენ ჩაის ჭურჭელს, — მარიამ ანდრიას-ასულმა მაინც დადგა სამოვარი. მზე უკვე ფანჯარაში იყო შემოსული. ვალიამ უცარი ზიზღით მოიგონა ჯდომით გატარებული ღამე-ღამამცირებელი და საშინელი იყო ასე დავარდნა.

ბოლოსდაბოლოს რა ესაქმება გერმანელებთან? მას საკუთარი სულიერი ცხოვრება აქვს. დაე, ვისაც უნდა, ის მოიქანცოს ლოდინითა და შინით,

მხოლოდ არა თვით იგი.

მან სიამოვნებით დაიბანა თავი ცხელი წყლით და ჩაიკაფიკა, შემდეგ კარადაში გამოიღო სტივენსონის პატარა ტომი, რომელშიც მოთავსებული იყო „მოტაცებული“ და „კატრიონა“ აკაციის ქვეშ შალი დაიგო და გატაცებით დაიწყო კითხვა.

ირგვლივ სიწყინარე იყო. მზე მოუვლელ ყვავილნარსა და ბალახიან პატარა მინდორს დაჰფენოდა. ყვავილზე იჯდა ყავისფერი პეპელა, იგი ზან შლიდა, ხან სწურავდა პატარა ფრთებს. ქინქლიანი, შავი, პატარა მუცლის გარშემო ფართო თეთრზოლებიანი ფუტკრები ყვავილიდან ყვავილზე გადადიოდნენ და ტკბილად ბზუოდნენ. მრავალტანიანი და მრავალრტოებიანი ბებერი აკაცია ირგვლივ ჰფენდა ჩრდილს, ალაგ-ალაგ შეყვითლებულ ფოთლებს შუა მოსჩანდნენ ცის კამკამა ლურჯი ლაქები.

და ეს ცისა, მზისა და მიწისა, ფუტკრისა და პეპლების ზღაპრული სამყარო უცნაურად ეთანხმებოდა მეორეს, გამოგონილს, წიგნების სამყაროს, თავგადასავალთა სამყაროს, ველურ ბუნებას, ადამიანთა თავდადებასა და კეთილშობილებას, წმინდა მეგობრობასა და წმინდა სიყვარულს.

ვალია ზოგჯერ გადასდებდა წიგნს და აკაციის რტოებში ოცნებით მიანერდებოდა ცას, რაზე ოცნებობდა იგი? თვითონაც არ იცოდა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა კარგი იყო, გაშლილი წიგნით ასე მარტოდ მარტო წოლა ამ ზღაპრულ ბაღში!

„ალბათ, ყველს გაემგზავრა, მოასწრეს, — მოავონდა მას თავისი სკოლის ამხანაგები, — ალბათ, ოლეგიც წაიქცა“. იგი მეგობრობდა კოშევოის ისევე, როგორც მათი მშობლები მეგობრობდნენ ერთმანეთს. „დიად, ყველას დაეწყო იგი—ვალის ოლეგი გაემგზავრა. არც სტიოპკა მოდის. ვითომ ისეც მეგობარია! „ვფიცავო!“

აი, მოლაყბე! იმ ყმაწვილს, საბარგო მანქანას რომ შემოახტა მაშინ, — რა ჰქვია... სერგი ტიულენინი.. სეროიჯკა ტიულენინი, — იმ ყმაწვილს რომ დაეფიცა, იგი, ალბათ შეასრულებდა თავის სიტყვას“...

ვალია უკვე კატრიონას ადგილას სთვლიდა თავს, ხოლო მოტაცებული გმირი, თავდადებითა და კეთილშობილებით აღსავსე, წარმოედგინა იმ ყმაწვილის სახით, რომელიც მანქანაზე შემოხტა იმ ღამეს. იგრძნობოდა, მაგარი თმა ჰქონია, როგორ უნდოდა ხელით შეჭხებოდა მას. „აბა, რა ბიჭია, ვისაც ქალიშვილივით რბილი თმა აქვს, ბიჭს მაგარი თმა უნდა ჰქონდეს... აჰ, ნეტავი არასოდეს არ მოვიდოდნენ, ეს გერმანელები!“ — გამოუთქმელი მწუხარებით ფიქრობდა იგი. და კვლავ ჩაინთქმებოდა წიგნის გამოგონილ სამყაროსა და ბანჯგვლიანი ფუტკრებითა და ყავისფერი პეპლებით სავსე მზის შუქმფრქვეულ ბაღში.

ასე გაატარა მთელი დღე. მეორე დღით ისევ აიღო შალი და ბაღში, სტივენსონის პატარა ტომი და ბაღში ჩავიდა. ასე იცხოვრებს ამიერიდან, ბაღში აკაციის ქვეშ, სულერთია, რაც უნდა მოხდეს ამ ქვეყნად...

სამწუხაროდ, ასეთი ცხოვრება მიუწყდომელი. იყო მისი მშობლებისათვის. და ველარ მოითმინა მარიამ ანდრიას-ასულმა. იგი ანჩხლი ქალი აყო, ჯანსაღი, მარდი, მსუქანტუჩებიანი, მსხვილკბილებიანი, ხმამაღალი. არა, შეუძლებელია ასე ცხოვრება! სარკის წინ შელამაზდა, კოშევეობთან წავიდა ამბის შესატყობად, უნდოდა გაეგო ისევ აქ იყვნენ, თუ არა.

კოშევეობი ცხოვრობდნენ ბაღის ქუჩაზე, რომელიც პირდაპირ პარკის შთავარ ჭიშკარს ებჯინებოდა. მათ ეკიბრათ სტანდარტული, ქვითკირის პატარა სახლის ნახევარი, რომელიც ტრესტ „ერასნოღონუგოლმა“ მისცა

ოლეგის ბიძას — ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე კოროსტილევს, ეტყვიანელები კოლიას. პატარა სახლის მცხოვრებლები ვარში ცხოვრობდა გორკის სახელობის სკოლის დირექტორი, მარიამ ანდრიას-ასულის თანამოსამსახურე, მასწავლებელი საპლინი.

მთელს ბაღის ქუჩაზე გაისმოდა ნაჯახის ცალმაგი კაკუნო მარიამ ანდრიას-ასულს მოეჩვენა — ეს ხმა კოშევეობის ეზოდან მოისმისო. გული აუტოკდა, ხომ არაინ მხედავსო, თითქოს რაიმე საშიშ და უკანონო საქციელს სჩადიოდა.

ბანჯგვლიანმა შავმა ნაგაზმა, რომელსაც სიცხის გამო წითელი ენა გამოეყო და პარმაღის წინ იწეა, მარიამ ანდრიას-ასულის ქუსლების ბაკუნზე წამოიწია, მაგრამ იცნო თუ არა ქალი, დამნაშავესავით შეხედა, თითქოს ბოდიშს ეხდისო, „მაპატიე, იმისი ღონეც კი არა მაქვს კულის ქიციანი მიინც მოგესალმოვო“, — ისევ მიწაზე გაწეა.

მალალი, გამხდარი, მხნე ბებია ვერა ვასილის-ასული შეშას აპობდა, გრძელი გამხდარი ხელით ისე მალდა იქნევდა ნაჯახს და ისეთი ძალით ურტყამდა, რომ ბებიას მკერდიდან ხიხინითა და სტვენით ამოდრიოდა ჰერი. ეტყობოდა, ჯერ კიდევ არ უჩიოდა წელის ტკივილს, ან იქნებ ფიქრობდა — სოლი სოლითვე ამოიღებო. ბებიას ჰქონდა მზისგან მეტისმეტად გაშავებული, მუქი, გამხდარი სახე. მორთოლეარე ნესტოებიანი წვრილი ცხვირი, — მარიამ ანდრიას-ასულს პროფილით შეხედვისას იგი ყოველთვის აგონებდა დანტე ალიგერს, რომლის სურათი მას უნახავს „ღვთაებრივი კომედიის“ რეჟოლუციამდელ მრავალტომიან გამოცემაში. ბებიას შავგვრემან სახეს გარს ეხვია რგოლებად დახუჭუჭებული, შექალაჩავებული თმა, რომელიც მხრებზე ეფინებოდა. ჩვეულებრივად ბებია

ატარებდა წერილჩარჩოებიან შავი რქის სათვალეს, რომელიც ისე დიდი ხნის წინათ ჰქონდა შეძენილი, რომ ყურზე მოსადები ცალი კავი დროთა ვითარებაში მომტვრეოდა და ახლა შავი ძაფით იყო ჩარჩოზე მიმაგრებული. მაგრამ ამ წუთას ბებია უსათვალოდ იყო.

იგი მუშაობდა განსაკუთრებული—გაორკეცებული, გასამყეცებული ენერგიით, — შეშის ნაობები ხმაურით ცვივოდა. ბებიას სახისა და მთელი ჭისი ფიგურის გამომეტყველება დაახლოებით ასეთი იყო: „ეშმაკსაც კი წაუღია ის გერმანელები და ეშმაკსაც წაუღიხართ თქვენ ყველანი, თუ კი გეშინიათ გერმანელებისა უმჯობესია განვაგრძობ ამ შეშის პობას... რახ... რახ... და ეს ნაობებიც დასწყევლოს ეშმაკმა, იფანტებოდეს ყოველი მხრით! დიად, უმჯობესია ამ ნაობებით ვიხმაურო, ვიდრე თქვენსავეთ აგრე დამამცირებელ მდგომარეობამდე მივიღე. და თუ ბედათ ამისთვის დაღუბვა მიწერია, ჯანიც გავარდეს, უკვე ბებერი ვარ და სიკვდილისა არ მეშინია... რახ... რახ...“

ბებია ვერამ ნაჯახი კორძიან ნამორში ჩაარტო, ერთბაშად მორი ნაჯახიანად მხრებს ზემოთ მოიქნია და ისე დაახეთქა ყუთით, კუნძი ორად გაიხლიჩა, რომლის ერთმა ნაობმა კინალამ წააქცია მარიამ ანდრეას-ასული.

ბებია ვერამ ამის გამო დაინახა მარიამ ანდრეას-ასული, თვალები ოდნავ მოჰუტა, იცნო იგი, შეშა განზე გადაადლო და მალალი ხმით, რომელიც თითქმის მთელ ქუჩას გადასწყვდა, წამოიძახა:

— ა, მარიამ, შენა ხარ, — მარიამ ანდრეას ასული! კარგი საქმეა, კარგი ჰქენი, რომ შემოიარე, არ ითაკილე! თორემ ჩემი ქალიშვილი, ლენა, მესამე დღეა ბალიშზეა დამხოზილი ზუთხივით და ქვითინებს. ვეუბნები:

რამდენი ტირილი შეგძლებოდა შეგქმნიე? შემოდით, მოეფერეთ. *მეგობრებო!*  
მარიამ ანდრეას-ასული! შევეშენდა მისი მალალი ხმისა და იმავე დროს ამ ხმამ იმედიც ჩაუნერგა, — თვითონაც უყვარდა ხმამალალი ლაპარაკი, მაგრამ მაინც წყნარად, ფრთხილად შეეკითხა:

— საპლინები წავიდნენ?

— კაცი დღეს გაემგზავრა, ოჯახი კი აქაა, ისინიც ქვითინებენ. იქნებ ჩვენთან ერთად ისადილოთ? მშვენიერი ბორშინი გავაკეთე ქარხლით, — და არავის უნდა ჰამოს.

არა, იგი — ბებია ვერა, ბაბო, თავის ღირსების სიმადლეზე იდგა. იგი პოლტავის გუბერნიის სოფლელი დურგლის ქალი იყო. კიეველი ქმარი ჰყავდა, ხელოსანი — პეტროლოველი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ძალიან დაჭრილი ჩამოვიდა და მათს სოფელში დამკვიდრდა. ბებია ვერა ქმრის ხელში გამოვიდა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, დეღუგატად იყო არჩეული სოფელში, მუშაობდა ღარიბთა კომიტეტში, მერმე საავადმყოფოში მსახურებდა. ქმრის სიკვდილმაც ვერ გასტეხა, პირიქით, ამან კიდევ უფრო განუვითარა დამოუკიდებელი ხასიათი. მართალია, ახლა უკვე აღარ მუშაობდა, არამედ პენსიით ცხოვრობდა, მაგრამ საჭიროების დროს, ახლაც შეეძლო აემადლებინა თავისი გავლენიანი ხმა. ბებია ვერა უკვე თორმეტი წლის პარტიული იყო.

ოლეგის დედა, ელენე ნიკოლოზის-ასული, ფეხშიშველი, დაჰმუქნილი ფერადი კაბით პირქვე ჩამხოზილყო საწოლში, მისი ღია-ქერა დახვეული ნაწნავეები, რომლებიც ჩვეულებრივ დროს უცნაურ დიდ ნაეარცხნად ადგა თავზე, ახლა დაუვარცხნილი ჰქონდა, თითქმის კოჭებამდე ჰფარავდა მთელ მის მომცრო, ახალგაზრდა ქა-

ლის განვითარებული ფორმის, ლამაზსა და ძლიერს ქალურ ტანს.

როცა ბებია და მარიამ ანდრიასასული შევიდნენ ოთახში, ელენე ნიკოლოზის-ასულმა ასწია კეთილი, ქვიანი, ნაზი გამომეტყველების, შესიებულთვალეებიანი, ნამტირალევი, ყვრიმლიანი სახე, წამოიყვია და ხელგაშლილი მივარდა მარიამ ანდრიასასულთან. მოეხვივნენ, ჩაესკვნენ, გადაკოცნეს ერთმანეთი, იტირეს, მერმე გაიცივნეს. მოხარულნი იყვნენ, რომ ამ საშინელ დღეებში შეეძლოთ ასე მოქცეოდნენ ერთმანეთს, ასე ვაგვით ერთიმეორისა და გაეზიარებინათ საერთო უბედურება. სტიროდნენ და იცინოდნენ ისინი, ბებია ვერა კი გამხდარი ხელებით დოინჯშემოყრილი დანტე ალიგვირის ხუჭუჭთმიან თავს აქნევდა და სულ იმეორებდა:

— აი, ბრიყვები, ნამდვილი ბრიყვები, ხან სტირიან, ხან კიდეც იცინიან. ვგონებ სასაცილო არაფერი გვაქვს, ტირილს კი ჯერ კიდეც მოვესწრებით...

ამ დროს ქალებს ქეჩიდან შემოესმათ საშინელი ხმაურობა, თითქოს ეს იყო უამრავი მობტორის ბათქუნი, რომელსაც თან ახლდა გაღიზიანებული და იმავე დროს მზარდი შემტევი ყეფა; თითქოს მთელს ქალაქში ძალღებნი გაცოფებულანო. ელენე ნიკოლოზის ასულმა და მარიამ ანდრიასასულმა ხელი უშვეს ერთმანეთს. ბებია ვერამაც ძირს დაუშვა ხელები და გამხდარი, შევგვრემანი სახე გაუფითრდა. რამდენიმე წამს ასე იდგნენ, ველარ ბედავდნენ საკუთარი თავისთვისაც კი გაემზილათ, თუ რა ხმები იყო ეს, მაგრამ მათ უკვე იცოდნენ რაც იყო. უცებ სამივე ერთბაშად — ჯერ ბებია, შემდეგ მარიამ ანდრიასასული, ბოლოს ელენე ნიკოლოზის ასული სირბილით გამოვარდნენ ყვავილნარში, ერთმანეთის დაულაპარაკებ-

ლად, გრძობით მიხედნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. უკმაყოფილონი არა ჭიშკრისკენ, უკმაყოფილოებს მიჰყვნენ, მზისუმზირებს შორის, ღობის გასწვრივ დარგულ იასამნის ბუჩქებისაკენ.

უთვალავი მანქანის მზარდი ხმაურობა თანდათან მატულობდა, იგი ამოდიოდა ქალაქის ქვემო ნაწილიდან. მანქანების თვლები უკვე გრუხუნებდნენ ბოგირებზე, სადღაც მეორე გადასავალთან, რომელიც აქედან არ მოსჩანდა. ანაზად, ქუჩის ბოლოში, შემოსასვლელთან, გამოჩნდა უმარო რუხი მსუბუქი მანქანა და მის მიწაზე, მოსახვევთან, თვალისმომჭრელად აბრჭყვიალდა მზე, იგი ნელა გამოემართა ღობის გასწვრივ დარგულ იასამნის ბუჩქებთან მდგომ ქალებისაკენ. მანქანაში სწორად, მკაცრად, გაუნძრევლად ისხდნენ რუხტანსაცმელიანი სამხედროები, რომლებსაც ეხურათ ასეთივე რუხი, წინამხარეზე შალა აწეული ციანი ქუდები.

ამ მანქანას უკან მოსდევდა კიდეც რამდენიმე მსუბუქი მანქანა. ისინი რკინიგზის გადასასვლელიდან ქუჩისაკენ უხვევდნენ და ნელა მოსდევდნენ ერთიმეორეს აქეთ, პარკისკენ.

ელენე ნიკოლოზის ასული თვალმოუშორებლივ შესცქეროდა ამ მანქანებს, სახსრებთან ოდნავ გამსხვილებულთითებიანი ხელი უცებ იტაცა ჯერ ცალ ნაწნავზე, მერმე მეორეზე და თავის გარშემო იწყო მათი შემოხვევა. ძალიან ჩქარა გააკეთა ეს, სრულიად მაშინაღორად, და გამოარკვია, რომ თან არა ჰქონია დასამაგრებლები, იქვე განაგრძობდა დგომას, გასცქეროდა ქუჩას და ორივე ხელით იკავებდა თავის გარშემო შემოხვეულ ნაწნავებს.

მარიამ ანდრიასასულმა კი წყნარად წამოიყვლა, მოსწყდა იასამნის ბუჩქს, სადაც იდგა, და გაემართა არა ჭიშკრისაკენ, არამედ შინისაკენ; შე-

შორბინა სახლს იმ მხრით, სადაც საპლინები ცხოვრობდნენ. საპლინების მეორე ჭიშკრით სირბილითვე გავიდა არა იმ ქუჩაში, რომლითაც გერმანელები მოდიოდნენ, არამედ მის პარალელურ ქუჩაში. ეს ქუჩა ცარიელი იყო და მარიამ ანდრიას ასული ამ ქუჩით გარბოდა შინისკენ.

— მაპატიე, უკვე აღარ შემოძლია შეგამხადო... თვითონ იფაქცაცე... და უყოვნებლივ უნდა დაიშალო... საცაა შემოიჭრებიან ჩვენს ქუჩაში! — ეუბნებოდა მარიამ ანდრიას ასული ქმარს.

სუნთქვას ვერ იბრუნებდა, გულზე იკიდებდა ხელს, მაგრამ ისე, როგორც ყოველი ჯანმრთელი ადამიანი, ისეთი ღაფღაფა იყო, და სირბილისაგან გაოფლიანებული, რომ მისი მღელვარების ეს გარეგანი შეხედულება არ ეგუებოდა იმ საშინელ აზრს, რაზედაც ლაპარაკობდა ახლა.

— გერმანელები? — ნელა წარმოსთქვა ლუსიამ საშინელების ისეთი არაბავშვური შეგრძობით ხმაში, რომ მარიამ ანდრიას ასული უცებ გაჩუმდა, შეხედა ქალიშვილს და დაბნეულად მიმოავლო ირგვლივ თვალი.


— ვალია სად არის? — იკითხა მან. მარიამ ანდრიას ასულის ქმარს ტუჩები გაფითრებოდა და სდუმდა.

მე გაიბზობ, ყველაფერი ვნახე, — უჩვეულოდ, წყნარად და დინჯად სთქვა ლუსიამ. — იგი ბაღში წიგნს კითხულობდა, ვილაც უკვე მოზრდილი ბიჭი ძელყორზე ვადმოხტა, იგა იწვა, მერმე წამოჯდა, სულ ლაპარაკობდნენ, შემდეგ ვალია წამოხტა, ძელყორზე გადაიქრნენ და გაიქცნენ.

— საით გაიქცნენ? — უმოძრაო თვალებით მიაშტერდა და ისე ჰკითხა მარიამ ანდრიას ასულმა.

— პარკისკენ... იქ დარჩა შალი, წიგნიც, ბალიშიც. ახლავე დაბრუნდება-მეთქი, ვფიქრობდი; გავედი და კუდარაჯე, რომ არ მოეპარათ, არ

დაბრუნდა, ყველაფერი შინ წამოვიღე.

— ღმერთო ჩემო...  წარმოსთქვა მარიამ ანდრიას ასულმა და შიმშელ დაეშვა იატაკზე.

## თავი მეთექვსმეტი

ბებია ვერა და ელენე ნიკოლოზის ასული კი კიდევ იასამნის ბუჩქებში იდგნენ და შესცქეროდნენ, როგორ აესებდნენ ქუჩას მოსახვევითან ერთი მეორეზე გამომძვრალი აგრიალებული, უზარმაზარი, მაღალი, გრძელი საბარგო მანქანები და მათი გრუხუნი. ამ მანქანებში ისხდნენ რუხი ჯუბებიანი, რუხბილოტურებიანი გაოფლიანებული, გარუჯული, დამტვერული გერმანელი ჯარისკაცები, რომლებსაც ფეხებს შუა ეჭირათ შაშხანები. ყველა ეზოდან გამოქანებული ძაღლები ბრაზიანი ყეფით უტყეოდნენ მანქანებსა და ირგვლივ დახტოდნენ ამ სქელსა და მოწითალო მტვერის კორიანტელში.

წინა მანქანები, რომლებშიც გერმანელი ოფიცრები ისხდნენ, გაუთანაბრდნენ თუ არა კოშევიების სახლის წინ გამართულ ყვავილნარს, ანაზღად ქალების უკან მიქინვარე ყეფა გაისმა, შავი ბანჯგელიანი ძაღლი ელვისებურად გამოეჭანა მზისუბნირებში, ყვავილნარის დაბალ ძელყორზე გადახტა — ხანტი, ხმამაღალი, ბებრული ყეფით აცეკვდა წინა მანქანის გარშემო.

ქალებმა სასოწარკვეთით გადააბედეს ერთმანეთს. ეგონათ, რაღაც საშინელი ამბავი უნდა დატრიალდესო. მაგრამ არავითარი საშინელება არ მომხდარა. მანქანა გაეჭანა შორს, პირდაპირ პარკამდე და ტრესტ „კრასნოლონოვგოლის“ შენობის წინ შეჩერდა, სადაც ზედიზედ მივიდარვა მსუბუქი მანქანა. ამ დროს მთელი



ქუჩა აავსეს ჯარისკაცებიანმა საბარგო მანქანებმა. ჯარისკაცები ხტებოდნენ მანქანებიდან, ისრესდნენ ხელებსა და ფეხებს, რუსი ადამიანის ყურისთვის უჩვეულოდ მოხმაურე, მკვახე კილოზე ლაპარაკით გაიფანტნენ ეზოებში, ყვავილნარებში, აკაკუნებდნენ კარებზე. ამ უამრავი ხალხის ნახვით დაბნეული შავი ბანჯგვლიანი ძაღლი ჭიშკართან იდგა და მთელს ქუჩას უყეფდა განურჩევლად.

ოფიცრები ტრესტის შენობის ახლოს იდგნენ, თამბაქოს ეწეოდნენ, მოსამსახურე ჯარისკაცებს სახლებში შექქონდათ ჩემოდნები. ღიბიანი პატარა ოფიცერი, რომელსაც ისე მალა აეწია ქუდის ცა, რომ მასთან თავს უკვე არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, — მანქანების განტვირთვის განკარგულებას იძლეოდა. მეტისმეტად გრძელფეხა ახალგაზრდა ოფიცერმა, — ტლანქი, უხეში ფეხსაცმელებიანი, ბაცი ყვითელთმიანი, პილოტურიანი ჯარისკაცის თანხლებით, ჩქარა გადაარბინა ქუჩა და პირდაპირ საოლქო კომიტეტის შენობისკენ გაიქცა. მაგრამ ოფიცერი და ჯარისკაცი მაშინვე გამოვიდნენ იქიდან და ჩქარა შეუხვიეს იქვე საოლქო კომიტეტის გვერდით მდებარე სახლში. ამ მეზობელ სახლში ცხოვრობდნენ საოლქო კომიტეტის ბუშაქები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ გუშინწინ წავიდნენ ბინის პატრონებთან ერთად. ოფიცერი და ჯარისკაცი გამოვიდნენ ყვავილნარიდან და გაემართნენ კოშეკოების ჭიშკრისაკენ.

ბოლოს, როგორც იყო, ბანჯგვლიანმა შავმა ძაღლმა დაინახა პირდაპირ მისკენ წამოსული სრულიად რეალური მოწინააღმდეგე და ყფით გაექანა ახალგაზრდა ოფიცრისაკენ. ოფიცერი გაბრჯნილ მალალ ფეხებზე შეჩერდა, სახეზე ბიჭური გამომეტყველება გამოესახა, შეივინა, მერმე

ბუდიდან რევოლვერი იძრო და პირდაპირ ესროლა ძაღლს, ძაღლმა კეცვირი მიწაში ჩარგო, მკვლელობაზე ოფიცრისაკენ წკაფწკაფით ისტუნა და გაიშლართა.

— ძაღლი მოკლეს... მეტი რაღა იქნება? — წარმოსთქვა ბებია ვერამ. ტრესტის შენობასთან მდგომმა ოფიცრებმა და ქუჩაში, მყოფმა ჯარისკაცებმა სროლაზე მოიხედეს, მაგრამ, დაინახეს თუ არა მოკლული ძაღლი, თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ. აქა-იქ მოისმოდა ცალკეული სროლა. ბაცი ყვითელთმიანი ჯარისკაცის თანხლებით ოფიცერი უკვე აღებდა კოშეკოების ჭიშკარს.

ბებია ვერა, რომელსაც გაუნძრევლად და პირდაპირ მიჰქონდა დანტე ალიგაფრისებური თავი, მათს მისაგებებლად წავიდა. ელენე ნიკოლოზის ასული კი იასამნის ბუჩქებში დარჩა, იგი ორივე ხელით იკავებდა თავის გარშემო შემოხვეულ ქერა ნაწნავებს. თუმცა თვითონ ბებიაც მალალი იყო, მაგრამ შეჩერდა თუ არა მის წინ გრძელფეხა ოფიცერი, თავისი ცივი, უფერული თვალებით თავით ფეხებამდე ჩაათვალიერა ბებია და ჰკითხა: — ვინ უნდა გვიჩვენოს თქვენნი ბინა?

ოფიცერმა ეს სიტყვები ასე აზიტომ წარმოსთქვა, ეგონა ძალიან სუფთა რუსული ვთქვიო, და უმაღლე ბებიადან მზერა იასამნის ბუჩქებში მალა ხელაწევით მდგარ ელენე ნიკოლოზის ასულზე გადაიტანა, მერმე კი ისევ ბებიას მიაჩერდა:

— რას უდგებარ, ლენა? წადი, აჩვენე! — ხრინწიანი ხმით დაბნეულად წარმოსთქვა ბებია.

ელენე ნიკოლოზის ასულს ხელი ისევ ნაწნავზე ეკიდა, იგი კვლებს შუა გაემართა შინისკენ.

ოფიცერი ერთხანს გაკვირვებით



შესცქეროდა მას, მერმე კვლავ ბე-  
ბიას მიაჩერდა:

— აბა! — წარმოსთქვა მან და ოდ-  
ნავ ზეასწია ქერა წარბები. და მისი  
ბატონიშვილურმა, ცივმა სახემ ქირ-  
ვეული გამომეტყველება მიიღო.

ბებია, უჩვეულო ცუნცულით, თით-  
ქმის სირბილით გაეშურა სახლისკენ.  
ოფიცერიც და მისი მოსამსახურე ჯა-  
რისკაციც ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

კოშევოების ბინა შესდგებოდა სა-  
მი ოთახისა და სამზარეულოსაგან. სა-  
მზარეულოდან სტუმარი პირდაპირ  
შედიოდა დიდ ოთახში, რომელიც სა-  
სადილოდ იყო განკუთვნილი და, რომ-  
ლის ორი ფანჯარა ბაღის ქუჩის პა-  
რალელურ ქუჩაში გადიოდა. აქვე  
იდგა ელენე ნიკოლოზის ასულის სა-  
წოლი და დივანი, რომელზედაც ჩვე-  
ულებრივად უგებდნენ ხოლმე ოლეგა.  
ხელმარცხნივ, სასადილოდან კარი გა-  
დიოდა ოთახში, სადაც ცოლიანად და  
ბავშვიანად ცხოვრობდა ნიკოლოზ  
ნიკოლოზის-ძე. მეორე კარი, ხელ-  
მარჯვნივ, გადიოდა სულ პატარა  
ოთახში, სადაც ბებია იწვა. ამ ოთახს  
სამზარეულოსთან ჰქონდა საერთო კე-  
დელი, სწორედ ის კედელი, რომელ-  
ზედაც მიშენებული იყო ღუმელი  
და, როცა მას ახურებდნენ, ოთახ-  
ში აუტანელი სიცხე დგებოდა ხოლ-  
მე, განსაკუთრებით ზაფხულში. მაგ-  
რამ ბებიას, ისე როგორც ყოველ  
სოფელ დედაბერს, სითბო უყვარ-  
და, და თუ ეს სიცხე მოუთმენლად  
მოთენთავდა, სარკმელს აღებდა ხოლ-  
მე ყვავილნარისკენ, სადაც ზედ ფან-  
ჯარასთან დარგული იყო იასამანი.

ოფიცერი შევიდა სამზარეულოში,  
ჩქარა შეათვალიერა, მერმე დაიხარა,  
რომ კარის ზემო ჩარჩოზე არ მიერ-  
ტყა თავი, სამზარეულოში შევიდა,  
შედგა, ირგვლივ მიმოავლო თვალი.  
ეტყობოდა, მოეწონა იქაურობა. ოთა-  
ხი სუფთად იყო შეთეთრებული და  
ისე გარეცხილი, რომ პრიალებდა. შე-

ლებილ იატაკზე დაგებული იყო უხე-  
ში, შინმოქსოვილი, ქაფუჭუჭუ მანდა-  
ზები. მაგიდას ეფარა მჭკნარქსნარებელი  
სუფრა, ასეთივე იყო ჩარსაგიც ელენე  
ნიკოლოზის ასულის საწოლზე,  
ხოლო ბალიშები—ერთიმეორეზე უფ-  
რო პატარა ბალიშები — აფუმფულ-  
ლი იყო და ზედ ეფარა რაღაც მაქმი-  
ნისებური და თხელბუხუსა ქსოვილი.  
ფანჯარაზე ყვავილები ეწყო.

ოფიცერი კვლავ კართან თავდახ-  
რით, სწრაფად გავიდა კოროსტილე-  
ვების ოთახში. ელენე ნიკოლოზის  
ასული, რომელმაც ვერც კი შენიშნა,  
როდის და როგორ დაიმაგრა ნაწნა-  
ვები, სასადილოში დარჩა, უკან გადა-  
წეული თავით, ღია-ქერა ნაწნაების  
გვირგვინით კარის წირთხლზე მიყრ-  
დნობილი, ბებია ვერა კი გერმანელს  
მიჰყვა.

ეს ოთახი პატარა საწერი მაგიდი-  
ანად, კოხტა საწერი მოწყობილობა-  
ნად და მაგიდის გვერდით, კარის  
წირთხლზე მიკრულ პატარა ლურს-  
მანზე ჩამოკიდებული რეიშინი, სამ-  
კუთხედი და ლეკალიც მოეწონა გერ-  
მანელს.

— Schön! — კმაყოფილებით წარ-  
მოსთქვა მან.

უცებ შენიშნა აშლილი ლოგინი,  
რომელზედაც იწვა ელენე ნიკოლოზის  
ასული, როცა აქ მარამ ანდრია  
ასული შემოვიდა. ოფიცერი სწრაფად  
მივიდა საწოლთან, გადასწია საბანი,  
ზეწარი, ზიზლით, ორი თითით ოდნავ  
ასწია ბალიში. დაიხარა და ცხვირით  
შეისუნთქა ჰაერი.

— ბაღლინჯო არ არის? — შექ-  
მუხვნით შეეკითხა იგი ბებია ვერას.

— ბაღლინჯა არ არის... არ გახ-  
ლავთ, — წარმოსთქვა ბებიამ დამა-  
ხინჯებით, რომ უფრო გასაგები ყო-  
ფილიყო გერმანელისათვის და შეუ-  
რაცხყოფილმა უარყოფით გაიქნია  
თავი.

— Schön, — წარმოსთქვა გერმა-

ნელმა, კარებთან ისევ დაღუნა თავი და სასადილოში შებრუნდა.

მან მხოლოდ შეიხედა ბებიას ოთახში, ისევ სწრაფად შემოტრიალდა ვერა ნიკოლოზის ასულისკენ.

— აქ იცხოვრებს გენერალი, ბარონ ფონ ვენცელი, — წარმოსთქვა მან. — ეს ორი ოთახი გაათავისუფლეთ, — მიუთითა სასადილოსა და კოროსტილოვების ოთახზე. — თქვენ ნება გეძლევათ იცხოვროთ აქ, — ანიშნა ბებია ვერას ოთახზე. — რაც კი გჭირდებათ, ამ ორი ოთახიდან ახლავე გაიტანეთ... გაიტანეთ ეს, ეს — ორი თითოთი ზიზღით გადასწია ელენე ნიკოლოზის ასულის საწოლზე გაქათებული ჩარსავიანი საბანი, ზეწარი — ის ოთახიც... დასცალეთ... ჩქარა! — ახლოს ჩაუბრა ანაზღად განზე გამდგარ ელენე ნიკოლოზის ასულს და ოთახიდან გავიდა.

— ბაღინჯო ხომ არ არისო? აი მტრის ნასხლეტი.. რას შეესწრო ბებია ვერა ამ სიბერეში! — მაღალი მკვებე ხმით წარმოსთქვა ბებიამ. — ლენა! წელკავი გაგიჯდა თუ რა მოგდის? — ალღევებით სთქვა მან. — საჭიროა ყველაფერი გაეიტანოთ იმ ბარონისათვის, თვალებიც კი დასდგომა! ცოტა გონს მოდი. ვინ იცის, იქნებ ბედმა გაგვიღიმა კიდევ, რომ ბარონი ჩაგვიყენეს, იქნებ ისეთი წყევული არ იყოს, როგორც სხვები...

ელენე ნიკოლოზის ასულმა ჩუმად შეახვია თავისი ლოგინი, გაიტანა ბებიას ოთახში და უკვე აღარ გამოსულა იქიდან. ბებია ვერამ კი შეიღისა და რძლის ლოგინი გაიტანა, კედელზე ჩამოხსნა, მაგიდაზე აიღო შვილისა და შვილიშვილ ოლეგის ფოტოსურათები და კამოდში ჩაალაგა („რომ არ გამოგვეკითხონ ვინ და ვინ არიან“) და თავის ოთახში გაიტანა თავისი და ქალიშვილის კაბები („რომ ხელი არ უფათურონ ამათ, იმ ამოსაწყვეტლებმა“).

მაინც არ ასვენებდა ცნობიერება რეობა, ვეღარ ჯდებოდას. *გენერალი* გავიდა.

ჭიშკართან კვლავ გამოჩნდა ახმახი და მსუქან სახეზე ყვითლად დაქორფილი მოსამსახურე ჯარისკაცი, რომელსაც ორივე ხელით მოჭკონდა გრძელი, განიერი, შალთებიანი ბრტყელი ჩემოდანი. მის უკან ჯარისკაცს მოჭკონდა თოფი — სამი ავტომატური თოფი, ორი მაუზერი, ვერცხლისვადიანი ხმალი, კიდევ ორ ჯარისკაცს მოჭკონდა, ერთს — ჩემოდანი, მეორეს კი — მომცრო, მძიმე რადიომძილები. არც კი შეუხედნიათ ბებია ვერასთვის ისე შევიდნენ სახლში.

ამ დროს გამოჩნდა გამხდარი, მაღალი გენერალი, რომელსაც ეცვა ვიწრო, ოდნავ გამტვერიანი ბუცი პრილა შტიბლეტები, ეხურა წინ ძალზე მაღლა აწეული ციანი ქუდი, — გენერალი მოხუცი იყო, სახედანაოკვებული და სუფთად დაბანილი ზვანჩიანი, იგი ჭიშკრიდან ყვავილნარში შემოვიდა, თან ახლდა გრძელფეხა ოფიცერი, რომელიც მოჰყვებოდა მორიდებით, ერთი ნაბიჯით უკან, თავჩაღუნული.

გენერალს ეცვა ორადგაყოფილი ლამპასებიანი, რუხი დიაგონალის შარვალი მოოქრულილებიანი და შესაყელოიანი ფრენჩი, რომლის წითელი დილკილოები მორთული იყო ოქროცურვილი პალმების რტოებით. გენერალი მოდიოდა, გრძელ კისერზე მაღლა ეჭირა შექალაქებული საფეთქლებიანი, წაგრძელებული წვრილი თავი და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა რაღაცას. ოდნავ უკან მომყოლი ოფიცერი თავდახრით, მოწინებთ ისმენდა მის ყოველ სიტყვას.

შევიდა თუ არა ყვავილნარში, გენერალი შეჩერდა, მიმოიხედა, მარწყვისფერ გრძელ კისერზე ნელა მიაბრუნ-მოაბრუნა თავი, და ამან იგი დაამსგავსა ბატს, განსაკუთრებით იმი-

ტომ, რომ მას ეხურა წინამხარეზე მეტად მალა აშვერილი ციანი და წაშვადილი წინფრიალი ქუდი. გენერალმა მიმოიხედა, მის გაყინულ სახეზე არაფერი არ იხატებოდა. წერილი და გამხდართითებიანი ხელით პაერში სწრაფად მოხაზა წრე, თითქოს უკვე გასწიროს ყველაფერი, რასაც კი თვალი მოაელო, და რაღაცა ჩაიღულუნა. ოფიცერმა კიდევ უფრო მოწიწებით დახარა თავი.

გენერალმა ბებია ვერას შეაფრქვია რთული პარფომერული სურნელება, წუთით შეავლო მას ძალზე გამოხუნებული წყლიანი, მოღლილი თვალი და სახლში შესვლისას თავი დახარა, რათა წირთხლზე არ მიეხალა. გრძელფეხა ახალგაზრდა ოფიცერმა ნიშანი მისცა დერეფნის წინ გაქიმულ ჯარისკაცებს, არ წახვიდეთო, და გერერალს შეჰყვა შინ, ბებია ვერა კი ეზოში დარჩა.

რამდენიმე წუთში ოფიცერი გამოვიდა, მოკლე განკარგულება მისცა ჯარისკაცებს, იმავე დროს ხელით პაერში შემოხაზა ყვავილნარი და ზუსტად გაიმეორა გენერლის ეესტი. ჯარისკაცები ადგილზე შემობრუნდნენ, ქუსლები მიატყაპუნეს, მერმე ფეხდაფეხ მიჰყვნენ ერთმანეთს და ყვავილნარიდან გავიდნენ, ოფიცერი კი სახლში შებრუნდა.

ბოსტანში მზესუმზირებს უკვე ძალიან ძირს დაეხარა ოქროსფერი თავები, და გრძელი, სქელი ჩრდილი გაეფინათ კვლებში. ქუჩიდან, ისამინის ბუჩქების გადაღმა, მოისმოდა ალტიონებული უცხო ლაპარაკი და სიცილი, ხელმარჯვნივ რკინისგზის გადასავალთან კვლავ გნისობდნენ მოტორები, ხან ერთს, ხან მეორე მხარეზე მოისმოდა სროლა, ძაღლების წყავწყავი, ქათმების კრიაბი.

ბებია ვერასთვის უკვე ნაცნობი ორი ჯარისკაცი კვლავ გამოჩნდა ქიშ-

კართან. მათ ხელში ეჭირათ ამოწედილი მახვილები. ბებიამ ეკითხა: მოსწერო იმის გააზრებას, რა სახის სქიპარდებოდათ მათ ეს მახვილები, რომ ორივე ჯარისკაცმა, ერთმა — ქიშკრიც ერთ მხარეზე, მეორემ — მეორეზე, ძელყურის გასწვრივ, უკვე დაიწყეს ისამინის ბუჩქების ჭრა.

— რას სჩადიხართ, ეს რას გიშლით? — ვერ მოითმინა ბებია და კაბის კალთების ფრიალით გაიჭრა ჯარისკაცებისაკენ. — ეს ხომ ყვავილებია, ლამაზი ყვავილები! ეს რას გიშლით? — მირისხანედ ამბობდა იგი და ხან ერთ ჯარისკაცს მივარდებოდა, ხან მეორეს, თავს ძლივს იკავებდა, რომ თმაში არ ჩაფრენოდა მათ.

ჯარისკაცები ყურადღებასაც არ აქცევდნენ მას, ჩუმად, ქმინვით სკრიდნენ ბუჩქებს. მერმე ერთმა რაღაცა უთხრა ამხანაგს, — ორივემ გაიციანა.

— იცინიან, კიდევ! — ზიზლით წარმოსთქვა ბებია.

ჯარისკაცი უცებ გასწორდა, სახელითი შებლზე ოფლი მოიწმინდა, ღიმილით შეხედა ბებიას და გერმანულად უთხრა:

— ეს ზემოდან არის ნაბრძანებია. სამხედრო აუცილებლობაა. ხომ ხედავ, ყველგან სკრიან, — და მახვილი მიუთითა მეორე ყვავილნარზე.

ბებია ვერა გაიგო მისი ნათქვამი. მაგრამ გახედა იმ მიმართულებით, საითაც მახვილით ანიშნა გერმანელმა და დაინახა, რომ მეზობელ ყვავილნარში და მის უკან, ბებიას ზურგს უკანაც, გერმანელი ჯარისკაცები ყველგან სკრიდნენ ხეებსა და ბუჩქებს.

— პარტიზანენ — პუ! პუ! — გერმანელი ჯარისკაცი ცდილობდა აეხსნა, ბუჩქებთან ჩაცუქდა, სქელბრჩხილიანი ქუჩყიანი საჩვენებელი თითი წინ გაიშვირა და აჩვენა, როგორ აკეთებენ ამას პარტიზანები.

ბებია უცებ მთლად მოეშვა, ხელი



ჩაიქნია, ჯარისკაცებს გაშორდა და პარმალზე ჩამოჯდა.

ქიშქართან გამოჩნდა თეთრქუდიანი და თეთრხალათიანი მზარეული ჯარისკაცი, რომელსაც ამ ხალათის ქვეშ მოუჩანდა რუხი შარვლის ტოტები და ხისლანჩებიანი ტლანქი ფეხსაცმელი. ცალი ხელით მოქონდა წვრილად მოწწული მრგვალი კალათა, რომელშიც წკარუნობდა ქურტელო, მეორე ხელში მჭირა ალუმინის ქვაბი. მას მოჰყვებოდა კიდევ ერთი გაზანგული რუხშარვლიანი ჯარისკაცი. მასაც რალაცა მოქონდა დიდი მათლახით. გვერდით ჩაუარეს ბებიას და სამზარეულოსკენ წავიდნენ.

ანაზღად, თითქოს სხვა სამყაროდან მოიჭრაო, სახლიდან მოისმა მუსიკის ნაწყვეტები, ტკაცანო, სისინი გერმანული საუბრის ნაწყვეტები, კვლავ ტკაცანი და სისინი, კვლავ მუსიკის ნაწყვეტები.

მთელს ქუჩაში ჯარისკაცებმა აჰყაფეს ყვავილნარები და სულ ჩქარა მარჯვნივაც და მარცხნივაც რკინიგზის მეორე გადასავალიდან პარკამდე, ყველაფერი ნათლად გადაიშალა, გამოჩნდა მთელი ქუჩა, სადაც დაძრწოდნენ გერმანული ჯარისკაცები და დაჭკროდნენ მოტოციკლები.

უეცრად ბებიას ზურგს უკან, ოთახიდან მოისმა შორეული, ნაზი მუსიკა. სადაც, კრასნოდონიდან ძალიან შორს მიმდინარეობდა წყნარი, უდრტეინველი ცხოვრება, უცხო ყველაფრის მიშართ, რაც ახლა ხდებოდა აქ. აღამიანები, რომელთათვისაც განკუთვნილი იყო ეს მუსიკა, დაშორებული იყვნენ ომს, ბებია ვერას, ამ ჯარისკაცებს, რომლებიც ახლა ქუჩებში დაძრწოდნენ და ჰკაფავდნენ ყვავილნარებს. ალბათ, ეს ცხოვრება შორეული და უცხო იყო თვით ამ ჯარისკაცებისთვისაც, რომლებიც ჰკაფავდნენ ბუჩქებს ყვავილნარებში, იმიტომ, რომ ჯარისკაცებს

თავიც კი არ აუწევიათ მაღლა, ბელჯ არ შეუყენებიათ, ყურიც არ უფრთხილიათ, არაფერი უთქვამთ. მხოლოდ შესაბამ.

მათ მოსჭრეს ყოველი ხე და ბუჩქი ყვავილნარში, თვით ბებია ვერას ოთახის ფანჯრამდე, სადაც ახლა მარტოღო-მარტო, ჩუმად იჯდა ელენე ნიკოლოზის-ასული. ჯარისკაცები იმავე მახვილებით ძირშივე სჭრიდნენ მზისუმზირებსაც, რომელთაც დასაუღეთისკენ დაეხარათ დამძიმებული ოქროს თავები. ეს მზისუმზირებიც დასჭრეს და მაშინ ირგვლივ უკვე ყველაფერი მოსუფთავდა და პარტიზანებს უკვე არსაიდან არ შეეძლოთ გაეკეთებინათ თავიანთი „პუ-პუ“.

### თავი მხვიდრები

სხედასხვაგვარობის იარაღის გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები მთელი საღამოს განმეოლობაში იფანტებოდნენ ქალაქის ყველა რაიონში, მხოლოდ დიდი შანხაი და მცირე შანხაის, შორეული რაიონი—გოლუბიატნიკი და ქდრევიანაიას ქუჩა, სადაც ცხოვრობდა ვალია ბორცი, ჯერ კიდევ არ იყო დაკავებული.

თითქოს მთელი ქალაქი, სადაც არა სჩანდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, აიგოს ქუქყიან-ნაცრისფერი მუნდირებით, ასეთივე პილოტურებითა და გერმანული ვერცხლის არწივებიანი ქუდებით. ნაცრისფერი მუნდირები იფანტებოდნენ ეზოებში, ბოსტნებში, მათ შენიშნავდით სახლების, ფარდულების, ბელუბისა და საკუქნაოების კარებთან.

ქუჩა, სადაც ცხოვრობდნენ ოსმუნები და ზემნუხოვები, ყველაზე პირველად დაიკავეს საბარგო მანქანებით შემოპრილმა ქვეითებმა. ეს ქუჩა საკმაოდ განიერი იყო, შეიძლე-

მოდა აქ დატეულიყო საბარგო მანქანები, მაგრამ იმის შიშით, რომ ეს მიიქცევედა საბჭოთა ავიაციის ყურადღებას, უფროსების ბრძანებით ჯარისკაცები ყველგან ამტვრევდნენ ყვავილნარების დაბალ ძეღვორებს, რათა მანქანები თავისუფლად შესულიყვნენ ეზოებში და შეტყარებოდნენ სახლებსა და ამ სახლებზე მიშენებულ ჩარდახებს.

მალალი, გრძელი საბარგო მანქანა, რომელზეც უკვე აღმოჩნდნენ ჯარისკაცები, უკან დახევით და მოტორის თუბთუხით, უზარმაზარი, სქელი რეზინის ორმაგი თვლებით დაეჯახა ოსმუხინის სახლის ბაღსა. დაამსხვრია ღობე, გადასთელა სახლის წინ გამართული ყვავილნარი და ყვავილები. ჰაერი აავსო ბენზინის ტუსითა და ხმაურით. უკუღმა შევიდა ოსმუხინების ეზოში და სახლის კედელთან ვაჩერდა.

მთლად შავმა, შავულვაშაბზეკილმ, მაგარსეთომიანმა მკვირცლმა ეფრეიტორმა, რომელსაც ეს თმა შებლზე ჩამოფხატულ პილოტურას ქვეშ, თქასავით ბრტყლად გადაკვეროდა საფეთქლებსა და კეფაზე ფეხის კვრით შეაღო პარმაღის კარი, აქედან წინა ოთახის კარიც, და ჯარისკაცების ჯგუფის თანხლებით ოსმუხინების ბინაში შეჯლივინდა.

ელისაბედ ალექსის ასული და ლუსია, არაბუნებრივად გამართული ტანით, ერთმანეთის მსგავსნი, ვალოდიას საწოლთან ისხდნენ. ვალოდია ლელავდა, მაგრამ ცდილობდა თავისიანებს არ შეემჩნიათ ეს მღელვარება და, იწვა ნიკაპამდე ზეწარგადაფარებული და წვრილი, თაფლისფერი თვლებით მოღუშულად გამოიყურებოდა. მაგრამ, როცა ეს ხმაურობა გაისმა პარმაღში და ეფრეიტორისა და ჯარისკაცების გაოფლიანებულ სახეები გამოჩნდნენ წინა ოთახის და კარებში, ელისაბედ ალექსის ასული

მოწყვეტით წამოდგა და სწრაფად მართულად, მისთვის ჩვეული გაბედული სახის გამოქვეყნებით გამოვიდა გერმანელებთან.

— ძალიან კარგი, — წარმოსთქვა ეფრეიტორმა, მხიარულად გაიცინა, და თავხედური გულახდილობით, მაგრამ მეგობრულად ჩააქებდა სახეში ელისაბედ ალექსის ასულს. — აქ დაღვებიან ჩვენი ჯარისკაცები... მხოლოდ ორი-სამი ღამით. Nur zwei oder drei Nächte. ძალიან კარგი.

ჯარისკაცები იღვენ მის ზურგს უკან და ჩუმად, გაუღიმებლად შესცქეროდნენ ელისაბედ ალექსის ასულს. მერმე კარი შეაღო იმ ოთახში, სადაც ჩვეულებრივად ცხოვრობდა თვითონ ლუსიასთან ერთად. მან ჯერ კიდევ გერმანელების მოსვლამდე გადასწყვიტა, თუ გერმანელები დასადგომად მოვლენ, ვალოდიას ოთახში გადავალთ, რომ ყველა ერთად ვიყოთო. მაგრამ ეფრეიტორი არ გავიდა იმ ოთახში, არც კი შეიხედა იქ, — ლააკარში იგი შესცქეროდა ვალოდიას საწოლთან გამართულად და გაუნძრევლად მჯდომ ლუსიას.

— ო! — წამოიძახა ეფრეიტორმა, მხიარულად გაუღიმა ლუსიას და მხედრულად მიესალმა. — თქვენი ძმია? — უბოდიშოდ გაიშვირა ვალოდიასკენ შავი თითი. — დაჭრილია?

— არა! — აენტო ლუსია. — ავად არის.

— იგი გერმანულად ლაპარაკობს! — ეფრეიტორი სიცილით მიუბრუნდა, წინა ოთახში კვლავ გაუღიმებლად მდგომ ჯარისკაცებს. — გინდათ დაჰაროთ, რომ თქვენი ძმა წათელი ჯარისკაცია, ან პარტიზანი, და რომ იგი დაჭრილია, მაგრამ ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია შევემოწმოთ ეს, — ღიმილით ამბობდა ეფრეიტორი და თან ლუსიას თავის ელვარე შავ თვალებს უმაჭუნებდა.

— არა, არა, იგი მოსწავლეა, იგი

სულ ჩვიდმეტი წლისაა, ამერიკის შემდეგ წევს, — ალექსანდრე მითუგო ლუსიამ.

— ნუ გეშინიათ, ხელსაც არ ვახლებთ თქვენს ძმას, — მითუგო ეფრეიტორმა, გაუღიმა ლუსიას და ისევ მხედრულად მიესალმა. თან შეიხედა იმ ოთახში, რომელიც ელისაბედ ალექსის ასულმა წელან ახვენა. — ძალიან კარგი: ეს კარი საით გადის? — შეეკითხა ელისაბედ ალექსის ასულს და, ვიდრე პასუხს მიიღებდა, სამხარეულოს კარი შეაღო. — დიდებულია! ასლავე გაახურეთ! ქათამები გყავთ?.. კორცები, კორცები!.. — და კეთილად ბრძვეული გულახდილობით გაიღიმა.

საკვირველიც კი იყო, რომ მან სთქვა სწორედ ის, რაც ომის მთელა თვეების განმავლობაში შეადგენდა გერმანელების შესახებ ნათქვამი ანეკდოტების შინაარსს, რასაც კი გაიგონებდით მნახველებისაგან, წაიკითხავდით საგაზეთო კორესპონდენციებსა და კარიკატურების მინაწერებში. მაგრამ მან სწორედ ეს სთქვა.

— ფრიდრიხ, შენ სადილის თადარიგს შეუდგე! — და იგი შევიდა ელისაბედ ალექსის ასულის მიერ მითითებულ ოთახში, მთელი სახლი ერთბაშად აიგხო სიცილითა და ლაპარაკით.

— დედა, გაიგე? კვერცხებსა და ლუმელის გახურებას მოითხოვენ.

ელისაბედ ალექსის ასული კვლავ მღუმარედ იღვა წინა ოთახში.

— დედა, გაიგე? შეშა ხომ არ მოვიტანო?

— ყველაფერი გაიგე, — პოზის შეუცვლელად, რაღაც მეტისმეტად მშვიდად წარმოსთქვა დედამ.

ოთახიდან გამოვიდა არც თუ ისე ახალგაზრდა ჯარისკაცი, რომელსაც მეტისმეტად წინწამოწეული ქვედა ყბა ჰქონდა და პილოტურიდან წარბთან მოუჩანდა ნაიარაკები.

— შენა ხარ ფრიდრიხ? — მშვიდად შეეკითხა ელისაბედ ალექსის ასულს.

— ფრიდრიხი? მე შენა ვარ, — მშვიდად მითუგო ჯარისკაცმა.

— წავიდეთ... შეშის მოტანაში დამეხმარები... კვერცხებს მე თვითონ მოგცემთ.

— რა? — იკითხა მან, რაკი ვერ მიხვდა.

მაგრამ ქალმა ხელით ანიშნა და პარმალზე გავიდა. ჯარისკაცი მიჰყვა.

— პო, — წარმოსთქვა, ელოდიამ, ისე, რომ არც კი შეუხედნია ლუსიასთვის, — კარი მიხურე.

ლუსიამ კარი მიხურა, ეგონა, ალბათ ელოდიამ რამე უნდა მითხრასო. მაგრამ როცა საწოლთან დაბრუნდა, ელოდია თვალდახუჭული იწვა და სდუმდა. ამ დროს კარებში, დაუკავუნებლად, გამოჩნდა წელამდე შიშველი, მეტისმეტად ბანჯგვლიანი შავი ეფრეიტორი, მას ხელში ეჭირა სასაბნე. მხარზე პირსახოცი გადაეიდებინა.

— სადა გაქვთ პირსახიანი? — იკითხა მან.

— პირსახიანი არა გვაქვს, ჩვენ ტაშტში ვიბანთ, ან ვუსხამთ ერთმანეთს წყალს, ეზოში. — უთხრა ლუსიამ.

— რა ევლურობაა! — ეფრეიტორი მხიარულად შესცქეროდა ლუსიას, რომელსაც გაქლესილი, სქელლანჩიბიანი ფეხსაცმელი ეცვა და ფეხბაბრჯნით იღვა. — თქვენი სახელი?

— ლიუდმილა.

— როგორ?

— ლიუდმილა.

— არ მესმის... ლიუ... ლიუ...

— ლიუდმილა.

— ო, Luise, — კმაყოფილებით წამოიძახა ეფრეიტორმა. — თქვენ გერმანულად ლაპარაკობთ, ხოლო პირა კი ტოლჩით იბანთ, — ზიზღით წარმოსთქვა მან. — ძალიან ცუდია.

ლუსია სდუმდა.

— ზამთარში, რას შერებთ? — გაოცებით წამოიძახა ეფრეიტორმა. — პა-პა!.. რა ველურობაა! მაშ, დამისხით მაინც!

ლუსია წამოდგა, კარისკენ წაბარბაცდა, მაგრამ ეფრეიტორი განაგრძობდა კართან დგომას და ფეხგაგბრჯნილი, შებაღნიანი, ღიმილრეულა, გულახდილად და პირდაპირ შესცქეროდა ლუსიას.

ლუსია შეჩერდა მის წინ, თავე ჩაჰკიდა და სწითლდა.

— პა, პა!... — ეფრეიტორი კიდევ მცირე ხანს შესდგა და გზა დაუთმო.

ისინი დერეფანზე გავიდნენ.

ვალოდია, რომელსაც ესმოდა მათი საუბარი, იწვა თვალდახუჭული, მთელი სხეულით გრძობდა გულის ძლიერ კუმშვას. აეად რომ არ ყოფილიყო, ლუსიას მაგივრად თვითონ დაუხამდა წყალს გერმანელს. მას ცხვენოდა იმ დამამცირებელი მდგომარეობის შეგნების გამო, რომელშიც მოხვდა თვითონ და მთელი მისი ოჯახი, და რომელშიც ახლა ცხოვრება უხდებოდათ. ამიტომ იწვა ესოდენ გულაძვრებული, თვალდახუჭული, რომ არ დაენახა თავისი მდგომარეობა.

მას ესმოდა, თუ როგორ დადიოდნენ გერმანელები ოთახიდან ეზოში, ლურსმნით მოჰქედილ ლანჩებიან რტლანჭი ფეხსაცმელით. დედამ რაღაცა მკვახედ წარმოსთქვა დერეფანში, მერმე ფეხსაცმლის ჩლატუნით სამზარეულოში შევიდა და ისევ დერეფანში გავიდა. ლუსია უხმოდ შემოვიდა ოთახში და კარი მიიხურა, — დედამ შესცვალა იგი.

— ვალოდია! რა საშინელებაა!... აჩქარებული ჩურჩულით დაიწყო ლუსიამ. — ღობე ირველივ შემოამტერივს. ყველინარი სრულიად გადათელეს. ყველა ეზო სავსეა ჯარისკაცე-

ბით. პერანგებიდან ტილებს ერთ-ბაგვენ, ჩენი აივნის პირდაპირ დედა-შობილა დგანან და რკინით ციფწყალს ისხამენ. კინაღამ გულს ამერია.

ვალოდია თვალდახუჭული იწვა და სდუმდა.

ეზოში ქათამა დაიკრიახა.

— ფრიდრიხი ჩვენს ქათამებს ზოცავს! — მოულოდნელი დაცინვით წარმოსთქვა ლუსიამ.

ეფრეიტორი ფრუტუნებდა და პარიდან ნაწყვეტებად ისვროდა სხვადასხვა ხმებს, — ეტყობოდა, გზადაგზა იშვრალებდა პირს, — პარამლიდან ოთახში შემოვიდა, ერთხანს აჟისმოდა მისი მეტისმეტად ჯანსაღი კაცის ხმამაღალი, მზიარული ხმა. ელისაბედ ალექსის ასულმა რაღაცა უბასუხა მას, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ვალოდიას ოთახში შემობრუნდა. თან შემოიტანა დახვეული ლოგინა და კუთხეში დასდო.

სამზარეულოში რაღაცას აცხობდნენ, ზრაკავდნენ, დახურულ კარებშიც კი იჭრებოდა მოხრაკულის სუნითახი გასასვლელ ეზოდ გადააჭყიცის ყოველთვის ვიღაც მოდიოდა და ვიღაცა მიდიოდა. სამზარეულოდან, ეზოდან, ოთახიდან, საღაც ეფრეიტორი ჯარისკაცებიანად დაბინავდა, ისმოდა გერმანული საუბარი, სიტყვალი.

ლუსია, რომელსაც ენების შესწავლის ნიბი ჰქონდა, სკოლის დამთავრების შემდეგ მთელი წლის განმავლობაში მეცადინეობდა გერმანულში, ფრანგულში, ინგლისურში, — ოცნებობდა შესულიყო მოსკოვის უცხო ენების ინსტიტუტში, რათა საშუალება მისცემოდა ოდესმე დიპლომატიურ სამუშაოზე მოწყობილიყო. ლუსია უნებლიედ უსმენდა და ბევრი რამ ესმოდა ჯარისკაცების ამ საუბრიდან, რომელშიც საკმაოდ მოისმოდა უშვერია სიტყვები და ოხუნჯობანი.

— ადამ, ჰა, მეგობარო ყოჩაღ, ადამ, ეს რა გაქვს?

— უკრაინული ღორის ქონი, მინდა წილში შემოგიერთდე.

— ჩინებულია კონიაკი გაქვს? არა? მაშ, დავლიოთ hol's der Teutel, რუსული არაყი.

— ამბობენ, ამ ქუჩის ბოლოში რაიმელია ბერიკაცს თაფლი აქვსო.

— ჰანსხენს გავაგზავნი. უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით. ეშმაკმა იცის ღიღბანს კი ვიქნებით აქ, ან რა მოგველის.

— რაღა უნდა მოგველოდეს? ჩვენ დონი და ყუბანი მოგველის. შესაძლოა ვოლგაც. გარწმუნებ, რომ აქ უფრო ცუდი არ იქნება.

— აქ ცოცხალი მაინცა ვართ.

— დასწყევლოს ღმერთმა ეს ქვანახშირის რაიონები! ყოველთვს ჰარი, მტერი ან ტალახია, და ყველანი მგლური თვალებით შემოგვექირიან.

— ალერსიანად საღა გვიცქერენ? რატომ ფიქრობ, რომ შენ ბედნიერება მოგაქვს მათთვის? ჰე-ჰე!

ვილაცა ამოვიდა პარმალზე და დედაბრულად დაილაპარაკა:

— Heil Hitler!

— დასწყევლოს ეშმაკმა, ეს პეტერ ფენბონგია! Heil Hitler!.. აჰ, verdammst noch mal.\* ჯერ კიდევ შაგებში არ გვინახებხარ!.. აბა, გუჩვენე, ერთი... შეხედეთ, ბაგშეებო, პეტერ ფენბონგია! წარმოგიდგინათ, საზღვრიდან მოკიდებული არ შევხვედრივართ ერთმანეთს.

— შეიძლება ვიფიქრო, რომ უჩემოდ მართლა მოწყენილი იქნებიდი, — სიცილით უპასუხებდა ეს დედაბრული ხმა.

— პეტერ ფენბონგი! საიდან მოსულხარ?

— უმჯობესია სთქვა, სად მოსულხარ-თქო? ჩვენ ამ სოროზე ვივდივით დანდნულება.

— ეს რა ნიშანი გაქვს მკერდზე?

— მე ახლა უკვე როტენფიურერა ვარ.

— ექე! ტყუილბრალოდ კი არ გასუქებულხარ. ალბათ „სს“ ნაწილებში უკეთ ჰკვებავენ.

— მაგრამ, ალბათ, წინანდებურად ტანსაცმელიანად სძინავს და პირს არ იბანს, მე ამას სუნით ვგრძნობ.

— ნურასოდეს ისე ნუ იოხუნჯებ, რომ მერმე ინანი, — დაიმღერა დედაბრულმა ხმამ.

— მაპატიე, ძვირფასო პეტერ, მაგრამ ჩვენ ხომ ძველი მეგობრება ვართ, ხომ მართალია? სხვა რაღა დარჩენია ჯარისკაცს, თუ არ იოხუნჯა? როგორღა მოგვაგენი?

— ბინას ვეძებ.

— შენ ბინას ეძებ?!... თქვენ ყოველთვის საუკეთესო სახლებში ბანავდებით ხოლმე.

— ჩვენ დაეიკავეთ საავადმყოფო, ეს უზარმაზარი შენობაა, მაგრამ მე მაინც მკირდება ბინა.

— ჩვენ აქ შეიღნი ვართ.

— ვხედავ... Wie die Heringel!\*

— დიად, ახლა შენ აღმაეალ გზას მიჰყევი. მაგრამ ძველ მეგობრებს მაინც ნუ დაივიწყებ. შემოიარე ხოლმე, ვიდრე აქა ვართ.

— უცნაური კაცია ეს პეტერ ფენბონგი!

— უცნაური? კარიერას იკეთებს, მართალიც არის.

— მაგრამ შენ თუ გინახავს იგაოდესმე არა თუ ტიტველი, არამედ თუნდაც პერანგის ამარა? არასოდეს არ იბანს.

— ექვი მეპარება, მას წყლულები უნდა ჰქონდეს ტანზე, რცხვენია გა-

\* წყლული იყოს (გერმ.)

\* თიშვებით (გერმ.)



მოაჩინოს... ფრიდრიხ, ჩქარა მოათავებ?

— დაფნის ფოთოლი მინდა,—ნალვლიანად სთქვა ფრიდრიხმა.

— შენ ფიქრობ, საქმე დასასრულს უახლოვდება და გინდა წინასწარ დაიწና გამარჯვებულის გვირგვინი?

— დასასრული არ იქნება, ჩვენ მთელს ქვეყანას ვეომებით,—მოწყენით წარმოსთქვა ფრიდრიხმა.

ელისაბედ ალექსის ასული ფანჯარასთან იდგა, ცალი ხელით რაფას დაყრდნობილი, ჩაფიქრებული. იგა ფანჯარაში ხედავდა მზის შუქით მოვერცხლილ უშენ ადგილს. უშენის შორეულ განაბირას, მათი სახლას პირდაპირ ცალკე იდგა ორი ქვითყარის თეთრი სახლი; ერთი უფრო დადი,—ვოროშილოვის სახელობის სკოლა, მეორე მომცრო, — საბავშვო საავადმყოფო. სკოლაცა და საავადმყოფოც ევაკუირებული იყო და სახლები ცარიელი.

— ლუსია, გახედე ეს რა არის? — უცებ წარმოსთქვა ელისაბედ ალექსის ასულმა და საფეთქლით მინას მიეყრდნო.

ლუსიამ ფანჯარასთან მიიბრინა. მტერიან გზაზე, რომელიც გადიოდა უშენზე. ამ ორ შენობას შორის, გაპყრივებული მიიზღაზნებოდნენ ადამიანები. თავდაპირველად ლუსია ვერ მიხვდა ვინ იყვნენ ისინი, მუქხალათიანი თავშიშველი მამაკაცები და ქალები მიდიოდნენ გზაზე. ზოგიერთები ძლივს მიდიოდნენ ყავარჯენებით, კოკლობით; ზოგიერთებს კიდეც, რომლებიც თვითონაც ძლივს ითრევდნენ ფეხებს, საკაცებით მიყავდათ აკადმოფები თუ დაპრილები. თეთრი ხილაბანდიანი და ხალათებიანი ქალები, ქალაქელი კაცები და ქალები, თავიანთი ჩვეულებრივი ტანსაცმელით, ზურგზე მძიმე ფუთაწამოკიდებულნი, ნელა მიდიოდნენ. ეს გაწყვირებებით მიმავალი ადამიანები მი-

დიოდნენ ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც ფანჯარიდან არ მოსჩანდა. ადამიანები ირეოდნენ ბაშკეთა საავადმყოფოს წინ, სადაც უნარშარწინა კარებთან დაფუსფუსებდა ორთეთრხალათიანი ქალი, რომლებიც ცდილობდნენ ამ კარის გაღებას.

— ესენი ქალაქის საავადმყოფოს ავადმყოფები არიან! ისინი უბოდაშოდ გაყარეს გარეთ. — გესმის? მიხვდი? — იკითხა მან, შემობრუნდა თუ არა ძმისკენ.

— დიად, დიად, მესმოდა, უცებ ვიფიქრე: ავადმყოფებს რა ეშველებათ-მეთქი? — აღელვებით ამბობდა ვალოდია.

რამდენიმე ხანს ლუსია და ელისაბედ ალექსის ასული შესცქეროდნენ ავადმყოფების გადასახლებას და ჩურჩულით უზიარებდნენ ვალოდიას, რასაც კი ხედავდნენ, ვიდრე მათ ყურადღებას მიიქცევდა გერმანელ ჯარისკაცთა ხმამალალი ლაპარაკი. ხმის მიხედვით, ეფრეიტორის ოთახში თავი მოეყარა ათ-თორმეტიოდე კაცს. ერთი სიტყვით, ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ. საღამოს შეიდი საათიდან იწყებდნენ ჰამას, კარგად შელამდებოდა კიდეც, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სკამდნენ და სკამდნენ, ჯერ კიდევ რაღაც იხრავებოდა სამხარეულში. წინა ოთახში და უკან დაბაკუნობდნენ ჯარისკაცები. ეფრეიტორის ოთახიდან მოისმოდა ტოლჩების გახუნი. ლაპარაკი ხან გამოცოცხლებოდა, ხან მიწყნარდებოდა, როცა ახალ ულუფას შემოიტანდნენ. ხმები სულ უფრო ნამთვრალევი და თავაშვებული ხდებოდა.

ოთახში, სადაც სახლის პატრონები ისხდნენ, დახუთული ჰაერი იდგა: სამხარეულოდან სიცხე და ბოლი გამოდიოდა; სახლის პატრონები წინანდებურად ვერ ბედავდნენ გაეღოთ ფანჯრები. ბნელოდა; დუმილით შე-

თანმებულნი ლამფას ვერ ანთებდნენ.

ივლისის ბნელი ღამე დგებოდა, ისინი კი სულ ისხდნენ, ლოგინს არ აგებდნენ, დაძინებას ვერ ბედავდნენ. ფანჯრის იქით, უშენზე შეუძლებელი იყო რაიმეს გარჩევა, უშენის მარჯვნივ მხოლოდ ბორცვის მუქი თხემი და ზედ ამართული რაიონული აღმასკომისა და „ცოფიანი ბატონის“ შენობები გამოიყოფოდა ცის უფრო და ფონზე.

ფერეიტორის ოთახში სიმღერა დაიწყეს. მღეროდნენ არა ისე, როგორც მღერიან ხოლმე მთერალი ადამიანები, არამედ როგორც მთერალი გერმანელები: სრულიად ერთგვარი დაბალი ხმით, საშინელი დაძაბულობით; თითქმის სისინებდნენ და ხროტინებდნენ—ასე უნდოდათ ემღერათ. ერთსა და იმავე დროს, დაბალი და მაღალი ხმით. მერმე ისევ მიუჯახუნებდნენ ხოლმე ტოჩებს და სვამდნენ, კვლავ სვამდნენ და რამდენიმე ხანა, ვიდრე სვამდნენ, ყველაფერი წყნარდებოდა.

ანახლად, პარმალში, მძიმე ფეხსაცმელმა გაიბაკუნა, სახლის ბატონთა ოთახის კარამდე და აქ შედგა, ეტყობოდა, იგი ყურს უგდებდა კართან მომდგარი.

კარზე თითის მაგრად დაკაკუნება გაისმა. ელისაბედ ალექსის ასულმა ანიშნა, არ გაალოთო, ვითომც ისინი უკვე დაწოლილი იყვნენ. კაკუნი განმეორდა. რამდენიმე წამში კარზე მაკრად დაარტყეს მუშტი, კარი გაიღო და ოთახში შავი თავი შემოძვრა.

— ვინ არის? — რუსულად იკითხა ფერეიტორმა. — დიასახლისო!

ელისაბედ ალექსის ასული წამოდგა, კართან მივიდა.

— რა გინდათ? — ნელა შეეკითხა.

— მე და ჩემი ჯარისკაცებია გთხოვთ ცოტა რამე სჭამოთ ჩვენთან... შენ და ღიზამ... ცოტა რამე, —

უთხრა მან. — ყმაწვილმა... მასაც შეგიძლიათ წაუღოთ, ცოტა რამე...

— ჩვენ უკვე ვჭამეთ, არ გვინდა. — უთხრა ელისაბედ ალექსის ასულმა.

— სად არის ლეიზა? — რაჟი ვერა გაუგო რა ქალს, ქშენითა და საკმლის ლეკით იკითხა ფერეიტორმა; მას არყის სუნი სდიოდა. — ლეიზა! მე გხედავთ თქვენ, — წარმოსთქვა მან და ხმამალა გაიციანა. — მე და ჩემი ჯარისკაცები გთხოვთ სჭამოთ ჩვენთან, დალიოთ, თუ წინააღმდეგი არა ხართ.

— მან ცუდად არის, ვერ დავტოვებ, — უთხრა ლუსიამ.

— იქნებ მაგიდის ალაგება გინდათ? წამოდით, დაგებმარებით, წამოდით, — ელისაბედ ალექსის ასულმა თამამად მოჰკიდა ხელი ფერეიტორს სახელოში. მასთან ერთად გავიდა პარმალზე და კარი გაიხურა.

სამზარეულოს, პარმალსა და ოთახის სივრცეს, სადაც ეს ღრეობა იყო, მოყვითალო-ლურჯი ბოლი აესებდა. ამ ბოლში თითქოს გამდნარიყო სტეარინით, თუ სტეარინისებური სხვა რამ სითხით საესე თუნუქის მრგვალი ტრაქების მოციმიციმე ყვითელი შუქი. ტრაქები ენთო მაგიდაზე და სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე, პარმალის ჩარდახზეც, სუფრაზე გერმანელი ჯარისკაცებით საესე ოთახში, სადაც ფერეიტორთან ერთად შემოვიდა ელისაბედ ალექსის ასული.

გერმანელები შემოსხლომოდნენ საწოლთან მიღგმულ სუფრას. მკიდროდ ისხდნენ ერთიმეორის გვერდით: საწოლზე, სკამზე, ტაბურეტზე, ნაიარაგებიანი მოღუშული ფრიდრიხი კი იჯდა კენძზე, როქელზეოაც ჩექლებრივად შემას ჩეხავდნენ ხოლმე. სუფრაზე იდგა რამდენიმე ბოთლი არაყი. იქვე მაგიდაზე, მაგიდის ქვეშ და ფანჯრის რაფაზედაც ეყარა ცირიელი ბოთლები. სუფრა საესე იყო

დასერილი ჰურჭლით, ბლომად დაყრილი ცხერისა და ქათმის ძვლებით, შწვანილის ნარჩენებითა და პურა<sup>\*)</sup> ნატეხებით.

გერმანელები უმუნდიროდ, საკინძე შესხნილი ძველი პერანგის ამარა ისხდნენ, გაოფლიანებულნი, ბანჯგვლიანნი, თითებიდან იდაყვამდე გაზაგულნი.

— ფრიდრიხ! — წამოიყვირა ეფერიტორმა. — რას უზიხარ? ნუთუ არ იცი, როგორ უნდა გაუმასპინძლდე კარგი ქალიშვილების დედებს? — და კიდევ უფრო გულიანად და მხიარულად გაიცინა, ვიდრე სიფხიზლის დროს იცოდა ხოლმე. ირგვლივ სხვებმაც გაიცინეს.

ელისაბედ ალექსის ასული მიხედა, რომ მას დასცინოდნენ, ნამდევლად შესაძლოა უარესიც დამემართოს, ვიდრე ახლა ეფერიტორი ლაპარაკობსო, — გაიფიქრა მან და გაფითრებულმა, მდუმარემ, საშინლად მუღუღარემ, სუფრაზე უსიტყვოდ შეაქუნა ნარჩენები და ჰუჭვიან ცარველ მათლაფაში ჩააყარა.

— სად არის თქვენი ქალიშვილი ლეიზა? დალიეთ ჩვენთან ერთად, — ამბობდა მწითლური, მთვრალი ახალგაზრდა ჯარისკაცი, ბოთლი აიღო, თვალებით ძებნა დაუწყო სუფთა ტოლჩაში დაასხა. — მოიწვიეთ თქვენი ქალიშვილი! მას სთხოვენ გერმანელი ჯარისკაცები! რუსული სიმღერები გვასწავლოს...

მან აიქნია ბელი, რომელშიც არყიანი ბოთლი ეჭირა, ძლიერი ჰინთეით თვალები გადმოკარკლა და ძალზე დაბალი ხმით დაიწყო სამღერა:

Wolga, Wolga, Mutter  
Wolga,  
Wolga, Wolga, Russlands  
Thuss... \*

იგი წამოდგა და მღეროდა, დიროვრობდა ისე, რომ ბუფლიდან სუფრაზე, ჯარისკაცებზე და ყველაზე უფრო და არაყს. შავმა ეფერიტორმა გადხარხარა და მანაც დაამღერა, ყველამ ერთბაშად ბანი მისცა მას ძალზე დაბალი ხმით.

— დილ, ჩვენ გავდივართ ვოლგაზე! — ყვიროდა სველწარბებიანი მეტისმეტად ჩასუქებული გერმანელი, რომელიც ცდილობდა ყვირილით დაეფარა მომღერალთა ხმა. — ვოლგა გერმანელთა მდინარეა! Deutschlands Thuss! — ასე უნდა იმღეროთ! — ყვიროდა იგი. უნდოდა მისი სიტყვები სარწმუნო ყოფილიყო და თვითონაც დარწმუნებული ამაში, სუფრას ისე მაგრად დაარქო ჩანგალი, რომ კბილები გადაედუნა.

ისე გართული იყვნენ სიმღერით, რომ არაყის შეუნიშნავს, როგორ გაიტანა სამზარეულოში ნარჩენებით საესე მათლაფა ელისაბედ ალექსის ასულმა. უნდოდა მათლაფა გაერეცხა, მაგრამ ღუმელზე ვერ იპოვნა ცხელწყლიანი ჩაიდანნი. „ჰო, მართლა, ისინი ხომ ჩაის არა სვამენ“, — გაიფიქრა მან.

ფრიდრიხმა, რომელიც ჩერით ხელში ფუსფუსებდა ღუმელთან, ჰინში მცურავი ცხერის ხორციანი ტაფა გადმოიღო და გავიდა. „ცხვარი, ალბათ, სლონოვებისას თუ დაქვლეს“. — გაიფიქრა ელისაბედ ალექსის ასულმა, თან ყური მიუგდო არამწყობრად, ერთგვარად, მთვრალი ხმებით მომღერლებს, რომლებიც გერმანულად ასრულებდნენ ამ უძველეს რუსულ სამღერას. მაგრამ ესეც, ისე როგორც სხვა ყველაფერი, რაც ახლა ხდებოდა ირგვლივ, სულერთი იყო მისთვის, იმიტომ, რომ აღამიანთა გრძობისა და საქციელის ის საზომი რაც მასა და მის შვილებს ახასიათებდა ჩვეულებრივ ცხოვრებაში, უკუ მიუღბული იყო იმ ცხოვრებაში, რომელშიც

\*) ვოლგა, ვოლგა, დედა ვოლგა, ვოლგა, რუსთა მდინარეო...

ახლა შევიდნენ თვითონ და მისი ბავშვები. არა მარტო გარეგნულად, თინაგანადაც ისინი ცხოვრობდნენ ისეო სამყაროში, რომელიც იმდენად არა ჰგავდა ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულების ჩვეულებრივ სამყაროს, რომ იგი გამოგონილად ეჩვენებოდათ. თითქოს საჭირო იყო უზრალოდ გაეხილათ თვალი და — ეს შეეყანა გააქვებოდა კიდევ.

ელისაბედ ალექსის ასული უხმოდ შევიდა ვალოდიასა და ლუსიას ოთახში. ისინი ჩურჩულით საუბრობდნენ და დედის შესვლისთანავე გაჩუმდნენ.

— იქნებ უმჯობესი იყოს დაიგო და დაიძინო? იქნებ უმჯობესი იყო დაიძინო? — უთხრა ელისაბედ ალექსის ასულმა.

— მეშინია დავწვე, — წყნარად მიუგო ლუსიამ.

— თუ კიდევ გაბედა იმ ძაღლმა, — უცებ წარმოსთქვა ვალოდიამ, თან საწოლზე წამოიწია, — თუ კი გაბედა, მოვკლავ, დიად, დიად, მოვკლავ, რაც მოხდება — მოხდეს! — გაიმეორა მან, გადაფითრებულმა, გამხდარმა; ხელებით საწოლს დაეკრდნო და თვალები დააბრიალა ამ ნახევრად სიბნელეში.

ამ დროს კვლავ მოისმა კარზე კაკუნის; კარი ნელა გაიღო. გამოჩნდა შარვალში ჩატანებული პერანგის ამარა ეფრეიტორი. ცალ ხელში ახლებული ჭრაქი ეჭირა, რომელიც მთრთოლვარე შექს პფენდა მის გაოფლიანებულ სახეს. ერთხანს წინ წაიგრძელა კისერი, მიაჩერდა საწოლზე წამომჯდარ ვალოდიას და მის ფერხთით ტაბურეტზე მჯდომ ლუსიას.

— ლუიზა! — აღტაცებული ხმაო წარმოსთქვა ეფრეიტორმა. — თქვენ არ უნდა გეზიზღებოდეთ ჯარისკაცები, რომლებიც შესაძლოა ყოველდღე და ყოველ საათს დაიღუ-

პონი ჩვენ ცუდს არაფერს გზიანთ. გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც ხალხია, ისინი ნამდვილად არიან, ასე ვიტყვოდი მე. გთხოვთ გაიზიაროთ ჩვენი სუფრა, შეტი არაფერი.

— დაიკარგე აქედან! — წამოიყვირა ვალოდიამ და მძულვარებით მიაჩერდა.

— ო, შენ ყოჩალი ყმაწვილი ხარ, სამწუხაროდ ავადმყოფი! — გულითადად წარმოსთქვა ეფრეიტორმა; ამ ნახევრად სიბნელეში მან ვერ გაარჩია ვალოდიას სახე და ვერც მისი ნათქვამი გაიგო.

ვინ იცის, რა მოხდებოდა ამ წუთას, მაგრამ ელისაბედ ალექსის ასული სწრაფად მივიდა შვილთან, ხელი მოხვია, მკერდზე მიიხუტა მისი სახე და მიაწვინა ლოგინზე.

— ჩუმაღ, ჩუმაღ — წასჩურჩულა ყურში გამშრალი, ცხელი ტუჩებით.

— ფიურერის ჯარისკაცები შენს პასუხს ელოდებიან, ლუიზა! — აღტაცებით ლაპარაკობდა პერანგის ამარა მკერდბანჯგვლიანი, კარზე ბარბაცით ჭრაქით ხელში მდგარი, მთვრალი ეფრეიტორი.

ლუსიამ არ იცოდა, რა ეპასუხა, იგდა გადაფითრებული.

— კარგი, ძალიან კარგი გუტ! — მკეახედ უთხრა ელისაბედ ალექსის ასულმა, ჩქარა მივიდა ეფრეიტორთან და თავი დაუქნია: ახლავე მოვა, გესმის? ფერტშტიგე? გადაიცვამ და მოვა, — ხელით ანიშნა, თითქოს იცვამსო.

— დედა... — მთრთოლვარე ხმით წარმოსთქვა ლუსიამ.

— გაჩუმდი მაინც, თუ ღმერთმა მეტი ჰქუა არ მოგცა. — ამბობდა ელისაბედ ალექსის ასული თავის ქნევით, თან ეფრეიტორს მიაცილებდა.

ეფრეიტორი გავიდა. წინკარიდან ოთახში მოისმოდა წამოძახილები.

ზარზარი, ტოლჩების წყარუნი, და ახალი ალტკინებით, ერთგვარი დაბალი ხმით ამღერდნენ გერმანელები:

Wolga, Wolga, Mutter  
Wolga...

ელისაბედ ალექსის ასული სწრაფად მივარდა გარდერობთან და პატარა კარში გასაღები გადააბრუნა.

— შეძვერი, ჩაგვეტავ, გესმის? — ჩურჩულით წარმოსთქვა მან.

— როგორ-ღა...

— ვეტყვი, ეზოში გავიდით-თქო...

ლუსია გარდერობში შეხტა, დედამ მიჰკეტა პატარა კარი, გასაღები კა გარდერობის თავზე ჩამოსდო.

გერმანელები გაშმაგებით მღეროდნენ. უკვე შეუღამე იყო. გარეთ უკვე ძნელი გასარჩევი იყო სკოლას შენობა და ბავშვთა საავადმყოფო, აგრეთვე გრძელი ბორცვი რაიონული აღმასკომისა და „ცოფიანი ბატონას“ შენობიანად. პარმალთან მხოლოდ კარქვეშ შემოდითა და შექის ვიწრო ზოლი. „ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაფერი ეს მართალია!“ — გაიფიქრა ელისაბედ ალექსის ასულმა.

გერმანელებმა სიმღერა გაათავეს და ნამთვრალევი ხმით არეული დავა დაიწვეს. ყველანი სიცილით უტყედნენ ეფრეიტორს, ის კი თავს იცავდა: ძლიერი, მზიარული, მარჯვე. მუდამ დაუცხრომელი ჯარისკაცის ხმით იგერიებდა მათ.

და აი, იგი კვლავ გამოჩნდა კარებში კრაქით ხელში.

— ლუიზა!

— ეზოში გავიდა... ეზოში... ეზოში... — ხელით ანიშნა ელისაბედ ალექსის ასულმა.

ეფრეიტორი ანთებული კრაქითა და ფეხსაცმლის ბაკუნით ბარბაცით წავიდა პარმალში. ისმოდა თუ როგორი ბრაზუნით ჩადიოდა კიბის საფეხურზე. ჯარისკაცებმა ცოტა ხანს

კიდევ ილაპარაკეს სიცილით, მერმე პარმალში ფეხების ბრახუნით ისინი ეზოში ჩავიდნენ. სწრაფად და მარტოდა ოთახში, პარმალის იქით, ვიღაც ტურქელს აჩხარუნებდა, ეტყობოდა ფრიდრიხი უნდა ყოფილიყო. მკაფიოდ მოისმოდა, რომ ჯარისკაცები ზედ აივანთან შარდავდნენ. ზოგი მათგანი ჩქარა დაბრუნდა ნამთვრალევი, ხმამაღალი ლაპარაკით. ეფრეიტორი არა სჩანდა. ბოლოს დერეფანსა და პარმალში გაისმა მისი ფეხის ხმა. ოთახის კარი გაიღო, სამზარეულოს ფართოდ გაღებულ კარებში მიბნედილ შექსა და კვამლას ფონზე ახლა უკვე უჭრაქოდ გამოჩნდა ეფრეიტორი.

— ლუიზა... — ჩურჩულით დაიძახა მან.

ელისაბედ ალექსის ასული აჩრდილივით გაჩნდა მის წინ.

— როგორ, ვერ იპოვნე?.. არ მოსულა, აქ არ არის... — ამბობდა ქალი და თავითა და ხელებით უარყოფით ნიშნებს აძლევდა ეფრეიტორს.

ეფრეიტორმა არეული თვალები მიმოავლოს ოთახში.

— უ-უ-უ... — ნამთვრალევედ და შეურაცხყოფით დაიშველა მან და ამღერეული შავი თვალებით მიაჩივდა ელისაბედ ალექსის ასულს. იმავე წუთს ეფრეიტორმა სახეზე მიადო თავისი უზარმაზარი გაზანგული ხელი, ხუთივე თითი ისე მაგრად მოუჭირა კინალამ თვალები გაღმოყრევიანა ელისაბედ ალექსის ასულს, მერმე ხელი ჰკრა და ბარბაცით გავიდა ოთახიდან. ელისაბედ ალექსის ასულმა სწრაფად გადაატრიალა გასაღები კარში.

გერმანელები კიდევ ფუსფუსებდნენ, ბუხუნებდნენ ნამთვრალევი ხმით, მერმე ისე ჩაიძინეს, რომ შეჭი არ ჩაუჭრიათ.

ელისაბედ ალექსის ასული უსიტყვოდ იჯდა ვალოდაის წინ, რომელსაც

წინანდებურად არ ეძინა. აუტანელ სულიერ დაღლილობას განიცდიდნენ, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარგებოდათ. ელისაბედ ალექსის ასულმა ცოტა ხანს კიდევ დაიცადა და გამოუშვა ლუსია.

— კინალამ გავიგუდე, მთელი ზურგი სველი მაქვს, თმაც კი, — ამბობდა ლუსია ალგზნებული ჩურჩულით. ამ თავგადასავალმა თითქოს გაამხნევა იგი. — წყნარად გამოვალეფიან. ვიხრჩობი.

უხმოდ გააღო ფანჯარა, ტახტის მახლობლად და უშენისკენ გაჰყო თავი. დახუთული ღამე იყო, მაგრამ ოთახში დამდგარი მძიმე ჰაერსა და ყველა იმის შემდეგ, რაც ახლა ხდებოდა შინ, უშენიდან საამო სიგრილე მოჰქროდა. ქალაქში ისეთი სიჩუმე დამკვიდრებულებოდა, თითქოს ირგვლივ არავითარი ქალაქი არ არსებებოდა, თითქოს ამ ბნელით მოცულ უშენზე მარტო მძინარე გერმანელებით სავსე მათი სალხი მდგარიყო. უცებ იქ, სადაც ზემოთ, რკინიგზის გადასავალის გადაღმა, პარკთან ელვარე აფეთქებამ გაანათა ცა და მთელი უშენი, ბორცვიც, სკოლის შენობაც და საავადმყოფოც. წუთის შემდეგ მას მოჰყვა მეორე აფეთქებაც — უფრო ძლიერი, კვლავ ყველაფერი ნათლად გამოეყო სიბნელეს, წუთით თვით ოთახიც სინათლით აივსო. ხოლო შემდეგ — აფეთქება კი არა, არამედ თითქოს — შორეული აფეთქებით გამოწვეულმა ჰაერის უხმო რყევამ ზედიზედ გადაუქროლა უშენს და კვლავ ჩამოხრჩობდა.

— რა არის ეს? რა არის? — შიშით კითხულობდა ელისაბედ ალექსის ასული.

ვალოდიამ საწოლზე წამოიწია.

ლუსია გულის უცნაური ფანცქალით მისჩერებოდა სიბნელეს იმ მხარეზე, სადაც იეღვეს ამ აფეთქებებ-

მა. თვალთ დაუნახავი ალის გამოწვევით, ხან მინელებით, ხან უფრო ძლიერად, შეირხა სადღაც. მისი ლობზე, ის ხან გამოჩნებოდა, ხან კვლავ წყვედიადში შთანთქმავდა ხოლმე რაიონული აღმასრულებელი კომიტეტისა და „ცოფიანი ბატონის“ შენობათა სახურავებს. უეცრად იმ ადგილას, სადაც ამ უცნაური შუქის წყარო იყო, სივრცეში აიშრთა ალია უზარმაზარი ენა და მის ზემოთ მთელი ცა მეწამული ფერით შეიღება, განათდა მთელი ქალაქი და უშენი, ოთახში ისეთი სინათლე შემოიჭრა, რომ უკვე გამოჩნდნენ სახეებიცა და საგნებიც.

— ხანძარი!.. — პირი ოთახისაკენ შემოაბრუნა და ისე წარმოსთქვა ლუსიამ რაღაც გაურკვეველი აღფრთოვანებით, მერმე კვლავ მიიპყრო თვალი ხანძრის იმ მაღალ ენას.

— მიხურე ფანჯარა, — შიშით წარმოსთქვა ელისაბედ ალექსის ასულმა.

— სულერთია, არავინ გვხედავს! — სთქვა ლუსიამ მოკუნტვით, თითქოს ცივაო.

მან არ იცოდა რა ხანძარი იყო ეს, ან როგორ გაჩნდა იგი. მაგრამ იყო რაღაც სულის გამწმენდი, რაღაც უღიადესი და საშინელი რამ ამ მაღალ მძვინვარე და ძლიეროსილ ალში. და ლუსია თვალმოუშორებელი შესცქეროდა მას, თვითონაც განათებული მისი შორეული გამოხატულებით.

დაფიონი ეფიებოდა არა მარტო ქალაქის ცენტრს, არამედ გარშემოც, ძალიან შორს, არა მარტო სკოლისა და ბავშვთა საავადმყოფოს შენობები მოსჩანდნენ, ისე როგორც დღესით, არამედ მოსჩანდა უშენის იქითა მდებარეობაც — ქალაქის შორეული რაიონებიც კი, რომლებიც ეკვროდნენ № 1-ბის მაღაროს. და ეს მეწამული ცა, ეს ხანძრის გამოჩნულები სახლების სახურავებსა და ბორცვებ-

ზე ჰქმნიდნენ მოჩვენებითსა და ფანტასტიურს, იმავე დროს უღიადეს სურათს.

იგრძნობოდა, რომ მთელს ქალაქს ეღვიძა. იქ, ცენტრში ისძოდა ადამიანთა განუწყვეტელი მოძრაობა, ისმოდა ცალკეული ხმები, წამოძახებები, სადღაც გუგუნებდნენ საბარჯო მანქანები. იმ ქუჩაზე, სადაც ოსმუნების სახლი იდგა, გაიღვიძეს გერმანელებმა, ისინი აფუსფუსდნენ. ძაღლებს, — ჯერ კიდევ ყველა ვერ ამოეხოცათ, — დავიწყებოდათ დღიური შიში და ახლა ხანძარს უყუფუნენ. არაფერი ესმოდათ მხოლოდ პარმალის იქით, ოთახში მწოლიარე მთვრალ გერმანელებს, მათ კვლავ ეძინათ.

ორიოდე საათის განმავლობაში მძვინვარებდა ხანძარი, მერმე თანდთან იკლო, განელება იწყო. ქალაქის შორეული რაიონები, ბორცვები ისევ წყვდიადში შთაინთქმნენ. მხოლოდ ალის ცალკეული აეღვებანა დროდადრო კვლავ გამოაჩენდა ხოლმე ხან ბორცვის სიმრგვალეს, ხან სახურავთა ჯგუფს, ხან კიდევ ტერიკონის მუქ კონუსს. მაგრამ პარკის ზემოთ ცას კიდევ დიდხანს შერჩა ხან კლებადი, ხან კვლავ გაძლიერებული შეწამული შექი, კიდევ დიდხანს მოსჩანდა ბორცვზე რაიონული აღმასკომისა და «ყოფიანი ბატონის» შენობები. მერმე ისინიც გაქრნენ და ფანჯრის წინ გაშლილი უშენიც სულ უფრო სქელი წყვდიადით დაიფარა.

ლუსია კი სულ იჯდა ფანჯარასთან და აღვზნებით გასცქეროდა ხანძრის მხარეს. არ ეძინათ არც ელისაბედ აღუქსის ასულს და არც ვალოდიას.

ანაზღად ლუსიას მოეჩვენა: ფანჯრის მხარმარცხნივ, უშენზე თითქოს კატამ გადაიბრინა, რაღაცამ გაიშმაშურა საძირკველთან. ვილაცა ეპარებოდა ფანჯარას. ლუსიამ ინსტინქ-

ტურად დაიხია უკან და ის იყო უნდა მიეხურა ფანჯარა. მაგრამ ვილაციის ჩურჩულმა შეაჩვენა იმისი სახელი დაიძრა:

— ლუსია... ლუსია...

ლუსია გაქვავდა.

— ნუ გეშინია, მე ვარ, ტიულენინი, — დაიჩურჩულა ამ ხმამ. და სერიოჟკას უყუპო, მაგარბუქუქთმიანი თავი ფანჯრის რაფას გაუთანაბრდა. — თქვენსას გერმანელები დგანან?

— დგანან, — ჩურჩულითვე მიუგო ლუსიამ. თან შიშნაკრავად და სიხარულით შესცქეროდა სერიოჟკას მოლიმარს და გაბედულ თვალებს. — თქვენსას?

— ჩვენსას ჯერ არა.

— ვინ არის? — იკითხა შიშისაგან გაყინულმა ელისაბედ აღუქსის ასულმა.

ხანძრის შორეულმა გამონაშუქმა გაანათა სერიოჟკას სახე, და ელისაბედ აღუქსის ასულმაც და ვალოდიამაც იცნეს იგი.

— ვალოდია სად არის? — იკითხა სერიოჟკამ, როცა მუცლით გადმოეყრდნო რაფას.

— აქა ვარ.

— კიდევ ვინ დარჩა?

— ტოლია ორლოვი, სხვა არ ვიცი, ვერსად ვერ გავდივარ, აპენდიციტი მაქვს.

— ვიტყა ლუკიანჩენკო აქ არის, ლუბკა შეეცოვაც, — სთქვა სერიოჟკამ, — გორკის სკოლიდან, სტიოპა საფონოვიც ვნახე.

— როგორღა მოაღწიე ჩვენამდე? ისიც, ღამით? — ეკითხებოდა ვალოდია.

— ხანძარს ვუყურებდი პარკიდან. მერმე შანხაიჩიებს გამოვყევი სახლამდე, ხვეიდან დავინახე, თქვენი ღია ფანჯარა.

— რა იწეოდა?

— ტრესტი.

— რა-ას ამბობ?

— იქ დაბანაკდა მათი შტაბი. ნიღბების ამარა გამორბოდნენ გარეთ. — წყნარად გაიცინა სერიოფკამ.

— შენ ჭიქრობ, დასწევს? — იკითხა ვალოდიამ.

სერიოფკა სდუმდა. მისი თვალეზრატის თვალეზრათით ეღვარებდნენ სიბნელეში.

— რა თქმა უნდა, თავისთავად ხომ არ წაეკიდებოდა ცეცხლი, — და კვლავ წყნარად გაიცინა. — როგორ ამირობ ცხოვრებას? — უეცრად შეეკითხა იგი ვალოდიას.

— შენ?

— ვითომ არ იცი.

— მეც აგრე. — მიუგო ვალოდიამ და შეება იგრძნო. — ისე მიხარია, რომ მოხველი გესმის ისე მიხარია...

— მეც, — უნებლიედ წარმოსთქვა სერიოფკამ: იგი ველარ ითმენდა გულთად საუბარს. — თქვენთან აკუ გერმანელები არიან?

— მთელი ღამე ლოთობდნენ. ყურლა ქათამი შეახრამუნეს. რამდენჯერმე ოთახში შემოგვივიარდნენ, — დაუდევრად მიუგო ვალოდიამ და იმავე დროს თითქოს სიამაყითაც კა. იმის გამო, რომ თვითონ იმანაც გაბოსცადა, რანი არიან გერმანელები.

მხოლოდ იმაზე კი არაფერი უთხრა, რომ ეფრეიტორი ჩააცოფდა მისი დას.

— მაშასადამე, ჯერ კიდევ სერიოფკამ, — მშვიდად წარმოსთქვა სერიოფკამ, — საავადმყოფოში კი სესელეზო განდნენ, იქ დარჩენილი იყო ორმოცამდე დაჭრილი, — ყველანი ვერხნელუენაიას ტყეში წაიყვანეს და — ავტობატებით... ექიმმა, თვედორე თვედორეს-ძემ, დაუპირეს თუ არა წაყვანა, ველარ მოითმინა, და შეება: იქვე, დერეფანში ესროლეს და მოქალეს.

— ოჰ!.. ვაი, ვაი, ვაი... რა კარგი კაცი იყო! — შეწუხდა ვალოდია, — მეც ხომ იქ ვიწექი.

— ისეთი ადამიანები ცოტანი არიან, — წარმოსთქვა სერიოფკამ.

— ღმერთო ჩემო, რა ამბავია ეს! — ჩუმი კვნესით წამოიძახა ვლისაბედ ალექსის ასულმა.

— გავიქცევი, ვიდრე გათენდებოდეს, — სთქვა სერიოფკამ, — კავშირი ვიქონიოთ, — ლუსიას შეხედა, გატყულარქულად გაიქნია ხელი და მკვირცხლად წარმოსთქვა: — აუფიდერზენ!... — იცოდა, რომ ლუსია ოცნებობდა უცხო ენების კურსებზე.

მისი მარჯვე, მარდი, კაფანდარტანი სიბნელეს შეერთო და უეცრად თვალადაც და ყურადაც გაპქრა, — თითქოს ორთქლად იქცაო.

თარგმანი პოლიო აბრამიანსი

(გაგრძელება იქნება)



## ნოველები თუ ანაქრონიზმები?

გიორგი ჯიბლაძე



რთული შემოქმედებითი გზა განვლო მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ. ქართულ ლიტერატურაში იგი შემოვიდა როგორც დასავლეთ-ევროპული ბურჟუაზიული კულტურის მესობზე, იდეალიზმისა და რეაქციონური ლიტერატურული სკოლების მიმდევარი. საბჭოთა სინამდვილეს მან „მარცხენა თვალით“ შეხედა. თავის აღრინდელს რომანებსა და ნოველებში მწერალმა უმღერა გარდასულ დროს, ზედმეტ ადამიანებს, იჭადაგა მარტოობისა და მწყობრე სულის „ფილოსოფია“. მოველოდით, რომ გამსახურდიასთვის ეს განვლილი გზა და დაეწყებულა ისტორია იყო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ავტორს ახლახან შეუქარებია თავისი ძველი ნოველები, გამოუცია ცალკე წიგნად<sup>1</sup> ყოველგვარი კომენტარისა და შენიშვნების გარეშე.

რას წარმოადგენს ეს წიგნი? განვიხილოთ მასში მოთავსებული თერთული ნაწარმოები.

ნოველაში „მკვდართან შეხვედრა“, რომელიც ავტორს ბერლინში დაუწერია 1919 წელს, გამსახურდია ამბობს, რომ „მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე“. ეს გზა მართლაც ბნელი იყო მისი ბიოგრაფიისა

და მხატვრული შემოქმედებისათვის. ბერლინის ახლო ტყეში ავტორი წააყვდება თვითმკვლელს — კაცი თუკით ჰკილია ხის ტოტზე. „ვაცქერდები მის სახეს, ბნელ ფონზე ვკითხულობ: „ძირს ჩამომღე, დამასვენე, შე ქრისტიანო!“ და ნოველის ავტორი სულიერ ნათესაობას გრძნობს თვითმკვლელთან. იგი განაზოგადებს ამ შემთხვევას, საყოველთაო ძალასა და მნიშვნელობას მიაწერს მას, შემდეგ ღრმა ფიქრებში წასული გვიმასპინძლდება უკიდურესი პესიმიზმით: „ვწევარ პირალმა იატაკზე და ვფიქრობ: ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდევართ დღე და ღამ და გამვლელ-გამომვლელს ვეღარიგებით: „ძირს ჩამომღე, დამასვენე, შე ქრისტიანო!..“

ამ სულიერი ქვეყნით დაბრუნდა გამსახურდია ევროპიდან. დასავლეთის ბურჟუაზიულ-ფეოდალური კულტურის ნალექებმა და ნამსხვრევებმა დაიმორჩილეს მისი არსება. შემთხვევითი არ იყო, რომ აღრინდელს ნაწერებში ნოველებს ავტორი გვევლინებოდა, ერთის მხრავ, ულტრა-იდეალისტური და მისტიკური თეორიების დამცველად (საკმარისია დაეასახელოთ ნიცშე, ბერგსონი, შოპენჰაუერი), ხოლო, მეორეს

<sup>1</sup> კონსტანტინე გამსახურდია, „ნოველები“, 1946 წ. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

მხრივ, ბურჟუაზიული ლიტერატურა-სა და ხელოვნების მქადაგებლად (ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი). ნოველაში „პორცელანი“, რომელიც დაწერილია მიუნხენში 1916 წელს, გამსახურდია ილაშქრებს რეალიზმსა წინააღმდეგ. მას „ახალ ჭეშმარიტებად“ ეჩვენება მაღამ როსტრუპის იდეალიზმი და ირაციონალიზმი: „სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა-მეთქი. კიდევ ყოფილა მეორე სინამდვილე. ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა მხატვრის მიკროსკოპში დანახული“. ეს უკვე პლატონის უკუღრესი იდეალისტური თეზისია, რომელსაც ავტორი „ახალ ჭეშმარიტებად“ აცხადებს. გამსახურდია არ მალავს, იგი მაღამ როსტრუპთან ერთად ხშირად იყო „სპირიტისტებსა საღამოებზე, თეატრებში და ლიტერატურულ სლონებში“. ბარონ როსტრუპის ძველ, ტრადიციულ ოჯახში „მშვენიერ საღამოებს“ ატარებდა. რა იზიდავდა მას? ამ ოჯახისათვის დეკადანსის მწუხრში დამახასიათებელი „მისტიკა, წმინდა ხელოვნების იდეალები და არისტოკრატიული ესთეტიციზმი“. ავტორი სიყვარულით იფიქრებს ამ საღამოებს: „ნარინჯისფრად შეღებულ ოთახის კედლებიდან გადმოგვეკეროდნენ მკვიდრადმეტე საუკუნის მხატვართა სურათები“, ბერები, ლუდოვიკო მზეთა მეფის სასახლიდან, როკოკო ტანსაზმოსი, რაპირიანი რაინდები — შემდეგ პოლანდიელი მხატვრების მთელი რიგი სურათები. ევროპის ბურჟუაზიული და ფეოდალური კულტურის წინაშე ქედის მოხრა, ბრმა თავყვანისცემა, მისი გაიდევლება გამსახურდიას დიდხანს ახასიათებდა. ამ ნოველაშიც უფრო ცხადად სჩანს. აქვეა აპოლიტიციზმის ქადაგება: „საუბარი პოლიტიკურ თემას შეეხებოდა. მე სულ გაჩუმებული ვიყავი, რადგან ასეთი საგნების შესახებ იყო ლაპა-

რაკი, რომელნიც ჩემს გულს არაფერს ეუბნებოდნენ“. განა შეიძლება დღეს საბჭოთა მწერალი ასეთი ყოვლად მიუღწეველი და რეაქციური შეხედულებებით გამოდიოდეს? განა ცხადი არ არის, რომ „ყოველგვარი ქადაგება უიდეობისა, აპოლიტიკურობისა, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ უცხოა საბჭოთა ლიტერატურისათვის, მანება საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის“, — როგორც ეს ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ყურნალების „ზევლისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ. დუალიზმი, გავრებული სულა, იდეალიზმის ქადაგება გამსახურდიას ნოველების წიგნისათვის დამახასიათებელია. „უდაბნომ შეიპყრო ჩემ დათახებული სული“, — ამბობს ავტორი. „მე ამ სტებზე წამაქცია დარღმა“. „უდაბნომ ჩამიხეტა თავის ბნელ უბეში, უდაბნო დაეუფლა ჩემს უკვდავ სულს“. მას აღარაფერი დარჩენია, გარდა ერთი ნატვრისა: მოვიდეს თუნდაც ნაყაჩაღარი თათარი, წაიღოს მისი თოფი და მოკლას ამ თოფის პატრონი. „მოვიდეს თოფის მოყვარული თათარი ყაჩაღი, გინდაც სატანა სულეთიდან გადმოვარდნილი და წაიღოს ჩემი გავრებული სული და ჩემი ორლულიანი თოფი... მოვედ სიკვდილო, ტკბილო სიკვდილო“. ვინ ლაპარაკობს ამ სასოწარკვეთილ სიტყვებს? დამნაშავე თუ ცხოვრებისაგან გაიდგომილი მეუღლანოე? არა, ამას ლაპარაკობდა კონსტანტინე გამსახურდია 1929 წელს. მას არ ეთაკილებოდა ეთქვა, რომ „ჩემი ბნელი სისხლი გახლდა ამ სიბნელეში“. არც ის ემიმებოდა — ავანტიურისტებთან ერთად მგელი ძმად გამოეცხადებინა. აი მისივე სიტყვები: „ისე ნაღვლიანად, ისე გულამოჯღარად, ისე საბრალოდ მოსთქვამ-

და მგელი თავის მარტობას და მიუსაფრობას, რომ მე, კონსტანტინე გამსახურდია, — ფრიად ვულცივი მონადირე მხრიდან თოფს არ ჩამოვადებდი, სათნოებით აღესილი მივუბლოვებოდი, თავზე ხელს გადავუვაში და ვეტყვოდი:

„რათა სტირი, შე საცოდავო, ვინ დაგიკარგავს, ვის ეძახი ამ ბნელ უდაბნოში? ძვირფასო ძმავო მგელი?“

იქნებ გგონიათ, ეს რაღაც „კუმპინიშით“ მოსდის ავტორს? არა, ადამიანებისადმი სიძულელით! განა მისი მეგობარი ვარდანიძე არ ქადაგებს კაცთმოძულეობის „თეორიას“? „გული ისე უნდა გამოწყო, რომ სიბრალული არ შეგეპაროს. ვისაც ქვეყანა ებრალება, ქვეყანა მას არასოდეს შეიბრალებს“. „ვისაც სისხლის ეშნია, იგი ვერასოდეს ვერაფერს შექმნის. არც შე მკერძალება სისხლისა“. „თქვენ ზრდით რბილკანიან თაობებს, თქვენ აბრუებთ მათ მთვარისა და მოყვასის სიყვარულით“. განა ეს კაცთმოძულეობის ნიღბამოხსნილი „თეორია“ არ არის, რომელიც დღეს დასამარებულადა უნდა ჩაითვალოს? განა მიზანტროპია ამაზე იმარს წავა? „კეთილშობილო, ჭკვიანი და ერთგული ცხოველაა ძაღლი. შე მას ყველა ცხოველზე მაღლა ვაყენებ. და უნდა ვითხრათ, მეც, რაც უფრო ახლოს ვეცნობ ადამიანს, მით უფრო იზრდება ძაღლისადმი სიყვარული ჩემში“. ეს ყოველად საბაველი რამ არის, ყოლდ მიუღებელი აზრი. დასკვნა ნათელია და ჩვენი კომენტარი არ ესაჭიროება. მაგრამ არ შეიძლება მკითხველს არ მოეავგონოთ, რომ თუ დიდი მწერალა გორკი ამბობდა: „ადამიანი — ამაყად ისმის ეს სახელი“, — გამსახურდია ამტკიცებდა: „რაც უფრო ახლოს ვეცნობ ადამიანს, მით უფრო იზრდება ძაღლისადმი სიყვარული ჩემში“.

ვინ არიან ამ წიგნში მოთავსებული ნოველების გმირები? ექსპანდირებან ბნელი წარსულის მტკიცე მოსაგებო ყოფა-ქცევის, ცხოვრების ფსკერიდან წამოთრეული, რევოლუციით მიწასთან გასწორებული არამზადები, ავანტურისტები, მოქიფენი, დეგენერატები. საოცარი და სამწუხარო ის არის, რომ ყოველ მათგანს ავტორი სიმბატიით ეკიდება და თავის მეგობრადაც კი აცხადებს.

ნოველა „ზარები გრიგალში“ ავგაწერს მნათე ოქროპირის უკანასკნელ დღეებს. რეფრენი „აწვიმა სამრეკლოს, აწვიმა საყდარს“ — ავტორს იმიტომ სჭირდება, რომ სურათი გაამტყოს, თავისი გმირის სულიერ ტრაგედიას მეტი სიძალად მისცეს. მნათე ოქროპირი მაშინ შეიტყობს „ქვეყნის გამოცვლას“, როცა გუმბათსა და სამრეკლოზე ჯვარს ველარ დაინახავს. ავტორი თავს იმით ინუგეშება, რომ თურმე „ადამიანი ნელ-ნელა ამჩნევს ცვლილებას“. „ცვლილება რომ ერთბაშად შეგვენიშნა, ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცეოდა და არავის დასჭირდებოდა მეორე ჯოჯოხეთის გამოგონება“. აი „თეორია“ და „ფილოსოფია“, რომელსაც გამსახურდია თავისი ნოველის პირველი სტრუქტურებიდანვე გვითავაზობს. ამ ნაწარმოებში ავტორი მასტორის ძველ დროს. ეკლესია დაიკეტა, ხავსი მოედო სახურავებსა და კედლებს, „სოფელში ყველა ნანობს“, მათ შორის მნათე ოქროპირს, მის მსგავს ადამიანებს, ყველა ამ „ნებაყოფლობით მგლოვიარეებს“, „უიმედო გლახაკებს“, „სიბნელეში დაბრმავებულებს“, „გრიგალისაგან შერყეულესა“ — მგონი საესვებით ცხადია, რომ ეს არის ტირილი რევოლუციის მიერ ისტორიის სანაგვეზე გადასროლილი ადამიანებისათვის. ამ დროს გამსახურდიას რევოლუცია წარმოადგენა-

ლი ჰქონდა რაღაც ქაოსურ ძალად: „ცაცხვების საფრთხილ მოვარდა გრივად, გაშალა მან შავი და სველი ფაფარი“; „გრივადი მოახტა ცაცხვების ჭეჩოს, ვით მალი ფოცხვერი სისხლს მოწყურებული, გასდრიკა წელშია მძლე გოლიათები“. დაიღუპა მნათე ოქრობირიცი და ავტორი მოსთქვაძს: „მე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულისთვის“.

მთელს წიგნში სულ ასეთ იდეოლოგიასთან გვაქვს საქმე. საღაც ავტორი სინამდვილეს ეხება, ყველაფერი გამუქებული და დამახინჯებულია. ასწერს სოფელს და ამბობს: „მთლად გავერანებულია იქაურობა“. „ამ წყველ დროში თევზიც გაეშმაკდა“... „დაიკონი ჩივის, რომ ჩვენს დროში სიტყვას ფასი დაეკარგა“. „მეწვიე ამ გავერანებულ ნასოფლარს“. ნოველაში „დათვი“ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მოიყვანა მეორე ცოლი კოლმეურნე როსტომ აფთარაულმა და ქალის ჩაგონებით როგორ გამოასალმა წუთისოფელს თავისი სამი შვილი. საფ, რომელი კოლმეურნეობის ცხოვრებიდან აიღო ავტორმა ეს სიმახინჯე? „ასეთი შემზარავი მკვლელობა არ მსმენიაო“, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ქიხოსრო აფთარაული — „წითელი პარტიზანი, ძველი ტერორისტი“ (!). კაცთმოძღვრობა გასდევს გამსახურდიას ყველა ამ ნოველს. „დათვი“ ავტორი პროკურორის რეპლიკაზე — „ადამიანი რთული არსებაა“ — ამბობს: „მე ვხარხარებდიო ამის გამო“. ნოველაში „ლილ“ ბნელი წარსულის მქონე ექიმი შარუხია, რომელსაც მოვლილი აქვს ციმბირი, ტოკიო, ევროპა, მთელი წყნარი ოკეანე და ახალი ზელანდია, უმსახურია ავსტრიულ სავაჭრო გემზე, ცოლი წაერთმეოდა ერთი ფრანგი ექიმისათვის — აშკარად ჰქადაგებს კაცთმოძღვრობის

შაეზნელ „თეორიას“. დააკვირდეთ მის უხამს სიტყვებს: „საერთოდ მთელი ჩვენი აგებულება უმჯობესოდ შეთითხნილი რამეა, და რაც მთავარია, იგი ცუდი მასალისაგანაა აგებული“; „საგნის შეცნობა სხვა არაფერაა, თუ არ მისივე შექაგება და მე ადამიანი შემაძღვლა ანატომიის და ფიზიოლოგიის შესწავლამ“. სად ამოიკითხა ავტორმა ის აზრი, რომ საგნის შეცნობა მის შექაგებას ნიშნავს? ეს „თეორია“ მას მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ იქადაგოს კაცთმოძღვრობა. „ან რა შესაყვარებელია ადამიანი, რომელსაც მირიად ნაჩელებიდან ზინთი და თელგამი გამოდის“; „და სულ მცირეოდენი დაშავება და წაბორძიკება კმარა, ეს სისხლით სავსე ტყავის ტომარა, ჩვენს უზადრუკ სხეულს გარს რომ აკერიო, ერთბაშად დაირღვას“, — ურცხვად აცხადებს ექიმად წოდებული ავანტურისტი შარუხია. შემაღვებ იგი დასძევს: „ჩვენ თითქმის ყველანი ხოლერიკები, ნევრასტენიკები ვართ“. თვითონ თუ არის, ჩვენ რას გვემართლება! „ამჟამად ყველაფერს მირჩენია, ერთის დაკერა რომ შემეძლოს ხელი ავიღო ოჯახსა და სამშობლოზე, პირველ შეხვედრილ გემს გავყე თუნდაც უბრალო ფერშლად ისევე ახალ ზელანდიისკენ, ოღონდ ჩემს საცხოვრებელს მიწაზე არ ეღვას ფუძე“, — განაგრძობს შარუხია. ადამიანი სძულს, სამშობლო სძულს — აი ექიმ შარუხიას მორალური და სულიერი ავლადიდება. როგორ გგონიათ, ავტორი მას ჰკიცხავს? სრულებითაც არა. პირიქით, „მე და ექიმი შარუხია ძლიერ დაგვაახლოვა ნადირობაში“, — ამბობს ავტორი თავისი გმურის — „გაუტეხელი იდეალისტის“ ენით.

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე არავის შეუნიშნავს, რომ

გამსახურდას „ლილ“ პირდაპირ გადმოწერილია გი-დე-მოპასანის ნოველადან „კარები“ (La porte). შეცვლილია მხოლოდ მოქმედ გმირთა სახელები, მაგალითად ლუიზა—ლილით. თუ პირველში ქალის სიმპინჯე პლაეზე ამკარაედება, მოპასანა საძინებელ ოთახში შეახედებს თავს გამირს კარლ მასელინის. აზრებიც ძალიან ემთხვევა ერთმანეთს. ასეთი გადმოწერა, ფაბულის მექანიკური გადმოღება მწერლისათვის შეუფერებელია.

გამსახურდას „ნოველების“ იდეური მრწამსი ძალიან ახლოს დგას რასობრივ „თეორიასთან“. აქ სისხლის ძიება, სისხლის ფეტვი—ხმარად გვხვდება. „გახელებული ვეკროდით: „სისხლი“, „სისხლი“, „სისხლი“, „ნეტა თუ რამე აღვიძებს ჩვენში იმდენ ბავშვურ აღტყინებას, როგორც, სისხლი? (ნადირაბის დროს უთუოდ იღვიძებს ჩვენში ველური წინაპრების სისხლი)“. ავტორი აგვიწერს დამხრჩვალ ქოსა გახუს და ამბობს: „თვალი ვეიღვ: ეს მანუარ ბატონიშვილის ნიღაბაფარებულ სისხლი იყო. სისხლი ნაყაღარისა და ფეოდალის“. ქოსა გახუ „ძლიერ ჰგავდა ტაგუს თავისქალის წყობითა და შუბლითაც. ყურები—ნამდვილი ღვეწვარტისა“. ყოველივე ეს ძლიერ განიშნებს მტოულ, კიკი მიურ „თეორიებს“. ნოველაში „ხოგაის მიხდია“ ავტორი ომს ისე წარმოვიდგენს, როგორც „უთოსოფლის წესს“. უთურეა მიღის შეახედებს დახოცულ ფეტვებზე და ეუბნება: „აი, ეესრ ას ეს, მიხდია, წუთი სოფლის წეს, შენ ვითამ ბრძენ იყ, ბალახ გებრალების, ის ქეე არ იცი, რაი სადა, გოჯობს გონთ მახელ, მიხდია, თვარა ბალახთ სიბრალული არას ჩამაგაყრის“.

ამ მიუღებელ იდეოლოგიასთან ერთად, მთელს წიგნში უხვად არას

გაბნეული გულ რჩნილი თქმები და უხამსი პორნოგრაფიული სურათები. წმინდა ადამიანთა ცრემლები შერყენილი და შელახულია. ეროსა ბზრძანებლობს ყველაფერში. ადამიანები გუგულებივით უძახიან ერთმანეთს „უჰუ, უჰუ, უჰუს“, „ეებენ ერთი მეორეს“, „ქალის ჟინის აღძვრელი კენესა გაისმის“ და განდიდებულია „ღონქუანური პრაქტიკა“. ავტორი დიდი გატაცებით აგვიწერს პორნოგრაფიულ სცენებს. „ქალის რძეში“ კი ეს უხამსობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. მწერალი საღებავებს არ იშურებს დაგვიხატოს „ათიოდე წლის უნახავი სიყრმის მეგობარი“, ვილაც გაიძვერა თამაზ ეარდანიძე, რომელიც თურმე „ათა წელია სიკვდილს დაეძებს“ და „მოცდარი ძალღვივით დაყიადობს ამ ქვეყანაზე“. მას მოვლილი აქვს თურქეთი და გერმანია, იყო საფრანგეთში, შემდეგ მაკედონიაში. ახლა შოფერია. მა გლისას გზაზე კატასტროფა შეემთხვა, ხუთი კაცი იმსხვერპლა. თვითონ ცოცხალი გადარჩა. ეს ავანტიურისტი ხალიათ ჰყვება თავის ბიოგრაფიას, იგონებს, თუ როგორ მოკლა ყარაის ველზე ნადირობის დროს თათარი და დასძენს: „არც ერთი ნადირის მოკვლა ისე არ გამხარებია, როგორც იმ ყაჩაღს წაქცევაო“. არსად არა სჩანს, რომ ეს თათარი ყაჩაღია. შემდეგ თამაზი შედის მოკლული თათრის სახლში, ხედავს მის ცოლს და აყენის ბავშვს, ქალის სიღამაზით იხიბლება, კარს ჩაკეტავს და ამბობს: „თუ ეს ქალი ჩემი არ იქნა, ამაღამ უთუოდ მოვკვლები“. ვანა ეს ადამიანის სიტყვებია? შემდეგ დააკვირდით: „ამიერიდან მე ვიყავ მისი ბატონი და ქმარი“. როგორ მოგწონთ ეს? რამდენინე საათის წინათ ქალს ქმარი მოუქლა. ახლა კი მას გაობატურებას უპირებს. და ამ პირუტყვს მწერალი

„მეგობარს“ უწოდებს. ქალმა იგრძნო, რომ მისი ქმარი ცოცხალი აღარ არის. ის წინააღმდეგობას უწევს თავდამსხმელს. მთელი ღამე გრძელდება მათ შორის ბრძოლა. ნოველაში, თუ კი მას ნოველა დაერქმევა, ავტორი დაწვრილებით ასწერს თამაზის მხეცურ ვენებათაღელვას.

საჭირო არ არის მთელი ამ გაშიშვლებული უსივრცეობის ამონაწერებით ჩვენება. მხოლოდ ორ ადგილს მოვიტანთ: „ბავშვივით ავიტატე ხელში და ნარზე დავაწვინე. ერთბაშად კუთხიდან ბავშვის ტირილი შემოგვესმა. — „ხელი გამიშვი, ხომ ხედავ, პატარა სტირის!“, — მეუბნება თათრულად“. შემდეგ „ისევ ავიტატე... გახელებული ეკონიდი ლოყაზე, თვალბში, ძუძუ-მკერდზე. მაგრამ ტუჩებზე არ მაკონინა. რამდენჯერაც ეაკოცე, სახელოთი მოიწმინდა ბავშვსავით მოვუხიჩინე იღლიაში და მაშინ გაიციანა. გაიციანა და არნახულმა ელუარებამ შემომანათა მისი საღაფივით თეთრი, მწყობრი კბილებს ჩიალში.“

ეს გამეხსნა სიზარულისაგან. მან თავზე გადამისვა ხელი და მკერდზე მიმიხუტა ცალი ხელით, ცალითაც ათასგზის დაფხრეწილ ხალათიდან ცალი ძუძუ ამოიღო, თვალის დახამაშებებაზე პირში ჩამიდო და მე ვიგრძენი, პირის უბე ამეცსო... ქალის რძით...“

აი სრული ზნედაცემლობა! იგი გამსახურდის ესთეტიკა და გემოვნება ნოველაში „ქალის რძე“! იქნებ ამ წიგნში ეს გამონაკლისი ეგონა ვინმეს? არა, ნოველაში „ქოსა ვახუ“ ავტორი კვლავ ამორალიზმის სურათებს აგვიწერს, დეგენერატებს გვიხატავს, გეცნობს ვიღაც ტაგუ სამუგას, რომელიც „მანუჩარ ბაქონი-შვილის და მისი მკვიდრი დის ხათუნას შვილია“ — და-ძმის შვილი! ეს ყალბბანდი მამამისზე უფრო ავ-

ხორცია. „მანუჩარ ხომ ქრისტეს გეხის მკამელი იყო, მაგრამ ტაგუ სამუგასთან შედარებით...“ — „მანუჩარ-ზად მოგეჩვენებოდათო“, — გვაუწყებს ავტორი. და წარმოიდგინეთ, რა ზნედაცემული იქნებოდა ტაგუ-მას იმდენი ცოდვა აქვს, იმდენი კაცი გაუგზავნია „ქოთნების საკეთებლად — საიჭიოს“, რომ მწერალი აცხადებს: „მისი სული უთუოდ ვერ ასცდება ქვესკნელის წამებასო“. ავტორი ამ ავხორცს, ავანტიურისტ ტაგუ სამუგას, რომელიც „ღამე აბრაგობდა, ღღისით ნადირობდა“ ისევ თავის მეგობრად აცხადებს. მის შავბნელ წარსულს კი რომანტიულს უწოდებს. აბა რა არის მის წარსულში რომანტიული? ვანა იგი ნათავადარის აღვირახსნილი ავანტიურის გრძელ ჯაჰვს არ წარმოადგენს? რა ესთეტიკური გამართლება უნდა ჰქონდეს მეთუ ნოველაში იმის აღწერას, თუ ვიღაც გადაგვარებული, სახელმწიფო დამნაშავედ გამოყვანილი სტუდენტი გივი საიჭიტრა „ნოს ვახში“ როგორ ეხვევა გარყვნილ ქალს. „ქალი კახისებს, არ ნეიღება. — მცირე პაუზის შემდეგ ნეტაობით აღვისილი კვენსოდა შრიალა ქალი...“

გამსახურდია უფრო შორს მიდის. „ტაბუში“ აღწერილია სქსობრივი აღვირახსნილობა, ავადმყოფური ეროტომანია. ავტორი ასეთი სიტყვებით აღაპარაკებს თავის გმირს: „შენ არც ქალი ხარ და არც ვაგი, ხეარამზე მზეთუნახავო, და ჯერ დედის მუცლიდან არ შობილა ჩემს მეტი სხვა მამაკაცი, შენ ჯოჯოხეთურ სიტყვებებს რომ გავრძნობინე“ და დავიკვებს“. ვინ არის ეს ქალი? ავტორი გვეუბნება „იგი აკული იყო და მამაკაცისა არა ესმოდა რა“. შემდეგ აღწერილია სცენა: „შაფოხიანმა წამოიღო თავისი შავი, გამხმარი ხელო და მაგრად მოუჭირა ძუძუებზე ხეარამზეს (გახურებული მარწუხი მის-

დებოდა თითქოს). მოდგმის ცოდვა აღუდგა ზეარამზეს სისხლში. ჯოჯოხეთის ცეცხლივით მოგზავნივით თვლები მიანათა მწითურმა შავგერე-მანს და ზეარამზეს ტუჩი დაიდალა გესლიან კოცნით“. ქვევით ვკითხვლობთ: „ბებია ქალმა შეასწრო თვალი: მელოგინეს საშო გაიღო ანაზღუ-ულად და ბურღივით დაღვარკნილა ფეხები გამოჰყო მორგვის-ოდენა მორიელმა“.

აი, თორმე რა ყოფილა „მხატვრობა“ რა ყოფილა „წმინდა ხელოვნება“ განა რაიმე ღირსება შეიძლება ჰქონდეს ყოველივე ამას? განა ლიტერატურის ამოცანა ის არის, რომ ზნეობრივი ანომალიები ასწეროს, სქესობრივი თავშეუკავებლობა განადიდოს, ამორალიზმს ხოტბა შეასხას და ეთიკური ნორმების დარღვევა „მხატვრულად“ გადმოგვეცეს? კონსტანტანე გამსახურდიას ნოველების წიგნში პორნოგრაფია პირდაპირ კანონად არის გადაქცეული. იმავე „ტაბუში“. თითქო ამორალიზმი საკმარისი არ იყო, გაიძვერა ბისკაიას აღწერას შემდეგ ავტორი გვეუბნება: „ვიღრე ლომკაცია ბისკაია ცოლს მოიყვანდა, ხარბედიების ქალებს მოსვენება არ ჰქონდათ... მთვრალ მენახებებს ხარბედიების ფეხშიშველა, მკერდგაუქვირული გოგოები ჭრაქებით ხელში შეუძღვებოდნენ სადარბაზოებში. მერმე ისმოდა ხის საწოლების ჭრიჭინი და ხარბედიების ქალების უწყვემო კრუსუნა“.

ასე დაუსრულებლად გრძელდება გამსახურდიას ნოველების წიგნში ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული პორნოგრაფია, ზნეობრივი დაცემულობისა და ამორალიზმის პათეტური აღწერა.

რა რიგ დაშორებულია ყოველივე ეს საბჭოთა ლიტერატურის პირდაპირ მოვალეობას. ნამდვილი, ქუშმა-რიტად დიდი ლიტერატურის ამოცა-

ნა ის იყო და არის, რომ ხელს შეუწყოს ხალხის, მასებზე აღწერდეს ცხოვრების წინსვლას, ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს. მაგრამ რა გამსახურდიას გაწევა შეუძლიათ გამსახურდიას ამ ნოველებს? პირდაპირ უნდა ითქვას, ზიანის გარდა, არაფერი. მათ ახალგაზრდობაში შეაქვეთ გამზრწელი გავლენა, გმირობას სულისკვეთების ნაცვლად — ავანტიურში, კეთილშობილების ნაცვლად — უზნეობა და ამორალიზმი. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა კა „იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობას სწორად აღზრდაში, უპასუხოს ახალგაზრდობის საჭიროებას, აღზარდოს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებულ ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება“, — როგორც ეს ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 აგვისტოს დადგენილებაში. ამ დიდ ამოცანას არა თუ არ ემსახურება, პირიქით, აშკარად ეწინააღმდეგება კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების წიგნი.

ავტორი ქადაგებს ძველ, იდეალისტურ ფილოსოფიას და ყოველგვარ ქება-დიდებას ასხამს დუალიზმს. ამ ნოველებში გამსახურდია თვითონაც დუალისტია. მასში ორი „მე“ ცხოვრობს — „მე-ჩოხიანი, და მე-მონოკლიანი“. „მე ჩემსავე „მე“-ს შევეჩხე“. „ჩემი სული მითებით იყო დატვირთული“. ავტორი იმეორებს ძველთაძველ იდეალისტურ შეხედულებას, რომ „პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა... მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას“. „მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ მითი“. ამ ყალბ პოზიციებზე დგომა



ბუნებრივად იწყევდა კრიზისს გამსახურდიას შემოქმედებაში. მაგრამ ეს კრიზისი მას ისევე ყალბად ჰქონდა წარმოდგენილი. მისი აზრით, პოეტიკისათვის „კრიზისი... სულის გამოფხიზლებაა“ ზმანებისა და მითის ჯადოსაგან. კრიზისი? უმითოდ ყოფნაა. ჩვენთვის: არყოფნა“. ავტორი ხშირად გვეუბნება — „უცნაური მარტობა და მწუხარება დაეფულა ჩემს გაორებულ სულს“. შემდეგ მიმართავს თავის ორეულს: „ორეულო, ჩემო მოსისხარო მტერო, დუშმანო, მომეწყინა ამ ქვეყნად უმიზნოდ ყალი. მინდა მატყლივით თეთრა წვერი მქონდეს. შორს ვიყო ადამიანებისაგან“.

ამ რეაქციური შეხედულებებია გამსახურდია გამოხატავდა ძველი, დრომოკმული, განადგურებული საზოგადოებრივი კლასების ფსიქო-იდეოლოგიას. თავის დროზე მან სათანადო პასუხი მიიღო ჩვენი ლიტერატურული კრიტიკისა და საზოგადოებრიობისაგან. მაგრამ რა საჭიროა დღეს ამ აშკარად რეაქციური ნაწარმოებების, მწერლის მიერ განუღილი მოლიპული გზის გახსენება, ცალკე კრებულად გამოცემა იმისა, რაც გამსახურდიას დაგმობილი უნდა ჰქონდეს, თუ მას სურს დარჩეს საბჭოთა მწერლად, ემსახუროს ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ახალგაზრდობის ინტერესებს?

და განა შეიძლება ჩვენი ქვეყნის პატრიოტს უწოდებდეს ადამიანი თავის თავს, ხოლო ამავე დროს სწერდეს: „მე არ მიმაკუთვნოთ ტფილისის მეხოტბე პოეტების რიცხვს. მე არ ვუმღეროდი ტფილისს, რადგანაც იგი იყო საქართველოს მოშლილი კუჭი“. ავტორი იქვე სასაცილოდ აცხადებს მთელ ადამიანურ შრომას და ცხოვრებას: „ჯერაც არ აგებულა ამ მიწაზე ისეთი სახლი,

ადამიანის ოცნებად რომ ღირდეს, ჯერაც არ აშენებულა ამ მიწაზე ისეთი სახლი, ერთხელაც არ დაიჭრებოდა ვის ან რას ემსახურება ეს სექტაციზმი? მას აშკარად დეზორიენტაცია შეაქვს ჩვენს ახალგაზრდობაში. ვის შეუძლია მოითმინოს დღეს თანამედროვეობის ასეთი რეაქციურა შეფასება: „დრომ გააშიშვლა ადამიანი და მეც, ანატომის გულცივობით აღჭურვილი, ჩემს ნიშანდებას გამოვთქვამ გაშიშვლებული ადამიანის მიმართ“. ან კიდევ იდეალისტის ბოდვა: „ეს ქვეყანა, ჩემო იოსებ, სიზმარსა და ოცნებას უპყრია და თუ ადამიანი ოცნებისაგან გამოერკვა, მასაც ისეთივე დაღუბვა მოეღოს, როგორც გამოფხიზლებულ მთვარეულს“. „მთარე აორსულებს ადამიანებს“. თურმე ავტომანქანებიც „მთვარისაგან არის მოგზავნილი“. „მთვარესაც სული აქვს“. „ეს ქვეყანა ამჟამად მეექვსე მოქცევის ნიშანს ქვეშ იმყოფება“. „ბნელ ღამეში მაგარი მუჯა და მუხლი ეს ხომ ყველაფერია“. „ქურდი ის არის, ვისაც ქურდობაში დაიჭერენ. ადამიანთა მართლმსაჯულება მხოლოდ მოუხეშავეებს და ბრიყვებს შესწვდება ხოლმე“...

მაგრამ კმარა ამონაწერები, ვინაიდან დაუსრულებლად გრძელდება ასეთი რეაქციური, იდეალისტური, ბურჟუაზიული ჭადაგებანი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების ახლახან გამოცემულ წიგნში. მართალია, ყოველივე ეს, ვიმეორებთ, ავტორისათვის განვლილი გზაა, მაგრამ რა საჭიროა იყო მისი ხელახალი გამოცემა ცალკე კრებულად? რას ფიქრობდა რედაქტორი დ. ბენაშვილი, როცა ვიზა მისცა ამ პოლიტიკურად მავნე და ლიტერატურულად მიუღებელ წიგნს? ეს წიგნი ხომ ლიტერატურული ანაქრონიზმების კრებულია?



დასასრულ ერთი შენიშვნა: გამსახურდია ხშირად მიმართავს არქაიზმებს. აღადგენს ძველ ენობრივ ნორმებს და ამ გზით ცდილობს თანამედროვე სალიტერატურო ქართულის გამდიდრებას. მისი სინტაქსიც ძველია. მაგრამ ყოველგვარი ძველის გაცოცხლება ენაში არ შეიძლება, ის ანაქრონიზმად გვევლინება და ხელს უშლის მხატვრული მეტყველების ბუნებრივ განვითარებას. ქართულ ენაზე დღეს უკვე აღარ შეიფერება მეტყველების ასეთი ფორმები: „მზითუნახავთა შორის უტურფესო, ეღემის ვარდო, სანატრელო და სანუკველო, მწყურის ნექტარი შევისრუტო ტუჩისა შენის ტკბილი სურიდან, ეღემის ვარდო, მზითუნახავთა შორის უტურფესო“; ან კიდევ: „ნებიერად აღზრდილს წადილს უსრულებდა მზეკაბუკს ყოველგვარს დედა“. ვინ ლაპა-

რაკობს ამ ენით — საბჭოთა მწერალი, თუ შუასაუკუნეების მეტაფიზიკის ნიჭიერ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას გარკვეული დამსახურება აქვს ჩვენს ლიტერატურაში. მან შექმნა დიდი ქართული ისტორიული რომანი — „დავით აღმაშენებელი“, მთელი რიგი ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც, მიუხედავად გარკვეულ ნაკლისა, შევიდნენ საბჭოთა ლიტერატურაში. მაგრამ თუ გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, ერთხელ და სამუდამოდ საჭიროა უკუაგდოს ძველი გზა, დაჰგმოს ბრმა თავყანისცემა დასავლეთ ევროპული კულტურისადმი, ქედის მოხრა იდეალიზმისა და მეტაფიზიკისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შესძლებს სწორად ასახოს თანამედროვეობა, ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის აღამიანები.

## პოეზიის ახალი კალაქი

შალვა კუხიანიძე

★

სამამულო ომის წლებში ქართულ პოეზიას შეემატა ახალი პოეტური კადრები, რომლებიც მოვიდნენ ძლევამოსილი წითელი არმიის რიგებიდან.

ესენი არიან მურმან ლებანიძე, ვახტანგ გორგანელი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და მათთან ერთად სამწერლო ასპარეზზე გამოსული ოთარ ქელიძე. პირველი სამი სამამულო ომის უშუალო მონაწილენი არიან. მათ ჩვენ ჯართან ერთად გაიზიარეს ფრონტის როგორც სასტიკი სიძნელენი, ისე გამარჯვების სიხარული. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი პოეზიაში შემოიტანდნენ ახალ თემატიკურ მასალას, წითელ არმიელის რთულ სულიერ სამყაროს, გადაუშლიდნენ და გააცნობდნენ მკითხველს იმ ზნეობრივ საწყისებს, რომლებიც გამოავლინა საბჭოთა ადამიანმა ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს, დაანახებდნენ მკითხველს საბჭოთა ადამიანს, რომელიც ომიდან გამოვიდა შინაგანად კიდევ უფრო მთლიანი, მონოლიტური და ამალღებული.

ახლახან „სალამურების“ სახელწოდებით გამოსულ წიგნში შეტანილია თითქმის ყველა ის ლექსი, რომლებიც ვ. გორგანელმა, მ. ლებანიძემ, ო. ქელიძემ და თ. ჯანგულაშვილმა შექმნეს და გამოაქვეყნეს სამამულო ომისა და შემდგომ წლებ-

ში. თაობა, რომელიც მათი სახით შემოდის ლიტერატურაში, აღზრდილია საბჭოთა წყობილების პირობებში, მათი იდეური მომწიფება ხდებოდა სოციალისტური მშენებლობის ზეგავლენით, ლენინისა და სტალინის მოძღვრების ნიადაგზე. ამ თაობას მოუხდა ომის მძიმე ტვირთის ზიდვა. უეჭველია, ლიტერატურაში შემოსვლისას მას მოუხდება ახალი სიტყვის თქმა, სიტყვისა, რომელიც ასახავს მის მიერ განვლილ ღრმა შინაარსით აღსავეს გზას და, კერძოდ, იმ გამოცდილებას, იმ გრძნობებსა და განცდებს, რომლებიც მან ბრძოლის ველზე მიიღო.

კრებულში წარმოდგენილი ახალგაზრდა პოეტები უეჭველი შემოქმედებითი ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს პოეტები იჩენენ ორგანულობისა და სიხალის მეტ გრძნობას, პოულობენ ცოცხალ პოეტურ სიტყვას, ახერხებენ გულწრფელი გრძნობის გამოვლინებას სწორედ იმ ლექსებში, რომლებიც ასახავენ ფრონტის ყოველდღიურობას, გადმოგცემენ გმირული ბრძოლის ეპიზოდებს, ხატავენ საბჭოთა მებრძოლის რეალურ ფსიქოლოგიურ სურათებს. როგორც მ. ლებანიძის, ისე ვ. გორგანელისა და თ. ჯანგულაშვილის ლექსებში ღვივის ჯანსაღი პატრიოტუ-

ლი სული, მათში იგრძნობა ბრძოლის ველზე დაყენებული დენტის სუნი. მკითხველის ყურს ბრძოლის გუგუნე ავსებს, დაკრილი მებრძოლის კენესა და გამარჯვებულის „ვაშა“ ესმის. ლექსების გმირი, რომელიც აეტორების სახითაა წარმოდგენილი და უშუალო ღირსებით გამოირჩევა, შემკულია საბჭოთა ადამიანის თვისებებით. ეს თვისებებია გამარჯვების ღრმა რწმენა, ხალხთან ურღვევი კავშირი, გმირული სულისკვეთება, სამშობლოს უანგარო სიყვარული. ეს რწმენა ასულდგმულებადა ყოველ ჩვენს მებრძოლს, აასკეცებდა მის ძალას, ზდიდა მას გმირად.

როცა საბჭოთა ადამიანის გმირობაზე ვლაპარაკობთ, აღვიღებელია განვასხვავოთ მისი თვისობრივი მხარე. სამშობლოსადმი გმირული თავდადება არცერთი ეპოქისათვის, არცერთი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის არ ყოფილა უცხო. მაგრამ ყოველ ეპოქაში ადამიანის მაღალი შეგნებულობის გამომხატველ ამ თვისებას გამოჩაყლისის, ერთეული მოვლენების ხასიათი ჰქონდა. საბჭოთა პირობებში კი, სოციალიზმის ქვეყანაში სამშობლოსათვის გმირულ თავდადებას მასობრივი, სახალხო ხასიათი აქვს. სამამულო ომმა ნათელი გახდა საბჭოთა ხალხის საყოველთაო გმირობა. საკუთარი საქმის სიმართლის რწმენაზე დამყარებულმა ამ გმირულმა თავდადებამ სასწულები მოახდინა. ძალთა და სოციალურ პოლიტიკური ფაქტორების ვითვალისწინებაზე დამყარებული რწმენა გახდა გამარჯვების სათუქველი. ქვეშაობრივობას, საბჭოთა ხალხის აზრს გამოხატავს პოეტი ვ. გორგანელი, როცა ამბობს:

გამარჯვების იმ რწმენას უმღერის მ. ლებანიძის საკუთარ ქველდოვან გაჯორკილი ჩონგურიცმეზღინოთქა

ო, ჩვენ ვეწამა — მე და ჩონგურს,  
დამარცხება უკუნეთოს  
და ვით ლხინში, განსაცდელშიც  
გამარჯვებას ვვადგინებდით.

პოეტები თავიანთი ლექსებით სწამდვილეს გამოხატავენ.

ომის გრიალი მიწყნარდა. ჩვენი ქვეყანა აღორძინების ფერხულში ჩაება, დიდი სტალინის მიერ დასახული ხუთწლედის განხორციელებას შეუდგა. მაგრამ ჩვენ ხალხს არასდროს არ დაავიწყდება ის განსაცდელი, რომელიც მის წინაშე იყო აღმართული ამ განსაცდელის დროს გაისმა ბელადის ისტორიული სიტყვა, რომელმაც ხალხს დიადი რწმენა ჩაუსახა გულში. გასაგები და ბუნებრივია, რომ გამარჯვების გამომქედი დიდი სტალინი არის ჩვენი პოეზიის უდიდესი შთამგონებელი, მისი სიყვარულის დაუშრეტელი წყარო. სტალინს გულწრფელი ლექსებით უმღერიან კრებულში წარმოდგენილი პოეტები. აღსანიშნავია, რომ ისინი ახერხებენ დიდ თემასთან საკუთარი გზით მისვლას, საკუთარი გულწრფელი ხმით ამღერებას. ასეთებია ვ. გორგანელის ლექსი „სტალინს“, მ. ლებანიძის საინტერესოდ მოფიქრებული ლექსი „ბელადი შეებულებაში“ და ო. ჰელიძის „ყველგან მისი მამულია“.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი მთელი არსებით ხალხთან არის დაკავშირებული, მისი წილიდან არის გამოსული, ომის ვითარებაში ხალხს, ზურგს განუწყვეტელი სულიერი და მატერიალური კავშირი ჰქონდა დამყარებული თავის ჯართან.

დღე-მამა თავიანთი საქმიანობით ზურგში, ოცნებით ფრონტზე იყო

როცა ქვეყანა ცეცხლში იწვოდა,  
მტერი ღრედა მშობლიურ მხარეს,  
ჩვენ მაშინაც კი ვეწამა, ვეცოდით,  
რომ შევადგინებდით ბერლინის კარებს.

შვილთან, და — ძმასთან, სატრფო — საყვარელთან, ძმა — ძმასთან. ფრონტისა და ზურგის მტკიცე კავშირი გამოხატეს, მას უძღვნეს საუკეთესო ლექსები პოეტებმა ვ. გორგანელმა და მ. ლებანიძემ.

მებრძოლებმა ხელჩართული ბრძოლა გადაიხადეს. ღამეა. მთვარის შუქზე ბლინდაეებში მოსვენებულნი კითხულობენ სატრფოსაგან მიღებულ წერილებს. მხოლოდ ლექსის ლირიკული გმირი ზის მოწყენილი. იგი ფოსტალიონს მოელის მაშინ როცა:

შორს მტრის ტანკი ახლაც ისევ  
მიტოვებულ ბუხარავით ბოლავს.

პოეტი ამ სტრიქონებით დამთავრებული ბრძოლის მოხდენილ პეიზაჟს ხატავს. გმირი მზადაა მომავალი ბრძოლისათვის. მას არ შეუძლია უღალატოს ფიცს, რომელიც სატრფოს მისცა. ეს ლექსი — „ბრძოლის შემდეგ“ — გმირის მართალ ნამდვილ ფსიქოლოგიურ სურათს გადმოგვცემს და ამით არის გამართლებული, დამაჯერებელი.

მეტი სოციალური დიაპაზონით, უფრო რელიეფურად, მეტი კოლორიტითა და საზოგადოებრივი მომენტის ხაზგასმით ასახავს ზურგისა და ფრონტის კავშირს პოეტი მ. ლებანიძე ერთ-ერთ ლექსში „ამბიდაგში“. ეს ლექსი იმით არის შესანიშნავი, რომ იგი ადამიანური გრძნობიანაა გამთბარი, ჰუმანურია. ყოველმის სტრიქონში პოეტის კეთილი ღიმილი მოჩანს. ამასთანავე გარკვეულ საზოგადოებრივ მოვლენას ასახავს. ფრონტისა და ზურგის ცხოვრების სინამდვილეს გადმოგვცემს სავსებით მხატვრულ ფორმაში. ლექსი გამოირჩევა გულწრფელი ტონით და ყოფითი დეტალების, კონკრეტული მოვლენების გამოტანით. ვარიაციების

კრიახი, კეცის ხაჭაპურები, ნამცხვრები — მთელი ეს კულინარია, სეტორის პოეტურ ხარისხში აქვს აყვანილი. ლექსი დაწერილია ერთი სუნთქვით და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს განცდის სიღრმითა და სიმართლით. არ შეიძლება მკითხველი არ გაიტაცოს რეალისტური ხილვითა და შთაგონებით დაწერილიმა სტრიქონებმა, როგორცია თუნდაც:

მე კვლავ მივფრინავ კლუბორზე,  
მიმყვება ფიჭვის ამაღა,  
და კლდეზე გაკრილ სანგარში  
გხსნი შენგან შეკრულ ამანათს.  
ბრწყინდება ასი ნამცხვარი,  
მამიდავ, შენი ჩაკული,  
და ფრთას შლის უცებ წერილი,  
მღივანწიფიანობრულ, გაკრული,  
ვერ გავიმეტეთ წერილი  
თამბაქოს გასახვევდა,  
ვერც ხაჭაპური ხატულა  
გავსწირავთ გასახვედა...

ამ ლექსში ძალდატანების ნასახივ არ არის: ყველაფერი ბუნებრივი და ნამდვილია. მდივანწიფიანობრული ასოებით დაწერილი წერილი, ხატულა ხაჭაპურები და მთელი ეს ამანათი, სანგარში გახსნილი, ნაცნობ ასოციაციებს იწვევენ მკითხველში, მისთვის მახლობელნი არიან. განა ფრონტის ნამდვილ სურათს არ გამოსახავს პოეტი, როცა მიღებულ წერილს ვერ იმეტებს თამბაქოს გამოსახვევად, იმდენად ძვირფასია იგი მისთვის? ლექსის ყოველი სიტყვა, ყოველი სახე ააშკარავებს, რომ პოეტს პირადად აქვს იგი განცდილი და ამიტომ არის დამაჯერებელი და გულსწამაყვადი.

როგორც აღვნიშნეთ, კრებულში წარმოდგენილი პოეტები (ო. ქელიძის გამოკლებით) კალმით კი არა, შაშხანით ხელში ებრძოდნენ მტერს. მათი პოეზია ომის ცეცხლშია გამოწრთობილი. ეს აზრი არა დეკლარატიული სახით, არამედ საკმაო პოე-

ტური სიძლიერით აქვს გატარებული ვ. გორგანელს ლექსში („ფერფლი“). პოეტი პირდაპირ ამბობს:

ო, მე იმ დღიდან პოეზიის მედება  
ცეცხლი,  
რუს სტალინგრადის გრიგალებმა შეკრდო  
დასერეს.  
მე დაცემული მეომარის თანა მაქვს  
ფერფლი  
და მისი ფერფლი აღარ მასვენებს.

კრებულში მოთავსებული ლექსების უმრავლესობაში ავტორთა ბიოგრაფიის ნაწილია გადმოცემული. ამით აიხსნება მათი ორგანულობა, ხმის გულწრფელობა, სიტყვის სიცხოველე, შინაგანი პოეტური ცეცხლი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირადული, ვიწრო ინტიმური განცდები პოეტებს უფრო ხშირად საზოგადოებრივ ასპექტში აქვთ გატარებული. ამიტომ მათი რეზონანსიც ფართოა. ასეთია მ. ლებანიძის მშვენიერი ლექსი „ქუდი“.

მაღალი იდეურობითა და მხატვრული შესრულებით გამოირჩევა ვ. გორგანელის ლექსები „დეპუტატს“ და „ქართველები“, რომლებიც გამოხატავენ ქართველი ხალხის სასახლო შვილების საგმირო საქმეებს, მათს პატრიოტულ თავდადებას სამშობლოსა და სტალინისათვის. პოეტური ფანტაზიის ფართო გაქანება ახასიათებს მისსავე ლექსს „მოლანდება“, რომელშიც გადმოცემულია ვაჟაფშაველას საკრალური კავშირი ბუნებასთან, მისი დიდი ჰუმანური გული და პოეტური მღელვარება.

მ. ლებანიძის პოეზიაში ცოცხლობენ გმირი ქალაქები — სტალინგრადი და ოდესა; ყუბანის სისხლით-მორწყული ველები და კრასნოდარი. ბრძოლის გზა სტეპებით მიდის. ლექსის გმირი, ნაომარი და ნატყვიარი, მიჰყვება ამ გზას, რათა კვლავ

ბრძოლაში ჩაებას. ავტორი ებიური სიმშვიდით იგონებს განვლილ დღეებს, მძაფრ განსაცდელს.

ჩამოვიგვენებ მე ამ გორაკთან,  
წარმომიდგება ფიქრში ძველი ცა...  
იქ წარღვნის მრუმე ზღვა მოგორავდა  
და წითელი კლდის მყარდს შეეღწა.

სინამდვილის ამ მიუღვამელ აღწერას თან სდევს ნატურალისტური დეტალი, რომელიც პოეტის ირონიული სიცილით არის გამძაფრებული:

ღღეს კი ჯვარი სოფელს დაღუპულ  
ფრცხის,  
ჩამოლანძღული ფრინველთ სკორეთი  
მე მეცინება, რომ ნატვრად დარჩა  
მას საქართველო და ინდოეთი.

კავკასიის ფრონტზე გარდამწყვეტი გარდატეხა მოხდა. მისი ავტორი იყო ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი ბერია, რომელმაც სტალინის გენიალური სტრატეგიული გეგმის გატარებით, სასტიკად დაამარცხა გათავზედებული მტერი კავკასიის მისადგომებზე და დასავლეთისკენ გარეკა. შეტევაზე გადასულ ჩვენს ჯარისკაცებს გზაში ომის უცვლელი პეიზაჟები ზედბოდათ: ფრიცების საფლავეები და მათზე ამართული ხის ჯვრები. პოეტმა მოახერხა ცოცხალი პოეტური სიტყვით გამარჯვების გზის ასახვა, მტრის დაღუპული ოცნების ირონიის მარწუხში გატარება. პოეტმა სამამულო ომის ერთი ეპიზოდის სწორი სურათი გადაშალა, იგი პერსპექტივაში მოგვცა.

მ. ლებანიძის პოეზიის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარია. იგი ერთნაირი პოეტური სიძლიერით უმღერის ომში სახელმძღვანელო გმირს, სოფლის ექიმს, ზურგის თავდადებულ და დაუღალავ მუშაკს, მშობლიურ სოფლებს. უნდა

აღინიშნოს, რომ ლექსების ის ციკლი, რომლებშიც გაცოცხლებულია რაჭის სოფლის ღამაში პეიზაჟები, მშვენიერია. პოეტი გრძნობს ბუნებას, მის სიახლოვეს, სიღამაზეს, უყვარს თავისი სოფელი და შესანიშნავ პოეტურ სახეებსაც პოულობს მისი დიდების გადმოსაცემად. ასეთებია ლექსები „რაჭაში დგება აპრილი“, „მამა“ და „მწარე ბღების სიცილი“. იმავე ციკლიდან პოეტი უმღერის დოვლათითა და ბარაქით საესე სოფელ კვაშხეთს, სადაც

...ლაღიმერა გოშაქმ უცე გამართა  
 გუთანი...  
 გამართა, მინდვრებს გაბედა, — გულში  
 იმედი ჩაუდგა,  
 და ამინდს გაზაფხულისას ერთი  
 სურვილიც ჩაუთქვა...  
 ჩაუთქვა: შემოდგომაზე სუნთქვა—  
 შეკრული ბედლები,  
 ჩაუთქვა: ამბობებული, სარქველ—  
 მომწყდარი ქვევრები...  
 ჩაუთქვა: — გაშლა სუფრების გულთა  
 მზიარულითა  
 და ქალაქების დაცვეთა მარანში  
 სიარულითა...

ზნანს პოეტი იცნობს სახლიაკეების მეტყველებას, მათს ფსიქოლოგიას, ამიტომ ყოველი სახე ბუნებრივია, ტვეადი, აზრიანი.

მ. ლებანიძესაც და ვ. გორგანელსაც ახასიათებთ მეტაფორების საგრძნობი სიახლე, ეპითეტების სიცხოველე, მხატვრული სახეების სიმდიდრე და რეალობა, სიტყვების სინედლე. სიმართლეს ამბობს პოეტი მ. ლებანიძე თავის ჩონგურზე.

ჯერ ნდელია ეს ჩონგური —  
 ნურვის მისცემ გასათქვრად,  
 გაღაღადდეს, ვაწყრილადდეს,  
 დაეწმინდოს ხმა და ბგერა.

უიჰველია პოეტებს დაძაბულ მუშაობა დასჭირდებათ იმისათვის, რომ მათ ჩონგურს „დაეწმინდოს ხმა

და ბგერა“, რომ მათ ლექსებს ღიოთონის წკრიალი მიეცეს.  
 რას უნდა მიაქციონ მუშაობა ახალგაზრდა პოეტებმა იმისათვის, რომ მათ საკუთარი საბატიო ადგილი დაიკავონ ჩვენს პოეზიაში? უწინარეს ყოვლისა — იდეურ სიმადლესა და სიწმინდეს. როგორ გამოიყურება სოფელი მ. ლებანიძის პოეზიაში? რა ნიშანდობლივი თვისებები განასხვავებს მას ძველი სოფლისაგან? თითქმის არაფერი. იგივე ქარაქით განათებული ქოხები, იგივე ტყაუკები და ქალაქნები, სერი-სერ განათებული ძველი ეკლესიები. ცხადია, ეს არ შეეფერება სინამდვილეს. იგი არ წააგავს საკოლმეურნეო სოფელს. ამ ლექსებში პოეტი დაღატობს რეალობის ადლოს, იგი წარსული რემინისცენციებით სუნთქავს, მისი ხილვა მიმართულია უფრო წარსულის რომანტიკისაკენ და არა მომავლის ბრწყინვალე სურათის გაშლისაკენ.  
 როგორც ვ. გორგანელი, ისე ლებანიძეც ხშირად მიმართავს არაზუსტ ბუნდოვან, გაუგებარ მხატვრულ სახეებს, რომელთა გაშიფრვა შეუძლებელი ხდება. პოეტები ქარბად განიცდიან წარსული ლიტერატურული მიმდინარეობის ზედმოქმედებას. გამონაკლისის სახით როდი გაიელვებენ აგრეთვე მათს ლექსებში მზამზარეული პოეტური თქმები, მწიგნობრული გავლენები. მათ მეტი მუშაობა და დაფიქრება დასჭირდებათ ლექსის მუსიკალობის დახვეწის მიზნით. ვ. გორგანელის ლექსში „ფერფლი“ ასეთი ცალიერი სტრიქონია: „რომ მზის ველებზე სტრიქონების დავცე კარავი“. ლექსში „სიმღერა“ პოეტი აღწერს სოფლის ღამის პეიზაჟს და სწერს:

ლულულაში დაბნული სივები,  
 გედის ფრთებზე რომ ათევენ ღამეს —  
 არა მგონია ერწოში გედები მოიძებნებოდეს. ეს მწიგნობრული გაე-

ლენაა, არარეალური, არადამაჯერებელი. პოეტურ გემოვნებას მოკლებულია „გვხაენით კოცნის ბარათებს“. ლექსში „ფოთოლი“ ასეთი ადგილია:

ჩემს ახლოს მდინარე, მიტებს დაჯახებული,  
დაქრილი ლომივით წევს.

არ არის სწორი მდინარის მწოლარე ლომთან შედარება. თუ წევს, აღარ მოძრაობს. მდინარის უმოძრაოდ წარმოდგენა კი შეუძლებელია... ფოთოლი, რომელიც ლექსის სტრიქონებს ეცემა, პოეტს საყვარელ არსებებს აგონებს და ასეთი ინტიმური ხილვის შემდეგ გაუგებარია შემდეგი სტროფი:

ერთი კი, ისულო, არ შეკრთე,  
როდესაც (!)  
დასკუნება, მოკვდება ის,  
ეს მხოლოდ ჩქნება ნიშანი — დაცვა  
ბოროტი ზრახვები მტრის.

რა კავშირში იმყოფება დამკვნარაი ფოთოლი, რომელიც პოეტს სატრფოს აგონებს, მტრის ბოროტი ზრახვების დაცემასთან? ეს შეუსაბამობაა და მისი სათავე იქიდან წარმოდგება, რომ ავტორს სურს სთქვას რაღაც ორიგინალური, ექსტრავაგანტური. ასეთს უსაფუძვლო ძიებაში ლექსს ეცლება შინაარსი და აზრობრივად გამოფიტული რჩება. მეტად გაცვეთილი, ბრჭყვიალა და ამავე დროს არაფრის მთქმელია: „მომაქვს სხივთა ყვავილები შენი ტანის ცისარტყელად“ („გზიდან“).

როგორც აღვნიშნე, ვ. გორგანელის შემოქმედებაში იდეური სინწიფითა და მხატვრული მოფიქრებით საკმაოდ მაღალ დონეზე დგას ციკლი ლექსებისა „ქართველები“, მაგრამ „არაჩვეულებრივისადმი“ მისწრაფება ათქმევენებს პოეტს:

ლექსში ლაპარაკია ნამდვილ ამბავზე: ტყვეობიდან გასწავლული ქართველი მებრძოლი, ვინც დაღუპული ლით ისინი ქალაქის ქუჩებში ქართულად ამოქნილი ქალამებით გამოვიდნენ“. ეს ამბავლებელი და გულსჩამწვედომი ფაქტია, „ღრუბლიდან გამოპრილი ქალამები“ კი წარმოუდგენელია. ლექსი აგებულია ნამდვილად მომხდარი ამბის ქარგაზე და შიგ შეტანილი ასეთი დეკადენტური სახე ლექსს უკარგავს წონას, რეალობის სიცხოველეს. მიმართავს რა ქარს, პოეტი ამბობს:

შენ ხომ იცი სიმღერით და დაირით  
მათ უყვარდათ მოწმენდილი დილა.

რა ქართულია ეს სიმღერით და დაირით უყვარდათ მოწმენდილი დილა-ო. ესეც არ იყოს ნუ თუ ჩვენს მებრძოლებს შეუძლიათ რითიმე მოგვაგონონ ორთაქალების ყარახოლელები, რომლებიც დაირითა და სიმღერით ზედებოდნენ ბაღებში მზის ამოსვლას? ვანა ჩვენს ახალგაზრდობას სხვა საქმე არაფერი აქვს, თუ არა სააირთ დილის შეხვედრა? ეს პოეტური ეგზოტიზმი გამოწვეულია მწიგნობრული წამბაძველობით; ჩვენს სინამდვილეში, ჩვენი ცხოვრების ორომტრიალში პოეტის საერთოდ ჯანსაღი რეალისტური თვალი ასეთს ანაქრონიზმს ევრაეითარ შემთხვევაში ვერ დაინახავს.

პოეტს კიდევ ერთი საფრთხე აქვს წინ: ლტოლვა უიდეო, უშინაარსო, განყენებული თემისადმი. ასეთია მისი „ბაღში“. ლექსი საკმაოდ ბუნდოვანია და აღნაგობას მოკლებული. იგი ასე თავდება:

ტანზე მებურა ვარდა ფურცლები,  
და თავქვეშ მდო სიზმრის ბაღში.

უქანასკნელი სტრიქონი უაზრობაა. არ არის ქართული „ვარდებს კრეფავს“, არც „ბაღლი ჰყეფავს“, ვ. გორგანელი თავის პოეზიაში გვევლი-

მ: აწმინდიდან გადასული ღრუბელი,  
გამოსურს და ქალამებად აისხეს.

ნება როგორც ჯანსაღი გრძნობების პატრონი და ამიტომ გაუგებრობას და გაოცებას იწვევს ის უცნაური ღტოლვა, რომელსაც იჩენს იგი ლექსში „სიყვარული“.

ნეტავი მომკლა განგებ ორი დღით და შენი თავი ისევ მიჩვენა.

ეს არ არის პოეტის ორიგინალური ხმა, იგი ნასესხებია და ამიტომ ახდენს ხელოვნურობის, ზერელობის შთაბეჭდილებას. პოეტს ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ მისთვის ბუნებრივი შემოქმედებითი გზით წავიდეს.

დაუდევარი დამოკიდებულება ახასიათებს ზანდაზან ლექსის ფაქტურისა, სიტყვიერი ორნამენტურობისა და მხატვრული სახეებისადმი მ. ლებანიძეს. ისეთი მებრძოლი და ამავე დროს ღირიული ხმის მფლობელს, როგორც ისაა, ზმირად ემჩნევა უჩვეულო, საეკლესიო ტერმინოლოგიის გამოყენების, კავშირანი განწყობილების ბურუსში გახვევის ტენდენცია... ჩადგა ომის გრივალა. პოეტი მშვიდობიანი ხალისიანი შრომის ფერხულში ჩაბმულ ზურგს დაუბრუნდა და აქ კი... სულიერი დეპრესიის მარწუხებში მოექცა. ამის საბაბი მისთვის არც საფრანგო ცხოვრებას მოუცია, და მით უმეტეს, არც იმ ამაღლებულ, ღია განწყობილებას, რაც ჩვენს ხალხს ახასიათებს. ამიტომ არის, რომ ყალბად ქლერს ლექსში („ისევ მისადმი“) ასეთი სტრიქონები.

რუსთველზე ახლა ცისფერი ბოლი დის ნელსაცხებელის, ლეგმებსა კენეტენ ცხენები, თეთრი, ფაშატი ცხენები. ახლა კვლავ დავალ რუსთველზე, შვარამ დაედვიარ ჩრდილივით.

რატომ ჩრდილივით? ან რომელი მწვერვალიდან დაინახა ავტორ-

მა პროსპექტზე ნელსაცხებლის ბოლი? ლალატობს ავტორს მწველსავე სმენა, როცა ასეთს მწველსავე მოსათქმელ სტრიქონს მიმართავს იმავე ლექსში: „არ იქნებოდა, რუსთველზე რომ სული არ მიმბნიდვოდა“. ლექსი არ იწერება კალმის ერთი მოსმით. ეს თეორია დიდი ზანია უარყოფილია. იგი დიდი ჯაფის ნაყოფია. ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას, ყოველ მხატვრულ სახეს დიდი დაკვირვება, აწონდაწონვა სჭირდება. პოეტური გარჯის უგულვებელყოფა ემჩნევა ზოგიერთ ლექსში მ. ლებანიძეს. ამით აიხსნება, რომ მშვენივრად მოფიქრებულ ზოგიერთ ლექსში მოუქნელი, უხეშო გამოთქმები გვხვდება. ასეთია თუნდაც „სტალინგრადის მშენებლებს“.

ისეთ ადგილას გაჩაღეთ ნანგრევი იგი, რომ ყველა გზები დიდ ქალაქში შეერთდნენ მასთან.

„ნანგრევის გაჩაღება“ არავითარ აზრობრივ სიამოვნებას არ მოგვრის მკითხველს. რა აქვს სინამდვილესთან საერთო ფეოდალური ციხე-ქალაქის ჭონგურების დანახვას დღევანდელ ინდუსტრიულ ქალაქში სტალინგრადი ლეგენდარული გმირი-ქალაქია და მისი წარმართულ რიტუალთან დაკავშირებულ გარკვეული შინაარსის მქონე კერპთან გაიგივება უმართებულოა. რა არითმეტიკულ ანგარიშზეა დამყარებული შემდეგი სტრიქონი ლექსიდან „ბეღალი შევბულებაში“:

და ათა-ბუთას დამე ზათევი შევბულებაში მიდის სარდალი.

ეს ლექსი ბელადს ეხება და მეტო სიზუსტის დაცვაა საჭირო. სასოწარკვეთილების ჩრდილია შეპრილო ლექსში „ფრონტელი გაზაფხული“, რასაც დისონანსი შეაქვს პოეტის საბრძოლო ლექსების საერთო მაჟორულ



ტონში. პოეტი ხშირად ხმ.როს „ომის სანთლები“, „ომის ჩანგი“, რაც სინაზის ერთგვარ ფიქს აყრის ისეთი მკაცრი ხასიათის ონს, როგორც უკანასკნელი ომი იყო. განა ამ ომის ბუნებასა და ხასიათს „სანთლები“ და „ჩანგი“ გამოხატავენ? აქ სხვა სიდიდის რადიუსებია და საჭიროა მათი ეკვივალენტური პოეტური ცნების გამოჩანვა. დრო მოქმულა და ანაქრონიზმად გაისმის დღეს ლოთობის აპოლოგია, რასაც პოეტი მიმართავს ლექსში „სანადიმო“:

ლოთი დაღევს და ისევ იცნებს,  
ისევ დაღევს და... დაზავავს ღვინო...  
ჩვენ კი ვიმღეროთ ისევ და ისევ,—  
ამ ლურჯ ლამეში რამ დაგვაძინოს!

ამ კულტის წინაშე ჩვენმა პოეზიამ გადამეტებული ხარკი გაიღო და ამ მიმართებით გულუხვობის გამოჩენა აღარაა საჭირო. ეს გულუხვობა კი ეტყობა ახალგაზრდა პოეტს, თორემ იგი არ გაიმეორებდა მეორე ლექსში ასეთი დატინებით:

როცა დაბეტყვევს ყანებს და მამულს,  
თქვენსავით დარდით ვინისლებოდე,  
და ცეცხლის პირას ყოველ საღამოს  
ბეჭეკობდებულ ღვინით ვთვრებოდე.

მთელი ჩვენი ხალხი თავდადებით იბრძვის დიდი სტალინური ხუთწლეულის განხორციელებისათვის. ასეთს პირობებში იმის ნაცვლად, რომ პოეტმა ხალხს მოუწოდოს სტიქიასთან ბრძოლისკენ, შრომისკენ,—იგი ოცნებობს ყოველ საღამოს (ისიც ყოველ საღამოს!) ცეცხლის პირას ღვინით თრობაზე. ბუხარი, მოვიზიონე ცეცხლი, ხელადით ღვინო და ლხინი! ეს ფეოდალური დროსტარება შორსაა ჩვენი სინამდვილისაგან. სინამდვილიდან გასვლის ეს ტენდენცია გატარებულია კომპოზიციურადაც და შინაარსობრივადაც სუსტ

ლექსში „ცოლი და სტუდენტი“. პოეტის სამოქმედო პროგრამა ასეთია:

მე ვმღერებ ნიაქს მკვლევარს,  
ცის ლოცვებით შენისლული,  
ვინ გაბედავს — შეაშფოთოს  
მუუდროება ჩვენი სულის.

ლექსის ლირიკულ გმირს იდილიურად აქვს წარმოდგენილი სინამდვილე, ეძებს განმარტოებულ ცხოვრებას, მუუდრო ადგილს, სადაც ვერაინ დაარღვევს მის სულიერ სიმშვიდეს. საბედნიეროდ ჭობური განწყობილება არ არის დამახასიათებელი ავტორისათვის, მაგრამ მაინც ყურადღების მისაქცევია, ვინაიდან ტენდენცია შეიძლება მთელ სისტემაში გადაიზარდოს და საიმედო ხმის პოეტი ყალბი გზით წავიდეს. ავტორმა წინადადების კონსტრუქციაც უნდა გაითვალისწინოს. ლექსი ენის სისწორის დარღვევას ვერ შეურიგდება. წინადადება: „როს ქალაქის შფოთი, ბრწყინვა, მოგვებრდება და განგაში“, იმავე პრინციპზეა აგებული, როგორც ილია ჭავჭავაძის მიერ მოყვანილი ცნობილი მაგალითი: „ხელი გავიეხიე ფეხი“. ლექსის გმირი გვიპრდება, რომ იგი იქორწინებს ქაშვეთში ათას ცხრაას ორმოცდა ათი წლის აპრილში, ე. ი. მეოთხე დიადი ხუთწლეულის დასასრულს:

მე გამოვალ ქაშვეთიდან  
საქორწილო თეთრი ჩოხით...  
რომელი ხარ?  
ქემთან ერთად  
ხანთლებთან რომ მუხლებს მოხრა!

რა არის ეს? ან იდეურად ან მხატვრულად? ასეთ ლექსს ეწოდება ლიტერატურული წუნი. რასაც თუ ავტორი არა, რედაქტორი მაინც უნდა ამჩნევდეს.

ვ. გორგანელისა და მ. ლეზანის დეფექტებზე იმიტომ შევჩერდით ვრცლად, რომ ისინი გვესახებთან

როგორც ჩვენი პოეტური რიგების შემსესები ნიჭიერი ახალგაზრდები. მიტომაც მეტი მოეთხოვებათ მათ. მოეთხოვებათ მეტი დაფიქრება და მუშაობა თავიანთ თავზე, ბრძოლა მეტი იდეურობისათვის, დღევანდელობის გრძნობის გამახვილებისათვის. მეტი მუშაობა დასკირდებით მათ ლექსის მუსიკალურ ორვესტრაციისათვის, ჰარმონიულად აედრებიისათვის. სწორი და ხმოვანი რითმებიისათვის. ამ მხრივ ავტორებს დაუდევრობა და უზრუნველობა ეტყობათ. თანამედროვე ქართული ლექსის ფორმალური მხარე საკმაოდ განვითარებულია და ამიტომ ახალგაზრდათა წინაშე სიძნელეც მეტია.

თქმულის განმეორება შეიძლება ოთ. ჭელიძისა და თ. ჯანგულაშვილის შესახებაც. ოთ. ჭელიძე ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი წარმომადგენელია. მისი ლექსის ფორმალურ კულტურაში ხარვეზი შეაქვეს ნეიტრალური ლირიზმით გატაცებას, იდეურ სისუსტეს, დღევანდელი აქტუალური საკითხებიდან ერთგვარ მოწყვეტას, მოღუნებულ სულიერ განწყობილებას. მის პოეზიაში ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი სამამულო ომის თემას, არაფერს ეუბნება მკითხველს, თუ რა სულიერი გარდატეხა მოახდინა, რა გამოცდილება მისცა ომმა საბჭოთა ადამიანს. პოეტი უფრო სატრფიალო ლირიკაში გრძნობს თავს ძლიერად. მის ლირიკას ნაკლები კავშირი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ჩვენი ცხოვრების რთულ საკითხებთან, და ზოგჯერ ასეთ პრიმიტივამდე დადის, როგორცაა ლექსი „არ ვიცი“:

ტირიფების სიზარული ვიცი,  
და ნიბლიას გულიც მომიპარავს.  
ვიცი ყველა, მე კი რისგან ვიწვი,  
ეს არ ვიცი, ეს არ ვიცი, არა!

ო. ჭელიძეს, ისე როგორც ზემოთ-დასახელებულ ახალგაზრდა პოეტებს

ბეჯითი მუშაობა დასკირდება ლექსის დახვეწაზე, პოეტურე აზროვნების დაწმენდაზე. მართლაც, მისი ლექსები ლამს კრებულში მოთავსებული რამდენიმე კარგი ლექსი ეკუთვნის. მათ შორის აღსანიშნავია: „ყველგან მისი მამულია“, „რა სჯობია“, „საფლავი“ და სხვა. ამ ლექსებში არის ღიდი სიყვარული ბელადისადმი, პატრიოტული მღელვარება, მეგობრობის გრძნობა, მაგრამ ამ ლექსებშიც არის ჩრდილოვანი, შეუსაბამო ადგილები, რომელთა აცილება პოეტს შეეძლო, რომ მეტი დაკვირვება გამოეჩინა. მაგალითად, ლექსში „ყველგან მისი მამულია“ ასეთი ადგილია: „ღამის ქარი ტანზე აყრის თოვლის ფანტელს და სიცივეს“. თოვლის მიყრა შესაძლებელია, სიცივისა კი — არა. შემდეგ:

თოვლი, ღამე, ისე თოვლი, მაზარაზე  
აყრის ფიფქი,  
წმინდა, როგორც გზად მიმავალ  
მარტოხელა კაცის ფიქრი.

გაუგებარია, თუ რას ნიშნავს „მაზარაზე აყრის ფიფქი“ და სრულიად შეუწყნარებელია მეორე სტრიქონი; განა არ შეიძლება, მარტოხელა კაცის ფიქრი არ იყოს წმინდა? რა პოეტური შედარებაა ეს! არავითარი ლოგიკა მას არა აქვს და არც დამაჯერებელია. ანდა, როდის იყო, რომ კაცი წყურვილს მდინარეზე ხიდიდან გადახედვით იკლავდა. ავტორს კი გვარწმუნებს:

რა სჯობიან, როცა ქალაქს  
მიულოცავ განახლებას  
და წყურვილის მოსაკლავად  
მტკვარს ხიდიდან გადახედვად.

კრებულში მოთავსებულ 1944 წლით დათარიღებულ ლექსებში ლაპარაკია ვიწრო, პირადულ სატრფიალო განცდებზე. საზოგადოებრივ

შაჯისციემის სუსტი ხმაც არ ისმის მათში. „მოვალ და შენი ღიმილის მეტი არა მინდა რა“. განა შეიძლება ინტერესების ასე შემოზღუდვა ისეთი ქართველის დროს, როგორსაც ხალხი იმ დროს განიცდიდა? შეიძლება რაიმე საზოგადოებრივი ფუნქცია შეასრულოს ასეთმა ნაწარმოებმა, რაიმე რეზონანსი ჰქონდეს მას? არავითარი! ო. ჰელიძე? უპიკელია ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს შემდგომ მუშაობაში და თავისი გულისყური ლექსის შინაარსზე, მის იდეურობაზე, მის მხატვრულ სრულყოფაზე, თანამედროვეობის ასახვაზე გადაიტანოს. უნდა გათავისუფლდეს უცხო ლიტერატურული გავლენისაგან, რაც მას ამაჟამად ეტყობა. ლტოლვა რაღაც ახალ, აუხსნელ, ბურუსში გახვეულ, დაუნახავ ნაპირისაკენ ახასიათებდა დეკადენტურ პოეზიას. უკანასკნელის გავლენით შეიძლება აიხსნას მის ლექსში ასეთი ადგილი: „მე კი ლექსებით ნაცახცახარი ვხშიანობ, მინდა რაღაც ახალი“. დეკადენტურ პოეზიაში ასეთ სულიერ განწყობილებას თავისი საფუძველი ჰქონდა. საბჭოთა პოეზიისათვის კი იგი საცხებით უცხო და მიუღებელია.

პოეტს უფრო ეხერხება იმპრესიონისტული აზროვნება, აკვარელური ხაზის მოსმა და სუსტია სუბეტური ლექსის გაშლაში. სუსტია, მაგალითად, მისი ლექსი „ღამის დარაჯი“.

აშარიშერდენ ხმელი ფოთლები  
და მოფრენილი თივა, ფურჩი,  
როგორც უსარდლო ლევიონები  
აბეტილდენ მტრთან ქუჩებში.

ამ კონტექსტით უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოქმედება სადღაც სოფელში ხდება. აქ თივაც არის და ფურჩიცი. მაგრამ პირველი თავის

ბოლოში ირკვევა, რომ ამბავი ხდება თითონ დედაქალაქში.

შემოგვიჩვენენ დედაქალაქში  
გვემტკრებიან ვაპარტუზები,

ეუბნება დარაჯი ვიღაც ქალს. მაგრამ ეს კი არ არის მთავარი. ლექსს არა აქვს კომპოზიცია. იგი ბუნდოვანია და მეტად ზერელეა. ლექსში საგრძნობლადაა გაბნეული ასეთი თქმები: „გულში ესვენა წერტილისათვის ქალს დაწყველილი წუთის ხსენება“, „ფართო თვალები დააბრიალა“, „შეშინებული მთვარე ღრუბელში ემალებოდა, ღამის უეუენეს“, „გაუჩინარდა თვალის ხამხამში“. თუ ამას დაეუმატებთ ისეთი ყრუ რითმების გამოყენებას, როგორცაა მხნეობა—იფერფლებოდა, კარებთან — თავებმა, გამოიძინებს — ამოიგმინებს, ხელებმა — მიაქებრდება და სხვა მისსთანანი, უნდა ითქვას, რომ ლექსი სუსტია და მისი ჩრდილი დანარჩენ გამართულ ლექსებსაც სწვდება.

თ. ჯანგულაშვილის ლექსი „შეხვედრა პოლონელ ქალიშვილთან“ გადმოგვემს იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც გამსჭვალულნი არიან დიდი სტალინისადმი ყველა ქვეყნის პატიოსანი მოქალაქენი და ის ახალი, რაც ომმა დაამყარა ხალხებს შორის: ეს არის მეგობრობის ღრმა გრძობა, ურთიერთგაგება. მის ნაწარმოებებში შინაარსობრივად და მხატვრულ ფერების სიმკვეთრით განსაკუთრებით გამოირჩევიან ლექსები, რომლებშიც გადმოცემულია პოეტის მიერ განცდილი საბრძოლო მოვლენები. ასეთებია „მას რამდენიმე ნაბიჯი დარჩა“, „ოღერიც გადავლახეთ“ და სხვა. ავტორი ახერხებს უბრალო, უპრეტენზიო პოეტური სახეებით გადმოგვეცეს ჩვენი ჯარის შეუჩერებელი წინსვლა, და მტრის განადგურება.

მკლავით, ნაგებით, ფიცრით, კასრებით  
გადადიოდა ოდესს ვრივადი.



ლექსები გამოხატავენ ავტორის პატრიოტულ გრძნობას, მის მზადყოფნას სამშობლოს დასაცავად, მოვლენების უშუალო აღქმის უნარს. მაგრამ მსგავსად ზემოთდასახელებულ პოეტებისა თ. ჯანგულაშვილსაც საკმაო მუშაობა დასჭირდება ლექსის კულტურის ასამაღლებლად მისი იდეური პორიზონტის გასაშლელად. პოეტს ხანდახან არ ყოფნის ძალა აზრის გასაშლელად, პერსპექტივის მისაცემად. პოეტი დარწმუნებულია გამარჯვებაში. იგი სწერს:

მალე შევანგრძობ ბერლინის კარებს,  
მორჩება ომიც ეს უდიდესი  
და, ძმაო, მეც...

უეჭველია მკითხველი მოელის პოეტის მიერ ომისშემდგომი პერსპექტივის გაშლას, მაგრამ უეცრად წყდება აზრის განვითარება და ავტორი მკაყოფილდება მრავალწერტილის დასმით და დაასვენის

...იღვია მოვარე  
და რძე იღვრება ზეცის კიდებზე.

ეს წინადადება არავითარ ლოგიკურ კავშირში არ არის წინათმოყვანილ ფრაზასთან, „მე სურათს ვიღებ საველე ჩანთით“ („შეხვედრა პოლონელ ქალიშვილთან“) არ არის სწორი. „წყალი გსურთ? ბიტტე, მიირთვით კოფე!“ რატომ კოფე და არა ყავა? ნუთუ რითმას უნდა შეეწიროს ქართული ენის სიწმინდე? გაუგებარია, რას ნიშნავს „ბედისწერის ნექტრის დაღვევა“ („ფრიდრიხ მეორის ძეგლთან“). ერთ-ერთ ლექსში „ზლაპარი“ პოეტი ჩვენს სიცოცხლეს ზლაპარად წარმოგვიდგენს. „შენც ზლაპარი ხარ.

მეც ვარ ზლაპარიო“, — ეუბნება აღრესატს და დაასვენის;

ჩვენ დავამარცხებთ თვით ბნელ სიკვდილსაც,  
სიყვარული ამც თავებში.  
ბოლოს კი, ო, შენც მილულავ თვალებს და ზლაპარივით მეც გავთვლები.

სიკვდილის პრობლემასთან ფაბილარული დამოკიდებულება ავტორს წინააღმდეგობაში აყენებს. თუ სიკვდილს ამარცხებს, როგორღა გათავდება ზლაპარივით. შეიძლება სხვა შეუსაბამო ადგილების ამოწერა, მაგრამ მოყვანილიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ პოეტი ზოგიერთ ლექსში დაუდევრობას იჩენს აზრის ზუსტად და მკვეთრად გამოთქმისადმი, დამაჯერებელი მხატვრული სახის გამოკვეთისადმი.

კრებულში წარმოდგენილი პოეტები დაჯილდოებულნი არიან უტყუარი პოეტური ნიჭით, საერთოდ სწორ შემოქმედებითს გზაზე დგანან, თუმცა ლტოლვა უიდეო, უშინაარსო, აპოლიტიკურ ლირიკისადმი მათთაც ემჩნევათ; ისინი ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულან უცხო ლიტერატურული გავლენისაგან. რაც მალე დააღწევენ თავს ამ გავლენას, მით უკეთესი იქნება მათთვის. უეჭველია, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 16 აგვისტოს დადგენილების შემდეგ ისინი გადაპრით გარდაქმნიან თავიანთ შემოქმედებითს მუშაობას და შექმნიან თანამედროვეობის, საბჭოთა ადამიანის სულთერ სამყაროს ამსახველ პოეტურ ნაწარმოებებს.

ამის მონაცემები ოთხივე პოეტს აქვს.

## ალექსანდრე ჭავჭავაძე

ლევან ასათიანი



ვის არ სმენია ლექსი ესე—  
ნ. ბარათაშვილი.

„ნაშუადღევს პირველ საათზე, ხუთ ნოემბერს, ის გავიდა სახლიდან, რომ შეესრულებინა წესი მაღალი საზოგადოების ზრდილობის. ხუთი წუთის შემდეგ კი უკანვე შემოიტანეს მომაკვდავი: ცხენმა გაიტაცა იგი დაღმართში, ის გადმოხტა ეტლიდან, პირაღმა დაეცა და თავი დაახალა მიწას. ვერაფერითა საეჭირო დახმარებამ ვეღარ შესძლო მისთვის სიცოცხლისა და ცნობიერების დაბრუნება. ცხრაშეტი საათის განმავლობაში მას კიდევ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. მაგრამ მან წარმოსთქვა მხოლოდერთი სიტყვა: „არაფერია!“ და დილის მეცხრე საათზე, ექვსს ნოემბერს, მის მშვენიერ, საამო ოჯახში გაისმა მოთქმა და ქვითინი“...

ასე გადმოგვცემს ალ. ჭავჭავაძის ტრაგიკულ აღსასრულს ცნობილი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც მოუხდა პირველი მწუხარე სტრიქონების დაწერა სიხარულისა და სიცოცხლის ამ მზიურ მომღერალზე.

ალ. ჭავჭავაძე ცხოვრებაშივე მოესწრო თავის სიმღერების დიდ გავრცელებას. მის ლექსებს მღეროდა მთელი საქართველო. „იმ სიმღერებიდან, რომელიც ცოტად თუ ბევრად ცნობილია ყოველი ქართველისათვის, —

შენიშნავდა დიმ. ყიფიანი, —ორი მესამედი მაინც, და ისიც საუკეთესონი, თავისი ამალღებული გრინობითა და ფიქრით, —ეკუთვნიან ალ. ჭავჭავაძეს“.

პოეტის დიდ პოპულარობას გვიდასტურებს ნ. ბარათაშვილიც: ლექსში „ღამე ყაბახზე“ (1836 წ.) იგი ავღვიწერს სცენას, სადაც „ამიკობით სულღმული“ ყაფლან ორბელიანი, ბანოვანთა თხოვნით, მღერის ალ. ჭავჭავაძის სამიჯნურო ლექსს „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ“.

პოეტის ასულის ეკატერინე ჭავჭავაძის ცნობით, ყაფლანი, თურმე, მღეროდა აგრეთვე პოეტის ლექსს „მე შენ არ გეტყვი“.

იონა მეუნარგია „დაბალ ხალხში საყვარელ და განთქმულ პოეტს“ უწოდებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს. „მისი ლექსები, —წერს იონა, —თუმცა ბეჭდვა არ იყო გაზიარებული, ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა“ (იხ. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“ ტ. I, გვ. 24).

თითონ ალექსანდრე ჭავჭავაძეც უნებურად ხელს უწყობდა თავისი ლექსებისა და სიმღერების ფართო გავრცელებას. გრიგოლ დადიანის (მწერლობაში — კოლხიდელის) ცნო-



ბით „ალექსანდრე მშვენიერად უკრავდა ჩონგურზე; თითონ ჩონგურს უკრავდა და ქალებს გარს შემოისხამდა: ელენე ერისთავს, მარიამს... სალომეს (მის ცოლს), ეკატერინეს (მის ქალს) და თავის ლექსებს ამღერებდა“. (ი. მუნარგაიას უბის წიგნი—„ლიტ. მატრიანე“ № 1-2, გვ. 394—396).

აღ. ჭავჭავაძის პოეტური სახელი მისი გარდაცვალების შემდეგაც არ დამცხრალა. პოეტის უმცროსმა თანამედროვეებმა იხრუნეს მისი ხსოვნის დაუფიწყებლობისათვის. გიორგი ერისთავმა დაიწყო მისი ლექსების ბეჭდვა 1852 წლიდანვე, როდესაც გამოსცა პირველი ქართული ეურნალი „ცისკარი“; ორმოცდაათიანი წლების დამლევს ა. ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვა განაგრძო ივანე კერესელიძემაც განახლებულ „ცისკარის“ ფურცლებზე.

შემდეგ მოვიდა მესამოცე წლების თაობა, ახალი იდეებით, ახალი ოცნებით და მან თავისებური შეფასება მისცა ქართველი ანაკრონის მემკვიდრეობას. თერგდალეულებმა სხვა, უფრო ღრმა, უფრო მნიშვნელოვანი აზრი და შინაარსი ჰპოვეს აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ვიდრე ეს შესძლეს მისმა თანამედროვეებმა. მათ თვალსაჩინო გახადეს, წინ წამოსწიეს, იდეურ-პოლიტიკური ტენდენცია აღ. ჭავჭავაძის ზოგიერთი ნაწარმოებისა, კერძოდ, ხაზი გაუსვეს პატრიოტულ მოტივს მის პოეზიაში, რაც საესებით ეხმარებოდა სამოციანელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიზანდასახულობას.

ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ საგანგებო ლექსი უძღვნა „შეებით-ლხენით მომღერალსა“ და იმავე დროს „ქვეყნის შეებედზე მკენესარ“ მგოსანს. ცოტა გვიან აკაკიმ ინახულა შუამთს მონასტრის მყუდროებაში შთენილი სავანე პოეტისა, და დასწერა პოეტის ანტირღილსადმი მიმართუ-

ლი უღრმესი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული, კაცუნით მღვანე მსტარე-ქონები:

ეს არ სანატრო, უელმართი დრო,  
სიციხლითვე გავლავს, გვიდება ბნელი.  
არცა გვაქვს ძალი და არც წამალი,  
სად არის მხსნელი, რომ მოგვეს ხელი?!

საგულისხმოა, რომ მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გამოიცა აღ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებული, ისიც ნაკლები სახით. (ამ გამოცემის მთავარი ინიციატორი იყო ილია ჭავჭავაძე). ეს გარემოება აიხსნება არა პოეტის დაუფასებლობით, არამედ ჩვენი კულტურისა და მეცნიერების საერთო ჩამორჩენილობით ცარიზმის პირობებში. მხოლოდ ჩვენს დროს შეიქნა შესაძლებელი აღ. ჭავჭავაძის თხზულებათა შედარებით სრული კრებულის გამოცემა. ი. გრიშაშვილმა ითავა პოეტის ნაწარმოებთა შეკრება-რედაქცია. მისი ბიოგრაფიული ნარკვევი და ვრცელი შენიშვნები მკითხველს აცნობენ აღ. ჭავჭავაძის არა მარტო ცხოვრებას, არამედ თვითეული ცალკე ნაწარმოების ისტორიასაც.

ასი წელი გავიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან. ქართველი ხალხი, საბჭოთა საზოგადოებრივობა დღეს კვლავ პატივისცემით იგონებს პოეტს, რომლის შემოქმედებაც, მოხუცი ვასილ ბარნოვის მოსწრებულს თქმით, წარმოადგენს „ერთ ფერადს, ქართველთ ცაზე გადმოვლებულ ხელოვნების ცისარტყელაში“.

• • •  
ალექსანდრე ჭავჭავაძე საინტერესოა ჩვენთვის, როგორც პირველი ქართველი რომანტიკოსი პოეტი. ის იყო შეილი მეტად მღელვარე ეპოქისა. ამიტომ რომანტიკული ელფერი გადაჰკრავს მის მშფოთვარე ადამიანურ ცხოვრებასაც. ბუნებრივია, რომ ამ

მხრივ პოეტი მუდამ გაკვირვებას და მოკრძალებას აღძრავდა თავის თანამედროვეთა შორის. ერთხელ,—ეს იყო 1820 წლის ზაფხული,—საფრანგეთის კონსული გამბა ეწვია ალ. ჭავჭავაძეს კახეთში. ქართველი პოეტი—ნაპოლეონთან ომების ეტერანი, მაშინ სულ ექვსი წლის დაბრუნებული იყო პარიზიდან და პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა ნიევეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მან გულუხვი მასპინძლობა გაუწია სტუმარს. უცხოელში ყველაფერი იწვევდა აღტაცებას და გოცებას: მასპინძელიც, მისი ოჯახიც, მის გარშემო მყოფი ადამიანებიც. მუკუზანში გამბამ გაიცნო რამდენიმე კახელი, რომლებიც მამულეკებთან მსახურებდნენ იმ დროს, როცა ნაპოლეონი თავს დაესხა ეგვიპტეს. ფრანგების მიერ ტყვედ წაყვანილნი, ისინი ერთხანს საფრანგეთში ცხოვრობდნენ, ახლა კი, სამშობლოში დაბრუნებულნი, თავგადასავალს უამბობდნენ საფრანგეთიდან მოსულ სტუმარს.

მაგრამ გამბასათვის, ცხადია, ამ მამულეკად ნამყოფ კახელებზე უფრო იმპოზანტური იყო ფიგურა თვითონ მასპინძლისა, რომელიც თავის პიროვნებაში ასე თავისუფლად აერთიანებდა მამაცი მხედრის ზვიადობას სიყვარულის მგოსნის ნაზ აღმაფრენასთან.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა 1786 წელს პეტერბურგში და იქვე, მშობლების ოჯახში გაატარა ბავშვობის პირველი წლები.

მამა პოეტისა, თავადი გარსევან ჭავჭავაძე, იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა თავისი ოჯახით. ის ერეკლე მეფის მიერ იყო წარგზავნილი რუსეთის იმპერატორის კარზე დიპ-

ლომატიური დავალებით, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იქნა რუსეთში 1783 წელს, გარსევან ჭავჭავაძემ ხელი მოაწერა რუსეთსა და საქართველოს შორის ქალაქ გორგოვისკში დადებულ ტრაქტატს. ამ დროს ქართველი დიპლომატი სრულიად ახალგაზრდა, ოცდაექვსი წლის კაცი იყო. გარსევან ჭავჭავაძემ ერეკლეს დიდი ნდობა და ყურადღება დაიმსახურა თავისი ჭკუითა და გამჭრიახობით. ეკატერინე II-ისადმი წარგზავნილ ბარათში ერეკლე გარსევანს შვილად და „ყოველსა საქმესა შინა სარწმუნო“ კაცად იხსენიებდა.

გარსევან ჭავჭავაძე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ ფრთას ეკუთვნოდა, რომელიც კარგად ხედავდა თავისი სამშობლოს პოლიტიკურ და ეკონომიურ დაუძღვრებას და ამის გამო რუსეთთან საქართველოს დაკავშირების მტკიცე და დაჯერებული მომხრე იყო. ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი მართებულად წერდა გარსევანზე: „პაზრი მისი იყო ემსახურნა მამულისათვის, ჰეიჭრობდა მეფისათვის და დამშვიდებისათვის აღრეულთა ქართველთა“. გარსევანი საკმაოდ განათლებული კაცი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი ბიოგრაფის, იონა მეუნარგიას სიტყვით „გარსევან ჭავჭავაძე იყო მწიგნობარი, მას ჰქონდა ყოველგვარი მისი დროის განათლება. იცოდა რუსული ენა და სსახლეში უპირველესი ადგილი ეჭირა... საქართველოს თავდაზნაურობაში გარსევანი იყო ყოველთაგან პატივცემული, და პეტერბურგში გადასახლებულ ქართველობასთან დიდი განწყობილება ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ერეკლემ ის პირველ ელჩად აირჩია ისეთ მიმე საქმეში“ („ქართველი მწერლები“ 1941 წ. გვ. 18).

გარსევანი დიდის ყურადღებით აღევნებდა თვალს ერთად-ერთი ვაჟის აღზრდასა და გონებრივ განვითარებას.

გარსევანმა პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობა ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგაც განაგრძო. გიორგი მე-12-ს დავალებით ის კვლავ ეწეოდა საქართველოს წარმომადგენლობას რუსეთის სამიპერატორო კარზე. მისი პოლიტიკური მისია დამთავრდა 1801 წელს, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შემდეგ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა, მიაი, იყო ავალიშვილის ქალი, მკვიდრი დაი მე-18-19 ს. ს. ცნობილი ქართველი დრამატურგისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილისა. პოეტის დედა, თავისი დროის კვალობაზე, განათლებულ ქალად ითვლებოდა. ის იყო აღზრდილი „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველ ქართულ წიგნებზე. როგორც ლამაზი, ჰკვიანი და გონება-გახსნილი ქალი, ზგი საკმაო გავლენით სარგებლობდა ნაწილობრივ-მეგობრებსა და საზოგადოებაში.

საქართველოსადმი კეთილგანწყობილების გამოსახატავად და ქართველი ელჩისადმი განსაკუთრებულ წყალობის ნიშნად, ეკატერინე II-ემ მოისურვა გარსევან ჭავჭავაძის პირმშოს მონათვლა. ალექსანდრე მონათლეს ეკატერინე და დიდმა მთავარმა, შემდეგში იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა.

პატარა ალექსანდრე მალე სამშობლოში ჩამოიყვანეს. იონა მეუნარგი, სწერს: „ოთხი წლის რომ შეიქნა ალექსანდრე, გარსევან დაბრუნდა სახლობით თბილისს. რადგანაც თბილისში ამ დროს სასწავლებელი არ იყო, მამამ თან წამოიყვანა ბავშვის ლალად ერთი თრანკილი, რომელიც დიდხანს

იყო ალექსანდრეს ოსტატად. ამ ისწავლა ალექსანდრემ ფრანგული, გერმანული, რუსული, სპარსული და ქართული. მეტადრე ქართული, რომელიც მას ასე ზედმიწევნით იცოდა“. (იქვე, გვ. 19).

მშობლიური წერა-კითხვა პატარა ალექსანდრეს დედამ შეასწავლა ძველი ქართული წიგნების საშუალებით. ქართულ ენას ამის შემდეგ ბიძა—გიორგი ავალიშვილი ასწავლიდა.

1795 წელს მშობლებმა ცხრა წლის ალექსანდრე სასწავლებლად მიიბარეს პეტერბურგში, ბამანის პანსიონში. აქ მომავალი პოეტი ოთხ წელიწადს სწავლობდა. 1799 წელს ის კვლავ ჩამოიყვანეს თბილისში და სწავლას ოჯახში განაგრძობდა.



ამ ხანებში ქართველი ხალხის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა პაველ პირველმა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოცხადდა.

ამ გარემოებას თავისი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რუსეთთან შეერთებამ იგი იხსნა ირანისა და თურქეთის გამუდმებულ შემოსევებისაგან და გადაარჩინა ფიზიკური განადგურებისაგან. ქართველ ხალხს საშუალება მიეცა მშვიდობიან პირობებში კულტურული აღორძინების გზას დასდგომოდა. მაგრამ, ამასთანავე ერთად, საქართილო მსხვერპლი გახოა კარიზმის უხეში ძალადობ-სა, ის შეიქმნა ობიექტად ნაციონალური ჩაგვრისა.

საქართველოს მმართველებად დაინიშნენ მეფის მოხელეები, რომლებ-



მაც არც ქართული ენა იცოდნენ და არც ჩვენი ხალხის ცხოვრების ვითარება. ამ მოხელეთა უმეტესობა თანამდებობას უყურებდა, როგორც იოლი გამდიდრების წყაროს. მექრთამეობა ფართოდ იყო გავრცელებული. ხალხს აუარებელი ბეგარა ჰქონდა შეწერილი. მოხელეთა თავგასულობამ და სისასტიკემ იმ ზომამდე მიიღწია, რომ ბოლოს ხალხი იძულებული გახდა აჯანყების დროსა აეფრიალებინა მოძალადეთა წინააღმდეგ. ისტორიკოსი ნ. დუმბროვინი სწერდა: „რუსის მოხელეთა ბოროტმოქმედება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. თვითნებობა სათემო პოლიციისა, მოუფიქრებელი და ერის ზნისა და ხასიათის შეუფერებელი განკარგულება იყო მიზეზი, რომ საქართველოს მორჩილი მთის ხალხი და თვით საქართველოც სრულიად აღელდა და ამბოხება მოხდა“ (იხ. ი. გრიშაშვილი, „ალ. ჭავჭავაძე“, გვ. XXX).

აჯანყება დაიწყო მთიულეთში, ანანურთან. ამბოხებულ გლეხებს ქართველ თავადაზნაურთა ნაწილიც შეუერთდა ფარნაოზ ბატონიშვილის მეთაურობით, რომელსაც იმედი ჰქონდა, მეფის რუსეთის ჯარების განდევნის შემდეგ საქართველოში ძველი სამეფოს აღდგენისა და ბაგრატიონთა დინასტიის კვლავ გამეფებისა.

ამ დროს ალექსანდრე ჭავჭავაძე თერამეტი წლის ჭაბუკი იყო. როგორც სჩანს, ის ამ ხანებში იზიარებდა იმ პოლიტიკურ ზრახვებს, რომელსაც ფართულად ატარებდა რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ თაობიციურად განწყობილი ქართული საზოგადოების ნაწილი. 1804 წლის 14 სექტემბერს ალ. ჭავჭავაძე ჩუმად გაიპარა სახლიდან და შეუერთდა აჯანყებულებს. ავტობიოგრაფიაში პოეტი სწერს: „შივატოვე მშობლები და გაგოქცივი; შივემხვრე ფარნაოზ ბატონიშვილს,

რომელიც იმ დროს მთიულეთში იმყოფებოდა, არაგვის ხეობაში, მე მოწადინებული ვიყავი, ჩაეთრევი შეილ ფარნაოზს გაეყოლოდი სპარსეთში“ (იქვე, გვ. XXIV).

საქართველოს მაშინდელმა მთავარმართებელმა, გენერალმა ციციანოვმა, სწრაფად ჩააქრო მფიულთა აჯანყება. სასტიკად დასაჯა ამბოხებულნი, მეთაურები კი, — თეიმურაზ ბატონიშვილი და სხვები, დაატყვევა და თბილისში ჩაიყვანა. ტყვეთა შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა ალ. ჭავჭავაძეც. დამნაშავენი, რიცხვით 70 კაცამდე, გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით რუსეთში გადაასახლეს.

ალ. ჭავჭავაძეს, მამამისის განსაკუთრებული დამსახურებისა და აგრეთვე თვით პოეტის ახალგაზრდობის გამო, სასჯელი შეუმსუბუქეს.

ჭაბუკ პოეტს სამი წლის გადასახლება მიესაჯა. 1804 წლის 30 ნოემბერს პატიმარს თავი გადაპარსეს და ცხენოსანი რაზმის თანხლებით რუსეთისაკენ გაუყენეს ზხას. გარსევან ჭავჭავაძე თანვე გააყვა შვილს.

ტამბოვში ალექსანდრე რამდენიმე თვეს იმყოფებოდა. გარსევანმა იმპერატორის წინაშე შეამდგომლობა აღძრა, რათა მისი შვილისათვის ეპატივებინა დანაშაული და ტყვეობიდან გაეთავისუფლებია. გარსევანის თხოვნა შეწყნარებული იქნა. 1805 წელს ალ. ჭავჭავაძე მეფის ბრძანებით პეტერბურგს გაიწვიეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმპერატორ ალექსანდრეს განკარგულებით, ის ჩარიცხულ იქნა პაეტა კორპუსში.

ამ ხანებს ეკუთვნის ალ. ჭავჭავაძის პოეტური შთავონების აღრიცხული ნიმუშები: „მსურდა ოხვრა“, „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“ და სხვა ლექსები. პატიმრობის დროსვე (1804 წ. 8 დეკემბერს) უთარგმნია მას ფრანგულიდან პროზაული

ნაწარმოები „ახლოთ განჩრეკილი კაცი“. ეს ნაწარმოები სოციალურა შინაარსისაა და მიმართულია თავისუფლების მტრებისა და ტირანების წინააღმდეგ.

პოეტის ამ ხანის ლექსები მოწმობენ, რომ მათ ავტორს გაცილებით უფრო ადრე უნდა ჰქონდეს დაწყებული ლიტერატურული მუშაობა. ამასვე ადასტურებს ალ. ჭავჭავაძის ასულის ვატირინეს ცნობაც: „მამაჩემმა 15 წლისამ იწყო წერა“ (ლიტ. მატრიანე № 1—2, გვ. 395).

1809 წელს ალ. ჭავჭავაძე ამთავრებს პაეთა კორპუსს, მას ამწესებენ ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში პოდპორუჩიკის წოდებით. ორი წლის შემდეგ ის ბრუნდება საქართველოში და ინიშნება მთავარსარდალ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად.

მარკიზ პაულუჩი თავის ახალგაზრდა ადიუტანტს ხშირად აცისრებდა სერიოზულ დავალებებს. ასე, მაგალითად, 1812 წელს ალ. ჭავჭავაძე მოლაპარაკებას აწარმოებს შირვანის ხან მუსტაფასთან, რომელსაც საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა ირანის მმართველ წრებთან. ალ. ჭავჭავაძის მოლაპარაკების შედეგად მუსტაფა-ხანი გადაბირებული იქნა რუსეთის მხარეზე. ამ დამსახურებისათვის ახალგაზრდა პოეტი მარკიზ პაულუჩიმ ბრილიანტის ბეჭდით დააჯილდოვა.

1812 წელს ალ. ჭავჭავაძე ცოლად ირთავს სარდლის ივანე ჯამბაკურ-ორბელიანის ასულს სალომეს. იმავე წელს იბადება მისი უფროსი ქალი ნინო, შემდეგში მეუღლე გრიბოედოვისა.

1812 წელსავე ალ. ჭავჭავაძე მონაწილეობს კახეთის აჯანყების ჩაქრობაში.

კახეთის აჯანყება გამოიწვია აქედის მოხელეთა და ადმინისტრატორთა მიერ დალაშქრებამ, უსამართლოდ დასჯისასტკეპმ, რამაც 1804 წელს მოთმინებიდან გამოიყვანა მთიულეთის მცხოვრებნი.

კახეთის დამოშმინებას ხელმძღვანელობდა თვით მარკიზ პაულუჩი. თავის ახლობელ პირთა შორის მას ახლდა ალ. ჭავჭავაძეც, რომელიც გულწრფელად სცდილობდა აცილებინა ხალხისათვის მოსალოდნელი სისხლისღვრა. მან ჯერ „ტყბილი სიტყვით“ და მოლაპარაკებით სცადა ხალხის დაწყნარება, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, მოლაპარაკებამ ფუჭად ჩაიარა. მარკიზ პაულუჩის ბრძანებით მეფის ჯარმა იარაღს მიმართა. ამ ბრძოლის დროს სოფ. ჩუშლაყთან ფეხში მიძინედ დასჭრეს თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე. კახეთის აჯანყება ლიკვიდირებულ იქნა.

ჭრილობის განკურნების შემდეგ, 1813 წლის დამდეგს, ალ. ჭავჭავაძე მიემგზავრება რუსეთს და უშუალო მონაწილეობას იღებს ნაპოლეონის წინააღმდეგ ლაშქრობაში. 1813 წლის სექტემბრიდან 1814 წლის ივლისამდე ის იმყოფება მოკმედ არმიასში, მთავარსარდალ ბარკლაი დე-ტოლისთან, როგორც მისი ადიუტანტი. მონაწილეობს ბრძოლებში გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიებზე: ს. ისტერტალთან (საქსონიაში), ლაიპციგთან, ბრიენტთან, პარიზთან; ბოლოს მოკავშირეთა გამარჯვებულ ჯარებთან ერთად 1814 წელს შედის პარიზში. ამ ლაშქრობაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ალ. ჭავჭავაძეს აჯილდოვებენ ოქროს ხმლითა და ორდენებით, მათ შორის—საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენითაც.

1813—14 წლების კამპანიის შემდეგ ალ. ჭავჭავაძე პეტერბურგს ბრუნდება. ძველი ჭრილობა, რომე-

ლიც მან კახეთში მიიღო, ერთ-ერთ უკანასკნელ ბრძოლის დროს გაიხსნა და დიდხანს აღარ შეხორცებულა. 1814 წლის ბოლოს, ალ. ჭავჭავაძეს ნება ეძლევა სამშობლოში დაბრუნებისა—ჭრილობის სამკურნალოდ. ის ჩამოდის თბილისში და იწყებს სამსახურს კავკასიის ცალკე კორპუსში.

1817 წელს ალ. ჭავჭავაძეს ეძლევა პოლკოვნიკის წოდება. შემდეგ წელს ის გადასვამს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც მის სამშობლო კახეთში იდგა, სოფელ ყარაღაჯში. მისმა ჩასვლამ დიდად შეუწყო ხელი პოლკის მოწინავე რუსი ოფიცრების დაახლოვებას ქართველ საზოგადოებასთან.

1822 წელს, ნიჟეგოროდის პოლკის უფროსის კლიმოვსკის გარდაცვალების შემდეგ, კავკასიის მთავარმართებლის ერმოლოვის ბრძანებით, მის ადგილს დროებით იკავებს ალ. ჭავჭავაძე.

1826 წელს ალ. ჭავჭავაძე იღებს გენერალ-მაიორის წოდებას.

1828 წელს ინიშნება სომხეთის ოლქის უფროსად. იმავე წლის 25 აგვისტოს, თურქეთთან ომის გამოცხადებისთანავე, ალ. ჭავჭავაძე მცირე ლაშქრით იჭრება თურქეთში, სამი კვირის ბრძოლის შემდეგ იღებს ბაიაზეთის ციხე-სიმაგრეს და ატყვევებს ბაიაზეთის საფაშოს გამგებელს, ორ-ჯილიან ბარიულ-ფაშას. ამ გამარობისათვის ალ. ჭავჭავაძე დაჯილდოვებულ იქნა უმაღლესი ორდენით.

ალ. ჭავჭავაძის, როგორც დაცირებულ და გამოცდილ მეომარსა და აღმინისტრატორს, აგრეთვე, როგორც გაღვნიან და პოპულარულ პიროვნებას ამიერ-კავკასიაში, მთავრობა აკისრებდა მრავალ ძნელსა და პასუხსაგებ დაჯალბებას.

1829 წ. მას ნიშნავენ კახეთის სამხედრო-სასაზღვრო ხაზის უფროსად.

ამ დროს დაღისტანთან ომი სწარმოებდა და ალ. ჭავჭავაძე, როგორც გულადი მეომარი, საესებო მუშაობაშიც ამ ადგილს.

იმავე წელს ალ. ჭავჭავაძე მოლაპარაკებას აწარმოებს ქარელი ლეკების ბელადებთან.

ალ. ჭავჭავაძის მეცადინეობით უსისხლოდ იქნა დაწყნარებული თელავის მაზრაში იმ ხანად აღმოცენებული შფოთი და უკმაყოფილება.



1832 წელს ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებაში მოხდა მეტად მნიშვნელოვანი ამბავი. ამ წელს მთავრობამ საქართველოში აღმოაჩინა ფარული შეთქმულება, რომლის მონაწილენიც მიზნად ისახავდნენ მეფის ჯარების განდევნას და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენას.

ამ შეთქმულებაში, მეფისწულებსა და დიდგვაროვან თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ იმდროინდელი გამოჩენილი ლიტერატორებიც, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვიორჯი ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი და სხვ.

შეთქმულთა მცირე ნაწილი, სოლომონ დოდაშვილისა და ზოგიერთი მისი თანამოაზრის სახით, პროგრესიულ, რადიკალურ იდეებს იზიარებდა. სოლოდოდაშვილი, მაგალითად, მომხრე იყო საქართველოში რესპუბლიკური წყობილების დამყარებისა. ის ამბობდა: „მე მსურს საქართველოს თავისუფლება არა იმისათვის, რომ ეინმე ბაგრატიონის გვარიდან გამეფდეს აქა, არამედ იმისათვის, რომ საქართველოში დამყარდეს რესპუბლიკის დავა“.

ვარი წყობილება“ (გ. გოზალიშვილი — „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 92).

მაგრამ დიდი ნაწილი შეთქმულთა, ცხადია, არ იზიარებდა სოლომონ დოდაშვილის მოწინავე იდეებს. ესენი მოწადინებულნი იყვნენ საქართველოში ძველი ფეოდალური მონარქია აღედგინათ. ამხანაგი **ო. სტალინი**, ეხება რა 1832 წლის შეთქმულებას, ნათლად განმარტავს ამ შეთქმულების იდეურ-პოლიტიკურ სარჩულს: საქართველოს რუსეთთან შეერთების „შემდეგ, — სწერს ამხანაგი **ო. სტალინი**, — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარელი იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროსა ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით ამას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედისხალისი ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“. (ო. სტალინი — თხზულებანი ტ. I, გვ. 32).

1832 წლის შეთქმულება გამოააშკარავებულ იქნა. მისი მთავარი მონაწილენი, რიცხვით 145 კაცი, დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

საგამომძიებლო კომისიის საქმეებიდან გამოირკვეა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე განდობილი იყო ამ საიდუმლო შეთქმულებაში. შეთქმულთ განზრახულიც კი ჰქონიათ, იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, საქართველოს მომავალ მთავრობაში ალ. ჭავჭავაძე სამხედრო მინისტრად დაენიშნათ.

ალ. ჭავჭავაძე კატეგორიულად უარყოფდა თავის მონაწილეობას შეთქმულებაში. თვით შეთქმულნიც, როგორც სჩანს, სცილილობდნენ ამ საქმიდან მის

უწებლად გამოყვანას, მაგრამ საგამომძიებლო კომისიამ, რომელიც ჭავჭავაძეზე გიერთ ბრალდებულთა რიცხვში იყრიდა, მაინც დამნაშავედ სცნო ალექსანდრე ჭავჭავაძე. სასამართლომ მას ოთხი წლით რუსეთს გადასახლება მიუსაჯა. 1834 წლის 18 იანვარს ის გაგზავნეს ქ. ტამბოვს, — იქ, სადაც მან ჭაბუკობაში მოიხადა პირველი სასჯელი მთიულეთის ამბოხებაში მონაწილეობისათვის.

ალ. ჭავჭავაძის გადასახლება არც ახლა გაგრძელებულა დიდხანს. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ის გაიწვია პეტერბურგს, აპატია დანაშაული და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა.

პოეტი კვლავ აღჭურვეს ნდობით. 1838 წელს იგი დანიშნეს კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრად.

1838-40 წლებში, როდესაც ახალციხის რაიონში შავი ქირის ეპიდემია მძინევარებდა, ალ. ჭავჭავაძე ასრულებდა საკარანტინო ზონის უფროსის მეტად მძიმე და საწიფათო მოვალეობას. ენერგიული და თავდადებული მუშაობით მან შესძლო ეპიდემიის აცილება ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებისაგან.

1841 წელს ალ. ჭავჭავაძეს მისცეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება. შემდეგ წელს დანიშნეს კავკასიის საფოსტო ნაწილის უფროსად. 1843 წელს პოეტს კვლავ მოუხდა ზელში მახვილის აღება. ის სათავეში ჩაუდგა კახეთის მოხალისეთა რაზმს და დალაშქრა დაღისტნის ნაწილი.

მთელი ამ წლების განმავლობაში ალ. ჭავჭავაძე, სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწეობასთან ერთად, თავისუფალ დროს ლიტერატურულ შრომას ანდომებდა: წერდა ლექსებს, გულმოდგინედ სთარგმნიდა რუსული, ფრანგული და სპარსული პოეზიის ნიმუშებს (პუშკინი, ოდოევსკი, კორნე-

ლი, რასინი, ვოლტერი, ლაფონტენი, ჰიუგო, ირანელი პოეტები და სხვ.).

აღ. ჰავჭავაძის კულტურული ოჯახი, რომელიც ზამთრობით თბილისში ცხოვრობდა, ხოლო ზაფხულობით — სოფ. წინანდალში, მუდამ იზიდავდა საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებს; მწერლებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ გამოჩენილ სტუმრებს.

აღ. ჰავჭავაძის ქალები: ნინო, ეკატერინე და სოფიო, თავის დროზე განთქმულნი იყვნენ, როგორც გარეგნული სილამაზით, ისე განათლებითა და ზნეობრივი სათნოებით. აღ. ჰავჭავაძის სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი და სხვები, რომელთაც საუკეთესო ლექსები აქვთ მიძღვნილი ჰავჭავაძის ასულებისადმი. არსებობს გადმოცემა, რომ ნიკ. ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისა“ პირველად აღ. ჰავჭავაძის ოჯახში წაიკითხა.

თვით ალექსანდრე ჰავჭავაძე, როგორც განათლებული, ჰქვიანი და ცხოვრებაში გამოცდილი ადამიანი, დიდის პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. ის იყო დარდიმანდი და მიმზიდველი ვაჟაკი, მხიარული მომღვინი და მომღერალი.

უცხო სტუმართა შორის აღ. ჰავჭავაძის ოჯახში ხშირი მსვლელობა ჰქონდა დიდ რუს პოეტს ა. გრიბოედოვს, რომელმაც სიყვარულით შეირთო ალექსანდრეს უფროსი ასული ნინო.

აღ. ჰავჭავაძის მომღვენო ქალი — ეკატერინე გათხოვდა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარ დავით დადიანზე. ეკატერინეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა უძღვნა შესანიშნავი ლექსები: „სახურე“ და „თ. ჰ-ს ასულს ეკანას“.

მასვე უძღვნა პოეტმა ხელთნაწერი კრებული თავისი ლექსებისა პოეტის გარდაცვალებიდან თხუთმეტ წლის შემდეგ ეკატერინემ ეს კრებული აიღვნა პეტერბურგში მყოფ ახალგაზრდა ილია ჰავჭავაძეს, რომელმაც პირველმა შეათასა გენიოსი ჰავჭავაძის ნამდვილი მნიშვნელობა ქართულ პოეზიაში.

სამოც წელს მიღწეული, მაგრამ ჯერ კიდევ საესებით ჯანსაღი აღ. ჰავჭავაძე მსხვერპლი გახდა უბედური შემთხვევისა.

ის დიდის პატივით იქნა წასვენებული თავის შობლიურ კახეთში.

მისი სამარის ქვას, შუამთის მონასტრის ტაძარში, წარწერილი აქვს მოკლე სტრიქონი ფსალმუნიდან: „მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“.



აღ. ჰავჭავაძის შემოქმედებაში თავისი დამთავრება ჰპოვა შევლმა ქართულმა პოეზიამ. გამოჩნდა ახალი მძლავრი საწყისები ქართული პოეზიის შემდგომი განვითარებისათვის. ამ პოეტის შემოქმედებაში პირველად ამოშუქდა ელვარე ცისკარი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა.

აღ. ჰავჭავაძე პირველი ქართველი რომანტიკოსი პოეტიცა. მის ლირიკულ ლექსებში, სხვადასხვა ძლიერებით, თავი იჩინა ყველა იმ თემამ და მოტივმა, რომელთაც უფრო ღრმა, მკაფიო და ყოველმხრივი გამოხატულება ჰპოვეს არა მარტო მომდევნო თაობის რომანტიკოს პოეტთა ნაწერებში, არამედ საერთოდ მე-19 საუკუნის ქართველ პოეტთა შემოქმედებაში.



მთავარი ადგილი აღ. ჰავჭავაძის პოეზიაში უკავია სიყვარულის თემას. იშვიათია ქართულ მწერლობაში პოე-



წვა მოკარებისთანავე. არა, შენ მზე ხარ, მაცოცხლებელი სხივებით, მე კი ხე, რომელიც გავხმებოდი, რომ შენი სხივები არ მათბობდნენო“.

შესანიშნავ ლექსში—„ძგერს გლახ გული“—პოეტი ბუნების მშვენიერებას განაპიროვნებს სატრფოს სახეში. მას აწერილი აქვს რთული განცდები შეყვარებული ადამიანისა, რომელიც დამის წყვილია მოელის სატრფოს მოსვლას. ბუნების მოვლენები: დამეული აჩრდილნი, ფოთლების შრიალი, ბნელი ცის გაელევა, ნიავის ნელი ქროლვა,—ყველაფერი აგონებს საყვარელ არსებას:

გზის გუშავად მდგომარეს  
ხან აჩრდილნი მაცდუნებენ,  
ხან ფოთოლნი, შერბულნი,  
შრიალით მცემენ ზრუნვას;  
ზოგჯერ დამის სიწყვილიად  
მომჩვენებს გიშრის თმასა,  
ზოგჯერ ცისა გაელევა  
პროლის ფიცრით შექთა ფენას.  
თვით ნიავისა ნელი ქროლავ  
წარმოადგენს სუნთქვას ტბილს,  
რომელიცა ცეცხლს მოდებულს  
ღალით გამომბერდა ლხენას.

აღ. ჭავჭავაძე, ისევე, როგორც ბესიკი, დიდ ადგილს უთმობს თავის ლირიკაში მიჯნური ქალის გარეგნული მშვენიერების აღწერასა და ხოტბას. ამ შემთხვევაში პოეტი უმეტეს წილად სარგებლობს ტრადიციული პოეტური ხერხებითა და მხატვრული საშუალებებით. ზილფი კავები (ნაწნავები), ვარდი—ლაწეები (ლოყები), ლალის ან ბადახშის ბაგეები, მოჯრით მიწყობილი მარგალიტები (კბილები), ხალეები, საროს-ტანი, პინდოთ ჯარი (წამწამები) და ძველი ირანული პოეზიის სხვა აქსესუარები ჭარბად გვხვდება ალ. ჭავჭავაძის ლექსებში. მაგრამ, ამასთანავე ერთად (როგორც ეს თავის დროზე აღნიშნა ილია ჭავჭავაძემაც), პოეტი, როგორც სჩანს, ფრანგული

კლასიციტური პოეზიის გავლენით, სარგებლობს აგრეთვე „სტრუქტურული“ თეორიული სახეებითაც. მის ლექსებში ხშირად ვხვდებით გრაციებს, მუზებს, კუპიდონებს, აპოლონს, კამენას და სხვ.

გრძნობელობითი მოტივის სიჭარბე ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკაში შედეგია იმ ტრადიციული აღმოსავლური გავლენის ინერციისა, რომლის უკანასკნელი მატარებელი ქართულ პოეზიაში ალ. ჭავჭავაძე შეიქნა. მაგრამ აღსანიშნავია ერთი მეტად ნიშნული მომენტიც ალ. ჭავჭავაძის სასიყვარულო ლირიკისათვის. ჩვენი პოეტის ზოგიერთ ლექსში სასიყვარულო გააზრებულთა არა მარტო როგორც ზორციელი, გრძნობადი ურთიერთობა შეყვარებულთა, არამედ როგორც სულთა კავშირი, რომელიც მკიდროდ ახლოვებს ორი არსების ცხოვრების დენას, აქტეეს მათ ერთარსებად. მაგალითად, ლექსში: „სძგერს გლახ გული“, პოეტი მიმართავს სატრფოს:

მახსოვს, ოდეს ტრფობის ნიშნად  
შეიწირე სული ჩემი,  
იმა ბაგით შენსა ბადახშს  
გარდმოვიღა... მშაფლა ზენას!  
იგი ამაღ არ გეშხვევრბლა,  
რამე მოშკლა მოშორებებით,  
კავშირ ექნა ორთა გვაშთა  
ცხოვრებისა ერთად დენას!

ეს მოტივი,—სიყვარული, როგორც სულიერი კავშირი, შემეერთებელი ქალისა და ვაჟისა,—ძიება სულის მშვენიერებისა, როგორც სასიყვარულის ობიექტისა, მოცემული ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკაში, თუმცა იშვიათი, მაგრამ მეტად საგულისხმოდ გამოწვევის სახით,—მომდევნო რომანტიკოს პოეტთა შემოქმედებაში გამოხატული იქნა უფრო მეტის სიღრმით და სრულყოფილობით. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას, ცხადია, ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ.



სიცოცხლის სიამეშა გონიერული/ გამოყენების ფილოსოფიური

სიამონეთ, შექცევით  
თვით ბუნება ზრდის, ახარებს,  
ამა სოფლის ეკალთ შორის  
ყვავილებად ამცენარებს.  
მათ აქვთ თვისი დრო და არე  
და თუ ვეჭვით ბრძნულად, წყაბარად,  
წელთა ჩვენთა ზამთრამდგეცა  
დავიცვათ მათ დღემკანარად.

პოეტი სავსებით მართებულად განაპირობებს ადამიანურ ბედნიერებას და სიცოცხლის სიამეს ერთი აუცილებელი ელემენტით—მას საფუძვლად უნდა ედევას გარჯა, შრომა, რომელსაც ჯილდოდ დასვენება და განცხრომა მოსდევს:

ვინ მისდა, ვინც უქმობით  
დღე-ღამეთა წოლით მოვლელი  
იწვევს ღზინსა და ვერ იგებს,  
თვით ბრმა მდგეოდ ფერთა შხირე,  
სოფელს მიწა უსყიდველი  
არა არსრა არცა მცირე,  
განცხრომაცა სავაპროა  
ბუნებისგან განაჩენი,  
მის აქვს ფასად გარჯა...  
მოდით, ვინც ხართ შრომის გამოშვები.

აღ. ჭავჭავაძის პოეტურ განწყობილების დასახასიათებლად საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ მის კალამს ეკუთვნის პუშკინიდან თარგმნილი ანაკრეონული ლექსიც: „ვიდრემლის გქონან“ („Богами вам еще даны—златые дни, златые ночи“...).

აღ. ჭავჭავაძის პოეზიაში საგრძნობი ადგილი უკავია ანაკრეონულ მოტივებს. ეს გარემოება მარტო დასავლეთევროპული და პოეტის თანამედროვე რუსული პოეზიის გავლენას როდი მიეწერება. თვით აღ. ჭავჭავაძის მსოფლშეგრძნებაში ჩვენ ვხედავთ წინასწარ საწყისებს, რომლებიც მოწმობენ ამგვარი მოტივების კანონზომიერებასა და ორგანიულობაზე მისი შემოქმედებისათვის.

ანაკრეონული ჟანრის ყველაზე დამახასიათებელ ნაწარმოებს აღ. ჭავჭავაძის პოეზიაში წარმოადგენს მეტად პოპულარული ლექსი „მუხამბაში ლათაიური“. გულწრფელი უშუალობით, უდარდელი სიხალისით ეს ლექსი მუდამ ხიბლავდა მკითხველს და განსაკუთრებით მსმენელს, რადგან იგი დიდი ხანია სიმღერადაა გადაღებული და ფართოდ გავრცელებული ჩვენს ხალხში.

ეს სიმღერა გამსჭვალულია დარდიმანდული ჰუმორით. ჰედონისტური განწყობილება პოეტისა, გამელაგებული ამ ლექსში, ზომიერად არის შეზავებული ერთგვარ რელიგიურ სექტიციზმთან, რაც სავსებით ბუნებრივი იყო ფრანგული კლასიციზტურ პოეზიასთან ნაზიარებასა და ვოლტერის მთარგმნელ ქართველ პოეტისათვის.

ანაკრეონულ ჟანრს მიეკუთვნებიან აგრეთვე აღ. ჭავჭავაძის შემდეგი ლექსები: „სულის ყვავილი“, — „ღვინის თვისებისათვის“, „ღიმილმან კარი ლალისა“, „მეგრულ ფერხულზე“, „ანაკრეონული“, „შექცევათათვის“. განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი ლექსი, სადაც პოეტს მოცემული აქვს ცხოვრებით ტკბობისა, და ამავე დროს

აღ. ჭავჭავაძე მარტო სიყვარულის მგოსანი არ არის. მის შემოქმედებაში საგრძნობი ადგილი უკავია აგრეთვე პატრიოტულ მოტივებს, თუმცა არა ისეთი, როგორც სატრფიალო ლირიკას. ეს საგულისხმო ელემენტი აღ. ჭავჭავაძის პოეზიისა თავის დროზე შეამჩნიეს და სათანადოდ დააფასეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.



პოეტისადმი მიძღვნილ წერილში ილიამ აღნიშნა პატრიოტული და სამთავალაქო თემატიკის მნიშვნელობა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში: „თუ ეს ცალკე მაგალითები მოვიყვანეთ მამულისმეილურ გულის ტყვილისა, მართო იმისათვის, რომ ვნახოთ,—მაგისთანა გულის-ტყვილს, მერე, სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა პქონია და მცირე ნაკადულად გამოიწვერო, მერე როგორ გაზრდილი და უმატნია“ (ტ. II, გვ. 80, 1941 წ.).

ალ. ჭავჭავაძეს, როგორც პატრიოტ მგოსანს, აკაკიმაც მიაგო შესაფერი პატივი: „შენს წმინდა საფლავს, გულის მოსაკლავს, დაეყურებ, გმირო, სულგანაბული; შენგან ქებული, დავიწყებული, დღეს მაგონდება ჩვენი წარსული“,—ამ სიტყვებით იწყება აკაკის ლექსი, მიძღვნილი პოეტის ხსოვნისადმი.

საქსებით ბუნებრივია, რომ 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილე პოეტს, ნაპოლეონთან ბრძოლების ვეტერანს, დეკაბრისტების თანამედროვეს, ბოლოს 1832 წლის ქართული შეთქმულების საქმისათვის დასჯილს ქართველ მგოსანს თავისი ჩანგი ატყულებინოს სამშობლოს სიყვარულით და სამიჯნურო ამღერებასთან ერთად ჩაფიქრებოდეს მშობლიური ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

თავისი პატრიოტული სულისკვეთება პოეტმა გამოხატა რამდენიმე საუკეთესო ნაწარმოებში. ეს არის ლექსები: „უწყალო სენმან“, „ვისაც ვსურთ“, „ოჰ, ვით გვემტყუნა“, „პყრობლისაგან თანაპყრობილთა მიმართ“, „ისმინეთ, მსმენო“, „ეჰა, ჩემო ოცნებავ“, „გოგჩა, ტბა ვრცელი“ და სხვ.

მამულისადმი სიყვარულის გრძნობა, რომელმაც გამოვლინება ჰპოვა

ჯერ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში, განსაკუთრებული სიძლიერით და სიღრმით იქნა გამოხატული მხოლოდ ერთ თაობის რომანტიკოს პოეტების—ნიკ. ბარათაშვილის, ვრ. ორბელიანისა და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში. ის ვახდა საერთოდ მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ლეიტმოტივად.

ლექსში „ისმინეთ, მსმენო“ პოეტი გამოხატავს თავის მწარე განცდებს, გამოწვეულს სამშობლო ქვეყნის უწყვეტ მდგომარეობით. „წყველ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაკარგეთ კრულნი“,—აცხადებს პოეტი; ის უჩივის დროთა ვითარებას: „გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შური“; სამშობლოს მტრებმა, რომლებიც „გულით მრუდნი, კაცთა მკილაენი, ლიზდნი და აენი“ არიან, შესძლეს უდიდესი ენების მოტანა ქვეყნისათვის: „მუხთლად გვაწვიეს, დავგავხვიეს თავს ბნელნი ბურნი... ქმნეს სავანენი საუკუნოდ, ვით უდაბურნი“.

ლექსი გამსჭვალულია გულწრფელი სიყვარულით მშობლიური ქვეყნისადმი. პოეტის მწუხარება სამშობლოს მდგომარეობის გამო, მისი შეურიგებელი სიძლიერი მშობელი ქვეყნის მტრებისადმი განპირობებულია დიდი და ღრმა პატრიოტული გრძნობით.

ალ. ჭავჭავაძის პატრიოტული ლირიკის ერთ ერთ საუკეთესო ნიმუშად ჩაითვლება ლექსი „ვისაც ვსურთ“. აქ სამშობლო აღევგორიულად გამოხატულია, როგორც დატყვევებული სატრფო. საგულისხმოა, რომ ეს სახე ფართოდ გამოიყენა მე-19 საუკუნის ქართულმა პატრიოტულმა პოეზიამ, კერძოდ აკაკიმ თავის შემოქმედებაში:

პოეტი მწუხარებით სწერს:

—მას ვმერტ პატიმარად, ვის მონებ, გულ მისთვის გლახ განწირული;  
მაქვს მწუხარება ზედა-ზედა რთული,  
მარად მებახლის წყალული.

მეორე ლექსში („ოპ, ვით გვემტყუნა“) პოეტი შესჩივის სოფლის ბრუნვას, რომელმაც ამოაგახადა სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა ზრუნვა და საცადელი:

ოპ, ვით გვემტყუნა  
სოფლისა ბრუნვა!  
წაგვიხდა ზრუნვა

მშუდარე გულსა!  
ამათ ესტრით წყლულსა,  
არ დაფარულსა,

გვმუნავთ ბედ-შინინი,  
გვბევეიან ჭირნი,  
ფოთოლთ უბნირნი...

და სხვ.

ღრმა პატრიოტულ განცდასთან არის დაკავშირებული წარსული ცხოვრების რომანტიული გააზრებაც. ამ მხრივ დამახასიათებელია მშვენიერი ლექსი პოეტისა „ეპა, ჩემო ოცნებაე“.

ეპა, ჩემო ოცნებაე,  
კვლავ რად წარმომეღვინე  
და დასი მცნობთ ჩენებათ  
უბრალოდ რად მომღვინე?  
რად მიჩვენებ სახესა  
წარსულთა მით ნუგეშთა, —  
ერთხელ ჩემის სიკაცისის  
ნაზად დამატებოვლოთ,  
რომელნიცა შე ბედმან  
უწყალოდ დამიორგუნა  
და გლახ შე მარად მტრიალს  
მკირედიც არ მიბრუნა.  
ნუ მიტყეებ, ოცნებაე,  
მომეც ძველნი ზოლვანი,  
მომეც შე ძველნი ცრემლნი  
და ძველნიცა ობგრაანი,  
წარსულისა სიკაცისის  
ნიაფი კვლავ დამქროლდე  
და დამაშვრალს სულსა  
ჩემს სიტკბო მით განუაზღვ.  
გვედრებ, ნულა მშორდები,  
განვიგრძე სიხარული,  
რომე მსოფნითა ოდენ  
დაფიტხო წყლული გული“.

წარსული ცხოვრების რომანტიული ხილვა განსაკუთრებული სიმამფრი-

თაა მოცემული ალ. ჭავჭავაძის შედეგში „გოგჩა, ტბა წარტყმის“ ლექსი თავის დროზე საბუნებისმეტყველო რად გამოხატავდა იმ ქართველი მოწინავე საზოგადოების სულისკვეთებას, რომელიც ძველი დროის მატერიალური კულტურის ძეგლთა ნანგრევებში ხედავდა ხალხის ცხოვრების გადასულ დიდებას და ოცნებობდა მის აღდგენაზე. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ტრადიციით განმტკიცებული გაგება ამ ლექსის იდეური შინაარსისა, დადასტურებული ილია ჭავჭავაძის ლექსის („ალექსანდრე ჭავჭავაძე“) სტრიქონებით:

ხან დაჟყურებს ნაღვლიანად,  
დაფიჭრებით გოგჩის ტბასა  
და ემდურს შწვევის მოთქვით  
დაუღვრომელ დროთ ბრუნვასა.

„გოგჩის ტბაში“ პოეტი აგვიწერს დანგრეულ ქალაქის ნაშთს, სადაც დაუსადგურებია უდაბურობას, მღუშარებას, არარაობას: ის ფანტაზიით წარმოგვიდგენს მდიდარს, თავისუფალსა და ბედნიერს ცხოვრებას, რომელსაც ატარებდნენ ადამიანები ამ დიდებულ პალატებში. „ღროთა მსრველის ცელით“ ყოველივე დაუბრუნებლად გამქრალა.

ეს ლექსი, რომელიც უშუალო პოეტური შთაგონებით და მძლავრი მხატვრული საღებავებითაა დაწერილი, სამართლიანად ითვლება, როგორც საუკეთესო ნაწარმოები არა მარტო ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ მე-19 ს. ქართულ პოეზიაში.



ქართველ რომანტიკოს პოეტთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი მაჯისცემის მძაფრი განცდა, ღრმა ინტერესი ხალხის თა-

ნამედროვე პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ვითარებისადმი.

აღ. ჭავჭავაძის პოეზიაში, მისი სატრფიალო ლირიკის ფონზე, განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოირჩევიან ის ლექსები, რომლებიც ეხებიან მწვევე სოციალურ პრობლემატიკას. ეს ფაქტი ჩვენთვის ძნელად ასახსნელი იქნებოდა, მხედველობაში რომ არ მიგველო დასავლეთევროპული და თანადროული რუსული პოეზიის იდეური და მხატვრული გავლენები, რომლებიც განიცადა აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებამ ზრდისა და მომწიფების ხანაში.

აღ. ჭავჭავაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან, არისტოკრატიული წრის პოეტმა, შესძლო წოდებრივი შეზღუდულობის ჩარჩოთა გარღვევა და ეპოქის მოწინავე იდეებისადმი გამოხმაურება.

ლექსში—„ვაჰ, სოფელსა ამას“—პოეტი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის ბედნიერებას აშენებს „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხეკვით“. ეს ლექსი მძაფრ პროტესტს წარმოადგენს სოციალური უსამართლობის, ბოროტებისა და სიცრუის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ლექსი მთავრდება პოეტის ღრმა რწმენით; ეს ძალადობაზე, უსამართლო ჩაგვრასა და ბოროტებაზე აგებული სამყარო დიდხანს ვერ იარსებებს, რომ მას აუცილებელი დამხობა მოეღოს:

რომელნიც ამწარბთ  
ღარიბთ ცხოვრებას  
და მსობით ურცხვად,  
უსამართლოდ მონებას,  
მოელოდდეთ მათან  
თანასწორობას!  
არ შარადის იშვით  
მდაბალთ ჩაგვრით,  
მტაცებლობით და ხეკვით!

სოციალურ პრობლემატიკას აღ. ჭავჭავაძის პოეზიაში შედარებით მცო-

რე ადგილი უკავია. საზოგადოებრივი მოტივები უფრო ფარფულურ-გემოვნულ ეხებას პოულობენ მისევე მსმდეტნო პოეტების შემოქმედებაში.

აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქართული პოეზია პირველად აპყრობს თვალს მშობლიური ქვეყნის წარმტაც ბუნებას. მართალია, ეს პირველი დანახვა და ასახვა ბუნების სურათების რამდენიმე ლექსით განისაზღვრება, მაგრამ ისინი საკმაოდ მოწმობენ პოეტის მხატვრული საღებავების სიმდიდრეზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ამ ლექსებს შორის არის „კავკასია“. ამ ლექსში პოეტი თვალწინ გვიშლის კავკასიონის მთების გრანდიოზულ პანორამას. ამ გოლიათს თავი შავი ზღვისთვის მიუყრდენია, ხოლო ტერფით კასპიის ტალღებში შეჭრილა. მისი ბუნება წარმტაცია თავისი შესაზარი მშვენიებით. მის კლდოვან გვერდებს, თითქოს ოხშივარი ასდისო, ნისლი და ღრუბელი შემოხვევია. მრისხანე მდინარენი ქუხილით მოეჭანებია მისი კლდეებიდან. პოეტი გვიხატავს კავკასიონს, რომელიც არის „ზურგით მზიდველი მთებზედ შემღვარი მთებისა“; აგვიწერს ზეგვის წამოსვლას, რომელიც გზაზე ანადგორებს ყოველივეს: ბუქისა და ქარიშხლის მსგავსად ღამედ აქცევს დღეს, შავი ნისლით მოსავს არემარეს; დედამიწის პირი ახალ წარღვნას განიცდის, ნაძვის ტყეები რიყედ იქცევიან, მდინარეები მშრალ კალაპოტებს სტოვებენ, გზა-ვაკეებზე კლდეები აღიმართებიან. მხოლოდ კავკასიონი რჩება უცვლელი ამ სტიქიური კატაკლიზმის დროს და როგორც „ღმერთი მბრძანებელი“.

ზოგს მუსრავს, ზოგს კი პბადებს ახალი ცხოვრებისათვის.

მაგრამ ამ სტიქიონის მრისხანებას მოსდევს სიმწვიდე და მოსვენება. მხიარული მზე ალერსიანად დახუდავენ სპეტაკ თოვლს. ყინული და წყლის წიხწყლები ოქრო-ბრილიანტებად დაიწყებენ ბრწყინვას. ყვავილნი შეუღებებიან საამო ფშვინვას, მწვანე სამოვრები მიიზიდავენ ნადირთ. ბნელი ტყის წილიდან ამოვა შტოვან რქათა დამდრევი ირემი და ზვედიან მშვიდად დასცქერის მეხისმშობელ, მქუხარე ღრუბელს.

ეს ის მთაა, სადაც მიჯაჭვეულ პრომეთეოსს, ღმერთთა მიერ შერისხულს, გულს უფლეთდა ყორანი,—მთა, რომლის ზღუდეებად ამართული სალი კლდენი დასაბამითვე შეუვალად იყვნენ ცნობილნი.

მაგრამ აი, მოვიდა ადამიანი და ამაყი მთების შეუვალობასაც მოეღო ბოლო. ადამიანმა სძლია სტიქიონს. ვერც ღელეთა სიღრმემ, ვერც მთათა სიმაღლემ ვერ შეუშალა ხელი დაერღვია ამ კლდეების უდაბურება:

ფოლანდი, ქვად მკვეთელნი,  
ათასთა შინა ხელთა,  
ხელოვნებითნი მეზნი,  
მედვრად მწახელნი ცეცხლთა,  
სტემდნენ, ჰგლიჯდნენ, ჰქუხოდნენ,  
— და კავკასი შეენსარედ  
ესეთთა მიერ წყლულთა  
თვისთა ცხად ყოფდა მწარედ.

საგულისხმოა მეტად ამ შესანიშნავი ლექსის დაბოლოვება. ალ. ჰავკავაიე არ იძლევა ბუნების განყენებულ სურათს. მას გვიჩვენებს გარკვეულ კავშირსა და ურთიერთობაში ადამიანთან და ხაზს უსვამს ადამიანის ინტელექტის პრიმატს ბუნების ბრმა სტიქიონთან შედარებით. უფრო მეტიც, პოეტს ეს ურთიერთობა ბუნებისა და ადამიანისა კონკრეტულ-ისტორიულ

ასპექტში აქვს გააზრებული და იძლევა თავის დამოკიდებულებას ამ კრეატიურ-ისტორიული ფაქტისადმი, — ის შემდეგი სტიქიონებით ამთავრებს ამ ლექსს:

გახიხნა გზა და ეშვით  
ივერეთ სასოება,  
რომე მუნით შევიდეს  
მით შორის გახათლება...

პოეტი აქ იძლევა სრულიად გარკვეულ მითითებას თავის კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე: კავკასიონის გზით ქართველი ხალხი ეზიარება თანამედროვე რუსეთის და დასავლეთ ევროპის კულტურულ სამყაროს, რაც პოეტს დადებით მოვლენად მიაჩნია. ეს ევოლუცია მისი პოლიტიკური აზროვნებისა საეკსპედიციო კანონზომიერი იყო და გამომდინარეობდა როგორც მისი პირადი ბიოგრაფიიდან ისე, მისი დროის საქართველოს ისტორიული განვითარების ფხიზელი შეფასებიდან.

1893 წელს, სოფელ ქვიშხეთში, ცნობილ ქართველ მსახიობის კოტე ყიფიანის ოჯახს, რომელსაც ტანჯული მამის დიმიტრი ყიფიანის შარავანდედი ფენდა ნათელ სხივებს, ესტუმრა ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი. მას მეთაურობდა იმდროის საქართველოს უდიდესი ადამიანი—ილია ჰავკავაიე. პოეტის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე, სხვათა შორის, იმღერა მაშინ განთქმულმა მომღერალმა ქალმა მაკინე ამირეჯიბმა.

დიმიტრის რძალი, ლიტერატორი ქალი ნინო ყიფიანი, თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „როდესაც მაკინე მღეროდა მისგან შექმნილსა და მასთან ერთად მომვდარს შესანიშნავ ხმას ალ. ჰავკავაიის სიტყვებზე: „ქმუნვის მახვილი გულსა მსობია, მივირის, თუ სული რად არ მხდომია“, —ილიას სა-

ხის, მისი თვალების გამომეტყველებას ემჩნეოდა აშკარად, რომ დიდს სიამოვნებას განიცდიდაო“.

მართლაც, ილია ჭავჭავაძე მუდამ ღრმა პატივისმცემელი და დამფასებელი იყო ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისა. „ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია!“—ამ სიტყვებს უკვე სხვა აზრსა და იდეურ შინაარსს აძლევდა ილია და

მასთან ერთად მთელი ჩვენი მოწინავე საზოგადოებრივობა. *არქივული*

განვლო დრომ. *ჭმუნვის მახვილი* აღარ ასვია ქართველი ხალხის გულს. დაეწყებულა ნაღვლიანი სიმღერაც, შექმნილი ამ ლექსის სიტყვებზე. მაგრამ ქართველი ხალხის ხსოვნაში მუდამ რჩება სახელი თვით ლექსის შემქმნელისა.

## რეკლამური სსკ-ის საბჭოთა მწარმოების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმისა

1945 წ. 4 სექტემბრის თარიღით



საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 14 აგვისტოს დადგენილება „ქურნალების „ზევზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, რომელიც სავსებით სწორად მიუთითებს იდეურ ჩაეარდნებზე ლენინგრადული ქურნალების რედაქციების მუშაობაში, უდიდეს ნაკლოვანებებზე სამწერლო ორგანიზაციების ცხოვრებაში და დამახინჯებებზე საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მუშაობის პრაქტიკაში, წარმოადგენს ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის და ჩვენი ქვეყნის ყველა სამწერლო ორგანიზაციის შემდგომი მუშაობის საბრძოლო პროგრამას.

აბსოლუტურად სწორია ცენტრალური კომიტეტის მიუთითებამაზე, რომ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ აბხ. ნ. ტიხონოვმა არ მიიღეს არავითარი ღონისძიება კავშირის ქურნალების „ზევზდისა“ და „ლენინგრადის“ მუშაობის გასაუმჯობესებლად და მათ არა თუ არ უწარმოებიათ ბრძოლა საბჭოთა ლიტერატურაზე ზომიერების, ახმატოვას და მათი შესაფასებელი არა საბჭოთა მწერლების მანერე გავლენებთან, არამედ ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ, რომ ქურნალებში საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო ტენდენციები და ჩვევები არ შეჭრილიყო. საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოების — ქურნალების ფურცლებზე საბჭოთა ადამიანებისა და საბჭოთა წესწყობილების მიმართ ზომიერების უზამსი და ღვარძლიანი პასკვილების სისტემატური გამოქვეყნება, დაცემულობისა და პესიმიზმის სულისკვეთებით გაქდნითილი ახმატოვას ფუქი და უიმედო ლექსების ბეჭდვა იყო პირდაპირი შედეგი საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის უმოქმედობისა, ბოლშევიკური პრინციპულობის და პოლიტიკური სიმამხვილის დაკარგვისა, დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობის უქონლობისა.

კავშირის გამგეობამ, ქურნალების რედაქციებმა, გამომცემლობათა ხელმძღვანელებმა, ლიტერატურის კრიტიკოსებმა არ გააკეთეს სათანადო დასკვნები ქურნალ „ბოლშევიკის“ მიერ საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო ადამიანის, ზომიერების ლიტერატურული სახის ანალიზიდან, იმ ადამიანის სახის ანალიზიდან, რომელიც სამარცხვინოდ განზე იდგა საბჭოთა ხალხის საქმიანობის თვით დიდი სამამულო ომის წლებში.

ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული სალონური პოეზიის ტიპური წარმომადგენლის, უაღრესად მავნებლური ბურჟუაზიული თეორიის მწერლობისა და ხელოვნებისათვის, უხამსი ესტეტობის და პოეზიის დეკადენტური დამკვიდრების გამომხატველის ა. ახმატოვას შემოქმედების აზრი უკვე დიდხანია, რაც ნათელია საბჭოთა მკითხველისათვის.

მიუხედავად ამისა, მიუხედავად ამ არასაბჭოთა მწერლების „შემოქმედების“ ასევე მავნებლობისა, რაც მათ მოაქვთ ჩვენი ხალხის, პირველ რიგში, ახალგაზრდობის აღზრდისათვის, მიუხედავად ყოველივე ამისა, მათი ნაწერები მაინც ქვეყნდებოდნენ პრესაში. სახელმწიფო გამოცემლობის ლენინგრადის განყოფილებამ 1946 წელს გამოსცა ზომიერად უხამს მოთხრობათა წიგნი, სადაც დაბეჭდილი იყო ანტისაბჭოთა გესლით სავსე მოთხრობაც „მაიმუნის თავგადასავალი“ (რედაქტორი ს. სპასკი), „ოგონოკის“ ბიბლიოთეკის ხაზით მოსკოვში დიდი ტირაჟით გამოიცა ზომიერად უხამს მოთხრობით (რედაქტორი ა. სუროვი).

ახმატოვას ლექსები იბეჭდებოდა არა მარტო ლენინგრადის, არამედ მოსკოვის ჟურნალებში—„ზნამიასა“ და „ოგონოკში“.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანომ „ლიტერატურა და ხელოვნება“ შესაძლებლად დაინახა 1945 წლის 24 ნოემბერს დაეცემა ახმატოვას ინტერვიუ და მისი პორტრეტი, ხოლო ახმატოვას გამოსვლა, საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მიერ ნებადართული, ახმატოვას შემოქმედების დაუმსხურებელი ქება-დიდებას ეთარაქა მისი ჩატარდა.

გასაგებია, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მხრით ჟურნალებსა, გამოცემლობებსა და ლიტერატურულ წრეში უცხო გავლენებთან ბრძოლის გაუწევლობამ უარყოფითი გავლენა იქონია მწერალთა კავშირის მთელს იდეურ ცხოვრებაზე და მისი ორგანოების მოღვაწეობაზე. სწორედ ამით აიხსნება „ზევდასა“ და „ლენინგრადში“ დაცემულობითა და პესიმიზმით გამსჭვალული ლექსების, უხამსი პიესების, ფუჭი და უმაქნისი მოთხრობების გამოქვეყნება. სწორედ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მხრით ნამდვილი ხელმძღვანელი და წამმართველი მუშაობის გაუწევლობის გამო შსაძლებელი გახდა ფართო გავრცელება ბ. პატერნაკის ანტილიტერატურული, ხალხის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი უიდეო პოეზიისა, რომელსაც რეალმას უწევდა ზოგიერთი კრიტიკოსი (ა. ტარასენკოვი ჟურნალ „ზნამიასში“).

ლიტერატურულ ორგანიზაციებსა, ჟურნალების რედაქციებსა და გამოცემლობაში ლიტერატურის ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებელმა ადამიანებმა დაივიწყეს, რომ ლიტერატურა წარმოადგენს ძლიერ იარაღს საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ამიტომ ისინი მოვალენი არიან თავიანთ მუშაობაში იხელმძღვანელონ იმით, რაც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს.—ისი პოლიტიკით. ამ გარემოებამ მიიყვანა ისინი უხეშ პოლიტიკურ შეცდომებ მდე.

თავისი განუთარების მეოთხედი საუკუნის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურამ ჩვენს ხალხს მისცა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც მკაფიოდ და სიმართლით გამოხატავს ჩვენს ეპოქას და მის ადამიანებს. ომის წლებში და შემდგომ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები ხელს უწყობდნენ სახალხო მასების აღზრდას კომუნისმის სულისკვრებით, სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის სოლისკვრებით. მაგრამ ასეთ ნაწარმოებთა გვერდით ჩნდებიან არაკეთილსინდისიერი, უშინაარსო და

ბალტურული ნაწარმოებები (ალექსანდრე გლადკოვის პიესა „ახალწლის ღამეს, რაიტონოვის მოთხრობა „სრულ შეღამისას“, ნილინტა, კონსტანტინოვი „დიდი ცხოვრება“ მეორე სერია).

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 26 აგვისტოს დადგენილება რეპერტუარის შესახებ სავესებით სამართლიანად მიუთითებს უდიდეს ჩაყარვებზე დრამატურგთა მუშაობაში. აპოლიტიკურობა, ცხოვრების დიდი თემების ზერელე და უხამსი გაგება, იდეური სიცალიერე გამოჩნდა ისეთ პიესებში, როგორც არის ვოლოკინოვის და ლაპტევის „იბულებითი დაშვება“, ძმ. ტურის „საგანგებო კანონი“, პოგოლინის „მენაევე ქალი“, რახმანოვისა და რისის „სარკმელი ტყეში“, რიბაკისა და სავჩენკოს „თვითმფრინავი იგვიანებს“.

ჩნდება იდეურად და მხატვრულად უსუსური ნაწარმოებები ცხოვრებისა და მასალის სუსტი ცოდნით (ვ. ივანოვის „ბერლინის ალებისა“—ეჟრნალი „ნოვი მირი“, ველენდინცკაის „მზე აღმოსავლეთიდან“—ეჟრნალი „ოქტიაბრი“-ში), ნაწარმოებები არასწორი ისტორიული კონცეპციით (სერგეევ-ენსკი „ბრუსილოვის გარღვევა“). ეჟრნალები ბეჭდავენ დაუდევრად, დაუკვირვებლად დაწერილს არა ერთსა და ორ ნაწარმოებს, რომლებიც მოწმობენ ავტორთა არაკეთილსინდისიერ მუშაობას ნაწარმოებების შინაარსსა და ფორმაზე, ეჟრნალები აქვეყნებენ ხშირად წერაკითხვის არასაკმაო ცოდნით დაწერილ ნაწარმოებებს, რომლებიც ანაგვიანებენ რუსულ ენას.

ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში (მაგალითად ა. მეჩიროვის ლექსებში) თავს იჩენს ავადმყოფური ტენობა ტანჯვით, ოხვრა-გოდება. პოეტების ძველი თაობა წინააღმდეგობას არ უწევს ასეთ მოტყუებს. ზოგიერთი გამოცდილი პოეტის შემოქმედებაში გამოსჭვივის გულამოსკვნილი პესიმისტური განწყობილება (პ. ანტოკოლსკის „არამარადი ხსოვნა“—ეჟრნალი „ზნამია“), ფორმალისტური ცდებით გატაცება, რომელიც ამდებებს ლექსების იდეურ მიზანსწრაფვას (ს. კირსანოვის „ალექსანდრე მატროსოვი“—ეჟრნალი „ოქტიაბრი“).

ეჟრნალების რედაქციების მხრით ლიტერატურულ ნაწარმოებთა ავტორებისადმი მოთხოვნათა შემცირების შედეგად ზოგიერთი მწერალი აღარ იწუშობს თავის ნაწარმოების სრულყოფაზე, თავისი ოსტატობის ამაღლებაზე.

საბჭოთა ადამიანებისათვის უჩვეულო სულსკვეთება—დასაელეთის ბურჟუაზიულ კულტურის წინაშე მდებალი ქედმოხრის სულსკვეთება, რომელიც აღნიშნულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა დრამატურგიის დარგში. ამას ყველაზე მკვეთრად მოწმობს დრამატურგ ალექსანდრე გლადკოვის მიერ ბურჟუაზიული მწერლის მოთხრობის პიესად, თითქოს თანამედროვე საბჭოთა ადამიანების ამსახველ პიესად („ახალ წლის ღამეს“) გადაკეთების სამარცხენო ფაქტი. გამომცემლობა „ისკუსტვომ“ გამოსცა კრებული თანამედროვე ინგლისელი და ამერიკელი დრამატურგების ძალიან მდარე, უხამსი ერთაქტიანი პიესებისა, რომლებიც სწამლავენ ჩვენი ადამიანების შეგნებას საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხო მსოფლმხედველობით.

ჩვენს ლიტერატურაში უცხო გავლენების, აპოლიტიკური, უხამსი, იდეუ-



რად და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებების გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი აკისრია ჩვენს ლიტერატურულ კრტიკულ კრებულს, ზშირად ივიწყებს დიდი რუსული კრიტიკის ტრადიციებს — მკლანკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გორკის ტრადიციებს. კრიტიკა თავის პრაქტიკულ მუშაობაში სრულიად არასაკმაოდ ანხორციელებს ლენინისა და სტალინის გენიალურ შრომებსა და მითითებებს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. დღემდე კრიტიკოსებს არ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნები ა. ა. ქდანოვის მოხსენებიდან საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე. მრავალი კრიტიკული სტატიის თეორიული დონე დაბალია, ლიტერატურულ ნაწარმოებთა იდეურ მიზანდასახულობის ანალიზს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა — დიდი მწერლები არ გამოდიან კრიტიკულ სტატიებში, არღვევენ რა ამით რუსული ლიტერატურის კეთილშობილურ ტრადიციებს.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების სერიოზულ განხილვას ზშირად სცვლის მეორეხარისხოვან საკითხებზე პრეტენციოზული ხმაური, რომელიც მწერლებს თანამედროვეობის ძირეულ პრობლემებს აშორებს. ამის დამახასიათებელ მაგალითად გამოდგება დისკუსია დრამატურგიის საკითხების გამო „ლიტერატურაშია გაზეტასა“ და „სოვეტსკოე ისკუსტოს“ ფურცლებზე. ზოგიერთი კრიტიკოსის (მაგალითად, ა. გურვიჩი) მიერ გამოთქმულ აზრებში გამოსჭვივის ესტეტური სუბიექტივიზმი, თანამედროვეობის მიმდინარე პოლიტიკური პრობლემებისაგან მოწყვეტა. დღემდე ზოგიერთ კრიტიკოსთა და მწერალთა წრეში გავრცელებულია ფორმალისტური კონცეპციები.

კრიტიკოსები არ ცდილობენ სერიოზულად გაერკვნენ ლიტერატურული განვითარების პროცესებში, გაიზიარონ და განაზოგადონ ლიტერატურის გამოცდილება. „ლიტერატურაშია გაზეტაში“ გამოქვეყნდა ლ. რახმანოვის უპრინციპო და უხამსი შეხედულება გრინზე დაწერილ ბორისოვის წიგნის გამო. იქვე დაიბეჭდა დანინის ესტეტური და ხობტა-დიდების შემსხმელი სტატია სმელიაკოვზე. გაზეტაში მოთავსებული მრავალი წერილის თეორიული დონე დაბალია. გაზეტი მოწყვეტილია კავშირის ცხოვრებას და გვერდს უხვევს მწერალთა იდეური აღზრდის ძირითად საკითხებს. გაზეტს არ შესწევს უნარი პრინციპულად და მწვავედ გააკრიტიკოს მანე ნაწარმოებები და უცხო გავლენები ლიტერატურაში. გაზეტი არ თაოსნობს კრიტიკას და თვითკრიტიკას ლიტერატურულ ორგანიზაციებში.

მწერალთა წრეში რამდენამდე ფეხი მოიკიდა მანე თეორი. მ იმის შესახებ, თითქოს საფუძველს მოკლებული იყოს მოვთხოვით თანამედროვე მწერალს ჩვენი დღეების ღირსეულად ამსახველი ნაწარმოები, თითქოს ასეთი ნაწარმოები შეიძლება გამოჩნდნენ მხოლოდ მომავალში. ამ მანე და დაბნეულ „თეორიას“, რომელიც უხეშად ბლაღავს ტრადიციებს დიდი რუსული დემოკრატიული ლიტერატურისას, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მოწინავე და აქტუალური ლიტერატურისას, არ შეხვდა წინააღმდეგობა პრესაში, წინააღმდეგობა არ შეხვდა არც ი. სელვინსკის, რომელიც წინადადებას იძლეოდა „შეგვეცვალა“ სოციალისტური რეალაზმი, როგორც მხატვრული შემოქმედების მეთოდი, „სოციალისტური სიმბოლოზმით“. უკრაინელი მწერალი პეტრო პანჩი გამოვიდა თეორიით — „მწერალს უფლება უნდა

ქონდეს შეცდომებისა“. ეს „თორია“ კარს უღებს ლიტერატურაში უცხო გავლენებს. ეს „თორია“ სათანადოდ არ ყოფილა კვალიფიცირებული ლიტერატურის კრიტიკოსების მიერ.

კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფრონტზე თეორიული აზროვნების ჩამორჩენას მოჰყვა ის, რომ დღემდე ჩვენ არა გვაქვს საბჭოთა ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის სახელმძღვანელო, არა გვაქვს საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის სწავლების პროგრამა თვით საბჭოთა მწერლების კავშირის ინსტიტუტებისათვისაც კი.

ცალკეული კრიტიკოსები ისევე, როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები და მისი ორგანოების რედაქტორები ნაწარმოებთა შეფასებისას ხელმძღვანელობენ საბჭოთა ლიტერატურის არა იდეური და მხატვრული განვითარების ინტერესებით, არა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებით, არამედ ჯგუფური, შიშობური, პირადული მოსაზრებებით. ეს თავის გამოხატულებას პოეზიის, კერძოდ, ზემოხსენებული მოსაზრებებით იმ მწერალთა ღვაწლის გაბერვასა და გაზვიადებულ ხობა-დიდებაში, რომლებიც „თავისიანების“ ჯგუფს ეკუთვნიან. ამ მიზნით იყენებენ ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ჟურნალ „ოქტიაბრის“ რედაქციაზე.

პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ კრიტიკის ჩამორჩენის ერთ-ერთი არსებითი მიზეზი არის მწერალთა კავშირში ამ უზნისადმი სრული უყურადღებობა, უზრუნველობა კრიტიკოსთა კადრების თეორიულ ზრდაზე, კრიტიკოსთა კრიტიკის ორგანიზაციაზე, კრიტიკოსთა მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნაზე.

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობა ჟურნალების რედაქციებზე და გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელზე“, რომლის პრაქტიკაში მრავალი არსებითი ნაკლია, სავსებით არადამაკმაყოფილებელია. ამან გამოიწვია ჟურნალების და „ლიტერატურაია გაზეტას“ სარედაქციო აპარატის მუშაობა პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტება და ხელი შეუწყო მათ შორის უცხო გავლენების გავრცელებას.

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის და მთლიანად გამგეობის მუშაობის უდიდეს ნაკლს წარმოადგენს სუსტი ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობის მიმართ, რამაც გამოიწვია ცალკეულ ლიტერატურაში ბურჟუაზიულ ნაციონალისტური ტენდენციების აღორძინება (მაგალითად, კირილუკის ნარკვევები აუკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან, ედიგეიზე ხანურ-ფეოდალური ეპოსის განდიდება თათრეთსა და ბაშკირეთში). კრიტიკოსების თეორიული მუშაობა განსაკუთრებით ჩამორჩება მოკავშირე რესპუბლიკებში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ზოგიერთ მწერლებს ეტყობათ. თანამედროვეობის რთული თემებიდან შორეულ ისტორიულ წარსულში წასვლის ტენდენციები.

ყველა ეს უდიდესი ნაკლი და გარღვევა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის და გამგეობის ხელმძღვანელობით მუშაობაში არ წარმოიშობოდა, რომ ეს მუშაობა გამსჭვალული ყოფილიყო ხალხისა და პარტიის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ლიტერატურის საშუალებით ხალხის მასების კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, ბოლშევიკური პრინციპულობით, პატიოსანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროთი. მაგ-

რამ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდენტი არ წარმოადგენდა ლიტერატურული ცხოვრების ასეთ შემოქმედებთან-ხელმძღვანელ ნაყლებ და შემთხვევით ჰკიდებდა ხელს იდეურ-თეორიულ საკითხების განაწილებას, მან ვერ უზრუნველყო მწერალთა ორგანიზაციებში კრიტიკა და თვითკრიტიკის გაშლა და განვითარება. პრეზიდენტის მუშაობაში არ იყო კოლექტიურობა. ამ მუშაობაში არ იყო ჩაბმული მწერალთა ფართო ატრივი. მწერალთა კავშირის პრეზიდენტის შემადგენლობაში ცოტა რაღაც იყო მწერალი, რომელიც არ ასრულებს ლიტერატურის ხელმძღვანელი მოვალეობას.

ზოგიერთი მწერალი განზე სდგას თანამედროვეობის ძირეულ საკითხებისაგან, არ იცნობს ხალხის ცხოვრებასა და საკიროებას, არ შესწევს უნარი გაიხატოს საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები და ღირსებები. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ, იმის ნაცვლად, რომ მწერალთა შემოქმედება ლიტერატურის შემდგომი განვითარების ინტერესებით ნაკარნახევი გზით წარმართოს, ფაქტიურად ხელი აიღო მწერლების მიმართ შემოქმედების ხელმძღვანელობაზე, არაფერს აკეთებდა იმ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული დონის ასამაღლებლად, რომელიც იწერებოდა, არ იბრძოდა უხამსობისა და ხალტურის წინააღმდეგ ლიტერატურაში.

აუცილებელია ძირეული გარდატეხა მწერალთა კავშირის იდეურ ცხოვრებასა და მუშაობაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ძალა საბჭოთა ლიტერატურისა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურა სა, მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს ლიტერატურას, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფოს ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს სწორად აღზარდოს ახალგაზრდობა, უპასუხოს მის საკიროებას, აღზარდოს ახალი თაობა მზნე, თავის საქმეში დარწმუნებულ თაობად, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და რომელიც მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

ამიტომ ყოველგვარი ქადაგება უიდეობისა, აპოლიტიკურობის თორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, დაგმობილია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, როგორც საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო, საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის მავნე ქადაგება. ასეო ქადაგებას ადვილი არ უნდა ექნეს ჩვენს ჟურნალებში, წიგნებში და ლიტერატურული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

კავშირის პრეზიდენტს აუცილებლად მიაჩნია თავის შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაუდგას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ჟურნალების „ზევლდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ გამოტანილ დადგ ნილებაში მოცემული მითითებანი და გადპრით შესცვალოს იდეურ-მხატვრული ხელმძღვანელობის მეთოდები. ლიტერატურაში უცხო გავლენების წინააღმდეგ, უიდეობისა და აპოლიტიკურობის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა, საბჭოთა მწერლის აღზრდა—ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების ერთგულ და გულისხმიერ გამომხატველ მწერლად, პარტიის იანაშვილად ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში,—უნდა განიცხადდეს მწერალთა კავშირის მთელი მუშაობის მთავარ შინაარსად.

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს მწერალთა კავშირის, როგორც ხელმძღვანელი ორგანიზაციის მხრივ, ეურნალებისა და გამოცემლობების, ისე ყველა მწერლის ყურადღებამდე მოაბრუნოს თანამედროვეობის თემებისკენ, სოციალისტური მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისაკენ მიმართული ჩვენი ხალხის გმირული შრომის თემებისაკენ, საბჭოთა ადამიანის იმ ღირსებისა და საუკეთესო თვისებების გამოსახვისაკენ, რომელნიც მან დიდი სამამულო ომის წლებში გამოიჩინა და რომელთაც იგი ახალი ძალით ამტკიცებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად წარმოებულ დღევანდელ საამშენებლო მუშაობაში.

აუცილებელია მწერალთა შორის შინაური და საერთაშორისო ცხოვრების ძირითად საკითხებში პარტიის პოლიტიკის სისტემატური პროპაგანდის წარმოება და მწერალთა ფართო ინფორმირება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესახებ.

მთელი ეს მუშაობა გამსჭვალული უნდა იქნას კომუნიზმის აქტიური შეტევითი იდეოლოგიის საბრძოლო სულისკვეთებით.

გაკვიცხვენ რა ნაწარმოებებს, რომლებშიდაც თავს იჩენს საბჭოთა ადამიანისათვის ესოდენ შეუფერებელი თავყანისცემა ბურჟუაზიული დასავლეთის წინაშე, ლენინ-სტალინის მოძღვრებით შეიარაღებულმა მწერლებმა, თავიანთ ნაწარმოებებში უნდა ამზილონ კაპიტალისტური გარემოცვის ბუნება, ებროლონ მის გამბრწუნელ გაელენას, ახსნან და განმარტონ თანამედროვე იმპერიალიზმის ხასიათი, რომელიც თავის თავში მალაგს ახალი სისხლისმღვრელი ომების საშიშროებას.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს აუცილებლად მიაჩნია, რათა სამწერლო ორგანიზაციებმა, ეურნალებმა და გამოცემლობებმა გააძლიერონ მოთხოვნა ნაწარმოებთა მხატვრული ხარისხისადმი, არ დაუშვან დაუდევრად, დაუკვირებლად დაწერილ იმ ნაწარმოებთა გამოქვეყნება, რომლებიც მოწმობენ არასერიოზულ, აჩქარებულ მუშაობას და რომლებიც ანაგვიანებენ ლიტერატურულ ენას.

მწერალთა კავშირის მთელს მუშაობაში ასეთი გადაწყვეტი შემობრუნების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მწერალთა შორის მართალი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე.

უახლოეს პრაქტიკულ ღონისძიებებად პრეზიდიუმს აუცილებლად მიაჩნია:

1. განთავისუფლებული იქნას ამხ. ტიზონოვი ნ. ს. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.
2. მოწვეული იქნას ოქტომბერში საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი კავშირის მუშაობის გარდაქმნის საკითხების განსახილავად ს. ა. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად.
3. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკების მწერალთა კავშირებს და საბჭოთა მწერლების კავშირის საოლქო განყოფილებებს სექტემბრის დამდეგს მოიწვიონ მწერალთა კრებები ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახილველად. გაგზავნილ იქნან მთავარ ორგანიზაციებში საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრები მათთვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩინად ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განხორციელებისას. ამავე პერიოდში ჩატარებულ იქნას მოსკოვის მწერალთა საერთო კრება.

4. უახლოეს ხანში განხილულ იქნას ჟურნალების „ოქტიაბრის“, „ზნამიას“, „ნოვი მირის“, „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციების რედაქციების ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პრაქტიკული განახორციელების თვალსაზრისით. დახმარება გაეწიოს ჟურნალ „ზეზდას“ და მწერალთა კავშირის ლენინგრადის განყოფილებას უმოკლეს ვადაში განახორციელონ ჟურნალის გარდაქმნა ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე.

5. ძირფესვიანად გარდაიქმნას მწერალთა კავშირის მუშაობის მთელი სისტემა ახალგაზრდა ლიტერატურული კადრების მომზადების საქმეში. დახმარება გაეწიოს ლიტერატურულ ინსტიტუტის მუშაობას და შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ინსტიტუტში სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის. უზრუნველყოფილ იქნას პრეზიდიუმის სისტემატური ზეგავლენა ინსტიტუტის საქმიანობაზე.

6. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაამუშაოს ღონისძიებები და განიხილოს საკითხი კრიტიკოსთა კადრების თეორიული ზრდისა და პოლიტიკური გამოწრთობის უზრუნველყოფის და მათი მუშაობისათვის შესაფერი პირობების შექმნის შესახებ.

7. გაირიცხოს ზომიერყო მ. მ. და ახმატოვა ა. ა. საბჭოთა მწერლების კავშირიდან, როგორც თავიანთი შემოქმედებით შეუფერებელი მწერალთა კავშირის წესდების მეორე პარაგრაფისა, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოთა მწერლების კავშირის წევრებად შეიძლება იყვნენ ის მწერლები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დგანან და მონაწილეობას ღებულობენ სოციალისტურ მშენებლობაში“.

კავშირის პრეზიდიუმში მოუწოდებს ყველა მწერალს დაირაზმოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით წამოჭრილ ამოცანათა გადასაწყვეტად, და სიტყვას აძლევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ამზანაგ სტალინს, რომ მწერალთა ორგანიზაცია დასძლევს გამოძეგნებულ ნაკლოვანებებს და ბოლშევიკურად შეასრულებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

## რეზოლუცია საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობისა



საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ა. მ. სიმონ ჩიქოვანის საანგარიშო მოხსენება, აღნიშნავს:

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ, ჩვენი გამარჯვებული საშობლოს გადასვლამ მშვიდობიანი მშენებლობის ლიანდაგზე, მეოთხე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზულ გეგმათა განხორციელებისათვის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი განმტკიცებისათვის გაშლილმა ბრძოლამ ახალი, უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანები დააყენა საბჭოთა ლიტერატურას, ყველაზე მძლავრსა და მოწინავე ლიტერატურას თანამედროვე მსოფლიოში.

ამ ახალ ამოცანათა ნათლად გარკვევისა და მათი წარმატებით განხორციელების საქმეში საბჭოთა მწერლობას ფასდაუდებელ სამსახურს უწევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება „ქურნალების ზეზღისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ და 26 აგვისტოს დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დიდი სტალინის ინიციატივით და მისი ბრძნულ მითითებათა საფუძველზე მიღებული ეს ისტორიული მნიშვნელობის ორი დოკუმენტი წარმოადგენს მკაფიო გამოხატულებას იმ შეუენლებელი მზრუნველობისა და ყურადღებისა, რომელსაც ყოველთვის იჩენდა და იჩენს საბჭოთა ლიტერატურის მძიმართ ბოლშევიკური პარტია, მისი ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ჩვენი პარტიის ეს ორი დოკუმენტი წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამას; ისინი გვრამავენ და გვავიარაღებენ საბჭოთა მწერლობისათვის უცხო და შინა უიდეობის, აპოლიტიკურობის, სინამდვილის გაყალბების, ფორმალისტური ოინბაზობის, ზერეღეობისა და მხატვრული ხარისხის დაქვეითების წინააღმდეგ საბრძოლველად, დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი ღრმად იდეური, ქმედითი, ნამდვილად ხალხური, მაღალმხატვრული ლიტერატურის შექმნისათვის.

ყრილობა თავის გულისწყრომას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ლენინგრადის ქურნალებში ადგილი ჰქონდათ დათმობილი ლიტერატურის ნაძირალს—

ზოშიჩენკოს და ბურჯუაზიულ-დეკადენტური სულიკვეთების სალონურ-არისტოკრატიულ პოეტს — ახმატოვას, რომ ამ არასაბჭოთა მწერლებს უწოდებენ "არა თუ იბეჭდებოდნენ მთელ რიგ საბჭოთა ჟურნალებსა და გაზეთებში, არამედ დაუმსახურებელ ზოტბასაც ლეზულობდნენ. სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა არა თუ არ ებრძოდა ამ მოვლენებს, არამედ ზოგჯერ ხელსაც უწყობდა ზოშიჩენკოსა და ახმატოვას გაელენისა და პოპულარობის ზრდას.

საბჭოთა ლიტერატურის მთელი არსი, მისი მაღალი საერთაშორისო-ისტორიული მოწოდება უაღრესად მკაფიოდ არის გამოთქმული ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში: „საბჭოთა ლიტერატურის, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ლიტერატურას, რომელსაც არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფოს ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს სწორად აღზარდოს ახალგაზრდობა, უპასუხოს მის მოთხოვნებს, აღზარდოს ახალი მხნე თაობა, რომელსაც სწამს თავისი საქმე, არ ეშინია დაბრკოლებისა და მზადაა გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება“.

ყრილობა მოუწოდებს საქართველოს ყველა საბჭოთა მწერალს, ყველა სამწერლო ორგანიზაციას, სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობათა მუშაკებს მტკიცედ იხელმძღვანელონ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში საბჭოთა მწერლობის მიზნებისა და დანიშნულების ამ ერთადერთი სწორი განსაზღვრით.

საქართველოს საბჭოთა მწერლობამ, — მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ამ ერთერთმა მოწინავე რაზმმა, — თავისი-მეორე ყრილობიდან მესამე ყრილობამდე განვილი პერიოდში, განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში მაღალ შემოქმედებითს წარმატებას მიაღწია.

ომის მრიზხანე ვითარებაში ქართული მწერლობა თავისი სახელოვანი საბრძოლო-გმირული ტრადიციების სიმალეზე აღმოჩნდა; იგი ერთსულოვანი თავდადებათ ჩაება ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ცხოვრებაში და გვიჩვენა თავისი მზადყოფნა — მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭი და ძალა შეეწირა საბჭოთა ხალხის წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის. როგორც ამხანაგმა ლ. პ. ბერიაიმ აღნიშნა, სამამულო ომის დღეებში „საქართველოს მწერლები და პოეტები თავიანთი მგზნებარე პატრიოტული ნაწარმოებებით შთააგონებდნენ მებრძოლებს გმირობისათვის, აღადგენდნენ ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიულ წარსულს“.

სამამულო ომის დღეებში და ომის დამთავრების შემდეგაც ქართული საბჭოთა ლიტერატურის ყოველ დარგში შეიქმნა არა ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც ასახავენ ძღვეამოსილად მებრძოლ საბჭოთა ხალხის გმირულ სულს, მის დიდებულ წარსულს, მის სწორუბოვარ თავდადებას სამამულო ომის ფრონტზე და ზურგში.

ამ წარმატებებთან ერთად ქართული საბჭოთა ლიტერატურის ეხლანდელ მდგომარეობას ახასიათებს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანება, რომელთა დაუყოვნებლივი აღმოფხვრა შეადგენს ჩვენს უპირველეს საბრძოლო ამოცანას.



ყრილობა აღნიშნავს, რომ თუმცა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ადგილი არ ჰქონია ზომიერების პასკვილებს და ახმატოვას, მაგრამ მულობისა და უიმედობის გამოხატულებას, მაინც ქართულ ლიტერატურაში უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა „უსაგნო“ ლირიკისადმი და უიღვო ნაწარმოებთა შექმნისადმი მიდრეკილებამ.

კოლაუ ნადირაძის პოეტურ შემოქმედებაში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის დეკადენტური და სიმბოლისტური პოეზიის ელემენტები. თანამედროვე ქართული საბჭოთა ლირიკის საუკეთესო ტრადიციათა ერთ-ერთთა შექმნელმა მოწინავე საბჭოთა პოეტმა ალიო მაშაშვილმა, რომელმაც ომის წლებში დასწერა მრავალი გმირული სულით აღბეჭდილი ნაწარმოები, უკანასკნელ ხანებში გამოაქვეყნა მთელი რიგი უიღვო ლექსები.

უიღვო ლირიკის გავლენით ხასიათდება აგრეთვე უკანასკნელად გამოქვეყნებული რამდენიმე ლექსი გიორგი შატბერაშვილისა, რომელიც სამამულო ომის დღეებში დადებითსა და ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა, როგორც პოეზიის, ისე დრამატურგიის დარგში.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზისა და დრამატურგიის ოსტატთა საგრძნობი ნაწილი უკანასკნელ წლებში იჩენს გადაჭარბებულ გატაცებას ისტორიული თემებით, რაც იწვევს ჩვენი გმირული თანამედროვეობის თემებისა და პრობლემატიკის ხვედრითი წონის შემცირებას ქართულ ლიტერატურაში.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა თანამედროვე თემებზე დაწერილი მდარე ნაწარმოებნი მხატვრული პროზის დარგში (ა. ბელიაშვილის „ქარიშხალი“, ი. ლისაშვილის „სიციოცხლისათვის“ და სხვ.), მთელი რიგი უსაგნო, არა აქტუალური, იდეურ-აღმზრდელითს მნიშვნელობას მოკლებული ნოველები და მოთხრობები. ქართული თეატრების სცენაზე დაიდგა იდეურად და მხატვრულად უმწეო პიესები („მესაფერი ჯილდო“, „ტირიფის ქვეშ“ და სხვ.).

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ამ ფრიად სერიოზულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სალიტერატურო კრიტიკის სისუსტე. თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა ვერ სდგას მისი მაღალი მოწოდებისა და დანიშნულების სიმაღლეზე. იშვიათი გამოჩაქისის გარდა, კრიტიკა დროულად ვერ ეხმარება ლიტერატურულ ცხოვრებაში აღმოცენებულ ახალ მოვლენებს, ვერ იძლევა ნაწარმოებთა ღრმა და საფუძვლიან იდეურ-ესთეტიკურ ანალიზს, ვერ ეხმარება მწერლობას შემოქმედებითი გზების გარკვევისა და გაშუქების საქმეში.

კრიტიკოსთა უმრავლესობა გაურობის საბჭოთა მწერლობის საკითხებზე მუშაობას. თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა მოწყვეტილია საბჭოთა ლიტერატურის პრაქტიკას, მის ინტერესებსა და ამოცანებს. არ სწარმოებს მუშაობა საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის საკითხების შესწავლისა და დამუშავების დარგში, საბჭოთა ლიტერატურის თეორიის შემდგომი განვითარების დარგში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა მწერალთა იდეურ-შემოქმედებითს აღზრდას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ და პრეზიდიუმმა, რომელთა საქმიანობაც საანგარიშო პერიოდში გარკვეული წარმატებით ხა-



სიათდება, სათანადო ენერგიულობით და თანმიმდევრობით ვერ გამოაქვს მუშაობა ზემოთდასახელებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მწერალთა მშრომლობითი აღმზრდელობითი მუშაობა: მწერალთა კავშირის სექციები არ აწარმოებენ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა წინასწარ განხილვას, იშვიათად ვართავენ მწერლობის აქტუალური შემოქმედებითი საკითხების გარშემო მოხსენებებსა და დისკუსიებს. მწერალთა კავშირის გამგეობა სუსტად მუშაობს იმისათვის, რომ მწერლები დაუახლოვოს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, რომ მათ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა და ყოფაცხოვრება.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია მწერალთა კავშირის ყურადღება და მზრუნველობა მწერლობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგისადმი, რა გორიცაა საბავშვო ლიტერატურა.

სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი ახსიათებენ მწერალთა კავშირის ორგანოს ფურნალ „მნათობის“ რედაქციის მუშაობას. ეურნალი სისტემატურად ბეჭდავს უიდეო, აპოლიტიკურ და მხატვრულად მდარე ხარისხის ნაწარმოებებს. ნაკლოვანებათაგან დაზღვეული არ არის გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციის მუშაობაც. ამ გაზეთის ფურცლებზეც ზოგჯერ იბეჭდება უიდეო და მხატვრულად დაბალი დონის ლექსები და მოთხრობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთის მიერ დაშვებული შეცდომები, რაც გამოიხატება ზოგიერთა ახალგაზრდა მწერლის შემოქმედების გადაჭარბებულ შეფასებაში.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ საანგარიშო პერიოდში დაბეჭდა არა ერთი ისეთი ნაწარმოები, რომლებიც თავიანთი იდეურ-მხატვრული ღირებულებით არ შეეფერებოდა საბჭოთა ლიტერატურის თანამედროვე დონეს.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ: „პოეტებს, მწერლებს და მხატვრებს ჯერ არ შეუქმნიათ სამამულო ომის დიადი ეპოპეის ღირსეულად ამსახველი დიდი ტილოები“ (ლ. პ. ბერია).

ზემოდაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა ადგენს:

დაევალოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ახლადარჩეულ ხელმძღვანელ ორგანოებს:

1. დაუყოვნებლივ დაამუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ რეზოლუციაში აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებისათვის და ამთავითვე შეუდგნენ მათ განხორციელებას.
2. გადაჭრით განამტკიცონ კავშირის იდეური მოღვაწეობა, მწერალთა შორის იდეურ აღმზრდელობითი მუშაობა.
3. შეუწელებელი ბრძოლა აწარმოონ მწერლობაში უიდეობის, აპოლიტიკურობის, საბჭოთა მწერლობისათვის მიუღებელი თეორიის „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“ წინააღმდეგ, მწერლობაში მხატვრული ხარისხისადმი დაუდევრობისა და გულგრილობის წინააღმდეგ. შეურიგებელი წინააღმდეგობა გაუწიონ მწერალთა შორის ურთიერთ ხათრისა და პირად მგვობრულ თუ ჯგუფურ დამოკიდებულებათა ისეთ გამოვლინებას, რომელიც ეწინააღ-

მღეგება სახელმწიფოებრივი და სახალხო ინტერესების თვალსაზრისით მწერლობის ამა თუ იმ მოვლენის შეფასებას.

4. გადაჭრით გააუმჯობესონ კავშირის სექციებისა და კლუბის მუშაობა, აქციონ ისინი ნამდვილ შემოქმედებით ლაბორატორიებად, მწერალთა ჯანსაღი შემოქმედებითი ურთიერთობის კმედას კერებად.

5. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სამხატვრო-სალიტერატურო ეურნალ-გაზეთების რედაქციებისა და მხატვრულ-ლიტერატურულ გამომცემლობათა მუშაობაზე. საფუძვლიანად გარდაქმნან ეურნალ „მნათობის“ რედაქციის საქმიანობა, სისტემატურად მოისმინონ რედაქციებისა და გამომცემლობის საანგარიშო მოხსენებანი და პერიოდულად მიეცეს მათ საქმიანობას ობიექტური შეფასება.

6. დაუყოვნებლივ იქნას მოგვარებული ახალგაზრდა დამწყები მწერლებისათვის იდეურ-შემოქმედებითი დახმარების აღმოჩენის საქმე.

7. გააძლიერონ ყურადღება და მზრუნველობა საბავშვო ლიტერატურის მიმართ.

8. გადაჭრით გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა მწერალთა კავშირის განყოფილებებზე.

9. შესწავლილ იქნას თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის და სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და გატარდეს ღონისძიებანი ამ დარგში არსებული ჩამორჩენილობის დასაძლევად.

10. გაძლიერებულ იქნას მუშაობა მომწე ხალხთა მწერლობასთან ქართული მწერლობის შემოქმედებითი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ყრილობა ავალებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ახლად არჩეულ ორგანოებს დარაზმონ და აამოქმედონ ქართული ლიტერატურის ყველა სასიცოცხლო ძალა იმ მითითებათა სრულად განხორციელებისათვის, რომლებიც მოცემულია საქავშრო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 14 აგვისტოსა და 26 აგვისტოს დადგენილებებით. ყრილობა მოუწოდებს ყველა ქართველ მწერალს, სამწერლო ორგანიზაციებს, რედაქციებსა და გამომცემლობათა ხელმძღვანელებს ისეთივე თავდადებით ჩაებან ჩვენი სამშობლოს ეხლანდელ გამირულ ბრძოლაში მეოთხე სტალინური ზუთწლედის განხორციელებისათვის, როგორი თავდადებითაც ისინი ემსახურებოდნენ დიდი სამამულო ომის პერიოდში ძლევა მოსილ საბჭოთა ხალხს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა პირობას სდებს ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიისა და პირადად დიდი სტალინის წინაშე, რომ საქართველოს მწერლობა განუხრელად განახორციელებს პარტიის ყველა მოწოდებას და მითითებას, იგი არ დაზოგავს ძალასა და ნიჭს ჩვენი დედა სამშობლოს ძლიერებისა და დიდების საქმისადმი სამსახურისათვის, დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი ლიტერატურის შექმნისათვის.

## გ ი ბ ლ ი ო გ რ ა უ დ ი ა



დავით სულიაშვილი — „სურაბის ციხე“

სურამის ციხის თქმულება კართველი ხალხის გენიის წარმატებული კმნილებაა. ამიტომაც ბუნებრივია, თუ ამ თქმულებას დანიელ კონჭაძის გარდა, ჩვენი დროის მწერლებიც მოუხიზრდებიან.

თუ სურამის ციხის თქმულება ორგანიზებული დანიელ კონჭაძის შემოქმედებით მსოფლმხედველობისათვის, დავით სულიაშვილისათვის, მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს გარდა, ორგანიზულია ბიოგრაფიულადაც. მის პირველად თვალი ამ ციხე-სიმაგრის ზღუდეებთან ახებლია და მის მიდამოებში აღზრდილია. ამასთანავე, თუ გაერთიანდებით ავრთვე მის შემოქმედებითს ხასიათსაც, კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია, რომ მას სწორედ ამ თქმულებისათვის მოუკიდნია ხელი.

დავით სულიაშვილი ისეთი მწერალია, რომელსაც რეალურ საფუძველს გაძევე წერა არ ეხრებოდა. მისი ფანტაზია, მისი შემოქმედებითი ინტრიგი უსათუოდ გარებობებს მოითხოვს. მისი შთაგონება იმდენად საზრდოობს, თუ მის ნაწერებს თვალს გადავხედვით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა მის მოთხრობას, საფუძველად პარადოქსიკული ან ნახელი ამბავი უდევს. შთაგონების წყაროს იგი თითქმის მუდამ რევოლუციურ წარსულში ჰპოვებდა. ამ მხრივ მისი „თველორე“ და „სურამის ციხე“, იშვიათ გამოჩაჩაღის შეადგენს. მაგრამ, თუ მოვხიზრებთ, რომ იგი მუდამ გარებობებს საკირობას, მაშინ ეს არ ჩვენიც მისთვის ჩვეულებრივია. უნდა ვთქვათ, რომ ეს არ არის ნაკლი, ეს შემოქმედებითი ხასიათია მწერლის.

ზოგიერი მწერალი თავისი ფანტაზიის ზიძვს მუდამ სინამდვილეში ჰპოვებს. იგი სინამდვილეში ეძებს საყრდენს რეალური პროტოტიპების, ტიპოლოგიის, სტრუქტურის პასაჟებისათ

სმარტი ან სახასიათო თქმების სახით. ზოგიერი შემოქმედებითი ძალი მწერლისა მდგომარეობს იმაში, რომ მან ამ მასალის ორგანიზული გარდაქმნა შესძლოს და მით იგი თავისი ამა თუ იმ მოთხრობის სტრუქტურს ბუნებრივად დაუქვემდებაროს. მან უნდა შესძლოს კომპრეტობაში დანახვა ზოგადისა. ჯერ კიდევ ანატოლ ფრანსის სწოდა, რომ ფანტაზია არ მყოფნისო. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავით სულიაშვილს არ ვაყენებთ ანატოლ ფრანსის გვერდით, მაგრამ მავალითად მიანიც მოგვუყავს, რადგან იგი ის გამაღიფებელი შინაა, რომლის შემწეობითაც ამა თუ იმ ნაწარმოების ნაკლი კიდევ უფრო მკაფიოდ მოსჩანს დავით სულიაშვილის წინაშე მით უფრო მწვეველ სდვას. ფანტაზიის, სიღარიბის სკიოთხი.

მოთხრობას „სურამის ციხე“, როგორც ვიცით, საფუძველად ხალხური თქმულება უდევს. ავტორს ამოცანად დაუსახავს ამ თქმულების ბორცვსა. როდესაც რომელიმე ავტორი რაიმე ცნობილ სტრუქტურს იღებს დასამუშავებლად, იგი უსათუოდ ახალი კეთილიდან უნდა გასკვირტოს. დავით სულიაშვილს უცდია ეს ახალი კუთხე მოეძებნა და ცნობილი თქმულება სულ სხვა სახით გამოეჩინა. მართლაც მას ცდია არ დაუცლია, რომ ეს თქმულება როგორმე გაეცოცხლებინა, ე. ი. მისთვის რეალისტური სული ჩაეღვა. თავისთავად ისმის საკითხი: შინაღწია თუ არა ავტორმა დასახულ მიზანს. შესძლო თუ არა ამ თქმულების შემოქმედებით სულით გაეცოცხლება? ფაბულა მოთხრობისა ამგვარია: დედისერთა გლეხის ბიძს სურამსა და სურამის ფეოდალის მშვენიერ ასულს ციციანოს უყვართ ერთმანეთი. ჯერ შეუყვებულად, ხალხურად, შემდეგ შეგნებულად, ვარკაცურად. მათი სიყვარულის ზრდის განმეგ-

დაბაში სამშობლო საფრთხის წინაშე დგება. მტერი შემოსევითა და მიწასთან გასწორებით იმუქრება. ხალხი საგონებელში ჩავარდა, მით უფრო, რომ მტერმა ქვეყნის საზღვრები გაღმობა. ხსნა თითქოს არ სჩანს. ასე გასინჯეთ, ქვეყნის შუაგულის შემოსავალ არიბ-ში ხალხს ციხე-სიმაგრე არ გააჩნია, რომ გასაქირის დროს თავი დაიფაროს. და, აი, საქართველოს მეფის ბრძანებაც მოდის: ბრძანებთ: სურამში, სადაც ქართლის, მესხეთისა და იმერეთის გზათა შესაყარია, ციხე აშენდეს. თუ მოვიგონებთ სურამელ ერისთავთა სიგელმუსა და მათ რაღას საქართველოს ისტორიაში, წათელი გახდება, თუ რა მნიშვნელოვან ცოტადელს წარმოადგენდა ერთ დროს სურამის ციხე. მაგრამ უხედურებაც ის არის, რომ ამ ციხე-სიმაგრის ზღუდეს ამოყვანა არ ხერხდება, აშენებინათანავე ინგრევა. მტერი თახდათან ახლოვდება. იგი რაშისკარშია, სულ რაღაც ნახევარი დღის სავალი გზით არის სურამს დაშორებული. ხალხი სასოწარკვეთილებშია ჩავარდნილი. ზურაბი ამ დროს შინ არ არის. იგი სტუმრადაა წასული და არ იცის, თუ რა ხდება მის სოფელში. ამ დროს ციხესთან გამოჩნდება ერთი ღრმადმოხუცებული კაცი — ეჭვით, რომელიც ისე მიხრწნილია, რომ კარში გამოსული თვით დროულ კაცებსაც არ უნახავს. იგი უზრად აფელის ჯერა აუშვებელი ციხის ნანგრევებს და ხშირმოუღღწლად გაბრუნდება შინისკენ. ეგზირა, რომელსაც ციხის აშენება აქვს დაეღუბული, მოხუცე მაშინვე შინ ეწვევა. მოხუცი ეუბნება, რომ მას გამოცხადდა ღმერთი და უბრძანა: — ცოდვიანია დროად ხალხი და ვიდრე იგი არ გაიღებს მსხვერპლს, არ აშენდება ციხე. ვერ დაშარკებებს მოზღვავებულ მტერს, თუ აქედელში არ ჩაებრუნება (sic!) დედის ერთა ვაჟი. მაშინ განიბანება ერი ცოდვებისაგან და განსაცდელიც ასცდება თავიდანო“.

ეგზირა შეწუხებულია, არ იცის რა ქნას. ასეთი მძიმე მსხვერპლის გაღება იმასაც ეუბნება. ამ დროს ჩამოდის ზურაბიც. ამ აშავს რომ შეიტყობს, გადასწყვეტს. — თავი გასწიროს ხალხისათვის. იგი დედისერთა და თანამაა ჩაპირან ციხის კედელში. ეს იმ დროს ხდება, როდესაც ფეოდალის ასულს ციხის სურამის მტრაც თავადი ხოსრო ცოლად ირთავს. ზურაბს მართლაც ჰქირავენ ციხის ზღუდეში. იმ დროს, როდესაც კალატოზებმა მას ტანსაცმელი ქვა უნდა დაადგან და მით საბოლოოდ გამოათხოვონ წუთისოდელს, მოხუცი კვლავ გამოჩნდება ციხის მახლობლად და ბრძანებს, ყმაწვილი გაანთავისუფლონ. „ხალხო, — მიმართავს იგი ხალხს, — მისი (ე. ი.

ზურაბის, ე. შ.) თავგანწირვა, მისი გმირობა და თავდადება საწინდარად გაუდგა ხალხის ცოდვების გამოსყიდვას. უცნაურად მისი განთავისუფლება“.

ამ დროს ციხილიც აქ არის. მას, გულშეწუხებულს, ძლიერსლოებით მოაბრუნებენ, რის შემდეგაც იგი ცოლად მიჰყვება ზურაბს. ხოლო ციხე დაუბრკოლებლივ შენდება.

ასეთია ფაბულა „ზურაბის ციხისა“. ჩვენ ვცითი ხალხური ლეგენდის იდეა. იგი შეაკრია თავისი შინაარსით, მაგრამ ლოგიკური და მართალი. ციხე-სიმაგრე თვით ხალხი და იგი მოითხოვს უდიდეს მსხვერპლსა და თავგანწირვას, და მართლაც, დედისერთა უნახკო შეიღზე უფრო დიდი მსხვერპლი ხომ არა არსებობს რა?

ასევე ღრმა დანიელ კონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ სუვეტა და მისი ანალიზით ჩვენ აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებთ.

ამის შემდეგ თავისთავად ისმის საკითხი: როგორია იდეა მოთხრობა „სურამის ციხისა“? რა არის ეს, ჯერ ჩაიკრება მსხვერპლისა და შემდეგ, როდესაც სიყვლილი უკვე ვაჩვენოლია მისი განთავისუფლება? ეს აშხავს ოდნავ ბრამის ბიბლიურ მსხვერპლშეწირვას მოკვავონებს, მაგრამ იქ ღმერთი სედის შშობელ მამას. ეს ბიბლიური მოტივი, უნდა ესთქვათ, ვერ არის ამ მოთხრობაში მარჯვედ გამოყენებული.

მოთხრობაში ღმერთი სჯის ხალხს რაღაც შეუდომისათვის და თვით სურამი აქ წარმოდგენილია რაღაც სოდომის მსგავს ქალაქად. თუ ეს ასეა, მაშინ ისმის საკითხი: რა დაამავეს, ან რა ცოდვა ჩადინეს სურამელებში, რომ მათ ასეთი მძიმე მსხვერპლი უნდა გაიღონ? ეს ცოდვა მოთხრობაში არა სჩანს და, თუ არ სჩანს, მაშინ იგი არც არსებულა, რადგან მოთხრობის იქით თუ რას გულისხმობს ავტორი, მითხვევს არ ეცება. ამგვარად მოთხრობის სუვეტის მთავარი კენძი ვერა გასკენილი და ამიტომაც სუვეტი გაუმართავია, რის გამო მოთხრობას სული არ უდგას, იდეა არ გააჩნია.

ამის შემდეგ ვისაგები ხდება, თუ რად არ ახასიათებ. მოთხრობას ის ცენტრადობა, რომელიც ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს წარმოცად ხდის. ყოველი კარგი ნაწარმოებს წარმატება კომპოზიციის მთლიანობა შს გამოიხატება და კომპოზიციურ მთლიანობას ეი უზადო სუვეტი და მისი ცენტრადობა კქმის. რაბან ასეა, მაშინ ისიც ბუნებრივია, რომ მოთხრობის დანარჩენი კომპონენტებიც ზადიანია.

განვიხილოთ ეს კომპონენტებიც. ყველაფე-

რა და, მასთანადე, მოთხოვნის სუვეტიცი, იმთავითვე მოცემულია დროსა და სივრცეში. არის თუ არა დაცული დრო ან ეპოქის სტილი მოთხოვნა „ზურაბის ციხეში“? ჩვენ არ გამოვლდებით იმას, თუ როგორ აგვიანებს მტერი შემოსევას საქართველოში. იგი ტაშის-კარში დგას და თითქმის განზრახ ეღის ციხის აშენებასა და თავისი მზაკრული გვეგების ჩაფუშვას. ხოლო მთავარი ის არის, რომ მოთხოვნაში არ არის დაცული ეპოქის თუნდაც პირობითი სტილი. ეპოქის სტილს ანუ პის მისამართს წარმოადგენს ენა ან დიალოგი, ობობასტაკობი ან რეალიზმი, ყოფა-ცხოვრება ან გეოგრაფიული ნომენკლატურა, აქ საქმეს ტაშისკარის სურამისა და იტრიის ზეგება სრულიად არ შეეღის. არ შეეღის საქმეს არც უცნაური ტერმინი „მეწინავე მედროზე“. როგორც ვიცით მთელი საქართველო ისტორიულ წარსულში იმთავითვე სადროშოებად ანუ ელანგებად იყო დაყოფილი. ეს ტრადიცია იმდენად მტკიცედ იყო დადგენილი, რომ მთი აღრცევა არასდროს არ იქნებოდა. საქართველოს ისტორიამ იცის ფაქტი, როდესაც ამ აღრცევის გამო ომის გადამწყვეტ მომენტში ლაშქრის ერთი ფრთა სრულიად მოიხსნა და ბრძოლაში შესვლაზე უარი განაცხადა. მეწინავე დროშის ერთ ნაწილს წარმოადგენდნენ აღრინდელ ეპოქაში შესანი, ხოლო უფრო გვიან საბარათიანოელები (სამხრეთი ქართლი). გაუგებარია, რა „მეწინავე მედროზეზე“ ლაშქარია „ზურაბის ციხეში“, ან რა არის ზევის „არტილია სენთეკა“, რომელიც ძირითადად არღვევს ისტორიულ სტილს? როგორც ვხედავთ, მოთხოვნაში არც ერთი მომენტია, არც ისტორიულობისა და არც ლეგენდურობისა, არ არის დაცული და მით ნაწარმოები დროის გარეშეა დაყენებული.

არც სხვა მხრივ არის ამ მოთხოვნაში ქველადეობა წესრიგში. ჩვენ არ ვიცით, შავლობადა, სად იყოფება ამ გადამწყვეტ წუთებში საქართველოს მიფე. ყოველივე ეს ყოველ კონსტრუქტორადა გამოცემული და მოთხოვნის არც ისე ვიწროა, თითქმის საქართველოს აკლბისათვის მხოლოდ სურამის ახორება იყოს საკმაო. მას არ გააჩნია საბე-ები. მას არ გააჩნია უკანა პლანი ანუ ფონი, რომელზედაც უნდა იქარგებოდეს დიამაზობი ანუ გრძობა სივრცისა, რომელიც აცოლებულია თქმულების სუვეტიციათის და რაც ვერც მდარდულად ახასიათებს დანიელ კობეპაის თითქმის ამავე ზომის მოთხოვნას.

საყურადღებოა, ვინ არიან ის გმირები, რომლებსაც ამ მოთხოვნის ამავე მხარით მი-აქვთ? ესენია არიან: მეფის ვეზირი, რომელ-

საც ციხის აგება აქვს დაგეგმული; დროდა-ლი ამახაც, რომელიც მოფხეზებში, ციხის, ქრანს, შავრამ დახულოც განვითარებში ცოცხელს კონ-ნაწილეობას იღებს; ციციო, ანაბაის ანულო, რომელსაც ზურაბი უყვარს და ბოლოს ცო-ლადაც მიჰყვება მას; ხოსრო, აზნაური, რომელსაც უყვარს ციციო და ბოლოს გაწი-ლებული რჩება; ზურაბი, გლეხის ბიჭი, რომ-ლის გამო ჩვენ უნდა საქმიოდ ვილაპარაკოთ და ის მოხვეტი, რომელსაც ლმერთი გამოეცხ-და. მოთხოვნაში მხოლოდ მოხუცის გარე-ხობაა გადმოცემული, ისიც ფრესკულად, რაც უსათუოდ მართებულია. ამ მოხუცს ვარდა ჩამოთვლილია გვირჩი რადაც მათემატიკურ უცნობებს წარმოადგენენ. ჩვენ არც მათი გარ-განობა ვიცით, არც ჩვენები, არც შეტყვე-ლებმა და არც სხვა თვისებები, რაც მხოლოდ მათ გააჩნიათ და ერთურობისაგან განასხვავებ-ბენ. ამას ვარდა გვირჩა მოქმედება გაუმართ-ლებელია და არამოტივირებული, დიალოგები უფერულია და არადამახასიათებელი და მას ავტორის ტექტიდან ვერ გამოარჩევ, ანუ ცე-ბით რომ არ იყოს გამოყოფილი.

მოთხველს არ აღუღებს ზურაბის არც სი-ყვარული და არც მისი ჩაკირება ციხის კე-დელში, რადგან ისინი ცოცხალი არ არიან. ჩაკირება, ეპიზოდი თითქმის ამაზრზენი უნდა იყოს და მოთხოვნაში პირიქით გამაბეზრე-ბელია და გაკინაწრებული.

მოთხოვნა საესეა არადამაჯერებელი სი-ტუციაციებით, შავალითად, ქარწილის ჩაშლა და ისეთი დიდი ფეოდალის ასულის სრუ-ლივ დაღუბკოლებული გეგარისწერა გლეხის ბიჭ ზურაბთან, როგორც ციციონია. სად არის აქ ის პატრონაჟური ან ბატონაჟური ურთი-ერთობა ფეოდალსა და მისი ყმის შორის? მო-თხოვნის სიტუაციების მიხედვით არც ვი-ცით, ვინ არის ზურაბი? — ფეიქრობთ, რომ ერთი უსაქმო ახალგაზრდა უნდა იყოს მხო-ლოდ ცხენს დაჰყენებს, ისიც მუდამ უშიწოა და მხოლოდ ავტორის რემარკით ვიცით, რომ სადღაც „მეწინავე მედროშესთან“ სამხედრო საქმეს სწავლობს. ამას ვარდა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმისაც, რომ ისტორიულად ამაზრზენი დიდგვარიანი აზნაურები იყვნენ, მაშინ ციციო ანაბაის ასეთი სიახლოვე გლებ ზურაბთან დაუგერბებელია, ყოველ შე-მთხვევაში, არ არის საკმაოდ მოტივირებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეპიზოდი ციცი-ონის, ზურაბისა და ხოსროს გამგზავრებისა დე-ვის გამოკვებულის საძებნელად რომან „ვიმ-ტორიას“ ერთ ცნობილ ეპიზოდს მოგვაგო-

ნებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხრობაში არ არის წინაგანი მოხილოები. ყველაფერი ვარეთა გამოტანილი და მით შედგურ ფუსფუსს აქვს ადგილი. მოთხრობაში არა დამახასიათებელი დეტალები, არის მხოლოდ ისეთი წვრილმანები, რომლებიც სუეტს არას მბატებენ.

მოვიყვანო აქ ავტორის სტილის დასახასიათებლად ერთ-ერთ მაგალითს:

„ზეზდგომები დარბოდნენ, მომშვეეს ვაჩერებულს არ ტოვებდნენ. კალატოზები შეტა დაკვირვებით, თან აჩვარებით ამოძრავებლეს მკლავებს, ახარუნებდნენ კაფჩებს, აწყობდნენ გეებს, ლესაედნენ ქედელს. დურგლები ამალლებდნენ და ავრძებლდნენ ხარახობს. ყველას მიჰქონდა ან მოჰქონდა რამე, პირბოდა, მორბოდა, აწვდიდა, ეხმარებოდა, იღებდა, შიათრედა, შიავორებდა...“ (გვ. 117) .

შეიძლებადა სხვა მრავალი მაგალითების მოტანა, მაგრამ, ფიქრობთ, ესეც საკმარისია. მოთხრობის ფაბულა, მიუხედავად მისი ხალხური საფუძვლის სიმდიდრისა, ღარიბია, მკრთალი და სტატურირი. გვირებს არ გააჩნიათ არც ინდივიდუალობა და არც ხასიათი, არ არიან ერთობლივან წინაგაფრებით დამოკიდებულნი და მოქმედებენ არა წინაგანი იმ-

პულსების მიხედვით, რაც მათ არ განზრათ, არამედ ავტორის ნებით, ე. ი. შექმნილია და ამიტომაც კოლიზიებიც ამარსკმელსმსმსნ-და, თუ არსებობენ, არ არსებენ. წინაგანი მბუნება არ არის აუწყვრილი სუეტის დამოკიდებით და მოკლებულია კონკრეტულობას სურამის ლანდშაფტი არ არის გადმოცემული თავისი დამახასიათებელი შტრიხებით. არ არის დახატული საცხოვრებელ სახლთა არც ინტერიერები და არ არის გადმოცემული არც ისტორიული რეალები. ჩვენ ისიც არ ვიცით, როგორია ეს დაბა, სადაც ცხვრ შენდებო და სადაც ასეთი ტრაგედია დატრიალდა. მთელი ამბავი მოთხრობისა გადმოკიდებულა ჰაერში და მოკლებულია იმ რეალურ საფუძვლებს, რომელიც სტეტიის საყრდენს უნდა წაოზოად-გინდეს. ამის გამო მოთხრობა ვერ აღწევს მკითხველამდე.

ჩვენ არ მოვიტოვებთ, რომ შევჩალი სწერდეს უსათუოდ არავეულებრივ ნაწარმოებს. მაგრამ იმის მოთხოვნის უფლება მაისც გვაქვს, რომ იგი აკმაყოფილებდეს ლიტერატურის ელემენტარულ მოთხოვნებს. ჩვენ მხოლოდ იმას მოვიტოვებთ, რომ მან ეს ტვირო, რომლის ზედვეც შევჩალიშა იქისა, როგორც ძინეც მითანოს მკითხველამდე.

დამხა შეხვედრა.

ბაკაბი ბელინაშვილი—ი უ მ. რ ი



შატერული შემოქმედებას ასეთს ეანრს, როგორც ჰუმორია, ჩვენში ძლიერი წარმუ-მადგენლები ჰყავს. საკმარისია დედასახელოთ თუნდაც უყვადი დავით კლდიაშვილი, რომელმაც ეს ეანრი დიდ შატერულ სიმალეზე აიყვანა. ჰუმორი დავით კლდიაშვილმა გამოიყენა განსაზღვრულა სოციალური ურთიერთობის ასახვისათვის. ამ შემთხვევაში მწერალმა მიმართა არა შემტევ, გამანადგურებელ სიკოლს — სტირისს, არამედ შეკავებულ, ცრემლით შერბილებულ სიკოლს—ჰუმორის იმ მიზნით, რომ აესახნა წინააღმდეგობანი, რომლის დაძლევაც მის მიერ გაცოცხლებულ გვირებს არ შეეძლოთ პირობათა შეზღუდულობის გამო. დ. კლდიაშვილის ეცოდება ადამიანი, არც ერთი მისი გვირი არ არის დამაწვე, ისეთ სოციალურ ფონ-

ზე არიან ისინი გამოყვანილნი. დ. კლდიაშვილის ჰუმორი ამასთანავე ღრმა საზოგადოებრივ მოვლენებს ხდის ფარდას, ნიღბს ხდის იმ სოციალურ უკუღმართობას, რომელსაც იგი ხედავდა ცხოვრებაში. დ. კლდიაშვილის ჰუმორი გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურება, იგი ღრმა შინაარსითაა გაღვნილი, პოზიტივი საზოგადოებრივი იერით გამოირჩევა. ასეთია ქართული კლასიკური ჰუმორის ტრადიციები ჩვენში.

საბჭოთა ჰუმორი, როგორც გარკვეული ეანრი შატერული შემოქმედებისა, უნდა იზამოდეს იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომელიც ჩვენს ხალხს აქვს დასახული, იგი უნდა იზამოდეს ახალი საბჭოთა პოეტის განმტკიცებისათვის, უკანასკნელში იმ



უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრისათვის, რომლებიც გარდამონაშთების სახით არიან შემორჩენილნი. საბჭოთა პეშორი უნდა ეშა- ზტრებოდეს ერთადერთ მიზანს: საბჭოთა ადამიანის აღზრდას, მასში ძველი ყოფიდან გადმოსვლად მეშინარი განწყობილების, წარღ- მანერ მდგრადების დაძლიებას. საბჭოთა პეშორი არ შეიძლება იყოს აპოლიტიკური, უდიდო, ნეიტრალური, თავისთავადი, გასარ- თობად საკითხავი.

თუ ამ თვალსაზრისით მივუღებთ ავ. ბე- ლიაშვილის კრიტიკას, რომელშიც პეშორის- ტული მოთხოვნებია გავრთიანებული.—ხევა თვალსაზრისი კი მხატვრულ ნაწარმოების შეფასებისთვის არ აჩვენებს, დაინახავთ, რომ იგი მოაღიბოლია საზოგადოებრივ ინ- ტერესს და წარმოადგენს უფრო თავდასარ- თობ წიგნს, რომელსაც ერთადერთი მიზანი დაუდებავს: რაღაც არ უნდა დაუჯდეს, კეთ- დიველი ვაკონოს. სამწუხაროა, რომ კრე- ბულში მოთავსებული მოთხოვნების ლიტერ- სობა ეხება მეტაო წერტილს. ობიექტური ხასიათის საკითხებს ისიც გარდაკლ იტოვ- რებისას; მოთხოვნათა უმეტესობაში არ სჩანს ნათელი მხარეები ჩვენი ყოფისა, არ ჩანს ზრდილა საბჭოთა ყოფის განმტკიცებისათვის.

ავ. ბელიაშვილი კი ახალი პროზის ერთი ავღასაინო წარმომავიენილია. მისი წერის მანერა გამაირჩივა ტიპიკურებით და სუ- ვეტის საინტერესოდ გაშლით.

ავტორს ეტყობება ამის ისე მოყულა, რომ იგი იტაცებს მკითხველის ყურადღებას. აქვს დაჯივრებული თვლი.

კრებულში მოთავსებული მოთხოვნები მა- ჩვენებელია იმისა, რომ ავ. ბელიაშვილი და- ჯილდობებულია ნასკვის შექმნის კნაით, პეშორის გრძობით, საჭიბორატო მოვლე- ნების გამორჩევის ნიკით. მაგრამ შიილი ნა- ლი კრებულში მოთავსებულ მოთხოვნებისა ის არის, რომ ავტორი სიუეტის ვაზლის ტყვეობაში მოქცეულია. მისთვის მთავარია, არა ამითიმ საზოგადოებრივი მოვლენის სო- ციალური ბუნება, არამედ მოთხოვნაში მო- უღოდნელი სიტუაციების შექმნა, მოთხო- მის გარეგნოლი ფაქტურა. ამხ. პეტრე შა- რიამ საქ. მწერალთა მისამე ყრილობაზე ავ. ბელიაშვილის შემოქმედების შესახებ სთქვა: „საერთოდ ეტყობა, რომ უიქველიად ნიჭიერი პროზაიკოსი ა. ბელიაშვილი უფრო ვატყობულია დამონტერესებელი სიუეტით, ვიდრე მასლის. აკრძოდ ენობრივი მისაღის მხატვრული დამუშავებით; ის გადაპარბებოლ- როლს ანიჭებს სუეტს, ხშირად მისდევს სუ-

ეტის „პიკანტობას“ და ნაწარმოების იდეო- მხატვრული ლირება იმწყვეტს“ წყულს.

მათილაც მწერალი სუეტის სუეტუნებას თითქმის ყოველ მოთხოვნაში მეტად ორიგო- ნალურ მიმართებას აძლევს: ავტორი ცდი- ლობს შექმნას მოღოდნელი სიტუაციები და ამ ცდაში ფანტაზიის სიმეიდრესაც იჩენს; თითქმის ყოველი მოთხოვნის ბოლი სუე- ტის მოღოდნელ განვითარების პრინციპზეა აფებული. თავისთავად ეს მეტად საინტერესო მეთოდი მოთხოვნის აფებისა მწერლის წინა- შე უმეტეს შემთხვევაში დაუძლეველ საფრ- თებს ქმნის. მას იტაცებს მოთხოვნის აფების ფორმალური მხარე. მის მიხნად რჩება აღ- რას მკითხველში მხიარული განწყობილება დამოუკიდებლად იმისა, თუ ყოფის რა საჭირ- ბორატო საკითხია აღძრული ამათიმ მოთ- ხრობაში, რა მისალითა იგი შეფერაილი და რა მორალი უნდა გამოზდინარებდეს მის- გან. ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ საჩეკუნოო კრებულში მოთავსებული მოთხოვნები, უმრავლესობა მკითხველის ინ- ტერესის გარეშე რჩება, მასში არ იწვევს აზ- რის მოძრაობას, გამოუსადეგო ხდება მის- თვის როგორც ზრდილის იარაღი. მოთხო- ნების იდეური ზრდილო ძალზე შეზღუდუ- ლია, ყოფის ისეთი წერილმანებია მათში მო- ქცეული, რომ ყურადღების ლირადაც არ ლირს. უზრალი სასერო ამბების მოყულა და ექსცენტრიული სიტუაციები მიხანს ვერაფე- თარ შემთხვევაში ვერ აღწევს.

მოთხოვნების მხატვრული-იდეურ სიღარი- ბეს ხელს უწყობს ის ეფეგარული, ობიექ- ტული თქმები, რასაც უხვად იყენებს ავ- ტორი, მითვის განსაზღვრული კოლორის მისაცემად და ამათიმ გმირის ხასიათის გა- ხსნის მიხნით. ეს მეთოდი ვერ აღწევს მი- ზანს.

კრებულში მოთავსებული პირველი მოთ- ხრობა „მეხვედრა“ წარმოადგენს მკორე გამო- ნაკლის, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრე- ბაში მომხდარ ძირეულ გარდატენას ასახავს. მოთხოვნის პირველ ნახვევაში აწერილია გლეხი სარიდანის დაბეჭავებული, უფულემო ცხოვრება მენშევიტერ საქართველოში, და არჩვენების ტექნიკა, რომელსაც მენშევიტები მიმართავდნენ; მეორე ნახვევის ონად მო- ცემულია ახალი სოფელი, საბჭოთა, საკოლ- მერტნეო სოფელი, სადაც სარიდანი უფე წელში გამართული კოლმეტრნე გლეხია. უმა- ლეს საბოში იარევენ სარიდანს, მილიონ- ნერ კოლმეტრნეობის წარმომადგენელს, ბე- ჯიოს, მუყათის, მშრომელ კოლმეტრნეს მოთხოვნაში ამ კონტრასტული სერითები.

დახატვასთან ერთად სასაცილო მდგომარეობაში აჩიან ჩაყენებულნი ნაბოლარები კოსტა ბალაურა და ლადო გოცაძე. აღნიშნული მოთხრობა საზოგადოებრივად აქცენტირებულია, თუმცა ერთი უმართებულობა მასაც ახასიათებს. მოვიყვანთ ამ ადგილს:

„— ძალიან კი გამოცდილია ეს რაიონი— ეგრე მოასწრო თქმა კოსტამ, რომ ამ დროს, თითქო ყურის ძირში, დაიკვება სასულე ორკესტრმა და ფანჯარასთან ჩაიარა მწყობრად გამართულმა კოლონამ.

— ესენი ჩაის მეურნეობის კოლმეტრები არიან, — სთქვა ლადომ.

— ისინი ვილა არიან?

— რაშელი? წინ რომ ფიხელტურელები მიუძღვიან? ისინი ქარხლის მეურნეობის კოლმეტრები.

— ქარხლის?

— კო, აქ შეჭრის ქარხანა რომ ააგეს, არ გაგიგონია? ა, აგერ მოდიან იმ ქარხნის მეურნეობი.

ამ ამონაწერით რაიონი ლოკალიზებულია. მოქმედება წარმოებს განსაზღვრულ რაიონში, სადაც ქარხლის ქარხანაა აგებული. ამ რაიონში კი არავითარი ჩაის კოლმეტრები არ არსებობს. ჩაისა და ქარხლის კოლმეტრები ერთად საქართველოს არც ერთ რაიონში არ გვევლინება. ამას გარდა ავტორს ერთგვარი დაუზღვერობა ეტყობა შხატურული ენის დამუშავების მხრივ: „ამ ოციოდე წლის წინათ, ამავე მოედანზე, აი იქ, ახლა რომ ბაშკის შენობაა, იქ იდგა ერობის საბლი, და იქ, გაიძვრა მენ-შევიკები დამფუძნებელი კრების არჩევნებს ატარებდნენ“... ერთ წინადადებაში სამჯერ არის გამოყენებული იქ. საერთოდ მოთხრობის ენა მოშვეებულია, აკლია სტილის გრძობა.

მოთხრობების გმირები ჩაი კაცები, ძალზე შეზღუდული ინტელექტით, უცნაური, ხშირად ავადმყოფური ხასიათის საქციელით ზნე-ადრთებით, გმირთა უცნაურ ხასიათზე აგებს ავტორი სუბტილურ ქარავს და ამისი მოყოლის მშვენიერი უნარს ახრბიდან დაიკვლ ამო თუ იმ მოვლენის აღწერას ანდობებს. მხოლოდ ერთი წინადადება ამჟღავნებს მოთხრობაში „წერილი და გვირგვინი“, რომ ეს ამავეი საბჭოთა სინამდვილეში ხდება. ამ წინადადებაში ლაპარაკია ჩაის პლანტაციებსა და კოლმეურნეობა სარემონტო ბრიგადაზე. სხვადრეც არც გმირების ხასიათი და არც ცხოვრების საერთო ფონი, რომელშიც მოქმედება ვითარდება არ გვაგრძობინებს დროსა და თარიღს. სუბტი ანე-

კლოტური ხასიათის, სოციალურ უკმაყოფიანს მოკლებულ ამბავზეა აგებული. კოვიციის უფის ზოგიერთი დეტალური აღწერა ავტორი ამუშავს ფერებს, არსებობს: ცხინქვეტე-ლი უკანასკნელი სცენა, მიუხედავად ესმას უცნაური ხასიათისა: დედ-მამა ცოცხალ ქალიშვილს სტირის. მოთხრობის გმირები ასეთი ბაზრული ენით ლაპარაკობენ: „რა ღირს, ბო-შო, შენი ვენოკები? ჭრა ღირს, პახლედნი ფასი, შენი ვენოკი? ასეთი ნატურალიზმი დაილოცის აგებისას მოძველებული ხერხია.

მოთხრობაში: „გასტროლიორი პროვინციაში“ გადამკობებით არის ხაზგასმული ჩვენი პროვინციის უცუღტურობა, ჩამორჩენილობა. იგი ასე ზგვიწერს ახალუნაეის სასტუმროს: „ამდენი ბაღინჯო და რწყილები მას არსად არ უნახავს, განგებ ხომ არ შეუსიეს ეს წყეული „მხეცები“. ერთ ხელი-ოდე გირვანქას მაინც დაიკვებს ამაღამ ამ წყეულ სასტუმროში. ან ეს რა უბედურებაა, ასეთ მყარად სუნს რომ აყენებს ოთახში, რასაკვირველია, პირისაბან ვედროდან ძველისძველი პირისაბანი წყალი და შარდი ამოყარა. ვტპ“. უცუღტურობის დაღი ატყვია თითონ ხალხს, საზოგადო დაწესებულებებს. თუ კიდევ დასაშვებია და მოსათმენია მენა-ნური ფენების ხასიათის გამოსახატავად ასეთი ენის გამოყენება, რომლის ნიმუში ზემოთ მოვიყვანეთ, გაუმართლებელია იგი თეთი ფეტრის რემარკებში: „პოლბის გამგე უსატყეოდ შებრუნდა და ისევე თავის ხელოვნების ტაძრისაკენ მოუსვა“. ეს არ არის ხალხური გონებასაბევილობით გამორჩეული ენა. იგი და მსგავსი გამოთქმები, რომლებიც ბლომადაა გაბნეული მოთხრობებში ქალაქის ტუტებში შექმნილი ფარგონია, რასაც არ შეიძლება სერიოზულ ლიტერატურულ ნაწარმოებში დავთმოს ადგილი.

არა აქვს საზოგადოებრივი დანიშნულება მოთხრობას „ბედის უცუღტურობა“, თუმცა თავისთავად იგი საკმაო ენამოსწრებულობით არის დაწერილი და კომიკური სიტუაციითაა გაცხოველებული. მასში მშვენიერადაა გათამაშებული ჯორი, მაგრამ იგი შორეულ ამბავს ეკუთვნის. საკითხავია აგრეთვე, შეუძლია თუ არა ჯორს გოჭივით ქვეყრილი, რასაც ავტორი მას მიაწერს.

ცოცხლად, მამფრი ჰუმორით არის აღწერილი მოთხრობაში „ბეკედი“ მენშევიკების არსებობის უკანასკნელი დღეები საქართველოში, რომ მასაც ვულგარული გამოთქმები არ აყენებდეს ჩრდილს. ეს მოთხრობა სისწორით გადმოგვცემს მენშევიკების აღსას-





რულის უკანასკნელ ეპიზოდს. მასში ჰქონია რი სატირაში გადადის, რაც სავსებით კანონ-ზომიერია, ამით მოთხრობა აგრესიულ ხასიათს ღებულაბს და გარკვეულ პოლიტიკურ ფუნქციასაც ასრულებს.

ასეთივე ხასიათისაა მკითხველს „იუსტიციის ბეჭედი“, რომელიც აშკარაა, რომ შენაძლებელი და აუცილებელიც ყოფილა ამ ეპიზოდის იდეურად გამაჰილებმა, რათა მან ჩვენი ხალხისათვის გარკვეული ამოცანის გადჭრა დასახოს მიზნად. მოთხრობაში დაპირისპირებულია ძველი ყოფის ნალექი იუსტიციის და ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი — რომელსაც საბჭოთა კომისია უფრო უფლებდა გააჩნთ გაწვევაზე. ავტორი უყრდნობა რა ახალგაზრდა საბჭოთა პარტიის სურვილს — უანგაროდ ემსახუროს სახელმწიფოს და უსაქმოდ დარჩენილ იუსტიციის წინაშეს მის მიმართ, მოხერხებულად შლის სუვეტს და მსაფრთხიანი მოთხრობას ავებს. ავტორი იუსტიციის კომიკურ მდგომარეობაში ჩაყვებით მკითხველს აცნობს საბჭოთა ადამიანის მალად მორალურ თვისებას და ხასიათის სიმტკიცეს.

ერთნაირი ბერბით არის დაწერილი მოთხრობები „მეზობლები“ და „მამონას ცდუნება“. პირველშიც და მეორეშიც გვიჩვენებს არაფერი წმინდა არ გააჩნით, ზნეობრივად გამოფიტული ადამიანები არიან. ერთმანეთის მრტყუებით არიან გატაცებულნი. განსხვავება ისაა, რომ პირველი მოთხრობის გმირებად გვჩვენებს არაან გამოყვანილნი, მეორის კი — პინტივქტორული“ საშუალო წარმომადგენლები. ორივე მოთხრობა იმავე ამოჩვენებულ გმირებზე სიტუაციებს ემყარება, მოულოდნელობის პრინციპით არას შესრულებული. არცერთ მათგანს არავითარი პოლიტიკური აღმზრდელობითი მნიშვნელობა არ გააჩნია. სამწუხაროა, რომ მწერლის ჰუმორისტული აღლო, ყოფის დეტალების ცოდნა, უზინარის, ხსენირო ხასიათის მოთხრობების შექმნაზე არის დაბარული.

ნაკლებია ჰუმორი ისეთ მოთხრობებში, როგორცაა „ქემეთ ჭაღვარა“ და „ქონორა“. პირველში სვანი ახალგაზრდა თითქმის გულურადაა გამოცხადილი. იგი, იმ მიზნით, რომ დაამტკიცოს სოფლად ჩასულა იღუპიონისტის თვალმომცქობა, დამბართი ქლავს მას სცენაზე: „პიტ! ახლავ იტყვი, რომ არ გეატყუებდა“—ო. ამით აშართლებს ივეის გულურ სატყელს. მოთხრობაში ბლომდაა გაბნეული ასეთი გამოთქმები: „ნაშვლია, საშინაოლია“, „ვახშამი უკეთესი ნიჭით“, და სხვ.

„ქონორა“ უფრო ჰუმორისტულია და წერილიც უფრო უკეთესია. აქაც არის ცდა უმართებულო, მოთხრობა „კალიგულა“ „ქონორაში“ ავტორი ზოგის გადაყვანილებს ერთ ერთ უხვირო სამეურნეო მემკვიდრეობა-ტრს, რათა არ შეაშინონ მას, თუ რა დაბალი ხარისხის ნაწარმოებს უშვებს მისი წარბინა. მოთხრობებში მრავალადა ასეთი, გამოთქმები: „არავინ იცოდა, ვინ იყო კირილეს გულის დამწყობი და ვინ გახსნა კირილეს გულში მოდელიფე სადგური“, „ასეთი დიქტირები უტრიალებდა თავში კირილეს, რომ ამ დროს ტრფა და მშვენიერმა ქალმა გახსნა ბაგეთა კონტაგორანტი“ („წიწკი“). „ამიტომ იყო, რომ კლემენტი ყოველთვის ცხვირამწვილი დადიოდა სოფელში და მეზობლებს ვერ ამჩნევდა ამ წითლივ კორუფციას კლემენტის ცალი“ თმაგამოღილი მოთქვამდა სახლში, და მეზობლები ფიქრობდნენ, რომ კლემენტი თავს მოიკლავდა, მეტიზრულ ტონს მაინც არ შეუხვია გვერდი და მეტად ლაკონიური ფეხემა გაეფხავნა შეილს: „ნინა დაჯარავი“ („უცნობი“). წინადადება მეტად მძიმე და ბუნდოვანიცაა: „ტიტიკომ, გადასწყვიტა თუ არა ცოლით ყოველგვარი უილომატიური ურთიერთობა და შეილის პროტექტორატზე უარი განაცხადა, მაშინვე გადასახლდა სხვა ქალაქში“ („გზააბნეული“). „მამაკაცი მეტად ღვეციურტრი არსებმა“ („მეგობრები“).

მოთხრობა „ტურისტები“ არ გამოხატავს დღევანდელ მოის სინამდვილეს; თუ ავტორს სურდა ესაანა წარსულის ნაშთი მოის ცხოვრებაში „წაწლობის“ სახელწოდებით ცნობილი, მაშინ სხვა ზნეობრივი საჩინელი უნდა მიეცა მოთხრობისათვის. აღნიშნული მოთხრობა „შოხხა სინამდვილიდან და ერთიულ ნატურალიზმის ცუდ ნიმუშს წარმოადგენს. მოთხრობა „ქეთათური ფანდები“ ისტორიაში გადასულ წინარეკულტორ „ქეთათისის თავდაზნაურთა საარჩევნო ომინს ავგაწერს და იმავე პრინციპზეა ავტობული რაზეც „მეზობლები“, „მამონას ცდუნება“ და სხვ.

მოკლედა უნდა შეგვიჩვენოს ერთერთ მოთხრობაზე „ილიტული სახელი“. უკანასკნელი ადისტრუბებს, თუ რა კარგად იცნობს ავტორი იმერულ კლასს, კუკუამაბელობას. რამდენ სიტყვედ შეაქვს მას თვითონ მოთხრობაში, მაგრამ ეს ნაწარმოები მაინც ვერ აღწევს მიზანს იმიტომ, რომ არ არის მხატვრულად დამაჯერებელი. ავტორი არ უწყევს ანგარიშს გმირის ხასიათს, მის ბუნე-



მას უნა მარტულად, რომლის შეგავსი ვაე-  
 კაცი „ჩვენს ნიადაგზე არ დადიოდა“-ო, ამ-  
 ბოხს მოთხრობის გმირი, ოდიური ორი წე-  
 ლიწადი ფრონტზე იყო. სახლში დაუტოვე-  
 ბია უღირსი მეუღლე. უკვე განჭორწინებუ-  
 ლი უკანასკნელი შეტოვას ვინმე კირილეს  
 გადის დრო და ფრონტიდან დაბრუნებული  
 უნა და კირილე ერთმანეთს ხელებიან სად-  
 გურზე. უნა ტრამპანაგებში ჩამდგარა და  
 ჰიტლერის ხელებს სცლას, დანახავს კირილეს და  
 მოუხმობს, თავისთან. კირილეს ეშინია არ  
 მომკლას, ცოლი რომ წაართვიო. ძალით  
 მიიყვანენ და აქ ასეთი დილოგი იმართება:

— რა ვკეთენის? — ეკითხება უნა  
 ხალხს.

ხალხი ჩუმადია.

— ეს ვლახა საჭმე უქნია, შეილაო...  
 სიტყვა იმავე ბერკაცმა...

— რა ვკეთენის? სიტყვა არ ვკე-  
 თენის ჩემის ხელით? ვკეთენის ხომ?  
 მიუტრეო ახლა.

კირილე უხედურების მოლოდინშია. მკი-  
 თხველიც მოედის, რომ უნა, ეს ვაეკაცი მე-  
 ომარო, ცოლის შემართველს ხეირს არ დაეყ-  
 რის მაგრამ აეტროი გატაცებული ავტობი-  
 ზული მოულოდნელი სიტუაციის შექმნით,  
 გმირის ფსიქოლოგიურ სამართლეს არ მიპ-

ყვება. უნა ხელს დაავლებს კირილეს და  
 მგზად გადაკონს. ასეთი მდგომარეობა  
 სცნით სრულდება ეს მოთხრობა.  
 კრებულში მოთავსებულ მოთხრობებიდან  
 ერთი საუკეთესოთაგანია „მეზღვაურები“.  
 შესანიშნავადაა აღწერილი ზღვის სანაპიროს  
 პეიზაჟი, ენაც უფრო დაწინდელი და დარ-  
 ბიანლერია, და, რაც მთავარია, ჩვენში მე-  
 ზღვაურების, საბჭოთა მეზღვაურების სწორი  
 ფსიქოლოგიური სურათებია შიგ დახატული:  
 მათში ფართო პენმანტირი გული ძვერს და  
 ისინი მაღალი ადამიანური თვისებებით არიან  
 აღჭურვილნი.

საერთო დასკვნა: მიუხედავად რამდენიმე  
 მშვენიერი მოთხრობისა, რომლებიც მოთაე-  
 სებულია კრებულში, უკანასკნელი ძირითად-  
 ში სუსტია მნატრულ-იდუტრად. მოთხრობა-  
 თა უმრავლესობაში არ იგრძნობა ბრძოლა  
 საბჭოთა ადამიანისათვის, მისი მორალურ-  
 პოლიტიკური შეგნებულობის აღზრდისა-  
 თვის, რაც მნატრულ ნაწარმოების დანიშ-  
 ნულებას შეადგენს. მათში ჩვენი ყოფი წარ-  
 მოდგენილია უარში მუქი ფერებით, ყურად-  
 ლების მაქსიმუმი დამოზილი აქვს ყოფის  
 უშინაარსო დეტალებს, ადამიანთა წერილმან  
 ინტრიგებს. მოთხრობების უმეტესობა მოკ-  
 ლებულია ღრმა იდეურობას, აქტუალობასა  
 და პოლიტიკურ სიმამფრტს.

შ. ა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ი. აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია: ა. აბაშელი, ნ. აბიაშვილი (პ/მ, მღვიანო), ი. ბრინვა-  
 შვილი, ბ. ივანოვიჩი, ს. კლდიაშვილი, ა. გაბაშვილი, ბ. ჟღერ-  
 ტი, მ. ტაბიძე, ს. შახვიაშვილი, დ. შახვალიანი.

სელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-46 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 15 1/4. შპ 09650.  
 შეჯ. № 1365 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა  
 სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ყორესის ქ. № 5.